

# ავტორის სტილი დაცულია

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი

მაკა ხოდელი

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება

სისხლის სამართლის პროცესში

(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი გიორგი თუმანიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია  
სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, საქართველო  
მარტი, 2019 წელი

## შინაარსი

გამოყენებული აბრევიატურა .....	10
შესავალი.....	15
თავი I. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება გერმანული სამართლის მიხედვით .....	20
1. სატელეკომუნიკაციო მონაცემების ცნება.....	20
1.1. შინაარსობრივი მონაცემები .....	23
1.2. სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემები .....	25
1.3. ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემები.....	26
2. ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების წარმოშობა .....	26
2.1. ზოგადი მიმოხილვა .....	26
2.2. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის საჭიროების საკითხი სისხლის საპროცესო სამართალში .....	27
3. ფარული სატელეკომუნიკაციო მიყურადება უსაფრთხოების სამსახურების მიერ .....	30
3.1. უსაფრთხოების ფედერალური სამსახური.....	31
3.2. კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახური.....	31
3.3. სამსედრო კონტრდაზვერვის სამსახური.....	33
3.4. შუალედური დასკვნა.....	34
4. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საპოლიციო სამართლებრივი რეგულირება.....	34
5. სატელეფონო კომუნიკაციის საკონსტიტუციო სამართლებრივი დაცვა.....	37
5.1. პირადი ცხოვრების უფლება.....	40
5.1.1. დაცვის ობიექტი .....	40
5.1.2. პირადი ცხოვრების უფლების სპეციალური გამოხატვის ფორმები .....	41
5.1.2.1. პირადი და ინტიმური სფეროს დაცვის უფლება .....	41
5.1.2.2. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება.....	45
5.1.2.3. უფლება ნათქვამი სიტყვის განკარგვის შესახებ.....	45
5.1.2.4. საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობისა და სანდოობის უზრუნველყოფის ძირითადი უფლება.....	46
5.2. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება – ძირითადი კანონის მე-10 მუხლი .....	47

5.2.1.	სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების წარმოშობის ისტორია.....	50
5.2.1.1.	საკანონმდებლო რეგულაციის წარმოშობა.....	50
5.2.1.2.	საკონსტიტუციო სამართლებრივი რანგის მოპოვება .....	50
5.2.1.3.	საკონსტიტუციო სამართლებრივი გარანტიის გაუქმება ნაციონალ-სოციალიზმის დროს.....	52
5.2.1.4.	სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების გათვალისწინება გერმანიის ძირითად კანონში.....	52
5.2.2.	სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის საგანი.....	53
5.2.3.	სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის სუბიექტები .....	54
5.3.	სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებასა და სხვა გარანტიებს შორის ურთიერთმიმართება .....	56
5.3.1.	სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება და პირადი ცხოვრების უფლება.....	56
5.3.1.1.	პირადი ცხოვრების უფლება მისი გაგების კლასიკური ფორმით.....	56
5.3.1.2.	სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების გამიჯვნა საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობისა და სანდოობის უზრუნველყოფის ძირითად უფლებასთან .....	57
5.3.2.	სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება და ძირითადი კანონის მქ-5 მუხლი .....	60
5.4.	ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა .....	60
5.4.1.	გადაწყვეტილება „სტრატეგიული კონტროლი I”.....	61
5.4.2.	გადაწყვეტილება „სატელეფონო მრიცხველის მონაცემთა შედარება” .....	61
5.4.3.	გადაწყვეტილება „სტრატეგიული კონტროლი II” .....	62
5.4.4.	გადაწყვეტილება „მოწმე, რომელიც ესწრება სატელეფონო საუბარს” .....	63
5.4.5.	გადაწყვეტილება „სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემები” 64	
5.4.6.	გადაწყვეტილება „მოწყობილობის მეხსიერებიდან მონაცემთა მიღება I” .....	64
5.4.7.	გადაწყვეტილება „მოწყობილობის მეხსიერებიდან მონაცემთა მიღება II” .....	65
5.4.8.	შეჯამება .....	66
5.5.	სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შეზღუდვა .....	67
5.5.1.	თანაზომიერების პრინციპი.....	67

5.5.1.1.	ვარგისიანობა .....	68
5.5.1.2.	აუცილებლობა.....	69
5.5.1.3.	თანაზომიერების პრინციპი ვიწრო გაგებით .....	69
5.5.1.3.1.	ძირითად უფლებაში ჩარევის სახეობა და ინტენსიურობა....	70
5.5.1.3.2.	ძირითად უფლებაში ჩარევის ზღვარი.....	71
5.5.1.3.3.	ძირითად უფლებაში ჩარევის წინაპირობები .....	72
5.5.1.3.4.	ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ადრესატთა რაოდენობა.....	72
5.5.1.3.5.	იმ საფრთხის სიდიდე და ალბათობის მაღალი ხარისხი, რომელიც ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ღონისძიებათა დახმარებით შეცნობილი და გარკვეული უნდა იყოს.....	73
5.5.2.	თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინების თავისებურებაზე 73	
5.5.3.	შეჯამება.....	75
5.6.	შუალედური დასკვნა.....	76
6.	სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ინსტიტუტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.....	78
6.1.	სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მატერიალური წინაპირობები.....	79
6.1.1.	დანაშაულის შემადგენლობათა ჩამონათვალი – გ.წ. ნუსხა.....	79
6.1.2.	დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვი.....	83
6.1.3.	სუბსიდიარულობა .....	85
6.2.	სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ფორმალური (პროცედურული) წინაპირობები .....	88
6.2.1.	ბრძანება.....	88
6.2.2.	სამოსამართლო კონტროლი .....	93
6.2.2.1.	ცნება და საკანონმდებლო რეგულაციის ისტორიული განვითარება.....	93
6.2.2.2.	სამოსამართლო კონტროლის ფუნქცია .....	95
6.2.2.3.	სამოსამართლო კონტროლის მიზანი.....	96
6.2.2.4.	პროცესის თავისებურება .....	98
6.2.2.5.	სამოსამართლო კონტროლი პრაქტიკაში.....	100
6.2.2.5.1.	ბავაშ და გუბის კვლევა.....	100
6.2.2.5.2.	ალბრეხტის, დორშის და კრუპეს კვლევა.....	102
6.2.2.6.	სამოსამართლო კონტროლის შეფასება .....	103

6.2.2.6.1.	<i>ქუნების</i> მოსაზრება	103
6.2.2.6.2.	<i>ბრუნვის</i> მოსაზრება	104
6.2.2.6.3.	<i>ალბრეხტის</i> , დორშის და <i>კრუპების</i> მოსაზრება	104
6.2.2.6.4.	<i>პელმენის</i> მოსაზრება	105
6.2.2.6.5.	<i>გუზის</i> მოსაზრება	106
6.2.2.7.	სამოსამართლო კონტროლის ხარვეზები და მათი გამომწვევი მიზეზები	107
6.2.2.7.1.	სამოსამართლო კონტროლის ხარვეზები	107
ა)	მოსამართლის მიერ შუამდგომლობის ზედაპირული დამუშავება	107
ა.ა)	ბრძანების გაცემისთვის საჭირო წინაპირობების ზედაპირული კონტროლი	107
ა.პ)	ბრძანების არასაკმარისი შინაარსობრივი ფორმულირება	108
ბ)	მოსამართლის პროცესში შეცდომით არ ჩართვა	108
გ)	სამოსამართლო კონტროლისთვის მიზანმიმართული გვერდის ავლა	109
6.2.2.7.2.	სამოსამართლო კონტროლის ხარვეზების გამომწვევი მიზეზები	109
ა)	სტრუქტურული სისუსტე	109
ბ)	არასრული ანდა არასაკმარისი მასალა	110
გ)	დროის დეფიციტი	111
დ)	„არამოტივირებული მოსამართლე“	111
ე)	არასაკმარისად კვალიფიციური მოსამართლე	112
ვ)	ფსიქოლოგიური ასპექტები	112
ზ)	„ბუმერანგის ეფექტი“	113
თ)	გადაუდებელი აუცილებლობა	113
6.2.2.8.	რეფორმა	115
6.2.2.8.1.	სამოსამართლო კონტროლის გაძლიერება	115
6.2.2.8.2.	სამოსამართლო კონტროლის გაუქმება	118
6.2.2.9.	შეჯამება	121
6.2.3.	ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ობიექტი	123
6.2.3.1.	არაეჭვმიტანილი პირი	124
6.2.3.2.	ფარული სატელეფონო მიყურადების ადრესატის უფლებები	125

6.2.3.2.1. ადგოპატი, როგორც სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტი.....	128
6.2.3.2.2. საჯარო მოხელე, როგორც სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტი.....	130
6.2.3.2.3. ოჯახის წევრი, როგორც სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტი.....	131
6.2.3.2.4. შეჯამება .....	132
6.2.3.3. ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების ვალდებულება 132	
6.2.3.3.1. ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების გადავადება 136	
6.2.3.3.2. შემდგომი სამართლებრივი დაცვა .....	137
6.2.3.3.3. შეჯამება .....	138
6.3. მოპოვებულ მონაცემთა მარკირება და წაშლა.....	139
6.4. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ტექნიკური განხორციელება.....	140
6.5. სტატისტიკა.....	142
7. შეჯამება .....	144
<b>თავი II. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება ქართული სამართლის მიხედვით .....</b>	<b>147</b>
1. ცნება და წარმოშობის ისტორიული ასპექტი.....	147
1.1. ცნებები: კომუნიკაცია, სატელეფონო საუბარი, კომუნიკაციის მაიდანის მიზანები .....	147
1.2. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების წარმოშობა.....	150
2. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება – ოპერატიულ- სამძებროდან ფარულ საგამოძიებო ღონისძიებამდე.....	152
2.1. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ცნება და წარმოშობის ისტორია .....	152
2.1.1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ისტორიული ასპექტი .....	152
2.1.2. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ცნება.....	154
2.2. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, როგორც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება.....	156
2.2.1. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” კანონის არსი...156	
2.2.2. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” კანონის 2014 წლის აგვისტომდე მოქმედი რედაქციის მიხედვით.....	159

2.2.3. በპერატიულ-სამძებრო ልონისძიების ዓሮስ ዓም አምርመንታዊ .....	160
2.3. በპერატიულ-სამძებრო ስაქმიანობისა ዓገልግሎት የ .....	163
2.4. ሁኔታዎች ስርዓት የ .....	169
2.4.1. የ .....	170
2.4.1.1. የ .....	170
2.4.1.2. የ .....	172
2.4.2. የ .....	173
2.5. የ .....	175
2.6. የ .....	176
3. የ .....	179
4. የ .....	183
4.1. የ .....	183
4.1.1. የ .....	185
4.1.2. የ .....	186
4.2. የ .....	190
4.2.1. የ .....	192
4.2.2. የ .....	192
4.2.3. የ .....	195
4.3. የ .....	198
4.4. የ .....	200
5. የ .....	201
5.1. የ .....	204

5.1.1.	დანაშაულის შემადგენლობათა ჩამონათვალი.....	204
5.1.2.	დასაბუთებული ვარაუდი .....	207
5.1.3.	თანაზომიერების პრინციპი.....	208
5.1.4.	სუბსიდიარულობა .....	211
5.2.	სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ფორმალური (პროცედურული) წინაპირობები .....	213
5.2.1.	პროცერორის შუამდგომლობა.....	213
5.2.2.	სასამართლო კონტროლი .....	215
5.2.2.1.	ზედამხედველი მოსამართლე და 2018 წლის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი.....	218
5.2.2.2.	მოსამართლის განჩინება .....	220
5.2.2.3.	გადაუდებელი აუცილებლობა .....	224
5.2.2.4.	მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად არ გამოყენება.....	229
5.2.2.5.	მოსამართლის განჩინების რეკვიზიტები.....	230
5.2.2.6.	ღონისძიების ხანგრძლივობა.....	232
5.2.2.7.	კრიტიკა .....	233
5.2.2.8.	შეჯამება.....	235
5.2.3.	სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტი.....	236
5.2.3.1.	ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მინიმუმამდე დაყვანა.....	237
5.2.3.2.	ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების ვალდებულება 238	
5.2.3.2.1.	სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების ადრესატი .....	239
5.2.3.2.2.	სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების დრო .....	240
5.2.3.3.	ფარული მიყურადების ობიექტის უფლებები (გასაჩივრების უფლება) .....	241
5.2.3.4.	შეჯამება.....	243
5.3.	სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელების ძირითადი ტექნიკური ასპექტები და მასზე კონტროლი .....	244
5.3.1.	სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელების ძირითადი ტექნიკური ასპექტები .....	244

5.3.2. კონტროლი სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებაზე.....	254
5.3.3. შეჯამება.....	259
5.4. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის განადგურება .....	260
5.5. რეესტრი/სტატისტიკა .....	264
5.5.1. ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი .....	264
5.5.2. ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკა .....	265
6. შუალედური დასკვნა .....	271
<b>თავი III. შედარებითი ასპექტები ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით .....</b>	<b>273</b>
1. წარმოშობის ისტორია .....	273
2. ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების პროაქტიური ბუნება... <td>274</td>	274
3. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მატერიალური წინაპირობები.....	276
3.1 დანაშაულის შემადგენლობები.....	276
3.2. დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვი.....	276
3.3. სუბსიდიარულობა .....	277
4. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ფორმალური (პროცედურული) წინაპირობები.....	278
4.1 სასამართლო კონტროლი .....	278
4.2. ღონისძიების ხანგრძლივობა.....	278
4.3. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტი.....	279
4.4. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების ვალდებულება.....	281
<b>დასკვნა .....</b>	<b>283</b>
<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>295</b>
<b>დანართი 1</b>	
<b>დანართი 2</b>	

**გამოყენებული აბრევიატურა  
ქართული:**

გამობც.	გამომცემლობა
გვ.	გვერდი
ქ.წ.	ეგრეთ წოდებული
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
რედ.	გამოცემის რედაქტორი
შეად.	შეადარეთ
ს.	საუბუნე
სსიპ.	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სსკ.	სისხლის სამართლის კოდექსი
სსსკ.	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

**გერმანული:**

Abs. – Absatz	აბზაცი
Art. – Artikel	მუხლი
ALR – Allgemeine Landrecht für die Preußischen Staaten	პრუსიის სახელმწიფოთა ზოგადი მიწის სამართლი
AnwBl – Anwaltsblatt	ადვოკატის გაზეთი
Aufl. – Auflage	გამოცემა
BayerischePAG – Bayerische Polizeiaufgabengesetz	კანონი ბავარიის პოლიციის უფლებამოსილების შესახებ
Beschl. - Beschluss	გადაწყვეტილება
BGB – (Bundesgesetzblatt)	გერმანიის ფედერალური საკანონმდებლო მაცნე

BGH – (Bundesgerichtshof)	გერმანიის ფედერალური სასამართლო
BGHSt – (Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsache)	გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე
BGHZ – Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Zivilsachen	გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო სამართლის საქმეებზე
BT-Drs. – Deutscher Bundestag Drucksache	გერმანიის ბუნდესთაგის უწყებები
BVerfG - (Bundesverfassungsgericht)	გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო
BVerfGE – (Bundesverfassungsgerichts entscheidung)	გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება
CR – (Computer und Recht)	ჟურნალი – კომპიუტერი და სამართალი
DRiZ – Deutsche Richterzeitung	გერმანიის მოსამართლეთა გაზეთი
DÖV – Die öffentliche Verwaltung	საჯარო მმართველობა
EGMR – Der Europäische Gerichtshof für Menschenrechte	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
EuGRZ Europäische Grundrechte Zeitschrift	ჟურნალი ევროპული ძირითადი უფლებების შესახებ
f. – folgend(e)	შემდეგი
ff. – folgende	შემდეგი
FS. – Festschrift	საიუბილეო გამოცემა (კრებული)
GA - (Goldammer's Archiv für Strafrecht)	თეოდორ გოლდმანის არქივი სისხლის სამართლისთვის (ჟურნალი)

Gedschr. – Gedächtnisschrift	სამახსოვრო კრებული
HRRS - (Höchstrichterliche Rechtsprechung)	გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკა (ჟურნალი)
Hrsg.- Herausgeber	გამომცემელი
HSOG- Hessisches Gesetz über die öffentliche Sicherheit und Ordnung	ჰესენის კანონი საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის შესახებ
JR - (Juristische Rundschau)	იურიდიული მიმოხილვა (ჟურნალი)
Jura - (Juristische Ausbildung)	იურიდიული განათლება (ჟურნალი)
JuS - (Juristische Schulung)	იურიდიული სწავლება
JZ - (Juristenzeitung)	იურისტთა გაზეთი (ჟურნალი)
KK – Karlsruher Kommentar	კარლსრუეს კომენტარი
KritV- Die Kritische Vierteljahresschrift für Gesetzgebung und Rechtswissenschaft	კრიტიკული კვარტალური ჟურნალი კანონმდებლობისა და იურისპრუდენციის შესახებ
OLG - Oberlandesgericht	მიწის უმაღლესი სასამართლო
NdsSOG - Niedersächsisches Gesetz über die öffentliche Sicherheit und Ordnung	ქვემო საქსონიის კანონი საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის შესახებ
NJW - (Neue Juristische Wochenschrift)	ახალი ყოველგვირული იურიდიული ჟურნალი
Nr.- Nummer	ნომერი
NStZ - (Neue Zeitschrift für Strafrecht)	ახალი ჟურნალი სისხლის სამართლისათვის

NVwZ - Die Neue Zeitschrift für Verwaltungsrecht	ახალი ქურნალი ადმინისტრაციული სამართლისათვის
RG – Reichsgericht	რაინის უზენაესი სასამართლო
RGSt – Entscheidungen des Reichsgerichts in Strafsachen	რაინის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე
Rn. – Randnummer	გვერდითი ველი
S. – Seite	გვერდი
SK – (Systematischer Kommentar)	სისტემატური კომენტარი
StPO - (Strafprozessordnung)	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
StraFo - (Strafverteidiger Forum)	სისხლის სამართლის ადვოკატთა ფორუმი
StV - (Strafverteidiger)	სისხლის სამართლის ადვოკატი (ქურნალი)
ThürPAG - <i>Polizeiaufgabengesetz in Thüringen</i>	კანონი თიურინგენის პოლიციის უფლებამოსილების შესახებ
TKÜV	ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ რეგულაცია
Urt. – Urteil	განაჩენი
Wistra – Zeitschrift für Wirtschafts- und Steuerstrafrecht	ქურნალი ეკონომიკური და საგადასახადო სამართალწარმოების შესახებ
ZIS - (Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik)	ქურნალი საერთაშორისო სისხლის სამართლის დოგმატიკისთვის
ZRP- (Zeitschrift für Rechtspolitik)	ქურნალი სამართლის პოლიტიკისთვის
ZStW - (Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft)	ქურნალი სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის

## ინგლისური:

IDFI – Institute for Development of  
Freedom of Information

ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

## რუსული:

Гл. – Глава

таво

ГРУ –  
Главное разведывательное управление

дзяэвэрвиს მთავარი სამართველო

КГБ СССР –  
Комитет государственной безопасности

სახელმწიფო უშიშროების  
კომიტეტი

Изд. – Издательство

გამომცემლობა

ИГиП РАН. –  
Институт государства и  
права Российской академии наук.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის  
სახელმწიფოსა და სამართლის  
ინსტიტუტი

ОВШМ МВД – Омская высшая школа  
милиции

ომსკის პოლიციის უმაღლესი  
სკოლა

С. – Страница

გვერდი

СПБ – Санкт-Петербург

პეტერბურგი

Т. – Том

ტომი

Ч. – Часть

ნაწილი

## შესავალი

კვლევის აქტუალობა და მისი საგანი. ფარული მიყურადება და კონტროლი საზოგადოებაში დღემდე რჩება მწვავე დისკუსიის საგნად. კანონმდებლობაში ამ საკითხის მკაცრი სამართლებრივი რეგულირების მიუხედავად, ფარული მიყურადების განხორციელებას თან ახლავს ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევა. თანამედროვე სამყაროში არსებული ახალი რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით (მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიები;<sup>1</sup> დანაშაულის ახალი ფორმები; ასევე, ორგანიზებული დანაშაული), ისეთი ძირითადი უფლებების დაცვა, როგორებიცაა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება და საკუთრება, ხშირად უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს მხოლოდ ძირითად უფლებებში ჩარევით, მაგალითად: პირადი ცხოვრების უფლების, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვით.

ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და კონტროლის შესახებ სამართლებრივ-პოლიტიკურ დისკუსიას ახასიათებს ინტერესთა კონფლიქტი. ერთ მხარეს არის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესი, რომელიც, თავის მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს, დაიცვას მოქალაქე დანაშაულისაგან და ამით უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება; მეორე მხარეს კი დგას ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ინტერესი, რომელიც ირდვევა ფარული საგამოძიებო ღონისძიებების გამოყენების დროს. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის აუცილებელია ამ უმთავრეს ინტერესებს შორის სწორი კომპრომისის, გონივრული და დაბალანსებული ურთიერთობის ჩამოყალიბება.<sup>2</sup>

საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე ეპოქაში დამნაშავემ დანაშაულის ჩადენის მეთოდებიც შეუსაბამა ტექნიკის განვითარებას. დამნაშავეებსა თუ მესამე პირს შორის ინფორმაციის გაცვლა ხშირად ხორციელდება სწორედ ისეთი სატელეკომუნიკაციო საშუალებებით, როგორებიცაა ტელეფონი თუ ელექტრონული ფოსტა. შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოები ცდილობენ, დანაშაულის გახსნის მიზნით, ჩაერთონ ტელეკომუნიკაციის ამ პროცესში,<sup>3</sup> თანაც ფარულად. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ქართული და გერმანული სისხლის სამართლის პროცესის შედარებითი ანალიზის საფუძველზე სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების სიღრმისეული კვლევის პირველ ცდას. ამასთან, კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს სატელეფონო კომუნიკაციის შინაარსობრივი მონაცემები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა 2014 წლის 1 აგვისტოს კანონის<sup>4</sup> საფუძველზე გაჩნდა ფარული საგამოძიებო ღონისძიების სახით. შესაბამისად, ქართულ სისხლის სამართალში მას

<sup>1</sup> იხ. Vogel, ZIS 2012, 480-485.

<sup>2</sup> იხ.: Kniesel, ZRP 1996, 482; Denninger, Freiheit durch Sicherheit? 2002, 113.

<sup>3</sup> იხ. Sankol, JuS 2006, 698.

<sup>4</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ №2634-რს.

არსებობის რამდენიმეწლიანი ისტორია აქვს, მაშინ, როდესაც გერმანულ სამართალში ეს ისტორია ათეულ წლებს ითვლის. მიუხედავად აღნიშნულისა, ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების საკითხი გერმანიაში დღემდე რჩება მწვავე დისკუსიის საგნად და ამ ინსტიტუტმა არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმირება განიცადა. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარული სატელეკომუნიკაციო მიყურადების მარეგულირებელ ნორმებში ბოლო ცვლილება შევიდა 2017 წლის აგვისტოში.<sup>5</sup> ამიტომაც, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია სწორედ შედარებით-სამართლებრივ ასპექტში ამ ინსტიტუტის განხილვა და გერმანული გამოცდილების გარკვეულწილად გაზიარება ქართული კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, რაც წინამდებარე კვლევის ძირითად არსს წარმოადგენს.

ადსანიშნავია, რომ სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას, საპროცესო სამართლებრივის გარდა, აქვს კონტრდაზვერვითი და პრევენციული ხასიათი. შესაბამისად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება შეიძლება განხორციელდეს კონტრდაზვერვითი ან საპოლიციო სამართლებრივი მიზნით. თუმცა, წინამდებარე კვლევის საგანია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება საპროცესო სამართლებრივ ჭრილში.

2014 წლიდან დღემდე საქართველოს კანონმდებლობაში ფარული საგამოძიებო მოქმედებების საპროცესო სამართლებრივ რეგულირებას უკვე შეეხო რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება. კერძოდ, გაფართოვდა დანაშაულის იმ შემადგენლობათა ჩამონათვალი, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც კანონი უშვებს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესაძლებლობას;<sup>6</sup> განისაზღვრა ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის ცნება; შეიცვალა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეგიანი ელექტრონული სისტემა; სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარების ექსკლუზიური უფლებამოსილება, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის ნაცვლად, მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს.<sup>7</sup> ადსანიშნავია, რომ უკანასკნელი ცვლილებები გამოწვეული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რომლის საფუძველზეც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის მიერ ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების

<sup>5</sup> იბ. [BGBL. I S. 3202,](https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav#_bgbli%2F%2F%5B%40attr_id%3D%27bgbli117s3202.pdf)

[https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav#\\_bgbli%2F%2F%5B%40attr\\_id%3D%27bgbli117s3202.pdf](https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav#_bgbli%2F%2F%5B%40attr_id%3D%27bgbli117s3202.pdf) f%27%5D 1533540915395, უკანასკნელად გადამოწმებულია 06.08.2018.

<sup>6</sup> იბ. 2017 წლის 1 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№911-III), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3683198#DOCUMENT:1>; 2018 წლის 17 მაისს მიღებული საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№2355-III), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4198982#DOCUMENT:1>

<sup>7</sup> იბ. 2017 წლის 22 მარტს მიღებული საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№476-III), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3597520#DOCUMENT:1>

ტექნიკური შესაძლებლობა.<sup>8</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების ტექნიკური განხორციელება და მასზე კონტროლი დღემდე რჩება საკამათო საკითხად, რასაც მოწმობს 2017 წლის აპრილისა და მაისში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი კონსტიტუციური სარჩელები, რომლებიც 2017 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო არსებითად განსახილველად; ისინი ძირითადად ეხება სსიპ – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობის კონსტიტუციურობას.<sup>9</sup>

2018 წლის 21 ივლისს მიღებული კანონის საფუძველზე, ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (შემდგომში სსსკ), რომლის საფუძველზეც კოდექსში შემოვიდა ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტი.<sup>10</sup> სსსკ-ის მე-3 მუხლის 32<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისად, სსსკ-ის XVI<sup>1</sup> თავის მიზნებისთვის, ზედამხედველი მოსამართლე არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის<sup>11</sup> სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ამ კოდექსით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში აკონტროლებს, აგრეთვე, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ჩატარებას კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით.<sup>12</sup>

ზემოაღნიშნული ცვლილებები ხაზს უსვამს წინამდებარე კვლევის საგნის აქტუალობას.

აუცილებელია, სახელმწიფო დაადგინოს გონივრული საზღვრები ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველყოფასა და სახელმწიფოს მხრიდან მასში ჩარევის შესაძლებლობებს შორის. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის ამ მნიშვნელოვანი ბალანსის დადგენის მიზნით კვლევა განხორციელდება რამდენიმე პრობლემური თემისის გარშემო:

1. როგორც უკვე აღინიშნა, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება შესაძლებელია განხორციელდეს საპროცესო სამართლებრივი, კონტრდაზვერვითი და საპოლიციო სამართლებრივი მიზნებით. საქართველოს კანონმდებლობა იცნობს სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას მხოლოდ კონტრდაზვერვით და საპროცესო სამართლებრივ ასპექტში. ამასთან, ქართულ სისხლის საპროცესო სამართალში სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას განვითარების

<sup>8</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება № 1/1/625,640, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3263731#>.

<sup>9</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენურის განმწერიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960>.

<sup>10</sup> იხ. 2018 წლის 21 ივლისს მიღებული საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№3276-რს), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>; აღნიშნულ ინსტიტუტის დაკავშირებით იხ. ქვემოთ, თავი II, ქვეთავი 5.2.2.1.

<sup>11</sup> იხ. კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ (№3273-რს), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 16.08.2018.

<sup>12</sup> აღსანიშნავია, რომ ეს ნორმა ამოქმედდება 2019 წლის 1 ივლისიდან.

საინტერესო სამართლებრივი ისტორია აქვს. ის ოპერატიულ-სამძებრო დონისძიების სახით ჩამოყალიბდა და მხოლოდ 2014 წელს გადაიქცა საგამოძიებო დონისძიებად. პირველ პრობლემურ საკითხს, თემის ისტორიული ასპექტის განხილვის შემდეგ, წარმოადგენს სწორედ ამ დონისძიების სამართლებრივი ბუნების, მისი ე.წ. პროაქტიური ხასიათის განმარტება და მისი უფლებრივი გამიჯვნა სამართლებრივი სფეროების მიხედვით.

2. კვლევის მეორე მნიშვნელოვანი საკითხია სატელეფონო კომუნიკაციის საკონსტიტუციო სამართლებრივი დაცვა. ფარულ საგამოძიებო დონისძიებებს აქვთ საგამოძიებო ტაქტიკის უპირატესობა; რაც განპირობებულია იმით, რომ ამ დონისძიების ჩატარების შესახებ ადრესატმა არ იცის; შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოებს შეუძლიათ გარკვეული პერიოდი გამოძიება აწარმოონ „ფარულად“.<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ ამ მახასიათებლის გამო ისეთი ფარული საგამოძიებო დონისძიება, როგორიცაა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა, ერთი შეხედვით, წარმოადგენს მეტად „უვნებელ“ საგამოძიებო დონისძიებას, რომლის წარმოების დროსაც ადრესატს არც ფიზიკური და არც მატერიალური ზიანი არ ადგება. თუმცა, რეალურად სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება მოქალაქის პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ჩარევაა. აღნიშნული საკითხის განხილვისას კვლევაში გაანალიზებულია პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებათა საკონსტიტუციო სამართლებრივი დაცვის გარანტიები, განმარტებულია პირადი ცხოვრების უფლების სპეციალური გამოხატვის ფორმები, დამუშავებულია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები აღნიშნულ ძირითად უფლებებთან დაკავშირებით. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საფუძველზე შეზღუდული პირადი ცხოვრების უფლებისა და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების განმარტება მოცემულია თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით როგორც გერმანული, ისე ქართული სამართლის მიხედვით.

3. მესამე არსებით საკითხს კი წარმოადგენს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ინსტიტუტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო დონისძიებების სწორი საპროცესო სამართლებრივი რეგულირება, მათი ჩატარებისათვის საჭირო მატერიალური და ფორმალური (პროცედურული) წინაპირობების დადგენა. კვლევაში საფუძვლიანად არის განხილული სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული ძირითადი კრიტიკული საპროცესო სამართლებრივი საკითხები: თუ რა დანაშაულებზე ხორციელდება აღნიშნული ფარული საგამოძიებო დონისძიება, ვინ შეიძლება იყოს ამ დონისძიების ადრესატი, რა მიზნით ხორციელდება ვინ ახორციელებს მას და ვინ აკონტროლებს ამ დონისძიების განხორციელებას, რა ვალდებულებას კისრულობს სახელმწიფო სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების დასრულების შემდეგ. ამ კონტექსტში კვლევაში განხილულია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებისთვის აუცილებელი ყველა მატერიალური და

<sup>13</sup> ი. ს. Sankol, JuS 2006, 699.

ფორმალური (პროცედურული) წინაპირობა, მოცემულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ძირითადი კრიტიკული მოსაზრებები, თითოეულ წინაპირობასა თუ საპროცესო სამართლებრივ ინსტიტუტთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ამ ფარულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით გერმანიაში ჩატარებული მნიშვნელოვანი კრიმინოლოგიური კვლევები, მოცემულია ორივე ქვეყანაში სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები.

**კვლევის მიზანი.** წინამდებარე კვლევის მიზანია: საფუძვლიანად შეისწავლოს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ინსტიტუტის საპროცესო სამართლებრივი არსი და თავისებურებანი მისი ისტორიული განვითარების გათვალისწინებით; გაარკვიოს, აკმაყოფილებს თუ არა ამ ფარული საგამოძიებო ღონისძიების საპროცესო სამართლებრივი რეგულირება საკონსტიტუციო სამართლებრივ მოთხოვნებს, შეესაბამება თუ არა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს; ასევე, გაარკვიოს, საკმარისი და ქმედითია თუ არა სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებაზე არსებული სასამართლო კონტროლის მექანიზმი; ამ ინსტიტუტის ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე წარმოაჩინოს, არის თუ არა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა აუცილებელი, საჭირო და უფექტიანი საგამოძიებო ღონისძიება; შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით წარმოადგინოს ამ ფარული საგამოძიებო ღონისძიების როგორც მსგავსი, ისე განმასხვავებელი ასპექტები ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში, შედეგად კი შეიმუშაოს რეკომენდაციები ქართული კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

**კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი.** ყველა დასახელებული საკითხის კვლევისას ძირითადად გამოყენებულია ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

## თავი I. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება გერმანული სამართლის მიხედვით

გერმანულ სისხლის სამართალში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო საფუძველი, რომელიც ტელეკომუნიკაციის გამოყენებას, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის მიზნით მონაცემთა მოპოვების წესს არეგულირებს, არის სსსკ-ის მე-100a, 100b, 100d, 100e, 100g, 100i, 100j, 101, 101a, 101b პარაგრაფები. წინამდებარე კვლევის შესწავლის საგანს წარმოადგენს მხოლოდ სსსკ-ის 100a, 100d, 100e, 101, 101b პარაგრაფები, რომლებიც მოიცავს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის საპროცესო სამართლებრივ რეგულირებას, მისი ჩატარების მატერიალურ და ფორმალურ (პროცედურულ) წინაპირობებს.

2008 წლის 1 აგვისტოს ძალაში შევიდა კანონი სატელეკომუნიკაციო მიყურადებისა და კონტროლის, ასევე, სხვა ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ახალი რეგულაციებისა და ევროკავშირის 2006/24 დირექტივის დანერგვის შესახებ.<sup>14</sup> აღნიშნული კანონით განხორციელდა ფარული საგამოძიებო ღონისძიებების რეფორმა, რომლის ძირითად არს წარმოადგენს ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და კონტროლის ახალი რეგულაცია და მისი გამოყენების, ასევე, საპროცესო რეგულაციის სტანდარტიზაცია.

მოგვიანებით, 2017 წლის 24 აგვისტოს, ძალაში შევიდა კანონი უფრო ეფექტური და პრაქტიკული სისხლის სამართალწარმოების შესახებ, რომლის მიხედვითაც, კანონმდებელმა მთელი რიგი საგამოძიებო ღონისძიებები შესაბამისობაში მოიყვანა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან; შედეგად, გაფართოვდა ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ საპროცესო სამართლებრივი ნორმები.<sup>15</sup>

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის უშუალოდ საპროცესო სამართლებრივი რეგულირების განხილვამდე აუცილებელია, ისეთი საკითხების გამოკვლევა, როგორებიცაა: ზოგადად სატელეკომუნიკაციო მონაცემების ცნება; სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების წარმოშობა და განვითარების ისტორია; უსაფრთხოების სამსახურისა და პოლიციის ორგანოთა უფლებამოსილება ამ ღონისძიების განხორციელებასთან მიმართებით და სატელეფონო კომუნიკაციის საკონსტიტუციო სამართლებრივი დაცვა.

### 1. სატელეკომუნიკაციო მონაცემების ცნება

გერმანიის სსსკ-ის 100a პარაგრაფის სათაურია ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადება. ტელეკომუნიკაცია უფრო ფართო ცნებაა,

<sup>14</sup> იბ.: BGBI I 2007, 3198; Nöding, StraFo 2007, 456ff.; Puschke/Singelstein, NJW 2008, 113ff.; Zöller, StraFo 2008, 15, 18ff.; Zöller, ZStW 2012, 415. ოუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროსასამართლომ 2014 წელს 2006/24/EC დირექტივა ძალადაკარგულად გამოაცხადა.

<sup>15</sup> იბ. [BGBI. I S. 3202](#),

[https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav#\\_bgbli\\_%2F%2F\\*%5B%40attr\\_id%3D%27bgbli117s3202.pdf](https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav#_bgbli_%2F%2F*%5B%40attr_id%3D%27bgbli117s3202.pdf) f%27%5D 1533540915395, უკანასკნელად გადამოწმებულია 06.08.2018.

რომელიც მოიცავს სატელეფონო საუბარს. ვიდრე უშუალოდ სატელეფონო საუბრის ადგილს განვსაზღვრავდეთ ტელეკომუნიკაციის სისტემაში, საინტერესოა გერმანიის სსსკ-ში არსებული ტერმინის – ტელეკომუნიკაცია – განმარტება, ასევე, სატელეკომუნიკაციო მონაცემების ცნებისა და სახეების მოკლე მიმოხილვა.

ტელეკომუნიკაცია (*tele* = შორს და ლათინურად *communicare* = ერთად კეთება, შეტყობინება)<sup>16</sup> ზოგადად ნიშნავს გარკვეულ მანძილზე ინფორმაციის ნებისმიერი სახით გაცვლას. ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის თანდართული კანონით, რომელიც 1997 წლის 17 დეკემბერსაა მიღებული<sup>17</sup>, სსსკ-ის მე-100a პარაგრაფში არსებული ტერმინი „დისტანციური კომუნიკაცია“ შეიცვალა ტერმინით „ტელეკომუნიკაცია“. <sup>18</sup>

ტელეკომუნიკაციის საკანონმდებლო დეფინიცია<sup>19</sup> მოცემულია ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის მე-3 პარაგრაფის 22-ე პუნქტში,<sup>20</sup> რომლის მიხედვითაც, ტელეკომუნიკაცია არის სატელეკომუნიკაციო სისტემების მეშვეობით სიგნალის გაგზავნის, გადაცემისა და მიღების ტექნიკური პროცესი. სატელეკომუნიკაციო სისტემა კი, ამავე კანონის მე-3 პარაგრაფის 23-ე პუნქტის მიხედვით, არის ტექნიკური მოწყობილობა ან სისტემა, რომელსაც შეუძლია შეტყობინების სახით იდენტიფიცირებული ელექტრომაგნიტური ან ოპტიკური სიგნალის გაგზავნა, გადაცემა, გავრცელება, მიღება, მართვა ან კონტროლის განხორციელება.<sup>21</sup>

თავად ტერმინი ტელეკომუნიკაცია და ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონში განსაზღვრული ცნება უფრო ფართოა, ვიდრე ადრე არსებული ტერმინი – დისტანციური კომუნიკაცია.<sup>22</sup> ტელეკომუნიკაცია მოიცავს სატელეკომუნიკაციო საშუალებით შეტყობინების გადაცემის ნებისმიერ სახეს; იგულისხმება მაგ., პეიჯერით, მობილური ტელეფონით, ინტერნეტ-ტელეფონით (ე.წ. Voice-over-IP, ასევე, სკაიპით).<sup>23</sup>

საინფორმაციო ტექნოლოგიების მეტად სწრაფი განვითარების ფონზე ბოლო წლების განმავლობაში საკამაოოდ რჩებოდა საკითხი იმის შესახებ, ფართოდ გავრცელებული ინტერნეტტელეფონის გამოყენება (მაგ., სკაიპით საუბარი) საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით შედიოდა თუ არა სსსკ-ის 100a პარაგრაფის დაცვის სფეროში;<sup>24</sup> მოიცავდა თუ არა აღნიშნული პარაგრაფი კომუნიკაციის ამ ფორმას, რომელსაც, შესაძლოა, არა სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების, არამედ საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობისა და

<sup>16</sup> ი. მ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 28.

<sup>17</sup> ი. მ. BGBI I 3108, S. 3113.

<sup>18</sup> ი. მ. : Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, §36, Rn. 1; Albrecht/ Dorsch/ Krüipe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 8.

<sup>19</sup> ადნიშნულთან დაკავშირებით ფედერალურმა სასამართლომ თავის რამდენიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში განმარტება გააკეთა, თუმცა, ისინი არ არის საკმარისი დოგმატიკური თვალსაზრისით. ი. მ.: BGH StV 2001, 214ff.; BGH NJW 2002, 2043 ff.

<sup>20</sup> ი. მ.: Beulke, Strafprozessrecht, 2008, Rn. 253; Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, §36, Rn. 1; Günther, NStZ 2005, 486.

<sup>21</sup> ი. მ. Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, §36, Rn. 1.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> ი. მ. Sankol, CR 2008, 13 ff.

სანდოობის შესახებ ძირითადი უფლება<sup>25</sup> იცავს.<sup>26</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, სამართლიანად მიიჩნეოდა, რომ სსსკ-ის 100a პარაგრაფი მოიცავდა ინტერნეტელეფონის ფარულ მიუურადებასაც.<sup>27</sup> აქ არგუმენტად ისიც იყო მოშველიებული, რომ ტელეკომუნიკაციის ცნება სსსკ-ში არ არის მოცემული; ეს საკითხი კანონმდებლის მიერ მიზანმიმართულად ღიად არის დატოვებული იმ მიზნით, რომ მოიცას ტექნიკის საშუალებით ინფორმაციის გადაცემის ნებისმიერი ფორმა.<sup>28</sup>

ამ სამართლებრივი დისკუსიის პასუხად, 2017 წლის აგვისტოში სსსკ-ში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების შესახებ პარაგრაფში ჩაიწერა, რომ შესაძლებელი გახდა ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადება ჩატარდეს ტექნიკის საშუალებების გამოყენებით საინფორმაციო-ტექნოლოგიურ სისტემაში შეღწევის გზით (სსსკ-ის მე-100a პარაგრაფის პირველი აბზაცის მეორე წინადადება); ასევე, ამავე მუხლის მესამე აბზაცში ტერმინ სატელეფონო ხაზის გვერდით გაჩნდა ტერმინი საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემაში.<sup>29</sup> შესაბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე გაფართოვდა ტელეკომუნიკაციის ცნების სისხლის საპროცესო სამართლებრივი გაგება და მან უკვე, საკანონმდებლო ფორმულირების თანახმად, მოიცვა კომუნიკაცია, რომელიც ხორციელდება თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური საშუალებებით (მაგ., ინტერნეტელეფონით) და დიდ კონკურენციას უწევს ტელეკომუნიკაციის ჩვეულ ფორმას.<sup>30</sup>

აღსანიშნავია, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებაში ჩარევას ადგილი აქვს, როდესაც სახელმწიფო ორგანოები, კომუნიკაციის მონაწილეთა თანხმობის გარეშე, მოიპოვებენ ინფორმაციას ტელეკომუნიკაციის შინაარსისა ან ტელეკომუნიკაციასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ; შესაბამისად, შინაარსობრივის გარდა,<sup>31</sup> არსებობს ტელეკომუნიკაციის მონაცემების სხვადასხვა სახე, როგორებიცაა: სახელშეკრულებო მონაცემები, სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემები<sup>32</sup> და ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემები<sup>33</sup>.

ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის მე-3 პარაგრაფის მე-3 პუნქტის მიხედვით, სახელშეკრულებო მონაცემები არის კომუნიკაციის მონაწილის

<sup>25</sup> ამ უფლებასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ: თავი I, ქვეთავი 5.1.2.4.

<sup>26</sup> იხ. Beulke, Strafprozessrecht, 2008, Rn. 253.

<sup>27</sup> იხ.: Eisenberg, Beweisrecht, 2013, Rn. 2483; Sankol, JuS 2006, 699; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 7a; Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, §36, Rn. 1.

<sup>28</sup> იხ. Benfer, Rechtseingriffe von Polizei und Staatsanwaltschaft, 2005, S. 306.

<sup>29</sup> იხ. [BGBL. I S. 3203-3204](#), [https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav#\\_bgbli%2F%5B%40attr\\_id%3D%27bgbli117s3202.pdf%27%5D\\_1533540915395](https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav#_bgbli%2F%5B%40attr_id%3D%27bgbli117s3202.pdf%27%5D_1533540915395), უკანასკნელად გადამოწმებულია 06.08.2018.

<sup>30</sup> შეად., ბუნდესთაგის იურიდიულ საქითხთა კომიტეტის რეკომენდაცია და ანგარიში, 48-53, <http://dipbt.bundestag.de/dip21/btd/18/127/1812785.pdf>, უკანასკნელად გადამოწმებულია 06.08.2018. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2017 წლის აგვისტოში სსსკ-ში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე გაფართოვდა ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების ფარგლები და მან მოიცვა ეწ. ტელეკომუნიკაციის წყაროს ფარგლები მიუურადება (გერმანულად "Quellen-Telekommunikationsüberwachung").

<sup>31</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა BVerfGE 100, 313, 358.

<sup>32</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა BVerfGE 67, 157, 172.

<sup>33</sup> იხ. Thommes, StV 1997, 660-661.

ისეთი მონაცემები, რომლებიც მოპოვებულია სატელეკომუნიკაციო მომსახურების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის დასაბუთების, შინაარსობრივი განსაზღვრის, შეცვლის ანდა შეწყვეტის მიზნით.<sup>34</sup>

## 1.1. შინაარსობრივი მონაცემები

სატელეკომუნიკაციო მონაცემებს შორის მთავარი ადგილი უკავია შინაარსობრივ მონაცემებს, რომელშიც შედის სატელეფონო საუბარი.

შინაარსობრივი მონაცემები არის მონაცემთა ისეთი სახე, რომლის გადაცემა კომუნიკაციის მიზანს წარმოადგენს; მას მიეკუთვნება საუბარი ან ელ. ფოსტის შინაარსი.<sup>35</sup> ის შეიძლება მოცემული იყოს ნიშნების, ენობრივი, ფოტო ან ხმოვანი ფორმით.<sup>36</sup>

აღსანიშნავია, რომ სატელეფონო საუბრის შინაარსს მოიცავს სწორედ სსსკ-ის 100a და მე 100e პარაგრაფები. ამასთან, აუცილებელია, სატელეფონო საუბარი შედგეს ადამიანებს შორის, რამდენადაც კომუნიკაცია სწორედ რომ მეორეს არსებობას საჭიროებს (თავად ტერმინი *communis* ლათინურად ხომ ერთობლივს ნიშნავს).<sup>37</sup> ამიტომაც, სსსკ-ის 100a პარაგრაფი, ძირითადი კანონის მე-10 მუხლის გათვალისწინებით, უნდა განიმარტოს ისე, რომ ტელეკომუნიკაცია მხოლოდ ადამიანებს შორის ურთიერთობად გაიგებოდეს და არა მარტო ტექნიკურად წარმოებულ ინფორმაციის გაცვლად ტექნიკურ მოწყობილობებს, მანქანებს შორის.<sup>38</sup>

სატელეფონო საუბრად უნდა განიხილებოდეს თუ არა შემთხვევა, როდესაც სატელეფონო კომუნიკაცია პირებს შორის დასრულდა, თუმცა კომუნიკაციის ერთი მონაწილე აგრძელებს საუბარს და აღნიშნულს ისმენს საგამოძიებო ორგანო, რომელიც სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას აწარმოებს; კომუნიკაციის მონაწილეები კი გაუთვალისწინებლად არ გაწყვიტა კავშირი, მაგ., ყურმილი სწორად არ დაკიდა?<sup>39</sup> ასეთ გარემოებას ეწოდება „ოთახში საუბარი“<sup>40</sup>. უედერალურმა სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით დაასკვნა, რომ მსგავსი გარემოება უნდა ჩაითვალოს ტელეკომუნიკაციად სსსკ-ის 100a პარაგრაფის გაგებით.<sup>41</sup> სასამართლოს ეს ფორმულირება აშკარად ეფუძნება ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონში არსებულ დეფინიციას.<sup>42</sup> გადაწყვეტილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სსსკ-ის 100a პარაგრაფში არსებული ტელეკომუნიკაციის ცნება უფრო ფართო და განსხვავდება კანონმდებლობაში მანამდე არსებულ დისტანციური

<sup>34</sup> ამასთან დაკავშირებით, იხ. *Günther*, NStZ 2005, 492; *Thommes*, StV 1997, 661.

<sup>35</sup> იხ. *Schäfer*, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 337, Rn. 13.

<sup>36</sup> იხ. *Günther*, NStZ 2005, 492.

<sup>37</sup> იხ. *Roxin/ Schünemann*, Strafverfahrensrecht, 2009, §36, Rn. 3; *Lehmann*, Die Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs, 1978, S. 40.

<sup>38</sup> იხ. *Günther*, NStZ 2005, 491.

<sup>39</sup> იხ. *Beulke*, Strafprozessrecht, 2008, Rn. 253.

<sup>40</sup> ე.წ. „ოთახში საუბრის“ მიყურადებასა და „საკუთარი ოთხი კედლის“ ხელშეკრულებლობასთან დაკავშირებით საინტერესოა კრაუზებს პოზიცია, იხ. *Krause*, in Festschrift für Hanack, 221 ff.; *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §100a, Rn. 2; *Roxin/ Schünemann*, Strafverfahrensrecht, 2009, §36, Rn. 19; *Kühne*, Strafprozessrecht, 2010, §30, Rn. 524.1

<sup>41</sup> იხ.: BGH NJW 2002, 2034ff.; *Günther*, NStZ 2005, 490.

<sup>42</sup> იხ. *Günther*, NStZ 2005, 490.

კომუნიკაციის ცნებისგან.<sup>43</sup> თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, საპროცესო სამართალში შეიძლება, რომ ტელეკომუნიკაცია არ განიმარტოს ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონში არსებული ცნების იდენტურად და, შესაბამისად, სსსკ-ს 100a პარაგრაფი არ გავრცელდეს ე.წ. „ოთახში საუბრის“ შემთხვევებზე.<sup>44</sup> ამასთან, სამეცნიერო ლიტერატურაში ავტორთა უმრავლესობა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საგამოძიებო ორგანოს მიერ ამ გზით მიღებული ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი.<sup>45</sup> აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ტელეკომუნიკაციის ცნება, რომელიც ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონშია მოცემული, და მისი საპროცესო სამართლებრივი გაგება არ არის იდენტური.<sup>46</sup> ეს უკანასკნელი უფრო ვიწროა, ვიდრე ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონში მოცემული ცნება.<sup>47</sup> აღნიშნული კი გამოწვეულია იმით, რომ ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონს სრულიად სხვა მიზანი აქვს, ვიდრე სსსკ-ის 100a პარაგრაფს.<sup>48</sup> ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის პირველი პარაგრაფის თანახმად, ამ კანონის მიზანია ტელეკომუნიკაციის სფეროს რეგულირებით კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა.<sup>49</sup> ამ წმინდა ტექნიკურ მიზანს არ აქვს კავშირი სსსკ-ის 100a პარაგრაფის მიზანთან, რომელიც მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ძირითად უფლებებში დასაბუთებულ რეპრესიულ ჩარევას უშვებს.<sup>50</sup>

გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლით დაცული სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების ცნება, რომელიც დეტალურადად აღწერილი ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის 88-ე პარაგრაფში, მოიცავს ტელეკომუნიკაციის შინაარსესა და ტელეკომუნიკაციასთან დაკავშირებული გარემოებებს,<sup>51</sup> განსაკუთრებით ფაქტს იმის შესახებ, პირი მონაწილეობს თუ იდებდა მონაწილეობას ტელეკომუნიკაციის პროცესში. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება მოიცავს, ასევე, სატელეფონო კავშირის წარუმატებელ მცდელობასთან დაკავშირებულ გარემოებებს.<sup>52</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს: „სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების ხელშეუხებლობა, პირველ რიგში, იცავს ტელეკომუნიკაციის შინაარსს, ამასთანავე, მოიცავს კომუნიკაციასთან დაკავშირებულ გარემოებებს. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება განსაკუთრებით მონაცემები იმის შესახებ, როდის და რა სიხშირით, ვის შორის შედგა სატელეკომუნიკაციო კავშირი ან იყო ამის მცდელობა (BVerfGE 67, 157(172); 85, 386 (396). [...] სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების

<sup>43</sup> იქვე.

<sup>44</sup> ი.ბ.: *Beulke*, Strafprozessrecht, 2008, Rn. 253; *Weißer*, GA 2006, 158; *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 2; *Roxin/ Schünemann*, Strafverfahrensrecht, 2009, §36, Rn. 19.

<sup>45</sup> ი.ბ.: BGHSt 31, 296; *Weßlau*, Anmerkung zu BGH, Urt., StV 2003, 483; *Fezer*, NStZ 2003, 625; *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 2; *Roxin/ Schünemann*, Strafverfahrensrecht, 2009, §36, Rn. 19; *Kühne*, Strafprozessrecht, 2010, §30, Rn. 524.1.

<sup>46</sup> ი.ბ. *Günther*, NStZ 2005, 491, 492.

<sup>47</sup> ი.ბ.: *Günther*, NStZ 2005, 492; *Benfer*, Rechtseingriffe von Polizei und Staatsanwaltschaft, 2005, S.. 307; *Fezer*, NStZ 2003, 625, 627.

<sup>48</sup> ი.ბ. *Benfer*, Rechtseingriffe von Polizei und Staatsanwaltschaft, 2005, S. 307.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> იქვე.

<sup>51</sup> ი.ბ. *Lehmann*, Die Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs, 1978, S. 10.

<sup>52</sup> ი.ბ.: BVerfGE 100 313, 358; BVerfG NJW 2003 1787 = NStZ 2003 441.

შესახებ ძირითადი უფლების დაცვამ უნდა უზრუნველყოს თავისუფალი კომუნიკაციის განხორციელების პირობები. სატელეკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა უნდა რჩებოდეს კონფიდენციალურად”.<sup>53</sup>

## 1.2. სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემები

სსსკ მე-100ა პარაგრაფი, როგორც უკვე აღინიშნა, ეხება არა მხოლოდ ტელეკომუნიკაციის შინაარსს, არამედ ტელეკომუნიკაციასთან დაკავშირებულ გარემოებებსაც, ე.წ. სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემებს.<sup>54,55</sup> სატელეკომუნიკაციო მონაცემების დაცვის შესახებ 2000 წლის 18 დეკემბერს მიღებული დადგენილების<sup>56</sup> მე-2 პარაგრაფის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემებს, როგორც „სატელეკომუნიკაციო მომსახურების მომზადებისა და უზრუნველყოფის დროს მოპოვებულ მონაცემებს”.<sup>57</sup> ამავე დადგენილების მე-6 პარაგრაფი განსაზღვრავს სატელეკომუნიკაციო კავშირის მნიშვნელოვან მონაცემებს, რომლებიც სატელეკომუნიკაციო კომპანიებს შეუძლიათ მოიპოვონ, დაამუშაონ და გამოიყენონ; მაგ., სატელეფონო ხაზის ნომერი, იდენტიფიკატორი, ბარათის ნომერი, მობილური ტელეფონის შემთხვევაში ადგილმდებარების იდენტიფიკატორი, კონკრეტული სატელეფონო კავშირის დასაწყისი და დასასრული თარიღისა და დროის მიხედვით.<sup>58</sup>

აღსანიშნავია, რომ ტექნიკის დიგიტალიზაციამდე სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემები ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ სატელეფონო საუბრის დასრულებამდე.<sup>59</sup> დიგიტალიზაციის შემდეგ<sup>60</sup> კი შესაძლებელია დიგიტალურ ქსელში მონაცემთა ისეთი ჩანაწერის შექმნა, რომელიც სატელეკომუნიკაციო კავშირის კომპიუტერულ მართვას ემსახურება.<sup>61</sup> შედეგად, სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემები მნიშვნელოვანწილად ხელმისაწვდომი გახდა; მათ სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნითაც მეტად სასარგებლო ფუნქცია შეიძინება.<sup>62</sup>

ამასთან, სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც ინახება სატელეფონო აბონენტის ნომერთან ერთად, მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა პიროვნების სოციალური გარემოს შესახებ.<sup>63</sup> შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოებს აქვთ შესაძლებლობა,

<sup>53</sup> ი. მ.: BVerfGE 100 313, 358; BVerfG NJW 2003 1787 = NStZ 2003 441.

<sup>54</sup> ი. მ.: Welp, NStZ 1994, 209 ff.; Günther, NStZ 2005, 490; Fezer, NStZ 2003, 625; Weßlau, Anmerkung zu BGH, Urt., StV 2003, 484.

<sup>55</sup> ი. მ.: Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 356, Rn. 48; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §100a, Rn. 6.

<sup>56</sup> BGB I. S. 1740.

<sup>57</sup> ი. მ.: Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 356, Rn. 48.

<sup>58</sup> ი. მ.:

<sup>59</sup> ი. მ.: Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 356, Rn. 50.

<sup>60</sup> ი. მ.: Thommes, StV 1997, 660.

<sup>61</sup> ი. მ.: Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 356, Rn. 50.

<sup>62</sup> ი. მ.: Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 356, Rn. 50; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §100a, Rn. 6.

<sup>63</sup> ი. მ.: Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 356, Rn. 50; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §100a, Rn. 6.

მოიპოვონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ყველა იმ პირის შესახებ, რომლებმაც კონკრეტულ აბონენტთან კონკრეტულ დროს სატელეკომუნიკაციო კავშირი დაამყარეს.<sup>64</sup>

### 13. ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემები

ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემები, მობილური ტელეფონის შემთხვევაში, იძლევა ინფორმაციას ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების ადრესატის ადგილსამყოფელის შესახებ და შესაძლებელს ხდის, გამოძიების ორგანოებმა მიიღონ ზუსტი მონაცემები პირის გადაადგილების შესახებ.<sup>65</sup>

საკამათო იყო საკითხი, შეიძლება თუ არა ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემების მოპოვება ისეთი მობილური ტელეფონიდან, რომლითაც არ შემდგარა სატელეფონო საუბარი; ის მხოლოდ მზად იყო სატელეფონო კავშირისთვის, სიგნალის მისაღებად.<sup>66</sup> სატელეკომუნიკაციო მონაცემების დაცვის შესახებ დადგენილების მე-2 პარაგრაფში არსებული განმარტებიდან ტელეფონის მზადყოფნის რეჟიმის შესახებ გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ გააკეთა დასკვნა,<sup>67</sup> რომ სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემებს მიეკუთვნება, ასევე, ისეთი მონაცემები, რომლებიც წინასწარ, სატელეფონო საუბრის დაწყებამდე იქნა მოპოვებული.<sup>68</sup>

ადგილმდებარეობის შესახებ შეტყობინებები, მაშინაც კი, როდესაც არ ხორციელდება სატელეფონო საუბარი, კომუნიკაციის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მათი საშუალებით დგინდება, არის თუ არა მობილური ტელეფონი ექსპლუატაციისთვის მზად.<sup>69</sup>

## 2. ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების წარმოშობა

### 2.1. ზოგადი მიმოხილვა

კაცობრიობის არსებობის საწყის ეტაპზევე ინფორმაციის გაცვლამ განაპირობა ადამიანის შემოქმედებითი განვითარება. თავდაპირველად იცვლებოდა ინფორმაციის ელემენტები (ნიშნები), შემდგომში შესაძლებელი გახდა ინფორმაციის წყაროდან ინფორმაციის გადაცემა სიგნალის სტატიკური ფორმით (მაგ., დაბეჭდილი ნიშნები), რომლებიც მოგვიანებით გადაიქცა სიგნალის დინამიკურ ფორმად (მაგ., ხმა, ელექტროიმპულსები), ხოლო ამ ყოველივეს მიღება შეძლო კომუნიკაციის მეორე მხარემ.<sup>70</sup>

<sup>64</sup> იბ. Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 356, Rn. 50.

<sup>65</sup> იბ.: Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 357, Rn. 51; Thommes, StV 1997, 660-661; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 6a.

<sup>66</sup> იბ. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 6a.

<sup>67</sup> იბ. BGH (ER) NStZ 2001, 389.

<sup>68</sup> იბ. Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 357, Rn. 52.

<sup>69</sup> იქვე.

<sup>70</sup> იბ. Rüdiger, Telefonüberwachung, 2002, S. 11.

ინფორმაციის სწრაფი გადაცემა როგორც პოლიტიკურად, ასევე სამხედრო თვალსაზრისით განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენდა.<sup>71</sup>

კრიმინალისტიკური თვალსაზრისით, დანაშაულის გახსნისა თუ თავიდან აცილების მიზნით, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან დაიწყო ადამიანებს შორის არსებული კომუნიკაციიდან მათთვის რელევანტური ინფორმაციის მოპოვება.<sup>72</sup> გამოძიების ორგანოებმა თანდათან დაიწყეს ინფორმაციის მოპოვებელი და შემნახველი სხვადასხვა სახის მოწყობილობებისა თუ სისტემების გამოყენება, რომლებმაც ტექნიკის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა.<sup>73</sup> გასათვალისწინებელია, რომ დამნაშავე, როგორც წესი, უკეთესად ფლობს ინფორმაციის მიღება-გადაცემის შესაძლებლობებს.<sup>74</sup> ასე რომ, სატელეკომუნიკაციო და კომპიუტერულმა ტექნიკამ როგორც გამომძიებლებისთვის, ასევე დამნაშავისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა.

ადამიანის ბგერის ელექტრომოწყობილობის საშუალებით გადაცემის იდეა მომდინარეობს ფრანგი შარლ ბორსელისგან (*Charles Boursel*), რომელმაც 1854 წელს გამოქვეყნებულ თავის სტატიაში „*telephonie électrique*“ კომუნიკაციის აღნიშნული შესაძლებლობა განიხილა.<sup>75</sup> თუმცა, ტელეფონის ფაქტობრივ დაბადების თარიღად ითვლება 1876 წელი, რადგან ამ წელს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აქტუალური კონკრეტური გრძიშა გრძიშა და შოტლანდიულმა მეცნიერმა ალექსანდრე გრეჩერ ბეჭდა ტელეფონის დაპატენტებაზე გააკეთეს განცხადება.<sup>76</sup>

## 2.2. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის საჭიროების საკითხი სისხლის საპროცესო სამართალში

ტელეგრაფისა და ტელეფონის შექმნიდან მალევე განხორციელდა სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების კანონით დაცვა; ის, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება, გარანტირებულ იქნა ვაიმარის 1919 წლის კონსტიტუციის 117-ე მუხლში.<sup>77</sup>

ადსანიშნავია, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიურადება და ჩაწერა პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირე ძალების მიერ.<sup>78</sup> სუვერენული გერმანიის რესპუბლიკის შექმნის შემდეგაც აქტიურად მიმართავდნენ ამ ღონისძიებას ე.წ. დასავლეთის სახელმწიფოები.<sup>79</sup>

<sup>71</sup> იქვე.

<sup>72</sup> იქვე.

<sup>73</sup> იქვე.

<sup>74</sup> იქვე.

<sup>75</sup> Postler, Die historische Entwicklung des Post- und Fernmeldewesens in Deutschland, 1991, S. 56.

<sup>76</sup> ი. რედიგერ, Telefonüberwachung, 2002, S. 19.

<sup>77</sup> ი. Neuhaus, in: FS für Riess, 379.

<sup>78</sup> ი. Neuhaus, in: FS für Riess, 380; Lehmann, Die Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs, 1978, S. 38.

<sup>79</sup> ი. Neuhaus, in: FS für Riess, 380.

რამდენადაც არ არსებობდა საკანონმდებლო რეგულაცია,<sup>80</sup> 1968 წლამდე გერმანიის სახელმწიფო ორგანოებს უფლება არ ჰქონდათ, სატელეფონო საუბრების ფარული მიუურადება და ჩაწერა ეწარმოებინათ, მაშინაც კი, როცა აღნიშნული საჭირო იყო დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით.<sup>81</sup> არსებობდა მხოლოდ კანონი ე.წ. დისტანციური კომუნიკაციის შესახებ, რომლის მე-12 პარაგრაფის საფუძველზე მოსამართლესა და, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, პროკურატურას უფლება ჰქონდათ, უკვე შემდგარი კომუნიკაციის შესახებ ინფორმაცია გამოეთხოვათ ფოსტიდან.<sup>82</sup>

1968 წლის 13 აგვისტოს მიმოწერის, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შეზღუდვის შესახებ კანონის საფუძველზე (ე.წ. კანონი ფარული მიუურადების შესახებ – G10)<sup>83</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გაჩნდა საკანონმდებლო რეგულაცია სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის შესახებ (სსსკ-ის 100a და 100b პარაგრაფები).<sup>84</sup>

საგულისხმოა, რომ ე.წ. G10 კანონი უმთავრესად არეგულირებდა ფარულ სატელეფონო მიუურადებას მხოლოდ დაზვერვის მიზნით, რისი უფლებამოსილებაც ჰქონდა კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურებს; იმავდროულად, ცვლილება შევიდა ძირითადი კანონის მე-10 მუხლში.<sup>85</sup> ამ მოცემულობიდან და სისხლის სამართლის არსებული პოლიტიკიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისათვის უფლებამოსილების შესაბამისი გაფართოების აუცილებლობა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, გამოძიების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.<sup>86</sup>

გამოძიების ორგანოებისთვის უფლებამოსილების გაფართოების საკითხზე მომზადებულმა კანონპროექტმა დიდი პოლიტიკური დაპირისპირება და დისკუსია გამოიწვია; განსაკუთრებული კრიტიკა დაიმსახურა დაზვერვის სამსახურების მიერ ძირითად უფლებებში ჩარევის უფლებამოსილების მინიჭების საკითხმა.<sup>87</sup> საინტერესოა, რომ საკანონმდებლო განხილვისას საპროცესო სამართლებრივი წესით ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადებისა და კონტროლის შესახებ საკითხმა ნაკლები ვნებათაღელვა გამოიწვია.<sup>88</sup>

მთავრობის მიერ მომზადებულ ე.წ. G10 კანონის კანონპროექტის დასაბუთებაში მითითებული იყო, რომ უკვე დიდი ხანია უკმაყოფილებას იწვევს ის გარემოება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაშიც კი არ აქვთ უფლება,

<sup>80</sup> Ob. Zöller, ZStW 2012, 415.

<sup>81</sup> Ob. Rüdiger, Telefonüberwachung, 2002, S. 42-43.

<sup>82</sup> Ob.: Rüdiger, Telefonüberwachung, 2002, S. 42-43; Neuhaus, in: FS für Riess, 380.

<sup>83</sup> Ob.: BGB I, 949; Lehmann, Die Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs, 1978, S. 44 ff.

<sup>84</sup> Ob.: Rüdiger, Telefonüberwachung, 2002, S. 43; Rudolphi in: FS für Schaffstein, 433; Kühne Strafprozessrecht, 2010, §30, Rn. 521; Neuhaus, in: FS für Riess, 380; Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 7; Krüpe-Gescher, Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 7ff.

<sup>85</sup> Rüdiger, Telefonüberwachung, 2002, გვ. 43.

<sup>86</sup> იქვე.

<sup>87</sup> იქვე.

<sup>88</sup> იქვე.

მიმართონ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებას და ჩაწერას.<sup>89</sup> აღნიშნულ დასაბუთებაში გვითხულობთ, რომ პრაქტიკაში არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებმა გამოიყენონ ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესაძლებლობა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ეჭვი ე.წ. ზოგადი ხასიათის დანაშაულისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროდან განსაზღვრული მძიმე დანაშაულების ჩადენის შესახებ.<sup>90</sup> იმავე დასაბუთებაში, ამ პოზიციის განმტკიცების მიზნით, აღნიშნულია, რომ გამოძიებისთვის ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და კონტროლის უფლებამოსილების მინიჭების აუცილებლობას ცხადყოფს, უპირველეს ყოვლისა, ბოლო პერიოდში განხორციელებული არასრულწლოვანთა გატაცების შანტაჟის შემთხვევები.<sup>91</sup> ამიტომაც, საზოგადოებისთვის რთული გასაგებია, თუ რატომ არ უნდა ჰქონდეს გამოძიების ორგანოებს ამ და სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევებში დაცვის ისეთი შესაბამისი და ქმედითი საშუალებები, როგორიცაა ფარული მიყურადების ღონისძიებები.<sup>92</sup> ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის საპასუხოდ კი გაუდერდა ფრაზა, რომ „პირი, რომელიც ეჭვის ქვეშ დგას, რომ მან ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რითაც მნიშვნელოვნად ხელყო სხვისი სამართლებრივი სიკეთეები, უნდა ითვალისწინებდეს, რომ მისი ძირითადი უფლებებიც შეიძლება შეიზღუდოს“.<sup>93</sup>

*რუდიგერის* მიხედვით, ბოლო წლებში პოლიტიკურად მოტივირებული ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის ზრდამ შეცვალა საზოგადოებრივი და სახელმწიფო მიღება, რამაც განაპირობა სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭება და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის მისი აბსოლუტური ხასიათის დაკარგვა.<sup>94</sup> სამართლებრივ ლიტერატურაში აღნიშნული შეფასდა, როგორც ლიბერალური სახელმწიფოდან სოციალურ და უსაფრთხოების დაცვაზე ორიენტირებულ სახელმწიფოდ გარდაქმნის პროცესი.<sup>95</sup> სისხლის სამართლის ამ პოლიტიკას ლიტერატურაში ეწოდა სისხლის სამართლის პროცესის „საპოლიციო სამართლად ქცევა“<sup>96</sup>.

ე.წ. G10 კანონის კანონპროექტის დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ თუკი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევებში ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ღონისძიებები დანაშაულის გახსნის უალტერნატივო მეთოდი შეიძლება იყოს, გამოძიების ორგანოებმა არ უნდა ეძებონ ზეპანონური სამართლებრივი არგუმენტები

<sup>89</sup> ი. ი. BT-Drucksache V/1880 v. 13. Juni 1967, S. 7.

<sup>90</sup> იქვე.

<sup>91</sup> ი. ი. BT-Drucksache V/1880 v. 13. Juni 1967, S. 7; Neuhaus, in: FS für Riess, 380; Lehmann, Die Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs, 1978, S. 47-48.

<sup>92</sup> ი. ი. BT-Drucksache V/1880 v. 13. Juni 1967, S. 7.

<sup>93</sup> იქვე.

<sup>94</sup> ი. ი. Rüdiger, Telefonüberwachung, 2002, S. 56; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო რაუმას კალება, რომელიც შეეხება სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ კონტროლსა და რეპრესიას: Raschka, Zwischen Überwachung und Repression, 2001.

<sup>95</sup> ი. ი. Zöller, ZStW 2012, 416; Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, vor § 94, Rn. 77; Paeffgen, GA 2003, 647ff; შეად. Wegermann, Kriminalist 2004, 93-100.

<sup>96</sup> ი. ი. Zöller, ZStW 2012, 416; Schaefer, StraFo 2001, 118 ff.

(მაგ., სამართლებრივ სიკეთეთა აწონ-დაწონის პრინციპი).<sup>97</sup> ფარული მიყურადებისა და კონტროლის ეს ღონისძიებები სისხლის სამართლის პროცესში გარკვეული შეზღუდვებით უნდა იყოს მოცემული, როგორც საგამოძიებო ღონისძიებების სახეები.<sup>98</sup>

დასკვნის სახით, 1968 წლამდე და ე.წ. G10 კანონის მიღების შემდეგაც არსებობდა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საპროცესო სამართლებრივი რეგულაციის მოწინააღმდეგებები და მომხრე პოზიციები.<sup>99</sup> მომხრეთა შეხედულებით, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საპროცესო სამართლებრივი რეგულირება, სისხლის სამართლის პოლიტიკის პოზიციიდან გამომდინარე, მეტად საჭირო და აუცილებელია; მოწინააღმდეგებო მიხედვით კი, დროის გარკვეულ პერიოდში სატელეფონო ხაზზე როგორც შემავალი, ასევე გამავალი ზარის ფარული მიყურადება და ჩაწერა მეტად საკამათო და, ამასთან, კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებების დამრღვევი ღონისძიებაა, რადგან არსებობს რისკი, რომ მოსმენილ საუბრებს შორის გარდაუფლად აღმოჩნდება ისეთი სატელეფონო საუბრები, რომლებიც არ უკავშირდება სისხლის სამართლის საქმის გარემოებებს.<sup>100</sup> ამდენად, ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ე.წ. G10 კანონის ძალაში შესვლით, ფაქტობრივად, უაერი ეთქვა საფოსტო და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვაზს.<sup>101</sup> ავტორთა ნაწილმა ეჭვის ქვეშ დააყენა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის საპროცესო სამართლებრივი რეგულირების საჭიროება.<sup>102</sup>

### 3. ფარული სატელეკომუნიკაციო მიყურადება უსაფრთხოების სამსახურების მიერ

სახელმწიფომ უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული ამოცანა, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს იმას, რომ ის ვალდებულია, დაიცვას თითოეული მოქალაქე მის ძირითად უფლებებში არათანაზომიერი ჩარევისგან; მეორე მხრივ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებაში მშვიდობა და წესრიგი.<sup>103</sup> ამ ამოცანათა განხორციელებისთვის კი სახელმწიფოს საქმაოდ მოცულობითი უფლებამოსილება აქვს, რომ კანონის საფუძველზე შეზღუდოს ადამიანის ძირითადი უფლებები. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებაც მათ შორისაა; ამ ღონისძიების განხორციელება მხოლოდ მაშინაა რაციონალური და ეფექტური, როდესაც ადრესატმა მისი ჩატარების შესახებ არ იცის.<sup>104</sup>

აუცილებელია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება კანონით იყოს ზედმიწევნით დარეგულირებული. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არსებული რეგულაციისგან განსხვავდება უსაფრთხოების სამსახურის მიერ სატელეფონო საუბრის ფარული

<sup>97</sup> Ob. BT-Drucksache V/1880 v. 13. Juni 1967, S. 7.

<sup>98</sup> იქვე.

<sup>99</sup> Ob. Schmitt, Die Berücksichtigung der Zeugnisverweigerungsrechte, 1993, გვ. 43-44.

<sup>100</sup> იქვე.

<sup>101</sup> იქვე.

<sup>102</sup> Ob. Kaiser, ციტირებული: Rüdiger, Telefonüberwachung, 2002, გვ. 44.

<sup>103</sup> Ob. Neuhaus, in: FS für Riess, 381.

<sup>104</sup> იქვე.

მიყურადებისა და კონტროლის განხორციელების შესახებ საკანონმდებლო რეგულაცია. აღნიშნული უმთავრესად მოცემულია ე.წ. მოსმენის შესახებ კანონის – G10 პირველ პარაგრაფში.<sup>105</sup>

უსაფრთხოების სამსახურში იგულისხმება გერმანიის უსაფრთხოების ფედერალური სამსახური, კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახური და სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახური.<sup>106</sup>

საინტერესოა ამ ფედერალურ ორგანოთა უფლებამოსილებების მოკლე მომიხილვა.

### 3.1. უსაფრთხოების ფედერალური სამსახური

გერმანიის უსაფრთხოების ფედერალური სამსახური გერმანიის რესპუბლიკის უძველესი სამსახურია.<sup>107</sup> ის არის ზემდგომი ფედერალური ორგანო ფედერალური კრიმინალური სამსახურის საქმიანობის სფეროში.<sup>108</sup> მოსმენის შესახებ კანონის – ე.წ. G10 პირველი პარაგრაფის პირველი აბზაციის მეორე წინადადების შესაბამისად, გერმანიის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ამოცანაა, აწარმოოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის განხორციელებისას ინფორმაციის გადაცემის ყველა ფორმის მიყურადება და კონტროლი და, შესაბამისად, მოახდინოს მისი ჩაწერა. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურს აკისრია საგარეო დაზვერვის ფუნქცია.<sup>109</sup>

ადსანიშნავია, რომ უსაფრთხოების ფედერალური სამსახურისა და სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურის საქმიანობა მხოლოდ 1990 წელს დარიგეულიოდა კანონით, ხოლო კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის საქმიანობის შესახებ კანონი ჯერ კიდევ 1950 წელს მიიღეს. ეს კანონი ეხებოდა ფედერალური ცენტრალური მთავრობისა და ცალკეულ ფედერალურ მიწებს შორის თანამშრობლობას კონსტიტუციის დაცვასთან მიმართებით.<sup>110</sup> მოგვიანებით კი, 1990 წლის 20 დეკემბერს, მიღებულ იქნა კანონი უშუალოდ კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის შესახებ.<sup>111</sup>

### 3.2. კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახური

კონსტიტუციის დაცვის დეფინიციას იძლევა ძირითადი კანონის 73-ე მუხლის პირველი აბზაციის მე-10b პუნქტი, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ფედერალურ მთავრობას აქვს მინიჭებული საკანონმდებლო უფლებამოსილება ცენტრალურ მთავრობასა და ცალკეულ ფედერალურ მიწებს შორის თანამშრომლობის საკითხებზე. აღნიშნული კი

<sup>105</sup> ob. Benfer, Eingriffsrechte, 1997, S. 221.

<sup>106</sup> იქვე.

<sup>107</sup> ob. Gusy, Jura 1986, 296.

<sup>108</sup> ob. Sandkuhl, in: FS für Hamm, 622.

<sup>109</sup> ob. Sandkuhl, in: FS für Hamm, 622; შეად. Schäfer, Präventive Telekomunikationsüberwachung, 2007, S. 14.

<sup>110</sup> ob. Sandkuhl, in: FS für Hamm, 619.

<sup>111</sup> ob. BGB1. I S. 2.

განპირობებულია „თავისუფალი დემოკრატიული წყობის, ცენტრალური მთავრობის, მიწების არსებობისა და უსაფრთხოების მიზნით”.<sup>112</sup>

კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახური ექვემდებარება გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროს.<sup>113</sup> აღნიშნული სამსახურის უმთავრესი ამოცანაა პოლიტიკურად მოტივირებული არაკონსტიტუციური ქმედებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შეფასება.<sup>114</sup> ამ ამოცანას კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახური ახორციელებს ორგორც ე.წ. „ლია“, ასევე „ფარული“ დონისძიებებით, რომელთა წარმოებისთვის მოსამართლის თანხმობა არაა საჭირო.<sup>115</sup>

კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის, ისევე, ორგორც უსაფრთხოების ფედერალური სამსახურისა და სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურის საქმიანობას აკონტროლებს საპარლამენტო კონტროლის კომიტეტი (უსაფრთხოების სამსახურის ფედერალური საქმიანობის საპარლამენტო კონტროლის შესახებ კანონის პირველი და შემდგომი პარაგრაფები; ბრანდენბურგის ფედერალური მიწის კონსტიტუციის დაცვის სამსახურის შესახებ კანონის 23-ე და შემდგომი პარაგრაფები).<sup>116</sup>

კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის შესახებ კანონის მე-8 პარაგრაფის პირველი აბზაცის მიხედვით, კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის უფლებამოსილებებს მიეკუთვნება პირადი მონაცემების დამუშავება.<sup>117</sup>

მიმოწერის, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შეზღუდვის შესახებ ე.წ. G10 კანონის მე-3 პარაგრაფის წინაპირობათა გათვალისწინებით, კონსტიტუციის დაცვის ორგორც ფედერალური, ისე მიწის ორგანოები ამავე კანონის პირველი პარაგრაფის თანახმად, უფლებამოსილნი არიან, აწარმოონ ფარული სატელეკომუნიკაციო მიყურადება და კონტროლი, შესაბამისად, მოახდინონ მონაცემთა ჩაწერა, ასევე, გახსნან და გაეცნონ წერილის და საფოსტო საიდუმლოებას დაქვემდებარებული გზავნილის შინაარსს, თუკი ეს განხორციელდება თავისუფალი დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.<sup>118</sup>

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის მიერ ფარული სატელეკომუნიკაციო მიყურადებისა და კონტროლის დონისძიებათა განხორციელებისთვის კანონი ითვალისწინებს არა მოსამართლის ბრძანებას, არამედ შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებას.<sup>119</sup>

კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის საქმიანობა უმთავრესად მოიცავს დანაშაულის ჩადენის წინარე ეტაპს; შესაბამისად, ის არის პრევენციული ხასიათის.<sup>120</sup> მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ

<sup>112</sup> ი. მ. Sandkuhl, in: FS für Hamm, 619-620; Knemeyer, Polizei- und Ordnungsrecht, 2002, § 4, Rn. 43.

<sup>113</sup> ი. მ. Knemeyer, Polizei- und Ordnungsrecht, 2002, § 4, Rn. 43.

<sup>114</sup> ი. მ. Förster, ZRP 2012, 123.

<sup>115</sup> იქვე.

<sup>116</sup> იქვე.

<sup>117</sup> შეად. Knemeyer, Polizei- und Ordnungsrecht, 2002, § 4, Rn. 44.

<sup>118</sup> ი. მ. Sandkuhl, in: FS für Hamm, 622.

<sup>119</sup> ი. მ. Förster, ZRP 2012, 123.

<sup>120</sup> იქვე.

კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურისთვის ცნობილი ინფორმაცია აუცილებელია მძიმე დანაშაულის თავიდან აცილების ანდა, უფრო მეტიც, სისხლისსამართლებრივი დევნისთვის, მაშინ აღნიშნული მონაცემები უნდა გადაეცეს პროკურატურას.<sup>121</sup> სისხლისსამართლებრივი დევნისა და პრევენციის ეს დაკავშირება კონსტიტუციის დაცვის სამსახურის როგორც ფედერალურ, ისე მიწების კანონებში არის დარეგულირებული (კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის შესახებ კანონის მე-18 და შემდგომი პარაგრაფები, 23-ე პარაგრაფი; ბრანდენბურგის ფედერალური მიწის კონსტიტუციის დაცვის სამსახურის შესახებ კანონის მე-14, მე-16 და მე-19 პარაგრაფები).<sup>122</sup>

### 3.3. სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახური

სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურის ამოცანა თავისუფალი დემოკრატიული წყობის, ცენტრალური მთავრობის, მიწების არსებობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მისწრაფებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი,<sup>123</sup> ასევე, ჯაშუშური საქმიანობა.<sup>124</sup> აღნიშნული ამოცანის განხორციელების მიზნით, სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახური, კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის შესახებ კანონის მე-8 პარაგრაფის მე-2, მე-4 და მე-5 აბზაცების შესაბამისად, უფლებამოსილია, დაამუშაოს მონაცემები; ასევე, განსაკუთრებული წესით გამოითხოვოს ინფორმაცია (კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის შესახებ კანონის მე-8ა პარაგრაფი).<sup>125</sup>

აღნიშნული სამსახური კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურისგან რომ გავმიჯნოთ, უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურს მაშინ ეძლევა საქმიანობის უფლებამოსილება, როდესაც საკითხი ეხება თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის სფეროს.<sup>126</sup>

ზემოთ დასახელებული ინფორმაციის მოპოვების სტრატეგიული ფორმები, ისევე, როგორც პოლიციის მიერ წარმოებული სატელეკომუნიკაციო მიყურადება და ჩაწერა, მკაცრად ემიჯნება სსსკ-ის 100a, მე-100e პარაგრაფებში მოცემულ რეგულაციას ტელეკომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და კონტროლთან დაკავშირებით. მიმოწერის, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შეზღუდვის შესახებ ე.წ. G10 კანონის ნორმებს აქვთ წმინდა პრევენციული ხასიათი; ამ დონისძიებათა მიზანი არ არის სასამართლოს წინაშე წარსადგენ მტკიცებულებათა მოპოვება.<sup>127</sup>

<sup>121</sup> იქვე.

<sup>122</sup> იქვე.

<sup>123</sup> ob. Sandkuhl, in: FS für Hamm, 623.

<sup>124</sup> ob. Schäfer, Präventive Telekomunikationsüberwachung, 2007, S. 15.

<sup>125</sup> ob. Sandkuhl, in: FS für Hamm, 623.

<sup>126</sup> ob. Schäfer, Präventive Telekomunikationsüberwachung, 2007, S. 15.

<sup>127</sup> შეად. Sandkuhl, in: FS für Hamm, 625ff.

### 3.4. შუალედური დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის საპროცესო სამართლებრივი დონისძიებები ამოქმედდება მაშინ, როდესაც იკვეთება პირის დასჯადობის საკითხი, კერძოდ, როდესაც დამნაშავე იწყებს მისი ქმედების განხორციელებას, რომელიც თავის მხრივ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.<sup>128</sup> ამ თვალსაზრისით, სისხლის საპროცესო სამართლებრივი ფარული საგამოძიებო დონისძიებები მკვეთრად განსახვავდება უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული დონისძიებებისგან. ეს უკანასკნელი კონკრეტული დელიქტების უკვე დაგეგმვის ეტაპზე იძლევა იმის საშუალებას, რომ უზრუნველყოს სახელმწიფოს დაცვის პრევენციული ფუნქცია და საფუძველშივე აღკვეთოს თავისუფალი დემოკრატიული წეობის წინააღმდეგ არსებული საფრთხე.<sup>129</sup>

#### 4. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საპოლიციო სამართლებრივი რეგულირება

სისხლის საპროცესო სამართლებრივი და კონტრდაზვერვითი მიზნებით განხორციელებული ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების გარდა, გერმანული კანონმდებლობა იცნობს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საპოლიციო სამართლებრივ რეგულირებას.

მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ კანონით განსაზღვრულიყო ტელეკომუნიკაციის პრევენციული საპოლიციო სამართლებრივი ფარული მიყურადება, დიდი ხანია არსებობდა გერმანიაში.<sup>130</sup> საპოლიციო საქმიანობის პრაქტიკაში ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და თავისუფლების წინააღმდეგ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით სატელეფონო საუბრის პრევენციული ფარული მიყურადების არარსებობა სახელდებოდა მნიშვნელოვან ხარვეზად;<sup>131</sup> განსაკუთრებით, როცა საქმე ეხებოდა ორგანიზებული დანაშაულისა თუ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.<sup>132</sup> თუმცა, აღსანიშნავია, რომ პოლიცია გარკვეულ შემთხვევებში მაინც მოიპოვებდა სატელეკომუნიკაციო მონაცემებს პროვაიდერი კომპანიებისგან აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის გარემოებათა დასაბუთების საფუძველზე (სსკ-ის 32 და 34 პარაგრაფები).<sup>133</sup>

დღის წესრიგში დადგა ამ საკითხის საკანონმდებლო დონეზე რეგულირების საჭიროება.<sup>134</sup> მოგვიანებით უკვე რამდენიმე ფედერალური მიწის პოლიციის შესახებ კანონში გაჩნდა ნორმები ტელეკომუნიკაციის პრევენციული მიზნით ფარული მიყურადების შესახებ. ფართო უფლებამოსილებები მიენიჭა პოლიციას პრევენციული ფარული

<sup>128</sup> იხ. Welp, Strafprozessuale Überwachung, 1974, S. 54.

<sup>129</sup> იქვე.

<sup>130</sup> იხ. Schäfer, Präventive Telekomunikationsüberwachung, 2007, S. 1.

<sup>131</sup> იქვე.

<sup>132</sup> იქვე, 228.

<sup>133</sup> იქვე, 2.

<sup>134</sup> იქვე.

სატელეკომუნიკაციო მიყურადებისა და ჩაწერის თვალსაზრისით მაგ., თიურინგენში, ქვემო საქსონიაში, პესენსა და ბავარიაში.<sup>135</sup>

პრობლემურია საკითხი, რომელიც ეხება ამ შემთხვევაში ფედერალური მიწების საკანონმდებლო კომპეტენციას. შეუძლია თუ არა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საპოლიციო სამართლებრივი რეგულირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ფედერალური მიწის მმართველობამ ინდივიდუალური შეხედულების მიხედვით? ძირითადი კანონის 73-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ფოსტისა და ტელეკომუნიკაციის შესახებ საკანონმდებლო უფლებამოსილება მხოლოდ ფედერაციის კომპეტენციაა. თუმცა, აღნიშნული შეხება უფრო მეტად ინფორმაციის გადაცემის პროცესის ტექნიკურ მხარეს.<sup>136</sup> საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ფარული სატელეკომუნიკაციო მიყურადება და ჩაწერა კი არსებითად ეხება ქვეყნის უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს და არა ტექნიკის სფეროს.<sup>137</sup>

ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საფრთხის თავიდან აცილების, დანაშაულის პრევენციის მიზნით მიწის საკანონმდებლო ორგანოს შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, ჩაერიოს სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებაში,<sup>138</sup> რადგან კანონმდებელმა ფედერაციის დონეზე სსსკ-ის 100a და შემდგომი პარაგრაფებით სრულად არ გამოიყენა მისთვის მინიჭებული საკანონმდებლო კომპეტენცია.<sup>139</sup>

ფარული მიყურადებისა და კონტროლის საპროცესო სამართლებრივი რეგულირება კი მხოლოდ ფედერაციის უფლებამოსილებას წარმოადგენს.<sup>140</sup>

ადსანიშნავია, რომ პრევენციული ანუ საპოლიციო სამართლებრივი მიზნით ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის კონსტიტუციასთან შესაბამისობა საკამაოა.<sup>141</sup> როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, ფედერალური მიწის არც ერთი კანონი სრულყოფილად არ პასუხობს ძირითადი კანონის მოთხოვნებსა და საკონსტიტუციო სამართლწარმოების პრინციპებს.<sup>142</sup>

ამასთან დაკავშირებით, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2005 წელს არაკონსტიტუციურად და, შესაბამისად, ბათილად ცნო ქვემო საქსონიის კანონის საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის შესახებ მთელი რიგი ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ ტელეკომუნიკაციის ფარულ მიყურადებას პოლიციის მიერ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.<sup>143</sup> ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, ფედერალურმა კანონმდებელმა შეგნებულად თქვა უარი პრევენციულ ფარულ

<sup>135</sup> §§ 33a ff. NdsSOG (im Jahre 2007); Art. 34a ThürPAG (im Jahre 2002); § 15a HSOG(im Jahre 2005); Art. 42 BayerischePAG (im Jahre 2005).

<sup>136</sup> ob. BVerfGE 12, 205 (226 f.).

<sup>137</sup> BVerfG, Urteil vom 27.7.2005 – 1 BvR 668/04, Absatz 93, [http://www.bverfg.de/entscheidungen/rs20050727\\_1bvr066804.html](http://www.bverfg.de/entscheidungen/rs20050727_1bvr066804.html).

<sup>138</sup> ob. Würtenberger, Polizeirecht in Baden-Württemberg, 2005, S. 297-298.

<sup>139</sup> ob. Schäfer, Präventive Telekomunikationsüberwachung, 2007, S. 229.

<sup>140</sup> ob. BVerfG, Urteil vom 27.7.2005 – 1 BvR 668/04, Absatz 97.

<sup>141</sup> ob. Würtenberger, Polizeirecht in Baden-Württemberg, 2005, S. 297.

<sup>142</sup> ob. Schäfer, Präventive Telekomunikationsüberwachung, 2007, S. 228.

<sup>143</sup> ob. BVerfG, Urteil vom 27.7.2005 – 1 BvR 668/04.

სატელეკომუნიკაციო მიყურადებაზე (როდესაც ჯერ არ იკვეთება კონკრეტული საფრთხე და არსებობს მხოლოდ ზოგადი საფრთხე) <sup>144</sup> და განსაზღვრა აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება სსსკ-ში მხოლოდ რეპრესიული მიზნით.<sup>145</sup> სასამართლო მიუთითებს, რომ ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ადრეული გამოყენება ფედერალურმა კანონმდებელმა გაითვალისწინა, როდესაც დაუშვა ამ ღონისძიებათა ჩატარება განსაზღვრული წინაპირობებით დანაშაულის მომზადების ეტაპზე (სსსკ-ის 100a პარაგრაფი).<sup>146</sup> უფრო ადრეულ ეტაპზე ადამიანის ძირითად უფლებებში ასეთი ფარული მიყურადების ღონისძიებით ჩარევა, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, განსაკუთრებული რისკის შემცველია, რადგანაც პროგნოზი შესაძლოა არ გამართლდეს და არსებული საფრთხე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფად არ გადაიქცევა.<sup>147</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში კლასი გერმანიის წინააღმდეგ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ჯაშუშობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სახელით არ უნდა განახორციელოს ყველა ღონისძიება, რომლებიც მისთვის ვარგისად მიაჩნია.<sup>148</sup> ფარული მიყურადების სისტემა, ევროპული სასამართლოს მიხედვით, უნდა შეიცვალეს შესაბამის და ქმედით გარანტიებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.<sup>149</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში კოპი შვეიცარიის წინააღმდეგ განსაზღვრა, რომ ეროვნული სამართლი უნდა იყოს საკმარისად ნათელი თავის ფორმულირებაში, რათა მოქალაქეს შესაბამისი მითითება მისცეს მსგავსი ფარული ღონისძიების განხორციელების გარემოებებისა და წინაპირობების შესახებ.<sup>150</sup>

პრევენციის მიზნით ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადება, რა თქმა უნდა, მეტად სასურველი ინსტრუმენტია პოლიციის ხელში, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრებები იმ რისკების შესახებ, რომლებიც აღნიშნულის განხორციელებას შეიძლება თან ახლდეს. პირველ რიგში კი, ესაა პრევენციული მიზნით ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ჩატარების სამართლებრივი წინაპირობების სიმარტივე<sup>151</sup> (მაგ., დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვის დაბალი ხარისხი) და ამ ღონისძიების მეტად ფართო მასშტაბი,<sup>152</sup> მისი ადრესატების განუსაზღვრელობა. აქედან გამომდინარე, დღემდე საკამათოდ რჩება და საკმაოდ საფრთხილოა ამ ღონისძიების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება პოლიციისთვის.

<sup>144</sup> იბ.: Knemeyer, Polizei- und Ordnungsrecht, 2002, Rn.75.

<sup>145</sup> იბ.: BVerfG, Urteil vom 27.7.2005 – 1 BvR 668/04, Abs. 109-110.

<sup>146</sup> იქვე, Abs. 110-111.

<sup>147</sup> იქვე, Abs. 123, 124.

<sup>148</sup> იბ.: EGMR EuGRZ 1979, 278 (285); Schäfer, Präventive Telekomunikationsüberwachung, 2007, S. 142.

<sup>149</sup> იბ.: EGMR EuGRZ 1979, 278 (285); Schäfer, Präventive Telekomunikationsüberwachung, 2007, S. 142.

<sup>150</sup> იბ.: Schäfer, Präventive Telekomunikationsüberwachung, 2007, S. 143.

<sup>151</sup> იბ.: BVerfG, Urteil vom 27.7.2005 – 1 BvR 668/04, Abs. 111.

<sup>152</sup> იბ.: Krüpe-Gescher, Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 48.

## 5. სატელეფონო კომუნიკაციის საკონსტიტუციო სამართლებრივი დაცვა

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების გამოყენებას საპროცესო სამართლებრივი (რეპრესიული) მიზნებისთვის თავისი საკონსტიტუციო სამართლებრივი საფუძველი და წინაპირობები აქვს. ამიტომ საპროცესო სამართლებრივი რეგულირების განხილვამდე აუცილებელია ამ ღონისძიების საკონსტიტუციო სამართლებრივ ჭრილ ში განხილვა და იმის გარკვევა, თუ რომელ კონკრეტულ ძირითად უფლებებს ზღუდავს სსსკით განსაზღვრული სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა.

გერმანიის ძირითადი კანონი ადამიანის დირსებასა და თავისუფლებას თავის უმთავრეს მიზნად აცხადებს.<sup>153</sup> ძირითადი კანონის პირველი მუხლის თანახმად, ადამიანის დირსება ხელშეუხებელია. შესაბამისად, მისი დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა დაასაბუთოს მისი მხრიდან ადამიანის კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლებების ყოველგვარი შეზღუდვა.<sup>154</sup>

უსაფრთხოება არის ის ძირითადი საფუძველი, რის გამოც შეიქმნა თანამედროვე სახელმწიფო; ლეგიტიმაციის ყველა საფუძვლის თავში დგას უსაფრთხოება.<sup>155</sup> ამასთან, წარმოუდგენელია სამართლებრივ სახელმწიფოში უსაფრთხოების არსებობა თავისუფლებასთან კავშირის გარეშე, რადგან უსაფრთხოება თავისუფლების გარეშე იქნებოდა გაუსაძლისი.<sup>156</sup> „ის არის არა სახელმწიფო ძალაუფლება, არამედ სამართლიანობა; არა შიში, არამედ მისი მოქალაქეების მხრიდან აღიარება, თანხმობა სამართლებრივი და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ, რაც საბოლოოდ ქმნის სამართლებრივ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეები ასეთ სახელმწიფოსთან აიგივებენ თავს, იცავენ მას და იღებენ მის წინაშე პასუხისმგებლობას“.<sup>157</sup>

ამასთან, ადსანიშნავია, რომ უსაფრთხოების სტანდარტის ამაღლება ხდება ძირითადი უფლებების ხარჯზე.<sup>158</sup> ამ საფასურს კი იხდის მოქალაქე, როცა ის სახელმწიფოს მხრიდან ძირითად უფლებებში ჩარევის ღონისძიების ადრესაგრი ხდება.<sup>159</sup> აღნიშნული მოქალაქე არის დაცული და, ამავდროულად, კონტროლირებული სახელმწიფოს მხრიდან.<sup>160</sup> აქ საქმე ეხება თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაპირისპირებას.<sup>161</sup> შეუძლებელია, ერთდროულად არსებობდეს მაქსიმალური თავისუფლება და მაქსიმალური უსაფრთხოება.<sup>162</sup>

<sup>153</sup> იბ.: BVErfGE 12, 45(51) = NJW 1961, 355.

<sup>154</sup> იბ.: Schmitt, Verfassungslehre, 1928, S. 164; შეად. Amelung, NJW 1979, 1687 ff.

<sup>155</sup> იბ.: Isensee, Grundrecht auf Sicherheit, 1983, S. 13.

<sup>156</sup> იბ.: Hirsch, ZRP 2008, 24.

<sup>157</sup> იქვე.

<sup>158</sup> იბ.: Pitschas, ZRP 1993, 175; Kniesel, ZRP 1996, 487.

<sup>159</sup> იბ.: Pitschas, ZRP 1993, 175; აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა შაარის კვლევა, რომელიც ეხება უსაფრთხოებაზე ორიენტირებული სახელმწიფო ინტერესებისა და ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების ურთიერთმიმართებას: Schaar, Das Ende der Privatsphäre: Der Weg in die Überwachungsgesellschaft, 2007.

<sup>160</sup> იბ.: Pitschas, ZRP 1993, 175; Kniesel, ZRP 1996, 487.

<sup>161</sup> იბ.: Pitschas, ZRP 1993, 175.

<sup>162</sup> იქვე.

სახელმწიფო, რომელსაც სურს, დაამკვიდროს აბსოლუტური უსაფრთხოების უტოპია, წარმოადგენს პოლიციურ სახელმწიფოს, რომელშიც არ არსებობს ადამიანის თავისუფლება, რამდენადაც აბსოლუტური უსაფრთხოების მიღწევა დედამიწაზე შეუძლებელია.<sup>163</sup> პლატონის თანახმად, სახელმწიფოში, რომელსაც ყველა უსამართლობის ადგენტი სურს, ვერ იარსებებს თავისუფლება.<sup>164</sup>

სახელმწიფოს უმთავრეს ამოცანაა სამართლებრივი სისტემის შექმნა და მისი მეშვეობით მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა.<sup>165</sup> სამართლებრივ სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ ის საშუალებები გამოიყენოს, რომლებიც მას კონსტიტუციით აქვს მინიჭებული.<sup>166</sup> აღნიშნული წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც სუსტ წერტილს, ასევე მისი ძლიერების გარანტიას.<sup>167</sup>

სისხლის საპროცესო სამართალში ადამიანის უფლებათა შემზღვდავი ღონისძიებების ფორმულირება ძირითადად ხორციელდება საკონსტიტუციო სამართლის ნორმათა გათვალისწინებით.<sup>168</sup> ამიტომაც სისხლის საპროცესო სამართალს ხშირად უწოდებენ „გამოყენებით საკონსტიტუციო სამართალს“<sup>169</sup> ან „სახელმწიფო კონსტიტუციის სეისმოგრაფს“<sup>170</sup>.

ფარული საგამოძიებო ღონისძიებების შემთხვევაში უფრო მაღალია კანონის მოთხოვნა ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით,<sup>171</sup> რამდენადაც აღნიშნული ღონისძიებები წარმოადგენს განსაკუთრებულ საფრთხეს პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროსთვის და ადრესატი კი ინფორმაციის არქონის გამო ვერ იყენებს თავისი უფლებების დაცვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას.<sup>172</sup>

კომუნიკაცია ადამიანის მოთხოვნილებად. პიროვნების განვითარება წარმოუდგენელია სხვა პიროვნებებთან კონტაქტისა და ინტელექტუალური ურთიერთობის შესაძლებლობის გარეშე.<sup>173</sup> ამიტომაც, ინდივიდუალური გზაგნილის ურთიერთგაცვლისას არ უნდა არსებობდეს მესამე პირის, განსაკუთრებით კი, სახელმწიფოს მხრიდან კომუნიკაციის შინაარსის გაცნობის შიში.<sup>174</sup>

ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას გერმანიის ძირითადი კანონის ერთი კონკრეტული მუხლი არ იცავს. აღნიშნული უფლების საკონსტიტუციო სამართლებრივი დაცვა ხორციელდება ძირითადი კანონის რამდენიმე ნორმის ერთობლიობით; მათგან

<sup>163</sup> ob. Denninger, Freiheit durch Sicherheit? 2002, 114.

<sup>164</sup> ob. Platon, der Staat, Rn. 376 ff.

<sup>165</sup> ob. Hirsch, ZRP 2008, 24.

<sup>166</sup> იქვე.

<sup>167</sup> იქვე.

<sup>168</sup> ob. Jahn, NStZ 2007, 255; შეად. Geis, CR 2004, 338 ff.

<sup>169</sup> ob. Kühne, Strafprozessrecht, 2010, S. 6.

<sup>170</sup> ob. Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009. § 2, Rn. 1 – 8.

<sup>171</sup> ob. Ameling, StV 2001, 131 ff.

<sup>172</sup> ob. Puschke/ Singelstein, NJW 2008, 113.

<sup>173</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 50.

<sup>174</sup> იქვე.

თითოეული მოიცავს კომუნიკაციის პონქრეტული ასპექტის დაცვის გარანტიას.<sup>175</sup>

ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი აბზაცი, რომლის პირველი წინადადება იცავს ადამიანის აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხოლო მეორე წინადადებით დაცულია პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება, გამოხატული რადიომაუწყებლობისა თუ ფილმის ფორმით. ეს მუხლი იცავს როგორც პიროვნების ინდივიდუალურ განვითარებას, ასევე საჯარო პოლიტიკის პროცესს.<sup>176</sup> სხვადასხვა სახის კომუნიკაციის თავისუფლება აფუძნებს სოციალურ, ყოველმხრივ დაცულ კომუნიკაციის პროცესს, როდესაც კომუნიკაციის მხარეებს შორის ინტერაქცია შეუზღუდავად, ყოველგვარი ჩარევის გარეშეა შესაძლებელი.<sup>177</sup>

ძირითადი კანონის მე-13 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, საცხოვრებელი ბინა ხელშეუხებელია.<sup>178</sup> აღნიშნული უფლების მიზანია, რომ დაცული იყოს კონკრეტული სივრცით განსაზღვრული პირადი ცხოვრება და ამით პიროვნების ელემენტარული ცხოვრების პირობები, მისი საზოგადოებისგან განმარტოვება უზრუნველყოფილი იყოს.<sup>179</sup> ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში საუბრობს პიროვნების „ცალკე ყოფნის, განმარტოების“ უფლებაზე.<sup>180</sup> აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის უფლება ემსახურება როგორც პიროვნების თავისუფალ განვითარებას, ბინაში ინტიმური კომუნიკაციის შესაძლებლობის თვალსაზრისით<sup>181</sup>, ასევე პოლიტიკურ შეხედულებათა წარმოშობას, რამდენადაც ბინა მიწეულია პოლიტიკურ მოსაზრებათა დასაბამად.<sup>182</sup> შესაბამისად, ძირითადი კანონის მე-13 მუხლის პირველი აბზაცით განსაზღვრული უფლების უზრუნველყოფა ხელს უწყობს ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი აბზაცით დაცულ ქცევას, აზრის თავისუფალ გამოხატვას.<sup>183</sup>

ძირითადი კანონის აღნიშნული მუხლების მოკლე მიმოხილვის შემდეგ უკვე კონკრეტულად უნდა მოხდეს ისეთი სამართლებრივი სიკეთის განხილვა, როგორიცაა პირადი ცხოვრების უფლება.

<sup>175</sup> იქვე.

<sup>176</sup> იქვე, 51.

<sup>177</sup> Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 51; შეად. Britz, DÖV 2008, 411 ff.

<sup>178</sup> შეად. Jahn, NStZ 2007, 262.

<sup>179</sup> იბ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation , 2010, S. 51; BVerfGE 42, 212, 219.

<sup>180</sup> იბ. BVerfG (1 BvR 2378/98), Urt. v. 3. März 2004, Abs. 104; შეად.: BVerfGE 32, 54, 75; 42, 212, 219; 51, 97, 110.

<sup>181</sup> იბ. Bergmann, Die Telekommunikationsüberwachung, im Gedächtnisschrift für Hans Lisken, 2004, 72.

<sup>182</sup> იბ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 51, 52.

<sup>183</sup> იქვე, 52.

## 5.1. პირადი ცხოვრების უფლება

### 5.1.1. დაცვის ობიექტი

პირადი ცხოვრების უფლება, პირველ რიგში, იცავს ინტერესებს, რომლებმაც ძირითად კანონში სპეციალური საკონსტიტუციო სამართლებრივი დაცვა გერ მოიპოვეს, მაგრამ მათ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ.<sup>184</sup>

კანონმდებლობით დადგენილი გარანტიების გვერდით გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკამ განმარტა პირადი ცხოვრების უფლება.<sup>185</sup> აღნიშნული განაპირობა ადამიანის პირადი ცხოვრების სფეროს წინააღმდეგ არსებულმა, როგორც ტექნიკური საშუალებების განვითარებით შექმნილმა, ასევე მედიის საშუალებებით ინფორმაციის გავრცელების უხეში ფორმით გამოწვეულმა, პერმანენტულად მზაოდმა საფრთხემ.<sup>186</sup> სამართლებრივი დასაბუთებისთვის სასამართლომ მიუთითა ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი აბზაცით დაცულ ადამიანის დირსების გარანტიასა და ამავე კანონის მეორე მუხლის პირველი აბზაცით დაცულ პიროვნების მოქმედების ზოგად თავისუფლებაზე.<sup>187</sup> აღსანიშნავია, რომ ადრეულ გადაწყვეტილებებში გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღიარებდა პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დაცვის გარანტიას სახელმწიფოს მხრიდან წარმოებული ფარული საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელებისას.<sup>188</sup> მოგვიანებით კი სასამართლო უკვე აღიარებს ამ უფლების ძირითადი სფეროს აბსოლუტურ დაცვას ძირითადი კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული დაცვის გარანტიებიდან გამომდინარე და, შესაბამისად, მნიშვნელობას არ ანიჭებს, ინფორმაცია მოპოვებული იქნება ფარული თუ სხვა სახის საგამოძიებო ღონისძიების საფუძველზე.<sup>189</sup> დაუშვებელია, სახელმწიფომ ხელყოს ადამიანის ღირსება, არ აქვს მნიშვნელობა ამ ხელყოფას ის ფარულად განახორციელებს თუ დიად.<sup>190</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ კიდევ 1972 წელს, ასევე, 1989 წელს მიღებული მინუმუმ სამი გადაწყვეტილება სამართლიანად აღიარებს პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დაცვის პრინციპულ აუცილებლობას როგორც ფარული, ასევე დია საგამოძიებო მოქმედებების დროს.<sup>191</sup>

პირადი ცხოვრების უფლებამ საკონსტიტუციო სამართლებრივი აღიარება მოიპოვა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1973 წელს მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებით.<sup>192</sup> თუმცა, მანამადე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო უკვე მიუთითებდა, რომ არსებობს პიროვნების

<sup>184</sup> ი. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 21.

<sup>185</sup> ი. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 52.

<sup>186</sup> იქვე.

<sup>187</sup> ამასთან დაკავშირებით ი. გერმანიის ფედერალური სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები: BGHZ 20, 345; BGHZ 13, 334; BGHZ 26, 349.

<sup>188</sup> ი. Warg, NStZ 2012, 241.

<sup>189</sup> იქვე.

<sup>190</sup> იქვე.

<sup>191</sup> ი. BVerfGE 33, 367, 378ff.; BVerfGE 32, 373, 378; BVerfGE 80, 367; Warg, NStZ 2012, 241.

<sup>192</sup> კ. V. Soraya-Entscheidung, ი. BVerfGE 34, 269.

თავისუფლების ძირითადი სფერო, რომელიც საჯარო ხელისუფლების მხრიდან უნდა იყოს ხელშეუხებელი.<sup>193</sup>

ტელეკომუნიკაციის ფარულ მიუურადებასთან მიმართებით პირადი ცხოვრების უფლება შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტებით განიხილება:

- ა) როგორც პირადი, ინტიმური სფეროს დაცვის უფლება;
- ბ) როგორც ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება;
- გ) უფლება ნათქვამი სიტყვის განკარგვის შესახებ;
- დ) საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობისა და სანდოობის უზრუნველყოფის ძირითადი უფლება.<sup>194</sup>

მიზანშეწონილია, რომ მოხდეს თითოეული მათგანის ცალ-ცალკე განხილვა.

## 5.12. პირადი ცხოვრების უფლების სპეციალური გამოხატვის ფორმები

### 5.12.1. პირადი და ინტიმური სფეროს დაცვის უფლება

პირადი ცხოვრების უფლება, პიროვნების ფიზიკურ ხელშეუხებლობასთან ერთად, მოიცავს, ასევე, ხელშეუხებლობას მისი გონიერივი თუ სულიერი ურთიერთობის სფეროში.<sup>195</sup>

აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს პირადი ცხოვრების დაცვა, პიროვნების ელემენტარული ცხოვრების პირობების შექმნა. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა ე.წ. „სფეროთა თეორია”,<sup>196</sup> რომლის მიხედვითაც მან გამიჯნა ერთმანეთისგან პირადი ცხოვრების რამდენიმე სფერო. კერძოდ, ინტიმური სფერო, კერძო სფერო და სოციალური სფერო.<sup>197</sup> თითოეულ პიროვნებას უნდა ჰქონდეს სფერო, რომელშიც ის შეძლებს თავისუფლად განვითარდეს, განმარტოვდეს, არ შეეხოს სახელმწიფოებრივი კონტროლი ან სხვაგვარი შეზღუდვა.<sup>198</sup>

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებულ „სფეროთა თეორიის” მიხედვით, ინტიმური სფერო, როგორც პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო, ხელშეუხებელია და აბსოლუტურ დაცვას ექვემდებარება.<sup>199</sup>

პიროვნების თავისუფლების ამ ძირითადი, ინტიმური სფეროსგან განსხვავებით, პირად სფეროში ჩარევა გარკვეული, მკაცრად განსაზღვრული წინაპირობების გათვალისწინებით შესაძლებელია.<sup>200</sup>

ე.წ. სოციალური სფერო ყველაზე ნაკლებად დაცული სფეროა, რომელიც არ შეიძლება იყოს გარემოსგან იზოლირებული.<sup>201</sup> სოციალურ

<sup>193</sup> ob. BVerfGE 6, 32.

<sup>194</sup> შეად. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 21; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 53f.

<sup>195</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 53.

<sup>196</sup> ob. BVerfG NJW 1990, 563; BVerfGE 80, 367, 373; 6, 32, 41; 35, 202, 220; 101, 361, 386.

<sup>197</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 21.

<sup>198</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 21, ამასთან დაკავშირებით ob. BVerfGE 32, 54 (75).

<sup>199</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 24; Di Fabio, in Maunz/Düring, Art 2, Rdn. 158.

<sup>200</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 53; Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 24; შეად. Di Fabio, in Maunz/Düring, Art 2, Rn. 159.

სფეროში ჩარევის მართლზომიერებისათვის დადგენილია მინიმალური მოთხოვნები.<sup>202</sup>

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 21 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ახალი რეგულაციის შესახებ.<sup>203</sup> კვლევის თემატიკიდან გამომდინარე, საინტერესო ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების დროს პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დაცვის ამ კანონით განსაზღვრული გარანტიების განხილვა.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე.<sup>204</sup> სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მიხედვით, სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-4 აბზაცით<sup>205</sup> განსაზღვრული ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების დროს პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დაცვის დონისძიებები, როგორც მონაცემთა მოპოვების, ასევე, მათი გამოყენების ეტაპზე, აკმაყოფილებებს საკონსტიტუციო სამართლებრივ მოთხოვნებს.<sup>206</sup> საკანონმდებლო რეგულაციის მიხედვით, ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების განხორციელების დროს, უნდა დადგინდეს, რომ აღნიშნული დონისძიების ჩატარების შედეგად არ იქნება მოპოვებული უშუალოდ პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს მიკუთვნებული მონაცემები.<sup>207</sup> თუკი არსებობს წინაპირობები, რომ კონკრეტული დონისძიების შედეგად მოხდება მხოლოდ პირადი ცხოვრების ძირითად სფეროს მიკუთვნებული მონაცემების მოპოვება, მაშინ აღნიშნული დონისძიება არ უნდა განხორციელდეს.<sup>208</sup>

პრაქტიკაში ხშირად თითქმის წარმოუდგენელია, თავიდანვე განისაზღვროს ჩასატარებელი დონისძიების პირადი ცხოვრების ძირითად სფეროსთან შემხებლობა.<sup>209</sup> აღსანიშნავია, რომ, საკონსტიტუციო სამართლებრივი თვალსაზრისით, იმ დონისძიების ჩატარებაზე თავიდანვე უარის თქმა იმ რისკის გამო, რომ შესაძლებელია მოხდეს პირადი ცხოვრების ძირითად სფეროში ჩარევა, არ არის სავალდებულო.<sup>210</sup> აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ საგამოძიებო დონისძიებები მაშინაც განხორციელდეს, როცა განსაზღვრული ფაქტების საფუძველზე დასტურდება ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა კანონით განსაზღვრული კონკრეტული მძიმე დანაშაული, ანდა დანაშაულის მცდელობის დასჯადობის შემთხვევაში, განახორციელა დანაშაულის მცდელობა ან მომზადება, თუკი დანაშაულის გამოძიების პროცესი წინააღმდეგ

<sup>201</sup> იბ.: Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 24; Di Fabio, in Maunz/Düring, Art 2, Rn. 160ff.

<sup>202</sup> იბ.: Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 24; Di Fabio, in Maunz/Düring, Art 2, Rn. 160ff.

<sup>203</sup> იბ. BGBI. I S. 3198.

<sup>204</sup> იბ. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011 – 2 BvR 236/08.

<sup>205</sup> სსსკ-ზი 2017 წლის 17 აგვისტოს განხორციელებული ცვლილების საფუძველზე აღნიშნული ნორმა ჩამოყალიბდა ცალკე პარაგრაფად, იბ. §100d, [BGBL. I S. 3205, https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav#\\_bgbli\\_%2F%2F%5B%40attr\\_id%3D%27bgbli117s3202.pdf%27%5D\\_1533540915395](https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav#_bgbli_%2F%2F%5B%40attr_id%3D%27bgbli117s3202.pdf%27%5D_1533540915395), უკანასკნელად გადამოწმებულია 07.08.2018.

<sup>206</sup> იბ. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 258.

<sup>207</sup> იბ.: BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259; BVerfGE 120, 274, 337.

<sup>208</sup> იბ.: BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259; BVerfGE 120, 274, 338.

<sup>209</sup> იბ. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259.

<sup>210</sup> იბ. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259; შეად. Ameling, StV 2002, 161-168.

შემთხვევაში არსებითად გართულდება ანდა მისი წარმოება შეუძლებელი გახდება.<sup>211</sup>

სწორედ მონაცემთა მოპოვებისა და გამოყენების ეტაპებთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს შემდეგი: სსსკ-ის 100d პარაგრაფის პირველი აბზაცის თანახმად, ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების დონისძიების განხორციელება დაუშვებელია, თუკი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მოპოვებული იქნება მხოლოდ ისეთი მონაცემები, რომლებიც პირადი ცხოვრების ძირითად სფეროს ეკუთვნის. კანონის აღნიშნული ჩანაწერი აკმაყოფილებს საკონსტიტუციო სამართლებრივ მოთხოვნებს პირადი ცხოვრების დაცვის სფეროსთან მიმართებით, კერძოდ, ინფორმაციის მოპოვების სტადიაზე.<sup>212</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში, ასევე, მიუთითებს, რომ პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დაცვის უზრუნველყოფა შესაძლებელია განხორციელდეს მოპოვებულ მონაცემთა გამოყენების ეტაპზე.<sup>213</sup>

აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 100d პარაგრაფის პირველი აბზაცის ფორმულირება ითვალისწინებს პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცული ძირითადი სფეროს ე.წ. ორ საფეხურიანი დაცვის სისტემას:<sup>214</sup>

- პირველი გულისხმობს, რომ პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს მონაცემების მიზანმიმართული მოპოვება დაუშვებელია (სსსკ-ის 100d პარაგრაფის პირველი აბზაცი);
- მეორე გულისხმობს, რომ თუკი მოკვლევის სტადიაზე შეუძლებელი იყო იმ რისკის პროგნოზირება, რომ ფარული მიყურადების დონისძიების განხორციელების შემთხვევაში მოხდებოდა პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს მონაცემების მოპოვება, ხოლო ამ დონისძიების შედეგად მიღებული მონაცემები რეალურად მიეკუთვნება პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს, სსსკ-ის 100d პარაგრაფის მეორე აბზაცის მიხედვით, ისინი უნდა გამოირიცხოს სისხლის სამართლის პროცესიდან.<sup>215</sup>

მიზანშეწონილია, მოკლედ აღინიშნოს ამ ე.წ. ორსაფეხურიანი დაცვის სისტემის სირთულეებსა და ეფექტიანობაზე.

მონაცემთა მოპოვების ეტაპზე პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს მონაცემთა მიზანმიმართულ მოპოვებად მიიჩნევა შემთხვევა, როცა, მაგალითად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ადრესატს კომუნიკაცია აქვს ისეთ პირვენებასთან, რომელთანაც მას განსაკუთრებული, ნდობაზე დამყარებული ახლო ურთიერთობა აკავშირებს, ასეთებია მაგალითად, ოჯახის ახლო წევრთან, სასულიერო პირთან, ადგომატოან, ცალკეულ შემთხვევებში ექიმთანაც.<sup>216</sup>

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის მიზანშეწონილი, თუკი ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების განხორციელებაზე იმ შემთხვევაში ვიტყვით უარს, როცა არსებობს ვარაუდი, რომ სხვა მონაცემებთან ერთად, ასევე, შეიძლება მოპოვებულ იქნეს პირადი

<sup>211</sup> ob.: BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259; BVerfGE 120, 274, 337f.

<sup>212</sup> ob.: BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259.

<sup>213</sup> ob.: BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259; BVerfGE 120, 274, 337f.

<sup>214</sup> ob.: BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259.

<sup>215</sup> იქვე.

<sup>216</sup> ob.: BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259; შეად. BVerfGE 109, 279, 321ff.

ცხოვრების ძირითადი სფეროს მონაცემები.<sup>217</sup> აქ სახეზე იქნება ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების დროს მონაცემთა მოპოვების ისეთი შეზღუდვა, რომელიც გამოძიებისთვის სასურველ შედეგს ვერ მოიგანს; მით უფრო, მძიმე თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, შესაძლებელია, ვეღარ განხორციელდეს ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა.<sup>218</sup>

ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების განხორციელების დროს, კერძოდ, მონაცემთა მოპოვების სტადიაზე, პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დაცვის უზრუნველსაყოფად ხშირ შემთხვევებში პრაქტიკაში თავს იჩენს სირთულეები, რომლებიც გარკვეული მიზეზებითაა განპირობებული.<sup>219</sup> ერთ-ერთი ასეთი მიზეზი ზემოთ უკვე დასახელდა. კერძოდ, ის, რომ კონკრეტულად არ არის განსაზღვრული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადებისას თავიდან იქნება აცილებული პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს მონაცემთა მოპოვება.<sup>220</sup> აღნიშნულის შესახებ პროგნოზის გაკეთება ფარული მიყურადების დონისძიებათა განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს თითქმის შეუძლებელია<sup>221</sup> და, როგორც ცოლური აღნიშნავს, მოითხოვს „წინასწარმეტყველის“ უნარს.<sup>222</sup>

სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ტექნიკის წყალობით ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების დროს მონაცემთა მოპოვების ეტაპზე ინფორმაციის ჩატვირთვის სირთულეების ავტომატურ რეჟიმში და პერსონალური კონტროლი, პარალელური მოსმენა, როგორც წესი, წარმოებს მხოლოდ კონკრეტული ნიშნის გათვალისწინებით.<sup>223</sup> თუმცა, აქვე უნდა ადინიშნოს, რომ სწორედ პარალელური მოსმენის დროს წარმოიშობა ისეთი სირთულეები, როგორებიცაა, მაგალითად, მოსაუბრეთა უცხო ენაზე, დიალექტზე კომუნიკაცია, საუბრის დროს გამოყენებული კოდური სიტყვები.<sup>224</sup>

ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების დროს ინფორმაციის მოპოვების ეტაპზე პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დაცვის უზრუნველყოფისას წარმოშობილი ზემოხსენებული სირთულეების გადაჭრის გზად მიჩნეულია არსებული საკანონმდებლო რეგულაცია<sup>225</sup>, რომ მოპოვებული მონაცემები ექვემდებარება გამოყენების ეტაპზე აბსოლუტურ აკრძალვას<sup>226</sup>. ამ რეგულაციას გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს კონსტიტუციასთან შესაბამის ნორმად.<sup>227</sup>

საკანონმდებლო რეგულაციასა და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ამ მიღებას უარყოფითად აფასებს ავტორთა გარკვეული

<sup>217</sup> ob. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259.

<sup>218</sup> იქვე.

<sup>219</sup> ob. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259; შეად. BVerfGE 120, 274, 337.

<sup>220</sup> ob. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259.

<sup>221</sup> ob. Gercke, StV 2012, 267.

<sup>222</sup> ob. Zöller, StraFo 2008, 15, 22.

<sup>223</sup> ob. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259; შეად. Gercke, StV 2012, 267.

<sup>224</sup> ob. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 260; შეად. Gercke, StV 2012, 267

<sup>225</sup> §100d Abs. 2 StPO.

<sup>226</sup> ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 54. Aufl, 2011, §100a ,Rn. 25; BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 260.

<sup>227</sup> ob. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 260.

ნაწილი.<sup>228</sup> მათი აზრით, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მტკიცებულებათა მოპოვების ეტაპის დაკინებას და რომ აღნიშნული ეტაპი, ფაქტობრივად, უფრო მეტ დაცვას საჭიროებს, ვიდრე მტკიცებულებათა გამოყენების ეტაპი;<sup>229</sup> რამდენადაც მტკიცებულებათა მოპოვების აკრძალვა საწყის ეტაპზევე უზრუნველყოფს იმას, რომ ინფორმაციას ვერ გაეცნობიან სამართალდამცავი ორგანოები.<sup>230</sup> მით უფრო, რომ ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების მაგალითზე, ამ ღონისძიების კანონდარღვევით განხორციელებით, მისი წარმოების ეტაპზე უკვე ხდება ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევა პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევის გზით.

### 5.1.2.2. ინფორმაციული თვითგამორკევების უფლება

პირადი ცხოვრების უფლების სპეციალურ გამოხატულებას წარმოადგეს ინფორმაციული თვითგამორკევების უფლება.<sup>231</sup> ის უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, მოქალაქის უფლებას, არ მოხდეს მისი პირადი მონაცემების მოპოვება, შენახვა, გამოყენება და შემდგომი გავრცელება; მეორე მხრივ, აღნიშნული მოიცავს პიროვნების უფლებას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება თავისი მონაცემების გამჟღავნების შესახებ.<sup>232</sup> როცა პიროვნებას არ აქვს საკმარისი გარანტია იმისა, რომ თავად განსაზღვროს, რომელი ინფორმაცია მისი სოციალური სფეროს რომელ ნაწილში გახდეს ცნობილი, მაშინ იგი შესაძლოა, რომ მნიშვნელოვნად შეზღუდული აღმოჩნდეს საკუთარი უფლების განხორციელებაში, დაგეგმოს თუ მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით.<sup>233</sup>

### 5.1.2.3. უფლება ნათქვამი სიტყვის განკარგვის შესახებ

ნათქვამი სიტყვის განკარგვის შესახებ უფლება წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლების შემდგომ ასპექტს, რომელიც მნიშვნელოვანია კომუნიკაციის დაცვის თვალსაზრისით.<sup>234</sup> ის წარმოადგენს ადამიანთა შორის კომუნიკაციაში თავისუფალი მონაწილეობის გარანტიას.<sup>235</sup> აღნიშნული უფლება პიროვნებას ანიჭებს მის მიერ წარმოთქმული ვერბალური გამოხატულების განკარგვის თავისუფლებას.<sup>236</sup> ამით ის ემსახურება, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდის სოციალურ განვითარებას.<sup>237</sup> ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის (დახურულ წრეში ხელის შემლის გარეშე საუბრის) გარანტიას უზრუნველყოფს ნათქვამი სიტყვის, უფრო კონკრეტულად კი,

<sup>228</sup> იხ. Gercke, StV 2012, 267; შეად. Kühne, Strafprozessrecht, 8. Aufl. 2010, Rn. 907.

<sup>229</sup> იხ. Gercke, StV 2012, 267.

<sup>230</sup> იხ. Gercke, StV 2012, 267-268; შეად. Kühne, Strafprozessrecht, 2010, Rn. 907.

<sup>231</sup> აღნიშნული უფლება გერმანიის ფედერალური საპონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში – Volkszählungsurteil იქნა აღიარებული. იხ. BVerfGE 65, 1.

<sup>232</sup> იხ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 53.

<sup>233</sup> იხ. Dorsch Effizienz der Überwachung der Telekommunikation 2005, S. 22; BVErfGE 65, 1, 43.

<sup>234</sup> იხ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 54.

<sup>235</sup> იხ. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 21.

<sup>236</sup> იხ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 54.

<sup>237</sup> იქვე.

არასაჯაროდ ნათქვამი სიტყვის განკარგვის უფლება.<sup>238</sup> აღნიშნული უზრუნველყოფს ადამიანებს შორის კომუნიკაციის მიუკერძოებლობას. რამდენადაც, სახელმწიფოს მხრიდან პირადი კომუნიკაციის მუდმივი გაცნობის შიში, რომ მას უსმენენ, მის გააზრებულ თუ სპონტანურ ნათქვამს ჩაიწერენ და შემდგომში გაასაჯაროებენ, ანდა სხვაგვარად გამოიყენებენ<sup>239</sup>, გავლენას ახდენს ურთიერთობის მიუკერძოებლობაზე.<sup>240</sup>

#### **5.1.2.4. საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობისა და სანდოობის უზრუნველყოფის ძირითადი უფლება**

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით<sup>241</sup> პირადი ცხოვრების უფლების ფარგლებში ცალკე გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა ახალი ძირითადი უფლება, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობასა და სანდოობას.<sup>242</sup> ამ ძირითადი უფლების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი აბზაცი პირველი მუხლის პირველ აბზაცთან კავშირში.<sup>243</sup>

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება დასასაბუთა იმით, რომ საინფორმაციო-ტექნოლოგიურ სისტემას სულ უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, შესაბამისად, დიდია მისი მნიშვნელობა მოქალაქეთა უმრავლესობის პიროვნულ განვითარებაში.<sup>244</sup>

დისტანციური კომუნიკაციის ტრადიციული ფორმები სწრაფი ტექნიკით ინაცვლებს მოწყობილობათა ისეთ კომპლექსურ სივრცეში, როგორიცაა ინტერნეტი.<sup>245</sup> თანამედროვე დისტანციური კომუნიკაციის საშუალებათა უსაზღვრო შესაძლებლობების გამოყენება, მაგ. ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, შენახვა, რაც პიროვნების განვითარებას უწყობს ხელს, ამავდროულად დაკავშირებულია პირადი ცხოვრების დაცვის უფლების ხელყოფის რისკთან.<sup>246</sup> ეს საფრთხე ყველაზე მეტად თავს იჩენს ინტერნეტ- ქსელში.<sup>247</sup> პიროვნების შეუზღუდავი განვითარების მიზნით სახელმწიფო უზრუნველყოფს საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობასა და სანდოობას.<sup>248</sup> პირადი ცხოვრების უფლება, მართალია, უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების სფეროს დაცვის უფლებას, მაგრამ საინფორმაციო-ტექნოლოგიურ სისტემაში შედწევით პოტენციურად შესაძლოა, ზიანი მიადგეს პირადი ცხოვრების ძალიან ფართო, კომპლექსურ პროფილს,

<sup>238</sup> იქვე.

<sup>239</sup> იბ. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 21, Di Fabio, in Maunz/Düring, Art 2, Rn. 196.

<sup>240</sup> იბ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 54.

<sup>241</sup> იბ. BVerfG, Urt. V. 27.02.2008, 1 BvR 370/07, 1 BvR 595/07.

<sup>242</sup> იბ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 54.

<sup>243</sup> იქვე.

<sup>244</sup> იბ. BVerfG, Urt. V. 27.02.2008, 1 BvR 370/07, 1 BvR 595/07, Rn. 171 ff..

<sup>245</sup> იქვე, Rn. 176.

<sup>246</sup> იბ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 54.

<sup>247</sup> იბ. BVerfG, Urt. V. 27.02.2008, 1 BvR 370/07, 1 BvR 595/07, Rn. 178 f.

<sup>248</sup> იბ. BVerfG, Urt. V. 27.02.2008, 1 BvR 370/07, 1 BvR 595/07, Rn. 181.

რომელიც პირადი ცხოვრების სფეროს გამოხატულებას სცილდება.<sup>249</sup> ეს ახალი ძირითადი უფლება, საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობა და სანდოობის უზრუნველყოფა, იცავს სწორედ რომ სისტემის და არა კომუნიკაციის ცალკეული აქტისა თუ შენახული მონაცემის ხელშეუხებლობას.<sup>250</sup>

## 5.2. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება – ძირითადი კანონის მე-10 მუხლი

პირადი ცხოვრების ძირითადი უფლებისა და მისი ასპექტების განხილვის შემდეგ საინტერესოა კონკრეტულად სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების საფუძვლიანი გამოკვლევა. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების ხელშეუხებლობის შესახებ ძირითადი უფლება იცავს პიროვნების თავისუფალ განვითარებას, რომელიც ხორციელდება ინფორმაციის, აზრებისა და მოსაზრებების გავცლით სხვებისგან, საზოგადოებისგან დაფარულად; ამით კი აღნიშნული უფლება უზრუნველყოფს მოაზროვნე და თავისუფალი ადამიანის ღირსების დაცვას.<sup>251</sup>

გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლი იცავს ე.წ. შიდა კომუნიკაციას.<sup>252</sup> ცალკეულ პირთა შორის კომუნიკაცია უნდა იყოს დაცული, რათა კერძო, და არა ფართო საზოგადოებისათვის განსაზღვრული ინფორმაციის გაცვლა იყოს შესაძლებელი.<sup>253</sup> პირადი კომუნიკაციისას მონაწილეებს არ ჰქონდეთ შიშის განცდა, რომ ეს კომუნიკაცია ჩაიწერება ან მონაწილის სურვილის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.<sup>254</sup> ადამიანის თავად უნდა ჰქონდეს საშუალება, გარკვეული ინფორმაცია განსაზღვრულ პირთა წრეს გააცნოს, შესაბამისად, ის თავად უნდა ადგენდეს საკუთარი პირადი სფეროსათვის საზღვრებს.<sup>255</sup> ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, „მიმოწერის საიდუმლოება, ისევე, როგორც საფოსტო და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება, ხელშეუხებელია“. ამ მუხლში მოცემული სამივე გარანტიის საგადაებულოობა დიდწილად უდავოა. ამასთან, ხშირად გაურკვევლობას იწვევს მათი გამიჯვნის საკითხი.<sup>256</sup>

ერთი შეხედვით, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის სფეროს გამიჯვნა მიმოწერისა და საფოსტო საიდუმლოების გარანტიისგან მარტივია.<sup>257</sup> სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება იცავს არამატერიალური სიგნალით გადაცემულ, სივრცით დისტანციაზე არსებულ, ინდივიდუალურ კომუნიკაციას, რომელიც სატელეკომუნიკაციო სისტემების საშუალებით ხორციელდება.<sup>258</sup> სწორედ კომუნიკაციის არამატერიალური საშუალებით (სიგნალით) განხორციელება

<sup>249</sup> იქვე, Rn. 197.

<sup>250</sup> იქვე, Rn. 201.

<sup>251</sup> ი. მ. Benfer, Rechtseingriffe von Polizei und Staatsanwaltschaft, 2005, S. 292.

<sup>252</sup> ი. მ. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 4.

<sup>253</sup> იქვე.

<sup>254</sup> ი. მ. Krüpe-Gescher, Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 14f;

<sup>255</sup> ი. მ. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 4.

<sup>256</sup> ი. მ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 57.

<sup>257</sup> იქვე, 58.

<sup>258</sup> იქვე.

წარმოადგენს ხშირ შემთხვევაში გამიჯვნის მარტივ კრიტერიუმს მიმოწერისა და საფოსტო საიდუმლოების გარანტიებს შორის.<sup>259</sup>

სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან დაუშვებელია როგორც კომუნიკაციის შინაარსის, ასევე მასთან ახლოს მყოფი გარემოებების გამოყენება თუ სხვაგარი კონტროლის განხორციელება.<sup>260</sup> აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ ამ ძირითადი უფლების დაცვის სფეროში, ისევე, როგორც ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაციის სხვა გარანტიებში, არ შედის სატელეკომუნიკაციო გზავნილის მხოლოდ ინდივიდუალური, სავალდებულო დაცვას დაქვემდებარებული შინაარსი, რამდენადაც ამ გზავნილთა გამოკვლევა, შინაარსის დადგენა, თავის მხრივ, უკვე იწვევს სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დარღვევას.<sup>261</sup> ამიტომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის ობიექტის განხაზღვრისათვის მთავარია ფორმალური კრიტერიუმი, სატელეკომუნიკაციო საშუალება.<sup>262</sup> აღნიშნული იძლევა იმ დასკვნის გაპეტების საშუალებას, რომ სატელეკომუნიკაციო გზავნილი, როცა ის არაა ინდივიდუალური ხასიათის, ანდა სახეზეა მხოლოდ ტექნიკური სიგნალის გაგზავნა, ძირითადად ექვემდებარება დაცვას, რადგან ის სატელეკომუნიკაციო სისტემის საშუალებით განხორციელდა.<sup>263</sup> ზოგადად, ძირითადი კანონის მე-10 მუხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტს წარმოადგენს კომუნიკაციის მხარეებს შორის განხორციელებული შეტყობინების სანდოობა, როგორც პირადი ცხოვრების სფეროს ნაწილი.<sup>264</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ საკონსტიტუციო სამართლებრივ დაცვას ექვემდებარება პირველ რიგში კომუნიკაციის შინაარსი და, ასევე, კომუნიკაციის პროცესი.<sup>265</sup> მის გადაწყვეტილებებში საკონსტიტუციო სასამართლო მუდამ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ძირითადი კანონის მე-10 მუხლის დაცვის სფერო მოიცავს „კონკრეტულ შინაარსს“,<sup>266</sup> „კომუნიკაციას“,<sup>267</sup> „კომუნიკაციის შინაარსს“,<sup>268</sup> შესაბამისად, მასთან ახლოს მყოფ გარემოებებს,<sup>269</sup> ასევე, კონკრეტულად გამოყენებული კომუნიკაციის საშუალების სანდოობას<sup>270</sup>.<sup>271</sup>

აღსანიშნავია, რომ ტელეკომუნიკაციის დაშიფრული მასალა კონტროლს ძირითადად არ ექვემდებარება.<sup>272</sup>

<sup>259</sup> იქვე.

<sup>260</sup> იბ.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 58; Krüipe-Gescher Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 15.

<sup>261</sup> იბ.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 58.

<sup>262</sup> იქვე.

<sup>263</sup> იქვე.

<sup>264</sup> იბ.: Krüipe-Gescher, Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 14; BVerfGE 67, 157, 171; BVerfGE 85, 386, 396; BVerfGE 34, 238, 247.

<sup>265</sup> იბ.: Günther, NStZ 2005, 488; BVerfGE 67, 157ff.; 85, 386; 100, 313ff.; 107, 299ff.; NJW 2004, 2213ff.

<sup>266</sup> იბ.: BVerfGE 67, 157, 172.

<sup>267</sup> იბ.: BVerfGE 85, 386, 396; 106, 28, 37.

<sup>268</sup> იბ.: BVerfGE 100, 313, 358.

<sup>269</sup> იბ.: BVerfGE 67, 157, 172ff.

<sup>270</sup> იბ.: BVerfGE 106, 28, 37.

<sup>271</sup> იბ.: Günther, NStZ 2005, 491.

<sup>272</sup> იბ.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 58.

სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის სფეროს აქცევა ეს. დინამიკური ხასიათი, რაც იმით გამოიხატება, რომ ძირითადი კანონის მე-10 მუხლი ითვალისწინებს თანამედროვე ტექნოლოგიურ განვითარებას.<sup>273</sup> ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ტერმინი – სატელეკომუნიკაციო კანონმდებლობამ სპეციალურად დიად დატოვა, ზედმიწევნით არ განსაზღვრა, რათა რეგულაციის სფეროს მიღმა არ დარჩენილიყო კომუნიკაციის ახალი საშუალებები, რომელიც კანონის მიღების დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა.<sup>274</sup>

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სატელეკომუნიკაციო მონაცემთა სახეებზე საუბრისას, ძირითადი კანონის მე-10 მუხლით დაცვას ექვემდებარება არა მარტო კომუნიკაციის შინაარსი, არამედ კომუნიკაციის შინაარსთან ახლოს მყოფი გარემოებებიც.<sup>275</sup> აღნიშნულ გარემოებებს მიეკუთვნება ფაქტი, რომ კომუნიკაცია შედგა და რომელ პირებს შორის შედგა, ან/და იყო ამის მცდელობა, ასევე, სატელეკომუნიკაციო კავშირის დაწყებისა და დასრულების დრო, საუბრის ხანგრძლივობა, კომუნიკაციის სიხშირე, ტელეფონის ნომერი და სხვა მახასიათებლები.<sup>276</sup>

აღსანიშნავია, რომ ძირითადი კანონის მე-10 მუხლით გარანტირებული დაცვის უფლება გულისხმობს პირადი სატელეკომუნიკაციო მონაცემების არა მხოლოდ მოპოვებას,<sup>277</sup> არამედ მისი დაცვის ობიექტს წარმოადგენს, ასევე, პირადი ინფორმაციისა და მონაცემების დამუშავება და შემდგომ მათი გამოყენება.<sup>278</sup> ასე რომ, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის უფლებაში ჩარევა გულისხმობს საკომუნიკაციო მონაცემთა ნებისმიერი სახით „გაცნობას, ჩაწერასა და გამოყენებას“.<sup>279</sup>

სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დარღვევის დადგენისტვის მნიშვნელობა არა აქცევა, აღნიშნული თავიდანვე მიმართულია კონკრეტული პირის წინააღმდეგ თუ ხორციელდება ტოტალური კონტროლი, რომლის დროსაც ხდება კონკრეტული პირის ჯერ გამოვლენა და შემდგომ კონტროლი.<sup>280</sup>

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებაში

<sup>273</sup> ob. *Krüipe-Gescher*, Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 15. *Dorsch*, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 7.

<sup>274</sup> ob. BVerfGE 46, 120, 143.

<sup>275</sup> ob. *Krüipe-Gescher*, Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 15.

<sup>276</sup> ob. *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 58; *Krüipe-Gescher*, Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 15; *Dorsch*, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 7; BVerfGE 67, 157, 172; 85, 386, 396.

<sup>277</sup> ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული შეხედულება: BVerfG (1 BvR 2378/98), Urt. v. 3. März 2004, Abs. 169; ასევე ob. *Bergmann*, Die Telekommunikationsüberwachung, im Gedächtnisschrift für Hans Lisken, 2004, 79.

<sup>278</sup> ob. *Dorsch*, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 7; BVerfGE 100, 313, 359.

<sup>279</sup> ob. *Krüipe-Gescher* Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 15; BVerfGE 85, 386, 398; *Bergmann*, Die Telekommunikationsüberwachung, im Gedächtnisschrift für Hans Lisken, 2004, 76.

<sup>280</sup> ob.: BVerfGE 100, 313, 366f; *Dorsch*, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 11.

ჩარეგად არ მიიჩნევა, როდესაც საკომუნიკაციო პროცესში ჩართვა განპირობებულია მხოლოდ ტექნიკური მიზნით, ხოლო კომუნიკაციის უშუალოდ სიგნალით დაკავშირების მომენტში ჩართულობა ასევე ტექნიკურად უკვალოდ წყდება.<sup>281</sup> მაგ., მობილური ტელეფონის მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით სიგნალის მიღებისთვის მზადყოფნის კომუნიკაციის პროცესად განსაზღვრა არ შეესაბამება გერმანიის სსსკ-ის შესაბამის პარაგრაფს – 100a ratio legis.<sup>282</sup>

### 5.2.1. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების წარმოშობის ისტორია

### **5.2.1.1. საკანონმდებლო რეგულაციის წარმოშობა**

თუკი მიმოწერის საიდუმლოების პირველი სამართლებრივი რეგულაცია 1532 წლით თარიღდება,<sup>283</sup> ე.წ. „სატელეგრაფო საიდუმლოების” სამართლებრივი მოწესრიგების მოთხოვნილება მოგვიანებით, ტელეგრაფისა და ტელეფონის ტექნიკურ განვითარებასთან ერთად ყალიბდება.<sup>284</sup> დისტანციურად განხორციელებული კომუნიკაციის სამართლებრივი დაცვის პირველი ნიშნები გაჩნდა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში; ხოლო საკანონმდებლო დონეზე პირველი ჩანაწერები მოცემულია 1712 წლის 10 აგვისტოს პრუსიის საფოსტო რეგულაციის VIII თავის მე-4 პარაგრაფში და შემდგომში უკვე 1782 წლის 26 ნოემბრის პრუსიის ზოგადი საფოსტო რეგულაციის V თავის მე-3 პარაგრაფში.<sup>285</sup> აღნიშნული რეგულაციები ეხებოდა მხოლოდ საფოსტო მოხელის მიერ საიდუმლოების გაცემის, ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას.<sup>286</sup> თუმცა, პრუსიის სახელმწიფოთა ზოგადი მიწის სამართალი შეიცავდა ნორმას როგორც საფოსტო მოხელის მიერ საიდუმლოების დარღვევის აკრძალვის შესახებ (§204 II 15 ALR), ასევე სისხლისსამართლებრივ ნორმას არაუფლებამოხილი მესამე პირის ჩარევასთან დაკავშირებით (§ 1370 II 20).<sup>287</sup>

#### **5.2.1.2. საკონსტიტუციო სამართლებრივი რანგის მოპოვება**

გერმანიის ფედერაციიდან პირველმა პესენის სათავადომ მიანიჭა  
მიმოწერისა და საფოსტო საიდუმლოების დაცვას საკონსტიტუციო  
სამართლებრივი ხარისხის 1831 წლის 5 იანვრის პესენის  
საკონსტიტუციო დოკუმენტის 38-ე პარაგრაფის მიხედვით, მიმოწერის  
საიდუმლოება მომავალშიც ხელშეუხებელი უნდა იყოს; მისი განზრახი,

<sup>281</sup> ob.: BVerfGE 100, 313, 366; Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 11.

<sup>282</sup> ob. *Günther*, NStZ 2005, 492.

<sup>283</sup> Ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 4.

284 Ο[3ο]

<sup>285</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 59

286 ođ3a.

287

<sup>288</sup> ođđđ,

უშუალო ანდა შუალობითი დარღვევა საფოსტო ადმინისტრაციის  
მხრიდან უნდა დაისაჯოს.<sup>289</sup>

1849 წლის 28 მარტის ფრანკფურტის ნაციონალური კრების  
დოკუმენტი კი მიმოწერის საიდუმლოების დაცვას, პრაქტიკული  
საჭიროებიდან გამომდინარე, ხელშეუხებლად არ აღიარებდა.<sup>290</sup> ე.წ.  
„პაულსკირხენის კონსტიტუციის“ 142-ე პარაგრაფის მიხედვით,  
მიმოწერის საიდუმლოება გარანტირებულია, თუმცა, შესაძლებელია,  
სისხლისსამართლებრივი გამომიებისა და ომის შემთხვევებში  
კანონმდებლობის მიერ დადგენილ იქნეს საჭირო შეზღუდვები.<sup>291</sup>

ევროპაშიც გაჩნდა საკონსტიტუციო სამართლებრივი რანგის  
მსგავსი რეგულაცია. აღსანიშნავია, მაგ., 1931 წლის 7 თებერვლის  
ბელგიის კონსტიტუციის 22-ე მუხლი, რომლის ფორმულირებაც ძალიან  
ახლოს დგას გერმანიის დღევანდელი კონსტიტუციის ფორმულირებასთან.<sup>292</sup>

1950 წლის 31 იანვრის პრუსიის საკონსტიტუციო დოკუმენტის 33-ე  
მუხლში შენარჩუნდა ჩანაწერი, რომ მიმოწერის თავისუფლება,  
„პაულსკირხენის კონსტიტუციის“ ფორმულირების ანალოგიურად,  
გერმანულ სამართლის სივრცეში ხელშეუხებელია.<sup>293</sup> მსგავსინორმისთვის  
საკონსტიტუციო სამართლებრივი რანგი არ მიუნიჭებიათ ჩრდილო  
გერმანიის კავშირსა და გერმანიის რაიხში; კონსტიტუციაში ამ უფლების  
შესახებ ჩანაწერის ნაცვლად არსებობდა შესაბამისი კანონი.<sup>294</sup>

ტელეგრაფის აპარატის გამოგონებასთან ერთად გაჩნდა იმის  
აუცილებლობა, რომ დაცულიყო ტელეგრაფის საშუალებით გადაცემული  
შეტყობინება როგორც ტელეგრაფის მომსახურე პერსონალის  
ცნობისმოყვარეობისგან, ასევე შესაბამის ორგანოთა საგამოძიებო  
ინტერესებისგან.<sup>295</sup> ისევე, როგორც მიმოწერის თავისუფლება,  
ტელეგრაფით გადაცემულ შეტყობინებათა თავისუფლებაც  
თავდაპირველად შესაბამისი საკანონმდებლო ნორმით იყო  
დარეგულირებული; ამასთან დაკავშირებული პირველი საკანონმდებლო  
აქტი იყო 1872 წლის 21 ივნისის სატელეგრაფო რეგულაციის შესახებ  
განაწესი.<sup>296</sup>

მოგვიანებით, კერძოდ კი 1892 წლის 6 აპრილს, ძალაში შევიდა  
კანონი ტელეგრაფის შესახებ.<sup>297</sup> აღსანიშნავია, რომ ტერმინში  
„ტელეგრაფი“ იგულისხმებოდა ტელეფონიც.<sup>298</sup> ამ კანონის მე-8  
პარაგრაფის პირველი წინადადება ხელშეუხებლად აცხადებდა  
სატელეგრაფო საიდუმლოებას, ხოლო მეორე წინადადება იცავდა  
სატელეკომუნიკაციო კავშირის გარემოებებს, კერძოდ, ხელშეუხებლად

<sup>289</sup> 1831 წლის 5 იანვრის პესენის საკონსტიტუციო დოკუმენტი ი.ხ.  
<http://www.documentarchiv.de/nzjh/verfkurhessen.html>, უკანასკნელად გადამოწმებულია  
14.07.2018.

<sup>290</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 60.

<sup>291</sup> იქვე.

<sup>292</sup> იქვე.

<sup>293</sup> იქვე.

<sup>294</sup> იქვე, 61.

<sup>295</sup> იქვე.

<sup>296</sup> იქვე.

<sup>297</sup> RGB1. I 1892, S. 467.

<sup>298</sup> შეად. RGSt 19, S. 55.

მიიჩნეოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დროს და ვის შორის შედგა კავშირი.<sup>299</sup>

საბოლოოდ, ვაიმარის რაიხის 1919 წლის კონსტიტუციაში თავი მოუყარა ცალკეულ გარანტიებს 117-ე მუხლის პირველ წინადადებაში და ამით (ისევ) მიენიჭა ტელეკომუნიკაციას საკონსტიტუციო რანგი.<sup>300</sup> აღნიშნული მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, მიმოწერა, ისევე როგორც საფოსტო, სატელეგრაფო და დისტანციური კომუნიკაციის საიდუმლოება, ხელშეუხებლად იყო მიჩნეული.<sup>301</sup>

#### 5.2.1.3. საკონსტიტუციო სამართლებრივი გარანტიის გაუქმება ნაციონალ-სოციალიზმის დროს

ვაიმარის რაიხის კონსტიტუციის 117-ე მუხლით დაცული სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების ხელშეუხებლობა საბოლოოდ 1933 წლის 28 თებერვლის გერმანიის რაიხის პრეზიდენტის დადგენილებით გაუქმდა.<sup>302</sup> შედეგად, აღნიშნულ დადგენილებაში, რომელიც ნაციონალურ-სოციალისტური რეჟიმის დაცემამდე მოქმედებდა, გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც მიმოწერის, საფოსტო, სატელეგრაფო და დისტანციური კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა დასაშვები იყო იმ შემთხვევებშიც, რომელიც არ იყო კანონით გათვალისწინებული (დადგენილების პირველი პარაგრაფის მეორე წინადადება).<sup>303</sup>

#### 5.2.1.4. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების გათვალისწინება გერმანიის ძირითად კანონში

გერმანიის რაიხის 1945 წლის კაპიტულაციის შემდეგ საფოსტო და სატელეფონო კავშირს სრულად აკონტროლებდნენ ე.წ. მოკავშირეები.<sup>304</sup> 1949 წელს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ძირითადი კანონის მიღებით, კერძოდ კი ამ კანონის მე-10 მუხლით, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებას შესაბამისი საკონსტიტუციო სამართლებრივი რანგი მიენიჭა.<sup>305</sup> ადსანიშნავია, რომ ძირითად კანონზე მუშაობისას მე-10 მუხლის მიღება არ ყოფილა საკამათო.<sup>306</sup> არ ჰქონია ადგილი დაპირისპირებას ამ მუხლის ცალკეულ გარანტიებთან დაკავშირებითაც. მხოლოდ ტერმინის - ტელეკომუნიკაცია - ენობრივმა განმარტებამ წარმოშვა დისკუსია.<sup>307</sup> საბოლოოდ, ვაიმარის რაიხის კონსტიტუციის 117-ე მუხლში ფორმულირებული სატელეგრაფო და დისტანციური

<sup>299</sup> RGB1. I 1892, S. 467.

<sup>300</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 61; Neuhaus, in: FS für Riess, 379.

<sup>301</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 61.

<sup>302</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 62; Neuhaus, in: FS für Riess, 379.

<sup>303</sup> ob.: RGB1. I 1933, S. 83; Neuhaus, in: FS für Riess, 379.

<sup>304</sup> ob.: Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 5; Neuhaus, in: FS für Riess, 380.

<sup>305</sup> ob.: Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 5.

<sup>306</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 63.

<sup>307</sup> იქვე.

კომუნიკაციის საიდუმლოება ჩაანაცვლა თანამედროვე ტერმინმა, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებამ.<sup>308</sup>

1968 წლის 24 ივნისს ძირითადი კანონის მე-17 ცვლილების ძალაში შესვლით განხორციელდა ერთადერთი ცვლილება მე-10 მუხლში, რომლის შედეგადაც ეს მუხლი ორ აბზაცად დაიყო და მეორე აბზაცს დაემატა მეორე წინადადება.<sup>309</sup> ამ ცვლილებით მე-10 მუხლმა მიიღო დღევანდელი სახე<sup>310</sup>:

1. მიმოწერის საიდუმლოება, ისევე როგორც საფოსტო და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება, ხელშეუხებელია.
2. შეზღუდვები შეიძლება გათვალისწინებული იქნეს მხოლოდ კანონის საფუძველზე. თუკი შეზღუდვა ემსახურება თავისუფალი დემოკრატიული წესრიგის დაცვას ან ფედერაციისა თუ ფედერალური მიწის არსებობას და უსაფრთხოებას, მაშინ კანონით შეიძლება განისაზღვროს, რომ აღნიშნული შეზღუდვის შესახებ ადრესატს არ უნდა ეცნობოს და სამართლებრივი საშუალების გამოყენების ნაცვლად უნდა შემოწმდეს შეზღუდვა პარლამენტის მიერ დადგენილი ორგანოების საშუალებით.

## 5.2.2. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის საგანი

სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის საგანია ტელეკომუნიკაციის ყველა ფორმა, რამდენადაც სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება მოიცავს ტელეკომუნიკაციის ყველა ფორმას; იგულისხმება შეტყობინების სახით იდენტიფიცირებული საკაბელო თუ ელექტრომაგნიტური სიგნალის გადაცემა თუ მიღება, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ხორციელდება ისეთი ტრადიციული საშუალებებით, როგორებიცაა ტელეფონი, ტელეგრამა თუ კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებით, ინტერნეტით.<sup>311</sup> როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივ დაცვას ექვემდებარება როგორც გადაცემული ინფორმაციის შინაარსი, ასევე ტელეკომუნიკაციასთან ახლოს მყოფი გარემოებები. მაგ., ფაქტი, რომ კომუნიკაცია შედგა ან იყო ამის მცდელობა.<sup>312</sup>

ამასთან, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება, რამდენადაც ის წარმოადგენს მედიასაიდუმლოებას, მოიცავს ინფორმაციასაც, რომელიც ჯერ კიდევ გადაცემის პროცესშია და აღრესატამდე არ მიუღწევია.<sup>313</sup> კომუნიკაციის ერთი მხარის მიერ გაგზავნილი სიგნალის დაჭრა შეფასდება, როგორც სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის სფეროში ჩარევა.<sup>314</sup> ამასთან, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დაცვა არ შემოიფარგლება საკომუნიკაციო ქსელში ჩარევის აკრძალვით.<sup>315</sup> სასამართლოს პოზიციის მიხედვით

<sup>308</sup> იქვე.

<sup>309</sup> ი. ხ. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 6.

<sup>310</sup> იქვე.

<sup>311</sup> ი. ხ.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 71; Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 7.

<sup>312</sup> ი. ხ.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 71.

<sup>313</sup> ი. ხ.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 72; Roxin/Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, §36, Rn. 4; Sankol, JuS 2006, 699-700.

<sup>314</sup> ი. ხ.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 72.

<sup>315</sup> იქვე.

სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვა ჯერ კიდევ არ სრულდება ადრესატი საკომუნიკაციო საშუალების მიერ ინფორმაციის მიღებით.<sup>316</sup>

ტექნიკის თანამედროვე საშუალებები ისეთ შესაძლებლობებს იძლევა, რომლებიც ნაწილობრივ კომუნიკაციის პროცესთან მჭიდროდაა დაკავშირებული, მაგრამ ადრესატისთვის მისი დეტალები ხშირ შემთხვევაში უცნობი რჩება; არ ექვემდებარება განკარგვას, ადრესატი ვერ ახდენს მასზე გავლენას.<sup>317</sup> ძირითადი უფლების ასეთი გაგების მიხედვით, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების ხელშეუხებლობა ჩარევისგან იცავს ტელეკომუნიკაციას როგორც ინფორმაციის გადაცემის ეტაპზე, ასევე ინფორმაციის მიმღებ ტექნიკურ საშუალებასთან მიმდინარე ტელეკომუნიკაციის პროცესს.<sup>318</sup>

უდავოა, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება იცავს ყველა იმ მონაცემს, რომლებიც სატელეკომუნიკაციო პროცესთან კავშირშია, როცა და რამდენადაც ის გადამცემის გავლენის სფეროში იმყოფება.<sup>319</sup> გადამცემი, ძირითადად, ქსელის ოპერატორი ანდა სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების სააგენტოა.<sup>320</sup>

თუკი სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვა მთელ ქსელზე ვრცელდება, წესით, შეიძლება, რომ იმ მონაცემებს, რომლებიც კომუნიკაციის მონაწილის გავლენის სფეროში არიან, მიენიჭოს ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცით გათვალისწინებული დაცვის უფლება; მაგრამ მაშინ, განსაკუთებით კი მულტიფუნქციური აპარატების შემთხვევაში, აუცილებელია, გაიმიჯნოს ისეთი მონაცემები, რომლებსაც ტელეკომუნიკაციასთან (უკვე) აღარაფერი აკავშირებს.<sup>321</sup> ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო განმახილად მიიჩნევს იმ ფაქტორს, თუ რამდენად საფრთხის ქვეშაა კომუნიკაციის მონაწილის გავლენის სფეროში მყოფი მონაცემები.<sup>322</sup>

### 5.2.3. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის სუბიექტები

სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის საგნის განხილვის შემდეგ უნდა განისაზღვროს სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის სუბიექტები. „მედიის დაცვა“ უნდა გულისხმობდეს მედიის ყველა ფაქტორივი მომხმარებლის დაცვას.<sup>323</sup> მაშინ, როცა ფარული მიყურადების განმახორციელებელი ორგანო არკვევს, კომუნიკაცია ინდივიდუალურია თუ მასობრივი, ფაქტორივად, უკვე არღვევს ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცის საგნობრივი დაცვის სფეროს.<sup>324</sup>

<sup>316</sup> ob. BVerfGE 106, S. 28 (37f.).

<sup>317</sup> ob. BVerfGE 106, S. 28 (38f.).

<sup>318</sup> ob.: BVerfG, Urt. v. 27.02.2008, 1 BvR 370/07, 1 BvR 595/07, Rn. 184; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 72.

<sup>319</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 72.

<sup>320</sup> იქვე.

<sup>321</sup> იქვე.

<sup>322</sup> ob.: BVerfGE 115, S. 166 (183ff.); Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 72.

<sup>323</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 73.

<sup>324</sup> იქვე.

რამდენადაც ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მესამე აბზაცის შესაბამისად, ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცით გათვალისწინებული დაცვის უფლება აქვს ყველა ფიზიკურ პირს და შიდასახელმწიფოებრივ კერძო იურიდიულ პირს,<sup>325</sup> ტელეკომუნიკაციის საიდუმლოების დაცვა არ უშეგვს კომუნიკაციის მონაწილეთა სელექციას მათი სამართლებრივი ბუნების მიხედვით.<sup>326</sup> საკამათოა საკითხი იმის შესახებ, ეს გარანტია ვრცელდება ოუ არა სატელეკომუნიკაციო კომპანიებზე.<sup>327</sup> ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მესამე აბზაცის თანახმად, ძირითადი უფლებები მოქმედებს შიდასახელმწიფოებრივ იურიდიულ პირებზეც.<sup>328</sup> ამ შემთხვევაში მხოლოდ ის უნდა გაირკვეს, ძირითადი უფლების არსიდან გამომდინარე, გამოირიცხება ოუ არა მათი გამოყენება იურიდიულ პირებზე.<sup>329</sup>

მაშინ, როცა ჯერ კიდევ გერმანიის ფედერალური ფოსტა არსებობდა, გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ საფოსტო საიდუმლოება იცავდა ფოსტას გარეშე აღმასრულებელ ორგანოთა ჩარევისაგან.<sup>330</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დაცვის უფლებამოსილებას ანიჭებდა როგორც ფოსტას, ასევე მის მომხმარებელს სახელმწიფო უწყებათა ჩარევის წინააღმდეგ.<sup>331</sup> იგივე წესი მოქმედებს სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შემთხვევაში.<sup>332</sup> ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფოსტა კეთილსინდისიერად იცავდა მისი მომხმარებლის ძირითად უფლებებს.<sup>333</sup>

გერმანელი მეცნიერის, ველპის მიხედვით, გერმანიის ფედერალური ფოსტის პრივატიზაციის შემდეგ მოხდა პრივატიზირებული კერძო სატელეკომუნიკაციო კომპანიების ინტეგრაცია ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაციის დაცვის სფეროში.<sup>334</sup> აღნიშნული გამომდინარებს სახელმწიფოსთვის კონსტიტუციით მინიჭებული საგარანტიო ფუნქციიდან და ემსახურება სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვას.<sup>335</sup> სახელმწიფომ ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონით მოსთხოვა ტელეკომუნიკაციის პროგაიდერებს სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფა და მისი დარღვევა დასჯადად გამოაცხადა.<sup>336</sup> აღნიშნული გარანტიის დაცვის მიზნით, პროგაიდერები ვალდებული არიან, მიიღონ ყველა შესაბამისი საორგანიზაციო ოუ ტექნიკური დონისძიება, რათა თავიდან იქნეს

<sup>325</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 73; შეად. BVerfGE 106, S. 28; Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 8, 9.

<sup>326</sup> ob.: Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 9.

<sup>327</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 73.

<sup>328</sup> ob.: Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 9.

<sup>329</sup> იქვე.

<sup>330</sup> ob.: BVerfGE 6, S. 299 (301); Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 10.

<sup>331</sup> ob.: BVerfGE 67, S. 157 (172).

<sup>332</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, გვ. 73.

<sup>333</sup> იქვე, 74.

<sup>334</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 74; ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ასევე, Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 10.

<sup>335</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 74; ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ასევე, Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 10.

<sup>336</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 74.

აცილებული არაუფლებამოსილი პირის და, ასევე, სახელმწიფოს მხრიდან სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებაში ჩარევა.<sup>337</sup>

ის, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად პროვაიდერები გვევლინებიან, არ გამორიცხავს ფაქტს, რომ ეს გარანტორები უზრუნველყოფენ საკონსტიტუციო სამართლებრივად აღიარებულ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვას.<sup>338</sup> თუმცა, აღსანიშნავია, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება, ისევე როგორც სხვა ძირითადი უფლებების შემთხვევაში, პირველ რიგში, სახელმწიფოს ეკისრება.<sup>339</sup>

კერძო პროვაიდერებისთვის ამ ძირითადი უფლების დაცვის მოთხოვნა გათვალისწინებულია კანონით და არაა აუცილებელი ამ საკითხის საკონსტიტუციო დონეზე მოწესრიგება.<sup>340</sup> სახელმწიფო თავის ვალდებულებას, დაიცვას კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლება და არ დაუშვას არაუფლებამოსილი პირის მისი დარღვევა, უზრუნველყოფს პროვაიდერებისგან დამოუკიდებლად; ამასთან, როგორც აღინიშნა, არაა სავალდებულო, რომ პროვაიდერსა და სახელმწიფოს შორის ე.წ. „შიდა ურთიერთობა“ საკონსტიტუციო სამართლებრივად იყოს მოწესრიგებული.<sup>341</sup>

### 5.3. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებასა და სხვა გარანტიებს შორის ურთიერთმიმართება

#### 5.3.1. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება და პირადი ცხოვრების უფლება

კონსტიტუციია უზრუნველყოფს პიროვნების კომუნიკაციურ განვითარებას საკომუნიკაციო ურთიერთობების დაცვის მთელი რიგი გარანტიების დადგენით.<sup>342</sup> საინტერესოა სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებასთან დაკავშირებული კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი გარანტიების მიმოხილვა სწორედ ამ საიდუმლოებასთან მიმართებით.

##### 5.3.1.1. პირადი ცხოვრების უფლება მისი გაგების კლასიკური ფორმით

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ პირადი ცხოვრების უფლება და სხვა ცალკეული გარანტიები ურთიერთქმედებენ, როგორც ზოგადი და სპეციალური გარანტიები.<sup>343</sup> ზოგადი წესის – „lex specialis derogat legi generali“ შესაბამისად, პირადი ცხოვრების უფლების გამოყენება მაშინ იზღუდება, როცა საქმის გარემოებების მიხედვით,

<sup>337</sup> იხ.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 74; Welp, Überwachung und Kontrolle, 2000, S. 118 f.

<sup>338</sup> იხ.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 75.

<sup>339</sup> იქვე.

<sup>340</sup> იქვე.

<sup>341</sup> იქვე.

<sup>342</sup> იქვე.

<sup>343</sup> იქვე, 75-76.

დღის წესრიგში დგება სპეციალური ნორმების გამოყენება.<sup>344</sup> კონკრეტულ შემთხვევაში კი ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველ აბზაცს პირადი ცხოვრების დაცვის სფეროში უპირატესობა ენიჭება პირადი ცხოვრების უფლებასთან მიმართებით.<sup>345</sup> ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება იცავს არა მხოლოდ შინაარსობრივად პირად შეტყობინებებს, არამედ მთლიანად კომუნიკაციას, როგორც ტექნიკურ პროცესს, რომელიც ინფორმაციის გადაცემის განსაზღვრული მეთოდებით ხორციელდება.<sup>346</sup> განხორციელებული კომუნიკაციიდან მხოლოდ ისეთი მონაცემების გამორჩევა, რომლებიც პირადი ცხოვრების სფეროს მიეკუთვნება, თავის მხრივ, უკვე წარმოადგენს საიდუმლოების დაცვის დარღვევას.<sup>347</sup> მიტომაცაა, რომ ძირითადი კანონის მე-10 მუხლი უფრო მოცულობით და შინაარსობრივად სწორ დაცვას უზრუნველყოფს.<sup>348</sup>

ადსანიშნავია, რომ პირადი ცხოვრების უფლებისა და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების გადაკვეთის წერტილში ტელეკომუნიკაციით გადაცემულ შეტყობინებებზე პირადი ხასიათის შემცველი ინფორმაციის რეჟიმი ვრცელდება მანამდე, ვიდრე მათ კომუნიკაციის მონაწილე არ შეინახავს, არ მოექცევა მათი გავლენის სფეროში.<sup>349</sup> ტელეკომუნიკაციის შინაარსის, მაგ., სატელეფონო საუბრის შემთხვევაში, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვას ენიჭება უპირატესობა ინფორმაციულ თვითგამორკვევისა და, ასევე, ნათქვამი სიტყვის განკარგვის შესახებ უფლებასთან მიმართებით.<sup>350</sup> ტელეკომუნიკაციასთან ახლოს მყოფი გარემოებების შემთხვევაში კი სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება გადაფარავს მხოლოდ ინფორმაციული თვითგამორკვევის შესახებ უფლებას.<sup>351</sup>

### 5.3.1.2. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების გამიჯვნა საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობისა და სანდოობის უზრუნველყოფის ძირითად უფლებასთან

სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება და საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობისა და სანდოობის უზრუნველყოფის ძირითადი უფლება მკეთრად გამიჯვნა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ.<sup>352</sup> ამ უკანასკნელი ძირითადი უფლების შემთხვევაში საქმე ეხება საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ფარული მიუურადებისგან იმ მონაცემების დაცვის უზრუნველყოფას, რომლებსაც ტელეკომუნიკაციის დასრულების

<sup>344</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 25.

<sup>345</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 76; Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 25; შეად. Düring, in: Maunz/Düring, Art.10, Rn. 29.

<sup>346</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 25.

<sup>347</sup> იქვე.

<sup>348</sup> ob.: Dorsch Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 25; Kruipe-Gescher, Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 19; შეად. BVerfGE 65, 1, 44f.; BVerfGE 100, 313, 359, 375ff.

<sup>349</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 76.

<sup>350</sup> იქვე.

<sup>351</sup> იქვე.

<sup>352</sup> იქვე.

შემდეგ მონაწილის მიერ არის შენახული, მისი გავლენის სფეროშია; ეს იმ შემთხვევაში, როცა მონაწილეს თავად შეეძლო ფარული ჩარევის წინააღმდეგ დაცვის ზომების მიღება.<sup>353</sup> აღსანიშნავია, რომ ეს ძირითადი უფლება იცავს ფარული მიყურადებისგან საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის მოხმარებას, როგორც ასეთს, სატელეკომუნიკაციო ასპექტის გარეშე;<sup>354</sup> ასევე, კრძალავს მეხსიერების ბარათების ჩხრევას, მათ შორის ონლაინ ჩარევის გზით წარმოებულს.<sup>355</sup> ამ შემთხვევებში გამოიყენება მხოლოდ საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობისა და სანდოობის უზრუნველყოფის ძირითადი უფლება, რამდენადაც, მიიჩნევა, რომ სახეზე ჯერ არაა სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის სფერო.<sup>356</sup>

დიად რჩება საკითხი, თუ რა ურთიერთობაში არიან ძირითადი უფლებები სხვადასხვაგვარი შინაარსის მქონე ღონისძიებების განხორციელებისას, რომელთა საშუალებითაც მოიპოვებენ როგორც სატელეკომუნიკაციო ასპექტის მქონე, ასევე მის გარეშე არსებულ მონაცემებს.<sup>357</sup> აღნიშნული ეხება, უპირველესად, ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა, მაგ. ე.წ. ტელეკომუნიკაციის წყაროს ფარული მიყურადება (Quellen-Telekommunikationsüberwachung).<sup>358</sup> ამ ღონისძიების დროს გამოძიების ორგანო ახერხებს, დაძლიოს კოდირების მექანიზმი,<sup>359</sup> რომელიც განსაკუთრებით აქტიურად ინტერნეტელეფონის შემთხვევაში გამოიყენება.<sup>360</sup> შედეგად, შესაძლებელი ხდება კომუნიკაციის დროს გადაცემული ინფორმაციის მონიტორინგი როგორც მის კოდირებამდე, ასევე მისი კოდის მოხსნის შემდეგ.<sup>361</sup> გამოძიების ორგანოს ამისთვის სჭირდება კომუნიკაციის მინიმუმ ერთი მონაწილის საკომუნიკაციო მოწყობილობის სისტემაში შეღწევა; ამ მიზნით ფარულად ინსტალირდება მასში პროგრამული უზრუნველყოფა, რის შედეგადაც გამოძიების ორგანოებს მიეწოდებათ სასურველი ინფორმაცია.<sup>362</sup>

<sup>353</sup> ი. ა. BVerfG, Urt. v. 27.02.2008, 1 BvR 370/07, 1 BvR 595/07, Rn. 185; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 76.

<sup>354</sup> ი. ა. BVerfG, Urt. v. 27.02.2008, 1 BvR 370/07, 1 BvR 595/07, Rn. 190; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 77.

<sup>355</sup> ი. ა. BVerfG, Urt. v. 27.02.2008, 1 BvR 370/07, 1 BvR 595/07, Rn. 186; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 77.

<sup>356</sup> ი. ა. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 77.

<sup>357</sup> იქვე.

<sup>358</sup> იქვე; როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 2017 წლის აგვისტოში სსსკ-ში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე გაფართოვდა ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ფარგლები და მან მოიცვა ე.წ. ტელეკომუნიკაციის წყაროს ფარული მიყურადება (გერმანულად "Quellen-Telekommunikationsüberwachung"), ი. ა. BGBL. I S.

<sup>359</sup> [https://www.bgb.de/xaver/bgb/start.xav#\\_bgb\\_%2F%2F%5B%40attr\\_id%3D%27bgb1117s3202.pdf%27%5D\\_1533540915395](https://www.bgb.de/xaver/bgb/start.xav#_bgb_%2F%2F%5B%40attr_id%3D%27bgb1117s3202.pdf%27%5D_1533540915395), უკანასკნელად გადამოწმებულია 07.08.2018; ბუნდესთაგის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის რეკომენდაცია და ანგარიში, 48-53, <http://dipbt.bundestag.de/dip21/btd/18/127/1812785.pdf>, უკანასკნელად გადამოწმებულია 07.08.2018.

<sup>360</sup> შეად. Paeffgen, in: FS für Roxin, 1316-1317.

<sup>361</sup> იქვე. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 77.

<sup>362</sup> იქვე.

ე.წ. ტელეკომუნიკაციის წყაროს ფარულ მიუურადებას აქამდე ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა.<sup>363</sup> აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2007 წლის 27 სექტემბრამდე ჯერ კიდევ არ ყოფილა ამ ღონისძიების შესახებ დადგენილება მიღებული; თუმცა, საბაჟო საგამოძიებო სამსახურის მიერ წარმოებულ საგამოძიებო პროცესში ამ ტიპის 2 ღონისძიების, როგორც ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების შესახებ გაცემულ იქნა მოსამართლის ბრძანება,<sup>364</sup> რადგანაც ბოლო პერიოდში ფართოდ გავრცელდა ინტერნეტელეფონით სარგებლობა, გაიზარდა ე.წ. ტელეკომუნიკაციის წყაროს ფარული მიუურადების მნიშვნელობაც.<sup>365</sup>

ჩვეულებრივი, ქსელური კომუნიკაციისგან განსხვავებით, ტელეკომუნიკაციის წყაროს ფარული მიუურადების დროს ძირითად უფლებებში ჩარევა უფრო ინტენსიურია, რამდენადაც, მაგ., კომპიუტერულ სისტემაში შეღწევით საგამოძიებო ორგანოსთვის ხელმისაწვდომი ხდება ტექნიკური მოწყობილობის მეხსიერებაში არსებული სხვა სახის ინფორმაციაც,<sup>366</sup> რომლის მოპოვება ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების მიზანს არ წარმოადგენდა.<sup>367</sup>

პროგრამული უზრუნველყოფის მოქმედების სფერო მოიცავს მონაცემთა მოპოვებას კოდირებამდე ან კოდირების შემდეგ და შემდგომში მონაცემთა კოდირებულ გადაცემას.<sup>368</sup> ამასთან, აუცილებელია, ტელეკომუნიკაციის წყაროს ფარული მიუურადების დროს მოპოვებულ იქნას მხოლოდ ისეთ მონაცემები, რომლებიც ტელეკომუნიკაციის ობიექტს<sup>369</sup> წარმოადგენს.<sup>370</sup>

ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ტელეკომუნიკაციის წყაროს ფარული მიუურადების შედეგად შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის მოპოვება, როგორებიცაა, მაგალითად, პერსონალური კომპიუტერის მოხმარების დროს პირის ქმედება, კომპიუტერის საშუალებით განსაზღვრული მომსახურებით სარგებლობის სიხშირე, ასევე გამოყენებული მონაცემების შინაარსი თუ საკუთარ ბინაში პირის მოქმედება.<sup>371</sup>

ამიტომაც, ტელეკომუნიკაციის წყაროს ფარულ მიუურადებაში არსებობს განსაკუთრებული საშიშროება პირადი ცხოვრების

<sup>363</sup> იქნ.

<sup>364</sup> ი. ა. BT – Drs. 16/6572, S. 9; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 77.

<sup>365</sup> ი. ა. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 77.

<sup>366</sup> ი. ა. ბუნდესთაგის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის რეკომენდაცია და ანგარიში, 51, <http://dipbt.bundestag.de/dip21/btd/18/127/1812785.pdf>, უკანასწელად გადამოწმებულია 07.08.2018.

<sup>367</sup> ი. ა. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 78.

<sup>368</sup> ი. ა. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 78; შეად. Paeffgen, in: FS für Roxin, 1316-1317.

<sup>369</sup> ა. ე. იგულისხმება ტელეკომუნიკაციის შინაარსი, ი. ა. BT – Drs. 6885, S. 2; შეად. ბუნდესთაგის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის რეკომენდაცია და ანგარიში, 53, <http://dipbt.bundestag.de/dip21/btd/18/127/1812785.pdf>, უკანასწელად გადამოწმებულია 07.08.2018.

<sup>370</sup> ი. ა. BT – Drs. 6535, S. 8; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 78.

<sup>371</sup> ი. ა. BVerfG, Urt. v. 27.02.2008, 1 BvR 370/07, 1 BvR 595/07, Rn.188.

საიდუმლოების დაცვის თვალსაზრისით, რომელსაც ვერ მოიცავს, ან სრულად ვერ მოიცავს ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცი.<sup>372</sup> ამით წარმოჩნდება პირადი ცხოვრების უფლების წინაშე არსებული საფრთხეები, რომელთაც სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის უფლება სრულად ვერ ასახავს.<sup>373</sup> აქ, ე.წ. კლასიკურ გარანტიებთან ერთად, იზღუდება საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობისა და სანდოობის უზრუნველყოფის ძირითადი უფლებაც.

ეს ყველაფერი კი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება და საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობისა და სანდოობის უზრუნველყოფის ძირითადი უფლება ერთმანეთის გვერდით დგანან, ავსებენ ერთმანეთს.<sup>374</sup>

ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ხელშეუხებლობისა და სანდოობის უზრუნველყოფის ძირითადი უფლების განსაზღვრება საჭიროდ მიიჩნია, რადგან ნათელი გახდა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიის სწრაფი განვითარების შედეგად აღარ არსებობდა პირადი ცხოვრების უფლების დაცვის საკმარისი გარანტიები.<sup>375</sup>

### 5.3.2. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება და ძირითადი კანონის მე-5 მუხლი

ძირითადი კანონის მე-5 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც უმოავრესად იცავს აზრის თავისუფალი გამოხატვის, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებას, მოკლედ უნდა აღინიშნოს, რომ ის და მე-10 მუხლის პირველი აბზაცი უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ძირითადად ერთმანეთის გვერდით დგანან, ისე, რომ არ კვეთებ ერთმანეთს.<sup>376</sup> იმ შემთხვევაში, თუ მე-5 მუხლით დაცული თავისუფალი კომუნიკაცია ხორციელდება სატელეკომუნიკაციო საშუალებით, მაშინ მისი სანდოობა დაცული იქნება სპეციალური ნორმით, ე.ი. მე-10 მუხლის პირველი აბზაცით.<sup>377</sup>

## 5.4. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

ტელეკომუნიკაციის შინაარსისა და ძირითადი კანონის მე-10 მუხლის დაცვის სფეროს უკეთ გაანალიზებისათვის მიზანშეწონილია გერმანიის სასამართლო პრაქტიკის განხილვა. ამ მიზნით საინტერესოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე არსებითი გადაწყვეტილების წარმოდგენა, რომლებშიც ასახულია

<sup>372</sup> ი. მ. BVerfG, Urt. v. 27.02.2008, 1 BvR 370/07, 1 BvR 595/07, Rn. 189; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 78.

<sup>373</sup> ი. მ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 79.

<sup>374</sup> იქვე, 78, 79.

<sup>375</sup> ი. მ. BVerfG, Urt. v. 27.02.2008, 1 BvR 370/07, 1 BvR 595/07, Rn. 201; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 79.

<sup>376</sup> ი. მ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 82.

<sup>377</sup> იქვე.

სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის უფლების შესახებ.

#### 5.4.1. გადაწყვეტილება „სტრატეგიული კონტროლი I”

ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცის და, განსაკუთრებით, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების ცალკეულ გარანტიათა შესახებ ფუნდამენტური შეხედულება მოცემულია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1984 წლის ამ გადაწყვეტილებაში.<sup>378</sup> სასამართლო სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების ფუნქციის შესახებ განმარტავს, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლო იცავს თითოეული პიროვნების უფლებას არა მარტო საფოსტო უწყების მიერ ჩარევისგან, არამედ, როგორც მოქალაქეს, თავად საფოსტო უწყებას სხვა სახელმწიფო სტრუქტურის მხრიდან მათ უფლებებში შესაძლო ჩარევისგანაც.<sup>379</sup> სასამართლო განმარტავს, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება იცავს როგორც კერძო, ასევე საქმიან დისტანციურ კომუნიკაციას საჯარო ხელისუფლების ჩარევისგან.<sup>380</sup> აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილებაში საკითხისადმი მიღებოდა განიხილება მხოლოდ საფოსტო უწყების მიერ განხორციელებული დისტანციური კომუნიკაციის მაგალითზე.<sup>381</sup>

#### 5.4.2. გადაწყვეტილება „სატელეფონო მრიცხველის მონაცემთა შედარება”

1992 წელს ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში იმსჯელა საკითხზე, ჩაითვლება თუ არა ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცის დარღვევად ფედერალური ფოსტის მიერ სატელეფონო საუბრის მონაცემთა მოპოვება ანონიმური ნომრის ამომცნობისა თუ სატელეფონო მრიცხველის მონაცემთა შედარების მოწყობილობის გამოყენებით.<sup>382</sup> აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლო განმარტავს, რომ გერმანიის ფედერალური ფოსტის მიერ სატელეფონო საუბრის მონაცემთა ამგვარი მოპოვება და სასამართლოს მიერ მათი გამოყენება შემხებლობაშია სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებასთან.<sup>383</sup> გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცი მიეკუთვნება იმ ძირითად უფლებებს, რომლებიც პირადი ცხოვრების სფეროს იცავს.<sup>384</sup> დაცვის საგანს წარმოადგენს კომუნიკაცია, რომელიც მონაწილეთა სივრცითი დისტანციის გამო მესამე მხარის (როგორც წესი, საფოსტო უწყების) მიერ განხორციელებულ ტრანსფერზეა

<sup>378</sup> BVerfGE 67, 157.

<sup>379</sup> იბ. BVerfGE 67, 157 (172).

<sup>380</sup> იქვე.

<sup>381</sup> იბ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 105.

<sup>382</sup> იბ. BVerfGE 85, 385.

<sup>383</sup> იბ. BVerfGE 85, 385 (395 f.).

<sup>384</sup> იქვე.

დამოკიდებული. <sup>385</sup> ძირითადი უფლების დაცვა კომუნიკაციის სანდოობის მიზნით ყველა იმ რისკს უნდა ამცირებდეს, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციის გადამცემის, ტრანსფერის განმახორციელებლის ჩარევით შეიძლება იყოს გამოწვეული. <sup>386</sup>

სასამართლო განმარტავს, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი პრაქტიკის არსებობისას, როცა სახელმწიფო როგორც საკუთარი, ასევე მისი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებაზე აპელირებით პირად კომუნიკაციაში ერევა. <sup>387</sup>

#### 5.4.3. გადაწყვეტილება „სტრატეგიული კონტროლი II”

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო შეეხო გერმანიის ფედერალური უშიშროების სამსახურის უფლებამოსილებას სტრატეგიული სატელეკომუნიკაციო კონტროლის განხორციელების დროს. <sup>388</sup>

ამ სასამართლო გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ საჯარო ხელისუფლებას, როგორც წესი, არ უნდა ჰქონდეს სატელეკომუნიკაციო საშუალებებით როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით გადაცემული ინფორმაციის უპირობო გაცნობის შესაძლებლობა. <sup>389</sup> ამასთან, აღსანიშნავია, რომ ძირითადი კანონის მე-10 მუხლი არ განასხვავებს ერთმანეთისგან პირად თუ სხვა სახის კომუნიკაციას, როგორიცაა მაგალითად, საქმიანი ან პოლიტიკური შინაარსის მქონე. <sup>390</sup> ძირითადი უფლების დაცვა უფრო მეტად მიმართულია ყველა კომუნიკაციაზე, რომლებიც სატელეკომუნიკაციო ტექნიკის საშუალებით ხორციელდება. <sup>391</sup>

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, გამომდინარე იქიდან, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების ხელშეუხებლობა საკონსტიტუციო სამართლებრივად არის გარანტირებული, თავიდან უნდა იქნეს აცილებული აზრისა თუ ინფორმაციის გაცვლის ყოველგვარი შეზღუდვა, შეფერხება, მისი ფორმისა თუ შინაარსის შეცვლა, რასაც იწვევს კომუნიკაციაში სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო ჩართულობის ვარაუდი. <sup>392</sup>

ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი სასამართლოს იმ პოზიციას, რომ სატელეკომუნიკაციო კონტროლის დიფერენცირება არ ხდება კომუნიკაციის შინაარსის მიხედვით. <sup>393</sup>

<sup>385</sup> ob. BVerfGE 85, 385 (395 f.); *Günther*, NStZ 2005, 488.

<sup>386</sup> ob. BVerfGE 85, 385 (395 f.).

<sup>387</sup> იქვე.

<sup>388</sup> ob. BVerfGE 100, 313.

<sup>389</sup> ob. BVerfGE 100, 313 (358).

<sup>390</sup> ob. BVerfGE 100, 313 (358); შეად. BVerfGE 67, 157 (172).

<sup>391</sup> ob. BVerfGE 100, 313 (358); *Günther*, NStZ 2005, 488.

<sup>392</sup> ob. BVerfGE 100, 313 (359).

<sup>393</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 107.

ასევე, გამოიკვეთა გარკვეული ტენდენცია, რომ საკმაოდ ფართო დაცვის სფეროს მქონე სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება განისაზღვრება მხოლოდ ტექნიკური მხარის გათვალისწინებით.<sup>394</sup>

#### 5.4.4. გადაწყვეტილება „მოწმე, რომელიც ესწრება სატელეფონო საუბარს“

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება ემსახურება ადამიანის პიროვნულ განვითარებას იმ ურთიერთობის დახმარებით, რომელიც კომუნიკაციის საშუალებით ხორციელდება.<sup>395</sup> ამასთან, მნიშვნელობა არ ენიჭება არც კომუნიკაციის შინაარსს და არც გამოყენებული ტექნიკის სახეობას.<sup>396</sup> სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება მოიცავს სატელეკომუნიკაციო ტექნიკის საშუალებით განხორციელებული ინფორმაციის გადაცემის ყველა აქტს.<sup>397</sup>

აქ სასამართლო არ აკონკრეტებს ინფორმაციის გადაცემის სახეობასა და გამოხატვის ფორმებს; ის მაგალითისათვის ჩამოთვლის მხოლოდ რამდენიმეს, როგორებიცაა კომუნიკაციის საკაბელო, რადიო თუ ციფრული საშუალებები; ინფორმაციის სახეობებს შორის კი აღნიშნავს გერბალურ, ფოტო, ხმოვან და სხვა გამოხატვის ფორმებს.<sup>398</sup>

პირისპირ საუბრისგან განსხვავებით, ტელეკომუნიკაციის მონაწილეებს არ აქვთ შესაძლებლობა, მხოლოდ მათ განსაზღვრონ კომუნიკაციის პირობები; ისინი, ასევე, ვერ აკონტროლებენ კომუნიკაციაში მონაწილეთა რიცხვს და ვერც იმას, დაცულია თუ არა მათი პირადი ცხოვრება.<sup>399</sup> აქედან გამომდინარე, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება იცავს კომუნიკაციის სანდოობას ყველა იმ საფრთხისგან, რომლებიც წარმოიშობა ინფორმაციის გადაცემისას; აქ, პირველ რიგში, იგულისხმება კომუნიკაციაში უცხო პირთა ჩართვა.<sup>400</sup>

ამ გადაწყვეტილებით ორ მომენტს გაესვა ხაზი: პირველი, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მხარს უჭერს სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების ე.წ. ტექნიკურ გაგებას; მეორე - ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაციოთ გათვალისწინებული დაცვის განხორციელებისთვის არაა აუცილებელი უცხო პირის ჩართვა

<sup>394</sup> იქვე.

<sup>395</sup> ob. BVerfGE 106, 28 (35).

<sup>396</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 109.

<sup>397</sup> ob. BVerfGE 106, 28 (36).

<sup>398</sup> იქვე.

<sup>399</sup> იქვე.

<sup>400</sup> იქვე.

კომუნიკაციაში.<sup>401</sup> აღნიშნული გარემოება არის მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველი.<sup>402</sup>

#### 5.4.5. გადაწყვეტილება „სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემები”

ამ გადაწყვეტილებაში გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებას განმარტავს წინა გადაწყვეტილებების – BVerfGE 100, 313 და BVerfGE 106, 28 შესაბამისად.<sup>403</sup> აღნიშნულ გადაწყვეტილებებზე მითითებით, სასამართლოს სენატი განსაზღვრავს, რომ ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცის დაცვა მოიცავს სატელეკომუნიკაციო ტექნიკის საშუალებით განხორციელებული ინფორმაციის გადაცემის ყველა აქტს, იმის მიუხედავად, თუ ვინაა ინფორმაციის გადამცემი მოწყობილობის ოპერატორი.<sup>404</sup>

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამით აღიარებს სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის სფეროს ძალიან ფართო დეფინიციას.<sup>405</sup> თვალში საცემია ის მომენტი, რომ სასამართლო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში - BVerfGE 106, 28 (36) ჩამოყალიბებულ ფორმულირებას უბრუნდება, იყენებს რა ტერმინს „ინფორმაციის გადაცემა“.<sup>406</sup>

ლიად რჩება საკითხი იმის შესახებ, ინფორმაცია ითვლება თუ არა მონაცემთა გადაცემის ობიექტად, თუ ინფორმაციის გადაცემა მნიშვნელოვანია მხოლოდ, როგორც საკომუნიკაციო პროცესის შედეგი.<sup>407</sup>

#### 5.4.6. გადაწყვეტილება „მოწყობილობის მეხსიერებიდან მონაცემთა მიღება I”

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლომ თავის მეტად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში,<sup>408</sup> რომელიც ეხებოდა მობილური ტელეფონის SIM-ბარათიდან საპროცესო-სამართლებრივი წესით ამოღებული მონაცემების მოპოვებას, ძალიან ფართოდ განმარტა ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცის დაცვის სფერო.<sup>409</sup> სასამართლოს მიერ მანამადე არსებულ გადაწყვეტილებებში

<sup>401</sup> Ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 109.

<sup>402</sup> იქვე.

<sup>403</sup> იქვე, 110; BVerfGE 107, 299.

<sup>404</sup> Ob.: BVerfGE 107, 299 (313); Günther, NStZ 2005, 488.

<sup>405</sup> Ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 110.

<sup>406</sup> იქვე.

<sup>407</sup> იქვე.

<sup>408</sup> Ob. BVerfG NStZ 2005, 337.

<sup>409</sup> Ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 111.

წარმოჩენილი პოზიცია, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება იცავს კომუნიკაციის არა მარტო შინაარსს, არამედ მასთან ახლოს მყოფ გარემოებებს, ამ გადაწყვეტილებაშიც შენარჩუნებულია; უფრო მეტიც, სასამართლომ მობილურ ტელეფონში და მის SIM–ბარათზე შენახული მონაცემებიც მიაკუთვნა სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის სფეროს.<sup>410</sup>

#### 5.4.7. გადაწყვეტილება „მოწყობილობის მეხსიერებიდან მონაცემთა მიღება II”

ისევე, როგორც ზემოთ განხილულ გადაწყვეტილებაში,<sup>411</sup> გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 2 მარტს მიღებულ გადაწყვეტილებაში იმსჯელა ძირითადი კანონის მე-10 მუხლის დაცვის სფეროზე.<sup>412</sup> აქაც საქმის გარემოება ეხებოდა ბრალდებულის მობილური ტელეფონის ამოდების შედეგად მის SIM–ბარათზე შენახული ინფორმაციის მოპოვებას.<sup>413</sup> როგორც მანამდე<sup>414</sup>, ახლაც კამათის საგანს წარმოადგენდა ის გარემოება, მიეკუთვნება ოუ არა მობილურ ტელეფონში შენახული მონაცემები ძირითადი კანონის მე-10 მუხლის დაცვის სფეროს.<sup>415</sup>

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ ძირითადი კანონის მე-10 მუხლი იცავს კერძო დისტანციურ კომუნიკაციას; მიმოწერის, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება უზრუნველყოფს ინდივიდუალური კომუნიკაციის სანდობას, რამდენადაც აღნიშნულ კომუნიკაციაში სიგრცითი დისტანციის გამო შესაძლოა ჩაერიოს მესამე პირი, სახელმწიფო ორგანოების ჩათვლით.<sup>416</sup> მიმოწერის, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება წარმოადგენს პირადი ცხოვრების სფეროს დაცვის არსებით შემადგენელ ნაწილს; ის იცავს ინფორმაციის არასასურველ მოპოვებას და უზრუნველყოფს დისტანციურად წარმოებული პირადი ცხოვრების დაცვას.<sup>417</sup>

სასამართლო, ამასთანავე, აღნიშნავს, რომ ძირითადი კანონის მე-10 მუხლით გარანტირებული უფლება ღიაა ახალი გამოწვევების მიმართ; ის კოცელდება ინფორმაციის გადაცემის ნებისმიერ ფორმაზე, რომელიც

<sup>410</sup> იქვე.

<sup>411</sup> იხ. BVerfG NStZ 2005, 337.

<sup>412</sup> იხ. BVerfGE 115, 166.

<sup>413</sup> იქვე.

<sup>414</sup> იხ. BVerfG NStZ 2005, 337.

<sup>415</sup> იხ. BVerfGE 115, 166 (182).

<sup>416</sup> იქვე.

<sup>417</sup> იქვე.

სორციელდება თანამედროვე ტექნიკის დახმარებით.<sup>418</sup> აქ საუბარი არაა ინფორმაციის გადაცემის კონკრეტულ ფორმაზე.<sup>419</sup>

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ ტელეკომუნიკაციის განხორციელებას თან ახლავს კონფიდენციალურობის დაკარგვის საფრთხე; კომუნიკაციის მხარეებმა მხედველობაში უნდა მიიღონ საკომუნიკაციო მედიის ტექნიკური მხარე და უნდა ენდონ კომუნიკაციის განმახორციელებელ ორგანოს.<sup>420</sup> ამით იკვეთება ის მომენტი, რომ ძირითადი კანონის მე-10 მუხლის დაცვა უფუძნება ტექნიკურ და პერსონალურ კომპონენტებს.<sup>421</sup>

#### 5.4.8. შეჯამება

ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ 1983 წელს თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში გამაფრთხილებელი დათქმა გააკეთა, რომ მოქალაქეს, ფაქტობრივად, ადარ ხელეწიფება საკონსტიტუციო სამართლებრივად გარანტირებული უფლებების დაცვა, თუკი ის დაკარგვს კონტროლს იმაზე, თუ ვინ, რის შესახებ, როდის და რა გარემოებებში ფლობს მის შესახებ ინფორმაციას.<sup>422</sup>

სატელეფონო კომუნიკაციის ზემოთ განხილული საკონსტიტუციო სამართლებრივი დაცვის გარანტიები ცხადყოფს აღნიშნული საიდუმლოების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სახელმწიფოს მხრიდან მისი დაცვის სავალდებულოობას. ამასთან, გამოიკვეთა სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის სფეროს დიდი მასშტაბი და პრობლემურობა.

განხილული სასამართლო გადაწყვეტილებებიდან ჩანს, რომ გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს მკვეთრად გამოხატული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, ძირითადი კანონის მე-10 მუხლის პირველი აბზაცის დაცვის სფეროს მიკუთვნებისათვის საჭიროა თუ არა ტექნიკური გადამცემის ჩართვა კომუნიკაციაში. სასამართლოს მიერ გაკეთებული ფორმულირება, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება უკავშირდება საკომუნიკაციო მედიის საშუალებებს,<sup>423</sup> თავის მხრივ, გაგებული უნდა იყოს, როგორც მითითება საკონსტიტუციო სამართლებრივი დაცვის ე.წ. ფორმალიზებაზე.<sup>424</sup>

ადსანიშნავია, რომ ძირითადი კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრული ძირითადი უფლების დაცვის სფეროსთან დაკავშირებით ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს თავდაპირველად

<sup>418</sup> იქვე, 115, 166 (182 f.).

<sup>419</sup> იქვე.

<sup>420</sup> იქვე.

<sup>421</sup> ი. ხ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 113.

<sup>422</sup> ი. ხ. BVerfGE 65, 1, 43; Zöller, ZStW 2012, 418.

<sup>423</sup> ი. ხ. BVerfGE 115, 166 (184).

<sup>424</sup> ი. ხ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 114.

მხედველობაში ჰქონდა ინფორმაციის არა მხოლოდ ტექნიკური გადაცემა, არამედ სახელმწიფო ფოსტის მიერ წარმოებული მასალის მოცულობაც.<sup>425</sup>

## 5.5. სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შეზღუდვა

გერმანული სამართლებრივი სისტემა აპრიორი არ უშვებს სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებაში ჩარევას, არამედ აღნიშნულს მიიჩნევს სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვის პრინციპიდან გამონაკლისად.<sup>426</sup> გერმანიის ძირითადი კანონის მე-10 მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადადების მიხედვით, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით.<sup>427</sup> ამასთან, თუ სხვა ძირითადი უფლების შეზღუდვის შემთხვევაში საკმარისია კანონით განსაზღვრული რეგულაცია, რომელიც საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზანს ემსახურება და თანაზომიერების პრინციპს იცავს,<sup>428</sup> სატელეკომუნიკაციო საიდუმლოს შეზღუდვის შემთხვევაში ამ პირობებთან ერთად, ძირითადი კანონის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, დადგენილია, ასევე, განსაკუთრებული მოთხოვნები.<sup>429</sup>

ამ მოთხოვნებს მიეკუთვნება ის, რომ სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შეზღუდვის წინაპირობები და მოცულობა ცხადად და ყველასათვის გასაგებად უნდა იყოს კანონში ჩამოყალიბებული.<sup>430</sup> ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ზედმიწევნით განისაზღვროს სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შეზღუდვის მიზანი. განხორციელებული ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალა კი აღნიშნული მიზნისათვის აუცილებელი და ვარგისი უნდა იყოს.<sup>431</sup> ასე რომ, მონაცემთა თადარიგში შენახვა განუსაზღვრელი ანდა ჯერ კიდევ განუსაზღვრელი მიზნით დაუშვებელია; მოპოვებული მასალის როგორც შენახვა, ასევე მისი გამოყენება სავალდებულოდ არის ამ ღონისძიების მიზანთან დაკავშირებული.<sup>432</sup>

სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შეზღუდვაზე საუბრისას დაწვრილებით უნდა იყოს განხილული თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე სამართლებრივი მოთხოვნები.

### 5.5.1. თანაზომიერების პრინციპი

თანაზომიერების პრინციპს საკონსტიტუციო-სამართლებრივი რანგი აქვს.<sup>433</sup> ის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ყველა

<sup>425</sup> იქვე.

<sup>426</sup> იბ. Lehmann, Die Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs, 1978, S. 5.

<sup>427</sup> იბ.: Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation , 2005, S. 12; BVerfGE 100, 313 (372).

<sup>428</sup> იბ. BVerfGE 100, 313 (372).

<sup>429</sup> იბ. BVerfGE 100, 313 (372); Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation , 2005, S. 12.

<sup>430</sup> იბ. BVerfGE 100, 313 (372).

<sup>431</sup> იქვე.

<sup>432</sup> იქვე.

<sup>433</sup> იბ. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 44.

დონისძიებისთვის ძირითადი და მნიშვნელოვანი პრინციპია,<sup>434</sup> რომელიც სახელმწიფო-სამართლებრივი პრინციპიდან გამომდინარებს<sup>435</sup> და ძირითად უფლებებში ჩარევის ბარიერს ქმნის<sup>436</sup>. ის, კანონით დადგენილ სპეციალურწინაპირობებთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს ძირითადი უფლების შემზღვდებული უკელა საპროცესო სამართლებრივი დონისძიების ჩატარებისას.<sup>437</sup> საგულისხმოა, რომ კონსტიტუციით გარანტირებულ ძირითად უფლებაში საპროცესო სამართლებრივი ჩარევა<sup>438</sup> ყოველთვის დაუშვებელია, თუკი ის არ შეესაბამება თანაზომიერების პრინციპს.<sup>439</sup>

ძირითად უფლებებში ჩარევა კი მხოლოდ მაშინაა თანაზომიერი, როცა ის არის ვარგისი, აუცილებელი და თანაზომიერი ვიწრო გაგებით.<sup>440</sup>

მნიშვნელოვანია, თანაზომიერების პრინციპის სამივე ელემენტის მოკლედ განხილვა.

### 5.5.1.1. ვარგისიანობა

ზოგადად, თანაზომიერების პრინციპი მოითხოვს, რომ საპროცესო სამართლებრივი ჩარევა, ყველა კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი და პერსონალური გარემოებების გათვალისწინებით, დასახული მიზნის მისაღწევად ვარგისი იყოს.<sup>441</sup> დონისძიება ვერ ჩაითვლება ვარგისად, თუკი ის მიზნის მიღწევას ვერ უზრუნველყოფს.<sup>442</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებული დონისძიებები არ უნდა იყოს თავიდანვე გამოუსადეგარი, სასურველი შედეგის მისაღწევად ისინი უნდა იყოს ეფექტიანი, ვარგისი.<sup>443</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ 100a პარაგრაფის შემოტანით კანონმდებელი იმედოვნებდა, რომ ამით განხორციელდებოდა ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა მძიმე დანაშაულის შემთხვევებში,<sup>444</sup> რამდენადაც მანამდე არსებული საკანონმდებლო რეგულაცია არასაკმარისად იქნა მიჩნეული.<sup>445</sup> იმის დასადგენად, არის თუ არა

<sup>434</sup> ob. Zöller, StraFo 2008, 20.

<sup>435</sup> ob. BVerfGE 6, 389, 439; 16, 194, 201 f., 23, 127, 133; 35, 382, 410; 37, 167, 185.

<sup>436</sup> ob. Lehmann, Die Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs, 1978, S. 53.

<sup>437</sup> ob. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 45.

<sup>438</sup> ძირითად უფლებაში სისხლის საპროცესო სამართლებრივი ჩარევის დოგმატიკის საკითხთან დაკავშირებით იხ. Amelung, JZ 1987, 737ff.

<sup>439</sup> ob. Kühne, Strafprozessrecht, 2010, Rn. 406; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 45; BVerfGE 16, 194; 17, 108; 20, 162, 186; 27, 211, 219; 30, 1.

<sup>440</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 13.

<sup>441</sup> ob.: Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 45; Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 13; შეად. Lehmann, Die Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs, 1978, S. 55, 56.

<sup>442</sup> ob. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 45.

<sup>443</sup> ob.: BVerfGE 67, 157, 175; Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 13.

<sup>444</sup> შეად. BT-Drs. V/1880, 7 f.; Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 13.

<sup>445</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 13.

ტელეკომუნიკაციის ფარული მიუწრადების ღონისძიებები ფაქტობრივად ვარგისი, კანონის შემფარდებელს მიენიჭა შეფასების პრეროგატივა.<sup>446</sup> ამასთან, კანონის შეფარდების დონეზე შესაძლოა, რომ ღონისძიების ვარგისიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საპროცესო სამართლებრივი ღონისძიებების ჩატარების საფუძველზე დადგინდეს.<sup>447</sup>

### 5.5.1.2. აუცილებლობა

ძირითად უფლებაში ჩარევის კანონით განსაზღვრული აუცილებლობა არ იქნება სახეზე, თუკი ღონისძიების შემფარდებელს შეეძლო სხვა, მსგავსად ეფაქტიანი საშუალების შერჩევა, რომელიც ძირითად უფლებას ან არ ზღუდავს, ან ნაკლებად ზღუდავს.<sup>448</sup>

ტალასება მიუთითებს, რომ დასახული მიზნის მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებების აუცილებლობა არ არსებობს, როცა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მტკიცნეული ღონისძიების განხორციელება.<sup>449</sup> აღსანიშნავია, რომ თავად აუცილებლობის კრიტერიუმები უზრუნველყოფილია სსკ-ის 100a პარაგრაფის პირველი წინადადებით გათვალისწინებული სუბსიდიარულობის პრინციპის მეშვეობით.<sup>450</sup>

ისევე, როგორც ვარგისიანობის პრინციპის დროს, ამ შემთხვევაშიც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო კანონის შემფარდებელს ანიჭებს შეფასების უფლებამოსილებას იმისათვის, რათა მან გააკეთოს არჩევანი დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელი ღონისძიების სასარგებლოდ.<sup>451</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამ შემთხვევისთვის ასახელებს რამდენიმე მნიშვნელოვან კრიტერიუმს: საქმის გარემოებათა თავისებურებებს; შესაძლებლობას, რომ საქმეზე გამოტანილ იქნეს განაჩენი და ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობას.<sup>452</sup>

### 5.5.1.3. თანაზომიერების პრინციპი ვიწრო გაგებით

ვარგისიანობასა და აუცილებლობასთან ერთად, ძირითადი უფლებების შემზღვდველი ღონისძიებები უნდა აკმაყოფილებდეს თანაზომიერების პრინციპს ვიწრო გაგებით, კერძოდ, ის უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულის სიმძიმესა და დანაშაულის შესახებ არსებული ეჭვის ხარისხს (თანაზომიერების პრინციპის ვიწრო გაგება).<sup>453</sup>

<sup>446</sup> ob.: Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 13; შეად. BVerfGE 90, 145, 173.

<sup>447</sup> ob.: BVerfGE 100, 313, 373 f.; Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 14.

<sup>448</sup> ob.: BVerfGE 67, 157, 176 f.; Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 14.

<sup>449</sup> ob.: Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 45.

<sup>450</sup> ob.: Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 14.

<sup>451</sup> იქვე.

<sup>452</sup> ob.: BVerfGE 90, 145, 173; Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 14.

<sup>453</sup> ob.: BVerfGE 35, 382, 410; 63, 131, 144; Meyer-Goßner, StPO, Einleitung, Rn. 20; Pfeiffer in: Karlsruher Kommentar, StPO, Einleitung Rn. 30; Talaska Der Richtervorbehalt, 2007, S. 45; Goring, in Mangoldt/Klein/Starck, Bonner Grundgesetz, 2005, Art. 13 Abs. 2, Rn. 89.

თანაზომიერების პრინციპის ვიწრო გაგებით შეფასებისას გადამწყვეტია ის, რომ კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლების შეზღუდვა შეუსაბამო არ უნდა იყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზანთან, რომელსაც ძირითადი უფლების შეზღუდვა ემსახურება.<sup>454</sup>

ამ პრინციპის შეფასების მიზნით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს შემდეგ გარემოებებს:<sup>455</sup>

- ა) ძირითად უფლებაში ჩარევის სახეობა და ინტენსიურობა;
- ბ) ჩარევის ზღვარი;
- გ) ძირითად უფლებაში ჩარევის წინაპირობები;
- დ) ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ადრესატთა რაოდენობა;
- ე) იმ საფრთხის სიდიდე და ალბათობის მაღალი ხარისხი, რომელიც ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების დონისძიებათა დახმარებით შეცნობილი და გარკვეული უნდა იყოს.

#### 5.5.1.3.1. ძირითად უფლებაში ჩარევის სახეობა და ინტენსიურობა

ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევა ისეთი ფარული საგამოძიებო დონისძიებით, როგორიცაა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, ჩარევის მძიმე ფორმაა.<sup>456</sup> მოგვიანებით დონისძიების ადრესატისთვის აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით ის ვერ შემსუბუქდება, შესაძლებელია მხოლოდ მისი კომპენსირება მოხდეს.<sup>457</sup>

ამ დონისძიების დროს უფლებებში ჩარევის ინტენსიურობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მისი განხორციელება მიზანმიმართულად; ანუ წინასწარ უნდა განისაზღვროს იმ პირთა წრე, რომლის მიმართაც განხორციელდება ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადება.<sup>458</sup> გერმანიის სსსკ-ის 100a პარაგრაფის მესამე წინადაღების მიხედვით, ამ დონისძიებათა შესახებ მოსამართლის ბრძანება შესაძლებელია მხოლოდ ბრალდებულის ან იმ პირის მისამართით იქნეს მიღებული, რომლის შესახებაც, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, დგინდება, რომ იგი ბრალდებულისთვის განსაზღვრულ ან მისგან გამომდინარე შეტყობინებებს იღებს ან გადასცემს ან რომ ბრალდებული იყენებს ამ პირთა სატელეფონო ხაზს. ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ადრესატ პირთა შეზღუდვის მექანიზმს წარმოადგენს კომუნიკაციის გარკვეულ ურთიერთობათა საგამონაკლისო შემთხვევები.<sup>459</sup> ასე, მაგალითად, სსსკ-ის 148-ე პარაგრაფიდან გამომდინარე, დაცვის მხარის პრივილეგია, როგორც წესი, გამორიცხავს ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებას.<sup>460</sup>

ყურადსაღებია ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების განხორციელებით ისეთ პირთა ძირითად უფლებებში ჩარევა, რომლებიც

<sup>454</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 14, შეად. BVerfGE 100, 313, 375f., 391.

<sup>455</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 14, შეად. BVerfGE 100, 313, 376.

<sup>456</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 15.

<sup>457</sup> იქვე.

<sup>458</sup> იქვე.

<sup>459</sup> იქვე.

<sup>460</sup> ob.: BGHSt 33, 347, 348f.; Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 15; Nack, in KK, 1999, §100a, Rn. 30; Welp, Strafprozessuale Überwachung, 1974, S. 196 ff.

თავად არ არიან ეჭვმიტანილები, არამედ მხოლოდ კომუნიკაციას ახორციელებენ ან ბრალდებულთან, ან ეჭვმიტანილ პირთან.<sup>461</sup> უფრო მეტად პრობლემატურია ისეთ პირთა ფარული სატელეფონო კონტროლი, რომელთა შესახებ შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები არსებობს, რომ ბრალდებული მის სატელეფონო ხაზს იყენებს.<sup>462</sup> ამ შემთხვევაში ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების მასშტაბები მეტად ფართოვდება, ვრცელდება რა აღნიშნული დონისძიება არაეჭვმიტანილ პირთა დიდ წრეზე.<sup>463</sup> გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ეს დაუშვა იმ არგუმენტით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ფარულ საგამოძიებო დონისძიებათა განხორციელება შესაძლებელია, ეჭვის ქვეშ დადგეს.<sup>464</sup>

ძირითად უფლებებში ჩარევის ინტენსიურობის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ფარული მიყურადების დონისძიებათა კანონით დადგენილი ხანგრძლივობის გათვალისწინებაც.<sup>465</sup> კერძოდ, სსსკ-ის 100e პარაგრაფის პირველი აბზაციის მე-4 წინადადების მიხედვით, მოსამართლის ბრძანება გაიცემა არაუმეტეს 3 თვის ვადით. სსსკ-ის 100e პარაგრაფის პირველი აბზაციის მე-5 წინადადების თანახმად, ამ ვადის გაგრძელება დაიშვება შემდეგი არაუმეტეს სამი თვის ვადით, იმ შემთხვევაში, თუ სსსკ-ის 100a პარაგრაფით მოცემული წინაპირობები კვლავაც არსებობს.

### 5.5.1.3.2. ძირითად უფლებაში ჩარევის ზღვარი

ძირითად უფლებებში ჩარევის ზღვრის საკითხი ძირითადად განისაზღვრება კანონით დადგენილი დანაშაულის ჩადენის ეჭვის ხარისხის მიხედვით.<sup>466</sup> სსსკ-ის მე-100a მუხლის პირველი წინადადების თანახმად, ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების განხორციელების საფუძვლად კანონი მოითხოვს მხოლოდ გარკვეული ფაქტების არსებობას, რომლებიც დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვს ასაბუთებენ.

ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების განხორციელების დროს ძირითად უფლებებში ჩარევის შესახებ საუბრისას მნიშვნელოვანია მისი ჩატარების შესახებ ბრძანების გამცემი უფლებამოსილი პირის საკითხის გარკვევაც. სსსკ-ის მე-100e მუხლის პირველი აბზაციის პირველი წინადადების მიხედვით, აღნიშნული ბრძანება უნდა გასცეს მოსამართლემ. იმავე მუხლის პირველი აბზაციის მეორე წინადადების თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამ დონისძიებათა ჩატარების შესახებ ბრძანება შესაძლებელია, რომ გასცეს პროკურატურამ. კანონმდებელი იქვე, მესამე წინადადებაში განმარტავს, რომ თუ აღნიშნულ შემთხვევაში სამი დღის განმავლობაში პროკურორის მიერ მიღებულ ბრძანებას მოსამართლე არ დაადასტურებს, მაშინ ეს ბრძანება ძალადაკარგულად ჩაითვლება.

<sup>461</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 15.

<sup>462</sup> იქვე.

<sup>463</sup> იქვე.

<sup>464</sup> ob. BVerfGE 30, 1, 32f.

<sup>465</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 15.

<sup>466</sup> იქვე, 16.

### 5.5.13.3. ძირითად უფლებაში ჩარევის წინაპირობები

ძირითად უფლებებში ჩარევის თანაზომიერებისათვის მნიშვნელოვანია დანაშაულის იმ კონკრეტულ შემადგენლობათა განსაზღვრა, რომელთა თავიდან აცილება, გამოძიება ანდა სისხლისსამართლებრივი დევნა განაპირობებს ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების განხორციელებას.<sup>467</sup> აღნიშნულ შემადგენლობათა დადგენამ, მათი სახეობისა და სიმძიმიდან გამომდინარე, უნდა გაამართლოს არა მხოლოდ დანაშაულში ეჭვიტანილი პირის, არამედ დანაშაულში არამონაწილე საკონტაქტო პირთა სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებაში ჩარევაც.<sup>468</sup> ამიტომაც სსსკ-ის მე-100a პარაგრაფის მიღებისას კანონმდებელმა უარი თქვა ყველა დანაშაულის შემთხვევაში ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების განხორციელების შესაძლებლობაზე და სსსკ-ის მე-100a პარაგრაფის მეორე წინადაღებაში განსაზღვრა დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობათა ამომწურავი ჩამონათვალი (ე.წ. ნუსხა), რომელთა შემთხვევაში დასაშვები იქნება ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადება.

### 5.5.13.4. ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ადრესატთა რაოდენობა

ძირითად უფლებაში ჩარევის საკითხის განხილვისას მხედველობაშია მისაღები, თუ რომელი და რამდენი პიროვნება გახდა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ადრესატი.<sup>469</sup> შესაბამისად, ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ადრესატთა ვინაობასა და რაოდენობას განსაზღვრავს სსსკ-ის 100a პარაგრაფის მესამე აბზაცი.<sup>470</sup>

თუმცა, როგორც ძირითად უფლებაში ჩარევის სახეობასა და ინტენსიურობაზე საუბრისას უკვე აღინიშნა, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მის გადაწყვეტილებაში დაუშვა, რომ ტელეკომუნიკაციის ფარულმა მიყურადებამ შესაძლოა გამოიწვიოს დანაშაულშ არაეჭვმიტანილ პირთა უფლებებში ჩარევა, რითაც ისინი გახდებიან აღნიშნული ფარული საგამოძიებო ღონისძიების ადრესატები.<sup>471</sup>

<sup>467</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 16; შეად. BVerfGE 100, 313, 375, 382.

<sup>468</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 16.

<sup>469</sup> იქვე.

<sup>470</sup> ამ ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ბრალდებულის ან იმ პირის მისამართით, რომლის შესახებაც, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, დგინდება, რომ იგი ბრალდებულისთვის განსაზღვრულ ან მისგან გამომდინარე შეტყობინებებს იღებს ან გადასცემს, ან რომ ბრალდებული იყენებს ამ პირთა სატელეფონო ხაზს.

<sup>471</sup> ob. BVerfGE 30, 1, 32f.

### 5.5.1.3.5. იმ საფრთხის სიდიდე და ალბათობის მაღალი ხარისხი, რომელიც ტელეკომუნიკაციის ფარული მიუწრადების დონისძიებათა დახმარებით შეცნობილი და გარკვეული უნდა იყოს

თანაზომიერების პრინციპი, ვიწრო გაგებით, მაშინაა უზრუნველყოფილი, როდესაც ძირითად უფლებებში ჩარევის სიმძიმის გათვალისწინებით, მისი დასაშვებობის ზღვარი დაცულია მართლზომიერების წინაპირობებიდან გამომდინარე.<sup>472</sup>

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, სსსკ-ის 100a პარაგრაფის შესაბამისად მოპოვებული სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემები მძიმე დანაშაულის გახსნისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება.<sup>473</sup> სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში იმურობს, რომ სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანია ჰემბარიტების დადგენის საჯარო ინტერესი და რომ მძიმე დანაშაულთა გამოძიება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.<sup>474</sup>

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში, რომელიც ტელეკომუნიკაციის ფარულ მიუწრადებას ეხება, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ ღონისძიებებით მოპოვებული მასალის გამოყენება დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით დასაშვებია, იმის გათვალისწინებით, რომ ის წარმოადგენს ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნისათვის გარდაუგალ აუცილებლობას; თუმცა, მათი ჩატარების დროს სავალდებულოა საპროცესო სამართლებრივი შემზღვდავი ნორმების გათვალისწინება.<sup>475</sup>

### 5.5.2. თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინების თავისებურებანი

აღსანიშნავია, რომ ძირითადი უფლების შემზღვდავი ღონისძიების ჩატარებაზე გადაწყვეტილების მიღებისას ერთმანეთს უნდა დაუკაირისპირდეს და შეფასდეს ამ ღონისძიების მოსალოდნელი შედეგი (მაგ., მოპოვებულ მონაცემთა მნიშვნელობა) და ამ ღონისძიების აღრესატიადმი მიყენებული კონკრეტული ზიანი თუ შექმნილი საფრთხე.<sup>476</sup>

შესაძლოა, პრობლემას ქმნიდეს ის გარემოება, რომ შეფასების კრიტერიუმები კანონით არაა განსაზღვრული.<sup>477</sup> თუმცა, შეფასების ცალკეული კრიტერიუმები თანაზომიერების პრინციპის ფარგლებში განსაზღვრა როგორც სასამართლო პრაქტიკამ, ასევე მეცნიერებამ.<sup>478</sup>

<sup>472</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 16.

<sup>473</sup> ob. BVerfG 1 BvR 330/96 vom 12.3.2003, Absatz-Nr. 1-135, [https://www.bundesverfassungsgericht.de/entscheidungen/rs20030312\\_1bvr033096.html](https://www.bundesverfassungsgericht.de/entscheidungen/rs20030312_1bvr033096.html), Absatz-Nr. 57, უკანასკნელად გადამოწმებულია 15.07.2018; შეად. BVerfGE 29, 183, 194; 77, 65, 76; 80, 367, 375; 100, 313, 388f.

<sup>474</sup> BVerfG 1 BvR 330/96 vom 12.3.2003, Absatz-Nr. 1-135, [https://www.bundesverfassungsgericht.de/entscheidungen/rs20030312\\_1bvr033096.html](https://www.bundesverfassungsgericht.de/entscheidungen/rs20030312_1bvr033096.html), Absatz-Nr. 57, უკანასკნელად გადამოწმებულია 15.07.2018.

<sup>475</sup> ob. BVerfGE 100, 313, 388f.

<sup>476</sup> ob. Kühne, Strafprozessrecht, 2010, Rn. 406; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 45.

<sup>477</sup> ob. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 46.

<sup>478</sup> იქვე.

ძირითადი უფლების შემზღვდავი საპროცესო სამართლებრივი ღონისძიების შესახებ ბრძანების მიმღებმა მოსამართლემ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს აღნიშნული ღონისძიების აუცილებლობა ძირითადი უფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით.<sup>479</sup> ამასთან, არსებობს ძირითად უფლებებში საპროცესო სამართლებრივი ჩარევის დასაშვებობის გრადაცია, რომელიც განისაზღვრება ბრალდების სიმძიმისა და დანაშაულის შესახებ არსებული ეჭვის ხარისხის მიხედვით.<sup>480</sup>

აღსანიშნავია, რომ ძირითადი უფლებების შემზღვდავი საპროცესო სამართლებრივი ღონისძიების თანაზომიერების შესახებ მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს შინაგანი რწმენის საფუძველზე.<sup>481</sup> ამიტომ ძნელია, კონკრეტულ ღონისძიებაზე გადაწყვეტილების მიღებისას წინასწარ განისაზღვროს, იქნება თუ არა ის თანაზომიერად ცნობილი.<sup>482</sup> პროფ. კუნეს მიხედვით, თანაზომიერების ეს ძირითადი „ხარვეზი“ სულაც არ არის საზიანო; იგი მიიჩნევს, რომ თანაზომიერების პრინციპი ძირითად უფლებებში საპროცესო სამართლებრივად დადგენილი ჩარევის დამატებითი შეზღუდვის მექანიზმია.<sup>483</sup> თანაზომიერების შემოწმებისას არაპროგნოზირებადი შედეგი არ აზარალებს მოქალაქის უფლებებს, რამდენადაც ამ დროს ხორციელდება ან ძირითად უფლებებში ჩარევის დადასტურება, ანდა ამ უფლების დაცვის უზრუნველყოფა.<sup>484</sup>

პროფ. კუნეს მოსაზრებით, მოქალაქე, როგორც წესი, უკვე ითვალისწინებს მის უფლებებში ჩარევის შესაძლებლობას; მისთვის აღნიშნული ღონისძიების შესახებ შესაძლოა უკვე ცნობილია.<sup>485</sup> ამასთან, მოქალაქე იმას ვერ გაითვალისწინებს, რომ ძირითად უფლებებში ჩარევა განხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუკი ამ უფლებების ხელყოფა დაკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს.<sup>486</sup>

თანაზომიერების პრინციპი ძირითად უფლებებში საპროცესო სამართლებრივი ჩარევის დასაშვებობის ეტაპზე უკვე განიხილება; ამიტომ, ტალასკა არ ეთანხმება პროფ. კუნეს მოსაზრებას, რომ თანაზომიერების პრინციპი საპროცესო სამართლებრივი ღონისძიების დასაშვებობის საფუძვლის მხოლოდ დამატებითი საშუალებაა.<sup>487</sup>

რაც შეეხება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის მიერ ინდივიდუალური შეფასების გავლენას, რომელიც თანაზომიერების პრინციპის ხარვეზად განიხილება, ტალასკა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საგსებით კანონზომიერი და დამახასიათებელია.<sup>488</sup> როდესაც საკითხი სამართლის შემფარდებლის ინდივიდუალურ, შინაგან რწმენაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას

<sup>479</sup> ob. BVerfGE 20, 162, 189; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 46.

<sup>480</sup> ob. *Pfeiffer* in: Karlsruher Kommentar, StPO, Einleitung Rdn. 31; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 46.

<sup>481</sup> ob. *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 46.

<sup>482</sup> იქვე.

<sup>483</sup> *Kühne*, Strafprozessrecht, 2010, Rn. 406.

<sup>484</sup> იქვე.

<sup>485</sup> იქვე.

<sup>486</sup> იქვე.

<sup>487</sup> ob. *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 47.

<sup>488</sup> იქვე.

ექვემდებარება, ასეთ შემთხვევებში შეუძლებელია, გამოირიცხოს პიროვნების სუბიექტური მომენტი.<sup>489</sup>

საქმე რთულდება, როდესაც ერთი პიროვნების წინააღმდეგ იგეგმება და ხორციელდება რამდენიმე საგამოძიებო, მათ შორის, ფარული საგამოძიებო დონისძიება. გერმანიის ფედერალური სასამართლო მიიჩნევს, რომ სხვადასხვა საგამოძიებო დონისძიების ერთობლივი განხორციელება პიროვნების სრული პროფილის შესაქმნელად, შესაძლოა, უკვე თავისთავად არ აკმაყოფილებდეს თანაზომიერების პრინციპის კრიტერიუმებს.<sup>490</sup> აქ სახეზეა ადამიანის ე.წ. „ტოტალური შესწავლა”, რომლის დროსაც ირლევვა მისი პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს ხელშეუხებლობა.<sup>491</sup> აღნიშნული კი გაუმართლებელია როგორც საკონსტიტუციო სამართლებრივი, ასევე საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით.<sup>492</sup> საქმის შინაარსის დიდი მოცულობის გამო ხშირად რთულია, იმის დადგენა, მოხდება თუ არა ე.წ. „ტოტალური შესწავლისას” საგამოძიებო დონისძიებათა არათანაზომიერად ცნობა.<sup>493</sup> თუმცა, თანაზომიერების პრინციპის შემოწმებისას შესაძლებელია, მინიმუმ დაკონკრეტდეს შემდეგი მოცემულობა: რაც უფრო მძიმეა ჩადენილი დანაშაულის ბრალი და კომპლექსურია დანაშაულის ჩადენის ფორმა, მით უფრო მოქნილი და უფლებათა უფრო მეტად შემზღვდავი შეიძლება იყოს ძირითადი უფლებებში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ინტერვენცია.<sup>494</sup>

### 5.5.3. შეჯამება

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას თანაზომიერების პრინციპმა უმთავრესად უნდა გაითვალისწინოს პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დარღვევის რისკები.<sup>495</sup> აქ, ერთი მხრივ, იგულისხმება, რომ მხოლოდ ისეთი აბონენტის მიყურადებაა დასაშვები, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს კომუნიკაციის ფარული მიყურადების სამიზნე პირთან; წინააღმდეგ შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს მიყურადება.<sup>496</sup>

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს მაშინაც, როცა საფრთხე ექმნება პირადი ცხოვრების ძირითად სფეროს; მაგალითად, როდესაც სახეზეა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება ოჯახის ახლო წევრებს შორის დანაშაულის ჩადენაში სავარაუდო ბრალდებულის, ასევე ოჯახის წევრის განსაცდელისა თუ გასაჭირის შესახებ.<sup>497</sup> ადამიანის პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დაცვის მოთხოვნიდან გამომდინარე, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს მაშინაც კი, თუკი საუბრის მიყურადების გაგრძელების შემთხვევაში ცნობილი გახდება

<sup>489</sup> იქვე.

<sup>490</sup> ი. ა. BGH, NStZ 2001, 386, 388 f.

<sup>491</sup> ი. ა. Steinmetz, NStZ 2001, 344, 345.

<sup>492</sup> იქვე.

<sup>493</sup> ი. ა. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 47.

<sup>494</sup> ი. ა. Steinmetz, NStZ 2001, 344, 345; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 47.

<sup>495</sup> ი. ა. Roggan, Fredrik (2011), 764.

<sup>496</sup> იქვე, 765.

<sup>497</sup> იქვე. .

გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მონაცემები, მაგ., ინფორმაცია ეჭვმიტანილის ადგილსამყოფელის შესახებ.<sup>498</sup>

პროფ. გოლიტერის მოსაზრების თანახმად, ტელეკომუნიკაციის ფარული მიუწვდომელი დაუშვებელია, როცა არსებობს ვარაუდი, რომ ბრალდებული ოჯახის ახლო წევრთან, ადვოკატთან, ექიმთან თუ სასულიერო პირთან საუბრობს პირად საკითხზე ან თუნდაც დანაშაულის შესახებ; რამდენადაც ამ შემთხვევაში, გამოძიებისთვის საჭირო სხვა ინფორმაციის გარდა, მოხდება პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს მიკუთვნებული ინფორმაციის მოპოვება.<sup>499</sup> სწორედ მსგავს შემთხვევებში უნდა იქნიოს გადამწყვეტი როლი თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებამ.

## 5.6. შუალედური დასკვნა

„უსაფრთხოება არ არის ადამიანის ძირითადი უფლება“<sup>500</sup> – ამ ლოზუნების ფონზე წარიმართა გერმანულ საზოგადოებაში დისკუსია ტელეკომუნიკაციის ფარული მიუწვდომელის შესახებ საკანონმდებლო რეგულაციის ბოლო რეფორმასთან<sup>501</sup> დაკავშირებით. ამ მეტად მგრძნობიარე საკითხთან მიმართებით, სახელმწიფო უნდა შექმნას ისეთი სამართლებრივი ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განუხერელ დაცვას.

ძირითადი კანონის მე-10 მუხლით გარანტირებული სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების განხილვის შედეგად ერთ-ერთ არსებით საკითხად გამოიკვეთა პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დაცვის მნიშვნელობა. გერმანიის უფლერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული ე.წ. „სფეროთა თეორიის“<sup>502</sup> თანახმად, ადამიანის პირადი ცხოვრების ინტიმური სფერო აღიარებულ იქნა პირადი ცხოვრების ძირითად სფეროდ, რომელიც გამოცხადდა ხელშეუხებლად და დაექვემდებარა აბსოლუტურ დაცვას სახელმწიფოს მხრიდან.<sup>503</sup>

სწორედ სახელმწიფოს მხრიდან პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების დადასტურებად უნდა ჩაითვალოს 2017 წლის საკანონმდებლო რეფორმის შედეგად სსსკ-ში მისი მარეგულირებელი ნორმის ცალკე პარაგრაფად გამოყოფა.<sup>504</sup> ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით კანონმდებლობით

<sup>498</sup> იქვე.

<sup>499</sup> ob. Wolter in: SK-StPO, §100a Rn. 57.

<sup>500</sup> ob. <https://www.zeit.de/digital/datenschutz/2017-06/staatsstrojaner-gesetz-bundestag-beschluss/komplettansicht>, უკანასკნელად გადამოწმებულია 09.08.2018.

<sup>501</sup> ob. კანონი უფრო ეფექტური და პრაქტიკული სისხლის სამართლწარმოების შესახებ, **BGBL I S. 3202**,

[https://www.bgbler.xav#\\_bgbler%2F%5B%40attr\\_id%3D%27bgbler117s3202.pdf%27%5D\\_1533540915395](https://www.bgbler.xav#_bgbler%2F%5B%40attr_id%3D%27bgbler117s3202.pdf%27%5D_1533540915395), უკანასკნელად გადამოწმებულია 06.08.2018.

<sup>502</sup> ob. BVerfG NJW 1990, 563; BVerfGE 80, 367, 373; 6, 32, 41; 35, 202, 220; 101, 361, 386.

<sup>503</sup> ob. ზემოთ, თავი I, ქვეთავი 5.1.2.1.

<sup>504</sup> ob. სსსკ-ის § 100d, **BGBL I S. 3205**,

[https://www.bgbler.xav#\\_bgbler%2F%5B%40attr\\_id%3D%27bgbler117s3202.pdf%27%5D\\_1533540915395](https://www.bgbler.xav#_bgbler%2F%5B%40attr_id%3D%27bgbler117s3202.pdf%27%5D_1533540915395), უკანასკნელად გადამოწმებულია 09.08.2018.

განსაზღვრული პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დაცვის დონისძიებები აკმაყოფილებს საკონსტიტუციო სამართლებრივ მოთხოვნებს.<sup>505</sup>

ასევე, მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს მონაცემთა დაცვის ზემოთ განხილული ე.წ. ორსაფეხურიანი სისტემის საკანონმდებლო რეგულაცია,<sup>506</sup> რომლის საფუძველზე დაუშვებელია პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს მონაცემთა როგორც მოპოვება, ისე მათი გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში. აშკარაა, რომ ე.წ. მეორე საფეხურის დადგენის მიზანია სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების დაცვისთვის მეტი გარანტის შექმნა, რის შედეგადაც, პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს მონაცემთა შესაძლო მოპოვების შემთხვევაში, ისინი უპირობოდ უნდა გამოირიცხოს უკვე მეორე, მონაცემთა გამოყენების ეტაპზე. ე.წ. ორსაფეხურიანი სისტემის არსებობა არ უნდა შეფასდეს, როგორც მონაცემთა მოპოვების ეტაპის მნიშვნელობის დაკნინება. მით უფრო, რომ სწორედ აქა სატელეკომუნიკაციო საიდუმლოსა და პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის დიდი რისკი, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, მაგ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების დროს აბსოლუტურად ზუსტად პროგნოზირება, რომ ამ დონისძიების ჩატარებისას არ მოხდება პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს მონაცემთა მოპოვება, თითქმის შეუძლებელია. ამასთან, კანონსაწინააღმდეგოდ ჩატარებული სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, მის შედეგად მოპოვებული მონაცემების გამოყენების გარეშეც, უკვე არის კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებების დარღვევა. ასე რომ, ე.წ. ორსაფეხურიანი დაცვის სისტემა ქმნის პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს ხელშეუხებლობის მეტ გარანტიას.

სატელეკომუნიკაციო საიდუმლოება მისი წარმოშობისა და მოგვიანებით საკონსტიტუციო სამართლებრივი რანგის მოპოვების შემდეგ ხშირად იყო მწვავე დისკუსიის ობიექტი. მის შესახებ არაერთი საჭირო განმარტების მიუხედავად,<sup>507</sup> ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დღესაც მსჯელობს ამ კონსტიტუციური უფლების დაცვის სფეროსა თუ საგნის შესახებ. აღნიშნული კი, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ტელეკომუნიკაციისა და საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის სწრაფი განვითარებით.

სატელეფონო კომუნიკაციის საკონსტიტუციო სამართლებრივი დაცვის შესახებ საკითხის პვლევის შედეგად წარმოჩნდა სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შეზღუდვის პრობლემატიკაც, კერძოდ, თანაზომიერების პრინციპის გამოყენების თავისებურებანი. ძირითად პრობლემად გამოიკვეთა ის, რომ კანონით არაა განსაზღვრული თანაზომიერების შეფასების კრიტერიუმები. თუმცა, მართვებულად უნდა ჩაითვალოს ავტორთა ნაწილის პოზიცია, რომელიც აღნიშნულ გარემოებას არ მიიჩნევს ხარვეზად, რადგან თანაზომიერების პრინციპი ძირითად უფლებებში ჩარევის დამატებითი შეზღუდვის მექანიზმია.<sup>508</sup>

დასკვნის სახით, სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შეზღუდვების დადგენისას, რომელსაც უშვებს გერმანიის ძირითადი

<sup>505</sup> ob. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 258.

<sup>506</sup> ob. სსკ-ის § 100d პირველი და მეორე აბზაცები.

<sup>507</sup> ob. ზემოთ, თავი I, ქვეთავი 54.

<sup>508</sup> მაგ., Kühne, Strafprozessrecht, 2010, Rn. 406

კანონი, უმთავრესია ადამიანის პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დარღვევის რისკების გათვალისწინება. პირადი ცხოვრების უფლებისა და სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შეზღუდვის დროს თანაზომიერების პრინციპის შემოწმებისას კი შეიძლება შემდგები მოცემულობის სახელმძღვანელოდ გამოყენება: რაც უფრო მძიმეა ჩადენილი დანაშაული და კომპლექსურია დანაშაულის ჩადენის ფორმა, მით უფრო მოქნილი და უფლებათა უფრო მეტად შემზღუდავი შეიძლება იყოს ძირითად უფლებებში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ინტერვენცია.<sup>509</sup>

## 6. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ინსტიტუტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

თუკი სახეზეა ტელეკომუნიკაცია, ამ ცნების სამართლებრივი გაგებით, მაშინ შესაძლებელიცაა მისი საპროცესო სამართლებრივი კონტროლი, იგულისხმება ფარული მიყურადება და ჩაწერა.<sup>510</sup> ტელეფონის განვითარების საწყის ეტაპზე მისი მიყურადება და ჩაწერა ხორციელდებოდა ცენტრალური ფოსტის დახმარებით, კერძოდ, აღნიშნულს ახორციელებდა უფლებამოსილი გამომძიებელი და იწერდა ფირზე.<sup>511</sup> ამასთან, თუკი გამომძიებელი სრულ საუბარს ფარულად უსმენდა, იწერდა მხოლოდ გამოძიებისთვის მნიშვნელოვან და საჭირო მონაკვეთს.<sup>512</sup>

ტელეკომუნიკაციის განვითარებამ, ციფრული ტექნიკის გაჩენამ და მონაცემთა დიგიტალიზაციამ სრულად შეცვალა ამ საპროცესო სამართლებრივი დონისძიების ჩატარების სპეციფიკა და შესაძლებლობები.<sup>513</sup> სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და მისი შინაარსის ჩაწერა ტექნიკურად დღეს უკვე უპრობლემოდ არის შესაძლებელი. აღნიშნული კი საგამოძიებო ორგანოებისთვის დიდ უპირატესობას წარმოადგენს, თუმცა, სწორედ გამარტივებული ტექნიკური პროცესი ქმნის ძირითად უფლებებში ჩარევის მაღალ რისკს. ამიტომ არის აუცილებელი ასეთი ფარული საგამოძიებო დონისძიების კანონში ზედმიწვნით რეგულირება. ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების საპროცესო სამართლებრივი რეგულირების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქმის გარემოებათა გამოძიება.<sup>514</sup> ამ მიზნიდან გამომდინარე, მას აქვს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ფუნქცია.<sup>515</sup> ამ დონისძიების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი<sup>516</sup> პირდაპირპროპორციულ კაგშირშია

<sup>509</sup> ob. Steinmetz, NStZ 2001, 344, 345; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 47.

<sup>510</sup> ob. Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 363, Rn. 60.

<sup>511</sup> იქვე.

<sup>512</sup> იქვე.

<sup>513</sup> ob. Thommes, StV 1997, 660.

<sup>514</sup> ob. Lehmann, Die Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs, 1978, S. 78.

<sup>515</sup> იქვე.

<sup>516</sup> შეად.: Jäger, Beweisverwertung und Beweisverwertungsverbote im Strafprozess, 2003, S. 204, 205; Herdegen, in Festschrift für Hanack, 311 f.; Wollweber, CR 1999, 297-298; Schwaben, Die Personelle Reichweite von Beweisverwertungsverboten, 2005, S. 73; Gössel, JZ 1984, 361, 362; Welp, JZ 1973, 289-290; Rogall, in: FS für Hanack, 293-309.

სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების შეზღუდვის კანონით განსაზღვრული წინაპირობების შესრულებასა თუ დარღვევასთან.

სატელეკომუნიკაციო საიდუმლოების საკანონმდებლო შეზღუდვა გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. ამ პერიოდში აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია რამდენჯერმე შეიცვალა მნიშვნელოვნად.<sup>517</sup> გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განასხვავებს ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მატერიალურ და ფორმალურ (პროცედურულ) წინაპირობებს. აუცილებელია თითოეული მათგანის ცალ-ცალკე განხილვა.

## 6.1. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მატერიალური წინაპირობები

### 6.1.1. დანაშაულის შემადგენლობათა ჩამონათვალი – ე.წ. ნუსხა

სსსკ-ის მე-100a პარაგრაფის პირველი აბზაცით კანონი განსაზღვრავს ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მატერიალურ წინაპირობად იმას, რომ სახეზე უნდა იყოს მძიმე დანაშაული (კერძოდ, ასეთი დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები), ან მისი მომზადება თუ მცდელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ფარული საგამოძიებო ღონისძიება ვერ განხორციელდება.

სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებაში ჩარევის მატერიალურ წინაპირობად მძიმე დანაშაულის დადგენით კანონმდებელს შემოაქვს ე.წ. საფეხურებრივი მოდელი, რომლის თანახმადაც ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადება, ძირითად უფლებებში ჩარევის ინტენსივობის შესაბამისად, ადგილს იკავებს საცხოვრებელი ადგილის ფარულ მიყურადებასა (სსსკ-ის 100c პარაგრაფის პირველი აბზაცის თანახმად: განსაკუთრებით მძიმე დანაშაული) და იმ ფარულ საგამოძიებო ღონისძიებებს შორის, რომელთა ჩატარების წინაპირობაცაა ე.წ. საკმაო მნიშვნელობის ქვეყნების მქონე დანაშაული (სსსკ-ის 98a პარაგრაფი).<sup>518</sup> მძიმე დანაშაულის შესახებ მოთხოვნას კანონმდებელი აკონკრეტებს უკვე სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-2 აბზაცში, რომელშიც შემოაქვს დანაშაულის შემადგენლობათა ჩამონათვალი, ე.წ. ნუსხა.<sup>519</sup>

სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-2 აბზაცში მოცემული დანაშაულის შემადგენლობათა ჩამონათვალი გულისხმობს კანონმდებლის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში შეიძლება დადგეს ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების საჭიროება.<sup>520</sup>

<sup>517</sup> ბოლო მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა 2017 წლის აგვისტოში, როდესაც ძალაში შევიდა კანონი უფრო ეფექტური და პრაქტიკული სისხლის სამართლწარმოების შესახებ, ი.ხ. BGBL. I S. 3202, [https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav#\\_bgbli\\_%2F%2F%5B%40attr\\_id%3D%27bgbli117s3202.pdf%27%5D\\_1533540915395](https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav#_bgbli_%2F%2F%5B%40attr_id%3D%27bgbli117s3202.pdf%27%5D_1533540915395), უკანასკნელად გადამოწენებულია 08.08.2018.

<sup>518</sup> ი.ხ.: Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, § 100a, Rn. 10; Zöller, StraFo 2008, 19.

<sup>519</sup> ი.ხ.: Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, § 100a, Rn. 10.

<sup>520</sup> ი.ხ.: Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, § 100a, Rn. 15. კრიტ. Nöding, StraFo 2007, 457.

ტელეკომუნიკაციის ფარული მიუწადების შესაძლებლობის სხვა შეზღუდვებს ითვალისწინებს, ასევე, სისხლის სამართლის პროცესის ისეთი პრინციპები, როგორიცაა, თანაზომიერებისა და სუბსიდიარულობის პრინციპი.<sup>521</sup> აღსანიშნავია, რომ ტელეკომუნიკაციის ფარული მიუწადების განხორციელების წინაპირობად კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობათა ამომწურავი ჩამონათვალის განსაზღვრა სწორედ ძირითად უფლებებში ჩარევისას თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებას ნიშნავს.<sup>522</sup>

სსსკ-ის 100a პარაგრაფი სატელეფონო საუბრის ფარული მიუწადების შესაძლებლობას თავიდანვე გამორიცხავდა ყველა დანაშაულის შემთხვევაში; ხოლო დანაშაულის შემადგენლობათა ჩამონათვალში არ იყო მხოლოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულები, არამედ სხვა დანაშაულთა შემადგენლობები.<sup>523</sup> ამათგან უმეტესობა მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, თუმცა იყო ნაკლებად მძიმე დანაშაულებიც, მაგალითად, როგორიცაა გამოძალვა (სსსკ. § 253).<sup>524</sup> გერმანიის მთავრობის მიერ ინიცირებულ ე.წ. G 10 კანონის კანონპროექტის დასაბუთებაში<sup>525</sup> აღინიშნა, რომ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, რომ ზოგადი ხასიათის კრიმინალის სფეროდან განსაზღვრული მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაშიც განხორციელდეს სატელეფონო საუბრის ფარული მიუწადება.<sup>526</sup>

თავდაპირველად სსსკ-ის 100a პარაგრაფი შეიცავდა დანაშაულის შემადგენლობებს, როგორებიცაა, მაგალითად, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, იარაღით ვაჭრობა, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ასევე, ბინადრობის შესახებ და თავშესაფრის შესახებ კანონდარღვევები.<sup>527</sup> იმისთვის, რომ სსსკ-ის 100a პარაგრაფის ჩამონათვალში სსკ-ის რომელიმე პარაგრაფი მოხვედრილიყო, ამ პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაული უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული მნიშვნელობისა და საშიშროების მქონე.<sup>528</sup>

1968 წლის შემდეგ სსსკ-ის 100a პარაგრაფის დანაშაულის შემადგენლობათა ჩამონათვალს პირველად დაემატა ისეთი დანაშაულები, როგორებიცაა იარაღით ვაჭრობა და ნარკოტიკული დანაშაულები.<sup>529</sup> აღნიშნული გაფართოება აიხსნა იმით, რომ მოცემულ დანაშაულებს აქვთ ე.წ. კომუნიკაციაზე აწყობილი სტრუქტურა.<sup>530</sup>

<sup>521</sup> ob.: Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, § 100a, Rn. 15.

<sup>522</sup> ob.: Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, § 352, Rn. 39.

<sup>523</sup> ob.: Schmitt, Die Berücksichtigung der Zeugnisverweigerungsrechte, 1993, S. 43; Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 16; Neuhaus, in: FS für Riess, 384.

<sup>524</sup> ob.: Schmitt, Die Berücksichtigung der Zeugnisverweigerungsrechte, 1993, S. 43.

<sup>525</sup> აღსანიშნავია, რომ ე.წ. G 10 კანონის კანონპროექტი შეესაბამება მოგვიანებით მიღებული საკანონმდებლო ხორმის ფორმულირებას.

<sup>526</sup> ob.: Schmitt, Die Berücksichtigung der Zeugnisverweigerungsrechte, 1993, S. 43.

<sup>527</sup> ob.: Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 13.

<sup>528</sup> ob.: BT-Drs. V/1880, S. 12; Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S.. 16.

<sup>529</sup> ob.: Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 18.

<sup>530</sup> ob.: BT-Drs. VI/2722, S. 4; BT-Drs. 117/73, S. 66; Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 18.

დანაშაულის შემადგენლობათა ე.წ. ნუსხა მნიშვნელოვნად გაფართოვდა 1992 წლის ორგანიზებული დანაშაულის შესახებ კანონისა და 1998 წლის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების შესახებ კანონის საფუძველზე, როდესაც მას დაემატა დანაშაულთა მთელი რიგი შემადგენლობები, როგორებიცაა, მაგ., ჯგუფის მიერ განხორციელებული ქურდობა (§244 I Nr. 2 StGB), დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ჯგუფის მიერ (§260a StGB), ფულის გათეთრება (§261 I, II, IV StGB).<sup>531</sup> აღნიშნული გაფართოება განიმარტა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების განსაკუთრებული მნიშვნელობით.<sup>532</sup> ეს განმარტება კრიტიკის საგანი გახდა.<sup>533</sup> პროფ. ალბრექტის მოსაზრებით, არ არის გასაგები, თუ თავისთავად რატომ მიეკუთვნება ფულის გათეთრება, ჯგუფის მიერ განხორციელებული ქურდობა ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ჯგუფის მიერ ორგანიზებულ დანაშაულის კატეგორიას და რატომ უნდა შედიოდეს დანაშაულთა აღნიშნული შემადგენლობები სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-2 აბზაცის ჩამონათვალში.<sup>534</sup>

მოგვიანებით სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-2 აბზაცის ისედაც გაზრდილი ჩამონათვალი<sup>535</sup> 2008 წლის 1 აგვისტოს მიღებული კანონის ახალი რეგულაციის საფუძველზე უფრო გაფართოვდა.<sup>536</sup> აღნიშნული კანონის საფუძველზე დანაშაულთა კატეგორიების განსაზღვრით სსსკ-ის 100a პარაგრაფიდან ამოიღებულ იქნა ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობები (სულ 19 შემადგენლობა<sup>537</sup>), რომელთა ჩადენისთვის სასჯელი 5 წელზე ნაკლები ვადით იყო გათვალისწინებული,<sup>538</sup> მაგ., ბინადრობის შესახებ კანონის §95 I 8.<sup>539</sup> თუმცა, ამავდროულად, სსსკ-ის 100a პარაგრაფს დაემატა მთელი რიგი დანაშაულთა შემადგენლობები ეკონომიკური თუ საგადასახადო დანაშაულის სფეროდან (სულ 30 შემადგენლობა<sup>540</sup>), როგორებიცაა, მაგ., კორუფციული დანაშაულები, ჯგუფის მიერ დოკუმენტების გაყალბება; ასევე სექსუალური თვითგამორკვევის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სფეროდან, როგორიცაა, მაგ., არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის გავრცელების ნებისმიერი ფორმა.<sup>541</sup> კორუფციული დანაშაულების ჩამონათვალში გათვალისწინების აუცილებლობა განიმარტა ამ დანაშაულთა სპეციფიკიდან გამომდინარე; რამდენადაც კორუფცია წარმოადგენს ტიპური ტრანსაქციური ბუნების დანაშაულს, რომლის შემთხვევაში

<sup>531</sup> ი. ა. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 19.

<sup>532</sup> ი. ა. კინცი.

<sup>533</sup> ი. ა. Kinzig, 2003/2004; Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 19.

<sup>534</sup> ი. ა. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 19.

<sup>535</sup> ი. ა. Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, §36, Rn. 6.

<sup>536</sup> ი. ა. Zöller, StraFo 2008, 19.

<sup>537</sup> ი. ა. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 263.

<sup>538</sup> ი. ა. Puschke/ Singelstein, NJW 2008, 114.

<sup>539</sup> ი. ა. Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, §36, Rn. 6.

<sup>540</sup> ი. ა. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 257.

<sup>541</sup> ი. ა. Puschke/ Singelstein, NJW 2008, 114.

დანაშაულის კონსპირაციული ბუნებიდან გამომდინარე, სახეზე არ არის მსხვერპლი, როგორც დანაშაულის შესახებ პოტენციური განმცხადებელი, მამხილებელი, არის მხოლოდ ამსრულებელი.<sup>542</sup>

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საერთო ჯამში ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების გამოყენების სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა.<sup>543</sup> ადსანიშნავია, რომ სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-2 აბზაცში დანაშაულთა ნუსხას ბოლო წლებშიც დაემატა მთელი რიგი შემადგენლობები, მაგ., ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ კანონიდან.<sup>544</sup>

დანაშაულის შემადგენლობათა სიითი ჩამონათვალი ხშირად ხდებოდა კრიტიკის ობიექტი. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ დანაშაულის შემადგენლობათა ეს ჩამონათვალი გასცდა მძიმე დანაშაულის კატეგორიის სფეროს და უკვე მოიცავს არა მძიმე, არამედ „მძიმედ გამოსაძიებელ დანაშაულთა“ შემადგენლობებს.<sup>545</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ, ერთი მხრივ, სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-2 აბზაცის ჩამონათვალს აკლია დანაშაულის გარკვეული შემადგენლობები, რომელთა შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადება; ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული ჩამონათვალი შეიცავს ისეთ დანაშაულებს, როგორებიცაა, მაგ., საქმიანობა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენისა და გასაღების მიზნით და ფულის გათეთრება.<sup>546</sup> კანონმდებლის ეს მიღვომა ცხადყოფს, რომ დანაშაულის შემადგენლობათა სიითი ჩამონათვალის ფორმირებისას ის არ ხელმძღვანელობდა მხოლოდ დანაშაულის სიმძიმის კრიტერიუმით.<sup>547</sup> დანაშაულის შემადგენლობათა შერჩევისას მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმანაც, თუ რომელ „სოციალურ სფეროს“ მიეკუთვნება ესა თუ ის დანაშაული; რამდენადაც გარკვეულ სფეროს მიკუთვნებულ დანაშაულებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.<sup>548</sup>

საკითხავია, ეფექტიანი და მიზანშეწონილია თუ არა, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვან წინაპირობად დარჩეს დანაშაულის შემადგენლობათა ამომწურავი სიითი ჩამონათვალი? იქნებ უკეთესი იყოს, უპირატესობა მიენიჭოს ამ საკითხის გადაწყვეტის სხვა მოდელს, რომელიც მაგ., ითვალისწინებს ე.წ. ნუსხის ნაცვლად ზოგად დათქმას დანაშაულის სიმძიმის შესახებ? აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში, მწვავე

<sup>542</sup> ბუნდესრათის კანონპოლექტი, BR-Drs. 298/95 Anl. 7, 22f.; Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 19; სხვა წინადაღებებთან დაკავშირებით, ი. ა. Neuhaus, in: FS für Riess, 388.

<sup>543</sup> ი. ა. Puschke/ Singelstein, NJW 2008, 114; Nöding, StraFo 2007, 456 (458).

<sup>544</sup> ი. ა. BGBI. I S. 2615, Artikel 2 G. v. 21.11.2016, <http://www.buzer.de/gesetz/5815/al57126-0.htm>, უკანასკნელად გადამოწმებულია 08.08.2018.

<sup>545</sup> ი. ა. Gercke, StV 2012, 267.

<sup>546</sup> ი. ა. Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, S. 352-353, Rn. 39; Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 17.

<sup>547</sup> ი. ა. Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, S. 352-353, Rn. 39.

<sup>548</sup> იქვე.

კრიტიკის მიუხედავად, დანაშაულის შემადგენლობათა სიით ჩამონათვალი მიღებული და აპრობირებული იქნა.<sup>549</sup>

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი გაგრძელდება სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-2 აბზაცში ჩამოთვლილ დანაშაულის შემადგენლობათა ნუსხის გაფართოება, მაშინ აღნიშნული მატერიალური წინაპირობა ვედარ შეასრულებს ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის კანონით დადგენილ შემაკავებელ ფუნქციას.<sup>550</sup>

დანაშაულის შემადგენლობათა ჩამონათვალის კ.წ. ნუსხის ყველაზე დიდ ნაკლად მიიჩნევა ის, რომ სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-2 აბზაცში ადარ იკვეთება, თუ რა პრინციპით შეირჩა დანაშაულის აღნიშნული შემადგენლობები; დაიკარგა შერჩევის კრიტერიუმების კ.წ. „ზუსტი ხაზი“.<sup>551</sup>

ზოგიერთ ავტორი სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-2 აბზაცში დანაშაულის შემადგენლობათა ჩამონათვალს უსაზღვროს უწოდებს და თვლის, რომ შეუძლებელია ყველა მოცემული დანაშაულის რაიმე ნიშნით სისტემატიზირება;<sup>552</sup> რომ ხშირად ამ ჩამონათვალის გაფართოება ხდებოდა საკმაოდ ოვითნებურად და წარმოადგენდა არა გრძელვადიანი რეფორმის შედეგს, არამედ მყისიერ რეაქციას სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალურ დისკუსიებზე.<sup>553</sup>

პირში დანაშაულის შემადგენლობათა ამ სიით ჩამონათვალს უწოდებს „სამოგზაურო ტურის ბილეთს სისხლის სამართლის კოდექსში“.<sup>554</sup>

### 6.1.2. დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვი

სატელეკომუნიკაციო საიდუმლოებაში ჩარევის უმთავრესი წინაპირობაა ეჭვი, რომ პირმა, როგორც ამსრულებელმა ან თანამონაწილემ, სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-2 აბზაცით ამომწურავად განსაზღვრულ დანაშაულის შემადგენლობათა ჩამონათვალიდან რომელიმე დანაშაული ჩაიდინა, შეეცადა ჩაედინა, თუკი ამ დანაშაულის მცდელობა დასჯადია, ან მოამზადა დანაშაული. აღნიშნული ეჭვი, თავის მხრივ, არ უნდა იყოს უბრალო, უმნიშვნელო.<sup>555</sup> სსსკ-ის 100a პარაგრაფის პირველი აბზაცის პირველი წინადადების თანახმად, ეჭვი უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებს.

ამასთან დაკავშირებით ნოიპუზზი აღნიშნავს, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მატერიალური წინაპირობების განსაზღვრისას, დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვი არის კ.წ.

<sup>549</sup> ი. ა. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 19.

<sup>550</sup> იქვე.

<sup>551</sup> ი. ა. Staechlin, Kritische Justiz 1995, 474; Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 19.

<sup>552</sup> ი. ა. Hirsch, ZRP 2008, 24-25.

<sup>553</sup> ი. ა. Welp, Strafprozessuale Überwachung, 1974, S. 65; Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 16, 19; Staechlin, Kritische Justiz 1995, 474.

<sup>554</sup> ი. ა. Hirsch, ZRP 2008, 24-25.

<sup>555</sup> ი. ა. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, § 100a, Rn. 9.

განუსაზღვრელი, ბუნდოვანი სამართლებრივი ცნება, რომლის უფრო ნათელი ან კონკრეტული დეფინიცია ვერ მიიღეს.<sup>556</sup> დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვის არსებობა არარსებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას აღნიშნული ყოველთვის წარმოადგენს ე.წ. „ინდუქციის სუბიექტურ შედეგს“.<sup>557</sup>

ამიტომ, ლოგიკურიცაა გერმანიის ფედერალური სასამართლოს პოზიცია, რომლის მიხედვითაც, სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო სარგებლობს გარემოებათა ინდივიდუალური შეფასების უფლებით.<sup>558</sup> აღნიშნული პოზიცია კრიტიკას იწვევს.<sup>559</sup> თუმცა, კრიტიკის საპასუხოდ, არსებობს შეხედულება, რომ ასეთ შემთხვევებში რამდენადაც ინტენსიურია ძირითად უფლებებში ჩარევა, იმდენად ვიწროვდება საკითხის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე გადაწყვეტის შესაძლებლობის არეალი.<sup>560</sup>

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით, დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვი უნდა იყოს საკმარისად კონკრეტული, რაც გულისხმობს იმას, რომ არ კმარა ბუნდოვანი სამხილების და უბრალო ვარაუდის არსებობა.<sup>561</sup> აბსტრაქტულ ვარაუდსა და კონკრეტულ ეჭვს შორის ზღვრის დადება შესაძლებელია კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.<sup>562</sup>

სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადებისთვის აუცილებელ ეჭვს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული რელევანტურობა და<sup>563</sup> გარკვეულწილად, – კონკრეტული ხასიათი.<sup>564</sup> მისი შეფასებისას შეიძლება კრიმინალისტიკური გამოცდილების გათვალისწინება.<sup>565</sup>

რედოლფის მიხედვით, ეჭვის ხარისხი, როგორიცაა, მაგ. დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდი ანდა ალბათობის მაღალი ხარისხი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი.<sup>566</sup> ლიტერატურაში კრიტიკას სწორედ ეს მომენტი იწვევს, რომ სსსკ-ის 100a პარაგრაფის წინაპირობები არ ითვალისწინებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.<sup>567</sup> რედოლფი ამ კრიტიკის პასუხად მიიჩნევს, რომ თავად სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების მიზანია, დაადასტუროს

<sup>556</sup> ob. Neuhaus, in: FS für Riess, 395.

<sup>557</sup> იქვე.

<sup>558</sup> ob. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 11.

<sup>559</sup> ob. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 11; Neuhaus, in: FS für Riess, 395ff.

<sup>560</sup> ob. Neuhaus, in: FS für Riess, 395-396.

<sup>561</sup> ob. BVerfGE 113, 348=NJW 05, 2603, 2610; BVerfG NJW 07, 2749, 2751; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, § 100a, Rn. 9; Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, § 36, Rn. 5.

<sup>562</sup> ob. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 79.

<sup>563</sup> ob. Rudolphi in: FS für Schaffstein, S. 436.

<sup>564</sup> ob. BT-Drs. 163/67, S. 11; Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, § 36, Rn. 5; Kühne, Strafprozessrecht, 2010, §30, Rn. 521.2.

<sup>565</sup> ob. BGH NStZ 10, 711 [ER]; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, § 100a, Rn. 9; Zöller, ZStW 2012, 426; შეად. Pfeiffer, StPO, 4.Aufl., 2002, გვ. 210.

<sup>566</sup> ob. Rudolphi in: FS für Schaffstein, S. 436.

<sup>567</sup> ob. Neuhaus, in: FS für Riess, S. 381.

მაგ. ბრალის წაუენებისთვის საჭირო ეჭვის ან დაკავებისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის არსებობა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ.<sup>568</sup>

თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისთვის საჭირო ეჭვის არსებობა უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრ მოთხოვნებს, რამდენადაც საგამოძიებო ორგანომ ყოველთვის უნდა იქონიოს მხედველობაში, რომ ამ ღონისძიების წარმოებით მნიშვნელოვნად შეიძლება დაზიანდეს როგორც ბრალდებულის, ასევე საქმესთან კავშირში არმყოფი მესამე პირის ძირითადი უფლებები.<sup>569</sup>

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-2 აბზაცით განსაზღვრულ დანაშაულთა ჩადენაში თანამონაწილეობა უთანაბრდება ამ დანაშაულის ამსრულებლობას.<sup>570</sup> რაც შეეხება დანაშაულის მცდელობას, დასჯადი მცდელობაცა და მასში თანამონაწილეობაც კვალიფიცირდება დასრულებულ დანაშაულად.<sup>571</sup> დანაშაულის მომზადებისა და მასში თანამონაწილეობის შემთხვევაში სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუკი ქმედება თავის მხრივ დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენს ან დასჯადია სსსკ-ის 30-ე პარაგრაფის მიხედვით.<sup>572</sup>

### 6.1.3. სუბსიდიარულობა

ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების სამართლებრივი რეგულირებისას თანაზომიერების პრინციპის რეალიზებას კანონმდებელი ახდენს, როგორც დანაშაულის შემადგენლობათა სიითი ჩამონათვალის დადგენითა და ეჭვის ხარისხის განსაზღვრით, ასევე სუბსიდიარულობის პრინციპის განსაზღვრით.<sup>573</sup>

სსსკ 100a პარაგრაფის პირველი აბზაცის მიხედვით, ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერისთვის აუცილებელ წინაპირობათაგან ერთ-ერთია ის, რომ აღნიშნული ფარული საგამოძიებო ღონისძიება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმის გარემოებათა გამოძიება ან ბრალდებულის ადგილსამყოფელის დადგენა სხვა საშუალებით უშედეგო იქნება ან მნიშვნელოვან სირთულეებთანაა დაკავშირებული.

კანონის ეს მოთხოვნა წარმოადგენს ძირითადი კანონის მე-10 მუხლის დაცვის მექანიზმს და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.<sup>574</sup>

კანონის ტექსტის აღნიშნული ფორმულირება მიუთითებს იმაზე, რომ ფარული სატელეკომუნიკაციო მიყურადება და ჩაწერა პრაქტიკაში უნდა გამოიყენონ, როგორც უკანასკნელი საშუალება (ე.წ. *ultima ratio*).<sup>575</sup>

<sup>568</sup> ob. *Rudolphi* in: FS für Schaffstein, S. 436.

<sup>569</sup> იქვე.

<sup>570</sup> ob. *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, § 100a, Rn. 12.

<sup>571</sup> იქვე.

<sup>572</sup> ob. BGH 32, 10, 16; *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, § 100a, Rn. 12.

<sup>573</sup> ob. *Rüdiger*, Telefonüberwachung, 2002, S. 58; შეად. *Neuhaus*, in: FS für Riess, 399; *Albrecht/Dorsch/Krüipe*, Rechtswirklichkeit, (2003), გვ. 20.

<sup>574</sup> ob. *Albrecht/Dorsch/Krüipe*, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 20.

<sup>575</sup> ob. *Krüipe-Gescher*, Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 8.

აღნიშნული ultima ratio-ს პრინციპი წარმოადგენს მცდელობას, ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების ღონისძიებები გამოიყენონ მხოლოდ ისეთი საქმის გარემოებათა გამოძიებისთვის, რომლის დროსაც ჩვეულებრივი, დია საგამოძიებო ღონისძიებები წარუმატებელი იქნება.<sup>576</sup> ნორმის საკმაოდ ზოგადი ფორმულირების გამო, არსებობს რისკი, რომ ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არსებობს სუბსიდიარულობის პრინციპის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.<sup>577</sup> გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ძირითად უფლებებში ჩარევა კანონით მხოლოდ იმ შემთხვევებში უნდა იყოს შესაძლებელი, როცა ამოწურულია სისხლის სამართლის ყველა საპროცესო ოუ კრიმინალისტიკური საშუალება.<sup>578</sup>

რუდოლფის აზრით, კანონის ტექსტი, რომ საქმის გარემოებათა გამოძიება ან ბრალდებულის ადგილსამყოფელის დადგენა სხვა საშუალებით შეუძლებელია ან მნიშვნელოვან სირთულეებთანაა დაკავშირებული, არცთუ ისე ერთმნიშვნელოვნად გაიგება.<sup>579</sup> ავტორის აზრით, გადამწყვეტია არა მხოლოდ ის, რომ გამოძიების სხვა დონისძიებები სრულიად უშედეგო იქნება, არამედ აუცილებელია, რომ დაგეგმილი საგამოძიებო ღონისძიებები, კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით, წარმატებული შედეგის პირობას იძლეოდეს.<sup>580</sup> ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, მხოლოდ სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების ღონისძიებები იქნება დასახელებული მიზნებისთვის ვარგისი.<sup>581</sup> ამიტომ, ყოველთვის უნდა შედარდეს სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების წარმატების შანსი გამოძიების სხვა ღონისძიებებთან და სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების ჩატარება მხოლოდ მაშინ უნდა გადაწყვდეს, თუკი ალბათობის მაღალი ხარისხით ივარაუდება, რომ მხოლოდ აღნიშნული ღონისძიება იქნება შედეგის მომტანი.<sup>582</sup> ასევე, აუცილებელია, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საგამოძიებო ორგანოებმა გამოძიების ყველა სხვა შესაძლებლობა ამოწურონ.<sup>583</sup>

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო ორგანოს მიერ აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული, რატომ იქნება ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების ღონისძიების გამოყენების გარეშე გამოძიება უშედეგო ან მნიშვნელოვან სირთულეებთან დაკავშირებული.<sup>584</sup>

<sup>576</sup> ი. ა. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 20.

<sup>577</sup> ი. ა. Kühne, Strafprozessrecht, 2010, §30, Rn. 521.1.

<sup>578</sup> ი. ა. BVerfGE 30, 1 (22); შეად. Rüdiger, Telefonüberwachung, 2002, S. 58.

<sup>579</sup> ი. ა. Rudolphi, in FS: Schaffsteiner, S. 436.

<sup>580</sup> ი. ა. 437.

<sup>581</sup> ი. ა. 437.

<sup>582</sup> ი. ა. Rudolphi, in FS: Schaffsteiner, S. 437; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 13.

<sup>583</sup> შეად. BVerfGE 30, 1, 22; Rudolphi, in FS: Schaffsteiner, S. 437; Neuhaus, in: FS für Riess, S. 399-400.

<sup>584</sup> ი. ა. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 20.

გამოძიება მნიშვნელოვან სირთულეებთან მაშინაა დაკავშირებული, მაგ., როდესაც გამოძიების სხვა ღონისძიებების ჩატარება დროში მნიშვნელოვნად გაიწელება და, შესაბამისად, შეფერხდება სისხლის სამართლის პროცესი;<sup>585</sup> ანდა, პირიქით, გამოძიებისთვის მნიშვნელოვან სირთულეს შექმნის გარემოება, როდესაც ძირითად უფლებებში დროული, მყისიერი ჩარევა (მაგ., ბრალდებულის დაკავება) შედეგად ვერ მოიგანს საქმისთვის საჭირო მნიშვნელოვან მტკიცებულებებს.<sup>586</sup> რომელიმე საგამოძიებო ღონისძიებისთვის უფრო დიდი და მოცულობითი სამუშაოს ჩატარება მაშინ იქნება გამართლებული, თუკი ეს ღონისძიება ისეთი მოცულობითია და იმდენად მნიშვნელოვან შედეგს მოიგანს, რომ მისთვის დახარჯულ რესურსს სისხლისსამართლებრივი დავნის ინტერესები ერთმნიშვნელოვნად აღემატება.<sup>587</sup>

ისევე, როგორც დანაშაულის შესახებ ეჭვის დადგენის შემთხვევაში, სუბსიდიარულობის პრინციპის შემოწმების დროსაც, გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს ენიჭება ინდივიდუალური შეფასების უფლებამოსილება.<sup>588</sup> აღნიშნული მიღვომა კრიტიკას იწვევს სამეცნიერო ლიტერატურაში. ძირითად არგუმენტად ის მოჰყავთ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.<sup>589</sup> თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გამოძიების პროცესში გადაწყვეტილების მიღებისას საგამოძიებო ორგანოს შეუძლია მხოლოდ პროგნოზის გაკეთება, რომელიც ყოველთვის დაკავშირებულია ეჭვთან, ვარაუდთან და რომელიც ახალი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში ცვლილებას ექვემდებარება.<sup>590</sup> ავტორთა ნაწილი აღნიშნავს, რომ თუკი რეალურად შეფასდება აღნიშნული ვითარება, თვალნათელი გახდება, რომ პრაქტიკაში შეუძლებელია საგამოძიებო ორგანოს მხრიდან თავისუფალი შეფასების გარეშე გადაწყვეტილების მიღება.<sup>591</sup>

რაც შეეხება გამოძიების ხარჯებს, ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მას არ უნდა მიენიჭოს არსებითი მნიშვნელობა.<sup>592</sup>

ნოიპაუზი აღნიშნავს, რომ, როდესაც რამდენიმე საგამოძიებო ღონისძიება თანაბარი შედეგის პროგნოზის იძლევა, უნდა შეირჩეს ის, რომელიც ძირითად უფლებებს ნაკლებად შეზღუდავს.<sup>593</sup> კონკრეტულ რეგულაციას ამ საკითხის შესახებ კანონი არ იძლევა.<sup>594</sup> აბსტრაქტული მითითება კი იმასთან დაკავშირებით, რომ შეფასებისას მნიშვენლობა აქვს ძირითად უფლებებში ჩარევის ინტენსივობას, არ არის იმის

<sup>585</sup> ი. მ. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §100a, Rn. 13; Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 354-355, Rn 43; Rieß, in: Gedschr für Meyer, 367.

<sup>586</sup> ი. მ. Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 354-355, Rn 43.

<sup>587</sup> ი. მ. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §100a, Rn. 13.

<sup>588</sup> ი. მ. BGHSt 41, 33; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §100a, Rn. 13.

<sup>589</sup> ი. მ. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 21.

<sup>590</sup> იქვე.

<sup>591</sup> იქვე.

<sup>592</sup> ი. მ. Schäfer, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b, S. 354-355, Rn 43; შეად. Rudolphi, in FS: Schaffsteiner, S. 437; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §100a, Rn. 13.

<sup>593</sup> ი. მ. Neuhaus, in: FS für Riess, 399.

<sup>594</sup> ი. მ. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §100a, Rn. 14.

დადასტურებისთვის საკმარისი, რომ, მაგალითად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება ძირითადი უფლებების დარღვევის უფრო მძიმე შემთხვევაა, ვიდრე პროცესში აგენტის ჩართვა.<sup>595</sup> საგამოძიებო ორგანოსთვის აღნიშნულ შემთხვევაშიც სავალდებულოა ძირითად უფლებებში ჩარევის სავარაუდო სიმძიმის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური შეფასება.<sup>596</sup>

როგორც ნოაპაუზი აღნიშნავს, ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება სუბსიდიარულობის პრინციპისთვის გვერდის ავლა, ანდა ის არაა საკმარისად დასაბუთებული.<sup>597</sup> ამიტომ, ლიტერატურაში გამოითქვა სწორი მოსაზრება, რომ მიზანშეწონილი იქნება, სასამართლო პრაქტიკამ ხელი შეუწყოს ისეთი მახასიათებლების მოცულობით და არსებით შემოწმებას, როგორებიცაა „სხვა საშუალებით შეუძლებელი” და „მნიშვნელოვან სირთულეებთან დაკავშირებული”.<sup>598</sup>

## 6.2. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ფორმალური (პროცედურული) წინაპირობები

### 6.2.1. ბრძანება

სსსკ-ის 100e პარაგრაფის პირველი აბზაცის პირველი წინადაღების თანახმად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ ბრძანებას იღებს მოსამართლე პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ მოსამართლის მიერ აღნიშნული ღონისძიების ჩატარებაზე ბრძანების გაცემა სავალდებულოა მაშინაც, როცა სატელეფონო საუბრის ერთ-ერთმა მონაწილემ მიყურადების შესახებ იცის და თანახმაცა.<sup>599</sup> თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ სატელეფონო საუბრის ერთ-ერთი მონაწილის თანხმობა მიყურადებაზე საკმარისია ამ ქმედების განსახორციელებლად და მოსამართლის ბრძანება ამ შემთხვევაში ზედმეტია.<sup>600</sup>

აღსანიშნავია 2017 წლის აგვისტოში ჩატარებული რეფორმის<sup>601</sup> შედეგად სსსკ-ის 100e პარაგრაფში განსახორციელებული ცვლილება. კერძოდ, სსსკ-ის აღნიშნული პარაგრაფის მეოთხე აბზაცის თანახმად, ფარული სატელეკომუნიკაციო მიყურადების ღონისძიებათა ჩატარებაზე (ასევე, მისი ვადის გაგრძელებაზე) მოსამართლის ბრძანება უნდა შეიცავდეს საფუძვლიან დასაბუთებას; მასში წარმოდგენილი უნდა იყოს ბრძანების გაცემის წინაპირობები და მნიშვნელოვანი შეფასებითი მოსაზრებები, როგორიცაა, მაგ.: კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვს ასაბუთებს და

<sup>595</sup> შეად. BGH 41, 30, 36; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 14.

<sup>596</sup> იბ. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 14.

<sup>597</sup> იბ. Neuhaus, in: FS für Riess, 399ff.

<sup>598</sup> იბ. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 21.

<sup>599</sup> იბ. Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, §36, Rn. 9.

<sup>600</sup> იბ. Kühne, Strafprozessrecht, 2010, § 30, Rn. 524.2.

<sup>601</sup> იბ. [BGBl. I S. 3202](#),

[https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav#\\_bgbli\\_%2F%2F\\*%5B%40attr\\_id%3D%27bgbli117s3202.pdf](https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav#_bgbli_%2F%2F*%5B%40attr_id%3D%27bgbli117s3202.pdf) f%27%5D\_1533540915395, უკანასკნელად გადამოწმებულია 06.08.2018.

გარემოებები, რომლებიც დონისძიების ჩატარების აუცილებლობასა და თანაზომიერებას ასაბუთებს.

შესაბამისად, რეფორმის შედეგად გამკაცრდა მოსამართლის ბრძანებისადმი კანონით დაღვენილი მოთხოვნები. ნიშანდობლივია მეორე გარემოებაც, რომ ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ ბრძანების გაცემისა თუ ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უკვე კანონით ენიჭება არსებითი მნიშვნელობა თანაზომიერების პრინციპს.<sup>602</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 100e პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ იდებს პროკურატურა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურის მიერ მიღებულ აღნიშნულ გადაწყვეტილებას მოსამართლე სამი სამუშაო დღის განმავლობაში არ დაადასტურებს, მაშინ ის გაუქმებულად ჩაითვლება. აღსანიშნავია, რომ მითითებული ვადა ათვლება ბრძანების გაცემიდან და არა სატელეკომუნიკაციო მომსახურების სააგენტოებისთვის მისი გადაცემიდან<sup>603</sup> თუ ამ დონისძიების აღსრულების სხვა მომენტიდან<sup>604</sup>. ვადის ათვლის ეს წესი მოქმედებს ამ დონისძიების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაშიც.<sup>605</sup>

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, თუკი პროკურატურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების წარმოებაზე სამი დღის შემდეგ მოსამართლე არ დაადასტურებს და ამ სამი დღის განმავლობაში მოიპოვებენ მთელ რიგ მტკიცებით მასალას, მაშინ, სავსებით მართებულად, აღნიშნული მასალის გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში არ დაიშვება.<sup>606</sup>

სსსკ-ის 100e პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-4 წინადადების მიხედვით, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ მოსამართლის ბრძანება გაიცემა მაქსიმუმ სამი თვის ვადით. მისი გაგრძელება დასაშვებია არაუმეტეს მომდევნო სამი თვის ვადით, თუკი ბრძანების გაცემის წინაპირობები, გამოძიების შედეგის გათვალისწინებით, ისევ არსებობს. იმ შემთხვევაში, თუკი მოსამართლე არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას ამ დონისძიების ვადის გაგრძელების შესახებ, მაშინ არსებული ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდება.<sup>607</sup>

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების დონისძიება ტარდება იქამდე, ვიდრე საგამოძიებო პროცესის შემდგომი წარმოება ამ დონისძიების გარეშეც შესაძლებელი არ გახდება, ანდა თუკი მიმალვაში მყოფი ბრალდებულის ადგილსამყოფელი დადგინდება, ან გამოძიების წარმატების პერსპექტივა აღარ არსებობს.<sup>608</sup> სსსკ-ის 100e პარაგრაფის მე-

<sup>602</sup> შეად. BGH NStZ-RR 11, 148.

<sup>603</sup> ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100b, Rn. 1.

<sup>604</sup> ob.: BGH 44, 243; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100b, Rn. 2; Kühne, Strafprozessrecht, 2010, §30, Rn. 521.3.

<sup>605</sup> ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100b, Rn. 2.

<sup>606</sup> ob. Kühne, Strafprozessrecht, 2010, § 30, Rn. 521.3.

<sup>607</sup> ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100b, Rn. 2.

<sup>608</sup> იქვე.

3. აბზაცის თანახმად, ფარული სატელეკომუნიკაციო მიყურადების შესახებ ბრძანება გაიცემა წერილობითი სახით. ის უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

1. იმ პირის სახელი და მისამართი, თუკი ასეთი ცნობილია, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია აღნიშნული ღონისძიება;

2. ბრალდება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ღონისძიების ჩატარებას;<sup>609</sup>

3. ღონისძიების სახე, მოცულობა და ხანგრძლივობა ამ ღონისძიების დასრულების დროის მითითებით;

4. იმ ინფორმაციის სახე, რომელიც ამ ღონისძიებით უნდა იქნეს მოპოვებული და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმისთვის;<sup>610</sup>

5. აბონენტის ნომერი ანდა სხვა მახასიათებელი, რომლის ფარული სატელეკომუნიკაციო მიყურადება უნდა განხორციელდეს; იმ პირობით თუკი, შესაბამისი ფაქტებიდან გამომდინარე არ ჩანს, რომ აღნიშნული იმავდროულად სხვა აპარატსაც აქვს მინიჭებული.

კანონმდებლის მოთხოვნა, რომ ბრძანება უნდა იქოს წერილობითი სახით, გულისხმობს იმას, რომ უნდა იკითხებოდეს, ვინ გამოსცა აღნიშნული აქტი; მინიმუმ, სავალდებულოა დოკუმენტზე ხელმოწერის დართვა.<sup>611</sup>

სსსკ-ის 100e პარაგრაფის მესამე აბზაცის პირველი პუნქტის ფორმულირებაში სიტყვები - „თუკი ასეთი ცნობილია”, მიუთითებს კანონმდებლის ნებაზე, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება შესაძლოა, განხორციელდეს იმ პირის მიმართაც, რომლის (ნამდვილი) იდენტობა ჯერ არ არის დადგენილი.<sup>612</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100e პარაგრაფის მესამე აბზაცის მე-5 პუნქტის მოთხოვნაში, რომ ფარული მიყურადების შესახებ ბრძანება უნდა შეიცავდეს აბონენტის ნომერს ან სხვა მახასიათებელს, იგულისხმება, მაგ., მობილურის მომხმარებლის საერთაშორისო იდენტიფიკატორი (IMSI) ანდა ინტერნეტპროტოკოლის მისამართი (IP – მისამართი).<sup>613</sup> როგორც წესი, საკმარისია, ბრძანებაში იმ მობილური ტელეფონის აპარატის ნომრის მითითება, რომლის ფარული მიყურადება უნდა განხორციელდეს (მობილური აღჭურვილობის საერთაშორისო იდენტიფიკატორი – IMEI).<sup>614</sup> მაგრამ, თუ ფაქტებზე დაყრდნობით დგინდება, რომ მობილური ტელეფონის აპარატის

<sup>609</sup> აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პუნქტი ამ ნორმას დაემატა 2017 წელს სსსკ-ში განხორციელებული ცვლილების შედეგად, იხ. BGBL. I S. 3206, https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav# bgbli %2F%5B%40attr\_id%3D%27bgbli117s3202.pdf%27%5D\_1533540915395, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.08.2018.

<sup>610</sup> აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პუნქტი ამ ნორმას დაემატა 2017 წელს სსსკ-ში განხორციელებული ცვლილების შედეგად, იხ. BGBL. I S. 3206, https://www.bgbli.de/xaver/bgbli/start.xav# bgbli %2F%2F%5B%40attr\_id%3D%27bgbli117s3202.pdf%27%5D\_1533540915395, უკანასკნელად გადამოწმებულია 10.08.2018.

<sup>611</sup> იხ. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100b, Rn. 3.

<sup>612</sup> იქვე, Rn. 4.

<sup>613</sup> იქვე.

<sup>614</sup> იქვე.

საიდენტიფიკაციო ნომერი მინიჭებული აქვს სხვა აპარატსაც, მაშინ დაუშვებელია ასეთი მონაცემით ხელმძღვანელობა.<sup>615</sup>

ფარული სატელეფონო მიყურადების დროს აუცილებელია, ასევე, ბრძანებაში მითითებული იყოს, საგალდებულოა თუ არა სატელეფონო საუბრის ჩაწერა და რა მოცულობით; ასევე, აუცილებელია იმის შესახებ მითითება, უნდა საუბარი სრულად უნდა ჩაიწეროს თუ დღის მხოლოდ გარკვეულ შუალედში.<sup>616</sup>

ბრძანებაში არ მიეთითება იმ პირთა შესახებ, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ ფარულ სატელეფონო მიყურადებას.<sup>617</sup>

ბაკები და გუზი მიუთითებენ სამ ძირითად კრიტერიუმზე, რომლებსაც უნდა შეიცავდეს მოსამართლის ბრძანების დასაბუთება კონკრეტულად სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შემთხვევაში; ესენია:

- ბრძანებაში უნდა იყოს მითითებული ის დანაშაული, რომელიც მე-100a მუხლის ჩამონათვალშია და რომელიც აუცილებელია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ჩატარებისთვის;
- ფაქტობრივ გარემოებებითან დაკავშირებული მონაცემები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვს ასაბუთებს;
- ბრძანება უნდა შეიცავდეს კონკრეტულ შემთხვევაზე ორიენტირებულ მონაცემებს იმ საკითხთან დაკავშირებით, სხვა საგამოძიებო დონისძიებები იქნებოდა თუ არა ნაკლებად შედეგიანი ან უშედეგო (თანაზომიერებისა და სუბსიდიარულობის პრინციპები).<sup>618</sup>

ადსანიშნავია, რომ ამ სამ კრიტერიუმს ბაკების და გუზის მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგების თანახმად, რომელიც ეძღვნებოდა სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას, შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეთა მასალიდან მხოლოდ დაახლოებით ერთი მეოთხედი თუ აქმაყოფილებდა (24,1 %).<sup>619</sup>

რაც შეეხება „გადაუდებელი აუცილებლობის“ გარემოებას, სსსკ-ის 100e პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ იღებს პროცესუატურა. „გადაუდებელი აუცილებლობის“ დადგენისთვის გადამწყვეტი და მეტად მნიშვნელოვანია კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური შეფასება.<sup>620</sup> ზოგადად, სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური გარემოებები.<sup>621</sup>

მაგალითისთვის, სისხლის სამართლის პროცესში ხშირია, რომ თუკი ბრალდებული შეიტყობს მის მიმართ წარმოებული საგამოძიებო

<sup>615</sup> იქვე.

<sup>616</sup> იქვე.

<sup>617</sup> იქვე, Rn. 5.

<sup>618</sup> ob. *Backes/Gusy*, StV 2003, 249.

<sup>619</sup> იქვე.

<sup>620</sup> ob. *Gusy*, JZ 2001, 1033, 1035; იგივე GA 2003, 672, 680, 681; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 86.

<sup>621</sup> ob. *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 86.

დონისძიებების შესახებ, დაუყოვნებლივ ანადგურებს ყველა მტკიცებულებას.<sup>622</sup> ეს პრაქტიკული გამოცდილება, თავის მხრივ, ვერ გამოდგება, როგორც „გადაუდებელი აუცილებლობის“ დადგენისთვის საჭირო ერთადერთი წინაპირობა.<sup>623</sup> უცილებელია უფრო კონკრეტული ფაქტები, გარემოებები იმის დასადასტურებლად, რომ ბრალდებულმა მის წინააღმდეგ წარმოებული ფარული საგამოძიებო დონისძიებების შესახებ შესაძლოა მიიღოს ინფორმაცია და ამიტომაც წარმოიშობა კონკრეტული მტკიცებულებების განადგურების საფრთხე.<sup>624</sup>

რა არის ძირითადი მიზეზი, რომ ტენდენციურად ხშირად ხდება გადაუდებელი აუცილებლობის წინაპირობების გვერდის ავლა, ხშირად არასწორად გაიგება აღნიშნული გარემოება. ლიტერატურაში ძირითადად დასახელებულ მიზეზთაგან პირველი არის ის, რომ „გადაუდებელი აუცილებლობა“ არის განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნება.<sup>625</sup> რაც შეეხება მეორე მიზეზს, შესაძლოა, მოსამართლე არ იყოს ოპერატიულად ხელმისაწვდომი.<sup>626</sup>

აღსანიშნავია, რომ გ.წ. გადაუდებელი აუცილებლობა სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში<sup>627</sup> განვითარდა, როგორც განუსაზღვრელი, შეფასებითი სამართლებრივი ცნება, რომელიც სასამართლო კონტროლს ექვემდებარება და ითხოვს ყოველი კონკრეტული შემთხვევის გარემოებების მიხედვით შეფასებას.<sup>628</sup>

ამასთან, პრაქტიკაში გადაუდებელი აუცილებლობით ფარული საგამოძიებო დონისძიების განხორციელება არცთუ ისე ხშირია.<sup>629</sup> ამას ადასტურებს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კრიმინოლოგიური კალევები ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების ეფექტიანობის შესახებ.<sup>630</sup> აღნიშნული კვლევების საფუძველზე, ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების შესახებ გადაწყვეტილებას უპირატესად მოსამართლე იღებს, პროკურორი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იშვიათად იღებს.<sup>631</sup> კვლევაში შესწავლილია სისხლის სამართლის 523 საქმის მასალა და აქედან 82%-ში გადაწყვეტილება მიღებული იყო მოსამართლის მიერ, მხოლოდ 12% შეადგენდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევას, 6%-ში კი არ არსებობდა პროკურატურის შუადგომლობა და, ამის მიუხედავად, დონისძიების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო.<sup>632</sup>

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში წარმოებული ფარული სატელეკომუნიკაციო მიუურადების შესახებ პროკურატურის

<sup>622</sup> იქვე.

<sup>623</sup> იქვე.

<sup>624</sup> იქვე.

<sup>625</sup> ob. BVerfG NJW 2001, 1121f.

<sup>626</sup> ob. Briüning, ZIS 2006, 32.

<sup>627</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ხელფის მოსაზრება: Nelles, Kompetenzen und Ausnahmekompetenzen in der Strafprozessordnung, 1980, S. 57.

<sup>628</sup> ob. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 100.

<sup>629</sup> ob. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 175.

<sup>630</sup> იქვე.

<sup>631</sup> იქვე.

<sup>632</sup> იქვე, 175-176.

გადაწყვეტილებათა თითქმის 70% მოსამართლის მიერ იყო დამტკიცებული; მხოლოდ დაახლოებით 5% არ იყო დადასტურებული; ხოლო 25%-ის შემთხვევაში მოსამართლის ბრძანება აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის შესახებ საერთოდ არ ჩანდა საქმეში.<sup>633</sup>

## 6.2.2. სამოსამართლო კონტროლი

### 6.2.2.1. ცნება და საკანონმდებლო რეგულაციის ისტორიული განვითარება

სამართლებრივ სახელმწიფოში საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა ნებისმიერ ფასად დაუშვებელია.<sup>634</sup> საქმის გამოძიების პროცესში ჭეშმარიტების დადგენის შეძლებისდაგვარად სრულყოფილად განხორციელებისთვის ხშირად მნიშვნელოვნად იზღუდება ადამიანის ძირითადი უფლებები.<sup>635</sup> სამოსამართლო კონტროლი სწორედ ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით არსებული სამართლებრივი დაცვის მქანიზმია.<sup>636</sup>

სამოსამართლო კონტროლის განხორციელებისას მოსამართლე ბრძანების გაცემით ანდა მიღებული გადაწყვეტილების დადასტურებით საგამოძიებო ორგანოების მეშვეობით ერთვება ადამიანის ძირითადი უფლებების საპროცესო სამართლებრივი შეზღუდვის პროცესში.<sup>637</sup>

ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ სამოსამართლო კონტროლი არის ძირითადი უფლებების დაცვის ფორმა პროცესის საშუალებით.<sup>638</sup>

პროცესში მოსამართლის ჩართულობით კანონმდებელს სურს, რომ ნეიტრალურმა სუბიექტმა ფარული საგამოძიებო ღონისძიებებით დაზარალებული პირის ინტერესები დამოუკიდებლად შეამოწმოს; შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან ძირითად უფლებებში ჩარევა კონტროლირებული და გეგმაზომიერი იყოს.<sup>639</sup> კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ მოსამართლე მისი პერსონალური და საგნობრივი დამოუკიდებლობის, მკაცრი კანონმორჩილების (ძირითადი კანონის 97-ე მუხლი) საფუძველზე ფარული საგამოძიებო ღონისძიების ადრესატთა ინტერესების დაცვას საუკეთესოდ და განუხელად შეძლებს.<sup>640</sup>

ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების საპროცესო სამართლებრივი რეგულაციის მიღებისთანავე განისაზღვრა ამ ღონისძიების ჩატარებისთვის მოსამართლის ბრძანების აუცილებლობა.<sup>641</sup> კანონის აღნიშნული მოთხოვნა დღემდე უცვლელია. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სსსკ-ის 100e პარაგრაფის პირველი აბზაცის თანახმად, 100a პარაგრაფით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება პროკურორის შუამდგომლობით მოსამართლის ბრძანების საფუძველზეა

<sup>633</sup> იქვე, 176.

<sup>634</sup> ob. BVerfGE 33, 367 (383); 63, 45 (61); 77, 65 (76).

<sup>635</sup> ob. Brüning, ZIS 2006, 29.

<sup>636</sup> იქვე.

<sup>637</sup> ob. Asbrock, ZRP 1998, 17; Asbrock, KritV 1997, 256; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 54.

<sup>638</sup> ob. Gusy, GA 2003, 672.

<sup>639</sup> ob. Backes/Gusy, StV 2003, 249.

<sup>640</sup> ob. BVerfGE 103, 142, 151; Gusy, GA 2003, 675; Hüls, ZIS 2009, 160-161.

<sup>641</sup> ob. BR/Drs. 275/07, S. 82; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 246.

შესაძლებელი; მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაიშვება, რომ მისი ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს პროკურატურამ; ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერება სამი სამუშაო დღის განმავლობაში უნდა დაადასტუროს სასამართლომ (სსსკ-ის 100e პარაგრაფის პირველი აზაცი).<sup>642</sup>

აღსანიშნავია, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო სამოსამართლო კონტროლის განმარტებისას ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებაში ჩარევის სიმძიმეს.<sup>643</sup> რამდენადაც განსაზღვრული საგამოძიებო დონისძიებები ძირითად უფლებებში ისეთ მძიმე ჩარევას გულისხმობენ, რომ მათი განხორციელება დაუშვებელი უნდა იყოს მოსამართლის კონტროლის გარეშე.<sup>644</sup>

სამოსამართლო კონტროლის აუცილებლობა და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში დღემდე საკამათოა.<sup>645</sup> ერთი მხრივ, არსებობს საფრთხე, რომ საქმის გამოძიება მის აღრეულ ეტაპზევე მოსამართლის ჩართულობით შესაძლოა გართულდეს და დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა ეჭვის ქვეშ დადგეს.<sup>646</sup> მეორე მხრივ, სისხლის საპროცესო სამართლალსა თუ საპოლიციო სამართლში ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ადასტურებს სამოსამართლო კონტროლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.<sup>647</sup>

ასევე, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, გამოძიების შესაძლებლობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების წყალობით, გაიზარდა ძირითად უფლებებში საპროცესო სამართლებრივი ჩარევის რაოდენობა; შესაბამისად, გაიზარდა მათ შესახებ მოსამართლის გაცემულ ბრძანებათა რიცხვიც.<sup>648</sup>

გერმანიაში სამოსამართლო კონტროლის, როგორც ინსტიტუტის, საწყისები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩნდება.<sup>649</sup> ე.წ. „პაულსკირხენის კონსტიტუციას“ 138-ე პარაგრაფის მეორე აბზაცში შემოაქვს სამოსამართლო კონტროლი პირის დაპატიმრების შემთხვევაში<sup>650</sup> და 140-ე პარაგრაფის მეორე აბზაცით განსაზღვრავს მის აუცილებლობას საცხოვრებელი ადგილის ჩხრევის დროსაც.<sup>651</sup> თუმცა, 1877 წლის რაიხის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე პარაგრაფის პირველი აბზაცით გახდა სამოსამართლო კონტროლი, როგორც მოქმედი სამართლი.<sup>652</sup> აღსანიშნავია, რომ, ამ ჩანაწერის მიხედვით, რაიხის

<sup>642</sup> ob. Gusy, GA 2003, 672, 674; შეად. Lin, Richtervorbehalt und Rechtsschutz gegen strafprozessuale Grundrechtseingriffe, 1998, S. 221 f.; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 59.

<sup>643</sup> ob. Gusy, GA 2003, 672, 674; შეად. Lin Richtervorbehalt und Rechtsschutz gegen strafprozessuale Grundrechtseingriffe, 1998, S. 221f.; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 59.

<sup>644</sup> ob. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 54; შეად. Hilger, JR 1990, 485 f.

<sup>645</sup> ob. Asbrock, ZRP 1998, 17; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 54.

<sup>646</sup> შეად. Asbrock, ZRP 1998, 17; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 55.

<sup>647</sup> ob. Backes/Gusy, StV 2003, 249; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 55.

<sup>648</sup> ob. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 55.

<sup>649</sup> ob. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 55; Rabe von Kühlewein, Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, 2001, S. 27 f.

<sup>650</sup> ob. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 55.

<sup>651</sup> ob. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 55; Rabe von Kühlewein, Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, 2001, S. 43 f. und 78.

მოსამართლისთვის მინიჭებულ საკონტროლო ფუნქციას არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნდა.<sup>652</sup>

საკონსტიტუციო სამართლებრივი თვალსაზრისით პირველად სამოსამართლო კონტროლის რეგულაცია გააჩნდა მირითადი კანონის მე-13 და 104-ე მუხლებში.<sup>653</sup> 1949 წლის შემდეგ სამოსამართლო კონტროლის შესახებ მრავალი ჩანაწერი გააჩნდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.<sup>654</sup> სამოსამართლო კონტროლისთვის ახალი და მნიშვნელოვანი ფაზა დაიწყო მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გააჩნდა ფარული საგამოძიებო დონისძიებები.<sup>655</sup> აღსანიშნავია, რომ კანონმდებელმა თითქმის ყველა შემთხვევაში, როცა საქმე ეხება მირითადი უფლებებში საპროცესო სამართლებრივ ჩარევას, განსაზღვრა სამოსამართლო კონტროლი.<sup>656</sup>

გუზი ციტირებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტის განხილვისას გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ „ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას აუცილებელი და გარდაუვალია პირის პერსონალურ უფლებებში ჩარევა”, შესაბამისად, ასეთი ტიპის ჩარევაზე გადაწყვეტილებას მირითადად „მხოლოდ მოსამართლე უნდა იღებდეს”.<sup>657</sup>

## 6.2.2.2. სამოსამართლო კონტროლის ფუნქცია

მირითადად განასხვავებენ სამოსამართლო კონტროლის ორ ფუნქციას.<sup>658</sup> ერთი მხრივ, მას, როგორც ინსტრუმენტს, აქვს კანონის დაცვის (ობიექტურ-ზეინდივიდუალური) ფუნქცია.<sup>659</sup> სამოსამართლო კონტროლის შედეგად, კერძოდ კი, პროცესში დამოუკიდებელი და ნეიტრალური მოსამართლის ჩართვით, აღმასრულებელი ხელისუფლება კარგავს პირველადი ჩარევის ექსკლუზიურ უფლებას; საპროცესო სამართლებრივი დონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებლობას თანაბრად ინაწილებენ როგორც აღმასრულებელი, ისე სასამართლო ხელისუფლება.<sup>660</sup>

მეორე მხრივ, სამოსამართლო კონტროლი ემსახურება საპროცესო დონისძიების ადრესატის (სუბიექტურ-ინდივიდუალურ) სამართლებრივ დაცვას.<sup>661</sup> შესაბამისად, ფარული საგამოძიებო დონისძიებების შემთხვევაში სამოსამართლო კონტროლს ენიჭება, ასევე, კ.წ.

<sup>652</sup> ob. *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 55, 56.

<sup>653</sup> იქვე, 56.

<sup>654</sup> ob. *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 56; *Rabe von Kühlewein*, Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, 2001, S. 27-79.

<sup>655</sup> ob. *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 56.

<sup>656</sup> ob. *Talaska* Der Richtervorbehalt, 2007, S. 56; შეად. მაგ., §§ 81 f Abs. 1, 100 b Abs. 1, 100 d Abs. 1 StPO; ასევე, § 81 a Abs. 2 StPO.

<sup>657</sup> ob. *Gusy*, GA 2003, 672, 673, 676; *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 59.

<sup>658</sup> ob. *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 247.

<sup>659</sup> იქვე.

<sup>660</sup> ob. *Brüning*, Der Richtervorbehalt im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, 2005, S. 111 f.; *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 247; *Rabe von Kühlewein*, Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, 2001, S. 417 f.

<sup>661</sup> ob. *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 247.

კომპენსაციის ფუნქცია.<sup>662</sup> ადნიშნული კი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან, ზოგიერთი ავტორის თანახმად, ფარული საგამოძიებო დონისძიების ადრესატისთვის მიცემული შესაძლებლობა, მოგვიანებით დაიცვას ფარული მიყურადების შედეგად მისი დარღვეული უფლება, ხშირად ან არაა რეალური, ან ძნელად განსახორციელებელია.<sup>663</sup>

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, სამოსამართლო კონტროლის საშუალებით კომპენსირდება კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლო მოსმენის უფლება.<sup>664</sup> საკითხი, თუ რამდენად წარმოადგენს სასამართლო კონტროლის არსეა და მიზანს სასამართლო მოსმენის უფლების კომპენსაცია, უფრო ვრცლად იქნება განხილული ქვემოთ.

რამდენადაც პროკურატურა ხელმძღვანელობს გამოძიებას და მის ხელშია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის უფლებამოსილება, ზოგიერთი მეცნიერის მიხედვით, სამოსამართლო კონტროლი ნაწილობრივ წარმოადგენს ე.წ. „სისტემის საწინააღმდეგო“<sup>665</sup> ანდა „საპროკურორო საქმიანობის სუვერენიტეტის დამრღვევა“<sup>666</sup> ინსტიტუტს.<sup>667</sup>

აღსანიშნავია, რომ სამოსამართლო კონტროლის მნიშვნელობისა და მიზნის შესახებ კონსენსუსი ძირითადად არ არსებობს.<sup>668</sup> თუმცა, არ შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს საკითხი იმის შესახებ, რომ გამოძიების პროცესში მოსამართლის ჩართვა ემსახურება იმ პირთა დაცვას, რომელთა მიმართაც ხერციელდება საგამოძიებო დონისძიებები ანდა რომლებიც ამ დონისძიებების შედეგად შეიძლება დაზარალდნენ.<sup>669</sup> ამდენად, სამოსამართლო კონტროლის ინსტიტუტს უმთავრესად ძირითადი უფლებების დაცვის საპროცესო ფუნქცია აქვს, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანების ფუნქციას.<sup>670</sup>

### 6.2.2.3. სამოსამართლო კონტროლის მიზანი

სამოსამართლო კონტროლს, როგორც წესი, აქვს არა მხოლოდ ერთი განსაზღვრული, არამედ რამდენიმე მიზანი.<sup>671</sup> ისტორიულად სამოსამართლო კონტროლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სამართალდარღვევათა თავიდან აცილება.<sup>672</sup> აღმასრულებელი

<sup>662</sup> იქვე.

<sup>663</sup> ი. Brüning, Der Richtervorbehalt im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, 2005, S. 114 f.; საპირისპირო: Rabe von Kühlewein, Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, 2001, S. 410 f.

<sup>664</sup> ი. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 247; შეად. Talaska Der Richtervorbehalt, 2007, S. 61; Asbrock, ZRP 1998, 17; Asbrock, KritV 1997, 256; Kintzi, DRiZ 2004, 83.

<sup>665</sup> ი. Prechtel, Das Verhältnis der Staatsanwaltschaft zum Ermittlungsrichter, 1995, S. 127.

<sup>666</sup> ი. Schnarr, NStZ 1991, 209, 210.

<sup>667</sup> ი. Talaska Der Richtervorbehalt, 2007, S. 56.

<sup>668</sup> იქვე.

<sup>669</sup> იქვე, 56, 57.

<sup>670</sup> ი. Asbrock, ZRP 1998, 19; Asbrock, KritV 1997, 261, 262.

<sup>671</sup> შეად. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 57.

<sup>672</sup> იქვე.

ხელისუფლების მხრიდან უხეში სამართალდარღვევები განსაკუთრებით ხშირი იყო მესამე რაიხის დროს.<sup>673</sup> ამ მიზნით მოსამართლეს მიანიჭეს უფლებამოსილება, აღმასრულებელი ხელისუფლების ნაცვლად თავიდანვე მიეღო გადაწყვეტილება განსაზღვრულ საგამოძიებო დონისძიებათა ჩატარების შესახებ.<sup>674</sup> კანონმდებელს სურდა, განესაზღვრა ისეთი სამართლებრივი რეგულირება, რომელიც პირის თავისუფლებისა და საცხოვრებელი ადგილის მყისიერ და ეფექტიან დაცვას უზრუნველყოფდა.<sup>675</sup>

სამოსამართლო კონტროლი ისეთ ისტორიულ ფონზე წარმოიშვა, როცა საზოგადოებაში არსებობდა უნდობლობა დემოკრატიული თვალსაზრისით არალეგიტიმური ე.წ. „ვილჰელმინური“ პოლიციის მიმართ და, შესაბამისად, საჭირო გახდა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის შესაძლებლობა.<sup>676</sup>

ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, კანონმდებელს მიაჩნია, რომ მოსამართლე ყველაზე უკეთ შეძლებს ფარული საგამოძიებო დონისძიების ადრესატის უფლებების საიმედოდ დაცვას მისი კანონით გარანტირებული პიროვნული თუ საგნობრივი დამოუკიდებლობის, ასევე, მისი კანონით მკაცრად შებოჭვის საფუძველზე.<sup>677</sup> აქედან გამომდინარე, სასამართლო კონტროლი ახორციელებს ერთგვარად წინასწარი დაცვის ფუნქციას, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამოძიების ორგანოთა მხრიდან ძალაუფლების გადამეტების მოსალოდნელი საფრთხე.<sup>678</sup>

რაბე ფონ ქულევაინი თვლის, რომ სასამართლო კონტროლი არ ემსახურება სისხლისსამართლებრივი დეპნის ორგანოთა საქმიანობის კონტროლს, რომ ის, მხოლოდ კონკრეტული დონისძიებებისთვის უშუალოდ სამოსამართლო უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში.<sup>679</sup> ავტორს მიაჩნია, რომ სამოსამართლო კონტროლს აქვს მხოლოდ ბრძანების გაცემის და არა კონტროლის უფლებამოსილება.<sup>680</sup>

ლეკსიურის აზრითაც, სამოსამართლო კონტროლი არ გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლს.<sup>681</sup> იგი თვლის, რომ საკონსტიტუციო სამართლებრივად რეგულირებული სამოსამართლო კონტროლი არის უფრო მეტად უფლებათა დაცვის დამატებითი ბერკეტი.<sup>682</sup>

<sup>673</sup> იქვე.

<sup>674</sup> იქვე.

<sup>675</sup> იბ.: *Rabe von Kühlewein*, Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, 2001, S. 45, 83; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 57.

<sup>676</sup> იბ.: *Rabe von Kühlewein*, Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, 2001, S. 45; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 57; *Brüning*, Der Richtervorbehalt im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, 2005, S. 113.

<sup>677</sup> იბ. *Gusy*, ZRP 2003, 275.

<sup>678</sup> იბ.: *Asbrock*, ZRP 1998, 17; *Kutsch*, NVwZ 2003, 1296, 1298; შევ. *Krüger*, DRiZ 2004, 247.

<sup>679</sup> იბ.: *Rabe von Kühlewein* Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, 2001, S. 411.

<sup>680</sup> იქვე.

<sup>681</sup> იბ. *Lepsius*, Jura 2002, 259, 261.

<sup>682</sup> იქვე.

## 6.2.2.4. პროცესის თავისებურება

სამოსამართლო კონტროლის არსის განმარტების პიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევის ის განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც რეალურად განსაზღვრავს ამ პროცესში სასამართლო კონტროლის ჩართულობას.<sup>683</sup> საქმე ეხება, პირველ რიგში, ძირითად უფლებებში ისეთი ტიპის ჩარევას, როდესაც შეუძლებელია დროული სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა.<sup>684</sup> ხშირ შემთხვევაში პირისთვის სრულიად მოულოდნელია მის წინააღმდეგ დაგეგმილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება. სხვაგარად გამოძიება ტაქტიკურად მეტად წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რამდენადაც წინასწარი ცოდნის შემთხვევაში ბრალდებული შეძლებდა მის უფლებებში ჩარევის თავიდან აცილებას, ან/და მასთან არსებული მტკიცებულებების განადგურებას.<sup>685</sup> ფარული საგამოძიებო მოქმედების შემთხვევაში, ამ დონისძიების ადრესატს არ აქვს შესაძლებლობა, უზრუნველყოს თავისი უფლებების დაცვა გამოძიების პროცესში.<sup>686</sup> ამ დროს მას არ შეუძლია სასამართლო მოსმენის უფლების განხორციელება.<sup>687</sup>

ავტორთა ნაწილის თანახმად, გამოძიების პროცესში მოსამართლის ჩართვა უზრუნველყოფს პროცესის ყველა მონაწილის უფლებებისა და ინტერესების დაცვას და ჩანაცვლებს სასამართლო მოსმენის უფლებას, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ვერ ხორციელდება.<sup>688</sup> მიიჩნევა, რომ სამოსამართლო კონტროლმა ძირითად უფლებებში განსაკუთრებით მძიმე ჩარევის შემთხვევებში უნდა მოახდინოს დაკარგული ანდა გვიან მინიჭებული სამართლებრივი დაცვის კომპენსაცია.<sup>689</sup> აღნიშნული შეიძლება იყოს არა მხოლოდ სამოსამართლო კონტროლის არსი და მიზანი, არამედ მისი არსებობის განმსაზღვრელი საფუძველი, ფუნდამენტი.<sup>690</sup>

სამოსამართლო კონტროლი მიმართულია იმისკენ, რომ პრევენციულად გააკონტროლოს სახელმწიფოს მხრიდან ძირითად უფლებებში ინტერესები; თუმცა, კონტროლის ეს ფორმა, თავის მხრივ, არ გულისხმობს სამართლებრივი დაცვის უფლების რეალიზებას ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 აბზაციის პირველი წინადაღების მნიშვნელობის ფარგლებში.<sup>691</sup> სამართლებრივი დაცვა, ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 აბზაციის თანახმად, არის უფლებათა დაცვა სასამართლო პროცესის გზით, სასამართლოსა და მასში დასაქმებული მოსამართლების მეშვეობით.<sup>692</sup> სასამართლო პროცესი კი ექვემდებარება განსაკუთრებულ საკონსტიტუციო სამართლებრივ მოთხოვნებს. ძირითადი

<sup>683</sup> ob. *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 59.

<sup>684</sup> იქვე.

<sup>685</sup> იქვე, 59, 60.

<sup>686</sup> ob.: *Guttenberg*, NJW 1993, 567, 574; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 59, 60.

<sup>687</sup> ob. *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 247.

<sup>688</sup> ob.: *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 61; *Asbrock*, ZRP 1998, 17; *Kintzi*, DRiZ 2004, 83.

<sup>689</sup> ob.: *Gusy*, GA 2003, 674; *Gusy*, ZRP 2003, 275.

<sup>690</sup> ob.: *Gusy*, GA 2003, 672, 674; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 60; *Amelung*, JZ 1987, 737, 744 f.

<sup>691</sup> *Gusy*, GA 2003, 677.

<sup>692</sup> იქვე.

კანონის 92-ე და შემდგომი მუხლები უზრუნველყოფების იუსტიციის მინიმუმ ინსტიტუციურ, პერსონალურ და პროცედურულ ნეიტრალიტეტს.<sup>693</sup>

სამოსამართლო კონტროლსა და სასამართლო დაცვას შორის შედარების შედეგად იკვეთება მათი არა მარტო მსგავსი, არამედ განმასხვავებელი ნიშნები. სამოსამართლო კონტროლი პროცესის დასახელებულ საკონსტიტუციო სამართლებრივ მოთხოვნებს სრული მოცულობით ვერ ასრულებს.<sup>694</sup> მართალია, მოსამართლეს ამ შემთხვევაშიც აქვს ინსტიტუციური და პერსონალური ნეიტრალიტეტი, მაგრამ სახეზე არაა სასამართლო პროცესი; კერძოდ, არ ხორციელდება სასამართლო მოსმენის უფლება.<sup>695</sup> ფარული საგამოძიებო მოქმედებების დროს აღნიშნული არ არის პროცესის ნაკლოვანება, არამედ სწორედ პროცესის თავისებურებაა, რომ ადრესატი არ არის წინასწარ ინფორმირებული და, შესაბამისად, ვერც იქნება სასამართლოს წინაშე მოსმენილი.<sup>696</sup> მოსამართლე უსმენს მხოლოდ პროკურორს და ამით ზიანი აღგება მხარეთა საპროცესო სამართლებრივ თანასწორობას.<sup>697</sup> აქედან გამომდინარე, სამოსამართლო კონტროლი არ არის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 აბზაცის პირველ წინადადებაში გარანტირებული „სამართლებრივი გზის“ ეკვივალენტური.<sup>698</sup> ასე რომ, სამოსამართლო კონტროლი არ არის სამართლებრივი დაცვის სრულყოფილი კომპენსაციის საშუალება.<sup>699</sup>

სამოსამართლო კონტროლის საშუალებით სასამართლო მოსმენის უფლების ე.წ. კომპენსაციის შესახებ მოსაზრებას ლიტერატურაში სამართლიანად გამოუჩნდნენ კრიტიკოსები. ზოგიერთი ავტორი, მათ შორის ბრუნინგი და კლაი. სწორად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, სასამართლო მოსმენის უფლება მხოლოდ სასამართლოს წინაშე აღსრულდება<sup>700</sup> და არა პროკურატურის მიერ წარმოებულ წინასწარი გამომიების პროცესში<sup>701</sup>. ლინის მოსაზრებით, თუ სამოსამართლო კონტროლი ჩაითვლება სასამართლო მოსმენის უფლების შემცვლელად, მაშინ თანმიმდევრული იქნება, რომ პროცესის შემდგომი მსვლელობისას დაზარალებულის უფლებათა დაცვის შესაძლებლობა სასამართლოს წინაშე გამოირიცხოს.<sup>702</sup> ეს არ უნდა მოხდეს, რადგან სასამართლო მოსმენის განუხორციელებელი უფლება სავალდებულო წესით უნდა

<sup>693</sup> იქვე.

<sup>694</sup> იქვე.

<sup>695</sup> იქვე, 677-678.

<sup>696</sup> იქვე, 678.

<sup>697</sup> იქვე.

<sup>698</sup> ი. ი. Gussy, GA 2003, 678. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ფოსტური კვლევა: *Vorßkuhle, Rechtsschutz gegen den Richter*, 1993.

<sup>699</sup> ი. ი. Gussy, GA 2003, 678.

<sup>700</sup> ი. ი. Brüning, Der Richtervorbehalt im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, 2005, S. 116; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 247; ა. ე. ვ. Rabe von Kühlewein, Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, 2001, S. 451.

<sup>701</sup> ი. ი. BVerfGE 27, 88, 103; Hilger in: GS für Meyer, გვ. 209, 221; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 61.

<sup>702</sup> ი. ი. Lin, Richtervorbehalt und Rechtsschutz gegen strafprozessuale Grundrechtseingriffe, 1998, S. 273; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 62.

ადსრულდეს მოგვიანებით.<sup>703</sup> სამოსამართლო კონტროლის არსი და მიზანი სწორედ ის არის, რომ რეალიზებულ იქნეს სასამართლო პროცესის გარანტიები, მათ შორის, სასამართლო მოსმენის უფლება და მისმა არსებობამ არ უნდა გაამართლოს ამ გარანტიებზე უარის თქმა.<sup>704</sup>

დასკვნის სახით, სამოსამართლო კონტროლი ვერ იქნება სასამართლო მოსმენის კომპენსაციის ღონისძიება<sup>705</sup>, რადგან ის სწორედაც რომ იწვევს სასამართლო მოსმენის უფლების უზრუნველყოფის აუცილებლობას.<sup>706</sup>

### 6.2.2.5. სამოსამართლო კონტროლი პრაქტიკაში

სამოსამართლო კონტროლის ინსტიტუტი საკანონმდებლო თვალსაზრისით ხშირად მიიჩნევა ძირითადი უფლებების დარღვევის თავიდან აცილების საუკეთესო გზად.<sup>707</sup> თუმცა, ხშირად მეორდება, ასევე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში მოთხოვნა, რომ ადამიანის ძირითად უფლებებში სისხლის საპროცესო სამართლებრივი ჩარევისთვის კანონით განსაზღვრული წინაპირობები რეალურად და ფაქტობრივად უნდა ექვემდებარებოდეს სამოსამართლო კონტროლს.<sup>708</sup> სასამართლო პრაქტიკაში კი, როგორც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს თავის გადაწყვეტილებაში, სამოსამართლო კონტროლი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ფუნქციას ხშირად ვერ ასრულებს.<sup>709</sup>

ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ ჩატარებულმა ორმა მნიშვნელოვანმა კვლევამ<sup>710</sup> სამოსამართლო კონტროლის პრაქტიკული შესაძლებლობა ეჭვის ქვეშ დააყენა.<sup>711</sup>

#### 6.2.2.5.1. ბაკებ და გუზის კვლევა

ბილეფელდის უნივერსიტეტთან არსებულმა სამუშაო ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ბაკები და გუზი, დაამუშავა და შეისწავლა ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების 554 ღონისძიება

<sup>703</sup> ob. *Lin*, Richtervorbehalt und Rechtsschutz gegen strafprozessuale Grundrechtseingriffe, 1998, S. 273; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S.. 62.

<sup>704</sup> ob.: *Lin*, Richtervorbehalt und Rechtsschutz gegen strafprozessuale Grundrechtseingriffe, 1998, S. 273; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S.. 62.

<sup>705</sup> ob.: *Rabe von Kühlewein*, Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, 2001, S. 413; *Brüning*, Der Richtervorbehalt im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, 2005, S. 116; *Lin*, Richtervorbehalt und Rechtsschutz gegen strafprozessuale Grundrechtseingriffe, 1998, S. 273, *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 61.

<sup>706</sup> ob. *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 248.

<sup>707</sup> იქვე.

<sup>708</sup> შესრულებული არის BVerfG, NStZ 1999, 414; BVerfG, NStZ 2002, 372f.; BVerfG, StV 2002, 406f.; BVerfGE 103, 142; *Krehl*, NStZ 2003, 461.

<sup>709</sup> ob. BVerfGE 103, 142; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 82.

<sup>710</sup> ob.: *Backes/Gusy*, Wer kontrolliert die Telefonüberwachung, 2003; *Albrecht/ Dorsch/ Krüipe*, Rechtswirklichkeit, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003.

<sup>711</sup> ob. *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 248.

1996 წლიდან 1998 წლამდე პერიოდის სისხლის სამართლის 173 საქმიდან.<sup>712</sup> აღნიშნული კვლევა 2003 წელს დასრულდა.<sup>713</sup>

მთლიანად შესწავლილი მასალიდან ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ 79,5% შემთხვევაში მოსამართლის მიერ იყო გაცემული ბრძანება, ხოლო 20, 5% შემთხვევაში - პროკურატურის მიერ, გადაუდებელი აუცილებლობის გამო.<sup>714</sup>

კვლევაში აჩვენა, რომ პროკურატურის შუამდგომლობა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მოთხოვნის შესახებ თითქმის ყველა შემთხვევაში დაკმაყოფილდა; კერძოდ, 307 დამუშავებული აქტიდან მხოლოდ ერთი შუამდგომლობა არ იქნა დაკმაყოფილებული.<sup>715</sup>

შემოწმდა მოსამართლის ბრძანების დასაბუთებულობა; ასევე, მისი, როგორც სამართლებრივი აქტის, რეკვიზიტების სისრულე.<sup>716</sup>

შესწავლილი ბრძანებების მხოლოდ 24,1 % აკმაყოფილებდა კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს; უმეტესად დაკმაყოფილებული იყო მხოლოდ ერთი ან ორი მოთხოვნა (66, 4%), ხოლო 9,4 % შემთხვევაში მოსამართლის ბრძანება არ შეიცავდა არანაირ ინფორმაციას საგალდებულო მონაცემებთან დაკავშირებით.<sup>717</sup>

ამასთან, სრულად ხარვეზიანი შუამდგომლობის მხოლოდ 13 % შესწორდა (შეივსო) მოსამართლის მიერ; შუამდგომლობის უმეტესობა (62 %) მხოლოდ ნაწილობრივ შესწორდა.<sup>718</sup> შესწავლილი მასალის მეოთხედ შემთხვევაში აბსოლუტურად ხარვეზიანი იყო შუამდგომლობაც და, შესაბამისად, ყოველგვარი შევსებისა და ხარვეზის გამოსწორების გარეშე, მოსამართლემის მიერ მიღებულ იქნა არასრულყოფილი ბრძანება.<sup>719</sup>

უფრო ნაკლებად სახარბიელო მდგომარეობა და მწვავე კრიტიკის ობიექტი აღმოჩნდა პროკურატურის შუამდგომლობები.<sup>720</sup> მათი აბსოლუტური უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს, თუმცა, ისინი მაინც საფუძვლად ედებოდა მოსამართლის ბრძანებას და უფრო მეტიც, 65 განხილული შემთხვევიდან მოსამართლემ მხოლოდ 5 შემთხვევაში არ გამოიყენა შუამდგომლობის ფორმულირება.<sup>721</sup>

საინტერესოა ფაქტი, რომ როგორც შესწავლილი მასალიდან ირკვევა, იმ საქმეებზე, რომლებზეც გამოყენებული იყო

<sup>712</sup> ი. მ.: *Backes/Gusy*, Wer kontrolliert die Telefonüberwachung, 2003; *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 248.

<sup>713</sup> ი. მ.: *Backes/Gusy*, Wer kontrolliert die Telefonüberwachung, 2003; *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 248.

<sup>714</sup> ი. მ.: *Backes/Gusy*, Wer kontrolliert die Telefonüberwachung, 2003, S. 53.

<sup>715</sup> ი. მ.: *Backes/Gusy*, Wer kontrolliert die Telefonüberwachung, 2003, S. 44.

<sup>716</sup> საგულისხმოა, რომ ბრძანება საგალდებულოდ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ბრალდების შესახებ, რომლის გამოც ითხოვს პროკურატურა პირის სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას; ასევე, ამ დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვის ხარისხს, რომელიც კონკრეტული გარემოებებით დასტურდება და ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, კანონით განსაზღვრული სუბსიდიარულობის შესახებ პოზიციებს, ი. მ.: *Backes/Gusy*, Wer kontrolliert die Telefonüberwachung, 2003, S. 42.

<sup>717</sup> ი. მ.: *Backes/Gusy*, Wer kontrolliert die Telefonüberwachung, 2003, S. 45.

<sup>718</sup> იქვე, 49 f.

<sup>719</sup> იქვე.

<sup>720</sup> ი. მ.: *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 249.

<sup>721</sup> ი. მ.: *Backes/Gusy*, Wer kontrolliert die Telefonüberwachung, 2003, S. 47 შემდგ.

ტელეკომუნიკაციის ფარული მიურადება, გამოძიების 60% დასრულდა პირისთვის ბრალის წაყენებით.<sup>722</sup>

### 6.2.2.5.2. აღმარჯების, დორშის და ქრუპეს კვლევა

აღნიშნული კვლევა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ აღმარჯები, დორში და ქრუპე, მეტად მოცულობითია. ის დასრულდა 2003 წელს, ეფუძნება 523 პროცესის მასალასა და ტელეკომუნიკაციის ფარული მიურადების შესახებ 1488 ბრძანებას.<sup>723</sup>

კვლევის მონაცემების მიხედვით, მთლიან მასალაში ტელეკომუნიკაციის ფარული მიურადების შესახებ მიღებულ ბრძანებათა მხოლოდ 23,5% იყო (მოსამართლის მიერ) არსებითად დასაბუთებული. მასალის 14,7% შემთხვევაში ბრძანების ფორმალური მხარე არ აქმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს, ხოლო ბრძანებათა 4,1% დროს გამოვლინდა მოსამართლის მიერ პროკურატურის დასაბუთებაზე პირდაპირი მითითება.<sup>724</sup> შესწავლილი მასალის 21,5%-ის შემთხვევაში გეხვდება მოსამართლის ბრძანების მხოლოდ ფორმალური და არა კონკრეტულ შემთხვევისათვის საჭირო დასაბუთება.<sup>725</sup>

აღსანიშნავია, რომ მოსამართლის მიერ მიღებულ ბრძანებათა 21,1% მიღებული იყო ისეთი სახით, როგორი სახითაც პროკურატურამ წარმოადგინა მისი შუამდგომლობა.<sup>726</sup>

აღნიშნული კვლევის შედეგების მიხედვითაც გამოჩნდა, რომ პროკურატურის მიერ გადაუდებელ შემთხვევაში ტელეკომუნიკაციის ფარული მიურადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება პრაქტიკაში გამოიყენება, კანონის შესაბამისად, ისე, როგორც პროკურატურის საგამონაკლისო უფლებამოსილება.<sup>727</sup> შესაბამისად, სატელეკომუნიკაციო კონტროლის შესახებ გადაწყვეტილება 81% შემთხვევაში მიიღო მოსამართლემ და 14% გადაუდებელი აუცილებლობის გამო – პროკურატურამ.<sup>728</sup> პრაქტიკის კვლევის შედეგადაც თვალსაჩინო გახდა, რომ პროკურატურის შუამდგომლობა თითქმის ყველა შემთხვევაში დაკმაყოფილდა.<sup>729</sup> პროკურატურას შუამდგომლობაზე მხოლოდ 0,4% შემთხვევაში ეთქვა უარი მოსამართლის მხრიდან.<sup>730</sup>

<sup>722</sup> შეად. *Backes/Gusy*, StV 2003, 249 f.; *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 250.

<sup>723</sup> იბ. *Albrecht/ Dorsch/ Krüpe*, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003.

<sup>724</sup> იბ. *Albrecht/ Dorsch/ Krüpe*, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 231 ff.

<sup>725</sup> იქვე.

<sup>726</sup> იქვე.

<sup>727</sup> იქვე, 236 ff.

<sup>728</sup> იბ.: *Albrecht/ Dorsch/ Krüpe*, Rechtswirklichkeit, (2003), გვ. 175 ff. შემდგ.: *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 250.

<sup>729</sup> იბ. *Albrecht/ Dorsch/ Krüpe*, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 175 ff.

<sup>730</sup> იბ.: *Krüpe-Gescher*, Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 193; *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 251.

<sup>731</sup> იბ. *Krüpe-Gescher*, Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 193.

საგამოძიებო პროცესების, რომელთა მსვლელობისასაც გამოყენებულ იქნა ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადება, 46,3% დასრულდა პირისთვის ბრალის წაყენებით, 39,7% შეწყდა.<sup>732</sup>

### 6.2.2.6. სამოსამართლო კონტროლის შეფასება

სამოსამართლო კონტროლის ცნების, საკანონმდებლო რეგულაციისა და კრიმინოლოგიური კვლევების მიმოხილვის შემდეგ, საინტერესოა ლიტერატურაში ჩამოყალიბებული მოსაზრებების თავმოყრა ამ ინსტიტუტის შესახებ, რაც წარმოაჩენს სამოსამართლო კონტროლის სუსტ და ძლიერ მხარეებს.

#### 6.2.2.6.1. ქუნქების მოსაზრება

ქუნქების მიხედვით, სამოსამართლო კონტროლი მისი პრაქტიკაში განხორციელების დროს, კერძოდ კი, ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების შემთხვევაში, მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს.<sup>733</sup> გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, რომ მოსამართლეს საერთოდ არ მიმართოს გამოძიებამ.<sup>734</sup> თუმცა, როგორც კრიმინოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევების გამოყენება ამ ტიპის ფარულ საგამოძიებო დონისძიებების დროს ძალიან იშვიათია.<sup>735</sup>

ქუნქე მიუთითებს, რომ მოსამართლის უფლებამოსილებაში არსებული კონტროლის კომპეტენცია მეტად შეზღუდულია.<sup>736</sup> გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაცია მოსამართლისთვის, ძირითადად, არ არის საკმარისი და აღნიშნული, როგორც წესი, საგამოძიებო ორგანოების მიერ შერჩევითი წესითაა მიწოდებული, გაფილტრული.<sup>737</sup> ადსანიშნავია ასევე, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს საკმარის მოცულობითი მასალის საფუძვლიანი შესწავლა მოსამართლის განკარგულებაში არსებული დროის სიმცირის გამო, ხშირ შემთხვევებში შეუძლებელია.<sup>738</sup> აღნიშნულ შემთხვევაში ხშირად თავს იჩენს გადაწყვეტილების მიღები მოსამართლის გამოუცდელობა საკითხის ოპერატორულად განხილვის თვალსაზრისით ან, თუნდაც,

<sup>732</sup> ი. ა. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 353.

<sup>733</sup> ი. ა. Kühne, Strafprozessrecht, 2010, Rn. 409 ff.; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 251.

<sup>734</sup> ი. ა. Kühne, Strafprozessrecht, 2010, Rn. 410; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 251.

<sup>735</sup> ი. ა. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 251; Backes/Gusy, Wer kontrolliert die Telefonüberwachung, 2003, S. 53; Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 175 ff.; Gusy, ZRP 2003, 275; Krüpe-Gescher, Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 193.

<sup>736</sup> ი. ა. Kühne, Strafprozessrecht, 2010, Rn. 410; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 251.

<sup>737</sup> ი. ა. Kühne, Strafprozessrecht, 2010, Rn. 410; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 251.

<sup>738</sup> ი. ა. Kühne, Strafprozessrecht, 2010, Rn. 410; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 251.

გამოუცდელი მოსამართლის გადატვირთვა კომპლექსური და მოცულობითი საქმის მასალის გამო.<sup>739</sup>

საბოლოო ჯამში, ქუნკ სამოსამართლო კონტროლის შესახებ დაასკვნის, რომ ის უფრო ძირითად უფლებებში ჩარევის ფაქტებზე სამართლებრივი კონტროლის განხორციელების ილუზიას წარმოადგენს.<sup>740</sup>

### 6.2.2.6.2. ბრუნინგის მოსაზრება

მოსამართლის ხელში არსებული კონტროლის სუსტ მექანიზმს, სხვა ავტორების მსგავსად, ბრუნინგიც აკრიტიკებს.<sup>741</sup> ბრუნინგმა მისი კვლევის შედეგად დაადგინა, რომ სამოსამართლო კონტროლს აქვს მნიშვნელოვანი სტრუქტურული დეფიციტი, სამართლებრივი ინსტიტუტის პრაქტიკული რეალიზების კუთხით.<sup>742</sup>

ფარულ სატელეკომუნიკაციო მიყურადებაზე გადაწყვეტილების მიმღებ მოსამართლეს ხშირად აქვს დროის დეფიციტი და არ აქვს საჭირო ცოდნა იმისთვის, რომ ძირითად უფლებებში საპროცესო სამართლებრივი ჩარევის შესახებ შუამდგომლობა სათანადოდ შეამოწმოს და მიიღოს გადაწყვეტილება.<sup>743</sup>

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ძირითად უფლებებში ჩარევის წინაპირობები ხშირად არ არის სათანადოდ განსაზღვრული; შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში რთულია მათი კანონთან შესაბამისობის დადგენა.<sup>744</sup> ბრუნინგის აზრით, სწორედ ამიტომ არ უნდა იწვევდეს გაოცებას ის ფაქტი, რომ პრაქტიკაში მოსამართლის ბრძანების ფორმულირება ხშირად პროკურატურის შუამდგომლობის ფორმულირების იდენტურია.<sup>745</sup>

### 6.2.2.6.3. ალბრექტის, დორშის და კრუპეს მოსაზრება

საინტერესოა ალბრექტის, დორშის და კრუპეს მოსაზრება მოსამართლის მიერ მიღებულ ბრძანებასთან დაკავშირებით. მათ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე პროკურატურის შუამდგომლობის და მოსამართლის ბრძანების შინაარსობრივ ხარისხს შორის მჭიდრო კავშირი გამოვლინდა.<sup>746</sup> მოსამართლე ბრძანებას ისეთივე სახით, როგორითაც მოცემული იყო პროკურორის შუამდგომლობა, გასცემდა უფრო მეტად ისეთ შემთხვევებში, როცა პროკურატურის მიერ შუამდგომლობა იყო არსებითად, შინაარსობრივად დასაბუთებული.

<sup>739</sup> ი. ხ. Kühne, Strafprozessrecht, 2010, Rn. 409 შემდგ.; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 251.

<sup>740</sup> ი. ხ. Kühne, Strafprozessrecht, 2010, Rn. 412.; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 251.

<sup>741</sup> ი. ხ. Brüning, Der Richtervorbehalt im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, 2005, S. 225 ff.; შეად. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 252.

<sup>742</sup> ი. ხ. Brüning, Der Richtervorbehalt im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, 2005, S. 225.

<sup>743</sup> იქვე, 226.

<sup>744</sup> იქვე.

<sup>745</sup> იქვე.

<sup>746</sup> ი. ხ. Albrecht/ Dorsch/ Kriipe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 244 ff.

<sup>747</sup> იქვე.

სამოსამართლო კონტროლის რეალიზება ამ ავტორთა მიერ შეფასდა, როგორც მნიშვნელოვანი ხარვეზი ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების პრაქტიკაში.<sup>748</sup> ალბრეხტი, დორში და კრუპე მიიჩნევენ, რომ ამ პროცესში ხახებები გამჭვირვალობის, ცხადად და გასაგებად ფორმულირებისა და, ასევე, კონტროლის დეფიციტი.<sup>749</sup>

ავტორთა აზრით, სამოსამართლო კონტროლის ინსტიტუტს ახასიათებს სტრუქტურული პრობლემა, რომელიც განპირობებულია გამოძიების პროცესში ფუნქციათა გადანაწილებით და უფლებამოსილი მოსამართლის დიდი სამუშაო დატვირთვით.<sup>750</sup>

#### 6.2.2.6.4. პელმენის მოსაზრება

პელმენის მოსაზრებით, სამოსამართლო კონტროლი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, რამდენადაც ან ხდება მისთვის საერთოდ გვერდის ავლა (იგულისხმება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა), ან მოსამართლე ვერ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას მასალის შემოწმებისა და კონტროლის თვალსაზრისით.<sup>751</sup> იმ გარემოებას, რომ მოსამართლე მასზე დაკისრებული კონტროლის ფუნქციას რეალურად ვერ ახორციელებს ან უგულებელყოფს, პელმენი ცდილობს ახსნას ფსიქოლოგიური ტიპის სხვადასხვა მომენტით.<sup>752</sup> ავტორს ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია, რომ მოსამართლე (შუამდგომლობაში თითქმის უკვე ფორმულირებული) ბრძანების გამოცემასა და იმავე ბრძანების გამოცემაზე (უფრო რთულად ჩამოსაყალიბებელი) უარის თქმას შორის ირჩევს უფრო მარტივ გზას; ამ გარემოებას თან ერთვის და ამძაფრებს მოსამართლის მეტად დატვირთული სამუშაო რეჟიმი და დროის უქონლობა; ამიტომ მოსამართლე პრიორიტეტს ანიჭებს მისთვის უფრო მნიშვნელოვან ვალდებულებებს, ე.წ. ძირითად სამოსამართლო საქმიანობას.<sup>753</sup>

პელმენი აღნიშნავს, რომ ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლე დაგას უზარმაზარი ინტელექტუალური წნევის ქვეშ, რასაც იწვევს თავად სისხლის სამართლის პროცესის სირთულე და ხშირად – გარკვეული სახის დანაშაულთა სპეციფიკა, რომელიც ითხოვს სპეციალურ ცოდნას; მაგალითად, როცა საქმე ეხება დანაშაულის ისეთ სახეებს, როგორებიცაა ეკონომიკური თუ ნარკოტიკული დანაშაულები.<sup>754</sup>

პელმენი მოსამართლის მიერ ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ასახელებს საინტერესო და, ალბათ, ცოტა უცნაურ სუბიექტურ გარემოებას, რომელიც, ავტორის აზრით, გავლენას ახდენს მოსამართლეზე; ეს არის ე.წ. კოლეგიალობის ეფექტი.<sup>755</sup> პელმენი თვლის, რომ მოსამართლე, მართალია, დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, მაგრამ, თუკი ის არ

<sup>748</sup> იქვე, 467.

<sup>749</sup> იქვე.

<sup>750</sup> იქვე.

<sup>751</sup> Helmken, StV 2003, 193.

<sup>752</sup> იქვე, 193, 194.

<sup>753</sup> იქვე.

<sup>754</sup> იქვე, 193, 195.

<sup>755</sup> იქვე.

დააკმაყოფილებს პროკურატურის შუამდგომლობას საგამოძიებო დონისძიების ჩატარების შესახებ, თავს ჩაიყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ პროკურატურა და პოლიცია მას არაკოლეგიალურად შეაფასებენ; მოსამართლე კი ამ გარემოებას მხედველობაში იღებს, რადგან ითვალისწინებს, რომ მისმა ე.წ. „შეუსაბამო ქმედებაში” შესაძლოა კარიერაში დამაბრკოლებელი როლი ითამაშოს.<sup>756</sup>

#### 6.2.2.6.5. გუზის მოსაზრება

გუზის მიაჩნია, რომ მეტად თვალსაჩინოა განსხვავება სამოსამართლო კონტროლის, როგორც ინსტიტუტის, მიმართ არსებულ სახელმწიფო სამართლებრივ მოთხოვნასა და რეალობას შორის, რომელიც პრაქტიკაში არსებობს.<sup>757</sup> ასე, მაგალითად, პროკურორის შუამდგომლობა, რომელიც ხშირად მოსამართლისთვის ინფორმაციის ერთადერთი წყაროა, იშვიათადაა სრულყოფილი; კერძოდ, წარდგენილ შუამდგომლობათა მხოლოდ მეოთხედი თუ აქმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს.<sup>758</sup> ასევე, მეტად მცირე, მინიმალურია მოსამართლის მიერ შუამდგომლობის არდაკმაყოფილების მაჩვენებელი.<sup>759</sup>

რა კრიტერიუმებს უნდა აქმაყოფილებდეს მოსამართლის ბრძანება? სსსკ-ის 100e პარაგრაფი შეიცავს მოთხოვნებს მოსამართლის გადაწყვეტილებისა და მისი ფორმის შესახებ, მაგრამ არ შეიცავს მითითებებს სხვა კონკრეტული მოქმედებების შესახებ, რომლებიც საჭიროა გადაწყვეტილების მისაღებად.<sup>760</sup> ამასთან, სსსკ-ის 162-ე მუხლის მე-2 აბზაცი მიუთითებს მოსამართლის კანონით განსაზღვრულ ვალდებულებაზე, შეამოწმოს საგამოძიებო დონისძიების კანონით დასაშვებობის საკითხი.<sup>761</sup> როგორ უნდა განახორციელოს აღნიშნული, რა დონისძიებები უნდა მიიღოს მოსამართლემ, კანონის ნორმა არ აკონკრეტებს.<sup>762</sup>

გუზი აღნიშნავს, რომ ფარული საგამოძიებო დონისძიების ადრესატის უფლებათა დაცვის შესაძლებლობა ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების განხორციელების დროს ძალიან მცირეა და ნაკლებად ეფექტიანი.<sup>763</sup> ადრესატთა მაქსიმუმ ნახევარი თუ შეიტყობს ჩატარებულ დონისძიებათა შესახებ.<sup>764</sup> ამ დროს სამოსამართლო კონტროლი პრაქტიკაში საგამოძიებო სტრუქტურის ზეგავლენის ქვეშ ხორციელდება; ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს მეტად კოოპერაციულ პროცესს სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოებს შორის (კოოპერაცია კონტროლის ნაცვლად) კონტროლის უფლებამოსილების ნაკლებად გაცნობიერებითა და კონტროლის მინიმალური ეფექტიანობით.<sup>765</sup>

<sup>756</sup> იქვე.

<sup>757</sup> ი. გუსი, ZRP 2003, 275.

<sup>758</sup> იქვე.

<sup>759</sup> ი. გუსი, ZRP 2003, 275; Backes/Gusy, StV 2003, 250.

<sup>760</sup> ი. გუსი, GA 2003, 687.

<sup>761</sup> იქვე.

<sup>762</sup> იქვე.

<sup>763</sup> ი. გუსი, ZRP 2003, 275, 276.

<sup>764</sup> იქვე.

<sup>765</sup> იქვე.

## **6.2.2.7. სამოსამართლო კონტროლის ხარვეზები და მათი გამომწვევი მიზეზები**

სხვადასხვა ავტორის მიერ მეცნიერებაში ჩამოყალიბებული და განხილული მოსაზრებების შეჯამების საფუძველზე შესაძლოა, ცალკე გამოყოფილ სამოსამართლო კონტროლის, როგორც ინსტიტუტის, ხარვეზები და მისი გამომწვევი მიზეზები.

### **6.2.2.7.1. სამოსამართლო კონტროლის ხარვეზები**

სამოსამართლო კონტროლის ძირითად ხარვეზებს წარმოადგენს:

- ა) მოსამართლის მიერ შუამდგომლობის ზედაპირული დამუშავება, რაშიც იგულისხმება ბრძანების გაცემისთვის საჭირო წინაპირობების ზედაპირული კონტროლი და ბრძანების არასაკმარისი შინაარსობრივი ფორმულირება;
- ბ) მოსამართლის პროცესში შეცდომით ჩაურთველობა;
- გ) სამოსამართლო კონტროლისთვის მიზანმიმართული გვერდის ავლა.

#### **ა) მოსამართლის მიერ შუამდგომლობის ზედაპირული დამუშავება**

მოსამართლის მიერ შუამდგომლობის ზედაპირულ დამუშავებაში, უპირველესად, იგულისხმება ბრძანების გაცემისთვის საჭირო წინაპირობების ზედაპირული კონტროლი და ბრძანების არასაკმარისი შინაარსობრივი ფორმულირება.

#### **ა.ა) ბრძანების გაცემისთვის საჭირო წინაპირობების ზედაპირული კონტროლი**

ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების განხორციელების დროს მოსამართლე ინფორმაციას იღებს მხოლოდ საგამოძიებო სტრუქტურებიდან, კერძოდ, პროკურატურისგან.<sup>766</sup> სწორედ საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ცალმხრივად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლებიც, როგორც წესი, უკვე გადაწყვეტილების ფორმით არის ხოლმე მოცემული, მოსამართლე შეიძლება მოექცეს ცდუნების ქვეშ და ძირითად უფლებებში ჩარევის შესახებ ბრძანების გაცემის წინაპირობები ზედაპირულად შეამოწმოს.<sup>767</sup>

ამ საფრთხის შესახებ საუბრობს ბეკრი მეცნიერი და მისი რეალურობა დაადასტურა ბილეფელდის უნივერსიტეტის ზემოთ უკვე განხილულმა კვლევამ, რომლის მიხედვითაც სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობა თითქმის ყველა შემთხვევაში იყო დაკმაყოფილებული; კერძოდ, 307 დამუშავებული აქტიდან სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მოთხოვნაზე მხოლოდ ერთი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.<sup>768</sup> 90%-ზე მეტ

<sup>766</sup> ი. მ. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 84.

<sup>767</sup> იქვე.

<sup>768</sup> ი. მ. Backes/Gusy, Wer kontrolliert die Telefonüberwachung, 2003, S. 44.

შემთხვევებში პროკურატურის შუამდგომლობა სიტყვა-სიტყვით შეესაბამებოდა მოსამართლის ბრძანების ტექსტს.<sup>769</sup>

ტალასკას ამ საკითხთან დაკავშირებით მიაჩნია, რომ საჭიროა მეტი თანაგრძნობა, მოსამართლე კი სათანადოდ ვერ ითვალისწინებს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ადრესატის ინტერესებს, მით უფრო, როცა ამ ფარული საგამოძიებო ღონისძიების დროს ეს უკანასკნელი მის ძირითად უფლებებში ჩარევის შესახებ არაა ინფორმირებული.<sup>770</sup>

### ა.ბ) ბრძანების არასაკმარისი შინაარსობრივი ფორმულირება

მიუღერის მოსაზრების თანახმად, მოსამართლის ბრძანება, როგორც წესი, ვერ აკმაყოფილებს საკონსტიტუციო სამართლებრივად აღიარებულ მინიმალურ მოთხოვნებს.<sup>771</sup> ასევე, საკანონმდებლო ხარვეზად მიიჩნევა ძირითად უფლებებში ჩარევის წინაპირობების საკმაოდ აბსტრაქტული საკანონმდებლო ფორმულირება, აღნიშნული კი განაპირობებს საგამოძიებო ორგანოთა მიერ არცთუ ისე რთულად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მოსამართლის ბრძანების გაცემას.<sup>772</sup> ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, მოსამართლე ამ შემთხვევაში, მართალია, ფორმალურად კანონის ტექსტის შესაბამისად მოქმედებს, მაგრამ იმავდროულად კანონს ბოროტად იყენებს, რამდენადაც კანონის მკაცრად განსაზღვრულ ფორმულირებას შინაარსობრივად ვერ აკმაყოფილებს, ვერ აგსებს.<sup>773</sup> ხშირად ხდება მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანება კრიტიკის ობიექტი მისი შინაარსის გამო; ხაზი ესმევა ბრძანების ბუნდოვანებას, მის არასაკმარისად განსაზღვრულობას, რაც მოსამართლის მაკონტროლებელ ფუნქციას არ შეესატყვისება.<sup>774</sup>

### ბ) მოსამართლის პროცესში შეცდომით არ ჩართვა

სასამართლო პრაქტიკაში ივარაუდება, რომ პროკურორმა იცის, თუ ვინაა უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება ძირითად უფლებებში ჩარევის შესახებ. თუმცა, ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ სავსებით შესაძლებელია არსებობდეს გარკვეული სიტუაცია, როდესაც პროკურორი ან პოლიციის მუშაკი ამ საკითხში ბოლომდე გარკვეული და დარწმუნებული შეიძლება არც იყოს.<sup>775</sup> განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის შემთხვევები, როდესაც პროკურორს ან პოლიციელს დროის სიმცირის გამო არ აქვს შესაძლებლობა, გადაამოწმოს, კონკრეტულად ვის აქვს ძირითად უფლებაში ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.<sup>776</sup>

<sup>769</sup> ob.: Backes/Gusy, Wer kontrolliert die Telefonüberwachung, 2003, S. 47 f.; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 84.

<sup>770</sup> ob.: Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 84.

<sup>771</sup> ob.: Müller, AnwBl 1992, 349 ff.

<sup>772</sup> ob.: Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 85.

<sup>773</sup> იქვე.

<sup>774</sup> იქვე.

<sup>775</sup> იქვე.

<sup>776</sup> იქვე.

ასევე, სამოსამართლო კონტროლის ერთ-ერთ ხარვეზს შეიძლება წარმოადგენდეს ის გარემოება, რომ როგორც პროკურატურა, ასევე პოლიცია შესაძლოა, შეცდეს ქ.წ. „გადაუდებელი აუცილებლობის” გარემოების რეალურ შეფასებაში.<sup>777</sup>

### გ) სამოსამართლო კონტროლისთვის მიზანმიმართული გვერდის ავლა

პროკურორისა და პოლიციის მიერ სამოსამართლო კონტროლის მიზანმიმართული გვერდის ავლა ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენს.<sup>778</sup> პროკურატურას ან პოლიციას შეუძლია, არ გაითვალისწინოს კანონის მოთხოვნა ძირითად უფლებებში ჩარევის დროს სამოსამართლო კონტროლის აუცილებლობის შესახებ და თავად ჩატარების აღნიშნული ღონისძიება მოსამართლის ბრძანების გარეშე.<sup>779</sup> ლიტერატურაში განიხილება სამოსამართლო კონტროლის მიზანმიმართული გვერდის ავლის მეორე ვარიანტიც, როდესაც პროკურორს შეუძლია, დაელოდოს და მანამდე არ მიმართოს მოსამართლეს შეამდგომლობით ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების შესახებ, ვიდრე არ შეიქმნება ქ.წ. „გადაუდებელი აუცილებლობის” სიტუაცია და შემდგენ უკვე კანონით მისთვის მინიჭებული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების საფუძველზე ჩაერიოს ძირითად უფლებებში.<sup>780</sup>

#### 6.2.2.7.2. სამოსამართლო კონტროლის ხარვეზების გამომწვევი მიზეზები

სამოსამართლო კონტროლის ზემოთ დასახელებული ხარვეზების და კონკრეტულ ავტორთა მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების განხილვის შემდგეგ საინტერესოა, შეჯერდეს ამ ხარვეზების გამომწვევი ძირითადი მიზეზები. ესენია:

- ა) სტრუქტურული სისუსტე;
- ბ) არასრული ან არასაკმარისი მასალა;
- გ) დროის დეფიციტი;
- დ) „არამოტივირებული მოსამართლე”;
- ე) არასაკმარისად კვალიფირებული მოსამართლე;
- ვ) ფსიქოლოგიური ასპექტები;
- ზ) „ბუმერანგის ეფექტი”;
- თ) გადაუდებელი აუცილებლობა.

#### ა) სტრუქტურული სისუსტე

ლიტერატურაში ჩამოყალიბდა კრიტიკული მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ სამოსამართლო კონტროლის საკანონმდებლო რეგულაცია არ არის ერთიანი ხასიათის და ნაწილობრივ გაურკვეველია;

<sup>777</sup> იქვე, 86.

<sup>778</sup> იქვე.

<sup>779</sup> იქვე, 86, 87.

<sup>780</sup> იქვე, 87.

მნელია ლოგიკური სისტემის დადგენა.<sup>781</sup> განსხვავებული რეგულაციების სიმრავლე პრაქტიკოსი მუშაკებისთვისა და მოსამართლებისთვის სირთულეებს ქმნის გადაწყვეტილების მიღების დროს.<sup>782</sup>

პრობლემას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ მოსამართლე, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების თაობაზე, არ არის საგამოძიებო პროცესის დინამიკაში ჩართული.<sup>783</sup> ის მხოლოდ განსაზღვრულ ეტაპზე ერთვება პროცესში და, შესაბამისად, გამოძიების მთლიან კონტექსტს არ იცნობს.<sup>784</sup> მაგალითად, გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლისათვის ძნელი შესაფასებელია, კონკრეტულ შემთხვევაში სხვა საგამოძიებო ღონისძიების გამოყენება, რომელიც ნაკლებად ზღუდავს ადამიანის ძირითად უფლებებს, ხომ არ იქნებოდა ასევე ეფექტიანი და დადგებითი შედეგის მომტანი.<sup>785</sup> მოსამართლეს არ აქვს დამოუკიდებელი კონტროლის, გადამოწმების ბერკეტი; გადაწყვეტილების მიღებისას ის ეყრდნობა საგამოძიებო ორგანოთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.<sup>786</sup>

აკეფების მოსაზრებით, სინამდვილეში მოსამართლე სამოსამართლო კონტროლის დროს ფუნქციურად წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილს; ის არის მონაწილე ძირითად უფლებებში ჩარევის აქტში, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ხორციელდება.<sup>787</sup>

### ბ) არასრული ანდა არასაკმარისი მასალა

ბევრ მოსამართლეს არ აქვს ფაქტობრივი შესაძლებლობა, განახორციელოს კონტროლი, რამდენადაც მაგ., განხორციელებული საპოლიციო ღონისძიებები და გადაწყვეტილებები მხოლოდ არასრულად არის დოკუმენტირებული, ანდა საგამოძიებო მასალაში წყარო არ არის მითითებული, ანდა აგენტი ტაქტიკური თვალსაზრისით მოსამართლესთან არ გამოცხადდა.<sup>788</sup> შესაძლოა, მოსამართლეს მიზანმიმართულად ან შემთხვევით მხოლოდ ნაწილობრივ მიეწოდოს ინფორმაცია; მაგალითად, მოსამართლეს საგამოძიებო მასალა შერჩევითად მიეწოდოს.<sup>789</sup>

ადამიანის ძირითადი უფლებების შემზღვდავი საგამოძიებო ღონისძიებების წარმოებისას მოსამართლეს მხოლოდ მაშინ შეუძლია თანაზომიერების პრინციპის ეფექტიანი გამოყენება, როცა მას პროკურატურის ყოველი (ახალი) შუამდგომლობის შემთხვევაში წარედგინება უკვე ჩატარებული ანდა პარალელურად მიმდინარე საგამოძიებო ღონისძიებების ე.წ. „სრული პაკეტი“.<sup>790</sup>

<sup>781</sup> ob.: *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 87; *Asbrock*, KritV 1997, 258; *Asbrock*, ZRP 1998, 18.

<sup>782</sup> ob.: *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 87.

<sup>783</sup> იქვე.

<sup>784</sup> ob.: *Gusy*, GA 2003, 689; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 88.

<sup>785</sup> ob.: *Kintzi*, DRiZ 2004, 83, 84; *Krieger*, DRiZ 2004, 247, 249; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 88; *Paeffgen*, in: FS für *Roxin*, 1309.

<sup>786</sup> ob.: *Kintzi*, DRiZ 2004, 83, 84; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 88; *Paeffgen*, in: FS für *Roxin*, 1308-1309.

<sup>787</sup> იქვე.

<sup>788</sup> ob.: *Müller*, AnwBl 1992, 349, 351; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 88.

<sup>789</sup> ob.: *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 88.

<sup>790</sup> ob.: *Steinmetz*, NStZ 2001, 344, 345; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 88, 89.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლეს ხშირად არ ეძღვავა საშუალება, თვითონ გამოიკვლიოს საქმის გარემოებები.<sup>791</sup> შუამდგომლობის დაყენების მომენტში მტკიცებულებები (მაგ, მოწმე) არ არის ხელმისაწვდომი.<sup>792</sup> მოსამართლეს პრაქტიკულად რჩება მხოლოდ შესაძლებლობა, გამოკითხოს გამოძიების მწარმოებელი ორგანო საქმის იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას მიაწოდა საგამოძიებო ორგანომ.<sup>793</sup>

აღნიშნული დეფიციტი გამოწვეულია სწორედ საგამოძიებო მოსამართლის სუსტი პოზიციით, რომლის მონაწილეობა მიიჩნევა გარე პირის ჩარევად გამოძიების პროცესში.<sup>794</sup>

### გ) დროის დეფიციტი

ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეს, როგორც წესი, დროის დიდი დეფიციტიაქვს.<sup>795</sup> მან უნდა განიხილოს პროკურორის ძალიან ბევრი შუამდგომლობა ამ ღონისძიებათა ჩატარების შესახებ.<sup>796</sup> დიდ სამუშაო დატვირთვას ასახელებს არგუმენტად ერთ-ერთი მოსამართლე, როდესაც აცხადებს, რომ მას შეუძლია ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას 10-დან მაქსიმუმ 30 წუთამდე დრო დაუთმოს, რამდენადაც იგი დროის დეფიციტის ვითარებაში პრიორიტეტს ანიჭებს ისეთი ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, როგორებიცაა, მაგ., პირის დაკავება.<sup>797</sup>

ერთი მხრივ, განსახილველ შუამდგომლობათა დიდი რაოდენობა და, მეორე მხრივ, ამ შუამდგომლობის განმხილველ მოსამართლეთა მცირე რაოდენობა გამორიცხავს საკონსტიტუციო სამართლებრივი მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულებას<sup>798</sup> და სამოსამართლო კონტროლის ეფექტიან ფუნქციონირებას.

### დ) „არამოტივირებული მოსამართლე“

ლიტერატურაში „არამოტივირებული მოსამართლის“ მაგალითი; აქ საქმე ეხება ისეთ გარემოებას, როდესაც მოსამართლეს არასამუშაო დროის განმავლობაში აკისრებენ შუამდგომლობის განხილვას.<sup>799</sup> აღნიშნული მოსამართლე, როგორც წესი, პროკურორის ამ სასწრაფო წესით განსახილველ შუამდგომლობას თავს არიდებს და მიუთითებს, რომ მას არ აქვს საკმარისი მასალა და არ

<sup>791</sup> ob. *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 89.

<sup>792</sup> იქვე.

<sup>793</sup> ob. *Gusy, JZ* 2001, 1033, 1035; *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 89.

<sup>794</sup> ob. *Gusy, ZRP* 2003, 276.

<sup>795</sup> ob. *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 89; *Gusy, JZ* 2001, 1033, 1035.

<sup>796</sup> ob. *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 89.

<sup>797</sup> ob. *Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation*, 2003, S. 258.

<sup>798</sup> ob. *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 89.

<sup>799</sup> იქვე.

შეუძლია აღნიშნული საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.<sup>800</sup> ამასთან, აღნიშნული მოსამართლე პროკურორს, როგორც წესი, დიად ან ირიბად მიუთითებს, რომ ამ უკანასკნელმა გამოიყენოს ეწ. გადაუდებელი აუცილებლობის გამო მისი უფლებამოსილება და თავად მიიღოს გადაწყვეტილება.<sup>801</sup> ამ შემთხვევაში დაისმის საკითხი, ხომ არ აფუძნებს ზემოაღნიშნული გარემოება ეწ. გადაუდებელი აუცილებლობის წინაპირობებს?<sup>802</sup>

### ე) არასაკმარისად კვალიფიციური მოსამართლე

სამეცნიერო ლიტერატურაში ითვლება, რომ საგამოძიებო მოსამართლეს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ფარულ საგამოძიებო დონისძიებათა განხორციელების შესახებ, საკმაოდ სუსტი პოზიცია აქვს საგამოძიებო პროცესში.<sup>803</sup> ეს კიდევ უფრო სუსტდება იმ გარემოებით, რომ ძალიან იშვიათია, როცა საგამოძიებო მოსამართლე მხოლოდ გამოძიების საკითხებით არის დაკავებული.<sup>804</sup> ტენდენციურად, საგამოძიებო მოსამართლის საქმიანობა არაა მიმზიდველი და პოპულარული; შესაბამისად, აღნიშნულ პოზიციას ხშირად ახალბედა მოსამართლეები იკავებენ.<sup>805</sup>

აღსანიშნავია ეწ. ექსპრეს მომსახურების გარემოება, როდესაც, მაგ., მოსამართლე (როგორც წესი, გამოუცდელი) სხვა მოსამართლის მაგივრად ანდა უქმებზე მუშაობს.<sup>806</sup> ეს უკანასკნელი, შესაძლოა, პროკურორის შუამდგომლობას აქმაყოფილებდეს იმ მოტივით, რომ არ გაცხადდეს მისი შესაძლო არაკომპეტენტურობა.<sup>807</sup> ასეთი ქმედება გამოუცდელ მოსამართლეს იმედს აძლევს, რომ, დიდი ალბათობით, ამ საკითხთან მას შემხებლობა აღარ ექნება.<sup>808</sup>

თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ უფრო გამოცდილი მოსამართლისათვისაც შეიძლება ძალიან რთული გადასაწყვეტი იყოს საკითხი ფარულ საგამოძიებო დონისძიებათა ჩატარების შესახებ მათი განსაკუთრებული სპეციფიკის გამო, მაგ., ეკონომიკური ანდა ნარკოტიკული დანაშაულის შემთხვევაში.<sup>809</sup>

### გ) ფსიქოლოგიური ასპექტები

როგორც უკვე აღინიშნა, გამოძიების პროცესში მოსამართლის ჩართვასა და გადაწყვეტილების მიღებას განსაზღვრავს ის თავისებურება, რომ მოსამართლე მხოლოდ განსაზღვრულ ეტაპზე

<sup>800</sup> იქვე.

<sup>801</sup> იქვე, 90.

<sup>802</sup> იქვე.

<sup>803</sup> იბ. Rieß, In Löwe Rosenberg, StPO, 25. Auflage, 2003, § 162, Rn. 1.

<sup>804</sup> იბ. Gusy, ZRP 2003, 276-277.

<sup>805</sup> იქვე, 277.

<sup>806</sup> იბ. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 90.

<sup>807</sup> იბ.: Kühne, Strafprozessrecht, 2010, Rn. 410; Müller, AnwBl 1992, 349, 351; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 90.

<sup>808</sup> იბ. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 90.

<sup>809</sup> იბ.: Kühne, Strafprozessrecht, 2010, Rdn. 410; Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 90.

ერთვება პროცესში, ღონისძიებებს ის არ ატარებს და პროცესს არ ხელმძღვანელობს.<sup>810</sup>

საინტერესოა პელმკენის მიერ განხილული ფსიქოლოგიური ასპექტები<sup>811</sup>, რომლებიც ზემოქმედებს და განსაზღვრავს მოსამართლის ქმედებას გადაწყვეტილების მიღების დროს. ავტორთა ნაწილის აზრით, სწორედ ეს ფსიქოლოგიური ასპექტები განაპირობებს საერთო ჯამში სამოსამართლო კონტროლის ქმედითუნარიანობის უარყოფითად შეფასებას.<sup>812</sup>

მოსამართლე მხოლოდ მიწოდებული საგამოძიებო მასალის საფუძველზე<sup>813</sup>, შესაბამისად, „ზედაპირულად”, საქმის გარემოებათა სიღრმისეულად ცოდნის გარეშე იღებს გადაწყვეტილებას<sup>814</sup>. თუმცა, ავტორთა აზრით, მოსამართლე თავს იმშვიდებს ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას, რამდენადაც ფიქრობს, რომ თუკი არ იარსებებდა ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარებისთვის აუცილებელი კანონიერი საფუძველი, პროკურატურა შუამდგომლობას არ წარადგენდა.<sup>815</sup>

საბოლოო ჯამში, იკვეთება პროცესის მონაწილეთა (იგულისხმება პროკურატურა და სასამართლო) თანამშრომლობა,<sup>816</sup> რომელსაც პელმკენი კოლეგიალობის ეფექტად მოიხსენიებს.<sup>817</sup>

## ბ) „ბუმერანგის ეფექტი”

დროის დეფიციტისა და იმის გამო, რომ მიწოდებული ინფორმაცია, როგორც წესი, არ არის საკმარისი, შეუძლებელია, მოსამართლემ ამომწურავად შეისწავლოს საკითხი და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.<sup>818</sup> თუკი ეს უკანასკნელი მოინდომებს საგამოძიებო ღონისძიების ჩატარებისთვის საჭირო წინაპირობების ამომწურავ, კომპლექსურ შესწავლას/კონტროლს, მაშინ მას აღნიშნულისთვის იმდენი დრო დასჭირდება, რომ საგამოძიებო ორგანოები, დიდი ალბათობით, მოსამართლეს ვერ დაელოდებიან და სამართლიანადაც გამოიყენებენ უფლებამოსილებას, განახორციელონ აღნიშნული საგამოძიებო ღონისძიება ე.წ. გადაუდებელი აუცილებლობის გამო.<sup>819</sup> ასეთ შემთხვევას ტალასკა უწოდებს ე.წ. ბუმერანგის ეფექტს.<sup>820</sup>

## თ) გადაუდებელი აუცილებლობა

ძირითადი უფლებების შემზღვდავი საგამოძიებო მოქმედებების უმეტესობა, მათ შორის სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, შესაძლებელია, ჩატარდეს საგამოძიებო ორგანოს მიერ, თუკი სახეზეა

<sup>810</sup> ob. *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 90.

<sup>811</sup> ob. *Helmken, StV* 2003, 193-198.

<sup>812</sup> ob.: *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 91; *Helmken, StV* 2003, 193-198.

<sup>813</sup> ob. *Gusy, ZRP* 2003, 275.

<sup>814</sup> ob. *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 92.

<sup>815</sup> იქვე, 92, 93.

<sup>816</sup> ob.: *Gusy, ZRP* 2003, 275, 276; *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 93.

<sup>817</sup> ob. ზემოთ განხილული პელმკენის მოსაზრება, თავი I, 6.2.2.6.4. ქვეთავი; *Helmken, StV* 2003, 193, 195.

<sup>818</sup> ob.: *Kühne Strafprozessrecht*, 2010, Rn. 410; *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 94.

<sup>819</sup> ob. *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 94.

<sup>820</sup> იქვე, 93, 94.

ქ.წ. გადაუდებელი აუცილებლობა.<sup>821</sup> სწორედ ეს საგამონაკლისო გარემოება წარმოადგენს კრიტიკის ობიექტს, რამდენადაც მიიჩნევა, რომ ძირითადი უფლებების დაცვა ამ შემთხვევაში არაა საკმარისად უზრუნველყოფილი.<sup>822</sup>

უფრო კონკრეტულად, ამ საკითხზე საუბრისას ზემოთ უკვე გამოიკვეთა შემთხვევები,<sup>823</sup> როდესაც გადაუდებელი აუცილებლობის გარემოება საგამოძიებო ორგანოებმა შესაძლებელია, რომ ბოროტად გამოიყენონ.<sup>824</sup>

საგამოძიებო ორგანოთა უმთავრესი მიზანი სისხლის სამართლის პროცესში არის მტკიცებულებათა მოპოვება.<sup>825</sup> სამოსამართლო კონტროლი არის კანონმდებლის მიერ შერჩეული საშუალება ფარული საგამოძიებო ღონისძიების ადრესატის საკონსტიტუციო სამართლებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად.<sup>826</sup> კანონმდებელმა დაუშვა სამოსამართლო კონტროლის საგამონაკლისო შემთხვევა ძირითადად იმ პირობით, თუკი ძირითად უფლებებში ჩარევის დროს საგამოძიებო მოქმედებათა მთავარი მიზანი, მტკიცებულებათა მოპოვება, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.<sup>827</sup> გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა შეესაბამება მართლმსაჯულების საკონსტიტუციო სამართლებრივ უზრუნველყოფას, რომელიც, ასევე, მოიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიან განხორციელებას.<sup>828</sup>

გერმანიის ფედერალური სასამართლოსა და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, გადაწყვეტილებას იმის შესახებ, არსებობს თუ არა გადაუდებელი აუცილებლობის გარემოების დადგენის წინაპირობები, იდებს საგამოძიებო ორგანო.<sup>829</sup>

მართალია, კანონით განსაზღვრულია ეს საგამონაკლისო გარემოება, მაგრამ, როგორც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მის შემდგომ გადაწყვეტილებებში განმარტა, აუცილებელია, საგამოძიებო ორგანოთა გადაწყვეტილებებზე განხორციელდეს სრული სასამართლო კონტროლი.<sup>830</sup> საყურადღებოა, რომ, მაგალითად, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის დადგენის წინაპირობად გათვალისწინებული საფრთხის განმარტება ან ამ საფრთხის მოსალოდნელობის ეფექტი არის სამართლებრივი ცნების განუსაზღვრელობის ტიპური მაგალითი; მსგავსი ცნებების დაკონკრეტება, განმარტება კი ძირითადად უნდა იყოს სასამართლოს პრეროგატივა.<sup>831</sup>

<sup>821</sup> ob. *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 94; შეად. *Bitterman, Wistra* 2001, 137 ff.

<sup>822</sup> ob. *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 94.

<sup>823</sup> იქვე, 86, 87.

<sup>824</sup> იქვე, 94.

<sup>825</sup> იქვე.

<sup>826</sup> იქვე.

<sup>827</sup> იქვე.

<sup>828</sup> ob.: BVerfGE 103, 142, 154; BVerfGE 77, 65, 76f.

<sup>829</sup> ob. *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 97.

<sup>830</sup> ob. BVerfGE 103, 142.

<sup>831</sup> იქვე.

საინტერესოა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წელს გაკეთებული განმარტება, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მხრიდან საკითხის შემდგომი კონტროლიც, თავის მხრივ, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის გამოხატულებაა.<sup>832</sup> ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა საგამოძიებო ორგანოს მიერ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ღონისძიების კონტროლის განმახორციელებელი მოსამართლე ძირითად უფლებებში ჩარევის შესახებ ბრძანების გამოსაცემად საჭირო წინაპირობებს საკუთარი პასუხისმგებლობით გადაამოწმებს.<sup>833</sup>

### 6.2.2.8. რეფორმა

სამოსამართლო კონტროლთან დაკავშირებით პრაქტიკაში წარმოჩენილმა მთელმა რიგმა ხარვეზებმა ცხადყო ამ ინსტიტუტის რეფორმის აუცილებლობა.<sup>834</sup> ლიტერატურაში განვითარებული ის წინადაღები, რომლებიც მიმართულია სამოსამართლო კონტროლის, როგორც ინსტიტუტის, გაუმჯობესებისკენ, ძირითადად შეიძლება დაიყოს<sup>835</sup>:

1. წინადაღებებად, რომლებიც არ გულისხმობს სისტემურ ცვლილებას და სამოსამართლო კონტროლის გაძლიერებას მოიაზრებს;
  2. წინადაღებებად, რომლებიც გულისხმობს სამოსამართლო კონტროლის სისტემურ ცვლილებას, მის გაუქმებას.
- საინტერესოა ორივე ჯგუფის ზოგადი განხილვა.

#### 6.2.2.8.1. სამოსამართლო კონტროლის გაძლიერება

რეფორმის ეს მიმართულება არ გულისხმობს სამოსამართლო კონტროლის სისტემურ ცვლილებას; ის უფრო მიმართულია ამ ინსტიტუტის არსებული მოცემულობის გაძლიერებისკენ.<sup>836</sup>

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სამოსამართლო კონტროლის ხარვეზებზე ინტენსიური მუშაობის შედეგად სსსკ-ში გატარდა ზემოთ უკვე ხსენებული მნიშვნელოვანი რეფორმა და 2017 წლის აგვისტოში შესული ცვლილებების საფუძველზე სავალდებულო გახდა მოსამართლის მიერ ფარული სატელეკომუნიკაციო მიყურადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ბრძანების დასაბუთება.<sup>837</sup> როგორც უკვე აღინიშნა,<sup>838</sup> სსსკ-ის 100e პარაგრაფის მეოთხე აბზაციის თანახმად,

<sup>832</sup> ი. BVerfG, StV 2002, 348f.

<sup>833</sup> ი. BVerfG, StV 2002, 348.

<sup>834</sup> ი. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 256.

<sup>835</sup> იქვე.

<sup>836</sup> ი. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 256; Asbrock, KritV 1997, 261; Asbrock, ZRP 1998, 19.

<sup>837</sup> ი. BGBI. I S. 3206,

[https://www.bgb1.de/xaver/bgb1/start.xav#\\_bgb1\\_%2F%2F\\*%5B%40attr\\_id%3D%27bgb1117s3202.pdf](https://www.bgb1.de/xaver/bgb1/start.xav#_bgb1_%2F%2F*%5B%40attr_id%3D%27bgb1117s3202.pdf)  
f%27%5D\_1533540915395, უკანასკნელად გადამოწმებულია 10.08.2018.

<sup>838</sup> ი. თავი I, ქვეთავი 6.2.1.

ფარული სატელეკომუნიკაციო მიუწრადების ღონისძიებათა ჩატარებაზე (ასევე, მისი ვადის გაგრძელებაზე) მოსამართლის ბრძანება უნდა შეიცავდეს საფუძვლიან დასაბუთებას და მასში წარმოდგენილი უნდა იყოს ბრძანების გაცემის წინაპირობები, მნიშვნელოვანი შეფასებითი მოსაზრებები, როგორიცაა, მაგ.: კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვს ასაბუთებს და გარემოებები, რომლებიც ღონისძიების ჩატარების აუცილებლობასა და თანაზომიერებას ასაბუთებს.

სსსკ-ის აღნიშნული ცვლილებისა და სამოსამართლო კონტროლის გაძლიერების რეკომენდაციას ჯერ კიდევ 2003 წელს იძლეოდნენ გუზი და ბაკები და მიიჩნევდნენ რომ ეს ცვლილება ხელს შეუწყობდა პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას.<sup>839</sup>

ფარული სატელეკომუნიკაციო მიუწრადების შესახებ ბრძანების ვადის გაგრძელებაზე დასაბუთების მოთხოვნას აუცილებლად მიიჩნევდა კლაი, ასევე, საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებამდე; მისი შეფასებით, ამ შემთხვევაში ბრძანების გამოსაცემად საჭირო წინაპირობები შემოწმდება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, რაც მხოლოდ მისასალმებელი შეიძლება იყოს.<sup>840</sup> მეცნიერთა ნაწილი იმედოვნებს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად თავიდან იქნება აცილებული ფარულ საგამოძიებო ღონისძიებათა ვადის ავტომატური გაგრძელების პრაქტიკა და, საჭიროების შემთხვევაში, შესწორდება შინაარსობრივად გაუმართავი ბრძანება.<sup>841</sup>

ზოგადად, სამოსამართლო კონტროლის გაძლიერება მოიცავს მთელი რიგი ღონისძიებების de lege lata და de lege ferenda გატარებას.<sup>842</sup> ამ ღონისძიებების უმთავრესი მოთხოვნა საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებაზე გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის უკეთ მომზადება ან გადამზადება.<sup>843</sup>

ორგანიზაციული ოფალსაზრისით შემოთავაზებულ იქნა, რომ საგამოძიებო ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები საგამოძიებო მოსამართლე გახდეს, ასე ვთქვათ, „დამოუკიდებელი მოსამართლე“.<sup>844</sup> ამ იდეის უკან გამოიკვეთა სურვილი, რომ, ერთი მხრივ, თავიდან ავირიდოთ უფრო დაბალი კვალიფიკაციის მქონე მოსამართლის საგამოძიებო მოსამართლედ გამწესება და, მეორე მხრივ, ამაღლდეს საგამოძიებო მოსამართლის გადაწყვეტილების შედეგზე მისი პასუხისმგებლობა.<sup>845</sup> შესაბამისად, მაღალია ე.წ. „დამოუკიდებელი მოსამართლის“ მიმართ წაყენებული პერსონალური მოთხოვნები.<sup>846</sup> ამ საკანონმდებლო ინიციატივის შედეგად გაძლიერდა საგამოძიებო

<sup>839</sup> იბ. *Backes/Gusy*, StV 2003, 252.

<sup>840</sup> იბ. *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 266. ამასთან, იბ. ასევე: *Helmken*, StV 2003, 193, 197; *Gusy*, ZRP 2003, 275, 276f.

<sup>841</sup> იბ. *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 266.

<sup>842</sup> იქვე, . *Kleih*, 257.

<sup>843</sup> იბ.: *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 257; *Helmken*, StV 2003, 193; *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007, S. 184.

<sup>844</sup> იბ. *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 257.

<sup>845</sup> იქვე.

<sup>846</sup> იბ. *Helmken*, StV 2003, 193; *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 257.

მოსამართლის ინსტიტუტი და ახლებურად ჩამოყალიბდა სსსკ-ის 162-ე პარაგრაფი.<sup>847</sup>

თუმცა, ამ საკანონმდებლო ცვლილების წინააღმდეგ გამოითქვა სკეპტიკური აზრი, რომ საგამოძიებო მოსამართლის ეს ე.წ. ევოლუცია შესაძლოა გარკვეულწილად არაეფექტური იყოს.<sup>848</sup> ძირითად პრობლემად დასახელდა ის გარემოება, რომ საგამოძიებო მოსამართლის საგამოძიებო პროცესში აქტიური ჩართულობით, შედეგზე პასუხისმგებლობის მინიჭებით დაიკარგება დამოუკიდებელი საკონტროლო ინსტანციის იერსახე;<sup>849</sup> შეიქმნება რეალური რისკი, რომ მოსამართლე, რომელსაც აქვს კონტროლის უფლებამოსილება<sup>850</sup> და გასცემს ბრძანებას, იქცევა პროცესის დაინტერესებულ მონაწილედ.<sup>851</sup>

აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო მოსამართლე და პროკურატურა ტერიტორიულად ერთ სივრცეში არიან განთავსებულნი, რითაც ხდება კომპეტენციათა თავმოყრა ერთ ტერიტორიაზე.<sup>852</sup> ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, აღნიშნული შეესაბამება პრაქტიკის მოთხოვნას და უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის მარტივ და სწრაფ ხელმისაწვდომობას.<sup>853</sup> ამასთან, ბრძანების გაცემასა და გამოძიების წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოთა ერთ ტერიტორიაზე განთავსება ეფექტურია, განსაკუთრებით ტექნიკურად, ისეთი კომპლექსური საგამოძიებო ღონისძიების ჩატარებისას, როგორიცაა ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადება.<sup>854</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად აღინიშნა, რომ ამ ორგანოთა ასეთი სივრცითი სიახლოვის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია ჰელმერის მიერ ზემოთ უპვე აღწერილი ფსიქოლოგიური ფაქტორი<sup>855</sup> და რომ ამ შემთხვევაში მათი „პარმონიულობის ტენდენცია“ და „კოლეგიალობის ეფექტი“ უფრო გაიზრდება, ვიდრე დაიკლებს.<sup>856</sup>

ლიტერატურაში შემოთავაზებულია, ასევე, ალტერნატივა, რომლის მიხედვითაც განიხილებოდა სამოსამართლო კონტროლის გაძლიერება სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მტკიცებულებათა მოპოვებისა და მტკიცებულებათა გამორიცხვის წესის დარეგულირებით.<sup>857</sup> პენრიქსის აზრით, მოსამართლის მიერ ე.წ. „დაბინძურებულ მტკიცებულებათა“ გამორიცხვა წარმოადგენს

<sup>847</sup> <http://www.buzer.de/gesetz/5815/al10704-0.htm>, უკანასკენალდა გადამოწმებულ იქნა 10.08.2018.

<sup>848</sup> იბ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 283.

<sup>849</sup> იქვე.

<sup>850</sup> იბ. Rieß, NStZ 1991, 513ff.

<sup>851</sup> იბ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 283; საგამოძიებო მოსამართლის საქმიანობის კრიტიკული შეფასების შესახებ იბ. Briining, Wenske, ZIS 2008, 340ff.

<sup>852</sup> იბ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 265.

<sup>853</sup> იბ. BR-Drs. 275/07, გვ. 149; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 265.

<sup>854</sup> იბ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 266.

<sup>855</sup> Helmken, StV 2003, 193; დაწვრილებით იბ. თავი I, ქვეთავი 6.2.2.6.4.

<sup>856</sup> იბ. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 266.

<sup>857</sup> იბ. Gussy, ZRP 2003, 275, 277.

სამართალდამცავ ორგანოთა „დისტრიბუტორების ყველაზე ეფექტიან საშუალებას“.<sup>858</sup>

საბოლოოდ, კანონმდებელმა უარი თქვა ამ ცვლილების მიღებაზე, მტკიცებულებათა გამორიცხვის ასეთი სახის სტანდარტიზაციაზე.<sup>859</sup> მიზეზად კი დასახელდა ის გარემოება, რომ მტკიცებულებების გამორიცხვის მაღალი სტანდარტი სასამართლო პრაქტიკაში ისედაც არსებობს.<sup>860</sup> სამოსამართლო კონტროლის წინაპირობების ნებისმიერი დარღვევა უნდა იწვევდეს მტკიცებულებათა უპირობო გამორიცხვას, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიღებული განაჩენი იქნება სახელმწიფო ორგანოთა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის შედეგი.<sup>861</sup> ყოველი შემთხვევის საქმის გარემოებათა ინდივიდუალური შეფასება აქ უნდა გამოირიცხოს.<sup>862</sup>

ლიტერატურაში გამოითქვა, ასევე, მოსაზრება, რომ სამოსამართლო კონტროლზე განხორციელდეს საპარლამენტო კონტროლი მოხსენების ვალდებულებითა და სპეციალური საპარლამენტო კომისიების შექმნით.<sup>863</sup>

### 6.2.2.8.2. სამოსამართლო კონტროლის გაუქმება

მართალია, სამოსამართლო კონტროლის ხარვეზები ხშირად გახდა ლიტერატურასა თუ პრაქტიკაში მკაცრი კრიტიკის საგანი, მაგრამ ამ ინსტიტუტის გაუქმება კონტროლის სხვა მექანიზმების სასარგებლოდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძირითადად უარყოფილ იქნა.<sup>864</sup>

კინციგმა, პრაქტიკის გამოცდილებიდან გამომდინარე, სადისკუსიოდ წამოჭრა საკითხი იმის შესახებ, უკეთესი ხომ არ იქნებოდა, რომ იძულებითი ღონისძიებების შესახებ ბრძანების გაცემის უფლებამოსილება გადაეცეს პროკურატურას.<sup>865</sup> ავტორის აზრით, ამით მოხდება *de facto* არსებული პრაქტიკის ლეგალიზება.<sup>866</sup>

კლაის შეხედულებით, მაგ., ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ ბრძანების გაცემის უფლებამოსილების პროკურატურისთვის გადაცემა უდავოდ იქნებოდა პრაქტიკული და რეკომენდებული.<sup>867</sup> პროკურატურა საგამომიებო პროცესის ხელმძღვანელია, გამოძიების ე.წ. „ბატონ-პატრონი“<sup>868</sup>. თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში პროკურორს

<sup>858</sup> ob. Henrichs in: Kriminalistik 2007, 464.

<sup>859</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 265.

<sup>860</sup> ob.: BT-Drs. 16/6979, S. 61; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 265.

<sup>861</sup> ob. Hüls, ZIS 2009, 169.

<sup>862</sup> იქვე.

<sup>863</sup> ob.: Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 469; Gusy, ZRP 2003, 275, 276ff; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 258.

<sup>864</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 258.

<sup>865</sup> ob. Kinzig, StV 2004, 560, 566f.

<sup>866</sup> იქვე.

<sup>867</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 275.

<sup>868</sup> ob. Beulke, Strafprozessrecht, 2008, Rn. 79; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, § 163, Rn. 3.

ხელეწიფება, გამოძიების ყველა მნიშვნელოვან დეტალზე პქონდეს წარმოდგენა; პროკურორს, თავისი საგნობრივი კომპეტენციიდან გამომდინარე, შეუძლია, შეაფასოს ბრძანების როგორც ტექნიკური, ისე სამართლებრივი მხარეები.<sup>869</sup> აღნიშნული კი ხელს შეუწყობს პროცესის გამარტივებას.<sup>870</sup>

კლაი ხაზგასმით მიუთითებს, რომ პროკურატურისთვის ბრძანების გაცემის უფლებამოსილების გადაცემის შემთხვევაში, ძირითადი უფლებების ქმედით დაცვას საფრთხე არ ექმნება, რამდენადაც პროკურატურა კანონით არის შებოჭილი და ეს ფაქტორი პირდაპირ განსაზღვრავს საგამოძიებო პროცესში მის ნეიტრალურობას.<sup>871</sup>

კლაის მოსაზრებით, აღნიშნული არ არის „კაპიტულაცია ფაქტობრივი ძალაუფლების წინააღმდეგ“<sup>872</sup>, როგორც ამას აღნიშნავს ტალასკა, არამედ წარმოადგენს თანმიმდევრულ დასკვნას ძირითადი უფლებების დაცვის არსებული მექანიზმის დისფუნქციიდან გამომდინარე.<sup>873</sup> კლაის მიხედვით, მეორეხარისხოვანია ის, თუ ვინ იღებს ბრძანებას ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ; თუკი აღნიშნული (მატერიალურად) მხოლოდ კანონიერ შედეგს იძლევა.<sup>874</sup> მაგრამ, როცა სამოსამართლო კონტროლი კანონიერი შედეგის მიღწევას საიმედოდ ვერ უზრუნველყოფს, მაშინ სახეზეა ტრადიციის წინაშე ამ ინსტიტუტის კაპიტულაცია მისი შენარჩუნების მიზნით.<sup>875</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით კინცივი აღნიშნავს, რომ მსგავსი ინიციატივა გამართლებული იქნება პროკურატურის დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსისა და მტკიცებულებათა გამორიცხვის მკაფიოდ გამოკვეთილი წესის არსებობის შემთხვევაში.<sup>876</sup>

2003 წელს გერმანიის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს ეგიდით და საგამოძიებო მოსამართლის უფლებამოსილებათა შესახებ დასკვნის მომზადების მიზნით შეიკრიბა გერმანელ მოსამართლეთა კავშირის სისხლის სამართლის დიდი კომისია.<sup>877</sup> მან იმსჯელა და გამოიკვლია საკითხი, თუ რამდენად არის შესაძლებელი მაგ., ფარულ საგამოძიებო დონისძიებათა შესახებ ბრძანების გაცემის უფლებამოსილების გადაცემა პროკურატურისთვის.<sup>878</sup> კომპეტენციათა ცვლილების რეკომენდაციას კომისიამ საბოლოო ჯამში მხარი არ დაუჭირა.<sup>879</sup>

კომისიის მიხედვით, ბრძანების გაცემის უფლებამოსილების პროკურორისთვის გადაცემა სისტემის შესაბამისად უნდა შეფასდეს, რამდენადაც სწორედ პროკურატურაა პასუხისმგებელი მოლიანი

<sup>869</sup> ი. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 275.

<sup>870</sup> იქვე.

<sup>871</sup> ი. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 276; Zuberbier, DRiZ 1988, 254, 255.

<sup>872</sup> Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 194.

<sup>873</sup> ი. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 285.

<sup>874</sup> იქვე.

<sup>875</sup> იქვე.

<sup>876</sup> Kinzig, StV 2004, 560, 566f.

<sup>877</sup> ი. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 258.

<sup>878</sup> იქვე.

<sup>879</sup> ი. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 258. კერძოდ, კომისიის მხოლოდ ოთხმა წევრმა დაუჭირა ამ რეკომენდაციას მხარი, შვიდმა საკითხის წინააღმდეგ მისცა ხმა, ერთმა კი თავი შეიკავა.

პროცესის წარმართვაზე.<sup>880</sup> თუმცა, პროკურორისთვის ამ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში, აუცილებელია, რომ კანონდარღვევით გაცემული ბრძანების გამოვლენის შემთხვევაში სავალდებულოდ მოქმედებდეს მიღებულ მტკიცებულებათა სისხლის სამართლის პროცესიდან გამორიცხვის წესი.<sup>881</sup> შესაბამისად, მოსალოდნელი იქნება პროკურატურის მხრიდან ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ზედმიწევნით ფრთხილად გამოყენება, რადგანაც ხარვეზიანი ბრძანების შემთხვევაში დიდი იქნება მოპოვებულ მტკიცებულებათა დაკარგვის რისკი.<sup>882</sup>

ალბრეხტი, დორში და კრუპე არ გამორიცხავენ სამოსამართლო კონტროლის მოცემული საკანონმდებლო რეგულაციისგან გადახვევას.<sup>883</sup> რამდენადაც ალბრეხტის, დორშისა და კრუპეს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პროკურატურის შუამდგომლობის დასაბუთება გარკვეული ალბათობით მოსამართლის ბრძანების ტექსტის ფორმულირებაში თვისობრივად აისახება ხოლმე<sup>884</sup> აქედან გამომდინარე, ავტორთა ნაწილი დაასკვნის, რომ სამოსამართლო კონტროლი არ არის ქმედითი, რეალური დაბრკოლება პროკურატურის არასასურველი მოტივაციის შესაკავებლად.<sup>885</sup> უფრო მეტიც, ხშირად ასეთმა მოტივაციამ შესაძლოა, მოსამართლის ბრძანების „ინფიცირება გამოიწვიოს“.<sup>886</sup>

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში უმეტესწილად ავტორები მხარს უჭერენ პოზიციას, რომ სამოსამართლო კონტროლს საგამოძიებო ორგანოებისთვის, კერძოდ, პროკურატურისთვის აქვს გარკვეული შემაკავებელი ეფექტი.<sup>887</sup> სამოსამართლო კონტროლის უარყოფა ფაქტობრივად გამოიწვევს მაკონტროლებელი ინსტანციის ლიკვიდაციას.<sup>888</sup> შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევა ამ ინსტიტუტის, როგორც სამართლიანობის დაცვის ეფექტიანი ინსტრუმენტის, არსებული სახით შენარჩუნება.<sup>889</sup>

ბრუნინგის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის შეზღუდვა სამოსამართლო კონტროლის გამოყენებით განსაკუთრებით აუცილებელია ფარული საგამოძიებო ღონისძიებების დროს.<sup>890</sup> ამიტომ, ავტორის აზრით, ამ ინსტიტუტის გაუქმება ან დაცვის მექანიზმის აღტერნატივის ძიება მიუღებელია.<sup>891</sup> ბრუნინგი არ ეთანხმება

<sup>880</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 259.

<sup>881</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 259; Kintzi, DRiZ 2004, 83, 85.

<sup>882</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 277.

<sup>883</sup> ob. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 467 ff.; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 259.

<sup>884</sup> ob. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 244 ff.; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 277.

<sup>885</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 277.

<sup>886</sup> იქვე.

<sup>887</sup> იქვე, 259.

<sup>888</sup> იქვე, 277.

<sup>889</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 259.

<sup>890</sup> ob. Brüning, Der Richtervorbehalt im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, 2005, S. 226.

<sup>891</sup> ob. Brüning, Der Richtervorbehalt im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, 2005, S. 139 ff.; Brüning, ZIS 2006, 35; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 259.

პროკურორის მიერ ფარულ საგამოძიებო ღონისძიებებზე კონტროლის განხორციელებას; ამას იგი კონტიტუციის ძირითადი პრინციპების საწინააღმდეგოდ მიიჩნევს, რამდენადაც თვლის, რომ სამოსამართლო კონტროლის არსებობა სწორედ პროკურატურის „უპირატესი ძალაუფლების“ კომპენსაციისთვის არის უცილებელი.<sup>892</sup> ამასთან, ბრუნიგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პროკურორი, მოსამართლისგან განხსნავებით, მოქმედებს საკუთარი ინიციატივით და განიცდის კონკრეტული „მოტივაციის ზეწოლას, წარუდგინოს დამნაშავე მართლმსაჯულებას“.<sup>893</sup>

სამოსამართლო კონტროლის გაუქმების წინააღმდეგ გამოდის ტალასკაც; იგი თვლის, რომ გამართლებულია კრიტიკა, რომელიც უკავშირდება სამოსამართლო კონტროლის პრაქტიკაში განხორციელებას, თუმცა ამან სამოსამართლო კონტროლის კონცეფციის ჩავარდნა არ უნდა გამოიწვიოს.<sup>894</sup>

რაბე ფონ ქიულევაინი სამოსამართლო კონტროლს აფასებს, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლისა და შეზღუდვის მნიშვნელოვან საშუალებას ისე, რომ იგი არ გვთავაზობს კონტროლის ახალი მექანიზმის ვარიანტს.<sup>895</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს, პროკურატურას მიენიჭოს კონტროლის უფლებამოსილება, რადგან ის უკეთ ერკვევა საგნის არსში და, ამავე დროს, სპეციალიზებული სტრუქტურა.<sup>896</sup> საბოლოო ჯამში, რაბე ფონ ქიულევაინი მაინც მიიჩნევს, რომ სამოსამართლო კონტროლი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი ფორმაა.<sup>897</sup>

დასკვნის სახით, საგულისხმოა კინტიცის სიტყვები, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებას ყოველთვის უნდა ჰქონდეს იმის იმედი და ნდობა, რომ ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევის კანონიერება შემოწმდება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ და, ამასთან, – ძირითად უფლებებში ჩარევამდე.<sup>898</sup> ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შემთხვევაში ასეთი ნდობის არსებობის კონკრეტულ გარანტიას იძლევა სსსკ-ის 100e პარაგრაფი.<sup>899</sup>

## 6.2.2.9. შეჯამება

ზემოთ მოცემული და განხილული სამოსამართლო კონტროლის ხარვეზის გამომწვევი მიზეზები, ნაკლოვანი და სუსტი მხარეები ცხადყოფენ, რომ ძირითადი უფლებების დაცვას, რომელიც საგამოძიებო

<sup>892</sup> ob. Brüning, Der Richtervorbehalt im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, 2005, S. 140 f., 146, 149; Brüning, ZIS 2006, 31, 35; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 259.

<sup>893</sup> ob. Brüning, Der Richtervorbehalt im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, 2005, S. 226 ff.; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 259, 260.

<sup>894</sup> ob. Talaska, Der Richtervorbehalt, 2007, S. 202, 203; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 260.

<sup>895</sup> ob. Rabe von Kühlewein, Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, 2001, S. 461; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 260.

<sup>896</sup> ob. Rabe von Kühlewein, Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, 2001, S. 466.

<sup>897</sup> იქვე.

<sup>898</sup> ob. Kintzi, DRiZ 2004, 83; Kleih Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 261.

<sup>899</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 276.

პროცესში მოსამართლის პრევენციული ჩართვით უნდა იყოს გარანტირებული, სხვადასხვა გარემოებით ექმნება საფრთხე. აღნიშნული კი სამოსამართლო კონტროლის, როგორც ინსტიტუტის, ეფექტიანობას ეჭვის ქვეშ აყენებს. ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების ჩატარების დროს მოსამართლე პროცესში ისეთ სტადიაზე ერთვება, რომ მას ძირითადი უფლებების პრევენციული დაცვის თვალსაზრისით ობიექტური მტკიცებულებების ნაკლებობის გამო ძალიან მცირედის მიღწევა შეუძლია; ამდენად, მოსამართლეს ნაკლებად შეუძლია ადამიანის პირადი ცხოვრების ძირითად სფეროში კანონსაწინააღმდეგო ჩარევის რეალურად თავიდან აცილება.<sup>900</sup> ამ ფაქტორების გათვალისწინებით, პრევენციული სამოსამართლო კონტროლი წარმატებით ვერ გადაჭრის რეპრესიული ხასიათის ფარული საგამოძიებო მოქმედების – ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების – პრობლემატიკას.<sup>901</sup>

სამოსამართლო კონტროლის განხორციელება პრაქტიკაშიც, როგორც ძირითადი უფლებების ეფექტიანი დაცვის საშუალება, უარყოფითად შეფასდა. ბოლო წლებში ამ ინსტიტუტს უკვე ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „მითს“<sup>902</sup>, „უბრალო სახელმწიფო სამართლებრივ ნუგეშს“<sup>903</sup>, „უკბილო ვეფხვს“,<sup>904</sup> „მოდარაჯე ძაღლს, რომელიც არც ყველა და არც იკბინება“<sup>905</sup>, „დამდლელ ფორმალობას“.<sup>906</sup> ზემოთ განხილულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებული თუ პრაქტიკაში არსებული მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ის მოლოდინი, რომელიც თან ახლდა სამოსამართლო კონტროლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის პროცესში შემოტანას, ვერ გამართლდა და, ფაქტორივად, დარჩა კონტროლის ზოგადი (ფსიქოლოგიური) შემაკავებელი ეფექტის მატარებლად და ისიც მხოლოდ მოსამართლის ფიგურიდან გამომდინარე.

საბოლოოდ, ამ ეტაპზე დიად რჩება კითხვები, თუ რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ სამოსამართლო კონტროლს მიენიჭოს/დაუბრუნდეს კანონმდებლის მიერ მისთვის თავდაპირველად განხაზღვრული ფუნქცია; რამდენად არის სამოსამართლო კონტროლის ინსტიტუტი რაციონალური და მნიშვნელოვანი ძირითადი უფლებების ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად; არსებობს თუ არა მისი უკეთესი ალტერნატივა.

განხილული საკანონმდებლო ინიციატივების, ჩატარებული კვლევებისა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში გაკეთებული შემოთავაზებების საფუძველზე მაინც შეზღუდულად იკვეთება ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების ღონისძიებების ჩატარებისას სამოსამართლო კონტროლის არსებითად გაუმჯობესების შესაძლებლობა.<sup>907</sup> ამის მიზეზი, პირველ რიგში, აფარული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების სისტორეა და, მეორე მხრივ, ის გარემოება,

<sup>900</sup> იქვე, 285.

<sup>901</sup> იქვე.

<sup>902</sup> ob. Asbrock, ZRP 1998, 17.

<sup>903</sup> იქვე.

<sup>904</sup> ob. Brüning, ZIS 2006, 29.

<sup>905</sup> ob. Müller, AnwBl 1992, 349 (351).

<sup>906</sup> ob. Gusy, ZRP 2003, 275.

<sup>907</sup> ob. Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 285.

რომ ფარული საგამოძიებო დონისძიებების დროს თითქმის შეუძლებელია პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს მნიშვნელობის წინასწარ განსაზღვრა.<sup>908</sup>

სამოსამართლო კონტროლის ინსტიტუტთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთავაზებული წინადაღებებიდან ყველაზე განსაკუთრებული და ნოვატორული აღმოჩნდა ინიციატივა ბრძანების გაცემის უფლებამოსილების პროკურატურისთვის გადაცემის შესახებ.<sup>909</sup> თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ამ ნოვაციას თან უნდა ახლდეს რეგულაცია მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა გამორიცხვის მკაცრად განსაზღვრული წესის შესახებ; ეს რეგულაცია, ავტორთა ნაწილის აზრით, შექმნის გარანტიას, რომ პროკურატურა ბრძანების გაცემის უფლებამოსილებას მისთვის მინიჭების შემთხვევაში მხოლოდ ნამდვილად დასაბუთებულ გარემოებებში გამოიყენებას.<sup>910</sup>

თუმცა, სსსკ-ში ბოლო წლებში განხორციელებულმა ცვლილებებმა<sup>911</sup> ცხადყო, რომ გერმანული კანონმდებლობა ერთგული რჩება სამოსამართლო კონტროლის ინსტიტუტისადმი და უარს ამბობს მის გაუქმებაზე; მხოლოდ ქმნის საკანონმდებლო ბაზას ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების დონისძიებებზე სამოსამართლო კონტროლის გაძლიერების მიზნით.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის შედეგად ვერ გამოიკვეთა ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების დონისძიებათა ჩატარებაზე სასამართლო კონტროლის ინსტიტუტზე უკეთესი, ეფექტიანი და რეალური ალტერნატივა.

### 6.2.3. ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ობიექტი

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ ბრძანება შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ განსაზღვრული პირების წინააღმდეგ.<sup>912</sup>

სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-3 აბზაციის მიხედვით, ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ ბრძანება შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ ბრალდებულის ან იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც, ბრალდებულისთვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე შეტყობინებებს იღებს ან გადასცემს, ანდა თუკი ბრალდებული ამ პირთა სატელეფონო ხაზს იყენებს. აღნიშნული კი დგინდება ფაქტობრივი გარემოებებით. პირთა წრის შეზღუდვა, რომელსაც სსსკ აღენს, მიზნად ისახავს საქმესთან კავშირში არმყოფ მესამე პირთა ტელეკომუნიკაციის დაცვას ძირითად უფლებებში

<sup>908</sup> იქვე.

<sup>909</sup> იქვე.

<sup>910</sup> იქვე.

<sup>911</sup> იბ.: 2008 წლის ცვლილება <http://www.buzer.de/gesetz/5815/al10704-0.htm>;

2017 წლის ცვლილება.

[https://www.bgbli.de/xaverbgbli/start.xav#\\_bgbli\\_%2F%2F\\*%5B%40attr\\_id%3D%27bgbli117s3202.pdf%27%5D\\_1533540915395](https://www.bgbli.de/xaverbgbli/start.xav#_bgbli_%2F%2F*%5B%40attr_id%3D%27bgbli117s3202.pdf%27%5D_1533540915395), უკანასკნელად გადამოწმებულია 11.08.2018.

<sup>912</sup> იბ. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 16.

ჩარევისას თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით.<sup>913</sup> ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ობიექტთა წრის განსაზღვრა აუცილებელია და აღნიშნული კანონმდებელმაც გაითვალისწინა.<sup>914</sup> პრინციპად განისაზღვრა ის ფაქტორი, რომ ბრალდებული უშუალოდ ან შუალობითად უნდა იღებბდეს მონაწილეობას კომუნიკაციაში; დაუშვებელია მესამე პირთა უფლებებში ჩარევა.<sup>915</sup>

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ღონისძიების ობიექტად (ადრესატად), პირველ რიგში, კანონმდებელი გულისხმობს ბრალდებულს ან ეჭვმიტანილს, რომლის წინააღმდეგაც უკვე მიმდინარეობს გამოძიება ანდა რომლის წინააღმდეგაც მიმართული იქნება საგამოძიებო ღონისძიება სსსკ-ის 100a პარაგრაფით გათვალისწინებული წესით.<sup>916</sup> ამასთან, ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით, შესაძლოა, ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ ბრძანება მიმართული იყოს მსჯავრდებულის წინააღმდეგაც.<sup>917</sup> დაპატიმრებული ბრალდებულის სატელეფონო ხაზის მიყურადება მაშინ არის დასაშვები, თუკი მიიჩნევა, რომ ინფორმაციის გადაცემის შუამავალი პირი ამ სატელეფონო ხაზს გამოიყენებს.<sup>918</sup>

### 6.2.3.1. არაეჭვმიტანილი პირი

სსსკ-ის 100a პარაგრაფის მესამე აბზაცი, როგორც უკვე აღინიშნა, ბრალდებულის გარდა, უშვებს სხვა, არაეჭვმიტანილ პირთა ტელეკომუნიკაციის ფარულ მიყურადებასაც.<sup>919</sup> ამასთან, აღსანიშნავია, რომ ტენდენციურად იმატებს ამ უკანასკნელ პირთა ფარული სატელეფონო მიყურადება, მაშინ, როცა თავად ბრალდებულის მიყურადების რაოდენობრივი მაჩვენებელი იკლებს.<sup>920</sup> აღნიშნული, გარკვეულწილად, განპირობებულია მობილური ტელეფონის მომხმარებელთა სწრაფი ზრდით, ასევე მისი ხშირი გაცვლის ფაქტებით;<sup>921</sup> საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის აქტიური გამოყენებით.

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომაც დაუშვა, რომ ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების საფუძველზე შესაძლოა მოხდეს დანაშაულში არაეჭვმიტანილ პირთა უფლებებში ჩარევა.<sup>922</sup>

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ ბრძანების ადრესატი, უპირველეს ყოვლისა, არის ე.წ. ინფორმაციის გადაცემის შუამავალი.<sup>923</sup> ეს არის პირი, რომელიც, ფაქტობრივ გარემოებებზე

<sup>913</sup> Ob. Neuhaus, (2002), გვ. 409.

<sup>914</sup> იქვე.

<sup>915</sup> იქვე.

<sup>916</sup> Ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 17

<sup>917</sup> იქვე.

<sup>918</sup> Ob.: BGH NJW 94, 2904, 2907; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 17.

<sup>919</sup> Ob. Weißer, GA 2006, 148.

<sup>920</sup> Ob. Backes/Gusy, StV 2003, 251.

<sup>921</sup> იქვე.

<sup>922</sup> Ob. BVerfGE 30, 1, 22 = NJW 71, 275, 280; ასევე, საინტერესოა BGH 29, 23, 25; Gusy, ZRP 2003, 278.

<sup>923</sup> Ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 19.

დაყრდნობით, ბრალდებულისთვის განკუთვნილ ან მისგან უშუალოდ ან ირიბად მოდინარე შეტყობინებებს იღებს ან გადასცემს.<sup>924</sup> ის, რომ აღნიშნული პირები შეიძლება კეთილსინდისიერები იყვნენ, არ გამორიცხავს მათ მიმართ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ ბრძანების გაცემის შესაძლებლობას.<sup>925</sup> არ არის საჭირო, რომ ინფორმაციის გადაცემის შუამავალმა პირმა იცოდეს შეტყობინების სახე თუ შინაარსი, ანდა მისი დანაშაულთან შემხებლობა.<sup>926</sup> კანონის ტექსტის ფორმულირება – მიიღოს შეტყობინება, მოიცავს ისეთი დანაშაულის მსხვერპლის სატელეფონო ხაზის მიყურადების შესაძლებლობასაც, როგორიცაა, მაგ., გამოძალვა.<sup>927</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-3 აბზაცი უშვებს, ასევე, იმ პირთა ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესაძლებლობას, რომელთა სატელეფონო ხაზსაც ან საინფორმაციო-ტექნოლოგიურ სისტემას ბრალდებული იყენებს, იმის მიუხედავად, იციან თუ არა მათ ამის შესახებ.<sup>928</sup> ესენი არიან, მაგ., მეზობელი, მეგობარი, ნაცნობი.<sup>929</sup> ადსანიშნავია, რომ აღნიშნულ პირთა ფარული მიყურადების დროს შესაძლოა, რომ მათ რიცხვში აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც სსსკ-ის 52-ე პარაგრაფის საფუძველზე სარგებლობენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით, თუმცა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მაინც დაადასტურა ამ პირთა ფარული მიყურადების კონსტიტუციურობა.<sup>930</sup> ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება უნდა განხორციელდეს იმ პირობით, თუკი არსებობს წარმატებული შედეგის დასაბუთებული შანსი.<sup>931</sup>

ასევე, დასაშვებია ინტერნეტკაფეების, ეწ. WLAN Hotspots და სატელეფონო ჯიხურების სატელეკომუნიკაციო კონტროლი.<sup>932</sup>

### 6.2.3.2. ფარული სატელეფონო მიყურადების ადრესატის უფლებები

სისხლის სამართლის პროცესში არსებული ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია იმისთვის, რომ კომუნიკაციის განსაზღვრული სახეობა თავიდანვე დაცული იყოს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისგან და, შესაბამისად, გამოირიცხოს მოპოვებული ინფორმაციის სისხლის სამართლის პროცესში გამოყენება.<sup>933</sup> შედეგად, მაგ., ადვოკატს უფლება აქვს, უარი თქვას იმ ინფორმაციის შესახებ ჩვენების მიცემაზე, რომელიც მასსა და მის დაცვის ქვეშ მყოფ პირს შორის კომუნიკაციის შედეგად გახდა

<sup>924</sup> ob. BGH NJW 94, 2904, 2907; BVerfG NJW 07, 2752; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 19.

<sup>925</sup> ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 19; Rudolphi in: FS für Schaffstein, 442.

<sup>926</sup> ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 19.

<sup>927</sup> იქვე.

<sup>928</sup> იქვე.

<sup>929</sup> ob. Rudolphi in: FS für Schaffstein, 434; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 20.

<sup>930</sup> ob. BVerfGE 30, 1, 22; Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, § 36, Rn. 8.

<sup>931</sup> ob. BVerfGE 113, 348; Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, § 36, Rn. 8.

<sup>932</sup> ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 20; Knauth, NJW 1977, 1512.

<sup>933</sup> ob.: Zöller, StraFo 2008, 22; Zöller, ZStW 2012, 432.

ცნობილი (სსსკ-ის 53-ე პარაგრაფი I აბზაცი, I წინადაღება, მე-2 კუნქტი).<sup>934</sup>

სისხლის სამართლის პროცესში არსებული ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ რომის სამართლში, რომელიც ითვალისწინებდა მოსამართლისთვის მთელ რიგ მითითებებს, თუ რომელი მოწმე უნდა მიჩნეულიყო პროცესის „უვარგისად“ (non idonei) და მასზე ჩვენების მიცემის მიზნით ზეწოლა არ უნდა მოეხდინათ..<sup>935</sup>

საგამოძიებო ღონისძიების ისეთ კლასიკურ მაგალითს თუ მოვიყვანთ, როგორიცაა დაკითხვა, მისი განხორციელებისას კანონით განსაზღვრული პირთა წრე იყენებს მინიჭებულ უფლებას და არ აძლევს საგამოძიებო ორგანოს ჩვენებას. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა კანონით განსაზღვრული იმავე პირთა წრის შემთხვევაში, მათი სურვილის გარეშე, საგამოძიებო ორგანოებისთვის ცნობილი ხდება სატელეფონო კომუნიკაციის შინაარსი? ეს ხდება სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების დროს. კერძოდ, ადვოკატს აქვს უფლება, საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფი პირის წინააღმდეგ არ მისცეს ჩვენება, მაგრამ ადვოკატის ტელეფონის ფარული მიყურადების შემთხვევაში, გამოძიება მისგან მიიღებს ყველა ინფორმაციას.<sup>936</sup>

თავდაპირველად გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებას ფარული საგამოძიებო ღონისძიებების შემთხვევაში მხოლოდ კერძო შენობაში აკუსტიკური თვალთვალის წარმოების დროს განიხილავდა (სსსკ-ის 100c პარაგრაფის მე-6 აბზაცი).<sup>937</sup> მხოლოდ 2008 წელს განხორციელებული საქანონმდებლო ცვლილების შემდეგ დაემატა სსსკ-ს 160a პარაგრაფი და განისაზღვრა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირთა წრე, რომელისგან ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების დროს ინფორმაციის მიღება განსაკუთრებულ წინაპირობებს დაექვემდებარა.<sup>938</sup>

ასე რომ, სსსკ-ში განისაზღვრა პირთა წრე, რომელთა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება ძირითადად დაუშვებელია. სსსკ-ის 160a პარაგრაფი ე.წ. პროფესიული საიდუმლოების მცოდნე პირთა და მათ თანაშემწეოთა შემთხვევაში ადგენს პირადი საუბრიდან ინფორმაციის მოპოვების აკრძალვის დიფერენცირებულ წესს აღნიშნულ პარაგრაფში არსებული წინაპირობებისა და შეზღუდვების (სსსკ-ის 160a IV პარაგრაფი) გათვალისწინებით.<sup>939</sup> ამ ე.წ. პროფესიულ საიდუმლოების მცოდნე პირთა ჩამონათვალს ადგენს სსსკ-ის 53-ე, 53a პარაგრაფები და მათ შორისაა, მაგ.. ნოტარიუსი, ექიმი, მედდა, აფთიაქარი, პარლამენტის წევრი. აღსანიშნავია, რომ ამ წესის თანაზომიერება კრიტიკის საგანი გახდა.<sup>940</sup>

რა სპეციფიკა ახლავს პროფესიული საიდუმლოების მცოდნე პირთა მიმართ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების

<sup>934</sup> ob.: Zöller, StraFo 2008, 22; Weißer, GA 2006, 163.

<sup>935</sup> ob.: Gärditz/Stuckenberg, Zu Funktion und Ratio der Zeugnisverweigerungsrechte in Wolter/Schenke, 2002, 100.

<sup>936</sup> ob.: Zöller, ZStW 2012, 432.

<sup>937</sup> ob.: Zöller, StraFo 2008, 22.

<sup>938</sup> ob.: BT-Drucks 16/5846, 2; Zöller, StraFo 2008, 22; Zöller, ZStW 2012, 432.

<sup>939</sup> ob.: Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §100a, Rn. 21a.

<sup>940</sup> ob.: Roxin/Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, § 36, Rn. 8; Kretschmer, HRRS 2010, 551ff.

განხორციელებას? ამ დონისძიების ჩატარებისას სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო დამატებით მიზანმიმართულად ერევა ბრალდებულის ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობაში, მაგ., მის ექიმსა თუ აღვოკატან. <sup>941</sup> ამასთან, რამდენადაც სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადება გრძელდება დღეების, კვირებისა და თვეების განმავლობაშიც, საგამოძიებო ორგანოები უსმენენ პროფესიული საიდუმლოების მცოდნე პირების და საქმესთან კავშირში არმყოფი მათი სხვა კლიენტების საუბარს, რითაც იჭრებიან უკეთ სრულიად უცხო პირთა ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის სფეროში. <sup>942</sup> აღნიშნული კი, თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების დროს მნიშვნელოვანწილად ზარალდება პროფესიული საიდუმლოების მცოდნე პირთა თავისუფალი პროფესიული საქმიანობის ძირითადი უფლება; შესაბამისად, ზიანდება, ასევე, სახელმწიფო და საკონსტიტუციო სამართლებრივად აღიარებული ძირითადი სოციალური ღირებულებები. <sup>943</sup> პროფესიული საიდუმლოების მცოდნე პირთა უფლებების დაცვის საფუძველს ქმნის ის გარემოება, რომ საზოგადოებას განსაკუთრებული ინტერესი აქვს, გამართულად ფუნქციონირებდეს ისეთი მნიშვნელოვანი სისტემები, როგორებიცაა მაგალითად, ჯანდაცვა და მართლმსაჯულება; აღნიშნული კი მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუკი პაციენტს/კლიენტს აქვს ნდობა თავისი ექიმის/აღვოკატის მიმართ. <sup>944</sup> რაც მთვარია, მათ იმედი აქვთ, რომ მაგ., ექიმი თუ აღვოკატი არ იქნებიან სამართლებრივად იძულებული, მათვის განდობილი საიდუმლოება გასცენ. <sup>945</sup>

ადსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც მოქალაქება და პროფესიული საიდუმლოების მცოდნე პირთა შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა, ასევე, პირადი საიდუმლო, სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაცულია, ის არის, რომ პროფესიული საიდუმლოების მცოდნე აღნიშნული პირები ახორციელებენ ე.წ. „საჯარო საქმიანობას”, იქნება ეს ჯანდაცვის სფერო, მართლმსაჯულება თუ საპარლამენტო საქმიანობა. <sup>946</sup> სწორედ ამ ფუნქციათა შეუფერხებელი და სათანადო განხორციელების უზრუნველსაყოფად <sup>947</sup> აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა მათ და დაზარალებულ მოქალაქეს (ფარული საგამოძიებო დონისძიების აღრესატს) შორის. <sup>948</sup>

ამიტომაცაა, რომ თანაზომიერების პრინციპის ხელმძღვანელობით არის შესაძლებელი, პროფესიული საიდუმლოების მცოდნე პირთა მიმართ სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების შემთხვევაში განისაზღვროს უფრო მკაცრი წინაპირობები, ვიდრე სსსკ-ის მე-100ა პარაგრაფში არის ზოგადად დადგენილი. <sup>949</sup>

<sup>941</sup> ob.: *Rudolphi* in: FS für Schaffstein, 443.

<sup>942</sup> იქვე.

<sup>943</sup> იქვე.

<sup>944</sup> იქვე.

<sup>945</sup> იქვე.

<sup>946</sup> ob.: *Rudolphi* in: FS für Schaffstein, 443-444; Wolter, Die berücksichtigung von Zeugnisverweigerungsrechten in Wolter/Schenke, 2002, 35.

<sup>947</sup> ob.: Weißer, GA 2006, 163; BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 265.

<sup>948</sup> ob.: *Rudolphi* in: FS für Schaffstein, 444.

<sup>949</sup> იქვე.

სსსკ-ის 160a პარაგრაფის მიხედვით, 53-ე პარაგრაფის I აბზაცის 1-ლი, მე-2, მე-4 პუნქტებით და 53a პარაგრაფით განსაზღვრულ პირთა წრე სარგებლობს ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შემთხვევაში აბსოლუტური დაცვის უფლებით<sup>950</sup>; ასეთ პირთა წრეს მიეცუთვნებიან, მაგ., სასულიერო პირი<sup>951</sup>, ადვოკატი, ფედერალური მიწის პარლამენტარი, ბუნდესთაგისა და ბუნდესრათის დეპუტატი, ასევე, ევროპარლამენტის წევრები გერმანიის ფედერალური რესპუბლიკიდან.<sup>952</sup> სსსკ-ის 160a I აბზაცის მე-2 და მე-3 წინადადების თანახმად, დაუშვებელია ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ მონაცემთა გამოყენება; ამასთან, თუკი მონაცემები არსებობს ჩანაწერის სახით, მაშინ ისინი ექვემდებარება განადგურებას.<sup>953</sup>

ნოტარიუსი, საგადასახადო კონსულტანტი, ექიმი, აფთიაქარი, მედდა და სსსკ-ის 53-ე პარაგრაფის I აბზაცის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სხვა პირები, ასევე მე-3a, მე-3b და მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირები, პრესის თანამშრომლები სსსკ-ის 160a პარაგრაფის II აბზაცის თანახმად, სარგებლობენ თანახომიერების პრინციპით დადგენილი, ფარული საგამოძიებო ღონისძიებების გამოყენებისგან დაცვის შეფარდებითი უფლებით (relatives Schutzrecht).<sup>954</sup> ცოლერი აღნიშნულს ე.წ. „მეორე კლასის დაცვას“ უწოდებს.<sup>955</sup>

საინტერესოა რამდენიმე მნიშვნელოვანი სუბიექტის მოკლე მიმოხილვა, რომლებიც სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების განხორციელებისგან დაცვის უფლებით სარგებლობენ.

### 6.2.3.2.1. ადვოკატი, როგორც სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტი

რაც შეეხება აბსოლუტური დაცვის უფლებით მოსარგებლე პირს – ადვოკატს, სსსკ-ის 148-ე პარაგრაფის მიხედვით, დაუშვებელია ბრალდებულსა და ადვოკატს შორის არსებული კომუნიკაციის ფარული მიყურადება.<sup>956</sup> აღნიშნული მოთხოვნა, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს იქიდან, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადვოკატისთვის მინიჭებული მნიშვნელოვანი საპროცესო სამართლებრივი უფლებამოსილებებისა და დაკისრებული ფუნქციების შეუფერხებელი

<sup>950</sup> ob. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 263.

<sup>951</sup> აღსანიშნავია, რომ სასულიერო პირთან კომუნიკაციის საიდუმლოებისთვის კანონით აბსოლუტური დაცვის უფლების მინიჭება განპირობებულია, ასევე, განსაკუთრებული კულტურული ტრადიციით. ob.: BT-Drucks. 14/7679, S.9 zu §100h Abs.2 S.1; Wolter, Die berücksichtigung von Zeugnisverweigerungsrechten in Wolter/Schenke, 2002, 36.

<sup>952</sup> ob.: Kühne, Strafprozessrecht, 2010, § 30, Rn. 525; Weißer, GA 2006, 163; Wolter, Die berücksichtigung von Zeugnisverweigerungsrechten in Wolter/Schenke, 2002, 35.

<sup>953</sup> ob. Kühne, Strafprozessrecht, 2010, § 30, Rn. 525.

<sup>954</sup> ob.: Kühne, Strafprozessrecht, 2010, § 30, Rn. 525; Wolter, Die berücksichtigung von Zeugnisverweigerungsrechten in Wolter/Schenke, 2002, 36; BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 263.

<sup>955</sup> ob. Zöller, ZStW 2012, 433. ასეთ დიფერენციალისთვან დაკავშირებით აღსანიშნავა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გამამართლებელი პოზიცია და გამამართლებელი საფუძვლები, ob.: BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 264; Gercke, StV 2012, 268.

<sup>956</sup> ob.: Roxin/Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, § 36, Rn. 8; Weißer, GA 2006, 163.

განხორციელება.<sup>957</sup> უმნიშვნელოვანესია, როცა სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულსა და ადვოკატს შორის არსებობს ისეთი ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა, როცა ბრალდებული დარწმუნებულია, რომ ყველაფერი, რასაც ის ადვოკატს გაანდობს, მისი ნების გარეშე არ გახდება სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისთვის ცნობილი.<sup>958</sup> სწორედ ამ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის დაცვა უნდა უზრუნველყოს სამართლებრივმა სისტემამ და არ დაუშვას სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების მხრიდან მასში კანონსაწინააღმდეგო ჩარევა.<sup>959</sup>

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ადვოკატის სატელეფონო ხაზი ძირითადად არ უნდა ისმინებოდეს;<sup>960</sup> მაშინაც კი, როცა ამ ადვოკატის წინააღმდეგ არსებობს ქვემით მიცემის პროცესს, ხოლო მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი კი ეჭვმიტანილია სსს-ის 100a პარაგრაფით განსაზღვრულ დანაშაულის ჩადენაში<sup>961</sup>. თუმცა, როდესაც ადვოკატი ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით თავად არის მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულის ამსრულებლობაში ან თანამონაწილეობაში ეჭვმიტანილი და აღნიშნული დანაშაული შედის სსს-ის 100a პარაგრაფით განსაზღვრულ დანაშაულთა ამომწურავ ჩამონათვალში, მაშინ დასაშვებია მისი სატელეფონო ხაზის ფარული მიყურადება.<sup>962</sup> ამასთან, ადსანიშნავია, რომ საგამოძიებო ორგანოს მიერ ჩაწერილი საუბარი, რომელსაც კავშირი არ აქვს სსს-ის 100a პარაგრაფით ამომწურავად განსაზღვრულ დანაშაულთან, ექვემდებარება მტკიცებულებათა გამორიცხვის წესს.<sup>963</sup>

თუკი სატელეფონო სუბრის ფარული მიყურადების დროს აღმოჩნდება, რომ საუბრის ერთ-ერთი მონაწილე ადვოკატია, მიმდინარე ფარული საგამოძიებო ლონისძიება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.<sup>964</sup> იმ შემთხვევაში, თუკი სატელეფონო საუბრის მიმდინარე მოსმენისა და ჩაწერის შეწყვეტა ტექნიკურად შეუძლებელია, მაშინ მიღებული მასალის გამოყენება უნდა გამოირიცხოს სისხლის სამართლის პროცესში.<sup>965</sup> ასევე, მტკიცებულებათა გამორიცხვის წესს ექვემდებარება ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შედეგად მიღებული ინფორმაცია, რომელიც მიეკუთვნება პირადი ცხოვრების ძირითად სფეროს.<sup>966</sup> აღნიშნული ინფორმაცია სავალდებულო წესით უნდა წაიშალოს და მოხდეს სათანადო დოკუმენტირება.<sup>967</sup>

<sup>957</sup> ob.: *Rudolphi* in: FS für Schaffstein, 440; *Weißer*, GA 2006, 163.

<sup>958</sup> ob.: *Rudolphi* in: FS für Schaffstein, 440.

<sup>959</sup> იქვე.

<sup>960</sup> ob.: BVerfG NJW 07, 2749; ასევე, ob.: BGH 33, 347 = JR 87, 75; *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 21.

<sup>961</sup> ob.: *Roxin/Schünemann*, Strafverfahrensrecht, 2009, § 36, Rn. 8.

<sup>962</sup> ob.: *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 21.

<sup>963</sup> ob.: *Rieß*, JR 1987, 77; *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 21.

<sup>964</sup> ob.: *Welp*, JZ 1972, 428; *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 21.

<sup>965</sup> ob.: BGH StraFO 05, 296; *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 21.

<sup>966</sup> შეად. BVerfGE 109, 279 = NJW 04, 999, 1004; *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 21.

<sup>967</sup> ob.: *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100a, Rn. 21.

## 6.2.3.2.2. საჯარო მოხელე, როგორც სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტი

არსებობს მოსაზრება, რომ საჯარო მოხელის სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება იმ შემთხვევაში, როცა მოხელე არის ე.წ. „მესამე პირი” (ანუ მის სატელეფონო ხაზს იყენებს ბრალდებული), არ დაიშვება, თუკი თავად მოხელე არაა თანახმა.<sup>968</sup> რუდოლფი თვლის, რომ არ უნდა არსებობდეს სისხლის სამართლის პროცესში შესაძლებლობა, რომ სისხლის სამართლის დევნის ორგანომ განახორციელოს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება საჯარო მოხელის მიმართ, იქნება ეს ის შემთხვევა, როცა საჯარო მოხელე იღებს ბრალდებულისგან შეტყობინებებს, ანდა როცა ბრალდებული მოხელის სატელეფონო ხაზს იყენებს.<sup>969</sup> ავტორის აზრით, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება მხოლოდ იმ პირთა წინააღმდეგ შეიძლება განხორციელდეს, რომლებიც სასამართლო ხელისუფლების იძულებით ძალას ექვემდებარებიან; აღნიშნული ურთიერთქმედება კი, რუდოლფის მიხედვით, არ არსებობს, როცა მოსამართლე იღებს ბრძანებას საჯარო მოხელის მიმართ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ.<sup>970</sup> მართალია, აღმინისტრაციული ორგანო ექვემდებარება სასამართლოს მხრიდან მისი საქმიანობის კანონიერების კონტროლს, მაგრამ კონტროლის ეს სახე არ მოიცავს არც მითითების, დირექტივების უფლებამოსილებას და არც იძულებას.<sup>971</sup> რუდოლფი მოხელის მიმართ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების დაუშვებლობის განმარტებისთვის მოიშველიებს იმ აღუმენტს, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის თანახმად, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება დამოუკიდებლად დგანან ერთმანეთის გვერდით და არა ერთმანეთის დაქვემდებარებაში.<sup>972</sup>

რუდოლფი ხაზს უსვამს კიდევ ერთ გარემოებას, რომ თუკი სასამართლო ხელისუფლებას მიენიჭება შესაძლებლობა, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება, აღნიშნული შეეწინააღმდეგება კანონით დაცული სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვის ინტერესს.<sup>973</sup> მით უფრო, რომ მოხელეს აქვს სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვის არა მარტო უფლებამოსილება, არამედ მას ამის ვალდებულება აკისრია.<sup>974</sup>

ამასთან ადსანიშნავია, რომ სსსკ-ის 100a პარაგრაფის მიღებამდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული მტკიცებულებათა მოპოვების ყველა სხვა საშუალების ზღვარი გადიოდა აღმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვის ინტერესთან; მაგ., როგორც საჯარო მოხელის დაკითხვა, ასევე მისგან სამსახურებრივი დოკუმენტაციის გადაცემის მოთხოვნა იყო და

<sup>968</sup> იქვე, Rn. 20.

<sup>969</sup> ob. Rudolphi in: FS für Schaffstein, 438.

<sup>970</sup> იქვე.

<sup>971</sup> იქვე.

<sup>972</sup> იქვე.

<sup>973</sup> იქვე.

<sup>974</sup> იქვე, 439.

არის შესაბამისი პასუხისმგებელი პირის თანხმობასთან დაკავშირებული; ანუ, აღნიშნული ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 54-ე და 96-ე პარაგრაფებში, ექვემდებარება წარმოების განსაკუთრებულ წესს.<sup>975</sup>

აქედან გამომდინარე, თუკი სსსკ-ის 100a პარაგრაფის ნორმა ფართოდ განიმარტება და სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების აღრესატოა წრეში მოხვდება საჯარო მოხელე, მაშინ დაირდვევა კანონმდებლობით დაცული ბალანსი სისხლისსამართლებრივი დევნისა და საჯარო საიდუმლოების დაცვის ინტერესს შორის; აღნიშნული კი, ავტორთა ნაწილის მიხედვით, ეწინააღმდეგება არა მარტო სსსკ-ის 54-ე და 96-ე პარაგრაფებში კანონმდებლის უკვე გამოხატულ პოზიციას, არამედ კანონმდებლის მიერ სსსკ-ის 100a პარაგრაფის მიღებისას გამოხატულ ისტორიულ ნებას.<sup>976</sup> რამდენადაც, რუდოლფის თანახმად, ამ ნორმის მიღებით კანონმდებლებმა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს მისცა მტკიცებულებათა მოპოვების ახალი საშუალება, მაგრამ არ მიუცია საჯარო მოხელეთა სამსახურებრივი საიდუმლოების სფეროში ჩარევის უფლებამოსილება.<sup>977</sup>

რუდოლფს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 54-ე და 96-ე პარაგრაფებში არსებული წესის ანალოგიურად, შესაძლებელია საჯარო მოხელის მიმართ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების დაშვება მხოლოდ მაშინ, თუკი შესაბამისი კომპეტენციის ქვენე ადმინისტრაციული ორგანო აღნიშნულის ჩატარებას დაეთანხმება და ამით გამოხატავს პოზიციას, რომ მოცემულ შემთხვევაში სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვის საჯარო ინტერესი უფრო ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესი.<sup>978</sup>

### 6.2.3.2.3. ოჯახის წევრი, როგორც სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტი

საინტერესოა, იცავს თუ არა კანონი სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისგან ოჯახის წევრს? ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ თუკი დაკითხვისას ოჯახის წევრებისთვის, როგორებიც არიან მეუღლე, დანიშნული პირი თუ პირები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და საერთო მეურნეობას აწარმოებენ, ჩეგნების მიცემაზე უარის თქმის უფლება პირდაპირ არის განსაზღვრული,<sup>979</sup> ფარული საგამოძიებო ღონისძიებების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ კანონში არ არსებობს რაიმე ჩანაწერი.<sup>980</sup> ამ მოცემულობას აკრიტიკებს ბეტინა ვაისერი, რომელიც თვლის, რომ ოჯახი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციისა და როლის მატარებელია, ვიდრე კანონით პირდაპირ დაცული პროფესიული საიდუმლოების მცოდნე პირთა წრფ.<sup>981</sup> ავტორი იშველიებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს

<sup>975</sup> იქვე.

<sup>976</sup> იქვე.

<sup>977</sup> იქვე.

<sup>978</sup> იქვე, 440.

<sup>979</sup> შეად. სსსკ-ის 52 პარაგრაფი.

<sup>980</sup> იხ. Zöller, ZStW 2012, 433.

<sup>981</sup> იხ. Weißer, GA 2006, 164.

გადაწყვეტილებას<sup>982</sup>, რომელშიც ეს უკანასკნელი ხაზს უსვამს ოჯახის წევრთა შორის კომუნიკაციის დაცვის აუცილებლობას (ძირითადი კანონის მე-6 მუხლზე მითითებით) და, ზოგადად, მნიშვნელოვნად მიიჩნევს ოჯახის დაცვას<sup>983</sup>. კაისერი თვლის, რომ ოჯახს ისეთი მნიშვნელოვანი როლი აკისრია საზოგადოების წინაშე, რომ მისი შეუფერხებელი ფუნქციონირება ისევე უნდა იყოს სახელმწიფო დაცული, როგორც ეს სასულიერო პირის, დეპუტატის, ადვოკატის საქმიანობის შემთხვევაშია.<sup>984</sup>

#### 6.2.3.2.4. შეჯამება

სსსკ-ში 2008 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად მიღებული 160a პარაგრაფი სამეცნიერო ლიტერატურაში კრიტიკის საგანი გახდა. კერძოდ, მნიშვნელოვანი პრეტენზიები გაჩნდა ამ პარაგრაფის მე-2 აბზაცის მიმართ. კუშკე და ზინგელშაინი მიიჩნევენ, რომ თანაზომიერების პრინციპი პრაქტიკაში ვერ გამოდგება ძირითად უფლებებში ჩარევის შეზღუდვის ეფექტიან საშუალებად.<sup>985</sup> რაც შეეხება სხვადასხვა პროფესიათა მიმართ დიფერენცირებულ მიღვომას, აღნიშნულიც, ავტორთა აზრით, ნაკლებად გასაგებადაა რეგულირებული და, აქედან გამომდინარე, შეიძლება, რომ პრაქტიკაში წარმოშვას მნიშვნელოვანი პრობლემები.<sup>986</sup>

თუკი წარმოვიდგენთ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ღონისძიების მასშტაბებსა და მისი ჩატარების ხანგრძლივობას, მაშინ ცხადი გახდება, რომ აღნიშნული ფარული საგამომიებო ღონისძიება მოიცავს ასეულობით, თუ არა ათასეულობით, არაეჭვმიტანილი პირის საუბრის მოსმენას. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ღონისძიების აღრესატთა კანონში ზედმიწევნით კონკრეტული განსაზღვრა.

#### 6.2.3.3. ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების გალდებულება

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების კრიმინალისტიკური პოტენციალი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების თვალსაზრისით იმაშია, რომ აღნიშნული ღონისძიება ტარდება ფარულად.

კომუნიკაციის მონაწილისთვის მისი სატელეფონო საუბრის მიყურადება შეუმჩნეველი რჩება და ამიტომ იგი შეუზღუდავად წარმართავს საუბარს პარტნიორთან და, შესაბამისად, გასცემს იმ ინფორმაციას, რომელსაც სხვა საგამომიებო ღონისძიების დროს, მაგ., დაკითხვისას, დიდი ალბათობით, არ გასცემდა. ამ ღონისძიების ეფექტიანობას მისი ფარული ხასიათი განაპირობებს<sup>987</sup> და სწორედ ეს ფარული ხასიათი ქმნის ამ ღონისძიების განსაკუთრებულ საპროცესო პრობლემატიკას.

<sup>982</sup> იხ.: BVerfG StV 2000, 233ff. (234); Weißer, GA 2006, 164.

<sup>983</sup> შეად. BVerfGE 109, 279ff. (326); Weißer, GA 2006, 164.

<sup>984</sup> იხ.: Weißer, GA 2006, 165.

<sup>985</sup> იხ.: Puschke/Singelstein, NJW 2008, 117.

<sup>986</sup> იქვე.

<sup>987</sup> შეად. Krüger, JR 1984, 490.

ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მეოთხე აბზაცი უზრუნველყოფს საჯარო ხელისუფლების მხრიდან ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევის შემთხვევაში ეფექტიანი სასამართლო დაცვის უფლებას.<sup>988</sup> თუმცა, ძირითადი უფლებების ეფექტიანი დაცვა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების განხორციელების შესახებ მიუურადების ადრესატისთვის ცნობილი გახდება.<sup>989</sup> რამდენადაც ამ ღონისძიების მიზანი ადრესატისთვის წინასწარ შეტყობინებას გამორიცხავს, მისი ჩატარების შესახებ ღონისძიების დასრულების შემდეგ უნდა შეატყობინონ.<sup>990</sup> სწორედ შეტყობინების საშუალებით ეძლევა პირს შესაძლებლობა, ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებებით, რაც გულისხმობს, მაგ., მოპოვებული ინფორმაციის წაშლასა თუ გამოსწორებას.<sup>991</sup> სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა თავად ეს პირი ინფორმირებული მის წინააღმდეგ ჩატარებული ფარული სატელეკომუნიკაციო მიუურადების შესახებ. შეტყობინების ვალდებულების ხარისხი პირდაპირპორციულია ფარული საგამოძიებო ღონისძიების შემთხვევაში შემდგომი სამართლებრივი დაცვის რეალიზებასთან.<sup>992</sup>

სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების შედეგად კომუნიკაციის მონაწილეთათვის ამ ღონისძიების ჩატარების შესახებ შეტყობინების ვალდებულებას ადგენს სსსკ-ის 101-ე პარაგრაფი.<sup>993</sup> კერძოდ კი, სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცის თანახმად, ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების განხორციელების შემთხვევაში ტელეკომუნიკაციის მონაწილეებს უნდა ეცნობოთ ამ ღონისძიების განხორციელების შესახებ. თუმცა, ადსანიშნავია, რომ სატელეფონო მიუურადებისას კანონის აღნიშნული მოთხოვნის შესრულება, შესაძლოა, მეტად პრობლემური იყოს, რადგან ეს ღონისძიება, როგორც წესი, ეხება პირთა ძალიან ფართო წრეს. ტელეკომუნიკაციის მონაწილეთა რიცხვს მიეკუთვნებიან: ბრალდებული, ინფორმაციის გადაცემის შუამავალი, ასევე, პირი, რომელთანაც საუბრობდა ბრალდებული სატელეფონო მიუურადების განხორციელების დროს.<sup>994</sup> აღნიშნული პირები მაშინაც ჩაითვლებიან მონაწილედ, თუკი ფარული სატელეფონო მიუურადება აღმოჩნდება უშედეგო.<sup>995</sup>

ადსანიშნავია, რომ პირისთვის ფარული მიუურადების შესახებ შეტყობინების ვალდებულება არ არის დამოკიდებული იმაზე, იქნება თუ არა ფარული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები პროცესში გამოყენებული.<sup>996</sup> პირი მაშინაც უნდა ჩაითვალოს ფარული სატელეფონო მიუურადების ობიექტად, თუკი

<sup>988</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 19.

<sup>989</sup> იქვე.

<sup>990</sup> იქვე.

<sup>991</sup> იქვე.

<sup>992</sup> ob. Zöller, ZStW 2012, 436.

<sup>993</sup> ob. Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 20.

<sup>994</sup> ob. Nack, in KK zur StPO, 4. Aufl., 1999, § 101, Rn. 3.

<sup>995</sup> ob.: Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, § 101, Rn. 6; Nack, in KK zur StPO, 4. Aufl., 1999, § 101, Rn. 3.

<sup>996</sup> ob.: BGH 36, 305, 312; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, § 101, Rn. 6; Nack, in KK zur StPO, 4. Aufl., 1999, § 101, Rn. 3.

მიყურადებული სატელეფონო საუბარი არ იყო გამოძიებისთვის რაიმე მნიშვნელობის მქონე და, შესაბამისად, მოპოვებული მასალა განადგურდება.<sup>997</sup>

ადსანიშნავია, რომ ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ობიექტად, მისი დაზარალებულად ცნობის თვალსაზრისით, არ ითვლება საფოსტო და სატელეკომუნიკაციო კომპანიები.<sup>998</sup>

არ არის საკმარისი, თუკი შეტყობინება განხორციელდება მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაციის ერთი მხარის, მაგ., ბრალდებულის მიმართ და არ ეცნობა ამ ღონისძიების ჩატარების შესახებ კომუნიკაციის მეორე მხარეს, მაგალითად, ბრალდებულთან საუბრის პარტნიორს.<sup>999</sup>

ყველა იმ პირის შეტყობინების შემთხვევაში, რომლებიც სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების დროს ამ კომუნიკაციაში მონაწილეობდნენ, შეიძლება ვერ განხორციელდეს სამართალწარმოების ეკონომიკურობის პრინციპის დაცვა.<sup>1000</sup> გავრცელებული პოზიციის მიხედვით, აღნიშნული გამოიწვევს საგამოძიებო ორგანოთა ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდას,<sup>1001</sup> ამიტომ კანონმდებელმა განსაზღვრა გარკვეული შეზღუდვები.<sup>1002</sup>

კანონში საგამონაკლისო გარემოებების დადგენით ვიწროვდება პირთა წრე, რომელთა შეტყობინება სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების დასრულების შემდეგ სავალდებულოა.

კანონით განსაზღვრული ასეთი შეზღუდვა ფორმულირებულია სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის მე-4 აბზაციის მე-3 წინადადებაში, რომლის თანახმადაც, ფარული საგამოძიებო მოქმედებების დროს შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუკი მას უპირისპირდება ბრალდებულის კანონით დაცული უპირატესი ინტერესები. ასე მაგალითად, ბრალდებულს შესაძლოა პქონდეს სამართლიანი ინტერესი იმისა, რომ დანაშაულთან შემხებლობაში არყოფნა ბრალდებულის საქმიანმა პარტნიორმა, რომელთან სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება განხორციელდა საგამოძიებო ორგანოების მიერ, არ შეიტყოს მის მიმართ ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შესახებ;<sup>1003</sup> განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ამ ფარული საგამოძიებო ღონისძიების საფუძველზე გამოძიებისთვის ფასეული შედეგი ვერ იქნა მიღებული.<sup>1004</sup> ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში საკითხი უნდა გადაწყდეს კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური შეფასებით.<sup>1005</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით ცოლერი აღნიშნავს, რომ შეტყობინების ვალდებულების ხარისხს განაპირობებს ორი ძირითადი კრიტერიუმი: პირველი, ბრალდებულის კანონით დაცული უპირატესი ინტერესების მოცულობა, როცა ამ ინტერესთა სასარგებლოდ პირს არ ატყობინებენ ფარული საგამოძიებო ღონისძიების შესახებ და მეორე,

<sup>997</sup> ob. *Nack*, in KK zur StPO, 4. Aufl., 1999, § 101, Rn. 3.

<sup>998</sup> ob.: BGH 36, 305, 312; *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §101, Rn. 6.

<sup>999</sup> ob. *Nack*, in KK zur StPO, 4. Aufl., 1999, § 101, Rn. 3.

<sup>1000</sup> ob. *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §101, Rn. 16.

<sup>1001</sup> ob. *Henrichs* in: Kriminalistik 2007, 464.

<sup>1002</sup> ob. *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §101, Rn. 16.

<sup>1003</sup> ob. *Zöller*, StraFo 2008, 24.

<sup>1004</sup> ob. *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §101, Rn. 16.

<sup>1005</sup> იქვე-

გადაწყვეტილება შეტყობინებაზე უარის თქმის შესახებ, მინიმუმ, უნდა იქოს სასამართლოს მიერ დამტკიცებული.

სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის მე-4 აბზაციის მე-4 წინადაღების თანახმად, არ არის სავალდებულო ტელეკომუნიკაციის ფარული მიუკრადების მონაწილეს შეატყობინონ ამ ღონისძიების ჩატარების შესახებ, თუკი იგი მხოლოდ უმნიშვნელოდ დაზარალდებააღნიშნული ღონისძიების შედეგად და მიიჩნევა, რომ ტელეკომუნიკაციის მონაწილეს არ ექნება ინტერესი, რომ სახელმწიფომ შეატყობინოს მის წინააღმდეგ ჩატარებული ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონმდებელს მხედველობაში აქვს ის გარემოება, როდესაც ისმინება ნაკლებად მნიშვნელოვანი ე.წ. ყოველდღიური სატელეფონო საუბრები,<sup>1007</sup> მაგ., პიცის ადგილზე მიტანის სერვისის ან საყოფაცხოვრებო სახელოსნოების სატელეფონო ხაზის მიუკრადება.<sup>1008</sup> კომუნიკაციის ისეთ მონაწილედ, რომელიც უმნიშვნელოდ დაზარალდა თავის ძირითად უფლებებში, არ შეიძლება ჩაითვალოს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ე.წ. სამიზნე პირი (მაგ., ბრალდებული, სატელეფონო ხაზის მფლობელი).<sup>1009</sup>

აღნიშნული ნორმის ფორმულირება კრიტიკას იწვევს, რამდენადაც  
ძნელად წარმოსადგენია, რომ სსსკ-ის 100a პარაგრაფით  
გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო დონისძიების შემთხვევაში,  
პირი ამ დონისძიების შედეგად თავის ძირითად უფლებებში  
უმნიშვნელოდ დაზარალდეს.<sup>1010</sup> ასევე, გაურკვეველია, როგორ უნდა  
დაადგინოს გამოძიების ორგანომ, ექნება თუ არა კონკრეტულ ადრესატს  
მის წინააღმდეგ ჩატარებული ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების  
დონისძიების შესახებ შეგრობინების ინტერესი.<sup>1011</sup>

რა ხდება მაშინ, როდესაც არ არის იდენტიფიცირებული სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ღონისძიების ყველა მონაწილე? სამეცნიერო ლიტერატურაში ითვლება, რომ არ არის სავალდებულო სატელეფონო კომუნიკაციის უცნობი მონაწილის იდენტიფიცირება და გამოკვლევა.<sup>1012</sup> სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცის მე-5 წინადაღების თანახმად, ტელეკომუნიკაციის მონაწილის დადგენის მიზნით ძიება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელია საგამოძიებო ღონისძიების უფლებებში ჩარევის ინტენსიურობისა და კომუნიკაციის მონაწილეთა დადგენისთვის საჭირო ძალისხმევის გათვალისწინების საფუძველზე.<sup>1013</sup> როგორც კანონის მოთხოვნიდან ჩანს, ტელეკომუნიკაციის უცნობი მონაწილის დადგენა შესაძლოა ჩატარდეს მხოლოდ კონკრეტული შემთხვევის შეფასების, აწონ-დაწონის შედეგად.<sup>1014</sup>

სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცის პირველი წინადადების თანახმად, შეტყობინება უნდა განხორციელდეს, როგორც კი ეს

<sup>1006</sup> Ob. Zöller, ZStW 2012, 436.

<sup>1007</sup> Ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl. 2016, §101, Rn. 17.

<sup>1008</sup> ob.: BT-Drucks 16/5846, 59f.; Zöller, StraFo 2008, 24.

<sup>1009</sup> Ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl. 2016, §101, Rn. 17.

<sup>1010</sup> ob Puschke/Singelstein NJW 2008, 116.

06. I

<sup>1012</sup> v. o. J. 30. 12. 1900, Nachr. in KK zur StPO, 4. Aufl., 1900 § 101, Bsp. 3.

<sup>1013</sup> vgl. § 101 Abs. 1 Satz 1 BGB; vgl. z.B. BGH, Urteil vom 1. Februar 1990, IV ZR 100/89, BVerfGE 100, 207; NJW 2004, 900, 1016.

<sup>1014</sup> 1. Schmitz im Mayer-Gäbler, SPO, 50. Aufl. 2016, §101, Rn. 18.

შესაძლებელი გახდება, ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას გამოძიების ინტერესს, ადამიანის სიცოცხლეს, ფიზიკურ ხელშეუხებლობას, პირად თავისუფლებასა და მნიშვნელოვან ქონებრივ აქტივებს. რაც შეეხება ამ უკანასკნელ ცნებას – მნიშვნელოვან ქონებრივ აქტივებს, მისი შინაარსი უნდა განსაზღვროს სასამართლომ, რომელსაც შეუძლია, რომ იხელმძღვანელოს სამართლის სხვა დარგის მსგავსი ნორმების პრაქტიკაში არსებული განმარტებებით.<sup>1015</sup>

რაც შეეხება გამოძიების ინტერესს, მას მანამდე შეიძლება დაემუქროს საფრთხე, ვიდრე იარსებებს იმის შანსი, რომ შესაძლებელია მტკიცებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვება.<sup>1016</sup>

### 6.2.3.3.1. ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების გადავადება

სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცის მე-2 წინადადების თანახმად, ამავე აბზაცის პირველ წინადადებაში განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით შეიძლება, რომ ტელეკომუნიკაციის მონაწილისთვის შეტყობინება გადაიდოს; ხოლო თუკი გადავადებული შეტყობინება არ განხორციელდება სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების დასრულებიდან თორმეტი თვის განმავლობაში, სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის მე-6 აბზაცის პირველი წინადადების თანახმად, შეტყობინების შემდგომი გადავადებისთვის აუცილებელია სასამართლოს თანხმობა. შეტყობინების გადავადების შესახებ კანონით დადგენილი სასამართლო კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილია სასამართლო, რომელმაც ბრძანება გასცა ამ საგამოძიებო ღონისძიების ჩატარებაზე ანდა შეტყობინების გადავადებაზე.<sup>1017</sup> როგორც წესი, აქ იგულისხმება საგამოძიებო მოსამართლე.<sup>1018</sup>

სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის მე-6 აბზაცის მე-2 წინადადების თანახმად, სასამართლო განსაზღვრავს შეტყობინების შემდგომი გადავადების ხანგრძლივობას. მოსამართლე ამოწმებს პროკურატურის მიერ წარმოდგენილი შეტყობინების გადავადების საფუძველს და ან ეთანხმება პროკურატურის შუამდგომლობას, ან არ ეთანხმება მას.<sup>1019</sup> მოსამართლის მიერ შუამდგომლობის უარყოფის შემთხვევაში ადრესატს უნდა შეატყობინონ ჩატარებული ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ. თუკი მოსამართლე დათანხმდება შეტყობინების გადავადებას, მაშინ საკუთარი შეხედულებით თავად განსაზღვრავს შემდგომი გადავადების ხანგრძლივობას.<sup>1020</sup> მოსამართლის მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის შედეგ, თუ კიდევ იარსებებს გადავადების შემდგომი წინაპირობები, აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იმავე წესით პვლავ დასჭირდება მოსამართლის თანხმობა.<sup>1021</sup>

<sup>1015</sup> ი. მ. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §101, Rn. 19; BVerfGE 129, 208= NJW 12, 833, 839f.

<sup>1016</sup> ი. მ. Nack, in KK zur StPO, 4. Aufl., 1999, § 101, Rn. 5; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §101, Rn. 19.

<sup>1017</sup> ი. მ. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl., 2016, §101, Rn. 21.

<sup>1018</sup> იქვე.

<sup>1019</sup> იქვე, Rn. 23.

<sup>1020</sup> იქვე.

<sup>1021</sup> იქვე.

სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის მე-6 აბზაცის მე-3 წინადაღების თანახმად, შესაძლოა, რომ სასამართლომ მხარი დაუჭიროს შეტყობინებაზე საბოლოოდ უარის თქმას, თუკი შეტყობინებისთვის საჭირო წინაპირობები მომავალშიც ალბათობის მაღალი ხარისხით არ იარსებებს. ამ შემთხვევაში მოსამართლე ეთანხმება პროკურატურის შუამდგომლობას.<sup>1022</sup> აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილების მისაღებად კანონმდებელი არ განსაზღვრავს კონკრეტულ ვადას; შედეგად, შეტყობინებაზე საბოლოოდ უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება უშუალოდ ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების დასრულებისთანავე.<sup>1023</sup>

აღსანიშნავია, რომ შეტყობინების ვალდებულების საკანონმდებლო დონეზე ასეთი გაფართოება არ არის სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობების ფაქტობრივი გაუმჯობესებისთვის საკმარისი გარანტია.<sup>1024</sup> ცოდნერი გამოდის ინიციატივით, ხომ არ იქნებოდა უკეთესი, სამართლებრივი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, რომ სავალდებულო წესით შეტყობინების გადავადების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მიენიჭოს დამოუკიდებელ ორგანოს, როგორიცაა, მაგ., პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომისარი.<sup>1025</sup>

### 6.2.3.3.2. შემდგომი სამართლებრივი დაცვა

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების დროს ვერ ხორციელდება წინასწარი სასამართლო მოსმენის უფლება. კომუნიკაციის მონაწილისთვის ამ საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინების ვალდებულება მიზნად ისახავს, რომ მას მოგვიანებით მიეცეს შესაძლებლობა, გამოიყენოს სასამართლო მოსმენის უფლება და მის ძირითად უფლებებში განხორციელებული ჩარევის წინააღმდეგ მოითხოვოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.<sup>1026</sup> მხოლოდ ამ გზით შეძლებს ფარულად მიყურადებული კომუნიკაციის მონაწილე კანონით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზებას.<sup>1027</sup>

სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის მე-7 აბზაცის მე-2 წინადაღების შესაბამისად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისას კომუნიკაციის მონაწილეს შეუძლია, ამ საგამოძიებო დონისძიების დასრულების შემდეგაც მიმართოს სასამართლოს მისი კანონიერებისა და, ასევე, მისი აღსრულების ფორმის გადამოწმების მოთხოვნით, მისთვის დონისძიების ჩატარების შესახებ შეტყობინებიდან ორი კვირის ვადაში. აღნიშნული ვადა აითვლება შეტყობინების მომენტიდან, მაშინაც

<sup>1022</sup> იქვე, Rn. 24.

<sup>1023</sup> იხ.: Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §101, Rn. 24; შეად. BT-Drucks 16/6979, S. 44.

<sup>1024</sup> იხ. Zöller, StraFo 2008, 24.

<sup>1025</sup> იქვე.

<sup>1026</sup> იხ.: BGHSt. 36, 305, 311; Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 267.

<sup>1027</sup> იხ. Welp, Strafprozessuale Überwachung, 1974, S. 115.

კი, როცა პირისთვის აღნიშნული დონისძიების ჩატარების შესახებ მანამდე უკვე ცნობილი იყო სხვა წყაროებიდან.<sup>1028</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, რომ საკამათოა გასაჩივრების მეტად ხანმოკლე ვადა, ორი კვირა,<sup>1029</sup> რომლის განმავლობაშიც ფარულად მიყურადებული კომუნიკაციის მონაწილისთვის შეუძლებელია, გაეცნოს საქმის მასალებს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება<sup>1030</sup>. კრიტიკის პასუხიდ კანონმდებელი განმარტავს, რომ ასეთი შემჭიდროვებული ვადის დადგენა განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული ფარული საგამოძიებო დონისძიების დასრულებიდან მალევე წარმოიშობა მასალის საგადადებულო წაშლის ვალდებულება.<sup>1031</sup> თუმცა, ავტორთა ნაწილი აღნიშნულ არგუმენტს დამაჯერებლად არ მიიჩვენს.<sup>1032</sup>

### 6.2.3.3. შეჯამება

პრაქტიკის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ შეუძლებელია, მოხდეს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების უკელა მონაწილის შეტყობინება ამ დონისძიების დასრულების შემდეგ.<sup>1033</sup> გუზისა და ბაკების კვლევის დროს წარმოებულ ინტერვიუებში პროკურორები შეტყობინების ვალდებულებას ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც ზედმეტს და არასაჭიროს; განსაკუთრებით მაშინ, როცა პროცესში ბრალდებულის ინტერესებს ადვოკატი წარმოადგენს.<sup>1034</sup>

ალბრეხტის, დორშის და კრუპეს მიხედვით, საჭიროა, ერთი მხრივ, ნორმის რეგულირება პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად და მეორე მხრივ, უარი უნდა ითქვას ამ საკითხის შესახებ საკანონმდებლო ნორმებში ისეთი ბუნდოვანი ტერმინების გამოყენებაზე, როგორიცაა მაგ., ტელეკომუნიკაციის მონაწილე.<sup>1035</sup>

წარმოჩენილი კრიტიკის საფუძველზე სსსკ-ით მოხდა გარკვეული გარემოებების გათვალისწინება, რითაც შეიზღუდა ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების ვალდებულება. თუმცა, საგულისხმოა ის გარემოება, რომ შეტყობინების არ განხორციელების (თუნდაც კანონით განსაზღვრულ) შემთხვევებში პირისათვის ვერ იქნება უზრუნველყოფილი ძირითად უფლებებში ჩარევაზე შემდგომი კონტროლი. ხოლო, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, შეტყობინების ვალდებულების აღსრულებით შესაძლებელია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისას ძირითადი უფლებების დაცვის ობიექტურად არსებული დეფიციტის დაძლევა.<sup>1036</sup>

<sup>1028</sup> ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §101, Rn. 25.

<sup>1029</sup> ob. Löffelmann, ZIS 2009, 495f.

<sup>1030</sup> ob. Puschke/ Singelstein, NJW 2008, 116.

<sup>1031</sup> ob. BT-Dr 16/5846, S. 62.

<sup>1032</sup> ob. Puschke/ Singelstein, NJW 2008, 116.

<sup>1033</sup> ob. Albrecht/ Dorsch/ Krüipe, Rechtswirklichkeit, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 290.

<sup>1034</sup> ob. Backes/Gusy, StV 2003, 251.

<sup>1035</sup> ob. Albrecht/ Dorsch/ Krüipe, Rechtswirklichkeit, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 290.

<sup>1036</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 268; შეად.: BVerfGE 109, 279; BR-Drs. 275/07, გვ.132.

### 6.3. მოპოვებულ მონაცემთა მარკირება და წაშლა

ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული მონაცემების წაშლის შემთხვევების განხილვამდე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ამ მონაცემების სავალდებულო მარკირების შესახებ. კერძოდ, სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის მესამე აბზაცის თანახმად, პერსონალური მონაცემები, რომელებიც მოპოვებულია მაგ., ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შედეგად, ექვემდებარება სავალდებულო წესით მარკირებას; ამასთან, მათი სხვაგან გამოყენების შემთხვევაშიც აღნიშნული მარკირება პერსონალურ მონაცემებს უნარჩუნდება. აღნიშნული მუხლის კომენტირებისას მითითებულია, რომ მონაცემებზე მათი წარმომავლობის აღნიშვნა აუცილებელია, რამდენადაც სსსკ-ის 477-ე პარაგრაფის მეორე აბზაცი განსაზღვრული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მონაცემების გამოყენებისთვის გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს; ამასთან, მონაცემთა აღნიშვნა საკმარისია მათი მარტივი მარკირებით, მაგალითად, ბეჭდის დასმით.<sup>1037</sup>

მონაცემთა მარკირების კანონით დადგენილი ვალდებულება უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, ასევე, მოპოვებული ინფორმაციის მხოლოდ მიზნობრივ გამოყენებას; მათი წაშლის კანონით დადგენილი ვალდებულების შემთხვევაში კი აღნიშნულის შესრულების გარანტიადაც უნდა ჩაითვალოს.

სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის მე-8 აბზაცის პირველი წინადადების მიხედვით, თუკი ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შედეგად მიღებული პერსონალური მონაცემები საჭირო აღარაა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა ან სასამართლოს მხრიდან რაიმე შემოწმების მიზნით, მაშინ ისინი დაუყოვნებლივ უნდა წაიშალოს.<sup>1038</sup> ამავე აბზაცის მე-2 წინადადების თანახმად, აღნიშნულ მონაცემთა წაშლა უნდა აღირიცხოს დოკუმენტურად. ხოლო, სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის მე-8 აბზაცის ბოლო წინადადების მიხედვით, შესაძლოა, პერსონალური მონაცემების წაშლა გადაიდოს აღნიშნული საგამოძიებო ღონისძიების რაიმე სახის სასამართლო შემოწმების მიზნით; ამ შემთხვევაში პერსონალური მონაცემების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ აღნიშნული მიზნით და არ საჭიროებს დაზარალებულის თანხმობას; ამასთან, აღნიშნული მონაცემები არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

აღსანიშნავია, რომ თუკი სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია შეიცავს შემთხვევით აღმოჩენილ ახალ მონაცემებს, ეს უკანასკნელი არ ექვემდებარება დაუყოვნებლივ წაშლას.<sup>1039</sup> იგივე წესი მოქმედებს მტკიცებულებითი მასალის შემცველი ინფორმაციის შემთხვევაში, რომლის შინაარსიც სხვა მტკიცებულებით დადასტურდა.<sup>1040</sup>

მასალა, რომელიც აუცილებლად უნდა შეინახოს საქმის არსებითი განხილვისთვის, არ უნდა განადგურდეს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგაც, რადგანაც შესაძლებელია, სატელეფონო საუბრის

<sup>1037</sup> Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §101, Rn. 3.

<sup>1038</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით, შეად. BT-Drucks 17/7586, S. 7.

<sup>1039</sup> იბ.: BGH 53, 64, 68; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §101, Rn. 27.

<sup>1040</sup> იბ. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §101, Rn. 27.

ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული მასალა საჭირო გახდეს საქმის ხელახლი განხილვის შემთხვევაში.<sup>1041</sup>

შესაძლებელია, რომ მონაცემები მნიშვნელოვანი იყოს საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, თუმცა, მათი შენახვა შეიძლება სისხლისსამართლებრივი დევნის საჭიროებიდან გამომდინარე; რადგან, როგორც წესი, ასეთი საფრთხის შემცველი სიტუაციის დროს შეიძლება სახეზე იყოს უკვე ჩადენილი დანაშაული, ანდა შეიძლება, საფრთხის შემცველი სიტუაცია მოგვიანებით რეალიზდეს დანაშაულად.<sup>1042</sup>

როდესაც მონაცემები მოპოვებულია მხოლოდ სამართლებრივი დაცვის (სასამართლო განხილვის) მიზნიდან გამომდინარე, კანონი ამ მონაცემების გამოყენებას უშვებს მხოლოდ აღნიშნული მიზნით.<sup>1043</sup> სხვა მიზნით მათი გამოყენება დაიშვება დაზარალებულის (ადრესატის) თანხმობის შემთხვევაში.<sup>1044</sup>

გადაწყვეტილებას მონაცემთა წაშლის შესახებ იღებს ძირითადად პროკურატურა, საქმის სასამართლოსთვის გადაცემის შემთხვევაში – საქმის განმხილველი სასამართლო.<sup>1045</sup> მონაცემთა წაშლა ტექნიკურად შესაძლებელია, განახორციელოს პოლიციამ; ამ შემთხვევაში წაშლის პროცესზე პროკურატურის ზედამხედველობა არ არის გათვალისწინებული.<sup>1046</sup>

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული მონაცემების შემთხვევაში წაშლას ექვემდებარება არა მარტო უშუალოდ ჩანაწერი, მაგ., ფირზე, არამედ ამ ფირზე წარწერაც.<sup>1047</sup> კანონი არ ადგენს ადვოკატის ვალდებულებას, დაესწროს მონაცემთა განადგურების პროცესს.<sup>1048</sup>

მონაცემთა განადგურების შესახებ წარმოებულ დოკუმენტებში უნდა აღირიცხოს წაშლილ მონაცემთა სახეობისა და მოცულობის შესახებ, ასევე მისი შინაარსი, სულ მცირე, ზოგადი ფორმით.<sup>1049</sup>

#### 6.4. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ტექნიკური განხორციელება

ვინაიდან ამ ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, როგორც საპროცესო სამართლებრივი დონისძიება და მისი განხორციელებისთვის სსსკ-ით განსაზღვრული წინაპირობების განხილვა, მიზანშეწონილია, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ტექნიკური განხორციელების საკითხის განხილვა მოხდეს მხოლოდ საპროცესო სამართლებრივი

<sup>1041</sup> იქვე.

<sup>1042</sup> ი. ი. BT-Drucks 15/4533, S. 29; BT-Drucks 16/5846, S. 63; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §101, Rn. 27.

<sup>1043</sup> ი. ი. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §101, Rn. 27.

<sup>1044</sup> იქვე.

<sup>1045</sup> იქვე, Rn. 28.

<sup>1046</sup> ი. ი. BT-Drucks 15/4533, S. 17; BT-Drucks 16/5846, S. 63; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §101, Rn. 28.

<sup>1047</sup> ი. ი. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §101, Rn. 28.

<sup>1048</sup> იქვე.

<sup>1049</sup> იქვე.

რეგულირების თვალსაზრისით. შესაბამისად, საკითხი ტექნიკური თვალსაზრით კომპლექსურად ვერ განხილება. სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადება ტექნიკურად ხორციელდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ კონკრეტულ საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობით.

სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების დროს მონაცემთა რეალურ დროში მოპოვება ხდება უშუალოდ სამართალდამცავი ორგანოების მიერ; კერძოდ, ამ ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროკურატურა.<sup>1050</sup> თუკი ის ფარულ მიუურადებას საკუთარი საშუალებებით ვერ განახორციელებს, მაშინ შესაბამისი ფორმალური მხარის დაცვით, პროკურატურა უგზავნის მოსამართლის ბრძანებას ტელეკომუნიკაციის მოწოდებელ კომპანიებს; ამ შემთხვევაში შეიძლება საკმარისი იყოს ბრძანების ასლის გადაცემა დაცული ელექტრონული გზით ან ფაქსით, თუმცა ფაქსის შემთხვევაში შესაბამისი ორგანო ვალდებულია ერთი კვირის განმავლობაში კომპანიას გადასცეს ბრძანების ორიგინალი ან მისი დამოწმებული ასლი.<sup>1051</sup> პროკურატურა საქმის კურსში აყენებს პოლიციას, რომელიც მოსამენი მოწყობილობის მზაობას უზრუნველყოფს.<sup>1052</sup>

ტელეკომუნიკაციის მოწოდებელი კომპანიები ვალდებული არიან, ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან, ისინი სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადებისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურას ქმნიან და შესაძლებელს ხდიან ამ ღონისძიების ჩატარებას; აღნიშნული კომპანიები დაუყოვნებლივ გადასცემენ შესაბამის ორგანოებს საჭირო ინფორმაციას.<sup>1053</sup>

იმას, თუ კონკრეტულად რა ღონისძიება და რა მოცულობით უნდა ჩატარონ ტელეკომუნიკაციის მოწოდებელმა კომპანიებმა, სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-4 აბზაცის მეორე წინადაღების თანახმად, განსაზღვრავს კანონი ტელეკომუნიკაციის შესახებ (TKG) და რეგულაცია ტელეკომუნიკაციის მიუურადების შესახებ (TKÜV). კერძოდ, ტექნიკურ დეტალებს, ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის 110-ე პარაგრაფის III აბზაციის, ტელეკომუნიკაციის მიუურადების შესახებ რეგულაციის მე-11 პარაგრაფის საფუძველზე, განსაზღვრავს შესაბამისი ფედერალური სააგენტო.<sup>1054</sup> ამ შემთხვევაში კომპანია არ არის ვალდებული, შეამოწმოს სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადებისთვის საჭირო კანონით განსაზღვრული წინაპირობები, ის მხოლოდ აღასრულებს ბრძანებას და იცავს კონფიდენციალურობას, რომლის დარღვევის შემთხვევაში ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>1055</sup>

ადსანიშნავია, რომ ტელეკომუნიკაციის მოწოდებელი კომპანია სამართალდამცავ ორგანოს გადასცემს ტელეკომუნიკაციის სრულყოფილ ასლს.<sup>1056</sup> ამასთან, შეტყობინებათა უშუალო მოსმენისა და მიუურადების, მონაცემთა შინაარსის გაცნობის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ

<sup>1050</sup> იქვე, §100 b, Rn. 7.

<sup>1051</sup> აღნიშნულის შესახებ უფრო კონკრეტულად იხ. ტელეკომუნიკაციის მიუურადების შესახებ რეგულაციის (TKÜV) § 12 II; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100 b, Rn. 7.

<sup>1052</sup> იხ. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100 b, Rn. 7.

<sup>1053</sup> სსსკ-ის §100a მე-4 აბზაცი, იხ. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100 b, Rn. 8.

<sup>1054</sup> იხ. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100 b, Rn. 8a.

<sup>1055</sup> იქვე.

<sup>1056</sup> იქვე.

მოსამართლეს, პროკურატურასა და მის გამომძიებელს.<sup>1057</sup> აღსანიშნავია, რომ მიღებული ინფორმაციის ფილტრაციის უფლება კონკრეტული ნიშნების, მახასიათებლების მიხედვით აქვს მხოლოდ შესაბამის საგამომძიებო ორგანოს.<sup>1058</sup>

## 6.5. სტატისტიკა

გერმანულ სამართალში სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ინსტიტუტის შესახებ კვლევის დასკვნით ნაწილში საინტერესოა ფარული საგამომძიებო დონისძიების შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაცია სისხლის სამართლის პროცესში სსსკ-ის 100a პარაგრაფით გათვალისწინებული ფარული საგამომძიებო დონისძიების ეფექტიანობის, აუცილებლობისა და საჭიროების შესახებ რეალურ სურათს წარმოადგენს. გასაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ მონაცემთა აღწერა და გასაჯაროება. შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების წარმოების ვალდებულება გაწერილია სსსკ-ით, რომლის 101b პარაგრაფის პირველი აბზაცის საფუძველზე, ყველა ფედერალური მიწა და ფედერაციის გენერალური პროკურორი იუსტიციის ფედერალურ სამინისტროს ყოველწლიურად 30 ივნისამდე აწვდიან ინფორმაციას მათ დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოების მიერ ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების დონისძიებათა გამოყენების შესახებ. აღნიშნული მონაცემების გენერირების საფუძველზე, იუსტიციის ფედერალური სამინისტრო ყოველწლიურად ინტერნეტში აქვეყნებს სსსკ-ის 100a პარაგრაფის საფუძველზე გამოცემული მოსამართლის ბრძანების რაოდენობას და, ასევე, სისხლის სამართლის პროცესის რაოდენობას, რომლებშიც გამოიყენეს ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების დონისძიებები. ამ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სსსკ-ის 100a პარაგრაფის საფუძველზე გაცემული მოსამართლის ბრძანების რაოდენობა ბოლო წლებში გაზრდილია, მაგრამ არცთუ ისე დიდი ოდენობით.<sup>1059</sup> 2001 წლის მონაცემებით, ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ ბრძანება გაცემული იყო 3 868 სისხლის სამართლის საქმეში<sup>1060</sup>, 2013 წლის ეს მონაცემი გაიზარდა 5 669მდე<sup>1061</sup>. 2008 წლის ტელეკომუნიკაციის ფარულ მიყურადებაზე გამოიცა 13 949 ბრძანება, ამ დონისძიების ვადის გახანგრძლივების შესახებ კი – 2 514 ბრძანება.<sup>1062</sup> უკვე 2014 წლის მონაცემებით, ტელეკომუნიკაციის ფარულ მიყურადებაზე გამოიცა 19 795 ბრძანება, ამ დონისძიების ვადის

<sup>1057</sup> იქნა.

<sup>1058</sup> ი.ხ.: Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §100 b, Rn. 8a; BGH NStZ – RR 15, 345, 346.

<sup>1059</sup> ი.ხ. [http://www.bmjjv.de/DE/Service/Statistiken/Statistiken\\_node.html](http://www.bmjjv.de/DE/Service/Statistiken/Statistiken_node.html). უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 16.07.2018.

<sup>1060</sup>

[https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht\\_TKUE\\_2001.pdf?blob=publicationFile](https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht_TKUE_2001.pdf?blob=publicationFile), უკანასკნელად გადამოწმებულია: 16.07.2018.


<sup>1061</sup>

ი.ხ. [https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht\\_TKUE\\_2013.pdf?blob=publicationFile](https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht_TKUE_2013.pdf?blob=publicationFile), უკანასკნელად გადამოწმებულია: 16.07.2018.

<sup>1062</sup>

ი.ხ. [https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht\\_TKUE\\_2008.pdf?blob=publicationFile](https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht_TKUE_2008.pdf?blob=publicationFile), უკანასკნელად გადამოწმებულია: 16.07.2018.

გახანგრძლივების შესახებ კი – 3 587.<sup>1063</sup> 2015 წელს აღინიშნა ამ სტატისტიკური მაჩვენებლის შემცირება; კერძოდ, 2015 წლის მონაცემებით, ტელეკომუნიკაციის ფარულ მიუურადებაზე 18640 ბრძანება გამოიცა, ხოლო ამ ღონისძიების ვადის გახანგრძლივებაზე – 3 950 ბრძანება.<sup>1064</sup> იუსტიციის სამინისტროს 2016 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ბრძანების რიცხვმა წინა წლებთან შედარებით იკლო და გახდა 17510, ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების ღონისძიების ვადის გახანგრძლივებაზე გამოცემული ბრძანების რიცხვმა კი შეადგინა 3845.<sup>1065</sup> რაც შეეხება პროცესის რაოდენობას, რომლებშიც გამოიყენებულ იქნა სსსკ-ის 100a პარაგრაფით გათვალისწინებული ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების ღონისძიებები, 2016 წელს ამ რიცხვმა შეადგინა 5738,<sup>1066</sup> როცა წინა წელს 5945 იყო.<sup>1067</sup> 2017 წელს ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების შესახებ გაცემულ იქნა 18651 ბრძანება, ხოლო ამ ღონისძიების ვადის გაგრელების შესახებ ბრძანების რაოდენობა იყო 2982.<sup>1068</sup>



<sup>1063</sup>

ი.ბ.

[https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht\\_TKUE\\_2014.pdf?blob=publicationFile&v=2](https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht_TKUE_2014.pdf?blob=publicationFile&v=2), უკანასკნელად გადამოწმებულია: 16.07.2018.

<sup>1064</sup>

ი.ბ.[https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht\\_TKUE\\_2015.pdf?blob=publicationFile&v=2](https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht_TKUE_2015.pdf?blob=publicationFile&v=2), უკანასკნელად გადამოწმებულია: 16.07.2018.

<sup>1065</sup>

ი.ბ.[https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht\\_TKUE\\_2016.pdf?blob=publicationFile&v=2](https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht_TKUE_2016.pdf?blob=publicationFile&v=2), უკანასკნელად გადამოწმებულია: 16.07.2018.

<sup>1066</sup> ი.ბ.

<sup>1067</sup>

ი.ბ.[https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht\\_TKUE\\_2015.pdf?blob=publicationFile&v=2](https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht_TKUE_2015.pdf?blob=publicationFile&v=2), უკანასკნელად გადამოწმებულია: 16.07.2018.

<sup>1068</sup>

ი.ბ.[https://www.bundesjustizamt.de/DE/Themen/Buergerdienste/Justizstatistik/Telekommunikation/Telekommunikationsueberwachung\\_node.html](https://www.bundesjustizamt.de/DE/Themen/Buergerdienste/Justizstatistik/Telekommunikation/Telekommunikationsueberwachung_node.html) უკანასკნელად გადამოწმებულია: 25.03.2019.

ნათელია, რომ რაოდენობაში მცირე ცვლილებების მიუხედავად, ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადება რჩება ხშირად გამოყენებულ და ეფექტიან ღონისძიებად სისხლის სამართლის პროცესში. ამასთან, გასაკვირი არაა, რომ ბოლო წლებში შეინიშნება ტელეკომუნიკაციის შესახებ ბრძანებათა რაოდენობის გაზრდის ტენდენცია ინტერნეტკომუნიკაციის სფეროში. კერძოდ, 2015 წლის მონაცემებით, კავშირგაბმულობის ფიქსირებულ ქსელზე ფარული მიუურადების შესახებ მოსამართლის ბრძანების რაოდენობა იყო 3332, უკაბელო ქსელზე კი – 21 905, ხოლო ინტერნეტკომუნიკაციის ფარული მიუურადების შესახებ მოსამართლის 7431 ბრძანება გამოიცა.<sup>1069</sup> 2016 წელს ინტერნეტკომუნიკაციის მიუურადების შესახებ ბრძანების რაოდენობამ შეადგინა 10 606, მაშინ როცა მცირე სხვაობით დაფიქსირდა მონაცემები ფიქსირებულ და უკაბელო ქსელების შესახებ (ფიქსირებულ ქსელზე მოსამართლის 3856 ბრძანება, ხოლო უკაბელო ქსელზე – 21236 ბრძანება).<sup>1070</sup>

## 7. შეჯამება

სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის ინსტიტუტი გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში არსებობის რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც აქტუალობას არ კარგავს. მწვავე კამათის საგნად რჩება ამ ღონისძიების საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი, მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, მაგალითად, სამოსამართლო კონტროლი, დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობათა ჩამონათვალი (ე.წ. ნუსხა), ღონისძიების ობიექტთა ზუსტი განსაზღვრა და მათთვის შეტყობინების ვალდებულების სწორად განხორციელება.

სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების განხორციელებაზე სამოსამართლო კონტროლი, კვლევაში განხილული კრიტიკული მოსაზრებების, ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების მიუხედავად, მაიც რჩება ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის მიზნით პროცესში არსებულ ბერკეტიდ. გერმანული კანონმდებლობა არ აპირებს ამ ინსტიტუტის გაუქმებას, პირიქით, ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე ჩანს, რომ ცდილობს ფარული სატელეკომუნიკაციო მიუურადებისას მოსამართლის როლის გაძლიერებას.<sup>1071</sup> ოპტიმალურ გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს ტელეკომუნიკაციის ფარულ მიუურადებაზე სამოსამართლო კონტროლის არა გაუქმება, არამედ მისი გაძლიერება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბევრი მეცნიერი აკრიტიკებს იმ დანაშაულთა ჩამონათვალს (ე.წ. ნუსხას), რომელთა ჩადენაზე,

<sup>1069</sup>

იხ. [https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht\\_TKUE\\_2015.pdf?blob=publicationFile&v=2](https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht_TKUE_2015.pdf?blob=publicationFile&v=2), უკანასკნელად გადამოწმებულია: 16.07.2018.

<sup>1070</sup> იხ. [https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht\\_TKUE\\_2016.pdf?blob=publicationFile&v=2](https://www.bundesjustizamt.de/DE/SharedDocs/Publikationen/Justizstatistik/Uebersicht_TKUE_2016.pdf?blob=publicationFile&v=2), უკანასკნელად გადამოწმებულია: 16.07.2018.

<sup>1071</sup> იხ. ზემოთ, თავი I, ქვეთავი 6.2.2.8.

მცდელობასა თუ მომზადებაზე ეჭვის შემთხვევაში შეიძლება დადგეს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საჭიროება, მისი მოცულობისა და არასისტემურობის გამო; მაგ., პირში ამ ნუსხას მოიხსენიებს „სამოგზაურო ტურის ბილეთად სისხლის სამართლის კოდექსში”.<sup>1072</sup> მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში ირკვევა, რომ დანაშაულის შემადგენლობათა აღნიშნული ჩამონათვალი პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება.

მეტად მტკიცნეულ საკითხად აღიქმება სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ადრესატთა, იმავე ობიექტთა სწორი განსაზღვრა; ამასთან, ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ადრესატი ხდება პირთა ძალიან ფართო წრე. სსსკ-ი ადგენს იმ პირთა წრეს, რომლებიც ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შემთხვევაში ამ ღონისძიებისგან დაცვის უფლებით სარგებლობენ. კრიტიკის ობიექტი გახდა 2008 წელს სსსკ-ში დამატებული 160a პარაგრაფი, რომელიც განასხვავებს ამ შემთხვევაში აბსოლუტური დაცვის უფლებით და ე.წ. შედარებითი დაცვის უფლებით მოსარგებლე პირთა წრეს.<sup>1073</sup>

ადსანიშნავია, რომ სსსკ-ი ადგენს ჩატარებულ ფარულ საგამოძიებო ღონისძიებაზე შეტყობინების ვალდებულებას და ზედმიწევნით განსაზღვრავს მის წინაპირობებს. სწორედ შეტყობინების ვალდებულებასთანაა დაკავშირებული სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ადრესატთა შემდგომი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა. თუმცა, ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების განხორციელებით უკვე იზღუდება ადამიანის პირადი ცხოვრების უფლება და მოპოვებულ მონაცემთა შემდგომი განადგურება თუ ადრესატისთვის სავალდებულო შეტყობინება მისი სრული კომპენსაცია ვერ იქნება. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით იწვევს მწვავე კრიტიკას სსსკ-ის 101-ე პარაგრაფში დადგენილი საგამონაკლისო პირობები, როდესაც შესაძლებელია, სახელმწიფომ არ შეატყობინოს პირს მის მიმართ ჩატარებული სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ.

იმისთვის, რათა შეჯამდეს გერმანულ სისხლის სამართლში სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ წინამდებარე კვლევის შედეგები, უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არ დგას საკითხი, უნდა პქონდეს თუ არა გამომძიებელს სისხლის სამართლის პროცესში ეს ინსტრუმენტი (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა); რადგან აღნიშნული ღონისძიება, როგორც კვლევის შედეგადაც დადასტურდა, არის აუცილებელი, ეფექტური და საჭირო; ამასთან, მას აქვს უკვე არსებული სამართლებრივი საფუძველი – სსსკ-ის 100a, 100d, 100e, 101, 101b პარაგრაფები.<sup>1074</sup>

ადამიანის უფლებათა ეკროპულმა სასამართლომ ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებაში კლასი გერმანიის ფადერალური რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ამ საკითხის

<sup>1072</sup> ი. ხ. Hirsch, ZRP 2008, 24-25.

<sup>1073</sup> ი. ხ. ზემოთ თავი I, ქვეთავი 6.2.3.

<sup>1074</sup> ი. ხ. Kruipe-Gescher, Die Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 47.

მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები.<sup>1075</sup> იმისთვის, რომ ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების ღონისძიებები ბოროტად არ გამოიყენონ, ევროპული სასამართლოს თანახმად, ამ ღონისძიების ჩატარებისთვის კანონით სავალდებულო უნდა იყოს ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვს ადასტურებს; ეს ღონისძიება მხოლოდ კონკრეტული პირის წინააღმდეგ უნდა განხორციელდეს, ღონისძიების მიზანი სხვა, უფრო მსუბუქი, ღონისძიებით არ უნდა მიიღწეოდეს და ფარული მიუურადების ჩატარება კონკრეტული ვადით უნდა იყოს განსაზღვრული.<sup>1076</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოს გარანტია გულისხმობს, რომ ფარული საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელების წინაპირობები კანონში ნათლად და თანმიმდევრულად უნდა აისახოს.<sup>1077</sup> ამასთან, კვლევის შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი მოთხოვნები, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადება და ჩაწერა მხოლოდ კანონის ზედმიწევნით დაცვით უნდა ჩატარდეს და აღნიშნული ღონისძიება უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკანასკნელი საშუალება (ultima ratio) და არა, როგორც სტანდარტული ღონისძიება. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებული სამართლებრივი რეგულირების არსებობა და ამ მოთხოვნების შესრულება შეამცირებს სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების განხორციელების საკმაოდ დიდ რაოდენობას და ის აღარ იქნება ე.წ. „მასობრივი ბიზნესი“<sup>1078</sup> გამოძიების ხელში, როგორც მას პრაქტიკოსები უწოდებენ.

<sup>1075</sup> ob. Schäfer, Präventive Telekomunikationsüberwachung, 2007, S. 142; EGMR 1979, 278 (285f.).

<sup>1076</sup> ob. Schäfer, Präventive Telekomunikationsüberwachung, 2007, S. 142; EGMR 1979, 278 (285f.).

<sup>1077</sup> ob. Zöller, ZStW 2012, 419.

<sup>1078</sup> ob. Albrecht/ Dorsch/ Kriipe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 463.

## თავი II. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება ქართული სამართლის მიხედვით

### 1. ცნება და წარმოშობის ისტორიული ასპექტი

#### 1.1. ცნებები: კომუნიკაცია, სატელეფონო საუბარი, კომუნიკაციის მაიდანტიფიცირებელი მონაცემები

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საკითხი არ კარგავს აქტუალობას როგორც ქართული სამართლის სამეცნიერო წრეში, ისე საკანონმდებლო დონეზე. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ქართული სამართლის უახლეს წარსულში<sup>1079</sup> ოპერატორ-სამძებრო დონისძიებიდან გარდაიქმნა ფარულ საგამოძიებო დონისძიებად.

2017 წლის 22 მარტს მიღებული კანონით, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსსკ-ის 2014 წლიდან მოქმედი 143-ე<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. შედეგად, ფარული საგამოძიებო მოქმედების სახედ განისაზღვრა „სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა“, ნაცვლად, „სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერისა“. კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, ამ ცვლილებით დაიხვეწა და დაკონკრეტდა სსსკ-ის 143-ე<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები.<sup>1080</sup> ტერმინის – „სატელეფონო საუბარი“, „სატელეფონო კომუნიკაციით“ ჩანაცვლებით ცნება გაფართოვდა, რამდენადაც ტერმინი „კომუნიკაცია“ უფრო ფართოა, ვიდრე „საუბარი“ და „წარმოადგენს ადამიანებს შორის ვერბალური (სიტყვიერი) და არავერბალური სიმბოლოების საშუალებით აზრების, გრძნობების, დამოკიდებულებებისა და იდეების ურთიერთგაცვლას“.<sup>1081</sup> კომუნიკაცია მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „Communicare“ (ლათ.), რაც ნიშნავს: „გავხადოთ ყველასთვის გასაგები“.<sup>1082</sup> ის მოიცავს ვერბალურ, წერილობით და ჟესტიკულაციის მეშვეობით კომუნიკაციას.<sup>1083</sup>

აღსანიშნავია, რომ ცნების თვალსაზრისით, „ფარული საგამოძიებო მოქმედებების“ განმარტება არ არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული. რაც შეეხება ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეს – სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას, სსსკ-ის მე-3 მუხლის 36-ე ნაწილი განმარტავს, რომ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა არის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული პირის საერთო სარგებლობის ელექტრონული

<sup>1079</sup> 2014 წლის 1 აგვისტოს №2634-რს კანონით „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

<sup>1080</sup> იხ. განმარტებითი ბარათი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/141417>, უკანასკნელად გადამოწმებულია: 16.07.2018.

<sup>1081</sup> იხ. სამოქალაქო განათლების დეპარტამენტი, დექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4752>, უკანასკნელად გადამოწმებულია: 16.07.2018.

<sup>1082</sup> იქვე.

<sup>1083</sup> იხ. ფაფიაშვილი ლ., წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომუნიკაციი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015, გვ. 66.

საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ<sup>18</sup>“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი არის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ერთიანი სისტემა, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლებისთვის, საზოგადოებისათვის შეუზღუდავად ხელმისაწვდომი, საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად.

რაც შეეხება კვლევის უშუალო საგანს – სატელეფონო საუბარს, როგორც უკვე აღინიშნა, მას მოიცავს სატელეფონო კომუნიკაციის ცნება. თავად სიტყვა ოქლეფონი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განიმარტებოდა, როგორც „ტექნიკურ მოწყობილობათა სისტემა სადენებით ლაპარაკის გადასაცემად შორ მანძილზე ელექტროენერგიის საშუალებით“<sup>1084</sup>. უკაბელო კავშირგაბმულობის წარმოშობითა და ოქნიკური განვითარების შედეგად, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მობილური ოქლეფონი უკვე მიეკუთვნება კომპიუტერულ სისტემას,<sup>1085</sup> ხოლო კომპიუტერული სისტემის გამოყენებით დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაზე დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში შინაარსობრივ მონაცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ მოქმედებს სსეკის 138-ე მუხლი.<sup>1086</sup>

სატელეფონო ან სხვა ოქნიკური საშუალებით საუბარს კონსტიტუციის მე-20 მუხლის კომენტირებისას კობახიძე განმარტავს, რომ ის „არის ორი ან მეტი პირის ვერბალური კომუნიკაცია ოქლეფონის, რადიომიმღების ან ვერბალური კომუნიკაციისთვის განკუთვნილი ინტერნეტპროგრამების გამოყენებით, ხოლო ოქნიკური საშუალებებით მიღებულ შეტყობინებებში იგულისხმება წერილობითი კომუნიკაცია ოქლეფონის, ოქლეფაქსის, ოქლეგრამის, ოქლექსის, ელექტრონული ფოსტის, სხვა შესაბამისი ინტერნეტპროგრამების, პეიჯერის და სხვა ანალოგიური ოქნიკური ინსტრუმენტების გამოყენებით.“<sup>1087</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2016 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ „სატელეფონო და სხვა სახის ოქნიკური საშუალებებით საუბარი გულისხმობს ადამიანების (ორი ან მეტი პირის) კომუნიკაციას ოქლეფონის ან ვერბალური კომუნიკაციისთვის განკუთვნილი ინტერნეტპროგრამების გამოყენებით. ხოლო ოქნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულია კომუნიკაცია ოქლეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, შესაბამისი ინტერნეტპროგრამების და სხვა ოქნიკური საშუალებების გამოყენებით. იმავდროულად, დაცულია,

<sup>1084</sup> იხ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1990, გვ. 911.

<sup>1085</sup> სსეკის მე-3 მუხლის 27-ე ნაწილის თანახმად, კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამჟამებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ოქლეფონი).

<sup>1086</sup> ამასთან, ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება სსეკის 143<sup>2</sup>-143<sup>10</sup> მუხლების დებულებები (სსეკის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

<sup>1087</sup> იხ. კობახიძე, მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 185.

როგორც სადენიანი (ოპტიკურბოჭკოვანი), ისე უსადენო (რადიოტალღებზე მომუშავე) ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემებით დამყარებული კომუნიკაცია”.<sup>1088</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის ადრეულ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „სახელმწიფოს ზოგადად ეკრძალება, გაეცნოს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრებისა და შეტყობინებების შინაარსს, აგრეთვე, დააწესოს კონტროლი, ვისთან და რა ინტენსივობით შედგა ასეთი ურთიერთობები”<sup>1089</sup>.

საინტერესოა, განიმარტოს და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ამ ორი ტიპის სატელეკომუნიკაციო ინფორმაცია: კომუნიკაციის შინაარსი და კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. ეს უკანასკნელი გულისხმობს ინფორმაციას, თუ ვინ, ვის, როდის, რა ტექნიკური საშუალებით, რომელი ლოკაციიდან და როგორი ხანგრძლივობით დაუკავშირდა.<sup>1090</sup> უფრო კონკრეტულად კი, ადნიშნულის განმარტებას იძლევა საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ”. ამ კანონის მე-2 მუხლის „<sup>35</sup>” ქვეპუნქტი ცალ-ცალკე მოიხსენიებს და, შესაბამისად, ერთმანეთისგან განასხვავებს კომუნიკაციასა და მის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს. ამ უკანასკნელის განმარტებას კი კანონი იძლევა იმავე მუხლის „<sup>36</sup>” ქვეპუნქტში, რომლიც მიხედვითაც, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებია: მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები; კომუნიკაციის წყაროს კვალის დადგენისა და იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები; კომუნიკაციის ადრესატის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები; კომუნიკაციის თარიღის, დროისა და ხანგრძლივობის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები; კომუნიკაციის სახის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები; მომხმარებლის კომუნიკაციის აღჭურვილობის ან შესაძლო აღჭურვილობის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები; მობილური კომუნიკაციის აღჭურვილობის ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები.<sup>1091</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ორი ტიპის ინფორმაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „თვისობრივად მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ინფორმაციულობის ხარისხის თვალსაზრისით, ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვნად არ ჩამოუვარდებოდეს კომუნიკაციის კონკრეტულ შინაარსს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ინდივიდის მიერ განხორციელებული მთლიანი აქტივობის რეკონსტრუქცია შეუძლებელია, მაინც რჩება შესაძლებლობა, დეტალური ანალიზის შედეგად მოხდეს ინდივიდის პერსონალური პროფილის შექმნა, მისი ცხოვრების წესის და დამოკიდებულებების შესახებ

<sup>1088</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II.პ.23.

<sup>1089</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.6.

<sup>1090</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II.პ.91.

<sup>1091</sup> აღსანიშნავია, რომ მობილური ტელეფონით, როგორც კომპიუტერული სისტემით, განხორციელებული კომუნიკაციის შემთხვევაში სსსკ-ი განასხვავებს შინაარსობრივ მონაცემებს, მომხმარებლის შესახებ არსებულ ინფორმაციას (სსსკ-ის 136 მუხლის მესამე ნაწილი) და ინტერნეტრაფიკის მონაცემებს (სსსკ-ის მე-3 მუხლის 30-ე ნაწილი).

გარკვეული დასკვნების გაკეთება”<sup>1092</sup>. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება იცავს არა მხოლოდ კომუნიკაციის შინაარსს, არამედ, მათ შორის, როდის, როგორ, რა სიხშირით, ვის შორის შედგა კომუნიკაცია”<sup>1093</sup>. ამ ინფორმაციის ანონიმურობა უზრუნველყოფილია „არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი მონაცემები ინფორმაციულობის ხარისხის მიხედვით, ცალკეულ შემთხვევაში, არანაკლები ინფორმაციის მატარებელი შეიძლება იყოს, ვიდრე კონკრეტული კომუნიკაციის შინაარსი, არამედ, პირველ რიგში, იმიტომაც, რომ ადამიანის პირადი სივრცე გულისხმობს საკუთარ სოციუმზე ინდივიდუალური და დამოუკიდებელი არჩევანის ანონიმურობის უფლებასაც”<sup>1094</sup>.

## 12. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების წარმოშობა

დიდი ხნის განმავლობაში არ საუბრობდნენ სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებაზე და მისი განხორციელების სამართლებრივ რეგულირებაზე, თითქოს ის არც არსებობდა. აღნიშნული თემა ტაბუდადებული იყო. საბჭოთა პერიოდში არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა, რომლის საფუძველზეც საგამოძიებო ორგანოები (როგორებიც იყო მაგ., კრიმინალური პოლიცია, სასაზღვრო პოლიცია) განახორციელებდნენ სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას.<sup>1095</sup> აღნიშნულს აწარმოებდნენ საბჭოთა უშიშროების სამინისტროს გარკვეული დანაყოფები; საკანონმდებლო საფუძველს კი წარმოადგენდა სამსახურებრივი ინსტრუქცია, მითითებები,<sup>1096</sup> მკაცრად გასაიდუმლოებული უწყებრივი ნორმატიული აქტები<sup>1097</sup>. სატელეფონო საუბარი ისმინებოდა და იწერებოდა საიდუმლოდ, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ფარგლებში, გამორიცხული იყო ყოველგვარი გარედან კონტროლი და საპროკურორო ზედამხედველობაც კი.<sup>1098</sup> შესაბამისად, არსებობდა რისკი, რომ უშიშროების სამინისტროს შეეძლო მხოლოდ მაშინ გადაეცა მის ხელთ არსებული, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საფუძველზე მოპოვებული მასალა პროკურატურისთვის, თუკი ამას ხელსაყრელად და მიზანშეწონილად ჩათვლიდა. მოგვიანებით, როდესაც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩასატარებლად აუცილებელ წინაპირობად განისაზღვრა სასამართლოს გადაწყვეტილება, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო მაშინაც არ იყო ვალდებული, გადაეცა მასალა, თუ რის საფუძველზე ითხოვდა სატელეფონო საუბრის ფარულ მოსმენას.<sup>1099</sup> აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ღონისძიების მკაცრად კონსპირაციულ ხასიათს.

<sup>1092</sup> ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II.პ.116.

<sup>1093</sup> იქვე.

<sup>1094</sup> იქვე, II.პ.25.

<sup>1095</sup> ი. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 181.

<sup>1096</sup> ი. Петрухин, Личные тайны, 1998, С. 86.

<sup>1097</sup> ი. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის განმარტებითი ბარათი, №1933, 05.04.1999, 1.

<sup>1098</sup> ი. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 181.

<sup>1099</sup> ი. Юрина/Юрин, Контроль и запись переговоров, 2002, С. 10.

ოპერატიულ-სამქებრო დონისძიებათა გამტარებელი საბჭოთა უშიშროების სამინისტრო აღიქმებოდა, როგორც პოლიტიკური პოლიცია, რომლის მუშაობის საეციფიკა სრულიად კონსპირაციული იყო; მისი თანამშრომლების მიერ მოპოვებული ინფორმაცია კი არასოდეს მიუთითებდა წარმოშობის წყაროს.<sup>1100</sup>

ის, რომ არ არსებობდა ამ საკითხის სამართლებრივი რეგულირება, სულაც არ ნიშნავდა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების არარსებობას საბჭოთა დიქტატურაში. ეს ფარული დონისძიება ძალიან ხშირ და ინტენსიურ საშუალებას წარმოადგენდა სახელმწიფოს ხელში პირადი ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სკანდალისაბჭოთა დიქტატურის დასასრულს, კერძოდ, 1990 წელს.<sup>1101</sup> ამ დროს მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში აღმოაჩინეს მოსასმენი აპარატურის მთელი სისტემა, რომელიც დამონტაჟებული იყო საბჭოთა საეციალური სამსახურების მიერ.<sup>1102</sup> სპეციალისტების შეფასებით, საელჩოს მთელი შენობა იყო ინფორმაციის გადამცემი ანა ტექნიკის უახლესი აღჭურვილობით; მოსასმენი აპარატურის აღმოჩენა კი პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.<sup>1103</sup> 1991 წელს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, ბაკატინმა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საბჭოთა კავშირში გადასცა მოსასმენ მოწყობილობათა სქემა, რომელიც საელჩოს შენობაში იყო დამონტაჟებული; აღნიშნული შეფასდადაბულობის მოსახსნელ კეთილი ნების ჟესტად და, იმავდროულად, საბჭოთა დაზვერვის სამსახურების მიერ ცინიკური მეთოდებით წარმართული საქმიანობის თვალსაჩინო მაგალითად.<sup>1104</sup> ისიც აღსანიშნავია, რომ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც აღნიშნული ფაქტი გაკიცხეს და სამამულო ინტელექტუალური საკუთრების გაფლანგვად შეაფასეს.<sup>1105</sup>

საბჭოთა ხელისუფლების კაპიტულაციის, ე.წ. „პერესტროიკის”, შემდეგ საქართველოს, როგორც უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს, წინაშე, დადგა მნიშვნელოვანი გამოწვევა, შეექმნა თავისი არსებობისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზა. 1995 წელს საქართველომ მიიღო კონსტიტუცია, ხოლო 1998 წლის 20 თებერვალს ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ქართველმა კანონმდებელმა მაშინ გადაწყვიტა, რომ ოპერატიული ღონისძიებები არ შეეჩნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და მათ შესახებ მიეღო სპეციალური კანონი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოაწესრიგებდა ოპერატიულ-სამქებრო საქმიანობას.<sup>1106</sup> ეს სფერო კვლავ მკაცრად გასაიდუმლოებული უწევდობით ნორმატიული აქტებით რეგულირდებოდა.<sup>1107</sup> 1999 წლის 15 მაისს მიღებულ იქნა კანონი ოპერატიულ-სამქებრო საქმიანობის შესახებ.

<sup>1100</sup> ი. Петрухин, Теоретические основы реформы уголовного процесса, 2004, С. 167.

<sup>1101</sup> Петрухин, И.Л., Личные тайны, 1998, С. 85.

<sup>1102</sup> იქვე-

<sup>1103</sup> იქვე-

<sup>1104</sup> იქვე-

<sup>1105</sup> იქვე-

<sup>1106</sup> ოპერატიულ-სამქებრო საქმიანობის შესახებ კანონის განმარტებითი ბარათი, №1933, 05.04.1999, 1.

<sup>1107</sup> იქვე-

ამ კანონის მიღებაზე მომუშავე იურისტების მიზანი იყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს შესაძლო თვითნებური ჩარევისგან და, ამავდროულად, საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობისთვის ხელშეწყობა.<sup>1108</sup>

ასე რომ, საქართველომ განსაზღვრა თავისი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მიზანი, მიიღო მნიშვნელოვანი საკანონმდებლო გადაწყვეტილებები, შექმნა აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა. მათ შორის, გადაწყვიტა ოპერატიული ხასიათის ღონისძიებების ჩატარების წესი.

## 2. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება – ოპერატიულ-სამძებროდან ფარულ საგამოძიებო ღონისძიებამდე

### 2.1. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ცნება და წარმოშობის ისტორია

იმისათვის, რომ გაირკვეს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების, როგორც ფარული საგამოძიებო ღონისძიების, სამართლებრივი ბუნება, უპირველესად უნდა მოხდეს მისი აღრე მოქმედი ფორმის, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხილვა. კერძოდ, საინტერესოა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების წარმოშობის ისტორია, მისი ცნებისა და არსის გარკვევა.

#### 2.1.1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ისტორიული ასპექტი

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას წარმოშობის უძველესი ისტორია აქვს. კონსპირაციული, ფარული მეთოდები ოდითგანვე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხელისუფლების ხელში არსებული მნიშვნელოვანი და ეფექტური საშუალება იყო. ოპერატიული ღონისძიებები ისტორიულად სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებოდა, მაგ., „მსტოვრობის საქმე”, „შპიონაჟი”, „მზვერავთა საქმე”.<sup>1109</sup>

საქართველოს ისტორიაში სახელმწიფოს კონსპირაციული, მსტოვრობად მოხსენიებული საქმიანობა წარმატებით გამოიყენებოდა დავით აღმაშენებლის მეფობის დროს.<sup>1110</sup> მიიჩნევა, რომ დავით მეფემ მანამდე უყურადღებოდ მიტოვებული მსტოვრობის საქმე ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით ძლიერ მექანიზმად აქცია.<sup>1111</sup> ისტორიული წყაროები მიუთითებს, რომ მეფე დავით მეოთხემ იცოდა ყველაფერი, რაც მის სამეფო ხდებოდა; კერძოდ, ლაშქარში, მონასტერსა თუ დიდ ფეოდალთა სახლებში.<sup>1112</sup> მსტოვართა ინსტიტუტის დახმარებით,

<sup>1108</sup> იქვე.

<sup>1109</sup> ალადაშვილი, ბ., სპეცსამსახურები და შპიონაჟი, წიგნი I, თბილისი, 2005; ალადაშვილი, ბ., შპიონაჟის საიდუმლო, თბილისი, 2007; ალადაშვილი, ბ., სპეცსამსახურები და შპიონაჟი, წიგნი II, თბილისი, 2009 - ციტირებული: უსენაშვილი, სამართლის უურნალი, №2, 2012, 89.

<sup>1110</sup> ლორთქიფანიძე, დავით აღმაშენებელი, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1979, გვ. 223-224.

<sup>1111</sup> ალადაშვილი, ბ., შპიონაჟის საიდუმლო, თბილისი, 2007, გვ.3 – ციტირებული: უსენაშვილი, სამართლის უურნალი, №2, 2012, 89.

<sup>1112</sup> ლორთქიფანიძე, დავით აღმაშენებელი, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1979, გვ. 223.

სავარაუდოდ, მეფე ინფორმირებული იყო ქვეყნის გარეთაც მეზობლებისა და მტრების საქმიანობისა და მდგომარეობის შესახებ.<sup>1113</sup> დავითის ისტორიკოსის თანახმად, „მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასავე თანა სიტყუისასა საცნაურ ქმნილ არს უეჭუელად წინაშე მეფისა”.<sup>1114</sup> ამ ისტორიულ წყაროებში ხაზგასმულია მსტოვართა ინსტიტუტის ოპერატორულ ხასიათი და მის ეფექტურობა, აღინიშნულია, რომ დავით აღმაშენებელმა „დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით, და მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა ესე”<sup>1115</sup>.

მსტოვრობის თეორიისა და პრაქტიკის თაობაზე ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სამეცნიერო ლიტერატურულ ნაშრომად ითვლება XI საუკუნეში დაწერილი ტრაქტატი „სანეტ-ნამე”, რომელიც მსტოვრობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ რეკომენდაციებს შეიცავდა და სახელმწიფოებს ბევრი ჯაშუშის ყოლას ურჩევდა.<sup>1116</sup> არსებობს საფუძვლიანი მოსახურება, რომ დავით აღმაშენებელმა, მსტოვართა ქსელის შექმნისას, მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ ტრაქტატით იხელმძღვანელდა.<sup>1117</sup>

რაც შეეხება ჩვენი ისტორიის არცთუ შორეულ წარსულს, კერძოდ, საბჭოთა პერიოდს, აქ შეიქმნა უკვე კონსპირაციული, ოპერატიული ღონისძიებების განმახორციელებელი სპეციალური დანიშნულების დანაყოფები (ე.წ. „სპეცნაზები”), რომლებიც ექვემდებარებოდნენ „კბ”-სა<sup>1118</sup> და „გრუ”-ს<sup>1119</sup>.<sup>1120</sup> ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობამ ძალიან ინტენსიური, არაკონტროლირებული ხასიათი მიიღო. საბჭოთა ოფიციალური პირები თუ იდეოლოგიური სამსახურები კი ჯიუტად უარყოფნებ აღნიშნულს;<sup>1121</sup> თუმცა, ისტორიამ მოგვიანებით გამოააშკარავა ე.წ. სპეცსამსახურების საქმიანობის უჩინარი მხარე.<sup>1122</sup>

თანამედროვე ეპოქაშიც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა რჩება დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მექანიზმად. გამოძიების დაწყებამდე ყოველი შესაძლო საფრთხის გარშემო ინფორმაციის ფლობა, პრევენციის თვალსაზრისით, იყო და რჩება სახელმწიფოს ხელში არსებულ მნიშვნელოვან იარაღად, რადგან მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ინფორმაციის ფლობა; „ცოდნა ძალად”.<sup>1123</sup>

მოქალაქეთა უმრავლესობას კი სურს, იცხოვროს უსაფრთხო სახელმწიფოში, რომელშიც ხელისუფლება ფლობს ყველა საჭირო ინფორმაციას, თუნდაც მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და შეუძლია, რომ საფრთხე, ეფექტიანი საქმიანობის წყალობით, თავიდან აიცილოს.<sup>1124</sup>

<sup>1113</sup> იქვე, გვ. 224.

<sup>1114</sup> იქვე.

<sup>1115</sup> იქვე.

<sup>1116</sup> ი. უსენაშვილი, სამართლის ქურნალი, №2, 2012, 90.

<sup>1117</sup> იქვე.

<sup>1118</sup> (КГБ СССР - Комитет государственной безопасности).

<sup>1119</sup> (ГРУ - Главное разведывательное управление).

<sup>1120</sup> ი. უსენაშვილი, სამართლის ქურნალი, №2, 2012, 90.

<sup>1121</sup> ი. ბაქრაძე, საპროფუროო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977, გვ. 126.

<sup>1122</sup> ი. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 181.

<sup>1123</sup> ი. Paeffgen, GA 2003, 659; ლათინურად: "Scientia potentia est".

<sup>1124</sup> იქვე, 660.

## 2.12. ოპერატიულ-სამძებრო დონისძიების ცნება

ტერმინი „ოპერატიულ-სამძებრო“ დონისძიება კანონმდებლობაში პირველად გაჩნდა 1958 წლის საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამართალწარმოების საფუძვლებში,<sup>1125</sup> რომლის 29-ე მუხლში განსაზღვრული იყო, რომ „ოპერატიულ-სამძებრო დონისძიება ტარდება, რათა გამოვლინდეს დანაშაულის ნიშნები და პირი, რომელმაც იგი ჩაიდინა“.<sup>1126</sup> ეს განმარტება იყო გავრცელებული მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის კანონმდებლობაში.<sup>1127</sup>

აღნიშნულ საკანონმდებლო განმარტებას მოჰყვა თპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ცნების ჩამოყალიბებაც საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. მაგ., რატინოვის მიხედვით, „ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობა იმ სადაზვერვო დონისძიებათა სისტემაა, რომელიც კანონზე და სხვა ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით, სპეციალური ტაქტიკური და ტექნიკური მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით გამიზნულია დანაშაულთა აღკვეთა-აცილებისა, გახსნისა და დამნაშავეთა ძებნის უზრუნველყოფისათვის. ოპერატიულ-სამძებრო დონისძიებები როგორც აშკარა, ისე ფარული მეთოდებით და საშუალებებით ხორციელდება. ფარული მეთოდების გამოყენება მოკვლევის ორგანოთა განსაკუთრებული კომპეტენციაა, რისთვისაც მათ გააჩნიათ აუცილებელი საშუალებები და სპეციალური აპარატი. რაც შეეხება ოპერატიულ-სამძებრო მუშაობის აშკარა ფორმებს, ისინი შეიძლება უშუალოდ გამომძიებლებმაც გამოიყენონ, ოღონდ, როგორც ტექნიკური ხერხი საგამოძიებო მოქმედებათა ეფექტურობის უზრუნველსაყოფად“<sup>1128</sup>.

ამ განმარტებას არ ეთანხმება ბაქრაძე და მიიჩნევს, რომ გამომძიებლის მიერ ოპერატიულ-სამძებრო დონისძიებათა გამოყენება, როგორც ტაქტიკური საშუალება, მცდარია, რამდენადაც მაშინდელი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამომძიებელს არ აძლევდა უფლებას, უშუალოდ ჩაეტარებინა ოპერატიულ-სამძებრო დონისძიებები.<sup>1129</sup>

ბაქრაძე ეთანხმება რუსი მეცნიერის იახინსკის პოზიციას, რომელიც აკრიტიკებს რატინოვს და თვლის, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მოკვლევის ორგანებში წარმოადგენდა პროცესგარეშე საქმიანობას.<sup>1130</sup>

თავის მხრივ, ბაქრაძე განმარტავს, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა თავისი შინაარსით განისაზღვრება იმ ფარული დონისძიებებისა და საშუალებათა გამოყენების ერთობლიობით,

<sup>1125</sup> იხ. ბაქრაძე, საპროცერო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977, გვ. 125.

<sup>1126</sup> იხ. ბუაძე/მუავანაძე, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, 2011, გვ. 16.

<sup>1127</sup> იქვე, გვ. 16-17.

<sup>1128</sup> Ратинов, А.Р. Взаимодействие следователей прокуратуры и органов милиции при расследовании преступлений. Практика применения нового уголовно-процессуального законодательства, Москва, 1962, gv. 86-90, ციტირებულია: ბაქრაძე, საპროცერო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977, გვ. 130.

<sup>1129</sup> იხ. ბაქრაძე, საპროცერო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977, გვ. 130.

<sup>1130</sup> ბაქრაძე, საპროცერო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977, გვ. 131.

რომლებიც სისხლის სამართლის პროცესგარეშე საქმიანობას წარმოადგენენ და მიმართული არიან მოსამზადებელი დანაშაულის ასაცილებლად, გაუხსნელ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მისაცემ პირთა დასადგენად, მიმალულ დამნაშავეთა ადგილსამყოფელის მისაგნებად და მათ დასაკავებლად<sup>1131</sup>.

ბაქრაძის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომმიებელი და ოპერატიული მუშაკები ერთი უწყების მუშაკები არიან და ერთსა და იმავე ამოცანას, დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეს, ემსახურებიან, თითოეულ მათგანს აკისრია თავისი მკაფიოდ განსაზღვრული უფლება-მოვალეობები, რაც საპროცესო კანონისა და, ასევე, შიდასაუწყებო ინსტრუქციებით არის რეგულირებული.<sup>1132</sup>

ოპერატიულ-სამძებრო დონისძიების საბჭოთა მეცნიერებაში ჩამოყალიბებული ცნების გავლენით განისაზღვრა ოპერატიულ-სამძებრო დონისძიების ცნება უკვე დამოუკიდებელი საქართველოს 1999 წელს მიღებულ კანონში „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ”, რომელიც დღემდე მოქმედებს. ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ოპერატიულ-სამძებრო დონისძიება არის ამ კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის მოქმედება, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ამოცანათა შესრულებას. აღნიშნულ ამოცანებს წარმოადგენს:

ა) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება;

ბ) იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

გ) იმ პირის ძებნა შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენის მიზნით, რომელიც, მიუხედავად გამოძახებისა, თავს არიდებს გამომიების ან სასამართლოს წინაშე გამოცხადებას; ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ძებნა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა, თუ ის თავს არიდებს მისთვის შეფარდებული იძულებითი დონისძიების გამოყენებას ან დანიშნული სასჯელის მოხდას;

დ) დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა;

ე) უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნა;

ვ) სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება;

ზ) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირება (სახელის, გვარის, ასაკის, მოქალაქეობის დადგენა);

თ) პენიტენციურ დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა.

<sup>1131</sup> იქვე, გვ. 127.

<sup>1132</sup> იქვე, გვ. 156.

ოპერატიულ-სამძებრო დონისძიების წარმოშობის ისტორიისა და მისი ცნების მოკლე მიმოხილვის შემდეგ მიზანშეწონილია თავად სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების, როგორც ოპერატიულ-სამძებრო დონისძიების, განხილვა.

## 2.2. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, როგორც ოპერატიულ-სამძებრო დონისძიება

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების ორი ძირითადი მოდელი არსებობს.<sup>1133</sup> ისინი პირობითად მოიხსენიება პოსტსაბჭოურ და დასავლეთევროპულ მოდელებად.<sup>1134</sup> დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (მათ შორის, გერმანია) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა განიხილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დარეგულირებულ, ჩვეულებრივ საგამოძიებო მოქმედებად; ხოლო პოსტსაბჭოური ქვეყნების სამართლებრივი მოდელების შემთხვევაში (მაგ., აზერბაიჯანი) აღნიშნული საქმიანობა რეგულირდება დამოუკიდებელი ნორმატიული აქტებით.<sup>1135</sup>

საქართველოშიც მოქმედებს დამოუკიდებელი ნორმატიული აქტი. კერძოდ, ზემოთ უკვე ნახსენები კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ”.

### 2.2.1. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” კანონის არსი

1999 წლის 30 აპრილს მიღებული კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” განსაზღვრავს ოპერატიულ-სამძებრო დონისძიებათა ჩატარების სამართლებრივ წინაპირობებს, ძირითად პრინციპებს, ამ დონისძიებათა ამოცანებსა და სახეებს.

კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული დონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან. ასე რომ, კანონის პირველივე მუხლში საუბარია დანაშაულებრივი ხელყოფისგან ადამიანის დაცვაზე.<sup>1136</sup>

1999 წლის 30 აპრილს მიღებული „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” კანონის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ ეს კანონპროექტი ეხება სამართალდაცვითი საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომლის წარმატებით გადაჭრა ხელს შეუწყობს დამნაშავეობასთან ბრძოლას.<sup>1137</sup> განმარტებითი ბარათი ადასტურებს, რომ საქართველოში არ არსებოდა საკანონმდებლო ბაზა,

<sup>1133</sup> იხ. უსენაშეილი, სამართლის ქურნალი, №2, 2012, 87.

<sup>1134</sup> იქმა.

<sup>1135</sup> იქმა.

<sup>1136</sup> იხ. მეფარიშვილი, სამართლის პუბლიცისტიკა, 2014, გვ. 115.

<sup>1137</sup> იხ. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის განმარტებითი ბარათი, №1933, 05.04.1999, გვ. 1.

ოომელიც მოაწესრიგებდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას; იმავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „როგორც ადრეულ საბჭოთა პერიოდში, საქართველოში ეს უადრესად როგორც და ფაქტიზი სფერო სამართალდაცვითი საქმიანობისა კვლავ უწყებრივი ნორმატიული აქტებით რეგულირდება. ამასთან, ეს აქტები მკაცრად გასაიდუმლოებულია და უმეტესობა ჯერ კიდევ სსრ კავშირის დროსაა მიღებული”.<sup>1138</sup>

განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტი ითვალისწინებს იმ რეალობასაც, რომელიც საქართველოში მაშინ არსებობდა დამნაშავეობასთან ბრძოლის სფეროში.<sup>1139</sup> განმარტებითი ბარათის თანახმად, „კანონპროექტში გაკეთებულია ცდა, დამნაშავეობასთან ბრძოლის კეთილშობილი მიზნის მისაღწევად, რომ არ დაზარალდეს ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი”.<sup>1140</sup>

საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის საქართველოს პარლამენტისადმი მიმართვის ტექსტში, რომელიც ოპერატიულ-სამძებრო ლონისძიებათა შესახებ კანონპროექტს ახლდა საკანონმდებლო ორგანოში წარდგენისას, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მომზადებული ამ კანონპროექტის მიზნად დასახელებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიულ პირთა უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა.<sup>1141</sup> პრეზიდენტის იმავე წერილში ვკითხულობთ, რომ კანონპროექტი „ადგენს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე საპროცესურო ზედამხედველობისა და სასამართლო კონტროლის მქანიზმებს, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის და პატივისცემის, კანონიერების, კონსპირაციის, ლია და ფარული მეთოდების შესამების პრინციპებს”.<sup>1142</sup> პრეზიდენტი იმაზეც მიუთითებს, რომ აღნიშნული კანონპროექტი განიხილა და მოიწონა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ.<sup>1143</sup>

მიზანშეწონილია, მოკლედ იქნეს განხილული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მათი განხორციელების საფუძვლები ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის 2014 წლის აგვისტომდე არსებული რედაქციის მიხედვით.

2014 წლის 1 აგვისტომდე არსებული რედაქციით, კერძოდ კი, მე-3 მუხლის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ემყარებოდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის

<sup>1138</sup> იხ. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის განმარტებითი ბარათი, №1933, 05.04.1999, გვ. 1; შეად. ფაფიაშვილი შ, დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკის პრობლემები, 1991, გვ. 64; ბაქრაძე, საპროცესურო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977, გვ. 125.

<sup>1139</sup> იხ. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის განმარტებითი ბარათი, №1933, 05.04.1999, გვ. 2.

<sup>1140</sup> იქვე.

<sup>1141</sup> იხ. საქართველოს პრეზიდენტის წერილი საქართველოს პარლამენტს, №151/1, 16.04.1999.

<sup>1142</sup> იქვე.

<sup>1143</sup> იქვე.

უფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, კონსპირაციის, დია და ფარული მეთოდების შეხამების პრინციპებს.<sup>1144</sup>

ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, აკრძალული იყო იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც:

ა) საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას;

ბ) საფრთხეს უქმნის იურიდიული პირის უფლებებს;

გ) დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოდიებასთან, დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან.<sup>1145</sup>

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საფუძვლებს წარმოადგენდა:

ა) აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის დავალება მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შესახებ (ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ტარდება სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ან დავალების მიმცემი თანამდებობის პირის – მოკვლევის ორგანოს უფროსის, გამომძიებლის, პროკურორის მითითებით);

ბ) დანაშაულის შესახებ დადგენილი წესით მიღებული განცხადების ან შეტყობინების განხილვის მიზნით მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის დავალება იმის შესახებ, რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის გამოც აუცილებელია წინასწარი გამომძიების ჩატარება, მაგრამ სახეზე არ არის დანაშაულის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნიშნების დამადასტურებელი მონაცემები;

გ) დადგენილება იმ პირის ძებნის შესახებ, რომელიც ემალება მოკვლევის ორგანოს, გამომძიებას, სასამართლოს ან თავს არიდებს სასჯელის მოხდას;

დ) პირის უგზო-უკვლოდ გაუჩინარება, ამოუცნობი გვამის ან უპატრონო ქონების აღმოჩენა;

ე) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თხოვნა-შეკითხვა;

ვ) საერთაშორისო სამართლდამცავი ორგანიზაციის ან უცხო ქვეყნის სამართლდაცვის ორგანოს თხოვნა-შეკითხვა სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულების (შეთანხმების) შესაბამისად.<sup>1146</sup>

ამასთან, აღსანიშნავია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მკაცრად გასაიდუმლოებული ბუნება. კერძოდ, კანონის 2014 წლის 1 აგვისტომდე რედაქციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით,

<sup>1144</sup> აღსანიშნავია, რომ კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში აღნიშნული ნორმა იდენტური ფორმულირებით მოცემულია მე-2 მუხლის პირველ პუნქტში.

<sup>1145</sup> აღსანიშნავია, რომ კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში აღნიშნული ნორმა იდენტური ფორმულირებით მოცემულია მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში.

<sup>1146</sup> აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნორმა მცირე ცვლილებებით კანონის დღეს მოქმედ რედაქციაშიც ძალაშია.

აკრძალული იყო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი მონაცემებისა და დოკუმენტების გაცნობა სამეცნიერო ან სხვა მიზნითაც კი, თუ მათი მოპოვებიდან გასული არ იყო 25 წელზე მეტი.

## 2.2.2. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის 2014 წლის აგვისტომდე მოქმედი რედაქციის მიხედვით

2014 წლის 1 აგვისტომდე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მიხედვით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა რიგს მიეკუთვნებოდა სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა. საინტერესო სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მაშინ არსებული საკანონმდებლო რეგულაციის მოკლე განხილვა.

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების მიერ გამოიყენებოდა კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

საინტერესო სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების, როგორც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების, განხორციელების ფორმალური (პროცედურული) წინაპირობები. აღსანიშნავია, რომ კანონით დადგენილი წესის თანახმად, ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც ზღუდავს კანონით გარანტირებული სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოებას, დაიშვებოდა მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით და თანამდებობის პირის მოტივირებული დადგენილებით, ან იმ პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც არამართლზომიერ მოქმედებათა მსხვერპლია, ან თუ სახეზეა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მონაცემები, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი, 2014 წლის 1 აგვისტომდე მოქმედი რედაქციით).

ასევე, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა სისხლის სამართლის საქმის აღმკრის შემდეგ ტარდებოდა მოსამართლის ბრძანებით. შუამდგომლობას, მისი მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა, პროკურატურისა და მოკვლევის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით განიხილავდა მოსამართლე დახურულ სასამართლო სხდომაზე, რომელზეც მოსამართლე იღებდა ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

- ა) გასცემდა ბრძანებას ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ;
- ბ) გამოიტანდა დადგენილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამასთან, არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის გარემოებებში გამონაკლისის სახით მოკვლევის ორგანოს უფროსის მოტივირებული დადგენილებით ამ ღონისძიების სისხლის სამართლის საქმის აღმკრამდეც ჩატარების შესაძლებლობა (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი, 2014 წლის 1

აგვისტომდე მოქმედი რედაქციით). ამავე მუხლის თანახმად, ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, ღონისძიების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში ეცნობებინა პროკურორისთვის, რომელიც, თავის მხრივ, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დაწყებიდან 48 საათში შუამდგომლობით მიმართავდა სასამართლოს. სასამართლო კი პროკურორის შუამდგომლობას განიხილავდა მისი წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში დახურულ სასამართლო სხდომაზე და გამოჰქონდა დადგენილება თპერატიულ-სამძებრო ღონისძიების კანონიერად ცნობის ან უკანონოდ ცნობის და, შესაბამისად, მისი შედეგების გაუქმების, ამ ღონისძიებით მოპოვებული მონაცემების განადგურების შესახებ (თპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი, 2014 წლის 1 აგვისტომდე მოქმედი რედაქციით).

ამ კანონის მნიშვნელოვან ფასეულობად ითვლებოდა სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი ფორმალური (პროცედურული) წინაპირობა, რაც გულისხმობს განსაზღვრულ თპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარებაზე სასამართლო კონტროლის არსებობას. თუმცა, საკამათოა, ისეთი მკაცრად გასაიდუმლოებული ღონისძიების ჩატარებაზე, როგორიც იყო სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა, რამდენად რეალური და ეფექტური შეიძლება ყოფილიყო სასამართლო კონტროლის განხორციელება.

როგორც უკვე აღინიშნა, სატელეფონო საუბრის ფარულმა მიყურადებამ თპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სახით იარსება 2014 წლის 1 აგვისტომდე, რის შემდეგაც ის ფარული საგამოძიებო ღონისძიების სახით აისახა სსხვ-ში.

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების, როგორც თპერატიულ-სამძებრო ღონისძიების, კანონში არსებული რეგულაციის მიმოხილვის შემდეგ, საინტერესო სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების საფუძველზე გაირკვეს თპერატიულ-სამძებრო ღონისძიების არსი და ძირითადი ამოცანები, რათა მოგვიანებით განვასხვაოთის და ფარული საგამოძიებო მოქმედება.

## 2.2.3. თპერატიულ-სამძებრო ღონისძიების არსი და ძირითადი ამოცანები

თპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დიდი ნაწილი შეუმჩნეველი რჩება საზოგადოებისთვის, რის გამოც თითქმის შეუძლებელია მასზე საზოგადოების მხრიდან კონტროლის განხორციელება.<sup>1147</sup> შესაბამისად, თპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ზუსტი და არაბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულირება ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტიად უნდა ჩაითვალოს.<sup>1148</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი განსხვავება თპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დარეგულირების ე.წ. მოდელებს შორის სწორედ წინასწარ რეგლამენტირებული მკაცრი შეზღუდვების დაწესებაშია.<sup>1149</sup> ე.წ. დასავლეთევროპული მოდელი, პოსტსაბჭოურისგან განსხვავებით, საფუძველშივე ადგენს თპერატიული ღონისძიებების გამოყენებით

<sup>1147</sup> იხ. უსენაშვილი, სამართლის ურნალი, №2, 2012, 91.

<sup>1148</sup> იქვე.

<sup>1149</sup> იქვე, 94.

ინფორმაციის მოპოვების აკრძალვას.<sup>1150</sup> მაგ., აღნიშნული ეხება ოპერატორი დონისძიებების ჩატარებას მხოლოდ კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ დანაშაულთა შემთხვევაში. როგორც წესი, პოსტსაბჭოური მოდელის ქვეყნებში კანონმდებელი არ განსაზღვრავს რაიმე სახის შეზღუდვას დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობების ან კატეგორიებს დაწესების გზით, რა შემთხვევაშიც შესაბამის უწყებებს არ ექნებოდათ უფლება, რომ განეხორციელებინათ სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატორულ-სამძებრო დონისძიებები.<sup>1151</sup> ამიტომაც დანაშაულის შემადგენლობათა არეალი, ფაქტობრივად, შეუზღუდავი რჩება.<sup>1152</sup>

დასავლეთევროპული მოდელის ქვეყნების ძირითადი ნაწილი კი ოპერატორულ-სამძებრო დონისძიებათა გატარების შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ დანაშაულის წინასწარ განსაზღვრულ შემადგენლობებთან მიმართებით.<sup>1153</sup>

ზოგიერთი ავტორი ოპერატორულ-სამძებრო დონისძიების დახასიათებისას ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მას განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ხასიათი და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და რომ ის ატარებს უფრო პრევენციულ ხასიათს.<sup>1154</sup> ოპერატორულ-სამძებრო საქმიანობის საზღვრები, ავტორთა ნაწილის თანახმად, მნიშვნელოვნად ფართოა; ასეთი დონისძიების ჩატარება შეიძლება განხორციელდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდეც, გამოძიების წარმოებასთან დაკავშირებით და ცალკეულ შემთხვევებში საქმეზე წარმოების დამთავრების შემდგომაც.<sup>1155</sup>

ოპერატორულ-სამძებრო დონისძიება თავისი არსით მიმართულია ინფორმაციის მოპოვებისკენ, მიმალული ბრალდებულის დადგენისა და დაკავებისკენ.<sup>1156</sup> ოპერატორულ-სამძებრო საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს დანაშაულის აღკვეთა-აცილება, გამოვლინება და გახსნა; ასევე, იმ პირთა დადგენა, რომლებიც ამზადებენ ან რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული.<sup>1157</sup>

ოპერატორულ-სამძებრო დონისძიება გამოიყენება მხოლოდ ისეთი მოქმედების დროს, რომელიც შეიძლება დაკვალიფიცირდეს დანაშაულად; ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს აღმინისტრაციული სამართლდარღვევის, დისციპლინური გადაცდომის ან სამოქალაქო სამართლებრივი დელიქტის ნიშნებს, არ იმსახურებს ოპერატორული დონისძიების ჩატარებას.<sup>1158</sup>

<sup>1150</sup> იქვე.

<sup>1151</sup> იქვე, 95.

<sup>1152</sup> იქვე.

<sup>1153</sup> იქვე.

<sup>1154</sup> იხ.: ბურგ/მუგანაძე, ოპერატორულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუფლები, 2011, გვ. 17, 25; ბაქრაძე, საპროკურორო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977, გვ. 127.

<sup>1155</sup> იხ. ბაქრაძე, საპროკურორო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977, გვ. 129; ბურგ/მუგანაძე, ოპერატორულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუფლები, 2011, გვ. 71.

<sup>1156</sup> იხ. ბურგ/მუგანაძე, ოპერატორულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუფლები, 2011, გვ. 17.

<sup>1157</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>1158</sup> იქვე, გვ. 19.

ავტორთა ნაწილი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ოპერატიულ-სამძებრო დონისძიება არაა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების განხორციელება, მაგრამ ის განმსჭვალულია სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ნორმების მოთხოვნით და ემსახურება მათ მიზანს.<sup>1159</sup>

ოპერატიულ-სამძებრო მოქმედება არის ინსტრუმენტი, რომელიც ავლენს კრიმინალური ქმედების ყველა მხარესა და ნიუანსს და აწვდის მას წინასწარ გამოძიებას.<sup>1160</sup> როგორც წესი, ოპერატიულ-სამძებრო დონისძიებებს შედეგად მოჰყვება საგამოძიებო მოქმედებები.<sup>1161</sup> თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოპერატიულ-სამძებრო დონისძიებები მხოლოდ საპროცესო საქმიანობის საწყისად კი არ გამოიყენება, არამედ უშუალოდ ამ დონისძიებით ხდება ხშირად დანაშაულის თავიდან აცილება, ძებნილის დაკავება და ა.შ.<sup>1162</sup>

ლიტერატურაში ხშირად ესმევა ხაზი იმ გარემოებას, რომ დანაშაულის გამოძიების პროცესში მოპოვებული მასალა, მათ შორის ოპერატიულ-სამძებრო, გამომძიებელმა უნდა გადაამუშაოს, გამოიკვლიოს და, საჭიროების შემთხვევაში, დაამაგროს და გააფორმოს იგი პროცესუალური საშუალებებით;<sup>1163</sup> ასე რომ, აღნიშნული მასალა საპროცესო ნორმების გამოყენებით მოგვიანებით გარდაიქმნება მტკიცებულებებად.<sup>1164</sup> უსაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო მასალა საპროცესო გადამუშავების გარეშე არ წარმოადგენს მტკიცებულებას და, პირიქით, გამოძიება დამოუკიდებლად ვერ შეაგროვებს მტკიცებულებათა საჭირო ჯამს.<sup>1165</sup> უსაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაცია თავდაპირველად ექვემდებარება დაზუსტებას, თუ რამდენად შეესაბამება რეალობას და შემდეგ კი მან უნდა გაიაროს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის „ქურა“ და გადაიქცეს კანონიერ მტკიცებულებად.<sup>1166</sup> ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისას კანონით დადგენილი წესით ხდება მოპოვებული ინფორმაციის მხოლოდ დოკუმენტირება და ისიც კონფიდენციალური დოკუმენტია; ამიტომაც, აკრძალულია ოპერატიულ-სამძებრო მონაცემის მტკიცებულებებად გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში, თუკი იგი არ გადამოწმდება საპროცესო კანონით დადგენილი საერთო წესით.<sup>1167</sup>

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგი ყოველთვის არ შეიძლება იყოს საპროცესო მნიშვნელობის მქონე და სამართალწარმოებაში გამოყენებული; ხშირად ისინი გამოიყენება მხოლოდ ინფორმაციის სახით, რომელიც

<sup>1159</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>1160</sup> იქვე, გვ. 23.

<sup>1161</sup> იქვე, გვ. 145.

<sup>1162</sup> იქვე.

<sup>1163</sup> იხ.: ფაფიაშვილი შ., დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკის პრობლემები, 1991, გვ. 64; ბაქრაძე, საპროკურორო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977, გვ. 129.

<sup>1164</sup> იხ. ბუაძე/ბუაძენაძე, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, 2011, გვ. 23.

<sup>1165</sup> იქვე, გვ. 23-24.

<sup>1166</sup> იქვე, 146.

<sup>1167</sup> იხ. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 52.

ლეგალიზაციას პპოვებს საგამოძიებო მოქმედებაში.<sup>1168</sup> აღსანიშნავია, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შემთხვევაშიცადნიშნულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას კანონმდებელი არ უკავშირებდა მაინც და მაინც ისეთ დანაშაულს, რომელზედაც წინასწარი გამოძიება უნდა ჩატარებულიყო; იგი შეიძლება გამოყენებულიყო შემოწმების მიზნითაც, როგორც პროფილაქტიკური ღონისძიება.<sup>1169</sup> განსაკუთრებით მწვავე კრიტიკას სწორედ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების პროფილაქტიკური მიზნით ჩატარების შესაძლებლობა იწვევს.

### 2.3. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და საგამოძიებო ღონისძიებების განმასხვავებელი ასპექტები

იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს პკლევის მნიშვნელოვან კითხვას, თუ რატომ გარდაიქმნა საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება ფარულ საგამოძიებო ღონისძიებად, საჭიროა გაირკვეს ძირითადი განმასხვავებელი ასპექტები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებასა და საგამოძიებო ღონისძიებებს შორის.

განსხვავება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებასა და საგამოძიებო ღონისძიებას შორის მეტად გაურკვეველი და ბუნდოვანი საკითხია სისხლის სამართლის პროცესში.

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, როგორც საგამოძიებო ღონისძიება, თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მნიშვნელოვანი წინაპირობა, ქმედითი მექანიზმია.<sup>1170</sup> მით უფრო მაშინ, როდესაც სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა ტექნიკის განვითარებისა და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, მარტივად შესაძლებელი გახდა როგორც დამნაშავისთვის, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.<sup>1171</sup> შედეგად კი შესაძლებელია, შეიქმნას ისეთი პარადოქსული სიტუაცია, როდესაც სხვა პირთა მიერ სატელეფონო საუბრის ფარული მოსმენა, ანუ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა, შეიძლება შეუმჩნეველი და, შესაბამისად, დაუსჯელი დარჩეს და საგამოძიებო ორგანოებს კი არ ჰქონდეთ კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, გამოიყენონ მტკიცებულებათა მოპოვების ეს მნიშვნელოვანი წყარო დანაშაულის გამოძიებისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.<sup>1172</sup> სწორედ ამ და სხვა გარემოებების გათვალისწინებით ავტორთა ნაწილი ამართლებს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების სსსკ-ში საგამოძიებო ღონისძიებად რეგულირებას.<sup>1173</sup> თუმცა, მეცნიერთა ნაწილში აღნიშნული გარკვეულ

<sup>1168</sup> იხ. ბუგაძე/მუგანაძე, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, 2011, გვ. 145.

<sup>1169</sup> იქვე, 72.

<sup>1170</sup> იხ. Юрина/Юрин, Контроль и запись переговоров, 2002, С. 6, 8; Данилюк/Виноградов/Щерба, Социалистическая законность, 1991, 32; შეად.: მეურმი შეიღო, წიგნში – სისხლის საპროცესო სამართლი (რედ. ფაფიაშვილი, ლ.), 2017, გვ. 518; Krieger, JR 1984, 490.

<sup>1171</sup> იხ. Юрина/Юрин, Контроль и запись переговоров, 2002, С. 9.

<sup>1172</sup> იქვე.

<sup>1173</sup> იქვე.

სპეციციზმს იწვევს; ისინი მიიჩნევენ, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, თავისი ბუნებით, წარმოადგენს წმინდა ოპერატორ-სამძებრო ლონისძიებას და დაუშვებელია მისი სსსკ-ით დარეგულირება.<sup>1174</sup>

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ამ ორი, სისხლის სამართლის საპროცესო და ოპერატორ-სამძებრო საქმიანობის, მიზნებისა და ამოცანების განმასხვავებელი ასპექტები. კერძოდ, თუ სისხლის სამართლის პროცესის ზოგად მიზანი და ამოცანაა დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და მართლმსაჯულების განხორციელება (სსსკ-ის პირველი მუხლი), ოპერატორ-სამძებრო საქმიანობის წინაშე კანონი განსაზღვრავს ისეთ ამოცანებს, როგორებიცაა: დანაშაულის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, ადგვეთა და ასევე, თავიდან აცილება (ოპერატორ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-3 მუხლი). კანონის აღნიშნული მუხლი ჩამოთვლის ამ საქმიანობის წინაშე არსებულ უფრო კონკრეტულ ამოცანებს, როგორებიცაა, მაგ., დაკარგული პირის ანდა ქონების ძებნა, სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება, დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირება და სხვა.

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მაგალითზე საუბრისას ავტორთა ნაწილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საგამოძიებო ღონისძიებად გათვალისწინების შემთხვევაში ვერ გვექნება საგამოძიებო ღონისძიების განმსაზღვრელი ნიშანი, კერძოდ, შესაბამისი წყაროდან მტკიცებითი მასალის უშუალოდ გამომძიებლის მიერ მოპოვება და დამაგრება, რადგან გამომძიებელი თავად არ ახორციელებს ფარულ სატელეფონო მიყურადებასა და ჩაწერას,<sup>1175</sup> გამომძიებელს არ შესწევს უნარი და არ აქვს ამისი რესურსი, თავად განახორციელოს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება.<sup>1176</sup>

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საგამოძიებო ღონისძიების სახით არსებობის წინააღმდეგია გია მეფარიშვილი, რომელიც მხარს უჭერს ოპერატორ-სამძებრო საქმიანობისა და საპროცესო საქმიანობის ერთმანეთისგან მკაცრ გამიჯვნას; იგი დაუშვებლად მიიჩნევს ოპერატორ-სამძებრო საქმიანობის სისხლის სამართლის პროცესთან შერწყმას და აღნიშნულს აშკარად მცდარ, მეცნიერულად მიუღებელ მოსაზრებას უწოდებს.<sup>1177</sup> ბაქრაძეც აუცილებლად მიიჩნევს საგამოძიებო აპარატისა და სამძებრო სამსახურის საქმიანობის სფეროთა მკვეთრ გამიჯვნას, რათა კონკრეტულ ღონისძიებათა გატარებაში აღიკვეთოს ყოველგვარი პარალელიზმი.<sup>1178</sup> სისხლის საპროცესო სამართალწარმოებისა და ოპერატორ-სამძებრო

<sup>1174</sup> ი. Петрухин, Правосудие: время реформ, 1991, 81; შეად. Шейфер, 2006, гл. 22, §8, С. 375.

<sup>1175</sup> ი. Шейфер, 2006 гл. 22, §8, С. 375.

<sup>1176</sup> ი. Петрухин, Личные тайны, 1998, С. 87; Петрухин, Правосудие: время реформ, 1991, С. 81; შეად. ფაფიაშვილი ქ. დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკის პრობლემები, 1991, გვ. 60.

<sup>1177</sup> ი. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 50; მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2007, გვ. 26, 38.

<sup>1178</sup> ი. ბაქრაძე, საპროცესო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977, გვ. 155.

საქმიანობის საგნის, პრინციპების, მეთოდებისა და საშუალებების მკვეთრ გამიჯვნას ობიექტურ აუცილებლობად მიიჩნევს ავტორთა ნაწილიც.<sup>1179</sup>

მეფარიშვილი თვლის, რომ აბსოლუტურად მიუდებელია, როდესაც ოპერატიულ-სამძებრო უფლებამოსილებით აღიჭურვებიან გამომძიებელი და პროკურორი, ხოლო საგამოძიებო ორგანოები და პროკურატურა გამოცხადებიან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებად.<sup>1180</sup> მეფარიშვილი მიიჩნევს, რომ პროკურატურამ უნდა განახორციელოს ზედამხედველობა ოპერატიულ-სამძებრო კანონმდებლობის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე.<sup>1181</sup> ბაქრაძე აღნიშნავს, რომ საპროკურორო ზედამხედველობის როლი ამ სფეროში დიდი და საპასუხისმგებლოა.<sup>1182</sup> როდესაც ერთი სახელმწიფო ორგანო თავად ატარებს ოპერატიულ-სამძებრო დონისძიებებს და თავადვე ახორციელებს ზედამხედველობას მის კანონიერებაზე, მაშინ, მეფარიშვილის აზრით, შეიქმნება „უცნაური სამართლებრივი სიმბიოზი“ და სიტუაცია დაემსგავსება გოგოლის „რევიზორის“ ფაბულას, სადაც უნტეროფიცრის ქვრივი ცუდი საქციელის ჩადენის შემდეგ საკუთარ თავს წკეპლავს.<sup>1183</sup>

მთავარ და ძირითად არგუმენტად, რომლის გამოც მეფარიშვილისთვის აღნიშნული კონსტრუქცია მიუდებელია, ავტორი ასახელებს იმას, რომ ოპერატიულ-სამძებრო გზით მიღებულ მონაცემებზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოირიცხოს საგამოძიებო კონტროლი.<sup>1184</sup> ასეთმა ნაბიჯმა, ავტორის აზრით, შეიძლება, ძალიან სერიოზული გართულებები შეუქმნას ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებს.<sup>1185</sup> როგორც მეფარიშვილი აღნიშნავს, ოპერატიულ-სამძებრო მონაცემები ყოველთვის ხასიათდება ალბათობის მაღალი დონით; სწორედ ამიტომ უნდა არსებობდეს გარკვეული საპროცესო ფილტრი, რომელიც ლეგალურად გადაამოწმებს ამ მონაცემებს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასეთი ფილტრის როლი კი, მისი აზრით, სწორედ გამომძიებელმა და პროკურორმა უნდა შეასრულონ.<sup>1186</sup> ბაქრაძე მიიჩნევს, რომ კანონით დადგენილი წესით უნდა მოხდეს გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებათა სარწმუნობის, მათი მტკიცებულების ძალის პროცესუალური საშუალებებით შემოწმება და შეფასება.<sup>1187</sup> მეფარიშვილის მოსაზრებით, სატელეფონო საუბრების ფარული მიყერადებისა და ჩაწერის საპროცესო წესით დარეგულირების შემთხვევაში მტკიცებულებათა წყაროები მოქალაქეთა კონსტიტუციური

<sup>1179</sup> ი. მამნიაშვილი/გახოიძე/გაბისონია, სისხლის სამართლის პროცესი, 2012, გვ. 106.

<sup>1180</sup> ი. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 50.

<sup>1181</sup> იქვე.

<sup>1182</sup> ი. ბაქრაძე, საპროკურორო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977, გვ. 153, 34, 138.

<sup>1183</sup> ი. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 51.

<sup>1184</sup> იქვე.

<sup>1185</sup> ი. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2007, გვ. 40.

<sup>1186</sup> ი. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2007, გვ. 40; მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 51; ოპერატიულ-სამძებრო დონისძიების შედეგად მიღებული მონაცემების ეწ. ლეგალიზაციის პროცედურასთან დაკავშირებით ი. კარნეევა, Социалистическая законность, 1990, 35; Петрухин, Личные тайны, 1998, С. 92; Петрухин, Теоретические основы реформы уголовного процесса, 2004, С. 167-168.

<sup>1187</sup> ი. ბაქრაძე, საპროკურორო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977, გვ. 128.

უფლებების შეზღუდვის ხარჯზე გაფართოვდება; აღნიშნულს კი ავტორი გაუმართლებლად მიიჩნევს.<sup>1188</sup>

აღსანიშნავია, რომ ოპერატიული საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაცია არ არის ყოველთვის სრულყოფილი<sup>1189</sup> და ის მართლაც ხასიათდება ალბათობის მაღალი დონით<sup>1190</sup>. აღნიშნული, მრავალ მიზეზთან ერთად, აიხსნება იმ გარემოებით, რომ ოპერატიული დონისძიებები, თავის მხრივ, სპეციფიკურია, ხოლო მათი ამოცანები – მრავალფეროვანი.<sup>1191</sup> როგორც ფონიცერი წერდა, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები მუშაობენ დანაშაულის ცხელ კვალზე, რაც ამ ორგანოებისგან მოითხოვს სისწრაფეს, ამიტომაც ივარაუდება, რომ ისინი საქმიანობის კანონით დადგენილი ფორმალურ (პროცედურულ) წინაპირობებს ნაკლებად ითვალისწინებენ.<sup>1192</sup> ამას ერთვება ის გარემოება, რომ ოპერატიული მუშაკის სასამართლოში გამოძახება, მის მიერ მოპოვებული მასალის სანდოობის შემოწმების მიზნით, პრაქტიკულად შეუძლებელია.<sup>1193</sup> სწორედ ამ სპეციფიკის გათვალისწინებით, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ კონკრეტული დონისძიებების განმახორციელებისას კანონით დადგენილი ფორმალური (პროცედურული) წინაპირობების ზედმიწევნით დაცვას; ამიტომაც მიღებული მონაცემები დიდი სიფრთხილით უნდა შეფასდეს<sup>1194</sup> და დაექვემდებაროს სისხლის სამართლის საქმიდან გამორიცხვას და დაუშვებლად ცნობას.<sup>1195</sup>

მეფარიშვილი ხაზს უსვამს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და სისხლის სამართლის პროცესით დარეგულირებული საგამოძიებო დონისძიებების წარმოების განსხვავებულ სპეციფიკას და დასკვნის, რომ სისხლის სამართლის პროცესი სხვაა, ხოლო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა – აბსოლუტურად სხვა.<sup>1196</sup> ავტორი თვლის, რომ, მართალია, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას მჭიდრო კავშირი აქვს სისხლის სამართლის პროცესთან, მაგრამ თავისი ბუნებით რადიკალურად განსხვავდება მისგან,<sup>1197</sup> განკუთვნება უფრო ადმინისტრაციული სამართლის სფეროს,<sup>1198</sup> წარმოადგენს ინფორმაციული ხასიათის ურთიერთობას<sup>1199</sup>. ამასთან, ოპერატიული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები ძირითადად არ არიან უფლებამოსილნი, განახორციელონ იძულებითი ხასიათის დონისძიებები (როგორებიცაა,

<sup>1188</sup> ი. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 181.

<sup>1189</sup> ი. იურინ/Юрин., Контроль и запись переговоров, 2002, С. 6, 10.

<sup>1190</sup> ი. Петрухин, Теоретические основы реформы уголовного процесса, 2004, С. 167.

<sup>1191</sup> ი. იურინ/Юрин, Контроль и запись переговоров, 2002, С. 6.

<sup>1192</sup> ი. Фойницкий, Русское уголовное судопроизводство, 1893, С. 5-6.

<sup>1193</sup> ი. იურინ/Юрин, Теоретические основы реформы уголовного процесса, 2004, С. 167.

<sup>1194</sup> იქვე.

<sup>1195</sup> ი. იურინ/Юрин, Контроль и запись переговоров, 2002, С. 6.

<sup>1196</sup> ი. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 52; მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2007, გვ. 28.

<sup>1197</sup> ი. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 51.

<sup>1198</sup> ი. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2007, გვ. 38.

<sup>1199</sup> იქვე, გვ. 39.

მაგ., ჩხრეკა, ამოდება, დაკითხვა).<sup>1200</sup> ასე რომ, აღნიშნულ ორგანოებს ეკრძალებათ აღმასრულებელი უფლებამოსილების განხორციელება.<sup>1201</sup>

მართალია, ოპერატიულ-სამქებრო ღონისძიებათა ამოცანებს მიეკუთვნება დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა და აღკვეთა, მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, აღნიშნულ საქმიანობას უფრო პრევენციული ხასიათი აქვს<sup>1202</sup> და იგი, საპროცესო ღონისძიებისგან განსხვავებით, ძირითადად არ არის მიმართული კონკრეტული პირის წინააღმდეგ,<sup>1203</sup> რამდენადაც ოპერატიულ-სამქებრო ღონისძიება, უმეტესწილად, ტარდება სისხლის სამართლის საქმის აღმოჩენის მიზანით, აღმოჩენის თანახმად, ოპერატიულ-სამქებრო საქმიანობა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის დამოუკიდებელი სახეა, ის არის არასაპროცესო ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც სისხლის სამართლის ფარგლებს გარეთ წარმოებს; ოპერატიულ-სამქებრო საქმიანობა უფრო ფართომასშტაბიან ამოცანებს წყვეტს და სისხლის სამართლის პროცესს მხოლოდ იმ ნაწილში ეხება, რომელიც ეხმარება სასამართლოს, პროკურატურასა და საგამოძიებო ორგანოებს დანაშაულისა თუ სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გახსნაში, ასევე დანაშაულის ჩამდენ პირთა დადგენასა და გამოვლენაში.<sup>1205</sup> ოპერატიულ-სამქებრო ღონისძიებისგან განსხვავებით, საგამოძიებო ღონისძიება ვერ განხორცელდება კონკრეტული ეჭვის, ვარა უდის,<sup>1206</sup> სსსკით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების შემთხვევაში კი – დასაბუთებული ვარაუდის<sup>1207</sup> არსებობის გარეშე. ასე რომ, საგამოძიებო ღონისძიებები, ოპერატიულ-სამქებრო ღონისძიებისგან განსხვავებით, ვერ გავრცელდება გამოძიების წინარე უტაპზე, ვიდრე არ იარსებს გამოძიების დაწყების ოფიციალური წინაპირობა.<sup>1208</sup> ამიტომ ზოგიერთი ავტორი მიუთითებს საგამოძიებო ღონისძიების უპირატესობაზე, რადგან სისხლის სამართლის საქმის აღმოჩინის მომენტისთვის გამოძიებას უკვე აქვს საქმეზე საკმარისი მტკიცებითი მასალა და შეუძლია, უფრო კვალიფიციურად გადაწყვიტოს საკითხი კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ.<sup>1209</sup>

მართალია, მნიშვნელოვანი განმასხვავებელი გარემოებაა ის, რომ სისხლის საპროცესო სამართლის ღონისძიებები მოწოდებულია არა მომავალი საფრთხის თავიდან აცილებისკენ, არამედ წარსულში განხორციელებული სამართლდარღვევის გამოძიებისკენ.<sup>1210</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი დეპნა, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და დანაშაულის თავიდან აცილება, პრევენცია

<sup>1200</sup> ი. Sandkuhl , in: FS für Hamm, 625.

<sup>1201</sup> იქვე.

<sup>1202</sup> ი. Захарцев, Оперативно-розыскные мероприятия, 2004, С. 79-80.

<sup>1203</sup> ი. Kniesel, ZRP 1987, 377.

<sup>1204</sup> ი. ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, 2015, გვ. 44 და შემდეგი. შეად. მამიაშვილი/განხორციელებული სამართლდარღვევის გამოძიებისკენ.<sup>1210</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი დეპნა, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და დანაშაულის თავიდან აცილება, პრევენცია

<sup>1205</sup> ი. მამიაშვილი/განხორციელებული სამართლის პროცესი, 2012, გვ. 106.

<sup>1206</sup> ი. თუმცა სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 42.

<sup>1207</sup> სსსკის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.

<sup>1208</sup> ი. Kniesel, ZRP 1987, 380; იურია/Юрин, Контроль и запись переговоров, 2002, С.20.

<sup>1209</sup> ი. იურია/Юрин, Контроль и запись переговоров, 2002, С. 10.

<sup>1210</sup> ი. Kniesel, ZRP 1987, 382.

გარკვეულწილად ავსებენ ერთმანეთს.<sup>1211</sup> დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა არ გულისხმობს მხოლოდ პროცერორის მიერ (საწერ მაგიდასთან) რეპრესიული ღონისძიებების დაგეგმვას, არამედ ის რეალიზდება ოპერატიული ორგანოების მიერ პრევენციული ხასიათის მქონე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებით (ქუჩაში).<sup>1212</sup> გამომძიებლისა და ოპერატიული-სამძებრო მუშაკის სწორ, ერთობლივ საქმიანობაზე ბევრია დამოკიდებული დანაშაულის სწრაფი გახსნისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით.<sup>1213</sup>

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ხორციელდება ღია და ფარული მეთოდებით (უფრო ხშირად ფარულად, კონფიდენციალურად),<sup>1214</sup> იგი არ მიმდინარეობს მხარეებს შორის, როგორც ეს სისხლის სამართლის პროცესშია, და მხარემ საერთოდ არც იცის მისი არსებობის შესახებ.<sup>1215</sup> ამისგან განსხვავებით, გამომძიებელი და პროცერორი სისხლის სამართალწარმოების სუბიექტები არიან,<sup>1216</sup> რომელთა უფლებამოსილება წესრიგდება საპროცესო კანონმდებლობით.<sup>1217</sup> სისხლის საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობები ყოველთვის გულისხმობს სამართალურთიერთობის ნორმალურ, ლეგალურ ფორმას, როდესაც მხარეებმა, როგორც წესი, იციან სამართალწარმოების შესახებ, მათ აქვთ სათანადო უფლებები და ეკისრებათ შესაბამისი მოვალეობები.<sup>1218</sup> რესი მეცნიერი ფილიპოვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებისგან განსხვავებით, სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადება, როგორც საგამოძიებო ღონისძიება, ხორციელდება კანონით დადგენილი წესის დაცვით და მისიმიზანია დანაშაულის გახსნისა და გამომძიებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.<sup>1219</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით მეფის შვილი აღნიშნავს, რომ სისხლის სამართალწარმოება მიმდინარეობს მხოლოდ მხარეებს შორის და ისიც შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, სადაც მხარეს უფლება აქვს, გაეცნოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას და ისარგებლოს საკუთარი უფლებების დაცვის ფართო საექტრით.<sup>1220</sup> ასეთი რამ კი, ავტორის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დროს გამორიცხულია.<sup>1221</sup>

<sup>1211</sup> ი. გ. Kniesel, ZRP 1987, 378; შეად. ფაფიაშვილი ქ., დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიების პრობლემები, 1991, გვ. 64.

<sup>1212</sup> ი. გ. Kniesel, ZRP 1987, 378.

<sup>1213</sup> ი. გ. ფაფიაშვილი ქ., დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიების პრობლემები, 1991, გვ. 58, 71.

<sup>1214</sup> ი. გ. ბაქრაძე. საპროცერორო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977, გვ. 125.

<sup>1215</sup> ი. გ. მეფის შვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 51; მეფის შვილი, ცხოვრება და კანონი, 2007, გვ. 38.

<sup>1216</sup> ი. გ. აქუბარდია, წიგნში – სისხლის სამართლის პროცესი (რედ. გოგ შელიძე, რ.), 2009, §2, გვ. 81.

<sup>1217</sup> ი. გ. მეფის შვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 51.

<sup>1218</sup> ი. გ. მეფის შვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 51; მეფის შვილი, ცხოვრება და კანონი, 2007, გვ. 38; შეად. აქუბარდია, წიგნში – სისხლის სამართლის პროცესი (რედ. გოგ შელიძე, რ.), 2009, §2, გვ. 79 და შემდეგი.

<sup>1219</sup> ი. გ. ფილიპიან, Тактика прослушивания и звукозаписи переговоров, 1993, С. 216-223.

<sup>1220</sup> ი. გ. მეფის შვილი, ცხოვრება და კანონი, 2008, გვ. 52.

<sup>1221</sup> იქვე.

ოპერატიულ-სამქებრო ბუნებისა და ფარული განმასხვავებელი ასპექტების განხილვის შემდეგ, საინტერესოა მოკლე ისტორიული ექსკურსი, თუ რა გზა გაიარა სატელეფონო საუბრის ფარულმა მიყურადებამ 2014 წლის რეფორმამდე, როდესაც აღნიშნული დონისძიების სამართლებრივ ფორმად ქართველმა კანონმდებელმა აირჩია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საგამოძიებო დონისძიება.

## 2.4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2010 წლის ცვლილებათა პაკეტი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით

2006 წლის 4 აპრილს საქართველოს პარლამენტს წარედგინა მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი<sup>1222</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ.<sup>1223</sup> კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანხმად, ის წარმოადგენს 2002 წლიდან სისხლის სამართლის სისტემის მნიშვნელოვან გამარტივებაზე საქართველოში დაწყებული სამუშაოს შედეგს და საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 9 ივლისის №549 განკარგულებით მოწონებული სტრატეგიის პრინციპების პრაქტიკულ რეალიზაციას.<sup>1224</sup>

კანონპროექტის მიზნად გამოცხადდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ახალი სისტემის შექმნა, რომელიც აგებულია შეჯიბრებითობის, საჯაროობის, მხარეთა თანასწორობის, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის, ბრალდებულის უფლებათა პატივისცემისა და სხვა პროგრესულ პრინციპებზე.<sup>1225</sup>

<sup>1222</sup> კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილებდნენ შემდეგი სახელმწიფო, არასახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები/დაწესებულებები: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს გენერალური პროექტატურა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „თავისუფლების ინსტიტუტი”, ევროპის საბჭო, ევროკავშირის მისია საქართველოში (EUJUST-THEMIS), აშშ-ს საელჩო საქართველოში, ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო, გერმანიის ტექნიკური დახმარებისა და თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), ი.ხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი”, №1772-IIს, 04.04.2006, გვ. 9, <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110622>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1223</sup> ი.ხ. საქართველოს მთავრობის წარდგინება საქართველოს პარლამენტს, №1/104, 04.04.2006, <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110618>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1224</sup> ი.ხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი”, №1772-IIს, 04.04.2006, გვ. 1, <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110622>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1225</sup> იქნ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი”, №1772-IIს, 04.04.2006, გვ. 1, <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110622>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტის უმთავრესი ნოვაცია იყო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის არსებითი გარდაქმნა ჩვეულებრივ საგამოძიებო მოქმედებად,<sup>1226</sup> მთავარი არსი კი – მაქსიმალურად მკაცრი სასამართლო კონტროლის დაწესება ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც პოტენციურად ყველაზე მეტად აღწევს ბრალდებულის (თუ სხვა პირის) პირად ცხოვრებაში.<sup>1227</sup>

ახალი საპროცესო კოდექსის პროექტის მიხედვით, გაუქმებული იყო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისთვის „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული ფაქტობრივად პრივილეგირებული და განსაკუთრებით არაგამჭვირვალე საპროცესო სტატუსი.<sup>1228</sup> შესაბამისად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და დაკანონება რეგულირდება იმავე საპროცესო წესებით და მათზე ხორციელდება ისეთივე სამოსამართლო კონტროლი, როგორიც ჩვეულებრივ საგამოძიებო მოქმედებებზე.<sup>1229</sup>

#### 2.4.1. კანონპროექტის არსი და მისი განხილვა პარლამენტში

##### 2.4.1.1. ინიცირებული კანონპროექტის<sup>1230</sup> არსი

კანონპროექტის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არავის აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის, მიმოწერის, საფოსტო გზავნილის, პირადი ჩანაწერის, სატელეგრაფო შეტყობინების, სატელეფონო საუბრის, სხვა ტექნიკური საშუალებით გადაცემული პირადი ხასიათის ინფორმაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით.

კანონპროექტის XVIII თავი ეძღვნება სწორედ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს. 158-ე მუხლის მიხედვით, „ფარულია საგამოძიებო მოქმედება, რომლის მიზანია აღმოჩენილ და ამოღებულ იქნას საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის საჯაროობა შეზღუდულია ამ თავით დადგენილი წესით.“<sup>1231</sup>

იმავე მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეებს, რომელთა შორისაა, კერძოდ „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადება და ჩატარა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებასთან, კომპიუტერულ ქსელთან, სახაზო კომუნიკაციასთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით).

<sup>1226</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>1227</sup> იქვე.

<sup>1228</sup> იქვე.

<sup>1229</sup> იქვე, გვ. 2-3.

<sup>1230</sup> იბ. 2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (№1772-IIს) საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი,

<http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110621>, უკანასნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1231</sup> იქვე.

კანონპროექტის 159-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადება და ჩაწერა ტარდება პროცესურორის შუამდგომლობით მოსამართლის (სასამართლოს) ბრძანების (განჩინების) საფუძველზე.

კანონპროექტის 159-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა იყოს, რომ მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედებით მოპოვებულ იქნება ის ინფორმაცია, რომლის მოპოვება სხვა საგამოძიებო მოქმედებით შეუძლებელია.

რაც შეეხება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგად წესს, კანონპროექტის 160-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე (სასამართლო) მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს შუამდგომლობას, მასზე დართულ მასალებს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) გასცემს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ბრძანებას;

ბ) გამოიტანს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დადგენილებას (განჩინებას).

სსსკის კანონპროექტის 160-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ბრძანებაში აღინიშნება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები, პირობები, ადგილი, ობიექტი, საშუალება, ხერხი (მათ შორის ტექნიკური), ვადა, ბრძანების აღმასრულებელი პირი (ორგანო) და სხვა საჭირო ინფორმაცია. აღნიშნული ბრძანება გაიცემა 30 დღემდე ვადით; პროცესურორის შუამდგომლობით, დასაშვებია ამ ვადის 30 დღემდე ვადით გაგრძელება (კანონპროექტის 160-ე მუხლის მესამე ნაწილი).

აღსანიშნავია კანონპროექტის მოთხოვნა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია უკლებლივ უნდა წარედგინოს პროცესურორს (კანონპროექტის 160-ე მუხლის მერვე ნაწილი).

კანონპროექტის 161-ე მუხლის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უშუალოდ ან სხვა პირის დახმარებით, წინასასამართლო გამოიქვის ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოს.

აღსანიშნავია კანონპროექტის 162-ე მუხლში გაცხადებული მოთხოვნა, რომელიც, თავის მხრივ, იცავს კონკრეტულ პირებს მათ მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისგან. კერძოდ, კანონპროექტის 162-ე მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელ პირს (ორგანოს), მაქსიმალურად შეზღუდოს იმ კომუნიკაციისა და პირის მონიტორინგი, რომელსაც გამოიქვანილი არ აქვს. ხოლო, ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ წინასწარ ცნობილია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი სასულიერო პირი, ადვოკატი, უკრნალისტი ან იმუნიტეტის მქონე პირია, მოცემული მოქმედების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არ უკავშირდება მათ კანონით დაცულ საქმიანობას.

დაბოლოს, კანონპროექტის მნიშვნელოვანი ნოვაცია იყომისი 166-ე მუხლის მოთხოვნა ფარული საგამოძიებო მოქმედების რეესტრის შექმნის შესახებ. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში დგება ფარული საგამოძიებო მოქმედების ბრძანების

(განჩინების) რეესტრი. ბრძანების (განჩინების) გამომტან მოსამართლეს (სასამართლოს) რეესტრში შეაქვს ინფორმაციავინ, როდის, ვისი შუამდგომლობით, ვის მიმართ და რა ვადით გასცა ბრძანება. რეესტრის მონაცემებში მიეთითება სისხლის სამართლის საქმის ნომერიც. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებული ინფორმაციის განსაიდუმლოების შემდეგ საჯაროა რეესტრის ინფორმაციაც.

#### 2.4.1.2. კანონპროექტში შესული ცვლილებები მისი საპარლამენტო განხილვის დროს

მნიშვნელოვანია რამდენიმე ცვლილება, რომლებიც ინიცირებულ კანონპროექტში შევიდა საპარლამენტო განხილვის პროცესში ფარულ საგამოძიებო დონისძიებებთან დაკავშირებით.

ადსანიშნავია, რომ პარლამენტში პირველ მოსმენამდე კანონპროექტს დაემატა მნიშვნელოვანი ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წინაპირობას. საქმე ესება კანონპროექტის 2006 წლის 3 ივლისის რედაქციას,<sup>1232</sup> რომლის 160-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და არსებული ინფორმაცია ადასტურებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას. მოგვიანებით კი, პარლამენტში მეორე მოსმენით განსახილველი 2009 წლის 16 ივლისის კანონპროექტის რედაქციაში<sup>1233</sup> აღნიშნული დებულების ფორმულირება შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩადენილია დანაშაული და არსებული ინფორმაცია ადასტურებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას (138-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ასევე, პარლამენტში კანონპროექტის მეორე მოსმენით განსახილველ რედაქციაში<sup>1234</sup> ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეების ჩამონათვალში განსაზღვრება – სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა - შეიცვალა განსაზღვრებით – ტექნიკური საშუალებით განხორციელებული კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა (კანონპროექტის 2009 წლის 16 ივლისის რედაქციის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ” ქვეპუნქტი).

ამასთან, კანონპროექტის პარლამენტში მეორე მოსმენით განსახილველი რედაქციის<sup>1235</sup> თანახმად, თუკი ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება გაიცემოდა 30 დღემდე ვადით

<sup>1232</sup> იბ. 2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (№1772-IIს) საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი I მოსმენამდე, <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/75645>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1233</sup> იბ. 2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (№1772-IIს) საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი II მოსმენამდე, <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110614>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1234</sup> იქვე-

<sup>1235</sup> იქვე-

პროერორის შუამდგომლობით, დასაშვები გახდა ამ ვადის გაგრძელება უკვე კონკრეტული შეზღუდვის გარეშე (კანონპროექტის 2009 წლის 16 ივლისის რედაქციის 138-ე მუხლის მეოთხე ნაწილი). წინა რედაქციით კი აღნიშნულის გაგრძელება შეიძლებოდა 30 დღემდე ვადით.

ადსანიშნავია, რომ მეორე მოსმენით განსახილველ კანონპროექტში გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომლის მისამართითაც იზღუდებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება. კერძოდ, კანონპროექტის 2009 წლის 16 ივლისის რედაქციის<sup>1236</sup> 140-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ წინასწარ ცნობილია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი სასულიერო პირი, პოლიტიკური ან საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, მეცნიერი, პედაგოგი, ადვოკატი, ურნალისტი ან იმუნიტეტის მქონე პირია, მოცემული მოქმედების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არ უკავშირდება მათ კანონით დაცულ საქმიანობას.

#### **2.4.2. ფარული საგამოძიებო მოქმედებები 2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით**

2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მნიშვნელოვანია წინამდებარე კვლევის არსთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების მოკლე განხილვა.

საპროცესო კოდექსის XVI თავი დაეთმო ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს. 136-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავდა ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეებს, რომელთა შორის იყო, კერძოდ „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ტექნიკური საშუალებით განხორციელებული კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა.

სსსკ-ის 137-ე მუხლის მეორე ნაწილით განისაზღვრა, რომ ტექნიკური საშუალებით განხორციელებული კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა უნდა ჩატარებულიყო პროერორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი, შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა ყოფილიყო, რომ მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედებით მოპოვებული იქნებოდა ის ინფორმაცია, რომლის სხვა საგამოძიებო მოქმედებით მოპოვება შეუძლებელი იქნებოდა.

რაც შეეხბა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგად წესს, 2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებული სსსკ-ის 138-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩაიწერა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩადენილია დანაშაული და არსებული ინფორმაცია ადასტურებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე უნდა განეხილა შუამდგომლობა და გამოეტანა განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინებაში უნდა აღნიშნულიყო

<sup>1236</sup> იქვე.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები, პირობები, ადგილი, ობიექტი, საშუალება, ხერხი (მათ შორის, ტექნიკური), ვადა, განჩინების აღმასრულებელი პირი (ორგანო) და სხვა საჭირო ინფორმაცია. აღნიშნული განჩინება უნდა მიღებულიყო 30 დღემდე ვადით; პროცესურორის შუამდგომლობით დასაშვები იყო ამ ვადის გაგრძელება (სსსკ-ის 138-ე მუხლის მეოთხე ნაწილი).

სსსკ-ის 138-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის მიხედვით, უნდა მომხდარიყო ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის სრულად წარდგენა პროცესურორისთვის ამ მოქმედების დასრულებისთანავე.

სსსკ-ის 139-ე მუხლის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უშუალოდ ან სხვა პირის დახმარებით, ეძლეოდა გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოს.

სსსკ-ის 140-ე მუხლის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ პირს (ორგანოს) ეკისრებოდა ვალდებულება, მაქსიმალურად შეეზღუდა იმ კომუნიკაციისა და პირის მონიტორინგი, რომელსაც გამოძიებასთან კავშირი არ ჰქონდა.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ წინასწარ ცნობილი იქნებოდა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი სასულიერო პირი, პოლიტიკური ან საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, მეცნიერი, პედაგოგი, ადვოკატი, უურნალისტი ან იმუნიტეტის ქონები პირია, ამ მოქმედების ჩატარება დასაშვები იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არ დაუკავშირდებოდა მის კანონით დაცულ საქმიანობას.

2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებული სსსკ-ის მნიშვნელოვანი ნოვაცია იყო მისი 143-ე მუხლი ფარული საგამოძიებო მოქმედების განჩინების რეესტრის შესახებ. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილით განისაზღვრა, რომ სასამართლოში შედგებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედების განჩინების რეესტრი. განჩინების გამომტანი სასამართლო რეესტრში შეიტანდა ინფორმაციას ვინ, როდის, ვისი შუამდგომლობით, ვის მიმართ და რა ვადით გამოიტანდა განჩინებას. რეესტრში უნდა მითითებულიყო სისხლის სამართლის საქმის ნომერიც.

აღსანიშნავია, რომ გარდამავალი და დასკვნითი დებულებების თავში, კერძოდ სსსკ-ის 333-ე მუხლის მეოთხე ნაწილში, განიმარტა, რომ ამ კოდექსის დებულებები ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ამოქმედეს 2011 წლის 1 აპრილიდან; ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, 2011 წლის 1 იანვრამდე საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს „ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი, ასევე, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტი; „ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნება ცნობილი ამ კოდექსის დებულებები ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ.

2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმები, რომლებიც ფარული საგამოძიებო მოქმედებების საპროცესო რეგულირებას ითვალისწინებდა, არ ამოქმედებულა. საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 24 სექტემბერს მიიღო კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებებისა და

ცვლილებების შეტანის შესახებ. აღნიშნული კანონის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 333-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, რომელიც ფარული საგამოძიებო მოქმედებების ამოქმედებას ეხებოდა, ამოღებულ იქნა;<sup>1237</sup> ხოლო კოდექსის XVI თავი, რომელიც ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს ეძღვნებოდა, დაეთმო კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებს.

## 2.5. 2014წლის ცვლილებები<sup>1238</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით

მოგვიანებით, 2014 წლის 1 აგვისტოს მიღებული კანონის საფუძველზე,<sup>1239</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ისევ გაჩნდა ცალკე თავი, კერძოდ, XVI<sup>1</sup>, რომელიც ეხება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების საპროცესო კანონმდებლობაში დაბრუნება, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული საჭიროებით იყო გამოწვეული.<sup>1240</sup> ამასთან, მიიჩნევა, რომ ამ საგამოძიებო ღონისძიებების შესახებ 2014 წლის 1 აგვისტომდე არსებული საკანონმდებლო რეგულაცია, კერძოდ კი, კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ ითვალისწინებდა ადამიანის უფლებების დაცვის დაბალ სტანდარტს.<sup>1241</sup>

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, „კანონპროექტის მიზანია ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების დაცვის რეალური მექანიზმის ჩამოყალიბება და კანონმდებლობის ნორმათა იმგვარად ფორმულირება, რომელიც შესაძლებელს გახდის ბალანსის შენარჩუნებას, ერთი მხრივ, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის საყოველთაო პრინციპსა და, მეორე მხრივ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ინტერესების დაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების, სხვა პირთა უფლებებისა და დირსების დაცვის ან/და დანაშაულის პრევენციის ლეგიტიმურ მიზანს შორის“. <sup>1242</sup>

<sup>1237</sup> იბ. მეურმიშვილი, წიგნში – სისხლის საპროცესო სამართალი (რედ. ფაფიაშვილი, ლ.), 2017, გვ. 517.

<sup>1238</sup> იბ. საქართველოს 2014 წლის 1 აგვისტოს კანონი №2634, <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/33336> უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1239</sup> აღნიშნული კანონის კანონპროექტი შეიმუშავა და წარადგინა პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა.

<sup>1240</sup> იბ. მეურმიშვილი, წიგნში – სისხლის საპროცესო სამართალი (რედ. ფაფიაშვილი, ლ.), 2017, გვ. 517-518.

<sup>1241</sup> იბ. გეგეშიძე, DGStZ 2/2017, 45. <http://dgstz.de/storage/documents/uyXdgF3kEMpfvqb91SMMjM0iGVsLRQQcFf6p04rK.pdf>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1242</sup> იბ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ ცვლილების შეტანის თაობაზე“, №2634-რს, 25.07.2013, გვ. 2, <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/7132>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე, ასაბუთებს კანონპროექტი „ოპერატორ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებების, რომელთა განხორციელების დროსაც საქმაოდ დიდია ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვის ხარისხი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეგულირების სფეროში გადასვლას.<sup>1243</sup> ამ ცალკეულ ღონისძიებათა შორისაა სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადება და ჩაწერა.

განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტი აყალიბებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ისეთ ძირითად პრინციპებს, რომლებიც სრულად შეესაბამება და ასახავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ აღიარებულ სტანდარტებს.<sup>1244</sup> აღნიშნული სტანდარტებია:

- ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში დეგიტიმური მიზნების – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებათა დასაცავად;

- ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებებით დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება შეუძლებელია ან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გარეშე არსებითად გართულდება სისხლის სამართლის საქმის გამოძიება;

- ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ფარგლები და მის შედეგად მოპოვებული მონაცემები უნდა იყოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის პროპრციული.<sup>1245</sup>

განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ 2014 წლის სსსკ-ში მოცემულია „დემოკრატიული საზოგადოების აუცილებლობის” შინაარსისა და ფარგლების განმარტება.<sup>1246</sup> მასში მოიაზრება ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ ისეთი გარემოებების არსებობის პირობებში, როდესაც ეს გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერის და პროპრციულ საშუალებას.<sup>1247</sup>

## 2.6. შუალედური დასკვნა

არსებობს მოსაზრება, რომ თანამედროვე სახელმწიფოში, კანონით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით, ფიზიკური გადარჩენა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი ეს

<sup>1243</sup> იქვე, გვ. 2-3.

<sup>1244</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>1245</sup> იქვე, გვ. 3-4.

<sup>1246</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>1247</sup> იქვე.

სახელმწიფო ე.წ. „პრევენციული სახელმწიფოა”.<sup>1248</sup> აღნიშნული ხაზს უსვამს სწორედ პრევენციული ხასიათის ღონისძიებების ინტენსიური გამოყენების აუცილებლობას და მის ეფექტიანობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია სისხლის სამართლის პროცესში არსებული ბოლო ღროის ტენდენცია, რომელიც ჯიუტად ამტკიცებს მსგავსი ოპერატიული ხასიათის ღონისძიებების საგამოძიებო ღონისძიებებად არსებობის აუცილებლობას.

თუმცა, ჩნდება რისკი, რომ ეს პრევენციული ხასიათის ღონისძიებები თანდათან მოიცავს მთელ სამართლებრივ სისტემას, გასცდება პრევენციული ხასიათის საქმიანობის სფეროს და მივიღებთ სისხლის სამართლის პროცესის „უსაფრთხოების, დაზვერვის”<sup>1249</sup> ანდა „საპოლიციო უფლებამოსილებით”<sup>1250</sup> აღჭურვას. როგორც წესი, ოპერატიული ღონისძიებების წარმოჩენილ „ეფექტურობის სცენარში” კი ყველაზე სუსტ და დაუცველ ფიგურად რჩება ადამიანი.<sup>1251</sup>

სწორედ ამიტომაა სახელმწიფო ვალდებული, უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა შემზღუდვები ისეთი ღონისძიების, როგორიცაა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, ზედმიწევნითი საკანონმდებლო რეგულაცია, შექმნას მისი ჩატარების გამჭვირვალე და ლეგალური ბაზა. კანონმდებლის ასეთი სურვილი და გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა მიღებული ტოტალიტარულ და პოლიციურ სახელმწიფოში, მაგ., სტალინის რეჟიმის ან ე.წ. დისიდენტებზე ნადირობის დროს.<sup>1252</sup>

ადსანიშნავია ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებათა ზემოთ განხილული ისტორიული განვითარების ტენდენცია. თუკი თავდაპირველად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ მხოლოდ პირთა ვიწრო წრემ იცოდა, მოგვიანებით გარდაუვალი გახდა ამ ღონისძიებებზე სასამართლო კონტროლის დაწესება და მისი ჩატარების შესახებ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული უკვე ხომ არ მიანიშნებდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა და საგამოძიებო ღონისძიებათა დაახლოების ტენდენციაზე?

კვლევის შედეგად საინტერესოა, განხილული კრიტიკის საწინააღმდეგოდ, შეჯერდეს მნიშვნელოვანი პუნქტები, რომლებიც ასახავს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ინსტიტუტის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებიდან საგამოძიებო ღონისძიებად გარდაქმნის პროცესს:

1. ოპერატიული ხასიათის გარკვეული ღონისძიებები, მათ შორის სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დასახელდა ფარულ საგამოძიებო ღონისძიებად. ტერმინი ოპერატიული ჩანაცვლდა

<sup>1248</sup> ი. მ. Paeffgen, GA 2003, 647. ეს მოსაზრება განსაკუთრებით მდაფრი გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001 წლის 11 სექტემბერს განვითარებული მოვლენების შემდეგ და, შესაბამისად, უსაფრთხოების პოლიტიკის ფანტაზია შეზღუდვებისგან გათავისფერდა.

<sup>1249</sup> ი. მ. Paeffgen, StV 2002, 336-341.

<sup>1250</sup> ი. მ. Paeffgen, GA 2003, 652.

<sup>1251</sup> იქვე, 663.

<sup>1252</sup> ი. დანილოვ/ვინოგრაძე/შერბა, Социалистическая законность, 1991, С. 32.

ტერმინით ფარული,<sup>1253</sup> რაც გამართლებული და აუცილებელია ამ ორი განსხვავებული სამართლებრივი ბუნების ღონისძიების გასამიჯნად.

2. ფარული საგამოძიებო ღონისძიებები სსსკ-ში ინარჩუნებს განსაკუთრებულ ხასიათს. ეს გასაკირი არცაა, თუ გავითვალისწინებო მათ წარმომავლობას და განვითარების პროცესს. აქვე უნდა გავიხსენოთ სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმა ოპერატიული ხასიათის ღონისძიებათა პრევენციულ, ე.წ. ინფორმაციულ ბუნებაზე. სწორედ ფარული საგამოძიებო ღონისძიებების სამართლებრივი ბუნების თავისებურებაზე მეტყველებს სსსკ-ის ჩანაწერი,<sup>1254</sup> რომელიც ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმურ მიზნად ასახელებს ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებსა ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. აღნიშნული კი მიუთითებს ამ ღონისძიებათა ოპერატიულ და პროაქტიურ<sup>1255</sup> ბუნებაზე.

3. კანონის საფუძველზე განხორციელებულ სამძებრო ღონისძიებასთან შედარებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ფარული საგამოძიებო ღონისძიების წარმოებისთვის აწესებს უფრო მაღალ სტანდარტს, რომელშიც ზედმიწევნითაა განსაზღვრული მისი ჩატარების როგორც ფორმალური (პროცედურული), ისე მატერიალური წინაპირობები;<sup>1256</sup> შედეგად, 2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე დადგინდა ადამიანის უფლებების დაცვის გაცილებით მეტი გარანტია.<sup>1257</sup>

4. ლიტერატურაში არსებული კრიტიკის მთავარი არგუმენტი, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ხორციელდება საპროცესო ზედამხედველობა, რომელიც აუცილებელია და წარმოადგენს ე.წ. ფილტრს, შესაძლოა სუსტი და არასაკმარისი აღმოჩნდეს; რამდენადაც ამ საქმიანობის საგამოძიებო ღონისძიებად გათვალისწინებით ძლიერდება მათ ჩატარებაზე სახელმწიფო კონტროლი. გასათვალისწინებელია, ასევე, სასამართლო კონტროლის არსებობა. ყოველივე აღნიშნული კი ხორციელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით და გულისხმობს მხოლოდ ლეგალური და გამჭირვალე მეთოდებით განხორციელებას.

5. რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საგამოძიებო ორგანოს

<sup>1253</sup> იხ. ტუდუში/ ბურჯანაძე/ მშეგნიერაძე/ გოცირიძე/ მენაბდე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლის პრაქტიკა, 2013, გვ. 200.

<sup>1254</sup> სსსკ-ის 143<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>1255</sup> ჟედ. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 465.

<sup>1256</sup> იხ. სსსკ-ის 143<sup>1</sup> – 143<sup>10</sup> მუხლები.

<sup>1257</sup> იხ. გვევმიძე, DGStZ 2/2017, 45.

<http://dgstz.de/storage/documents/uyXdgF3kEMpfvqb91SMMjM0iGVsLRQQcFf6p04rK.pdf>

უკანასკნელად გადამოწებულია 17.07.2018.

არ შესწევს უნარი და არ აქვს იმისი რესურსი, რომ თავად განახორციელოს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, საკანონმდებლო რეფორმამ პასუხი გასცა აღნიშნულ საკითხს და სსსკის მე-3 უხლის 32-ე პუნქტის თანახმად, ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ექსკლუზიური უფლებამოსილება მიანიჭა სსიპ – ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს, რომელიც არ არის აღჭურვილი საგამოძიებო ფუნქციებით. შესაბამისად, ე.წ. ოპერატიულ-სამძებრო უფლებამოსილებით არ აღიჭურვება გამომძიებელი და პროკურორი; საგამოძიებო ორგანო იდებს საჭირო ინფორმაციას სსიპ – ოპერატიულ ტექნიკური სააგენტოსგან.

6. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ჩატარება უკვე გულისხმობს ძირითადი უფლების შეზღუდვასა და მასში ჩარევას, იმის მიუხედავად, მოპოვებული ინფორმაცია იქნება თუ არა პირის წინააღმდეგ გამოყენებული. პრევენციული მიზნებისთვის პირად ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალური შეზღუდვა სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს. ამდენად, მისასალმებელი უნდა იყოს ამ ღონისძიების სსსკით დარეგულირება და მისი განხორციელება მხოლოდ სისხლის საპროცესო სამართლებრივი მიზნებისთვის.

7. დაბოლოს, მართალია, დიდი რისკია ფარული სატელეფონო მიყურადების შედეგად, თუნდაც, კანონის დაცვით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობა, თუმცა, თავად სასამართლო პრაქტიკამ უნდა უზრუნველყოს, რომ ამ ღონისძიების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებას სისხლის სამართლის პროცესში პქონდეს დასაშვებობის მაღალი სტანდარტი.

დასკვნის სახით, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასა და საგამოძიებო საქმიანობას შორის არსებული განსხვავებები და შეჯერებული არგუმენტები ქმნიან სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებობის გამამართლებელ საფუძველს.

### 3. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში (მოკლე მიმოხილვა)

საქართველოს კანონმდებლობით სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა, სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნის გარდა, რომელიც რეგულირდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ასევე, შეიძლება ჩატარდეს კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში. საინტერესოა, საპროცესო სამართლებრივი რეგულირების განხილვამდე მოკლედ იქნას განხილული სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების არსი, მიზანი და წარმოების საეციფიკა კონტრდაზვერვითი საქმიანობის ჭრილში.

კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, აღნიშნული საქმიანობა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახეა, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს

სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. ამასთან, კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი განმარტავს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა სადაზვერვო და ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით და იგი არ არის სისხლისამართლებრივი დევნის საფუძველი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კონტრდაზვერვითი საქმიანობის სპეციფიკა ის არის, რომ აღნიშნული გასაიდუმლოებულია და, შესაბამისად, ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებაა (კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი).

ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს (კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მეორე პუნქტი).

კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობის სპეციალურ დონისძიებებია ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური დონისძიებები. სწორედ ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ელექტრონული თვალთვალი (კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის „დ” ქვეპუნქტი). ელექტრონული თვალთვალი კი ამ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, არის:

- ა) სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა;
- ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;

გ) გეოლოგიკურ დროში განსაზღვრა<sup>1258</sup>.  
ადსანიშნავია, რომ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა მოიცავს სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას.

რაც შეეხება ამ დონისძიების ჩატარების წესს კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, ის განისაზღვრება კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონის მე-12, მე-13 და მე-14 მუხლებით. სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების განსახორციელებლად სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის

<sup>1258</sup> აღნიშნული დონისძიება ამოქმედდება 2020 წლის 30 მარტიდან.

უფლებამოსილი წარმომადგენელი შესაბამისი შეამდგომლობით მიმართავს საქართველოს უზენაეს სასამართლოს; შეამდგომლობა უნდა შეიცავდეს:

ა) ელექტრონული თვალთვალის განხორციელების ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების<sup>1259</sup> დასაბუთებას;

ბ) დასაბუთებას, რომ ელექტრონული თვალთვალის განხორციელება აუცილებელია დემორატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად და იგი მიზნის მიღწევისპროპრციული საშუალებაა;

გ) დასაბუთებას, რომ კონტრდაზვერვითი ინფორმაცია ელექტრონული თვალთვალის განხორციელების გარეშე ვერ მოიპოვება;

დ) მითითებას მოთხოვნილი ელექტრონული თვალთვალის დონისძიების სახის შესახებ;

ე) ელექტრონული თვალთვალის ობიექტის/ობიექტების შესახებ დეტალურ მონაცემებს;<sup>1260</sup>

ვ) დეტალურ მონაცემებს ელექტრონული თვალთვალის ობიექტის/ობიექტების საკომუნიკაციო ალტურვილობის ტექნიკური იდენტიფიკაციორის/იდენტიფიკაციორების შესახებ, რომლის/რომელთა კონტროლიც უნდა განხორციელდეს ელექტრონული თვალთვალის დონისძიების ფარგლებში

(კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლეს უფლება აქვს, ბრძანებით გასცეს ელექტრონული თვალთვალის განხორციელების ნებართვა, თუ არსებობს შესაბამისი ობიექტური საფუძველი და შესრულებულია ამ კანონის მე-10 და მე-12 მუხლების მოთხოვნები (კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი).

<sup>1259</sup> კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონის მე-10 მუხლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობის სპეციალური დონისძიებების განხორციელების საფუძვლებია:

ა) მონაცემები ფაქტებისა და მოვლენების (ან მათი ნიშნების) შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ან რომლებსაც შეუძლია საფრთხე შექმნას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას;

ბ) მონაცემების უცხო ქვეყნის წარმომადგენლის ან უცხო ქვეყნის წარმომადგენლის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სადაზვერვო ან/და ტერორისტულ საქმიანობასთან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესების წინადმდევ მიმართული ქმედებების მომზადებასთან ან განხორციელებასთან, ან არსებობს საფუძველი ასეთი ვარაუდისთვის;

გ) მონაცემები საქართველოს პირის შესახებ, რომლებიც მიუთითებს მის კავშირზე უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების სადაზვერვო ან/და ტერორისტულ საქმიანობასთან.

<sup>1260</sup> კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტის „ე” ქვეპუნქტის თანახმად, საფალდებულო არ არის ამ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული დონისძიების შემთხვევაში შეამდგომლობა შეიცავდეს ელექტრონული თვალთვალის ობიექტის/ობიექტების შესახებ დეტალურ მონაცემებს, თუ დონისძიების მიზანი ამ ობიექტის/ობიექტების იდენტიფიცირებაა.

ამ კანონის მე-13 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა დახურულ სასამართლო სხდომაზე, სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობით. მოსამართლეს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება:

ა) გასცემს ბრძანებას ელექტრონული თვალთვალის დონისძიების ჩატარების შესახებ;

ბ) გამოაქვს გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული თვალთვალი ნებადართულია იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მისი მიზნების მისაღწევად, მაგრამ არა უმეტეს 90 დღისა; აღნიშნული ვადის გაგრძელება შეიძლება მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, იმავე წესით და საფუძვლით, რომელიც დადგენილია თავდაპირველი ბრძანებისათვის, თითოეულ ჯერზე არა უმეტეს 12 თვისა (კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მეოთხე და მეხუთე პუნქტები).

ელექტრონული თვალთვალის დონისძიების აღსრულების პროცესს აკონტროლებს ზედამხედველი მოსამართლე, რომელიც გასცემს ელექტრონული თვალთვალის დონისძიების ჩატარების შესახებ ბრძანებას (კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მეექვსე პუნქტი).

აღსანიშნავია, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ელექტრონული თვალთვალის ნებართვის გაცემასთან, მათ შორის, სატელეფონო საუბრის ფარულ მიუურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებული დოკუმენტების (შუამდგომლობა, ბრძანება და სხვა) მიმართ მოქმედებს საიდუმლოების დაცვის რეჟიმი (კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი).

ამასთან, კანონი ითვალისწინებს გადაუდებელი აუცილებლობის გარემოებაში (როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის აუცილებელი, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გადახოს ამ მონაცემების მოპოვება) ზედამხედველი მოსამართლის ბრძანების გარეშე სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის განხორციელების შესაძლებლობას<sup>1261</sup> და მე-14 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრავს ამის პირობებს. ასეთ გარემოებაში ამ დონისძიების განხორციელების შესახებ სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სასამართლოს და ელექტრონული თვალთვალის დონისძიების დაწყებიდან 24 საათში მიმართოს მას შესაბამისი შუამდგომლობით (კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი).

აღსანიშნავია, რომ თუ მოსამართლე არ გასცემს ბრძანებას, რომელიც ელექტრონული თვალთვალის განხორციელების უფლებას

<sup>1261</sup> ისევე, როგორც ელექტრონული თვალთვალის სხვა ყველა დონისძიების შემთხვევაში.

იძლევა, ელექტრონული თვალთვალი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, ხოლო ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მიღებული/მოპოვებული ინფორმაცია უნდა განადგურდეს. (კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი).

წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვის საფუძველზე წარმოჩნდა, ზოგადად, კონტრდაზვერვითი საქმიანობის სპეციფიკა და მისი საპროცესო სამართლებრივი ღონისძიებებისგან განმასხვავებელი ნიშნები, როგორებიცაა, მაგალითად, ამ საქმიანობის განხორციელების პრინციპები, მისი მიზანი, რომელიც, როგორც წესი, არ უკავშირდება სისხლისსამართლებრივ დევნას. აღსანიშნავია, ასევე, კონტრდაზვერვითი საქმიანობის საიდუმლოების დაცვის რეჟიმი, ღონისძიებათა ჩატარების ხანგრძლივობა, სპეციალური სუბიექტები, როგორც ღონისძიების ადრესატები და ა.შ.

#### 4. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საკონსტიტუციო სამართლებრივი დაცვა

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების დროს იზდუდება ადამიანის კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მათ შორის უმნიშვნელოვანებისა ადამიანის პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. აღნიშნული უფლებები დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-12 და მე-15 მუხლებით.<sup>1262</sup>

##### 4.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

ადამიანი არის უმთავრესი სამართლებრივი თუ დემოკრატიული დირექტულებების – მშვიდობის, სამართლიანობის, თავისუფლების როგორც შემქმნელი, ისე მომხმარებელი.<sup>1263</sup> მისი შესაძლებლობების განვითარებით, ცოდნის მიღებით, გარესამყაროსთან ურთიერთკავშირით ადამიანი ყალიბდება თავისუფალ პიროვნებად, რომლის გარეშეც დემოკრატიული საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია.<sup>1264</sup> „ადამიანს უფლება აქვს, იყოს ისეთი, როგორიც თავად სურს, შეუძლია, მოსწონს.“<sup>1265</sup> ადამიანის პიროვნულობა უზენაესი დირექტულებაა; ის განსაზღვრავს ინდივიდის არსებობას და მიუთითებს ადამიანის ყველაზე მკაფიო და ტიპურ მახასიათებლებზე, რომლებიც მას განასხვავებს სხვა

<sup>1262</sup> საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული 2017 წლის ცვლილებების საფუძველზე კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის შემოდგომაზე, პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის შესახებ ნორმები დარეგულირდა კონსტიტუციის მე-12 და მე-15 მუხლებში; ხოლო ძველი რედაქციით აღნიშნული უფლებები დაცული იყო კონსტიტუციის მე-16 და მე-20 მუხლებით. იხ. თავი II, ქვეთავი 4.3.

<sup>1263</sup> იხ. გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 88.

<sup>1264</sup> იქვე.

<sup>1265</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II.3.4.

ადამიანისგან.<sup>1266</sup> ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ადამიანის ღირსების უფლების კონკრეტიზაციაა, რადგან ადამიანის ღირსების დაცვის პრინციპი მოითხოვს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების აღიარებას.<sup>1267</sup> როგორც საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს თავის გადაწყვეტილებაში, „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გულისხმობს პირის უფლებას, დამოუკიდებლად, მესამე პირის (სახელმწიფოს ჩათვლით) ჩარევისა და მისგან კონტროლის გარეშე, განსაზღვროს საკუთარი მე, ვინაობა, ცხოვრების წესი, აირჩიოს გარესამყაროსთან, კონკრეტულ ადამიანებთან თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის შინაარსი, ფორმები, ინტენსივობა, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური, სულიერი თუ სხვა ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზები, საშუალებები”.<sup>1268</sup>

ადამიანის პიროვნებას, რომელიც მუდმივად იზრდება და ვითარდება, სჭირდება თავისუფლება და თავისუფლების უფლების გარანტია.<sup>1269</sup> ინდივიდს სახელმწიფომ უნდა მისცეს ქცევის თავისუფლება და ეს უნდა განახორციელოს იმგვარად, რომ არასათანადოდ არ შეიზღუდოს სხვისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, არ დაირღვეს კონსტიტუციური წესრიგი.<sup>1270</sup> ამიტომ ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას სახელმწიფო უწესებს ფარგლებს.<sup>1271</sup>

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება არის კონსტიტუციით დაცული ყველაზე ზოგადი ხასიათის ძირითადი უფლება.<sup>1272</sup> მისი შინაარსი ძალიან ფართოა<sup>1273</sup> და მოიცავს ადამიანის არაერთ უფლებასა და თავისუფლებას; მაგ., პირად და ოჯახურ ცხოვრებას, გამოხატვის, ინფორმაციის მიღების, ინტელექტუალური შემოქმედებისა თუ საქმიანობის თავისუფლების უფლებას.<sup>1274</sup> შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი შინაარსობრივად მოიცავს ადამიანის ყველა უფლებასა და თავისუფლებას, რომელთა განხორციელებასაც ადამიანის პიროვნების თავისუფალ განვითარებაში წვლილის შეტანა შეუძლია.<sup>1275</sup> ამასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მის მიერ

<sup>1266</sup> იხ. ტუდუში/ ბურჯანაძე/ მშეგნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 75.

<sup>1267</sup> იხ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 274; BVerfGE 5, 85 (204).

<sup>1268</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II.პ.7.

<sup>1269</sup> იხ. ტუდუში/ ბურჯანაძე/ მშეგნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 75.

<sup>1270</sup> იქვე.

<sup>1271</sup> იქვე.

<sup>1272</sup> იხ. დემუტრაშვილი/ კობახიძე, კონსტიტუციური სამართლი, 2014, გვ. 75.

<sup>1273</sup> პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას გაერომ მიუძღვნა ცალკე დეკლარაცია, იხ. Declaration in the Right to Development, 4 December, 1986.

<sup>1274</sup> იხ. გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 89.

<sup>1275</sup> იქვე.

მიღებულ განჩინებაში აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უამრავი უფლებრივი კომპონენტისაგან შედგება. ნიშანდობლივია, რომ პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება“.<sup>1276</sup>

მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებს, რომ „პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლება თავისუფლების კონცეფციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ეს არის პიროვნების უფლება მისი შეხედულებით ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან. პირადი ცხოვრების უფლება არის თითოეული ინდივიდის დამოუკიდებელი განვითარების საფუძველი“.<sup>1277</sup>

კონსტიტუციის მე-12 მუხლით უზრუნველყოფილი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, დაცვის სფეროების მიხედვით, ორ ძირითად უფლებას აერთიანებს, ესენია: ზოგადი პიროვნული უფლება (ადამიანის პირადი და ინტიმური ცხოვრების სფერო) და საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება (პიროვნების არსებობისა და საქმიანობის ყველა დანარჩენი სფერო).<sup>1278</sup> ამათგან ზოგადი პიროვნული უფლება იცავს ადამიანის პირად და ინტიმურ სფეროს, რომელთა შორისაა შემდეგი უფლებები: პიროვნული თვითგამორკვევის უფლება, პირადი ცხოვრების დაცულობა, თვითგამოსახვის უფლება და ფიზიკური ხელშეუხებლობა.

თემის შინაარსიდან გამომდინარე, საინტერესოა მოკლედ განიმარტოს პიროვნული თვითგამორკვევის უფლება და პირადი ცხოვრების დაცულობა.

#### 4.1.1. პიროვნული თვითგამორკვევის უფლება

პიროვნული თვითგამორკვევის უფლება მოიცავს სამ ძირითად უფლებას, ესენია: საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლება, პიროვნული თვითიდენტიფიკაციის უფლება და ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება.<sup>1279</sup>

საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლება გულისხმობს, რომ ყველას აქვს უფლება, იცოდეს თავისი წარმოშობა და თავისი წინაპრების გინაობა.<sup>1280</sup>

<sup>1276</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/7/454 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლეგან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.1.

<sup>1277</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, II.პ.21.

<sup>1278</sup> იხ.: გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 91; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 92-122.

<sup>1279</sup> იხ. გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 92.

<sup>1280</sup> იქვე.

პიროვნელი თვითოდენტიფიკაციის უფლება კი არის საქუთარი იდენტურობის, ინდივიდუალიზმის განსაზღვრის უფლება, რომ ადამიანმა სხვათა ჩარევისგან დამოუკიდებლად შეიგრძნოს და განსაზღვროს საქუთარი თავი როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად.<sup>1281</sup>

რაც შეეხება მესამეს, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას, იგი გულისხმობს ინდივიდის უფლებას, თავად გადაწყვიტოს, გახდეს თუ არა გარეშე პირებისთვის ცნობილი მისი პერსონალური მონაცემები, პირადი ცხოვრების შინაარსი და დეტალები; მაგალითად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, გადატანილი ავადმყოფობა, მისი ფინანსური მდგომარება და ა.შ.<sup>1282</sup> ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება ადამიანს იცავს სახელმწიფოსა თუ საზოგადოების მხრიდან ინფორმაციული კონტროლისგან.<sup>1283</sup> სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ინფორმაციის ანონიმურობის დაცვა; პირადი მონაცემების სხვისთვის გადაცემა დასაშენებია მხოლოდ პიროვნების თანხმობით, ხოლო პიროვნების თანხმობის გარეშე – მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში, როცა ეს აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის ან სხვა პირთა უფლებების დასაცავად.<sup>1284</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს უფლებაში ჩარევის თანაზომიერების პრინციპის დაცვით.<sup>1285</sup>

#### 4.12. პირადი ცხოვრების დაცულობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება „სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის თვისუფლების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიაზეციისათვის, მისი სრულყოფილად გამოყენების ხელშეწყობა და დაცვა არსებითად განმსაზღვრელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის”.<sup>1286</sup>

პირადი ცხოვრების უფლება რამდენიმე კომპონენტისგან შედგება:

1. მარტო დარჩენის (განმარტოებით ყოფნის) უფლება;
2. ადამიანის უფლება, იყოს მისი მხრიდან ნებადაურთველი საჯაროობისგან თავისუფალი, განცალკევებული;
3. ადამიანის უფლება, იცხოვოს მისი მხრიდან ნებადაურთველი საზოგადოებრივი ჩარევის გარეშე ისეთ საკითხებში, რომლებიც აუცილებელობით არ შეეხება საზოგადოებას.<sup>1287</sup>

ამ უფლებების საფუძველზე ადამიანს აქვს შესაძლებლობა, განსაზღვროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ინტენსივობა, ფარგლები, ფორმა და დრო.<sup>1288</sup> ადამიანს დროდადრო ესაჭიროება განმარტოება დასვენებისა თუ საკუთარ თავში ჩაღრმავებისთვის; მისი ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტის გასაჯაროება დასაშვებია მხოლოდ მისი

<sup>1281</sup> იქვე.

<sup>1282</sup> იქვე, გვ. 93.

<sup>1283</sup> იქვე.

<sup>1284</sup> იქვე, გვ. 94.

<sup>1285</sup> იქვე.

<sup>1286</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/519 გადაწყვეტილება, II.პ.2.

<sup>1287</sup> იხ. გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თვისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 94.

<sup>1288</sup> იქვე, გვ. 94-95.

ნებითა და თანხმობით, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, რომლებიც არ ეხება ან ნაკლებად ეხება საზოგადოებას.<sup>1289</sup> პირადი ცხოვრების უფლებიდან გამომდინარე, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავად განსაზღვროს პირადი ცხოვრების გარესამყაროსთან ურთიერთობის ფარგლები, მოწყდეს საზოგადოებას და დარჩეს საკუთარ თავთან მარტო”.<sup>1290</sup>

პირადი ცხოვრების უფლება იცავს ადამიანს როგორც ხელისუფლების, ისე გარეშე პირთა ჩარევისგან მის ინტიმურ, პირად ურთიერთობებსა თუ საქმიანობაში; ასევე, იცავს ინდივიდის თავისუფლებას, არჩევანი გააკეთოს ნებისმიერ პირად საკითხზე.<sup>1291</sup> როგორც გოცირიძე აღნიშნავს, „ეს არის ადამიანის უფლება, საკუთარი თავი, პირადი ცხოვრება და საკუთრება მოაქციოს საზოგადოებრივი კონტროლისა და მეთვალყურეობისაგან თავისუფალ სივრცეში, თავისივე არჩევანის შესაბამისად”.<sup>1292</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის პირადი ცხოვრების უფლება კონსტიტუციური უფლებაა, ის მაინც არ არის აბსოლუტურად დაცული.<sup>1293</sup> სახელმწიფოს შეუძლია მასში შეზღუდულად ჩაერიოს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.<sup>1294</sup> პირად ცხოვრებაში ჩარევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანაზომიერების პრინციპს, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს.<sup>1295</sup> ამასთან, მხედველობაშია მისაღები რამდენიმე საკითხი:

1. ჩარევა უნდა იყოს აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად; ამ შემთხვევაში ჩარევა გამართლებული იქნება მაშინ, თუკი არ არსებობს მიზნის მიღწევისთვის სხვა, შედარებით რბილი საშუალება, რომელიც ისეთივე ეფექტურ შედეგს მოიტანდა;

2. ჩარევა უნდა იყოს გამოსაღები ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად; ეს პირობა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუკი მიზნის მიღწევა თეორიულად შესაძლებელია;

3. ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (ანუ, თანაზომიერი ვიწრო გაგებით); აქ უნდა მოხდეს ჩარევით შეზღუდული და ჩარევით დაცული სამართლებრივი სიკეთების ორმხრივი შედარება, აწონ-დაწონა.<sup>1296</sup>

<sup>1289</sup> იქვე, გვ. 95.

<sup>1290</sup> ი. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 111.

<sup>1291</sup> ი. გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 95.

<sup>1292</sup> იქვე.

<sup>1293</sup> ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება, II.პ.9; თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 274.

<sup>1294</sup> ი. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 274.

<sup>1295</sup> ი. დემუტაშვილი/კობახიძე, კონსტიტუციური სამართლი, 2014, გვ. 80.

<sup>1296</sup> იქვე.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ გარემოებებს თანაზომიერების პრინციპის სამ ელემენტს უწოდებენ და მოიხსენიებენ, როგორც სავალდებულობას, ვარგისიანობასა და პროპორციულობას.<sup>1297</sup> პირადი ცხოვრების დაცვაზე საუბრისას უნდა გამოიყოს საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცული, ინტიმური სფერო, როგორც პირადი ცხოვრების არსებითი და ცენტრალური ნაწილი.<sup>1298</sup> ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო – ადამიანის ინტიმური, სექსუალური ურთიერთობები, ოჯახური ცხოვრება, მისი ჩვევები, მოძღვრისთვის აღსარებისას მინდობილი ინფორმაცია, სამედიცინო გამოკვლევების შედეგები, ადამიანის ემოციები და გრძნობები, მათი პრივატულ სფეროში გამოხატვის ფორმები უნდა იყოს განსაკუთრებულად დაცული სახელმწიფოსა და ნებისმიერი მესამე პირის ზედამეს ედგალობისაგან“.<sup>1299</sup>

აქ საინტერესოა მოკლედ იქნეს განხილული ე.წ. სფეროთა თეორია, იგივე „სამი საფეხურის თეორია“, რომელიც მოიცავს: პირადი ცხოვრების ინტიმურ სფეროს, კერძო სფეროსა და სოციალურ (საჯარო) სფეროს.<sup>1300</sup>

### ა) ინტიმური სფერო

უპყე დასახელებული ინტიმური სფერო, რომელიც აბსოლუტური დაცვით სარგებლობს, ხელშეუხებელია; ის წარმოადგენს ზოგადი პიროვნული უფლების არსეს, რომლის განკარგვა შეუძლია მხოლოდ ინდივიდს და სხვას არავის.<sup>1301</sup> ამ სფეროში იგულისხმება მაგ.: ადამიანის სექსუალური ცხოვრება, მისი ფარული ფიზიკური და სხვაგვარი ნაკლი, ჩვევა ან რაიმე თავისებურება, პირადი დღიური ან სხვაგვარი ჩანაწერები, სამედიცინო გამოკვლევების შედეგები, აღსარებისას განდობილი ფაქტები.<sup>1302</sup> აღსანიშნავია, რომ მათი საჯაროდ გავრცელება დასაშვებია მხოლოდ პიროვნების ნება-სურვილის ან თანხმობის საფუძველზე.<sup>1303</sup>

### ბ) კერძო სფერო

კერძო სფეროში შედის ინტიმური სფეროს ფარგლებს გარეთ არსებული ადამიანის პირადი ცხოვრება.<sup>1304</sup> ის, ძირითადად, მოიცავს

<sup>1297</sup> იხ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 275. ამასთან, ტერმინი – სავალდებულობა ლიტერატურაში გვხვდება, ასევე, როგორც აუცილებლობა, იხ. დემიტრაშვილი/ქობახიძე, კონსტიტუციური სამართლი, 2014, გვ. 80.

<sup>1298</sup> იხ.: თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 275; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 112.

<sup>1299</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება.

<sup>1300</sup> იხ.: თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 276; გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 95-96.

<sup>1301</sup> იხ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 112.

<sup>1302</sup> იხ.: გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 95; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 112.

<sup>1303</sup> იხ. გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 95.

<sup>1304</sup> იხ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 113.

ოჯახურ ცხოვრებას, ურთიერთობას ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან, მეგობრებთან, ასევე, საქმიანობას ბინაში; შემოსავლებისა და ქონების შესახებ საკითხებს; ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს; პიროვნების რელიგიურ განცდებს და სხვა მსოფლმხედველობრივ საკითხებს.<sup>1305</sup> ზოგიერთ შემთხვევაში პროფესიიდან გამომდინარე ურთიერთობებიც შეიძლება მიეკუთვნოს პირადი ცხოვრების სფეროს.<sup>1306</sup> აღნიშნული სფერო არ სარგებლობს აბსოლუტური დაცვით, თუმცა მასში ჩარევა მხოლოდ მკაცრი წინაპირობების დაცვის შემთხვევაშია დასაშვები.<sup>1307</sup> ამ სფეროში ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს.<sup>1308</sup>

### გ) სოციალური (საჯარო) სფერო

რაც შეეხება მესამეს, სოციალურ (საჯარო) სფეროს, იგი განსაკუთრებული დაცვით არ სარგებლობს.<sup>1309</sup> ის ადამიანის ცხოვრების და საქმიანობის ისეთი სფეროა, რომელშიც მოქმედება ინტიმურ და კერძო სფეროების ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს, ნაწილობრივ შეზღუდული ან შეუზღუდავი საჯაროობის პირობებში.<sup>1310</sup> აღნიშნული სფერო მოიცავს მაგ., ადამიანის საქმიანობას სამუშაო ადგილზე ან საჯარო ადგილებში.<sup>1311</sup> სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი საქმიანობა თავისთავად მოქცეულია სრული ან ნაწილობრივი საჯაროობის სფეროში და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელება, როგორც წესი, შეზღუდული არ არის.<sup>1312</sup>

კონსტიტუციის მე-12 მუხლზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ მუხლით უზრუნველყოფილი დაცვა არის სუბსიდიური, ანუ დამატებითი; რაც იმას გულისხმობს, რომ თუ საქმე გვაჭვს ამ მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევასთან, გამოყენებული უნდა იყოს კონკრეტული უფლების დამცველი სპეციალური ნორმა (lex specialis), რომელიც კონკრეტულ უფლებას იცავს და არა მე-12 მუხლი.<sup>1313</sup> შესაბამისად, მე-12 მუხლის განხილვის შემდეგ უნდა მოხდეს კონსტიტუციის მე-15 მუხლის, როგორც სპეციალური ნორმის, განხილვა კვლევის საგანთან დაკავშირებულ ფარგლებში.

<sup>1305</sup> იხ.: გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 95; თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 276; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 113.

<sup>1306</sup> იხ. გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 95-96.

<sup>1307</sup> იხ.: გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 96; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 113; თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 276.

<sup>1308</sup> იხ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 113; თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 276.

<sup>1309</sup> იხ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 276.

<sup>1310</sup> იხ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 114.

<sup>1311</sup> იხ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 276.

<sup>1312</sup> იხ. გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 96.

<sup>1313</sup> იქვე, გვ. 90

## 4.2. პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობა. ამ უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი განმტკიცება პირველად განხორციელდა 1921 წლის კონსტიტუციაში.<sup>1314</sup> პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლების თანახმად, „ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია: მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩერება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია. მისი ამოხმა და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით”.<sup>1315</sup> აღსანიშნავია, რომ ადამიანის ეს უფლებები საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციებითაც იყო დაცული; კერძოდ, 1937 წლის კონსტიტუციის 141-ე მუხლში კითხულობთ, რომ „მოქალაქეთა ბინის ხელშეუხებლობა და მიწერ-მოწერის საიდუმლოება დაცულია კანონით”.<sup>1316</sup> მოგვიანებით, უკვე საბჭოთა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციაში, გაჩნდა ფორმულირება - სატელეფონო საუბრები; აღნიშნული კონსტიტუციის მიხედვით, „მოქალაქეთა პირად ცხოვრებას, მიმოწერის, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოს კანონი იცავს”.<sup>1317</sup>

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად,

„1. ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

2. ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩერება. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა”.

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, „კონსტიტუციის აღნიშნული დებულება იცავს ადამიანის პირადი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე სენიტიურ სფეროს. თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოება მოითხოვს ადამიანის პირადი ავტონომიის პატივისცემას, მასში სახელმწიფოსა და კერძო პირების ჩარევის მინიმუმადე შემცირებას. ეს საზოგადოების არსებობის თანმდევი,

<sup>1314</sup> იხ. კონსტიტუციის მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 178.

<sup>1315</sup> იქვე.

<sup>1316</sup> იქვე.

<sup>1317</sup> იქვე.

ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რომლის დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი ყველას გააჩნია”.<sup>1318</sup>

პირადი ცხოვრება და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა დაცულია არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტით; მათ შორის აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომლის მიხედვითაც, „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას”.<sup>1319</sup>

კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულია რამდენიმე ძირითადი უფლება. მაგალითად, ესენია:

- პირადი ცხოვრების უფლება;
- პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება;
- საცხოვრებელი ბინისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლება.

მართალია, ჩამოთვლილ უფლებებს დამოუკიდებელი დაცვის სფეროები აქვთ, მაგრამ მათ აქვთ საერთო მიზანი – პირადი ცხოვრების თავისუფლების უზრუნველყოფა; ამდენად, ისინი პირადი ცხოვრების ძირითადი უფლების შინაარსობრივ კომპონენტებს წარმოადგენენ.<sup>1320</sup> თავად ტერმინ „პირად ცხოვრებას“ ზემოთ ჩამოთვლილ სხვა სიკეთებთან მიმართებით ზოგადი მნიშვნელობა აქვს.<sup>1321</sup> როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში<sup>1322</sup> განაცხადა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას უზრუნველყოფს კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულებები.<sup>1323</sup> ამასთან, „ერთი მხრივ, არსებობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა და ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემძლელი გარემოებების, შეზღუდულების უგულებელყოფას, აღკვეთას. მეორე მხრივ, სახელმწიფოს აქვს ნებატიური ვალდებულება, არ ჩაერიოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით<sup>1324</sup> დაცული უფლებებით სარგებლობაში და, შესაბამისად, უზრუნველყოს პიროვნების დაცვა, მის

<sup>1318</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.15.

<sup>1319</sup> იხ. კობახიძე, მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 178.

<sup>1320</sup> იხ.: კობახიძე, მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 179; ტუდუში/ ბურჯანაძე/ მშვენიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 188.

<sup>1321</sup> იხ. ტუდუში/ ბურჯანაძე/ მშვენიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 189.

<sup>1322</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, II.3.4.

<sup>1323</sup> იხ. ტუდუში/ ბურჯანაძე/ მშვენიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 189.

<sup>1324</sup> იგულისხმება კონსტიტუციის ძველი რედაქცია.

პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან”.<sup>1325</sup>

ზემოთ ჩამოთვლიდღ უფლებათაგან, კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა შევეხოთ პირადი ცხოვრების უფლებასა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობას.

#### 4.2.1. პირადი ცხოვრების უფლება

პირადი ცხოვრების უფლება, რომელიც, თავის მხრივ, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შინაარსობრივი კომპონენტია, მოიცავს ინდივიდის ცხოვრების ინტიმურ, კერძო და სოციალურ (საჯარო) სფეროებს.<sup>1326</sup>

პირადი ცხოვრების უფლების უფრო მოცულობითი ანალიზი მოცემულია ზემოთ, კონსტიტუციის მე-12 მუხლზე საუბრისას.<sup>1327</sup> რამდენადაც მე-15 მუხლი არის სპეციალური ნორმა (lex specialis) მე-12 მუხლის მიმართ, პირადი ცხოვრების უფლების ნებისმიერი შეზღუდვა კონსტიტუციის მე-15 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად უნდა შეფასდეს.<sup>1328</sup>

ასევე, ადსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული სხვა უფლებები განიხილება სპეციალურ უფლებებად პირადი ცხოვრების ძირითადი უფლების მიმართ.<sup>1329</sup>

#### 4.2.2. სატელეფონო საუბრის თავისუფლება

ადსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებაში შედის სატელეფონო და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობა, საუბარი. ამასთან, „სატელეფონო საუბარი არის ადამიანის პირადი ცხოვრების ზოგადი ცნების სპეციალური შემთხვევა”.<sup>1330</sup>

სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეზღუდვად.<sup>1331</sup> „სასურველ პირებთან სასურველ თემებზე კომუნიკაცია იმ შეგრძნებით, რომ ეს სივრცე და კომუნიკაცია სულაც არ არის ანონიმური, მაღალი ალბათობით,

<sup>1325</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, II.3.4.

<sup>1326</sup> იხ.: კობახიძე, მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 180; დემეტრაშვილი/კობახიძე, კონსტიტუციური სამართლი, 2014, გვ. 76; ქ.წ. სფეროთა თეორიის შესახებ იხ. ზემოთ მე-12 მუხლზე საუბრისას.

<sup>1327</sup> იხ. თავი II, ქვეთავი 4.1.

<sup>1328</sup> იხ. კობახიძე, მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 180.

<sup>1329</sup> იქვე.

<sup>1330</sup> იხ. ტუღუმი/ ბურჯანაძე/ მჭედლიშვილ/ გოცირიძე/ მენაბდე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 189.

<sup>1331</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.8.

თავისთავად ცვლის კომუნიკაციის, აზრის გამოხატვის ფორმასაც და შინაარსესაც, მათ შორის, აზრის გამოხატვაზე/კომუნიკაციაზე უარის თქმის ჩათვლით, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება და გამორიცხავს საკუთარი არჩევანის მიხედვით განვითარებას, ავიწროებს, აღარიბებს პირად სივრცეს”.<sup>1332</sup> აღსანიშნავია, რომ სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლების შინაარსის განსაზღვრისას ხელისუფლება გადის დემოკრატიული და პოლიციური სახელმწიფოების ზღვარზე.<sup>1333</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში დაცულია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ურთიერთობა ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული და ჩვეულებრივი ფოსტის, პეიჯერისა და ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით. კონსტიტუციის მიზანი ამ შემთხვევაში არის, დაიცვას პირებს შორის ნებისმიერი საშუალებით საუბრისა და მიმოწერის შესაძლებლობა. ამ უფლების უზრუნველყოფის ფარგლებში სახელმწიფოს ზოგადად ეკრძალება, გაეცნოს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრებისა და შეტყობინებების შინაარსს, აგრეთვე, დააწესოს კონტროლი, ვისთან და რა ინტენსივობით შედგა ასეთი ურთიერთობები”.<sup>1334</sup>

სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით საუბრის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლების დაცვის სფეროში შედის როგორც სადენიანი (ოპტიკურბოჭკოვანი), ისე უსადენო (რადიოტალღებზე მომუშავე) ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემები.<sup>1335</sup> ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძირითადი უფლებით დაცვას ექვემდებარება მხოლოდ კონფიდენციალურად დამყარებული ურთიერთობა და არა ისეთი კომუნიკაცია, რომელიც ხორციელდება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროების საშუალებით და მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისკენ (მაგ., კომუნიკაცია რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით).<sup>1336</sup>

სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ხელშეუხებლობის უფლებით დაცული არიან საჯარო მოსამსახურეებიც; ბრალდებულები და მსჯავრდებულებიც წინასწარი პატიმრობისა თუ სასჯელადსრულების დაწესებულებებში, გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით.<sup>1337</sup>

სატელეფონო საუბრის ხელშეუხებლობის უფლება არის სუბიექტური ნებატიური უფლება, რომელიც ზღუდავს საჯარო ხელისუფლებას, განახორციელოს მასში ჩარევა. <sup>1338</sup> აღნიშნული

<sup>1332</sup> ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II.პ.27.

<sup>1333</sup> ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.8.

<sup>1334</sup> იქვე, II.პ.6.

<sup>1335</sup> ი. კონსტიტუციის 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 185.

<sup>1336</sup> იქვე.

<sup>1337</sup> იქვე.

<sup>1338</sup> იქვე.

შეზღუდვა კველაზე ხშირად ეხება სისხლის სამართლებრივი ჩარევის შემთხვევებს, მაგ., ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას.

ადსანიშნავია, რომ სატელეფონო საუბრის ხელშეუხებლობის უფლებით დაცულია კომუნიკაციის ორივე პარტნიორი მათ ერთობლიობაში; აქედან გამომდინარე, დაცვის სფეროში ჩარევას არ ექნება ადგილი, თუკი ერთ-ერთი პარტნიორი აძლევს საჯარო ხელისუფლებას საუბრის მოსმენისა თუ კომუნიკაციის შინაარსის გაცნობის უფლებას.<sup>1339</sup> აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩარევის გამართლების შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციის პარტნიორის ვინაობას (მაგ., ადგოკატონ, მოძღვართან სატელეფონო საუბარი).<sup>1340</sup>

სატელეფონო საუბრის თავისუფლება უნდა შეიზღუდოს თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, ინტერესთა აწონდაწონის საფუძველზე.<sup>1341</sup> ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა განსაზღვრულობის პრინციპი.<sup>1342</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაც შეიძლება შეიზღუდოს დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელი, კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, ამასთან იმ პირობის სავალდებულო დაცვით, რომ უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი და პროპორციული გზით მოხდება”.<sup>1343</sup>

ცხადია, დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებაა, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა მნიშვნელოვანი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, რომლებმაც შესაძლოა დემოკრატიული ინსტიტუტების დესტაბილიზაცია გამოიწვიო.<sup>1344</sup> სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა, დაიცვას სახელმწიფო უსაფრთხოება, უზრუნველყოს დანაშაულის გამოძიება, ასევე, მისი პრევენცია.<sup>1345</sup> სწორედ საფრთხეებთან ბრძოლის მიზნით ენიჭება სახელმწიფოს შესაძლებლობა, განახორციელოს ფარული საგამოძიებო დონისძიებები კონკრეტულ პირებსა თუ პირთა ჯგუფებზე, ვისგანაც ეს საფრთხეები მომდინარეობს.<sup>1346</sup> აღნიშნულ დონისძიებათა ფარული ხასიათი

<sup>1339</sup> იქვე, გვ. 186; შეად. სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>1340</sup> იქვე.

<sup>1341</sup> იქვე.

<sup>1342</sup> იქვე, გვ. 190.

<sup>1343</sup> იხ.: აქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება, II.პ.8; ტურუში/ ბურჯანაძე/ მშევნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 214; შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II.პ.40.

<sup>1344</sup> იხ.: ტურუში/ ბურჯანაძე/ მშევნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 214; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.9.

<sup>1345</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II.პ.31.

<sup>1346</sup> იხ.: ტურუში/ ბურჯანაძე/ მშევნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013,

უზრუნველყოფს საგამოძიებო დონისძიების ეფექტიანობას.<sup>1347</sup> თუმცა, სწორედ ფარული ხასიათიდან წარმოშობა სახელმწიფოს მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების, ბოროტად გამოყენების რისკი.<sup>1348</sup> ამიტომ აუცილებელია, კანონმდებლობა უზრუნველყოფილი იყოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის ეფექტიანი მექანიზმებით.<sup>1349</sup> „წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუბალანსებელმა კანონმდებლობამ, დემოკრატიის დაცვის მოტივით, შესაძლოა, თავად დემოკრატია გახადოს ძალზე მყიფე და სათუო”.<sup>1350</sup>

#### **4.2.3. პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის შეზღუდვის საფუძვლები**

კონსტიტუციის მე-15 მუხლის საფუძველზე კონსტიტუცია ადგენს ამ მუხლით დაცული უფლებების შეზღუდვის საფუძველს, რაც კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებას ემსახურება; კერძოდ, მათი შეზღუდვა დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანების კონსტიტუციური გარანტიად.<sup>1351</sup> თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა, ცალკე აღებული, არ ქმნის კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებში თანაზომიერი ჩარევის გარანტიას; ძირითადი უფლების პროცესურული შეზღუდვის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების შექმნას.<sup>1352</sup> ხელისუფლების მხრიდან ძირითად უფლებაში გადამეტებული ჩარევისა და თვითნებობის თავიდან ასაცილებლად სწორედ კანონმა უნდა განსაზღვროს, როდის და როგორ მიიღება სასამართლოს

გვ. 214; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.9.

<sup>1347</sup> იხ.: ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშეგნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 214; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.9.

<sup>1348</sup> იხ.: ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშეგნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 214; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.9.

<sup>1349</sup> იხ.: ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშეგნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 215; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.9.

<sup>1350</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.9; შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 პრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II.პ.31.

<sup>1351</sup> იხ.: ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშეგნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 200.

<sup>1352</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.24; ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშეგნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 199.

აღნიშნული გადაწყვეტილება.<sup>1353</sup> იმისთვის, რათა სასამართლო გადაწყვეტილება იყოს სწორი და დასაბუთებული, პირველ რიგში, კანონი უნდა იყოს კონკრეტული, მკაფიო და ნათელი, რათა მოსამართლეს მისი სწორად გამოყენების შესაძლებლობა ჰქონდეს.<sup>1354</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, უფლების შეზღუდვისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების ალტერნატივად კონსტიტუციის მე-15 მუხლი ადგენს კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის არსებობას.

თავად საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის კონკრეტული განსაზღვრის უფლება ენიჭება კანონმდებელს.<sup>1355</sup> კონსტიტუციის ამ დებულებიდან გამომდინარე, პირობა, რომელიც შესაძლოა, თავისი შინაარსით შეესაბამება გადაუდებელ აუცილებლობას, მაგრამ თუკი არაა კანონით გათვალისწინებული, მაშინ დაუშვებელია, საფუძლად დაედოს მოსამართლის ბრძანების გარეშე ძირითადი უფლების შეზღუდვას.<sup>1356</sup> თავის მხრივ, ამ საკითხის კანონით განსაზღვრული რეგულაცია მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს მის კონსტიტუციით დადგენილ შინაარსს.<sup>1357</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, „გადაუდებელი აუცილებლობა” გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტზე მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე. ამასთან, ძალზე მკაფიო, ნათელი და ცალსახა უნდა იყოს, რომ კონსტიტუციის ფარგლებში საჯარო ინტერესის სხვაგვარად დაცვის მცირედი ალბათობაც არ არსებობს. გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე, რაც უფლების შესაზღუდად მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას”<sup>1358</sup>. იმავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო

<sup>1353</sup> ი.ხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.24; ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშეგნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 199.

<sup>1354</sup> ი.ხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.24; ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშეგნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 199.

<sup>1355</sup> ი.ხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.26; ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშეგნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 201.

<sup>1356</sup> ი.ხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.26; ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშეგნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 201.

<sup>1357</sup> ი.ხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.26; ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშეგნიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 201.

<sup>1358</sup> ი.ხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.26.

საზღასმით აღნიშნავს, რომ „კანონმდებლის ნება ამა თუ იმ გარემოების გადაუდებელ აუცილებლობად მიჩნევის შესახებ, საკმარისად მკაფიო უნდა იყოს, რათა გამოირიცხოს სამართალშემფარდებლის მიერ მისი არასწორი ინტერპეტაცია და თვითნებობის ალბათობა, რისი კანონზომიერი შედეგიც იქნება უფლების დარღვევა”.<sup>1359</sup>

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გადაუდებელი აუცილებლობის გარემოებებს კონკრეტულად განსაზღვრავს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი; მათ შორისაა, მაგ., შემთხვევა, როდესაც ჩარევის დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განაღგურება.<sup>1360</sup> აღსანიშნავია, რომ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე ჩატარებული ნებისმიერი ჩარევის ლეგიტიმურობა მოგვიანებით საჭიროებს სასამართლოს მიერ დადასტურებას (სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები).

სატელეფონო საუბრის თავისუფლებაში საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დადგენილი ჩარევის საფუძვლის გარდა, მხედველობაშია მისაღები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ეკროპული კონვენციით განსაზღვრული ჩარევის საფუძვლები, რამდენადაც აღნიშნულ კონვენციას საქართველოში უშუალო მოქმედების ძალა აქვს. კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, „დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად”.<sup>1361</sup> კონვენციის მე-8 მუხლის აღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებული უნდა იყოს პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის შეზღუდვის თანაზომიერების შეფასების დროს.<sup>1362</sup>

აღსანიშნავია, რომ სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით განხორციელებული კომუნიკაციის თავისუფლებაში საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დადგენილი ჩარევის საფუძვლები არ მოქმედებს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და დიპლომატების მიმართ, რადგან ისინი, დიპლომატიის სამართლის სტანდარტების შესაბამისად, აბსოლუტურად არიან დაცული ამ თავისუფლებათა ხელშეუხებლობის უფლებით.<sup>1363</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, პირადი ცხოვრების სფეროში ჩარევა სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და კანონით დადგენილი წესით. საინტერესოა, იცავს თუ არა კანონი კონსტიტუციით დაცულ აღნიშნულ უფლებას კერძო პირთა მხრიდან ინდივიდების პირად ცხოვრებაში ჩარევას.

<sup>1359</sup> იქვე.

<sup>1360</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. მომდევნო – საპროცესო სამართლებრივი რეგულირების თავში: თავი II, ქვეთავი 6.2.2.2.

<sup>1361</sup> იხ. კობახიძე, მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 178, 191-192.

<sup>1362</sup> იქვე, გვ. 192.

<sup>1363</sup> იქვე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ უფლება პირად ცხოვრებაზე ნიშნავს ინდივიდის შესაძლებლობას, „იყოს დაცული და უზრუნველყოფილი მის კერძო სფეროში სახელმწიფოს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პირების ჩარევისგან”.<sup>1364</sup> შესაბამისად, მართალია, ადამიანის პირადი ცხოვრების, სატელეფონო თუ სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ხელშეუხებლობის უფლება ინდივიდს იცავს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ინტერვენციისგან, მაგრამ, ამავდროულად, აღნიშნული უფლებები უზრუნველყოფს ადამიანის პირადი ცხოვრების ყოვლისმომცველ დაცვას.<sup>1365</sup> თავად ინდივიდის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ფიზიკური პირის მხრიდან ინდივიდის პირად ცხოვრებაში ჩარევა, ფარული თვალთვალი, სატელეფონო საუბრის მიყურადება და ა.შ.<sup>1366</sup> სახელმწიფოს, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტის, ვალდებულებაა, არ დაუშვას ნებისმიერი კერძო პირის მხრიდან ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევა.<sup>1367</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება დაიშვას გამონაკლისი, უპირველეს ყოვლისა, საჯარო პირებთან მიმართებით.<sup>1368</sup>

#### **4.3. საკონსტიტუციო რეფორმა და 2017 წლის ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში**

საინტერესოა, მოკლედ აღინიშნოს 2017 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ.

2017 წელს დღის წესრიგში დადგა საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის თვისობრივი გადასინჯვის საკითხი როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით.<sup>1369</sup> კონსტიტუციის ხარვეზების აღმოსაფხვრელად და კონსტიტუციის დახვეწილი რედაქციის შესამუშავებლად, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც პარლამენტის მიერ განესაზღვრა ორი ძირითადი მიზანი:

- ა) კონსტიტუციის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან;
- ბ) ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარების ინტერესის შესაბამისი კონსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბება.<sup>1370</sup>

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია.<sup>1371</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს

<sup>1364</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება, II.პ.2.

<sup>1365</sup> იხ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2008, გვ. 168.

<sup>1366</sup> იქვე.

<sup>1367</sup> იხ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 292.

<sup>1368</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2008, გვ. 168.

<sup>1369</sup> იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149115>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1370</sup> იქვე.

<sup>1371</sup> იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/161170>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

კონსტიტუციური კანონის მესამე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია ამოქმედდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში<sup>1372</sup> გამარჯვებული კანდიდატის მიერ საპრეზიდენტო ფიცის დადგებისთანავე.<sup>1373</sup>

ქვეყნის ძირითადი კანონის აღნიშნული ფუნდამენტური გადასინჯვის საფუძველზე ჩამოყალიბდა კონსტიტუციის ზემოთ განხილული მე-12 და მე-15 მუხლები.<sup>1374</sup>

საინტერესოა აღნიშნული ცელილებების მოკლე მიმოხილვა.

მოქმედი კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გათვალისწინებული იყო კონსტიტუციის ძველი რედაქციის მე-16 მუხლში. ამასთან, ნორმა არ შეცვლილა. შესაბამისად, კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვითაც, „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება”.<sup>1375</sup>

რაც შეეხება მოქმედი კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ იმ ძირითად უფლებებს, რომლებიც კვლევის საგანს წარმოადგენს, კონსტიტუციის ძველი რედაქციის მე-20 მუხლით იყო გარანტირებული.<sup>1376</sup> აღნიშნული მუხლის მიხედვით, „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიწვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას”.

ადსანიშნავია, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქცია, ძველისგან განსხვავებით, დაცულ უფლებათა ჩამონათვალში ცალკე არ გამოყოფს სატელეფონო საუბრის ხელშეუხებლობას, არამედ განაზოგადებს. კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-15 მუხლის მეორე პუნქტში არსებული ტერმინი – კომუნიკაცია, როგორც უკვე აღინიშნა, მოიცავს სატელეფონო საუბარს. ამასთანავე, განმარტებითი ბარათი საქართველოს

---

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებულ და პარლამენტის მიერ დამტკიცებულ „საქართველოს კონსტიტუციაში ცელილების შეტანის შესახებ” საქართველოს კონსტიტუციურ კანონში მოგვიანებით, 2017 წლის 6 ოქტომბრის ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნის დამტკიცების შემდეგ, შევიდა გარკვეული ცელილებები. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა ვენეციის კომისიის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების ასახვა საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში. იხ.: განმარტებითი ბარათი:

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/162584>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დამტკიცა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია. იხ.

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/179591>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1372</sup> 2018 წლის შემოდგომა.

<sup>1373</sup> იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/161170>.

უკანასკნელად

გადამოწმებულია 17.07.2018.

იხ.

<sup>1374</sup> იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149115>.

უკანასკნელად

გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1375</sup> იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/179591>.

უკანასკნელად

გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1376</sup> იქვე.

კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ” მიუთითებს, რომ „პირადი სივრცე და კომუნიკაცია სრულად მოიცავს ადამიანის თავისუფლების იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებს დაცვას კონსტიტუციის მოცემული მუხლით”.<sup>1377</sup>

ამასთან, კონსტიტუციის ძველი რედაქციისგან განსხვავებით, მოქმედი რედაქციის მე-15 მუხლში დაკონკრეტებულია ამ მუხლით დაცულ უფლებათა შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები, კერძოდ, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ან სხვათა უფლებების დაცვა.<sup>1378</sup> აღნიშნული კი უზრუნველყოფს ამ უფლებების დაცვის კონსტიტუციური სტანდარტის ამაღლებას.<sup>1379</sup>

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია მე-15 მუხლში ცალკე გამოყოფს და შეზღუდვის განსხვავებულ რეჟიმს აწესებს, ერთი მხრივ, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობისთვის და, მეორე მხრივ, ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობისთვის.<sup>1380</sup> ამ უკანასკნელი უფლების შეზღუდვის წინაპირობად, კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნის გარდა, კონსტიტუციის ახალი რედაქცია განსაზღვრავს სასამართლოს გადაწყვეტილებას ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევას.

რაც შეეხება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევას, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციით უკვე კონსტიტუციის დონეზე დგინდება გადაუდებელი აუცილებლობისას შეზღუდვის კანონიერების პოსტ ფაქტუმ სასამართლო გადამოწმების მოთხოვნა.<sup>1381</sup>

#### 4.4. შეჯამება

პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობა, როგორც უკვე აღინიშნა, არაერთი საერთაშორისო აქტითაა დაცული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითაც. ამასთან, განსაკუთრებულ დაცვას ექვემდებარება პირადი ცხოვრების ძირითადი, ინტიმური სფერო, როგორც მისი არსებითი და ცენტრალური ნაწილი. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო – ადამიანის ინტიმური, სექსუალური ურთიერთობები, ოჯახური ცხოვრება, მისი ჩვევები, მოძღვრისთვის ადსარებისას მინდობილი ინფორმაცია, სამედიცინო გამოკვლევების შედეგები, ადამიანის ემოციები და გრძნობები, მათი პრივატულ სფეროში

<sup>1377</sup> იბ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149115>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1378</sup> იქვე.

<sup>1379</sup> იქვე.

<sup>1380</sup> იბ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/168935>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

<sup>1381</sup> იბ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149115>, უკანასკნელად გადამოწმებულია 17.07.2018.

გამოხატვის ფორმები უნდა იყოს განსაკუთრებულად დაცული სახელმწიფოსა და ნებისმიერი მესამე პირის ზედამხედველობისაგან”.<sup>1382</sup>

პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანაზომიერების პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ ამ უფლებებში ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და უნდა იყოს ამ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი, გამოსადეგი და მისი შესაბამისი.

პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებათა შეზღუდვა ხორციელდება ფარული საგამოძიებო დონისძიებების საფუძველზე, მათ შორისაა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუურადება და ჩაწერა. ამ საგამოძიებო დონისძიების ფარული ხასიათიდან წარმოიშობა სახელმწიფოს მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკი, ამიტომ საჭიროა კანონმდებლობაში არსებობდეს დაცვის ეფექტიანი მექანიზმი.

კონსტიტუციით გარანტირებულია მთელი რიგი სამართლებრივი დაცვის დონისძიებები, მათ შორისაა სასამართლო კონტროლი. ამასთანავე, როგორც აღინიშნა, კონსტიტუციის ახალი რედაქციით კონსტიტუციის დონეზე დადგინდა გადაუდებელი აუცილებლობის პოსტურული სასამართლო გადამოწმების მოთხოვნა. თუმცა, კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლო კონტროლის არსებობა არაა საკმარისი ბერკეტი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის სასურველი შედეგის მისაღწევად. გადამწყვეტი როლი ენიჭება შესაბამის, კონკრეტულ საკანონმდებლო რეგულაციას. პკლევის მომდევნო თავი ეძღვნება სწორედ სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების კონკრეტულ, სისხლის საპროცესო სამართლებრივ რეგულირებას.

## 5. სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების ინსტიტუტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაცულად აცხადებს პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობას. კერძოდ, სსსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „გამოძიების პროცესში მხარეს არ აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. კერძო საკუთრების ან სხვა მფლობელობის და ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით”. პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობისა და პირადი ცხოვრების დაცვის აღინიშნული პრინციპი მიეკუთვნება კონსტიტუციური პრინციპების კატეგორიას და, როგორც თუმანიშვილი აღინიშნავს, ის კონსტიტუციის შესაბამისი ნორმებიდან გადმოტანილია სსსკ-ის ცალკეულ მუხლებში.<sup>1383</sup>

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი ძირითადი სფერო სწორედ პირადი კომუნიკაციის კონფიდენციალურობაა, რომელიც უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას, იცავს ადამიანს კომუნიკაციის მიუურადებისა და მონიტორინგისაგან, სატელეფონო თუ

<sup>1382</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება.

<sup>1383</sup> იხ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 64.

უკაბელო კავშირურთიერთობის მიყურადება-ჩაწერისა და ელექტრონული კომუნიკაციის ხელმისაწვდომობისაგან.<sup>1384</sup> სსსკ-ის მე-7 მუხლის კომენტირებისას ტერმინი „კომუნიკაციის ხელშეუხებლობა“ განიმარტება, როგორც კომუნიკაციის დაცვა გარეშე პირების არასასურველი მონაწილეობისგან; ის უზრუნველყოფს ნებისმიერი სახის მონაცემების ხელშეუხებლობას, რომელთა გადაცემა, შენახვა და გენერირება ხდება კავშირგაბმულობის საშუალების ან კომპიუტერული სისტემის მეშვეობით.<sup>1385</sup> აქ იგულისხმება მონაცემები შემავალი და გამავალი სიგნალების შესახებ, საფოსტო, სატელეგრაფო შეტყობინებები, მესიჯები, ელექტრონული ფოსტა, კომუნიკაცია სოციალური ქსელის გამოყენებით (მაგ.: facebook, viber, whatsapp, skype, twitter), ინტერნეტაქტივობის ისტორია.<sup>1386</sup> შესაბამისად, სსსკ-ით დაცულია როგორც შინაარსი, ასევე კომუნიკაციის არსებობის ფაქტის, მისი ხანგრძლივობის, თარიღისა და სიხშირის, ადგილმდებარეობის, კონტაქტებისა თუ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მომხმარებლების შესახებ ინფორმაცია.<sup>1387</sup>

აქედან გამომდინარე, სსსკ-ის მე-7 მუხლი იცავს ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობას, რაც გულისხმობს როგორც სატელეფონო, ვერბალურ, ასევე წერილობით კომუნიკაციას და კომუნიკაციას ჟესტიკულაციის მეშვეობითაც.<sup>1388</sup>

რაც შეეხება უშუალოდ კვლევის საგანს, სატელეფონო საუბარსა და მისი საიდუმლოების დარღვევას, ევროპულმა სასამართლომ<sup>1389</sup> დაადგინა, რომ „სატელეფონო საუბრების მოსმენა, სხვაგვარი მიყურადება პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის უფლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეზღუდვაა და ამიტომ უნდა ემყარებოდეს კანონს, რომელიც განსაკუთრებით ზუსტია. მნიშვნელოვანია ზუსტი და დეტალური წესების არსებობა ამ საკითხზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ტექნოლოგია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, განუწყვეტლივ ვითარდება”<sup>1390</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში მოჰყავს ციტატა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებიდან, რომლის მიხედვითაც „მოსმენები და სატელეფონო საუბრებზე კონტროლის სხვა ფორმები წარმოადგენენ პირადი ცხოვრებისა და კორესპონდენციის თავისუფლებაში სერიოზულ ჩარევას, ამიტომ უნდა ეფუძნებოდნენ კანონს, რომელიც ამ ნაწილში უნდა იყოს განსაკუთრებით ზუსტი” („კოპი შვეიცარიის წინააღმდეგ”, 1998 წლის 25 მარტი, პ.72).<sup>1391</sup>

<sup>1384</sup> იხ. ფაფიაშვილი ლ., წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015, გვ. 67.

<sup>1385</sup> იქვ. გვ. 66.

<sup>1386</sup> იქვ.

<sup>1387</sup> იქვ.

<sup>1388</sup> იქვ.

<sup>1389</sup> საქმეებში – KKruslin v. France და Huvig v. France.

<sup>1390</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლი, 2004, გვ. 278, ციტირებული: ტურავა, წიგნში – დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (რედ. გამყრელიძე, მ.) 2008, გვ. 383.

<sup>1391</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.13.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაკუთრებული სიზუსტით განსაზღვრავს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის, როგორც ფარული საგამოძიებო დონისძიების, კანონით დადგენილი შეზღუდვის პირობებს. აღნიშნული წესები მოცემულია სსსკ-ის 143<sup>1</sup> – 143<sup>10</sup> მუხლებში.

სსსკ-ის 143<sup>1</sup> მუხლი განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეებს. ეს ჩამონათვალი ამომწურავია. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის თანახმად, ფარულ საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა. ეს ფარული საგამოძიებო მოქმედება მოიცავს სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას.

აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლების შემზღვეველი ნორმებისადმი მოთხოვნები, სხვა ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებასთან შედარებით, გაცილებით მკაცრია.<sup>1392</sup> აღნიშნული ლიტერატურაში აიხსნება რამდენიმე ძირითადი ფაქტორით, ესენია:

1. უფლებაში ჩარევის ბუნება, რაც გულისხმობს, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა ტარდება ფარულად. შესაბამისად, ადრესატმა არ იცის მისი მისამართით ამ დონისძიების ჩატარების შესახებ;

2. პირი არ მონაწილეობს იმ სასამართლო პროცესში, რომელზეც უნდა გადაწყვდეს მის მიმართ ფარული საგამოძიებო დონისძიების ჩატარების საკითხი. შესაბამისად, მან არაფერი იცის ამ დონისძიების საფუძვლიანობასა და კანონიერებაზე; ამდენად, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, თავიდან აიცილოს სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო არამართლზომიერი ჩარევა;

3. გართულებულია ე.წ. „მესამე პირთა“ ინტერესების აღეკვატური დაცვა. აქ საუბარია იმ პირებზე, რომელთა მიმართაც უშუალოდ არ ტარდება სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა, თუმცა ისინი ფარული მიყურადების ობიექტები გახდნენ ფარული საგამოძიებო დონისძიების ობიექტთან სატელეფონო კავშირის გამო. აღსანიშნავია, რომ ეს ე.წ. „მესამე პირები“ სახელმწიფოს მხრიდან კონტროლსა და ფარულ მიყურადებას საერთოდ არ მოელიან და არც თავის დაცვა შეუძლიათ.<sup>1393</sup>

ამ ძირითადი გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელია, კანონში ზედმიწევნით დეტალურად, ცხადად და მკაფიოდ იყოს მოცემული უფლებაში ჩარევის კონკრეტული მიზანი, საფუძვლები და წინაპირობები. როგორც საკონსტიტუციო სასამართლო 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, „დაცული სფეროს განსაკუთრებულობა და უფლებაში ჩარევის ფორმა განაპირობებს კანონისადმი შემდეგ დამატებით მოთხოვნებსაც: ა) მოცემულ

<sup>1392</sup> იხ. ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშვენიერაძე/ გოცირიძე/ მენაბდე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 202.

<sup>1393</sup> იხ.: ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშვენიერაძე/ გოცირიძე/ მენაბდე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 202-203; შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.13.

შემთხვევაში კანონის სიზუსტე, განჭვრებადობა და ხელმისაწვდომობა მოიცავს იმ აუცილებელ პირობასაც, რომ უფლების შეზღუდვაზე უფლებამოსილი პირების დასაშვები მოქმედების ფარგლები იყოს კონკრეტული, გასაგები, მკაფიო. [...] ბ) კანონის განსაზღვრულობას ასევე ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო კონტროლის დროული და ეფექტური განხორციელებისათვის. მოქალაქეებმა ზუსტად უნდა იცოდნენ რა შემთხვევებში, რომელი კონკრეტული პირობის თუ გარემოების გამო შეიძლება დაირღვეს მათი უფლება და, შესაბამისად, უნდა შეძლონ, ისარგებლონ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით, რასაც არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლების სრული დაცვისთვის”.<sup>1394</sup>

საჭიროა, წინამდებარე კვლევაში დეტალურად იქნეს განხილული სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის როგორც მატერიალური, ისე ფორმალური (პროცედურული) საპროცესო სამართლებრივი წინაპირობები.

## 5.1. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მატერიალური წინაპირობები

### 5.1.1. დანაშაულის შემადგენლობათა ჩამონათვალი

სსსკ-ის 143<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა შესაძლებელია მხოლოდ ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამომიებისას. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედება დასაშვებია თუკი გამომიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე ან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ დანაშაულებზე. ამ კონკრეტულ დანაშაულთა ჩამონათვალს შეიცავს სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა” ქვეპუნქტი, ესენია:

- 117-ე მუხლის პირველი ნაწილი – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება,
- 134-ე მუხლი – ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება,
- 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბოსელობის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის იძულება სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქარით, ანდა მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით, ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ,
- 140-ე და 141-ე მუხლები – სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან; გარუცნილი ქმედება,

<sup>1394</sup> იბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.14.

- 143-ე მუხლის პირველი ნაწილი – თავისუფლების უკანონო აღკვეთა,

- 143<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილი – წინასწარი შეცნობით ამ კოდექსის 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც ამავე კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის თანახმად წარმოადგენს ექსპლუატაციას,

- 180-ე მუხლის პირველი ნაწილი – თაღლითობა,

- 181-ე მუხლის პირველი ნაწილი – გამოძალვა,

- 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი – წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ,

ბ) არაერთგზის,

გ) ავტომობილის მიმართ,

დ) დიდი ოდენობით,

ე) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლები სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის.

- 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით,

- 198-ე მუხლის პირველი ნაწილი – ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია ანდა ასეთ პროდუქციაზე ეტიკეტის უკანონოდ გამოყენება,

- 210-ე მუხლის პირველი ნაწილი – ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის, სხვა საგადასახადო დოკუმენტის ან ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტის დამზადება ან შეძენა გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღება ან გამოყენება, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი,

- 253-ე მუხლის პირველი ნაწილი – პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით,

- 254-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები<sup>1395</sup> – პირის პროსტიტუციაზე დაყოლიება ან/და სხვა ისეთი არაძალადობრივი ქმედების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს პირის პროსტიტუციაში მონაწილეობას; პროსტიტუციისათვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა,

- 255<sup>1</sup> მუხლი – არასრულწლოვანის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში,

<sup>1395</sup> აღნიშნული შემადგენლობა ამ მუხლს დაემატა 2018 წლის 17 მაისს მიღებული კანონის (№2355-III) საფუძველზე, ი. საქართველოს მთავრობის მიერ.

- 259<sup>4</sup> მუხლი – ძეგლების, არქეოლოგიური ობიექტების ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა კულტურული ფასეულობების საქართველოდან უნებართვო გატანა,

- 284-ე მუხლი – კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა,

- 285-ე მუხლის პირველი ნაწილი – კომპიუტერული პროგრამის ან/და სხვა მოწყობილობის, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში შეღწევისათვის საჭირო პაროლის, დაშვების კოდის ან სხვა მსგავსი მონაცემის უნებართვო დამზადება, შენახვა, გაყიდვა, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა ამ თავითა და ამ კოდექსის 158-ე ან 159-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით,

- 286-ე მუხლი – კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა,

- 287-ე მუხლი – სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა,

- 288-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები – ტოქსიკური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან გარემოსათვის საშიში სხვა ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა მისი წარმოების, ტრანსპორტირების, განთავსების, შენახვის, ჩამარხვის ან გამოყენების დროს, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს არსებითი დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი; იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია გარემოს დაბინძურება, მოწამვლა ან დასნებოვნება, ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ანდა ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება, აგრეთვე ჩადენილი საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში,

- 289-ე მუხლი – მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევა,

- 290-ე მუხლი – ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა,

- 292-ე – 303-ე მუხლები – წყლის დაბინძურება; ზღვის დაბინძურება; ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება; ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება; საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა; მიწის გაუვარგისება; წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა; წიაღით უკანონოდ სარგებლობა; უკანონო თევზჭერა; უკანონო ნადირობა; საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ადგილსამყოფლის მოშლა; ხებუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა,

- 304-ე მუხლის პირველი ნაწილი – ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლთან ან მომუტებული საფრთხის

წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, ანდა მისი  
დაბინძურება მავნე ნივთიერებით,

- 305-ე მუხლი - დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა,
  - 306-ე მუხლი - საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე,
  - 306<sup>1</sup> მუხლი - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება;<sup>1396</sup>
  - 318-ე მუხლის პირველი ნაწილი - საქართველოს დასუსტების მიზნით სახელმწიფო ან სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა,
  - 322<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები - უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის დარღვევით; იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) ჯგუფურად;
  - ბ) არაერთგზის;
  - გ) ძალადობით ან ძალადობის მუქარით;
  - დ) ასეთი დანაშაულისთვის მსჯავრდებული მიერ.

- 340-ე მუხლი – კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება,
  - 341-ე მუხლი – სამსახურებრივი სიყალბე.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობათ  
აღნიშნული სიითი ჩამონათვალი ამომწურავია. სსკ-ით  
გათვალისწინებულ სხვა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა  
საქმეებზე სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადება და ჩაწერა  
დაუშვებელია.<sup>1397</sup>

#### 5.1.2. დასაბუთებული გარაუდი

სატელეფონო საუბრის ფარული მიუწვდობისა და ჩაწერისთვის აუცილებელი მატერიალური წინაპირობაა დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ პირს, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული („დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი”), ან პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილის „ბ” ქვეპუნქტი).

<sup>1396</sup> აღნიშნული შემადგენლობა ამ მუხლს დაემატა 2017 წლის 1 ივნისს მიღებული კანონის (№911-III) საფუძვლით, ხოლო მიღებული კანონის მიზნების მიღებული კანონის (№911-II) საფუძვლით.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3683198#DOCUMENT:1>; ქართული კონფიდენციალური მუნიციპალიტეტის გადამზღვევის 18.07.2018.

<sup>1397</sup> იხ. მეცნიერებელი, წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რად. გორგაძე, გ.), 2015, გვ. 428.

კანონის მოთხოვნის თანახმად, უბრალო ეჭვი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის არაა საკმარისი, აუცილებელია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობა. დასაბუთებული ვარაუდი კი, სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11-ე ნაწილის თანახმად, ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობაა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. კანონი იქვე განმარტავს, რომ დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის დონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებულ მტკიცებულებით სტანდარტს.

აღსანიშნავია, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად საჭიროა მისი არსებობის დასაბუთება მტკიცებულებებით და არა მხოლოდ ფაქტების, გარემოებების მოშველიებით.<sup>1398</sup> ასეთ მტკიცებულებებში იგულისხმება, მაგ., საგამოძიებო მოქმედების ოქმი, მოწმეთა ჩვენებები, ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა მასალები.<sup>1399</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მატერიალური წინაპირობა; სხვაგვარად რომ ითქვას, ამ მოქმედების ჩატარების მიზანშეწონილობის შინაარსობრივი ასპექტი<sup>1400</sup>. საბოლოო ჯამში, ეს სტანდარტი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა კონსტიტუციით დაცულ სფეროში ჩარევის გამამართლებელ საფუძველს.<sup>1401</sup>

### 5.1.3. თანაზომიერების პრინციპი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა, რომ „უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ემსახურებოდეს კონსტიტუციურ მიზნებს, იყოს აუცილებელი და წარმოადგენდეს ამ მიზნების მიღწევის პროპორციულ საშუალებას”.<sup>1402</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს ეს მოწოდება ასახულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის 143<sup>2</sup> მუხლი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის შემზღვეველ პრინციპად განსაზღვრავს თანაზომიერების პრინციპს. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩატარება გათვალისწინებულია ამ კოდექსით და ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად; ლეგიტიმურ მიზანს კი, როგორც ამას კანონი განსაზღვრავს, წარმოადგენს:

- ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა,
- უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება,

<sup>1398</sup> იქვე, გვ. 434.

<sup>1399</sup> იქვე.

<sup>1400</sup> იქვე.

<sup>1401</sup> იქვე.

<sup>1402</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება, II.პ.9.

- ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესები,
- სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე არსებითი მსჯელობისას უნდა შეფასდეს, თუ რა მოიაზრება თითოეულ ამ მიზანში.<sup>1403</sup>

ადსანიშნავია, რომ სსსკ-ის 143<sup>2</sup> მუხლის მეორე ნაწილში ჩამოყალიბებული ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრება შეესაბამება და თითქმის იდენტურიცაა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ფორმულირებისა, რომლის თანახმადაც, პირადი და ოჯახური ცხოვრებისა, საცხოვრებლისა და მიმოწერის ხელშეუვალობის უფლებათა განხორციელებაში „დაუშვებელია [..] საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად”.<sup>1404</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარებისთვის ლეგიტიმური მიზნის ჩამონათვალში ისეთი კომპონენტების არსებობა, როგორებიცაა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება, გარკვეულ კითხვას ბადებს. ერთი შეხედვით, შეუთავსებელი უნდა იყოს პრევენციული ხასიათის მიზნების სსსკ-ში არსებობა. რეალური ხომ არაა კვლევაში ზემოთ უკვე განხილული რისკები, რომლებიც უკავშირდება სისხლის სამართლის პროცესის „უსაფრთხოების, დაზვერვის”<sup>1405</sup> ანდა „საპოლიციო უფლებამოსილებით”<sup>1406</sup> ადჭურვას? თუმცა, ეს ასე არ არის. სსსკ-ში არსებული ფარული საგამოძიებო ღონისძიება ვერ იქნება ვერც საპოლიციო და ვერც წმინდა პრევენციული ღონისძიება, რადგან მისი ჩატარება უნდა აკმაყოფილებდეს კოდექსით დადგენილ მთელ რიგ მატერიალურ და ფორმალურ (პროცედურულ) წინაპირობებს. მაგალითისთვის, უპირველეს ყოვლისა, ადსანიშნავია ზემოთ უკვე განხილული გარემოება, რომ სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად აუცილებელია, რომ დანაშაულთა კონკრეტულ შემადგენლობებზე დაწყებული იყოს გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა.

საგამოძიებო ღონისძიების ჩატარება არ გამორიცხავს, რომ ის არ ემსახურება საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებასაც; კანონის ეს ჩანაწერი, ვფიქრობ, უფრო ხაზს უსვამს ფარული საგამოძიებო ღონისძიებების

<sup>1403</sup> იხ. მეზერიშვილი, წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო ქოდექსის კომენტარი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015, გვ. 434,

<sup>1404</sup> იხ. კობახიძე, მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 178, 191-192. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ზემოთ, თავი II, ქვეთავი 4.2.3..

<sup>1405</sup> იხ. Paeffgen, StV 2002, 336-341.

<sup>1406</sup> იხ. Paeffgen, GA 2003, 652.

სამართლებრივი ბუნების თავისებურებას, მათ ოპერატორს და პროაქტიურ<sup>1407</sup> ხასიათს.

ლეგიტიმური მიზნის განმარტების შემდეგ სსსკ-ი განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედების აუცილებლობას. კერძოდ, სსსკ-ის 143<sup>2</sup> მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუ მისი ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალებაა.

როგორც ჩანს, კანონის მოთხოვნით, სატელეფონო საუბრის ფარული მიურადების ჩატარება აუცილებელია მაშინ, თუკი ის გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით. აღსანიშნავია, რომ ეს კრიტერიუმი არ არის მყარი და ყველა საზოგადოებისთვის უნივერსალურია. ის ცვალებადია პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მოცემულობის შესაბამისად. ეს კი იმას გულისხმობს, რომ შესაძლოა ის, რაც ერთი საზოგადოებისთვის „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებაა“, სხვისთვის არ იყოს არსებითი.<sup>1408</sup> აღნიშნული კრიტერიუმი შეფასებითია დროის შესაბამისადაც. თუკი დღეს რაიმე „გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებად“ შეფასდება, შესაძლოა, რომ მომავალში ეს გაგება შეიცვალოს.<sup>1409</sup> აღსანიშნავია, რომ „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ შეფასებისას აუცილებელია ისეთი გარემოებების გათვალისწინება, როგორებიცაა: დაცული უფლების არსი, მისი ბუნება და მასთან დაკავშირებული სხვა გარანტიები.<sup>1410</sup>

რაც შეეხება შემდეგ მნიშვნელოვან კრიტერიუმს, მიიჩნევა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაფერისია, თუკი ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად და თუკი შეზღუდვის შედეგად დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს.<sup>1411</sup>

დაბოლოს, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება პროპორციულია, თუ დაცულია პროპორციულობა ინდივიდის უფლებასა და საჯარო ინტერესებს შორის.<sup>1412</sup> პროპორციულობა გულისხმობს იმასაც, რომ არსებობს საკმარისი გარანტიები, რათა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება თვითნებობად არ ჩაითვალოს.<sup>1413</sup>

თავად პროპორციულობის პრინციპის დაშვება გულისხმობს იმის აღიარებას, რომ ადამიანის უფლებები, როგორც წესი, არ არის აბსოლუტური.<sup>1414</sup> თუმცა, მათი შეზღუდვა აუცილებელია, რომ

<sup>1407</sup> შეად. Albrecht/ Dorsch/ Kriüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 465.

<sup>1408</sup> იქვე.

<sup>1409</sup> იქვე.

<sup>1410</sup> იქვე.

<sup>1411</sup> იქვე, გვ. 435.

<sup>1412</sup> იქვე.

<sup>1413</sup> იქვე.

<sup>1414</sup> იხ.: მეზრიშვილი, წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო პოდექსის კომენტარი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015, გვ. 435; მეურმიშვილი, წიგნში – სისხლის საპროცესო სამართლი (რედ. ფაფიაშვილი, ლ.), 2017, 519.

შემოწმდეს უფრო ფართო საჯარო ინტერესით.<sup>1415</sup> ძირითად უფლებებში ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინება, როგორებიცაა, მაგ., ინტერესი, რომელიც დაცული უნდა იყოს ხელისუფლების მხრიდან ჩარევისაგან; მისი ხასიათი; ჩარევის სიმბიმე; ასევე, გადაუდებელი სოციალური საჭიროება.<sup>1416</sup> ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო დონისძიების პროპორციულობა ყოველი კონკრეტული ჩარევის შემთხვევაში უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად.<sup>1417</sup>

აღსანიშნავია, რომ ლეგიტიმური მიზნის პროპორციულობა და შესაფერისობა სახეზე უნდა იყოს ერთდროულად.<sup>1418</sup>

თანაზომიერების პრინციპის ზემოთ განხილული საკანონმდებლო მოცემულობა სამეცნიერო ლიტერატურაში მცირედ განსხვავებული სახითა და ტერმინებით გვხვდება.<sup>1419</sup> ძირითადად კი, თანაზომიერების პრინციპი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან მიმართებით ხასიათდება ისე, რომ აღნიშნული მოქმედების ჩატარება უნდა იყოს:

- აუცილებელი<sup>1420</sup> /სავალდებულო<sup>1421</sup>;
- გამოსადეგი<sup>1422</sup> /გარგისი<sup>1423</sup>;
- პროპორციული<sup>1424</sup> /შესაბამისი (ვიწრო გაგებით თანაზომიერი)<sup>1425</sup>.

#### 5.1.4. სუბსიდიარულობა

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მნიშვნელოვან შემზღვევებს წინაპირობად კანონი განსაზღვრავს, ასევე, ე.წ. სუბსიდიარულობის პრინციპს. კერძოდ, სსსკ-ის 143<sup>2</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

მართალია, ნებისმიერი ფარული საგამოძიებო მოქმედების მთავარ მიზანს წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება, მაგრამ მხოლოდ აღნიშნული ვერ იქნება სასამართლოს მხრიდან ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე

<sup>1415</sup> იხ. მეურმიშვილი, წიგნში – სისხლის საპროცესო სამართალი (რედ. ფაფიაშვილი, ლ.), 2017, 519-520.

<sup>1416</sup> იხ. მეზერიშვილი, წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015, გვ. 435.

<sup>1417</sup> იქვე.

<sup>1418</sup> იხ. მეურმიშვილი, წიგნში – სისხლის საპროცესო სამართალი (რედ. ფაფიაშვილი, ლ.), 2017, 519.

<sup>1419</sup> თანაზომიერების პრინციპთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ. ზემოთ, თავი I, ქვეთავი 5.5.1.; თავი II, ქვეთავი 4.2.3.

<sup>1420</sup> იხ. დემუტაშვილი/კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, 2014, გვ. 80.

<sup>1421</sup> იხ. ოუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 275.

<sup>1422</sup> იხ. დემუტაშვილი/კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, 2014, გვ. 80.

<sup>1423</sup> იხ. ოუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 275.

<sup>1424</sup> იქვე.

<sup>1425</sup> იხ. დემუტაშვილი/კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, 2014, გვ. 80.

ნებართვის გაცემის საკმარისი საფუძველი.<sup>1426</sup> მხარე ვალდებულია, დამატებით დაადასტუროს ისიც, რომ სხვა საშუალებით, სხვა საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების ჩატარებით ამგვარი მტკიცებულების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.<sup>1427</sup>

კანონის აღნიშნული მოთხოვნა იმაზე მიუთითებს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება უნდა იყოს უკანასკნელი საშუალება – ultima ratio. ეს კი იმას ნიშავს, რომ სხვა საგამოძიებო მოქმედებებმა (რომლებიც უფლებათა ხელყოფის ნაკლები ხარისხით გამოირჩევა) სასურველ მიზანს ვერ მიაღწია ან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები განუზომლად დიდი იქნება.<sup>1428</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის განერალური დირექტორატის მონაცემთა დაცვის განყოფილების 2014 წლის დასკვნაში, რომელიც ეხება სამართალდამცავი ორგანოებისა და ეროვნული უშიშროების სამსახურის მიერ თვალთვალის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, აღნიშნულია, რომ კანონის ეს მოთხოვნა „შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რომლის მიხედვითაც ფარული მიყურადება უნდა იყოს უკიდურესი ზომა და გათვალისწინებული უნდა იქნეს ფარული მიყურადების ნაკლებად ინტრუზიული ალტერნატივა“.<sup>1429</sup>

სუბსიდიარულობის სტანდარტი აერთიანებს ორ ალტერნატიულ კრიტერიუმს და ამათგან ერთ-ერთის დაკმაყოფილებაც საკმარისია მის უზრუნველსაყოფად.<sup>1430</sup> პირველი კრიტერიუმია ის, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია, რომ დაასაბუთოს, რა არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციაზეა საუბარი და რომ ასეთი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნებსა თუ პრინციპებს.<sup>1431</sup>

მეორე კრიტერიუმი ის არის, რომ ამ ინფორმაციის მოპოვება სხვა საშუალებით გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს. სხვა საშუალებებში იგულისხმება ყველა კანონიერი საშუალება და გამოძიების ინსტრუმენტი, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია გათვალისწინებული.<sup>1432</sup> სირთულეში

<sup>1426</sup> ი. მეზრიშვილი, წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015, გვ. 429.

<sup>1427</sup> ი. მეზრიშვილი – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015, გვ. 429; შეად. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია გათვალისწინებული. <sup>1432</sup> სირთულეში

<sup>1428</sup> ი. დანართი 1: ალბრეხტი, დასკვნა, გვ. 37.

<sup>1429</sup> ი. Korff, Douwe/Cannataci, Joseph A./Sutton, Graham, Opinion of the Directorate General Human Rights and Rule of Law Data Protection Unit on the Draft laws of Georgia relating to Surveillance Activities of Law Enforcement Authorities and National Security Agencies, DGI (2014)8, Strasbourg, 14 February 2014, 18, <https://rm.coe.int/16806af19b>, უკანასკნელად გადამოწმებულია 04.10.2018.

<sup>1430</sup> ი. მეზრიშვილი – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015, გვ. 435.

<sup>1431</sup> იქვე, გვ. 435-436.

<sup>1432</sup> იქვე, გვ. 436.

შეიძლება იგულისხმებოდეს მაგ., საქართველოს ტერიტორიის გარემონტინი ნაწილში არსებული მდგომარეობის გამო ჩასატარებელი მოქმედების სირთულე; ხოლო დიდ ძალისხმევაში – მაგ., გამოძიების რესურსების დიდი ნაწილის კონცენტრაცია ამ კონკრეტული მიზნისთვის, რაც დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.<sup>1433</sup>

მატერიალურ წინაპირობებზე მსჯელობისას დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების განსახორციელებლად ყველა ზემოთ განხილული მატერიალური წინაპირობა და სტანდარტი ერთობლივად, კუმულაციურად უნდა დაკმაყოფილდეს და არა ალტერნატიულად, ერთი ან, თუნდაც, რამდენიმე მათგანი.

## 5.2. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ფორმალური (პროცედურული) წინაპირობები

### 5.2.1. პროკურორის შუამდგომლობა

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განხინებით. განხინებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, გარდა ამ მუხლის მე-17 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამ შემთხვევებში იგულისხმება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მოსამართლისა და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და მისი განსაკუთრებული წესი, რომელსაც ქვემოთ შევეხები.

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ყველა იმ წინაპირობას, რომელიც უნდა დადასტურდეს პროკურორის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობაში. ესენია ზემოთ უკვე განხილული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მატერიალური წინაპირობები.<sup>1434</sup>

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პროკურორის შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, რომ:

ა) გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრას მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო: 117-ე მუხლის პირველი ნაწილი, 134-ე მუხლი, 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 140-ე და 141-ე მუხლები, 143-ე მუხლის პირველი ნაწილი, 143<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილი, 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, 181-ე მუხლის პირველი ნაწილი, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 198-ე მუხლის პირველი ნაწილი, 210-ე მუხლის პირველი ნაწილი, 253-ე მუხლის პირველი ნაწილი, 254-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 255<sup>1</sup>, 259<sup>4</sup> და 284-ე მუხლები, 285-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე და 287-ე

<sup>1433</sup> იქვე.

<sup>1434</sup> იხ. ზემოთ, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მატერიალური წინაპირობები, თავი II, ქვეთავი 5.1.

მუხლები, 288-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, 289-ე, 290-ე და 292-ე – 303-ე მუხლები, 304-ე მუხლის პირველი ნაწილი, 305-ე, 306-ე და 306<sup>1</sup> მუხლები, 318-ე მუხლის პირველი ნაწილი, 322<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 340-ე და 341-ე მუხლები;

ბ) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს ამ ნაწილის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული („დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი”), ან პირი იდებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს;

გ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და არის დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვენის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად – აუცილებელი, მისი მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალება;

დ) მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

პროკურორის შუამდგომლობაში, ასევე, უნდა აისახოს ინფორმაცია იმ საგამოძიებო მოქმედების შესახებ (ასეთის არსებობს შემთხვევაში), რომელიც შუამდგომლობის წარდგენამდე ჩატარდა ამ კოდექსით დადგენილი წესით და რომლითაც დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-3 ნაწილი).

რაც შეეხება პრაქტიკაში არსებულ მდგომარეობას, უნდა აღინიშნოს, რომ, ტრადიციულად, ბრალდების მხარე შუამდგომლობაში, როგორც წესი, საქმარისად არ ასაბუთებს, რაც მოსამართლეს ფარული საგამოძიებო ღონისძიების ლეგიტიმური მიზნის მიღწევაში დაარწმუნებდა.<sup>1435</sup> ამასთან, პროფესორი ალბრეხტი თავის დასკვნაში საქართველოს კანონმდებლობით ფარული საგამოძიებო მოქმედებების ახლებურად მოწესრიგების შესახებ აღნიშნავს, რომ ჩატარებული სამეცნიერო კვლევების საფუძველზე სატელეკომუნიკაციო საშუალებათა ფარული მიყურადება-თვალთვალის შუამდგომლობები მოსამართლის მიერ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში არ კმაყოფილდება.<sup>1436</sup> ავტორი აღნიშნულს ნაწილობრივ უკავშირებს მოსამართლის გადატვირთულობასა და წინაპირობების გადასახედად საჭირო დროის უქონლობას.<sup>1437</sup> შესაბამისად, ალბრეხტი ეფექტიანი სასამართლო კონტროლისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს სასამართლოს შესაბამის აღჭურვას, როგორც პერსონალური, ისე საგნობრივი თვალსაზრისით.<sup>1438</sup>

<sup>1435</sup> შეად. უსეგნაშვილი, სამართლის ქურნალი, №2, 2012, გვ. 103.

<sup>1436</sup> იხ. დანართი 1: ალბრეხტი, დასკვნა, გვ. 38.

<sup>1437</sup> იქვე.

<sup>1438</sup> იქვე.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ საკითხს, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მოსამართლისა და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-17 ნაწილი აღნიშნულ შემთხვევაში ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების განსხვავებულ წესს. კერძოდ, სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-17 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მოსამართლის და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით, საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა ჩამონათვალი განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული ნორმის მიხედვით, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები.

ადსანიშნავია, რომ შუამდგომლობის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია, სათანადოდ დაადგინოს იმუნიტეტის საკითხი, რადგან აღნიშნული პირდაპირ კავშირშია განსჯადობისა და ქვემდებარეობის საკითხის სწორად გადაწყვეტასთან.<sup>1439</sup> საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინების გაცემისათვის იმუნიტეტან დაკავშირებით განსაზღვროს სტანდარტი, რომელიც შეამცირებს იმუნიტეტის მქონე პირთა მიმართ კანონით დადგენილი წესის დარღვევით ნებართვის გაცემის რისკს.<sup>1440</sup> პრაქტიკაში აღინიშნება იმის შესახებ, რომ იმუნიტეტის საკითხის დასადგენად შესაძლებელია, რომ გამოყენებულ იქნეს შესაბამისი ცნობა, მაგ., საგარეო საქმეთა სამინისტროდან ან სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროდან.<sup>1441</sup>

## 5.2.2. სასამართლო კონტროლი

როგორც უკვე აღინიშნა, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩატერა ხორციელდება მხოლოდ მოსამართლის განჩინების საფუძველზე. როგორც საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, „კომუნიკაციის საშუალებათა მიყურადება წარმოადგენს სერიოზულ ჩარევას პირადი ცხოვრების უფლებაში და საფრთხის ქვეშ აყენებს დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს. ამდენად, ასეთი მიყურადება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო დაარწმუნებს მესამე ობიექტურ მხარეს – სასამართლოს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი და მიღებული

<sup>1439</sup> იხ. მეზორიშვილი, წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015, გვ. 440.

<sup>1440</sup> იქნა.

<sup>1441</sup> იქნა.

ინფორმაცია გამოყენებული იქნება სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება პირადი ცხოვრების უფლებაში თვითხებურ ჩარევას”<sup>1442</sup>.

პროკურატურისთვის ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვის უფლების უკონტროლო მინიჭება აუცილებლად წარმოქმნის საგამოძიებო მოქმედებათა ბოროტად გამოყენების საფრთხეს.<sup>1443</sup> შესაბამისად, კანონმდებლობით უნდა იყოს გათვალისწინებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან დაცვის ეფექტიანი მექანიზმები.<sup>1444</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი არის კანონის უზენაესობა, რომელიც [...] სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ინდივიდის უფლებებში ჩარევა უნდა ექვემდებარებოდეს ეფექტურ კონტროლს [...]”<sup>1445</sup> სწორედ ასეთი კონტროლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მექანიზმია სასამართლო კონტროლი.

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების, როგორც ჯერ კიდევ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების, ჩატარება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” 1999 წლის კანონის თანახმად, შესაძლებელი იყო მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით. აღნიშნული კანონის მიღების სტენოგრაფიული ჩანაწერიდან ირკვევა, რომ მისი მიღებისას კანონის ერთ-ერთ ძირითად დირსებად მიჩნეული იყო სწორედ სასამართლო კონტროლის შემოღება ამ სფეროში.<sup>1446</sup>

საქართველომ გაითვალისწინა როგორც ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ამ საკითხთან დაკავშირებული რეკომენდაციები,<sup>1447</sup> ასევე უკვე არსებული საკანონმდებლო ტრადიცია და ფარულ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის უფლებამოსილება მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც მიანდო სასამართლოს.

სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებაზე სასამართლო კონტროლის აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია თავად

<sup>1442</sup> იბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II.პ.32.

<sup>1443</sup> იბ. ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, 2015, გვ. 288.

<sup>1444</sup> იბ.: ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, 2015, გვ. 288; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება.

<sup>1445</sup> იბ. ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, კლასის და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, 6 სექტემბერი 1978, პარაგრაფი 55, ციტირებული: *Korff, Douwe/Cannataci, Joseph A./Sutton, Graham, Opinion of the Directorate General Human Rights and Rule of Law Data Protection Unit on the Draft laws of Georgia relating to Surveillance Activities of Law Enforcement Authorities and National Security Agencies, DGI (2014)8, Strasbourg, 14 February 2014, 19-20, <https://rm.coe.int/16806af19b>*, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.10.2018.

<sup>1446</sup> იბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.18.

<sup>1447</sup> იბ. *Cannataci, Joseph A./Sutton, Graham, Key points regarding access to personal data by law enforcement and by national security agencies, Report of the Directorate General Human Rights and Rule of Law, Council of Europe, DP (2014)01, Strasbourg, 8 September 2014, 12, 14, <http://www.old.civil.ge/files/files/2014/KeyPointsRegardingAccessToPersonalDataBySecurityAgencies.pdf>*, უკანასკნელად გადამოწმებულია 04.10.2018.

ღონისძიების ბუნებით.<sup>1448</sup> ადამიანი ვერ შეძლებს, დაიცვას თავი ფარული საგამოძიებო ღონისძიების ბოროტად გამოყენებისან, რამდენადაც არ იცის მის წინააღმდეგ ამ ღონისძიების წარმოების შესახებ. ფარულ საგამოძიებო ღონისძიებათა დიდ ნაწილს საზოგადოება საერთოდ ვერ ხედავს და, შესაბამისად, ვერ აკონტროლებს.<sup>1449</sup> ამ ფონზე კი აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან უფლებაში უხეშად ჩარევის რისკი უფრო მაღალია.<sup>1450</sup> გავრცელებული მოსაზრებით, სასამართლო ამ შემთხვევაში არის ერთადერთი საშუალება, რომელიც ფარულ საგამოძიებო პროცესში შეასრულებს შესაბამის პირთა ლეგიტიმური უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტის ფუნქციას.<sup>1451</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ სასამართლო კონტროლი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გამოხატულებაა, რომლის წყალობითაც შესაძლებელია პროკურატურის საქმიანობაზე აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის თავიდან აცილება.<sup>1452</sup> როგორც საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, „ნეიტრალური პირის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებების გაკონტროლება ამცირებს თვითნებობის რისკებს და წარმოადგენს კანონის სწორი გამოყენების მნიშვნელოვან გარანტიას”.<sup>1453</sup> პროკურატურამ, რომელიც დაინტერესებულია ბრალდებით, კონკრეტულ საკითხზე სამართლებრივი შეფასება შესაძლოა, საკუთარი პოზიციის სასარგებლოდ გააკეთოს.<sup>1454</sup> მოსამართლე კი არ არის დაინტერესებული არც გამოძიებით და არც მისი შედეგებით; ის არც იუსტიციის სამინისტროს წარმოადგენს და არც პროკურატურას; ის არის სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუტი, ნეიტრალური ორგანო და სარგებლობს დამოუკიდებლობის იმავე კრიტერიუმებითა და ხარისხით, როგორითაც ყველა მოსამართლე.<sup>1455</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, სასამართლო არის არაპოლიტიკური ხელისუფლება.<sup>1456</sup> აღნიშნული კი განაპირობებს და

<sup>1448</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება, I.3.6. შეად. მეურმიშვილი, წიგნში – სისხლის საპროცესო სამართლი (რედ. ფაფიაშვილი, ლ.), 2017, 518.

<sup>1449</sup> იხ. ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშვენიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 199, 200.

<sup>1450</sup> იხ.: ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშვენიერაძე/ გოცირიძე/ მენაძე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, გვ. 199, 200; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.20.

<sup>1451</sup> იხ. უხენაშვილი, სამართლის ურნალი, №2, 2012, გვ. 100.

<sup>1452</sup> იხ. ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, 2015, გვ. 288-289.

<sup>1453</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.20.

<sup>1454</sup> იხ. ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, 2015, გვ. 289.

<sup>1455</sup> იქვე-

<sup>1456</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.24; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება, I.3.8.

იმავდოულად ავალდებულებს მას, იყოს ნეიტრალური.<sup>1457</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პერსონალურად და არსებითად დამოუკიდებელ, კანონმორჩილ მოსამართლეს შეუძლია უვალ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღოს სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება უფლებაში ჩარევის აუცილებლობის თაობაზე”.<sup>1458</sup> თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო იქვე შენიშვნავს, რომ თავისთავად სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა უფლებაში აპრილი თანაზომიერ ჩარევას არ გულისხმობს.<sup>1459</sup> გადაწყვეტი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში აქვს შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნას.<sup>1460</sup> მყარი საკანონმდებლო გარანტიების, როგორც ზემოქმედების ლეგიტიმური ბერკეტის, გარეშე სასამართლო კონტროლის ინსტიტუტი ვერ გასცდება კანონმდებლის დაწერილი სურვილის ფარგლებს.<sup>1461</sup>

### **5.2.2.1. ზედამხედველი მოსამართლე და 2018 წლის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი**

2018 წლის 21 ივნისს მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ”,<sup>1462</sup> რომელიც ითვალისწინებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ, ადამიანის წამებასთან, წამების ჟუქარასთან, არასათანადო მოპყობის სხვა ფორმებთან ან ადამიანის უფლებათა სხვა მმიმე დარღვევებთან დაკავშირებულ დანაშაულთა ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ჩამოყალიბებას.<sup>1463</sup> ადსანიშნული კანონის მთელი რიგი მუხლები ძალაში შედის 2019 წლის 1 ივნისიდან<sup>1464</sup> „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ” კანონის მიღებამ გამოიწვია იმავდროული ცვლილება სსსკ-შიც; მაგ., კოდექსის იმ ნორმებში, რომლებიც უკავშირდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, მის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორი ან სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი; ასევე, სსსკ-ში გაჩნდა ტერმინი –

<sup>1457</sup> იბ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.24; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება, I.პ.8.

<sup>1458</sup> იბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.პ.24.

<sup>1459</sup> იქვე.

<sup>1460</sup> იქვე.

<sup>1461</sup> იბ. უხენაშვილი, სამართლის უურნალი, №2, 2012, გვ. 100.

<sup>1462</sup> იბ. კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ” (№3273-რს), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790>, უკანასკნელად გადამოწმებულია 16.08.2018.

<sup>1463</sup> იბ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ”, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/176884>, უკანასკნელად გადამოწმებულია 16.08.2018.

<sup>1464</sup> იბ. კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, მუხლი 30, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790>, ასევე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432896?publication=0> უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

ზედამხედველი მოსამართლე<sup>1465</sup> ამასთან, აღნიშნული ცვლილებები, მათ შორის, ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტი, ასევე, ამოქმედდება 2019 წლის 1 ივნისიდან.<sup>1466</sup>

სსსკის მე-3 მუხლის 32<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის XVI<sup>1</sup> თავის მიზნებისთვის, ზედამხედველი მოსამართლე არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ამ კოდექსით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში აკონტროლებს:

ა) ამ კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ჩატარებას კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით;

ბ) ელექტრონული კომუნიკაციის მაიდუნტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდუნტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემით;

გ) ამ კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების და „ოპერატორულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული დონისძიების განხორციელებას გეოლოგიკური რეალურ დონის განსაზღვრის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით.<sup>1467</sup>

ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ” კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვრცელდება:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ და გ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე3 ნაწილის „ბ” და „გ” ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე, ოუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;

ბ) სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულზე, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დოკუმენტით მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში, ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან

<sup>1465</sup> იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>, ასევე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432301?publication=0#DOCUMENT:1>; უგანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

<sup>1466</sup> იქვე.

<sup>1467</sup> აღსანიშნავია, რომ „გ” ქვეპუნქტი ამოქმედდება 2020 წლის 30 მარტიდან.

მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფელის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს უფლებელი კონტროლის ქვეშ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სსსკ-ის მე-3 მუხლის 32<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, ზედამხედველი მოსამართლე აკონტროლებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით<sup>1468</sup> ჩატარებას კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატორულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები განმარტავენ კონტროლის ელექტრონულ სისტემასა და კონტროლის სპეციალურ ელექტრონულ სისტემას.

ადსანიშნავია, რომ სსსკ-ში 2018 წლის 21 ივნისს შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებების უმთავრეს მიზნად გამოცხადდა არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა დაცვა და ამ მიზნით მათი პროცესუალური უფლებებისა და გარანტიების გაფართოება. პროცესუალურ უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად კი გამოიკვეთა მოსამართლის როლის გაზრდა, რისი დადასტურებაცაა სსსკ-ში ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტის შემოტანა, რომელიც აკონტროლებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის ჩატარებას და შეუძლია შეაჩეროს აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება კანონით გათვალისწინებული კონკრეტული გარემოებების არსებობისას.<sup>1469</sup> ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტის სსსკ-ში შემოტანით ცალსახაა, რომ ქართული კანონმდებლობა ხელს უწყობს სასამართლო კონტროლის ინსტიტუტის გაძლიერებას სისხლის სამართლის პროცესში.

### 5.2.2.2. მოსამართლის განჩინება

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების შესახებ პროკურორის შუამდგომლობისა და მისი დასაბუთებისათვის საჭირო, თანდართული მასალის სასამართლოში წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა განიხილავს შუამდგომლობას ამ თავითა და კოდექსის 112-ე მუხლით დადგენილი წესით. მოსამართლეს შეუძლია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5 ნაწილი). რაც შეეხება ზეპირი მოსმენით განხილვას, მოსამართლე ამ შემთხვევაში შუამდგომლობას განიხილავს პროკურორის მონაწილეობით, დახურულ სასამართლო სხდომაზე და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ;
- ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

<sup>1468</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის განხორციელების ძირითადი ტექნიკური ასპექტების შესახებ, თავი II, ქვეთავი 5.3.1.

<sup>1469</sup> სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის ზედამხედველი მოსამართლის მიერ შეჩერებასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ, თავი II, ქვეთავი 5.3.1.

ამავე მუხლის ამავე ნაწილის მიხედვით, მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სასამართლოში, ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროცერორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელთაგან ერთი მიეწოდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს, და ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სასამართლოს მიერ მიეწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. მოსამართლის განჩინების ეგზემპლარები შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს წარედგინება განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით. სსსკ-ის ეს ნორმა 2019 წლის 1 ივლისიდან ექვემდებარება ცვლილებას; კერძოდ, ა) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ბ) აღნიშნულ 5 ნაწილს ემატება შემდეგი წინადადება: თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ ან მისი ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ განჩინება მოსამართლემ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანა, სასამართლოს მიერ ერთი განჩინება (განჩინების მე-4 ეგზემპლარი), რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს.<sup>1470</sup>

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგანტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 22 მარტის კანონით განხორციელებული ცვლილებებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ზედმიწევნით გაიწერა მოსამართლის განჩინებაში ხარვეზების არსებობის შემთხვევები და მათზე შესაბამისი რეაგირების პროცედურა.

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>2</sup> და მე-5<sup>3</sup> ნაწილები არეგულირებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოსთვის წარდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის შემთხვევას. სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>2</sup> ნაწილის მიხედვით, ამ შემთხვევაში შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს პროცერორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს. განჩინების გამომგანი სასამართლო პროცერორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში, ან

<sup>1470</sup> იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>; ასევე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432301?publication=0#DOCUMENT:1>; უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

საქუთარი ინიციატივით უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას ამ კოდექსის 287-ე მუხლით დადგენილი წესით (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>3</sup> ნაწილი).

საინტერესოა სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>2</sup> და მე-5<sup>3</sup> ნაწილებით გათვალისწინებულ პროცედურასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების მოყვანა, რომელიც ასახულია სსიპ – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წლიურ სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშში. ეს ანგარიში მოიცავს 2017 წლის 31 მარტიდან 1 დეკემბრამდე პერიოდს და მის მიხედვით, ამ პერიოდში სსიპ – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წარმოებაში მიღებული მოსამართლის 814 განჩინებიდან ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესახებ სააგენტოში დამატებით წარმოდგენილ იყო 92 განჩინება განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ; ხოლო პროკურორის 55 დადგენილებიდან სააგენტოში წარმოდგენილი იყო 3 დადგენილება დადგენილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.<sup>1471</sup>

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>5</sup> ნაწილი არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის ელექტრონული ან/და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტებში ან/და სარეზოლუციო ნაწილში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის შემთხვევას. სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>5</sup> ნაწილის მიხედვით, ამ შემთხვევაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ამის თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით აცნობებს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>5</sup> ნაწილი). სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>5</sup> ნაწილი 2019 წლის 1 ივლისიდან ექვემდებარება ცვლილებას; კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.<sup>1472</sup>

სსსკ-ის ამავე მუხლის მე-4<sup>4</sup> ნაწილი არეგულირებს გარემოებას, როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის გადაცემული ელექტრონული სახის განჩინებისა და მატერიალური (დოკუმენტური) სახის განჩინების რეკვიზიტებში ან/და სარეზოლუციო ნაწილში მონაცემი ან რეკვიზიტი არ ემთხვევა ერთმანეთს. ამ შემთხვევაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი აღნიშნულის თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით აცნობებს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>4</sup> ნაწილი). სსსკ-ის ეს ნორმა 2019 წლის 1 ივლისიდან ექვემდებარება ცვლილებას; კერძოდ,

<sup>1471</sup> იხ. დანართი 2: საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წლიური სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიში, (2017 წლის 31 მარტიდან – 1 დეკემბრამდე), გვ. 5-6.

<sup>1472</sup> იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№3276-რს), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>; ასევე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432301?publication=0#DOCUMENT:1>; უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.<sup>1473</sup>

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>6</sup> ნაწილი კი განსაზღვრავს ზემოთ განხილულ მე-5<sup>4</sup> და მე-5<sup>5</sup> ნაწილებში ასახულ გარემოებებზე შესაბამისი რეაგირების პროცედურას. კერძოდ, სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>6</sup> ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის 5<sup>4</sup> და 5<sup>5</sup> ნაწილებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებისთანავე პროკურორი წერილობით მიმართავს განჩინების გამომტან სასამართლოს, რომელიც მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას ამ კოდექსის 287-ე მუხლით დადგენილი წესით. ამასთან, სასამართლო ვალდებულია, მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრიდან 24 საათის ვადაში უზრუნველყოს ამ განჩინების პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის მიწოდება (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>6</sup> ნაწილი).

2018 წლის 21 ივნისს მიღებული კანონის საფუძველზე, რომელიც ამოქმედდება 2019 წლის 1 ივნისიდან<sup>1474</sup> სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5 ნაწილს დაემატა 5<sup>7</sup>-5<sup>10</sup> ნაწილები. ისინი ეხება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ მოსამართლის განჩინების გადაცემისა და მასში ხარვეზის/უზუსტობის აღმოფხვრის საკითხებს. კერძოდ, სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>7</sup> ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებაზე მოსამართლის განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით; მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარის ზედამხედველი მოსამართლისთვის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას; ამასთან, ამ ნაწილით გათვალისწინებული ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა.

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>8</sup> – მე-5<sup>9</sup> ნაწილის თანახმად, თუ ზედამხედველი მოსამართლისთვის ელექტრონული სახით და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს, ან მათში მონაცემები და რეკვიზიტები არ ემთხვევა ერთმანეთს, ზედამხედველი მოსამართლე ამის თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით აცნობებს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან/და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.<sup>1475</sup>

<sup>1473</sup> იქვე.

<sup>1474</sup> იქვე.

<sup>1475</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, 2018 წლის 21 ივნისს მიღებული კანონის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№3276-რს) საფუძველზე ჩამოყალიბებული ნორმის ეს რედაქცია ამოქმედდება 2019 წლის 1 ივნისიდან.

### 5.2.2.3. გადაუდებელი აუცილებლობა

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა, როგორც წესი, ტარდება მოსამართლის განჩინებით, თუმცა მისი ჩატარება მოსამართლის განჩინების გარეშეც არის შესაძლებელი, როდესაც არსებობსგადაუდებელი აუცილებლობის გარემობა.

ზოგადად, გადაუდებელი აუცილებლობის ცნებისა და საკონსტიტუციო სამართლებრივი მიღების შესახებ ზემოთ უკვე აღინიშნა კონსტიტუციის მე-15 მუხლის განხილვისას.<sup>1476</sup> ვიდრე განიმარტება გადაუდებელი აუცილებლობის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საკანონმდებლო რეგლამენტაცია, კიდევ ერთხელ უნდა მიეთითოს იმ გარემოებაზე, რომ გადაუდებელი აუცილებლობის კონკრეტული რეგლამენტაციის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ კანონმდებელს.<sup>1477</sup> თუმცა, ამ ცნებისათვის კონკრეტული შინაარსის მიცემისას კანონმდებელი არ სარგებლობს აბსოლუტური თავისუფლებით.<sup>1478</sup> „ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების საზომს წარმოადგენს კონსტიტუცია, ხოლო ასეთი გადაწყვეტილების შემფასებელს – საკონსტიტუციო სასამართლო“.<sup>1479</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ „კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შეფასებისას“ თავისგადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ის „თვისობრივად არის არა საფუძველი, არამედ მდგომარეობა, პირობა, რომელიც შესაძლოა არსებობდეს ან არ არსებობდეს უფლებაში ჩარევის ნებისმიერი საფუძვლის [..] არსებობისას“<sup>1480</sup>.

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, გადაუდებელი აუცილებლობა არსებობს მაშინ, როდესაც:

- დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება;
- ან დაყოვნებამ შეიძლება შეუძლებელი გახადოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.

ასეთ შემთხვევაში ეს საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს/დაიწყოს მოსამართლის განჩინების გარეშე, პროკურორის მოტივირებული დადგენილებით (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6 ნაწილი). სსსკ-ი კონკრეტულად განსაზღვრავს პროკურორის დადგენილების სავალდებულო რეგიზიტრებს, როგორებიცაა დადგენილების შედგენის თარიღი და ადგილი; მითითება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლზე, რომლითაც მიმდინარეობს გამოძიება; პროკურორის სახელი და გვარი, ხელმოწერა; საიდუმლოების აღმინშვნელი გრიფი; ბეჭედი (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6 ნაწილი). კანონი

<sup>1476</sup> იხ. ზემოთ კონსტიტუციის მე-15 მუხლის განხილვა, თავი II, ქვეთავი 4.2.

<sup>1477</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.26.

<sup>1478</sup> იქვე.

<sup>1479</sup> იქვე.

<sup>1480</sup> იქვე.

იქვე განმარტავს, რომ სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის/ობიექტების, აგრეთვე განსახორციელებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების სახის შესახებ და უნდა განსაზღვრავდეს მოქმედების განხორციელების პერიოდს (მისი დაწყებისა და დასრულების თარიღებისა და დროის მითითებით), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების შემთხვევაში<sup>1481</sup> კი, სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის/ობიექტების ტექნიკური იდენტიფიკატორის/იდენტიფიკატორების სულ მცირე ერთი შესაბამისი მონაცემის შესახებაც. აღსანიშნავია, რომ თუკი მითითებული 48 საათის გასვლის შემდეგ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი განხინება, სააგენტო ავტომატურად შეწყვეტს დონისძიების განხორციელებას.<sup>1482</sup>

2017 წლის 22 მარტს მიღებული კანონის საფუძველზე სსსკ-ში შევიდა ცვლილებები გადაუდებელი წესით ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების წესში და მისი შემდგომი დაკანონების პროცედურაში.<sup>1483</sup>

კოდექსის ძველი რედაქციის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან არაუგვიანეს 24 საათისა პროკურორი ვალდებული იყო, შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსთვის, რომელიც 24 საათის განმავლობაში განიხილავდა შუამდგომლობას და იდებდა გადაწყვეტილებას ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის, მისი შეწყვეტის, შედეგების გაუქმებისა და ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურების შესახებ (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6 ნაწილი). აღნიშნულ ფორმულირებაში არსებული ტერმინი – შეწყვეტა, მიუთითებს იმაზე, რომ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების კანონიერების განხილვის პროცესში ფარული საგამოძიებო მოქმედება შესაძლებელია, კვლავ მიმდინარეობდეს.<sup>1484</sup> აღსანიშნავია, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით მოსამართლეები ითხოვდნენ შესაბამისი შუამდგომლობის შეტანამდე ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებას.<sup>1485</sup> შესაბამისად, ნორმის აღნიშნული ინტერპრეტაცია იწვევდა ფარული საგამოძიებო მოქმედების წყვეტას მოსამართლის მიერ 24 საათის

<sup>1481</sup> სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6 ნაწილი ითვალისწინებს სხვა, კერძოდ, სსსკ-ის 143<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ბ” და „გ” ძველუნქტებით განსაზღვრულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებების შემთხვევებსაც.

<sup>1482</sup> იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 4, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/141417>; უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1483</sup> იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 3, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/141417>; უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1484</sup> იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 4, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/141417>; უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1485</sup> იქვე-

განმავლობაში შუამდგომლობის განხილვის პერიოდში.<sup>1486</sup> აქედან გამომდინარე, 2017 წლის სსსკ-ში ცვლილების შედეგად, სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6 ნაწილში კონკრეტულად მითითება როგორც ჩატარებულ, ისე მიმდინარე/დაწყებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებაზე. მოქმედი რედაქციით სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6 ნაწილის მე-4 წინადადება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „პროკურორი ვალდებულია, ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა/ტარდება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს შუამდგომლობით გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. შუამდგომლობაში პროკურორმა უნდა დაასაბუთოს როგორც ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების, ისე იმ გარემოებების არსებობა, რომლებმაც განაპირობა ფარული საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებლად ჩატარება/დაწყება. მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობას განიხილავს მისი სასამართლოსთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა, ამ მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს, შეესაბამება ოუ არა ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, აუცილებელი იყო ოუ არა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარება/დაწყება, და განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;

ბ) მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის და მისი ჩატარების ვადის არაუმეტეს 48 საათამდე გაგრძელების შესახებ. ეს ვადა აითვლება პროკურორის დადგენილებაში მითითებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყების დროიდან;

გ) ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის, მისი შეწყვეტის, შედეგების გაუქმების და მის შედეგად მოპოვებული მასალის/ინფორმაციის განადგურების შესახებ.”

ამ გადაწყვეტილების მიღებისას (პროკურორის შუამდგომლობის განხილვისას) აღსანიშნავია მოსამართლისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია სამოსამართლო კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით. კერძოდ, სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, მოსამართლეს ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად შეუძლია უფლებამოსილი ორგანოდან წერილობით გამოითხოვოს გამოთხოვის მოქმედისათვის მოპოვებული მასალის ელექტრონული ეგზემპლარი. ამასთან, მასალის გაცნობის შემდეგ მოსამართლე უზრუნველყოფს დადგენილი წესით მის განადგურებას (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6<sup>1</sup> ნაწილი).

<sup>1486</sup> იქვე.

2017 წლის კანონით სსსკ-ში შეიცვალა და მკაფიოდ დარეგულირდა გადაუდებელი წესით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილების პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის<sup>1487</sup> მიწოდების წესი. კოდექსის ახალი რედაქციით ინსპექტორს მიეწოდება არა მთლიანად მოტივირებული დადგენილება, არამედ მხოლოდ მისი დადგენილებითი ნაწილი, რომელიც უნდა შეიცვალეს ინფორმაციას ღონისძიების ობიექტის/ობიექტების შესახებ.<sup>1488</sup> სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6<sup>2</sup> ნაწილის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილებას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 12 საათისა პროკურორი ან პროკურორის დავალებით გამომძიებელი მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარუდგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს<sup>1489</sup>.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის<sup>1490</sup> მიწოდების განსაკუთრებული წესი მოქმედებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუწოდების და ჩაწერის გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების შემთხვევაში. სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6<sup>2</sup> ნაწილის მიხედვით, აღნიშნულ შემთხვევაში პროკურორის დადგენილება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს<sup>1491</sup> მიეწოდება სააგენტოს მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ელექტრონული ეგზემპლარის

<sup>1487</sup> 2019 წლის 1 ივნისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>, ასევე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432301?publication=0#DOCUMENT:1>; უგანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

<sup>1488</sup> იქნა.

<sup>1489</sup> 2019 წლის 1 ივნისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>, ასევე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432301?publication=0#DOCUMENT:1>; უგანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

<sup>1490</sup> 2019 წლის 1 ივნისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>, ასევე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432301?publication=0#DOCUMENT:1>; უგანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

<sup>1491</sup> 2019 წლის 1 ივნისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>, ასევე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432301?publication=0#DOCUMENT:1>; უგანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

სახით. კანონის ეს ჩანაწერი ემსახურება კანონიერად დაწყებული დონისძიების შეჩერების თავიდან აცილების მიზანს.<sup>1492</sup>

სსსკ-ი განსაზღვრავს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილებაში ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ განსახორციელებელ პროცედურას. კერძოდ, სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6<sup>3</sup> ნაწილის მიხედვით, ეს ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს აღნიშნულის შესახებ. პროკურორი უზრუნველყოფს დადგენილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6<sup>3</sup>).

2018 წლის 21 ივნისს მიღებული კანონის შედეგად სსსკ-ში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდება 2019 წლის 1 ივნისიდან,<sup>1493</sup> სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლს დაემატა 6<sup>4</sup> ნაწილი. აღნიშნული ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილებას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 12 საათისა პროკურორის ან პროკურორის დავალებით გამომძიებელი მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარუდგენს ზედამხედველ მოსამართლეს; სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუურადებისა და ჩატერის შესახებ პროკურორის დადგენილება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით; პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუურადებისა და ჩატერის განხორციელებას; ამასთან, ამ ნაწილით გათვალისწინებული ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა.

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სასამართლოში, ორი გადაცემა შეამდგომლობის წარმდგენ პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელთაგან ერთი მიეწოდება შესაბამისი

<sup>1492</sup> იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 4, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/141417>; უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1493</sup> იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№3276-რს), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>; ასევე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432301?publication=0#DOCUMENT:1>; უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს, და ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სასამართლოს მიერ მიეწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. ამასთან, მოსამართლის განჩინების ეგზემპლარები შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს წარედგინება განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-7 ნაწილი).

2019 წლის 1 ივლისიდან სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-7 ნაწილი ექვემდებარება ცვლილებას; კერძოდ, ა) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური,<sup>1494</sup> ბ) ემატება შემდეგი წინადადება: ოუ ამ ნაწილით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ განჩინება მოსამართლემ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანა, სასამართლოს მიერ ერთი განჩინება (განჩინების მე-4 ეგზემპლარი), რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, შემცირებულია მოსამართლის განჩინების გარეშე, პროკურორის დადგენილებით სატელეფონო საუბრის ფარული მიყერადებისა და ჩაწერის შესახებ დაწყება/ჩატარების რაოდენობა.<sup>1495</sup>

#### **5.2.2.4. მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად არ გამოყენება**

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მერვე ნაწილი არეგულირებს განსაკუთრებულ გარემოებას, როდესაც ბრალდების მხარე საჭიროდ არ მიიჩნევს გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებას. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარემ აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ მისი დაწყებიდან არაუგვიანეს 24 საათისა შუამდგომლობით უნდა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს. სასამართლოს მიერ შესაბამისი განჩინების მიღების შემდეგ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.

<sup>1494</sup> იქვე.

<sup>1495</sup> ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, 2017, გვ. 55, [https://personaldata.ge/manage/res/images/2018/angarishi/angarishi\\_2017.pdf](https://personaldata.ge/manage/res/images/2018/angarishi/angarishi_2017.pdf), უკანასკნელად გადამოწმებულია 15.08.2018.

აღნიშნული ნორმა, ერთი შეხედვით, თითქოს სამართალმემკვიდრეა ოპერატორ-სამძებრო საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობისა, რომელიც, როგორც წესი, გასაიდუმლოებულია და რომლის დროსაც მოპოვებული ინფორმაცია შეიძლებოდა ინდივიდუალური შეფასების მიხედვით გამოგანილიყო დღის შუქზე. თუმცა, ეს ასე არაა. სსსკ-ის ამ ნორმით კიდევ ერთხელ ესმევა ხაზი საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობას; ამ პრინციპის შესაბამისად კი, ბრალდების მხარე არ წარადგენს სასამართლოში გამამართლებელ მტკიცებულებებს, მის მიერ ასეთის მოპოვების შემთხვევაშიც კი.

### 5.2.2.5. მოსამართლის განჩინების რეკვიზიტები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მოსამართლის განჩინების რეკვიზიტებს. კერძოდ, სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩატირის ჩატარების თაობაზე ნებართვის გაცემის შესახებ ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული/მიმდინარე აღნიშნული საგამოძიებო დონისძიების კანონიერად ცნობის შესახებ მოსამართლემ განჩინებაში უნდა დაასაბუთოს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა და ფარული საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებლად ჩატარების/დაწყების აუცილებლობა.

ამავე მუხლის იგივე ნაწილი განსაზღვრავს მოსამართლის განჩინების რეკვიზიტებს (განჩინების ნომერი; შედგენის თარიღი და ადგილი; მოსამართლის სახელი და გვარი; ხელმოწერა; საიდუმლოების აღმინშვნელი გრიფი; ბეჭედი) და ინფორმაციას, თუ რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს მოსამართლის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

ა) პირი, რომელმაც მოსამართლეს შუამდგომლობა წარუდგინა;

ბ) სისხლის სამართლის საქმის ნომერი, რომელზედაც უნდა ჩატარდეს, ჩატარდა ან მიმდინარეობს ფარული საგამოძიებო მოქმედება;

გ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ან ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ განკარგულება, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული, რა სახის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაა ნებადართული ან რომელი ფარული საგამოძიებო მოქმედებაა კანონიერად ცნობილი;

დ) დროის რა მონაკვეთში (დაწყებისა და დასრულების თარიღებისა და დროის მითითებით) უნდა ჩატარდეს ან ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება;

ე) ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი/ობიექტები;

ვ) სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩატირის შემთხვევაში,<sup>1496</sup> ფარული საგამოძიებო მოქმედების შემთხვევებსაც.

<sup>1496</sup> სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-10 ნაწილის ეს ქვეპუნქტი ითვალისწინებს სხვა, კერძოდ, სსსკ-ის 143-ე<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ბ” და „გ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებების შემთხვევებსაც.

ობიექტის/ობიექტების ტექნიკური  
იდენტიფიკაციის/იდენტიფიკაციორების, სულ მცირე, ერთი  
შესაბამისი მონაცემი, რომლის/რომელთა კონტროლიც უნდა  
განხორციელდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო  
მოქმედების განხორციელების ადგილი;

თ) საჭიროების შემთხვევაში, ვისზე ვრცელდება ფარული  
საგამოძიებო მოქმედება;

ი) შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო  
ორგანო, რომელმაც უნდა განახორციელოს ფარული საგამოძიებო  
მოქმედება;

კ) უფლებამოსილი საგამოძიებო ორგანო, რომელსაც  
უნდა გაეცნოს და გადაეცეს ფარული საგამოძიებო მოქმედების  
შედეგად მოპოვებული მასალა;

ლ) ფარული საგამოძიებო მოქმედების გაგრძელების  
შემთხვევაში – იმ განჩინების რეკვიზიტები, რომლის  
საფუძველზედაც მიმდინარეობს ფარული საგამოძიებო მოქმედება;

მ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის  
საჭირო სხვა მონაცემები.

კანონი ცალკე გამოყოფს მოთხოვნას ფარული საგამოძიებო  
მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემაზე ან ჩატარებული/მიმდინარე  
ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობაზე უარის თქმის  
შესახებ მოსამართლის განჩინებაში სავალდებულოდ მისათითებელ  
ინფორმაციაზე. კერძოდ, სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად,  
აღნიშნულ შემთხვევაში მოსამართლის განჩინებაში უნდა მიეთითოს,  
რომ წარმოდგენილი შუამდგომლობით არ დასტურდება ამ მუხლის მე-2  
ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა და ფარული  
საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე,  
გადაუდებლად ჩატარების/დაწყების აუცილებლობა. მოსამართლის  
განჩინებაში უნდა აღინიშნოს:

- ამ მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული  
რეკვიზიტები;

- პირი, რომელმაც მოსამართლეს შუამდგომლობით  
მიმართა;

- მოსამართლის გადაწყვეტილება ფარული საგამოძიებო  
მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ან  
ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების  
კანონიერად ცნობაზე უარის თქმის და მის შედეგად მოპოვებული  
მასალის განადგურების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის განჩინების ეს რეკვიზიტები  
2017 წლის 22 მარტის სსსკ-ში განხორციელებული საკანონმდებლო  
ცვლილების საფუძველზე განისაზღვრა აღნიშნული სახით. ძველი  
რედაქციისგან განსხვავებით, გაფართოვდა და დაზუსტდა იმ  
სავალდებულო ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელსაც უნდა შეიცავდეს  
მოსამართლის განჩინება ფარულ საგამოძიებო ღონისძიებებთან  
დაკავშირებით. მაგალითად, სსსკ-ის მოქმედ რედაქციაში გაჩნდა  
მოსამართლის განჩინებაში ისეთი ინფორმაციის მითითების  
ვალდებულება, როგორიცაა: ფარული საგამოძიებო მოქმედების  
ობიექტი/ობიექტები; უფლებამოსილი საგამოძიებო ორგანო, რომელსაც

უნდა გაეცნოს და გადაეცეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა; ასევე, ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის/ობიექტების ტექნიკური იდენტიფიკატორის/იდენტიფიცირების, სულ მცირე, ერთი შესაბამისი მონაცემი.

### 5.2.2.6. ღონისძიების ხანგრძლივობა

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კიდევ ერთი ფორმალური (პროცედურული) წინაპირობაა ამ მოქმედების ხანგრძლივობა, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებში ჩარევას დროის გარკვეული მონაკვეთის განსაზღვრით.

როგორც პროფესორი ალბრეხტი აღნიშნავს თავის დასკვნაში, ზოგადი ტენდენციით ისეთი ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების ხანგრძლივობა, როგორიცაა სატელეკომუნიკაციო მიუურადება და კონტროლი, განისაზღვრება დროის მხოლოდ მოკლე მონაკვეთით (დაახლოებით ერთი თვე).<sup>1497</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამ მხრივ შეესაბამება თანამედროვე ტენდენციას და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინების ვადად აწესებს არაუმეტეს ერთ თვეს.<sup>1498</sup> აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ განჩინება ძალადაკარგულია. უფრო კონკრეტულად, სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება გაიცემა იმ ვადით, რომელიც საჭიროა გამოძიების მიზნის მისაღწევად, მაგრამ არაუმეტეს 1 თვისა; თუ ეს ვადა საკმარისი არ აღმოჩნდება, დასაშვებია მისი გაგრძელება პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლის განჩინებით, ამ თავით დადგენილი წესით, არაუმეტეს 2 თვისა.

როგორც კანონის ნორმიდან იკითხება, ვადის გაგრძელებას შინაარსობრივ წინაპირობად უდევს ის გარემოება, რომ აღნიშნული ვადა არ აღმოჩნდა საკმარისი ფარული საგამოძიებო მოქმედების მიზნის მისაღწევად; ხოლო ვადის გაგრძელების ფორმალურ წინაპირობას წარმოადგენს პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობა და მის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინება.

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, პროკურორის შუამდგომლობაში უნდა აისახოს ინფორმაცია დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესახებ და მიეთითოს, რის გამო ვერ მოხერხდა გამოძიებისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება.

ამის შემდგომ კიდევ ერთხელ არის შესაძლებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის გაგრძელება არაუმეტეს სამი თვისა და მხოლოდ საქართველოს გენერალური პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12 ნაწილის მე-4 წინადადება).

<sup>1497</sup> იხ. დანართი 1: ალბრეხტი, დასკვნა, გვ. 38.

<sup>1498</sup> აღსანიშნავია, რომ ექსპერტების შეფასებით ერთოთანი ვადა სავსებით შესაფერისი და მისაღებია, იხ. Korff, Douwe/Cannataci, Joseph A./Sutton, Graham, Opinion of the Directorate General Human Rights and Rule of Law Data Protection Unit on the Draft laws of Georgia relating to Surveillance Activities of Law Enforcement Authorities and National Security Agencies, DGI (2014)8, Strasbourg, 14 February 2014, 17, <https://rm.coe.int/16806af19b>, უკანასკნელად გადამოწმებულია 04.10.2018.

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12 ნაწილის მე-5 წინადაღების თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

ადსანიშნავია, რომ სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12 ნაწილის ფორმულირება არაერთგვაროვანი განმარტების საშუალებას იძლევა. ნორმის ვიწრო განმარტებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 3 თვე, რადგან კანონის ტექსტის მიხედვით, „ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შეიძლება [...] არაუმეტეს 3 თვისა გაგრძელდეს”. ამ ნორმის ფართო განმარტებით კი, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადამ შეიძლება შეადგინოს 6 თვე (1+2+3). ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, სასურველია, ნორმა არ იძლეოდეს განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას, მით უფრო, თუ აღნიშნული ეხება საპროცესო ვადებს. ზოგადად, სასურველია, თუკი კანონი ფარული საგამოძიებო დონისძიებების ჩატარებისთვის მაქსიმალურ ვადად შემჭირდოებულ პერიოდს (ამ შემთხვევაში, 3 თვეს) განსაზღვრავს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეორიულად შეიძლება შეიქმნას ფარული საგამოძიებო დონისძიების უფრო ხანგრძლივი (6 თვე) ჩატარების აუცილებლობა. ამასთან, როგორც კვლევაში ზემოთ უკვე აღინიშნა, ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების შემთხვევაში დონისძიების ხანგრძლივობის მაქსიმალურ ვადად გერმანისს სსსკ-ი აწესებს 6 თვეს.

ადსანიშნავია, რომ მოსამართლეებთან ზეპირი ინტერვიუების საფუძველზე პრაქტიკაში ფარული საგამოძიებო დონისძიების მაქსიმალურ ვადად ძირითადად გამოიყენება 3 თვე.

ზოგადად, ფარული საგამოძიებო დონისძიების ჩატარების ვადა პირდაპირ კავშირშია კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ უფლებაში (პირად ცხოვრებასა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებაში) ჩარევის სიმძიმესთან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სამართლიანად მიუთითებს იმაზე, რომ „დონისძიების ჩატარების ვადების ზრდასთან ერთად ჩარევის ინტენსივობაც იზრდება”.<sup>1499</sup> ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადის გაგრძელება უფლებაში დამატებით ჩარევად უნდა შეფასდეს.<sup>1500</sup> ამიტომაა, რომ ასეთ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით დადგენილი გაგრძელების ვადები მეტად მნიშვნელოვანი და ხშირად საკამათოა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს კიდევ ერთ ვადას, რომლის გასვლის შემდეგ მოსამართლის განჩინება ძალას კარგავს. კერძოდ, სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-13 ნაწილის მეორე წინადაღების თანახმად, მოსამართლის განჩინება ძალას კარგავს მისი მიღებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში ფარული საგამოძიებო მოქმედება არ დაიწყო.

## 5.2.2.7. კრიტიკა

<sup>1499</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.21.

<sup>1500</sup> შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.21.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საკმაოდ დეტალურადაა გაწერილი მოსამართლის განჩინებასთან დაკავშირებული საკითხები, კრიტიკას იწვევს თავად ის გარემოება, რომ სასამართლო კონტროლის დაწესებით გამოძიების პროცესში ერთვება სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი. რამდენად ეფექტიანია აღნიშნული? აქვს თუ არა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის საქმარისი ბერკეტი სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელს თუ აღნიშნული მხოლოდ ფორმალური საკანონმდებლო მექანიზმია? მაინც საჭიროა თუ არა ამ „უცხო სხეულის“ ჩასმა გამოძიების პროცესში?

როგორც საპროცესო სამართლებრივი რეგულირების განხილვიდან ჩანს, გამოძიების პროცესში მოსამართლე საკუთარ გამოძიებას არ ატარებს; იგი ახორციელებს კონტროლს უკვე ჩატარებულ თუ ჩასატარებელ ფარულ საგამოძიებო დონისძიებაზე.<sup>1501</sup> ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსამართლე სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არ ამოწმებს ამ საგამოძიებო დონისძიების მიზანშეწონილობას, არამედ მის სამართლებრივ დასაშვებობაზე, კანონიერებაზე მსჯელობს, რაც დონისძიების გამოყენებისას თანაზომიერების საკითხის გადასინჯვასაც გულისხმობს.<sup>1502</sup>

აღნიშნული არცაა გასაკვირი, რამდენადაც, მოსამართლეს არ აქვს არც სამართლებრივი და არც ტექნიკური ბაზა იმისათვის, რომ ჩატაროს დამოუკიდებელი გამოძიება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე ვედარ იქნებოდა ნეიტრალური მსაჯული. გამოძიების მწარმოებელი პირი ვერ უზრუნველყოფდა ობიექტური შემფასებლის ფუნქციას.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ გამოძიების პროცესში მოსამართლის ჩართვის საფუძველია პროკურორის შუამდგომლობა; იგი მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს გამოძიების პროცესში თავის საქმიანობას.<sup>1503</sup>

რაც შეეხება მოსამართლის ხელში ქმედითი სასამართლო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო რეალური ბერკეტის არსებობას, როგორც აღინიშნა, მოსამართლე არ ატარებს დამოუკიდებელ გამოძიებას, იგი სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ განჩინების მიღებისას ხელმძღვანელობს მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობითა და მისი დასაბუთებისთვის საჭირო თანდართული მასალით. თუმცა, აღსანიშნავია ზემოთ უკვე განხილული გარემოება, რომ გადაწყვეტილების მისაღებად მოსამართლეს შეუძლია უფლებამოსილი ორგანოდან წერილობით გამოითხოვოს გამოთხოვის მომენტისათვის მოპოვებული მასალის ელექტრონული ეგზემპლარი, რომელსაც მოსამართლე გაცნობის შემდეგ დადგენილი წესით ანადგურებს (სსს კ-ის 143<sup>3</sup> მუხლის 6<sup>1</sup> ნაწილი).

მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ მოსამართლეს მიეცეს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, სატელეფონო

<sup>1501</sup> იხ. ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, 2015, გვ. 289.

<sup>1502</sup> იქვე, გვ. 290.

<sup>1503</sup> იქვე.

საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებაზე ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტისას, ან, მით უფრო, უპვე ჩატარებული ამ ღონისძიების კანონიერებაზე მსჯელობისას, მოითხოვოს ამ ფარული საგამოძიებო ღონისძიების უშუალო მწარმოებელი პირის სასამართლოში გამოძახება და გამოკითხვა. ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროსთან უშუალო კონტაქტი განაპირობებდა მოსამართლის მეტ ინფორმირებულობას ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას და ხელს შეუწყობდა მოსამართლის შინაგანი რწმენის განმტკიცებას.

ერთი შეხედვით, აღნიშნული რეკომენდაცია ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობის პრინციპს. თუმცა, ეს ასე არაა. ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარებაზე მოსამართლისთვის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მინიჭებით კანონმდებელს სურს, რომ ნეიტრალურმა სუბიექტმა დამოუკიდებლად შეამოწმოს მირითადი უფლებების შეზღუდვის კანონიერება. სწორედ დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა განაპირობებს მოსამართლისთვის ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის მინიჭებას. თუმცა, პროცესის თავისებურებიდან გამომდინარე, მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას რჩება მხოლოდ ბრალდების მხარის პირისპირ, უსმენს მხოლოდ პროკურორს და იღებს მხოლოდ ცალმხრივ ინფორმაციას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ზიანი ადგება მხარეთა საპროცესო სამართლებრივ თანასწორობას; სასამართლო კონტროლის მნიშვნელოვან ფუნქციას კი წარმოადგენს ერთგვარად წინასწარი დაცვის ფუნქციის განხორციელება, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამოძიების ორგანოთა მხრიდან ძალაუფლების გადამეტების მოსალოდნელი საფრთხე და ფარული საგამოძიებო ღონისძიების ობიექტის უფლებათა უკანონო შეზღუდვა.<sup>1504</sup> ვფიქრობ, სწორედ ამ ფუნქციის უზრუნველსაყოფად უნდა შეეძლოს მოსამართლეს, მოითხოვოს ფარული საგამოძიებო ღონისძიების უშუალო შემსრულებელი პირის სასამართლოში გამოძახება. ამასთანავე, დაისმის კითხვა, თუკი გადაწყვეტილების მისაღებად მოსამართლეს შეუძლია უფლებამოსილი ორგანოდან წერილობით გამოითხოვოს გამოთხოვის მომენტისათვის მოპოვებული მასალის ელექტრონული ეგზემპლარი, მაშინ რატომ არ უნდა მიენიჭოს მას ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროსთან უშუალო კონტაქტის უფლება? შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ეს ინიციატივა არ ეწინააღმდეგება ქართული სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობას, პირიქით, ხელს უწყობს მხარეთა საპროცესო სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფას.

#### 5.2.2.8. შეჯამება

სასამართლო კონტროლის განხილვის შედეგად წარმოჩნდა, რომ კანონმდებელი საქმაოდ მაღალ სტანდარტებს აწესებს ამ ინსტიტუტის შინაარსობრივ და პროცედურულ წინაპირობებთან მიმართებით. აქ იგულისხმება, მაგ., მოსამართლის განჩინების რეკვიზიტების კანონით განსაზღვრა, მოსამართლის განჩინებაში ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრის პროცედურის სსსკ-ში ზედმიწევნით დეტალური გაწერა, მოსამართლის განჩინების ეგზემპლარების გადაცემის ადრესატებისა და

<sup>1504</sup> იხ.: Asbrock, ZRP 1998, 17; Kutschka, NVwZ 2003, 1296, 1298; შეად. Krüger, DRiZ 2004, 247.

წესის ზუსტი განსაზღვრა. თუმცა, სასამართლო კონტროლი ისევ რჩება კრიტიკის ობიექტად, რადგან მიიჩნევა, რომ ის არ არის ფარულ საგამოძიებო ღონისძიებებზე კონტროლის განხორციელების ეფექტიანი საშუალება. მაგრამ სისხლის სამართლის პროცესში კონტროლის უფრო ქმედითი ხერხი, ვიდრე სასამართლო კონტროლია, ჯერ არ იკვეთება. ამასთან, სასამართლო კონტროლის სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველია ამ ინსტიტუტთან მიმართებით გონივრული და ქმედითი შემდგომი საკანონმდებლო ნაბიჯების გადადგმა. ამ მხრივ მისასალმებელია სსსკ-ში 2018 წლის 21 ივნისის კანონის საფუძველზე განხორციელებული ცვლილება,<sup>1505</sup> რომლის შედეგადაც სსსკ-ში გაწნდა ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტი. აღნიშნული კი, ცხადია, ხელს უწყობს გამოძიების პროცესში სასამართლო კონტროლის ინსტიტუტის გაძლიერებას.

### 5.2.3. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტი

სსსკ-ში 2017 წლის 22 მარტის კანონით განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედება, ეწოდება ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი (სსსკ-ის მე-3 მუხლის 31-ე ნაწილი). სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილის „ბ” ქვეპუნქტში არსებული ნორმის მოთხოვნის შესაბამისად, ფარული საგამოძიებო ღონისძიების განხორციელება აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს დანაშაულის შესაძლო ჩამდენ კონკრეტულ პირს, მის მოქმედებებს, კომუნიკაციას და ა.შ.<sup>1506</sup> აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთა მიმართაც შესაძლებელია, ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედება. ესენი არიან, პირები:

- რომელთა მისამართითაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მათ ჩადენილი აქვთ სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული („დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი”);
- რომლებიც იღებენ ან გადასცემენ დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას;
- რომელთა საკომუნიკაციო საშუალებებს იყენებს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი.

ნათლად ჩანს, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისას საკმაოდ ფართო შეიძლება იყოს პირთა წრე, რომელთა პირადი კომუნიკაცია სახელმწიფო კონტროლის ქვეშ შეიძლება მოექცეს. დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირების გარდა, ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი ხდება ე.წ. „მესამე პირი”, რომლის ინტერესების აღეკვატური დაცვა მეტად გართულებულია. საკონსტიტუციო სასამართლოც აღნიშნავს, რომ ისინი ფარული კონტროლის ობიექტები შეიძლება გახდნენ, მაგალითად, იმ პირებთან მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაციის საფუძველზე, რომელთა მიმართაც

<sup>1505</sup> ი. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№3276-რს), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>; უკანასკნელად გადამოწმებულია 15.08.2018.

<sup>1506</sup> ი. მეზერი შეიძლი, წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015, გვ. 433.

ხორციელდება სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება.<sup>1507</sup> ამ კ.წ. „მესამე პირთა” ინტერესების ადეკვატური დაცვა იმიტომა გართულებული, რომ ისინი სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს საერთოდ არ მოელიან და, შესაბამისად, არც თავის დაცვა შეუძლიათ.<sup>1508</sup>

აქედან გამომდინარე, სამართლიანია პრაქტიკაში არსებული მოთხოვნა, რომ, როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ნებართვის გაცემაზე, მან უნდა იმსჯელოს, პროკურორის „შუამდგომლობის დაკმაყოფილება ხომ არ გამოიწვევს „ადამიანთა ძალზე დიდი რაოდენობის” დატოვებას სამართლებრივი დაცვის საშუალების გარეშე”.<sup>1509</sup>

### 5.2.3.1. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მინიმუმამდე დაყვანა

სსსკ-ის 143<sup>7</sup> მუხლი, რომელიც ეხება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მინიმუმამდე დაყვანას, კრძალავს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას გარკვეული პროფესიის პირების მიმართ და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამით კანონმდებელი ცდილობს, დაავიწროოს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტთა საქმაოდ ფართო წრე. აღნიშნულ მიზანს ემსახურება ამ მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანო, აგრეთვე საგამოძიებო ორგანო ან პირი ვალდებული არიან, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმალურად შეზღუდონ იმ კომუნიკაციისა და პირის მონიტორინგი, რომელთაც გამოძიებასთან კავშირი არ აქვთ.

სსსკ-ის 143<sup>7</sup> მუხლის მეორე ნაწილი უკვე კონკრეტულად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთა მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებში. კერძოდ,

- სასულიერო პირის,
- ადვოკატის,
- ექიმის,
- ურნალიისტისა და
- იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არ უკავშირდება შესაბამისად მათ მიერ სასულიერო მოღვაწეობის ან პროფესიული საქმიანობის დროს კანონით დაცული ინფორმაციის მოპოვებას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსხვავებულ რეგულაციას აწესებს ადვოკატის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემთხვევაში. სსსკ-ის 143<sup>7</sup> მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ადვოკატის პირადი კომუნიკაციის შესახებ უნდა გაიმიჯნოს ადვოკატსა და კლიენტს შორის განხორციელებული

<sup>1507</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.13.

<sup>1508</sup> იქვე.

<sup>1509</sup> იხ. მეზორიზმის – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომუნიკაციი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015, გვ. 435.

კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციისგან. შესაბამისად, განსაკუთრებული დაცვის ქვეშ არის მოქცეული ადვოკატსა და მის კლიენტს შორის კომუნიკაცია. კანონის იმპერატიული მოთხოვნის თანახმად, თუკი შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს ხელში აღმოჩნდება კომუნიკაციის შინაარსი, რომელიც ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება, ის დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.

ბრალდებულსა და ადვოკატს შორის კონფიდენციალური და თავისუფალი ურთიერთობის აუცილებლობაზე მიუთითებს სსსკ-ის 43-ე მუხლი. ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კონფიდენციალურია, ასევე, ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან. ასევე, სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილით გარანტირებულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობის კონფიდენციალურობა. აღნიშნული ნორმის თანახმად, აკრძალულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას. მხოლოდ კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა დაცვის საფუძველზე არის შესაძლებელი ადვოკატსა და მის კლიენტს შორის ურთიერთობაში ნდობის დამყარება, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს დაცვის უფლების უფლების პრეტიანობას.<sup>1510</sup> ბრალდებულს უნდა შეეძლოს, მთელი პროცესის განმავლობაში გაანდოს თავის ადვოკატს ნებისმიერი სახის ინფორმაცია პირადად, წერილობით, ტელეფონისა თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით და დარწმუნებული იყოს, რომ აღნიშნული არ გახდება ბრალდების მხარისათვის ცნობილი.<sup>1511</sup> შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან ადვოკატისა და ბრალდებულის ურთიერთობაზე რაიმე სახის კონტროლი დაუშვებელია.<sup>1512</sup>

სისხლის სამართლის პროცესში 143<sup>7</sup> მუხლის არსებობას ძალიან დადებითად აფასებენ და მიესალმებიან ევროპელი ექსპერტები ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული დასკვნის ფარგლებში.<sup>1513</sup> თუმცა, იქვე აღნიშნავენ, რომ მხოლოდ ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის მოსმენის აკრძალვის წესის დადგენა არ არის საკმარისი და ამ კომუნიკაციის დასაცავად სახელმწიფო პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგას.<sup>1514</sup>

### 5.2.3.2. ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების ვალდებულება

ფარული საგამოძიებო საქმიანობის გამჭვირვალობისა და სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, მოქალაქეთა ინფორმირებისა და მათ მიერ კონტროლის განსახორციელებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგამოძიებო

<sup>1510</sup> ი. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 145.

<sup>1511</sup> ი. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 145; შეად. ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, 2015, გვ. 176.

<sup>1512</sup> ი. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 145.

<sup>1513</sup> ი. Korff, Douwe/Cannataci, Joseph A./Sutton, Graham, Opinion of the Directorate General Human Rights and Rule of Law Data Protection Unit on the Draft laws of Georgia relating to Surveillance Activities of Law Enforcement Authorities and National Security Agencies, Council of Europe, DGI (2014)8, Strasbourg, 14 February 2014, 19, <https://rm.coe.int/16806af19b>, უკანასკნელად გადამოწმებულია 04.10.2018.

<sup>1514</sup> იქვე.

ორგანოს მხრიდან კანონით დადგენილი შეტყობინების ვალდებულება პირისთვის, რომლის მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო დონისძიება. უმთავრესი მოთხოვნა კი ამ ვალდებულების შესრულებისას არის ის, რომ სამართალწარმოებას აღნიშნულის განხორციელების შედეგად ხელი არ უნდა შეეშალოს.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ფარგლებში მომზადებულ დასკვნაში ექსპერტები მიესალმებიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებულ რეგულაციას, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო კისრულობს ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინების ვალდებულებას იმ პირისათვის, რომლის მიმართაც განხორციელდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება; იმავე დასკვნაში აღნიშნულია, რომ შეტყობინების ვალდებულების ეს მოთხოვნა შესაბამისობაშია და აღემატება კიდეც იმას, რაც მოთხოვნილია ევროპის საბჭოს ნომერ R(87) 15 რეკომენდაციაში.<sup>1515</sup> ამ რეკომენდაციის მიხედვით, „როდესაც ინდივიდის შესახებ, მისი ცოდნის გარეშე, შეგროვდება და შეინახება მონაცემები, და იმ შემთხვევაში, თუ ეს მონაცემები არ იქნება განადგურებული, მას უნდა ეცნობოს, [...], რომ მის შესახებ ინახება ინფორმაცია, მაშინათვე, როდესაც პოლიციის საქმიანობების ობიექტს ამით ზიანი არ მიადგება”.<sup>1516</sup>

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მხრიდან შეტყობინების ვალდებულება შეიძლება გახდეს პირველი ნაბიჯი კომპენსაციის მიღებისათვის, რისი უფლებაც გარანტირებულია სსსკის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილში.<sup>1517</sup> აღნიშნული ნორმის თანახმად, პირს, რომელსაც ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცხობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამუდაგნებით, აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება.

მნიშვნელოვანია ისეთი პრობლემური საკითხების განხილვა, თუ ვის, ვინ და როდის უნდა შეატყობინოს უკვე ჩატარებული სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ.

### **5.2.3.2.1. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების აღრესატი**

აღნიშნული საკითხი საკმაოდ რთულია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შემთხვევაში, რამდენადაც ტელეკომუნიკაციის დონის მიყურადების ობიექტები ხდებიან სხვა პირებიც. ყველა ამ ეწ. „მესამე პირთა” შეტყობინება კი მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. როგორც ალბრეხტი აღნიშნავს, ერთი მხრივ, ამან შეიძლება გაართულოს ეკონომიურობის პრინციპის დაცვა, ხოლო, მეორე მხრივ, მან შეიძლება, დაარღვიოს ფარული მიყურადების ობიექტის ინტერესები, თუ ის არ წარმოადგენდა მიყურადების ძირითად ობიექტს.<sup>1518</sup> შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევა მხოლოდ იმ პირთა

<sup>1515</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>1516</sup> იქვე.

<sup>1517</sup> იქვე.

<sup>1518</sup> იხ. დანართი 1: ალბრეხტი, დასკვნა, გვ. 40.

ინფორმირება ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ, რომლთაც უშუალოდ ეხებოდათ აღნიშნული ღონისძიება.

სსსკ-ის 143<sup>9</sup> მუხლის მუხლის მე-3 ნაწილით შეტყობინების აღრესატად განსაზღვრული არიან პირები, რომელთა მიმართაც ჩატარდა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება. უფრო კონკრეტულად, აღნიშნული ნორმის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს პირს, რომლის მიმართაც ჩატარდა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება. ამ პირს ასეთი ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად გადაეცემა მოსამართლის განჩინება მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, აგრეთვე ის მასალა, რომლის საფუძველზედაც მიიღო მოსამართლემ ამგვარი გადაწყვეტილება და განხემარტება აღნიშნული განჩინების ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-15 ნაწილით დადგენილი წესით გასაჩივრების უფლება. როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ გასაჩივრების უფლების, სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა არის პირისათვის მისი მისამართით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების post factum შეტყობინების მთავარი მიზანი.

ზოგადად, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის უფლება ამ მოქმედების დასრულებამდე, სსსკ-ის 143<sup>9</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აქვთ მხოლოდ გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს (თუ ეს ინფორმაცია არსებითად უკავშირდება მათ მიერ განსახილველ საკითხს).

რაც შეეხება დაცვის მხარეს, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მას ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია მიეწოდება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა, რამდენადაც სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, ამ დროს მხარეებმა ერთმანეთსა და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. დაცვის მხარეს აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდება საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისასაც.

### 5.2.3.2.2. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების დრო

როგორც უკვე აღინიშნა, პირს უნდა ეცნობოს, როგორც სატელეფონო საუბრის უკვე ჩატარებული ფარული მიყურადების შესახებ, ისე ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსი და ინფორმაცია აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ; ამასთან, შეტყობინება უნდა მოხდეს წერილობით (სსსკ-ის 143<sup>9</sup> მუხლის მე-3 ნაწილი).

გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როდის ეცნობოს პირს მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და გადაეცეს შესაბამისი განჩინება და მასალა როგორც სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ, იღებს პროკურორი (სსსკ-ის 143<sup>9</sup> მუხლის მე-3 ნაწილი). აღნიშნული საკითხის გადაწყვეტილისას, კოდექსის ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მეორე

წინადაღების მიხედვით, პროკურორი ხელმძღვანელობს სამართალწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე.

სსსკ-ის 143<sup>9</sup> მუხლის მე-4 ნაწილი მაქსიმალურ ვადად განსაზღვრავს 12 თვეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან; ამ ვადაში პირს უნდა ეცნობოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგები, გადაეცეს შესაბამისი განჩინება და მასალები.

სსსკ-ის 143<sup>9</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ პროკურორი გადაწყვეტს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან 12 თვის ვადაში პირს არ აცნობოს მის მიმართ ამ მოქმედების ჩატარების შესახებ, იგი ვალდებულია აღნიშნული ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 72 საათისა შუამდგომლობით მიმართოს იმ სასამართლოს, რომლის მოსამართლემაც მიიღო განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე და მოითხოვოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისათვის მიწოდების გადავადება არაუმეტეს 12 თვისა.

ამასთან, შუამდგომლობაში პროკურორმა უნდა დაასაბუთოს ის საფრთხე, რომელიც პირისათვის შეტყობინებით შეექმნება ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, ამოცანის შესრულებასა და სამართალწარმოების ინტერესებს (სსსკ-ის 143<sup>9</sup> მუხლის მე-4 ნაწილი).

მოსამართლე შუამდგომლობას განხილავს მისი წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში, სსსკ-ის 112-ე მუხლით დადგენილი წესით, საკუთარი შეხედულებისამებრ, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. ამასთან, ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში, მოსამართლე შეტყობინებით უზრუნველყოფს განხილვის პროცესში შესაბამისი პროკურორის მონაწილეობას. მისი გამოუცხადებლობა კი არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას (სსსკ-ის 143<sup>9</sup> მუხლის მე-4 ნაწილი).

შუამდგომლობის განხილვის შედეგად მოსამართლე იდებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე შესაბამისი პირისათვის შეტყობინების გადავადების შესახებ;

- პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და ამგვარი ინფორმაციის მიწოდების გადავადებაზე უარის თქმის შესახებ.

სსსკ-ის 143<sup>9</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეტყობინების ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 12 თვით.

### 5.2.3.3. ფარული მიყურადების ობიექტის უფლებები (გასაჩივრების უფლება)

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლი ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების წესს.

აღნიშნული მუხლის შესაბამისად, განჩინების გასაჩივრების უფლებამოსილებით სარგებლობს პირი, უშუალოდ რომლის მიმართაც ტარდება აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება.

ამასთან, სსსკ-ი ერთმანეთისგან განასხვავებს გასაჩივრების ორ წესს, რომლებიც რეგულირდება სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-14 და მე-15 ნაწილებით. სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-14 ნაწილი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც პირისთვის ცნობილი გახდა მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე მოცემულ საქმეზე ჯერ კიდევ სამართალწარმოების მიმდინარეობისას. სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-15 ნაწილი კი არეგულირებს ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას, როდესაც პირისთვის მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ცნობილი გახდა მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ. განსხვავდება ამ შემთხვევების როგორც წარმოების წესი, ისე გასაჩივრების ვადები.

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, პირს, რომლისთვისაც მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას ცნობილი გახდა მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება ერთჯერადად გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციისა და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 48 საათის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობა ქმნის ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ამ კოდექსით დადგენილი წესით დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველს. სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება საფუძვლად დაედოს სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნას პირისთვის მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამუდავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით კი, პირს, რომლისთვისაც მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია უკანონოდ ცნობს ჩატარებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას, შეიძლება აღნიშნული მიჩნეულ იქნეს სსსკ-ის 310-ე მუხლის „თ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ გარემოებად განაჩენის გადასინჯვისთვის, თუ ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-15 ნაწილი).

ისევე, როგორც სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-14 ნაწილის შემთხვევაში, ამავე მუხლის მე-15 ნაწილშიც აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება საფუძვლად დაედოს სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნას პირისთვის მისი პირადი ცხოვრების

შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამუღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

რაც შეეხება გასაჩივრების უშუალო პროცედურას, აღნიშნულს არეგულირებს სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-16 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ მოსამართლის მიერ მიღებულ განჩინებაზე საჩივარი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს. მასში უნდა აღინიშნოს, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონით დადგენილი კონკრეტულად რომელი წესი დაირღვა. ამასთან, საჩივარი შედის განჩინების გამომტან სასამართლოში და საჩივარს განიხილავს უკვე სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია მისი შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა.

მართალია, სააპელაციო სასამართლო შეტყობინებით უზრუნველყოფს მომჩივნის და ბრალდების მხარის მონაწილეობას საჩივრის განხილვაში, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვის პროცესს (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-16 ნაწილი).

საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება და მოთხოვნის შემთხვევაში მომჩივნის და ბრალდების მხარეს გადაეცემა (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-16 ნაწილი).

#### 5.2.3.4. შეჯამება

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისას, როგორც წესი, აღნიშნული საგამოძიებო ღონისძიების ობიექტია პირთო წრე, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც შემხებლობაში არ არიან გამოსაძიებელ დანაშაულთან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ ე.წ. „მესამე პირთა” ინტერესების აღეკვატური დაცვა.

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტების ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინების ვალდებულება. სწორედ პირის ინფორმირებულობა მის მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო ღონისძიების შესახებ უზრუნველყოფს მისთვის შესაბამისი სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობის მიცემას.

აღსანიშნავია, რომ პირისთვის შეტყობინების ვალდებულებაზე საუბრისას იკვეთება მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის გათვალისწინებითაც შესაძლებელია პირისთვის ინფორმაციის მიწოდების გადავადება; ესაა გამოძიების ინტერესები. კერძოდ, პირისთვის შეტყობინებით ხელი არ უნდა შეეშალოს სისხლის სამართალწარმოებას.

მისასალმებელია სსსკ-ში პროცედურების ზედმიწევნით გაწერა, თუ ვის უნდა შეატყობინოს სახელმწიფო სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ, ვინ უნდა განახორციელოს შეტყობინება და როდის. როგორც უკვე აღინიშნა, ეს რეგულაცია შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან. მაგრამ, ცხადია, წესის გაწერა კანონში არაა საკმარისი. სახელმწიფოს მხრიდან საჭირო ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტების უფლებათა დაცვის მიზნით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა დაწერილი ნორმები რეალურად აღსრულდეს პრაქტიკაში.

### 5.3. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელების ძირითადი ტექნიკური ასპექტები და მასზე კონტროლი

2012 წელს პირადი ცხოვრების შემლახავი სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ათასობით უკანონო ჩანაწერი გავრცელდა, რამაც დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დააყენა ფარული მიყურადების მკაცრი რეგულირებისა და მოპოვებულ მონაცემებზე კონტროლის გაუმჯობესების საკითხი. მრავალი დისკუსიისა და შემუშავებული სხვადასხვა კანონპროექტის შედეგად, განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმა ამ კუთხით. კვლევის საგნიდან გამომდინარე, საინტერესოა, განხილულ იქნას საკითხი, თუ ვინ ახორციელებს ტექნიკურად სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას და ვის აქვს აღნიშნულ პროცესზე კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება.

#### 5.3.1. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელების ძირითადი ტექნიკური ასპექტები

აღნიშნული საკითხის ახლებურად მოწესრიგების მიზნით, 2015 წლის 31 მარტს<sup>1519</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამოქმედდა ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის<sup>1520</sup> დამკაიდრებას. აღნიშნული ძირითადად გულისხმობდა იმას, რომ ფარული მიყურადების განსახორციელებლად სამართალადამცავ ორგანოს, სასამართლოს მხრიდან ნებართვის გარდა სჭირდებოდა ელექტრონული ნებართვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგანაც. სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას კი ახორციელებდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატორულ-ტექნიკური დეპარტამენტი.<sup>1521</sup>

არასამთავრობო ორგანიზაციების დამოკიდებულება აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებისა და ახალი სისტემისადმი, ისევე, როგორც საზოგადოების ზოგადი განწყობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტისადმი მაღალი საზოგადოებრივი ნდობიდან გამომდინარე, დადგებითად შეფასდა.<sup>1522</sup> თუმცა, როგორც მაგ., IDFI-ს ანგარიშში აღინიშნა, ეს ეწ. „ორგანიზაციის“ სისტემის არსებობა მაინც ვერ უზრუნველყოფდა უკანონო მიყურადების სრულფასოვან პრევენციას,

<sup>1519</sup> საქართველოს 2014 წლის 30 ნოემბრის კანონი №2870, 30.11.2014წ.

<sup>1520</sup> სსკ-ის 2017 წლის 22 მარტამდე მოქმედი 143<sup>4</sup> მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას უფლებამოსილი ორგანო ახორციელებდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. სსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილი კი განმარტავდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის ცნებას. ეს იყო ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც გამორიცხავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მეშვეობით ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას.

<sup>1521</sup> სსკ-ის 2017 წლის 22 მარტამდე მოქმედი მე-3 მუხლის 32-ე ნაწილი.

<sup>1522</sup> IDFI-ს ანგარიში, 23 იანვარი 2017, გვ. 1, [https://idfi.ge/ge/regulating\\_secret\\_surveillance\\_in\\_georgia](https://idfi.ge/ge/regulating_secret_surveillance_in_georgia); უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

რადგან ძალოვან უწყებებს რჩებოდათ ტექნიკური შესაძლებლობა, სასამართლოსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გვერდის ავლით განეხორციელებინათ ფარული მიყურადება.<sup>1523</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოში 2016 წელს, სხვა ნორმებთან ერთად, გასაჩივრდა<sup>1524</sup> სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ ამ კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ა” და „ბ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უზრუნველსაყოფად კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი იყენებდა კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მეილსერვერებიდან, ბაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობას, აგრეთვე კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან განათავსებდა და ამონტაჟებდა სათანადო აპარატურას და პროგრამული უზრუნველყოფის მოწყობილობებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ დააგმაყოფილა აღნიშნული სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით<sup>1525</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 31-ე ნაწილი და ამავე კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-4 ნაწილი.<sup>1526</sup> შესაბამისად, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტექნიკური წვდომა სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ქსელებთან, რაც განაპირობებდა კომუნიკაციის მონაცემთა შეგროვებისა და მონიტორინგის შეუზღუდავ შესაძლებლობას.<sup>1527</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „უფლების დარღვევის რისკები თავისთვავად იზრდება, როდესაც ინფორმაციის რეალურ დროში მოსაპოვებლად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (ან გამოძიების უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანო) იმავდროულად ფლობს და ადმინისტრირებას უწევს ტექნიკურ საშუალებებს, განათავსებს შესაბამის აპარატურას უშუალოდ საკომუნიკაციო არხთან/სერვისის მიმწოდებელთან, რაც საბოლოო ჯამში მას პირთა განუსაზღვრელი წრის მოსმენის შესაძლებლობას აძლევს”<sup>1528</sup>. ამასთან, აღნიშნული პროცესი გასაიდუმლოვებულია და შედეგად, „რომელ/როგორ ტექნიკურ შესაძლებლობებს, მოწყობილობებს შექმნის, შეიძენს, დაამონტაჟებს და გამოიყენებს სახელმწიფო უსაფრთხოების

<sup>1523</sup> იქვე გვ. 2.

<sup>1524</sup> საკონსტიტუციო სარჩელი №640 (საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუდუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი დია საზოგადოება საქართველო”, ააიპ „საქართველოს გამჭვირვალობა - საქართველო”, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და ემოქრატის საქართველოს საზოგადოება” და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).

<sup>1525</sup> იგულისხმება კონსტიტუციის ძველი რედაქცია.

<sup>1526</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, III.პ.3, 4.

<sup>1527</sup> იქვე, II.პ.116, 117, III.პ.2, 4.

<sup>1528</sup> იქვე, II.პ.53.

სამსახური, ამ პროცესზე არ არსებობს გარე კონტროლის საკმარისი შესაძლებლობები”.<sup>1529</sup>

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, არასაკმარისი იყო სატელეფონო საუბრების ფარულ მიუურადებაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის არსებული ბერკეტები, რაც ვერ გამორიცხავდა ინსპექტორის გვერდის ავლითა და მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე სატელეფონო საუბრის მიუურადების საფრთხეს.<sup>1530</sup>

თავად ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის შემოღება, როგორც დამატებითი გარანტი, მიმართული იყო იმისკენ, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მოსმენის შესაძლებლობა გამორიცხულიყო ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე; თუმცა, როგორც პრაქტიკაში გამოვლინდა, ეს ბერკეტი სრულად ვერ უზრუნველყოფდა სატელეფონო საუბრების ფარული მიუურადების შესაძლებლობაზე კონტროლს.<sup>1531</sup> ინსპექტორი ელექტრონულ თანხმობას აძლევდა მხოლოდ მასთან მიწოდებულ ინფორმაციაზე, ისევე, როგორც მხოლოდ ასეთ ინფორმაციას აკონტროლებდა შემდეგ.<sup>1532</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს რეალურად ჰქონდა ერთადერთი ბერკეტი, შეემოწმებინა მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერება (ინსპექტირება).<sup>1533</sup> ამ ბერკეტს (ინსპექტირებას) კი თავად პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა „მინიმალურზე ცოტა მეტი გარანტია” უწოდა.<sup>1534</sup>

სატელეკომუნიკაციო ოპერატორების სერვერებზე პირდაპირი წვდომის შეზღუდვისა და კონტროლის გამკაცრების მიზნით პარლამენტს 2017 წლის 31 მარტამდე დაევალა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.<sup>1535</sup>

შესაბამისად, 2017 წლის 22 მარტის საკანონმდებლო ცვლილებებით გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, წინასწარი თანხმობის ნაცვლად, მიენიჭა ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეჩერების უფლება.<sup>1536</sup> შეიქმნა ახალი ორგანო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო (შემდგომ – სააგენტო), რომელიც სსსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილის „ა”

<sup>1529</sup> იქვე, II.პ.57.

<sup>1530</sup> იქვე, II.პ.59.

<sup>1531</sup> იქვე, II.პ.61.

<sup>1532</sup> იქვე.

<sup>1533</sup> ი. ი. IDFI-ს ანგარიში, 23 იანვარი 2017, გვ. 2, [https://idfi.ge/ge/regulating\\_secret\\_surveillance\\_in\\_georgia](https://idfi.ge/ge/regulating_secret_surveillance_in_georgia); უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1534</sup> ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II.პ.65

<sup>1535</sup> იქვე, III.პ.5.

<sup>1536</sup> ი. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 5, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/141417>; უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

ქვეპუნქტის შესაბამისად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარების ექსკლუზიური<sup>1537</sup> უფლებამოსილების მქონე ორგანოა. აღნიშნული სააგენტო არა მხოლოდ ფლობს ტექნიკურ საშუალებებს ფარული მოსმენების განსახორციელებლად, არამედ პასუხისმგებელია ამ სისტემის ფუნქციონირებაზე, რა მიზნითაც ის ქმნის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას და განათავსებს ტექნიკურ საშუალებებს.<sup>1538</sup>

საინტერესოა, მოკლედ აღინიშნოს 2017 წლის 22 მარტს მიღებული კანონით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ”, სააგენტოსთვის განსაზღვრული ძირითადი ამოცანებისა და დამოუკიდებლობის გარანტიების შესახებ. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად ასრულებს მისთვის განსაზღვრულ ამოცანებს (მე-5 მუხლის პირველი ნაწილი); დაუშვებელია სააგენტოს საქმიანობში სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და თანამდებობის პირების უკანონო ჩარევა (მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი); სააგენტოს უფროსის კანდიდატურას შეარჩევს ამ კანონის შესაბამისად შექმნილი სპეციალური კომისია (მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი).

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ” კანონის მე-6 მუხლი, რომელიც შეეხება სააგენტოს საქმიანობის ძირითად პრინციპებს, ერთ-ერთ ძირითად პრინციპად განსაზღვრავს დამოუკიდებლობასა და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს.

ასევე, ადსანიშნავია, რომ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, სააგენტოს ძირითადი ამოცანაა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებებით, ფარული მეთოდებით საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგისა და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვება, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება. აღნიშნული რეგულაციის თანახმად, სააგენტოს არ ენიჭება საგამოძიებო, სადაზვერვო ან კონტრსადაზვერვო ფუნქციები და ამ თვალსაზრისით ის არ იქნება პროფესიულად დაინტერესებული, რომ მოიპოვოს მეტი ინფორმაცია.

საინტერესო სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ტექნიკური განსახორციელების ძირითადი სამართლებრივი ასპექტების მოკლვე განხილვა. სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ მოსამართლის განხილების ელექტრონული ეგზემპლარის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის<sup>1539</sup> პროგრამულად მიწოდების

<sup>1537</sup> „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ” კანონის მე-12 მუხლი შეეხება სააგენტოს ექსკლუზიურ კომპეტენციას.

<sup>1538</sup> იხ. მუზარმაშვილი, წიგნში – სისხლის საპროცესო სამართალი (რედ. ფაფიაშვილი, ლ.), 2017, 530, 531.

<sup>1539</sup> 2019 წლის 1 ივნისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, იხ. კანონი საქართველოს სისხლის

დადასტურებისთანავე სააგენტო ოწყებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების აღნიშული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა (სსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>1</sup> ნაწილი).

რაც შეეხება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შემთხვევებს, ამ დროს 2018 წლის 21 ივნისს მიღებული კანონის საფუძველზე, სსკ-ში შესული ცვლილებების თანახმად<sup>1540</sup>, რომელიც ამოქმედდება 2019 წლის 1 ივნისიდან, მოსამართლის განხინება სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიწოდება ზედამხედველ მოსამართლეს ელექტრონული ეგზემპლარის სახით კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით; აღნიშნული განხინების ზედამხედველი მოსამართლისთვის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო ოწყებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას; ამასთან, ამ ნაწილით გათვალისწინებული ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა (სსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>7</sup> ნაწილი).

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს ვალდებულებას, რომ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის უზრუნველსაყოფად, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, გამოიყენოს კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ან ნახევრად სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა (სსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-4 ნაწილი).

2017 წლის 22 მარტს მიღებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატორ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი განმარტავს კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარულ ტექნიკურ შესაძლებლობას. აღნიშნულის მიხედვით, ეს არის წინასწარ განსაზღვრული არქიტექტურითა და დადგენილი ინტერფეისებით, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით გადაცემული კომუნიკაციის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაჭერა უფლებამოსილი ორგანოს მიერ კომუნიკაციის მიმდინარეობისას ან მისი დასრულებისთანავე, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის ქსელურ ან/და სასადგურე ინფრასტრუქტურაზე შესაბამისი აპარატული ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების განთავსებით/მონტაჟით.

რაც შეეხება ნახევრად სტაციონარულ ტექნიკურ შესაძლებლობას, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატორ-

სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№3276-რს), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/427661#DOCUMENT:1>, ასევე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432301?publication=0#DOCUMENT:1>; უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

<sup>1540</sup> იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№3276-რს), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/427661#DOCUMENT:1>, უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

ტექნიკური სააგენტოს „შესახებ” კანონის მე-2 მუხლის „ვ” ქვეპუნქტის თანახმად, ეს არის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით გადაცემული კომუნიკაციისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაჭერა უფლებამოსილი ორგანოს მიერ კომუნიკაციის მიმღინარეობისას ან მისი დასრულებისთანავე, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის ქსელურ ან/და სასადგურე ინფრასტრუქტურაზე შესაბამისი აპარატული ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების დროებითი ან მუდმივი განთავსებით/მონტაჟით.

ნახევრად სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებისას სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ მოსამართლის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ელექტრონული ეგზემპლარის სახით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება შესაბამისი დაცული არხის მეშვეობით.<sup>1541</sup>

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელების ძირითად ტექნიკურ ასპექტებზე საუბრისას საინტერესოა, როდის სრულდება სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა და რა გარემოებებში უნდა შეწყდეს/შეჩერდეს დონისძიება.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტისა და შეჩერების საკითხს არეგულირებს სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლი. ამ მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედება შეწყდება, თუ:

ა) შესრულდება ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანა;

ბ) დადგინდება გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანის შესრულება ობიექტურად შეუძლებელია ან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს;

გ) შეწყდება გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა;

დ) აღარ არსებობს ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი.

იმ შემთხვევაში, თუ გავა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერებიდან 3 დღის ვადაში არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი, ამ ნაწილში მითითებული ვადის გასვლისთანავე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო წყვეტს ფარულ საგამოძიებო მოქმედებას (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-3 ნაწილი).

ფარული საგამოძიებო მოქმედება შეწყდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ სასამართლოს განჩინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების 48 საათიანი ვადის ამოწურვისთანავე, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო უკანონოდ ცნობს გადაუდებელი

<sup>1541</sup> იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 3, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/141417>; უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

აუცილებლობის გარემოებაში დაწყებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას ან ამოიწურება გადაუდებელი აუცილებლობისას დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ დადგენილებაში მითითებული 48-საათიანი ვადა (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-4 ნაწილი).

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ფარული საგამოძიებო მოქმედება სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე შეიძლება შეაჩეროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა<sup>1542</sup> კონტროლის ელექტრონული სისტემით, თუ:

ა) მისთვის ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>1</sup> ნაწილით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩატერის ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;<sup>1543</sup>

ბ) მისთვის ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით, მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი არ არის სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩატერის ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ განჩინების ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;<sup>1544</sup>

გ) მისთვის ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6<sup>2</sup> ნაწილით დადგენილი წესით (გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში) მიწოდებული არ არის პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;<sup>1545</sup>

<sup>1542</sup> 2019 წლის 1 ივნისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორი, იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№3276-რს), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>; ასევე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432301?publication=0#DOCUMENT:1>; უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

<sup>1543</sup> ამ საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს სააგენტო (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-7 ნაწილი). ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს მოსამართლის განჩინების ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის (2019 წლიდან კი – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის) ამ კოდექსით დადგენილი წესით მიწოდების პროგრამულად დადასტურებისთანავე (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-11 ნაწილი).

<sup>1544</sup> ამ საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს სასამართლო (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-8 ნაწილი). ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ (2019 წლიდან კი – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ) კონტროლის ელექტრონული სისტემით სასამართლოს განჩინების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-12 ნაწილი).

<sup>1545</sup> ამ საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს სააგენტო (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-7 ნაწილი). ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს მოსამართლის განჩინების ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის (2019 წლიდან კი – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის) ამ კოდექსით დადგენილი წესით მიწოდების პროგრამულად დადასტურებისთანავე(სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-11 ნაწილი).

დ) მისთვის ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6<sup>2</sup> ნაწილით დადგენილი წესით მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი არ არის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;<sup>1546</sup>

ე) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს;<sup>1547</sup>

ვ) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მონაცემი ერთმანეთს არ ემთხვევა<sup>1548</sup>.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოაღნიშნული საფუძვლებით შეჩერების შემთხვევაში საგანგიტო მისი შეჩერების შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს (143<sup>6</sup> მუხლის მე-6 ნაწილი).

საინტერესოა, რომ სტატისტიკურად 2017 წლის აპრილიდან წლის ბოლომდე სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მიმდინარეობის შეჩერების მექანიზმი გამოყენებულ იქნა 21 განჩინების/დადგენილების შემთხვევაში; ამასთან, შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ ფარული საგამოძიებო მოქმედებები გაგრძელდა.<sup>1549</sup>

<sup>1546</sup> ამ საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს პროკურორი ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-9 ნაწილი). ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ (2019 წლიდან კი – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ) კონტროლის ელექტრონული სისტემით პროკურორის დადგენილების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-13 ნაწილი).

<sup>1547</sup> ამ საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს პროკურორი ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-10 ნაწილი). ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ (2019 წლიდან კი – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ) კონტროლის ელექტრონული სისტემით პროკურორის დადგენილების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-13 ნაწილი).

<sup>1548</sup> ამ საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს პროკურორი ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-10 ნაწილი). ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ (2019 წლიდან კი – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ) კონტროლის ელექტრონული სისტემით პროკურორის დადგენილების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-13 ნაწილი).

<sup>1549</sup> იხ. ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, 2017, გვ. 56, [https://personaldata.ge/manage/res/images/2018/angarishi/angarishi\\_2017.pdf](https://personaldata.ge/manage/res/images/2018/angarishi/angarishi_2017.pdf), უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში ამ პერიოდში სულ შევიდა მოსამართლის 699 განჩინება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუურადება-ჩაწერის დაწყების, გაგრძელების, დაკანონების, ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და უარის შესახებ.<sup>1550</sup> რაც შეეხება 2018 წლის მონაცემებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ შეჩერების მექანიზმი გამოყენებულ იქნა 96 განჩინების/დადგენილების შემთხვევაში; ხოლო დამატებით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით უფლებამოსილ ორგანოს ეცნობა 9 განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის თაობაზე, რის შემდეგად განჩინებაში არსებული ხარვეზები აღმოიფხვრა.<sup>1551</sup>

2018 წლის 21 ივლისს მიღებული კანონის საფუძველზე, რომელიც ამოქმედდება 2019 წლის 1 ივლისიდან,<sup>1552</sup> სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნისა და სსსკ-ში ზედამხედველი მოსამართლესაც ენიჭება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ელექტრონული სისტემით შეჩერების უფლებამოსილება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე, თუ.<sup>1553</sup>

- ა) მისთვის ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>7</sup> ნაწილით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;<sup>1554</sup>
- ბ) მისთვის ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით, მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი არ არის სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ განჩინების ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;<sup>1555</sup>

<sup>1550</sup> იქვე, გვ. 55.

<sup>1551</sup> იხ. ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, 2018, გვ. 72, <https://personaldatas.ge/ka/press/post/5047>; უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

<sup>1552</sup> იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№3276-რს), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>; ასევე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432301?publication=0#DOCUMENT:1>; უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

<sup>1553</sup> იხ. სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის 5<sup>1</sup> ნაწილი, კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№3276-რს), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>; უკანასკნელად გადამოწმებულია 15.08.2018.

<sup>1554</sup> ამ საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს სააგენტო (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5<sup>3</sup> ნაწილი). ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს მოსამართლის განჩინების ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის ზედამხედველი მოსამართლისთვის ამ კოდექსით დადგენილი წესით მიწოდების პროგრამულად დადასტურებისთანავე (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5<sup>7</sup> ნაწილი).

<sup>1555</sup> ამ საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს სასამართლო (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5<sup>4</sup> ნაწილი). ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს ზედამხედველი მოსამართლის მიერ

- გ) მისთვის ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6<sup>4</sup> ნაწილით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;<sup>1556</sup>
- დ) მისთვის ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6<sup>4</sup> ნაწილით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის პროკურორის დადგენილების მატერიალური (დოკუმენტური) სახის ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;<sup>1557</sup>
- ე) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანებაუზუსტობას შეიცავს;<sup>1558</sup>
- ვ) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მონაცემი ერთმანეთს არ ემთხვევა<sup>1559</sup>.

ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩატერის დასრულებისთანავე ადგენს ოქმს, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი, მისი დაწყებისა და დასრულების დრო, ოქმის შედგენის ადგილი, ჩატარებული ფარული

კონტროლის ელექტრონული სისტემით სასამართლოს განჩინების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5<sup>8</sup> ნაწილი).

<sup>1556</sup> ამ საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს სააგენტო (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5<sup>3</sup> ნაწილი). ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს მოსამართლის განჩინების ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის ზედამხედველი მოსამართლისთვის ამ კოდექსით დადგენილი წესით მიწოდების პროგრამულად დადასტურებისთანავე (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5<sup>7</sup> ნაწილი).

<sup>1557</sup> ამ საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს პროკურორი ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5<sup>5</sup> ნაწილი). ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს ზედამხედველი მოსამართლის მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემით პროკურორის დადგენილების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5<sup>9</sup> ნაწილი).

<sup>1558</sup> ამ საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს პროკურორი ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5<sup>6</sup> ნაწილი). ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს ზედამხედველი მოსამართლის მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემით პროკურორის დადგენილების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5<sup>9</sup> ნაწილი).

<sup>1559</sup> ამ საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს პროკურორი ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5<sup>6</sup> ნაწილი). ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს ზედამხედველი მოსამართლის მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემით პროკურორის დადგენილების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5<sup>9</sup> ნაწილი).

საგამოძიებო მოქმედების სახე და მისი ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი, ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი და ამ ობიექტის ტექნიკური იდენტიფიკატორი. ოქმი გადაეცემა შესაბამის უფლებამოსილ საგამოძიებო ორგანოს, რომელიც დაუყოვნებლივ წარუდგენს მას პროკურორს, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს (სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-14 ნაწილი<sup>1560</sup>).

სსსკ-ის ეს ნორმა 2019 წლის 1 ივლისიდან ექვემდებარება ცვლილებას; <sup>1561</sup> კერძოდ, ა) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ბ) აღნიშნულ მე-14 ნაწილს ემატება შემდეგი წინადადება: თუ ამ ნაწილით განსაზღვრული ოქმი შედგენილ იქნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შესახებ, ოქმი გადაეცემა შესაბამის უფლებამოსილ საგამოძიებო ორგანოს, რომელიც დაუყოვნებლივ წარუდგენს მას პროკურორს, ფარული საგამოძიებო მოქმედების სასამართლო რეესტრს და ზედამხედველ მოსამართლეს. ოქმი ამ თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გადაეცემა აგრეთვე დაცვის მხარეს.

5.3.2. კონტროლი სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და  
ჩაწერის განხორციელებაზე

ფარული საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელებაზე  
ზედამხედველობა მეტად პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სისხლის  
სამართლის პროცესში საერთაშორისო დონეზე.<sup>1562</sup> არაეფუქტიანია  
დამოუკიდებელი ორგანოს კონტროლის გარეშე უფლების ბოროტად  
გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიების არსებობა საერთაშორისო  
სტანდარტის მიხედვითაც.<sup>1563</sup>

საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილ  
დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის მიუხედავად,  
მნიშვნელოვანია, ფარული საგამოძიებო ღონისძიებების  
განმახორციელებელი სააგენტოს საქმიანობის კონტროლის ეფექტიანი  
მექანიზმის არსებობა. 2017 წლის 22 მარტის „საჯარო  
სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოკერატიულ-ტექნიკური  
სააგენტოს „შესახებ“ მნიშვნელოვნად ფართოვდება სააგენტოს  
საქმიანობის კონტროლის როგორც ინსტიტუციური, ისე ტექნოლოგიური  
მექანიზმები. უმთავრესად უნდა აღინიშნოს, რომ ფარული საგამოძიებო  
ღონისძიებების შემთხვევაში სააგენტოს მიერ განხორციელებულ

<sup>1560</sup> ამ მუხლის ამავე ნაწილის თანახმად, ოქთი სსსკ-ის XVI<sup>1</sup> თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგინდი წესით გადაეცემა დაცვის მხარესაც.

<sup>1561</sup> იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექტში ცვლილების შეტანის შესახებ (№3276-რს), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>; უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

1562 ab 222 222 DGSfZ 2/2017 46

ქმედებებს აკონტროლებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის 35<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით („საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ” კანონის 28-ე მუხლი). „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ” კანონის ამოქმედების შემდეგ, 2019 წლის 1 ივნისიდან ამ კანონის მუხლით დადგენილი წესით და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, სააგენტოს მიერ განხორციელებულ ქმედებებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან მიმართებით გააკონტროლებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.<sup>1564</sup>

ადსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ 2017 წლის განმავლობაში ორი ინსპექტიორება ჩატარდა სიიპ – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელების შედეგად მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით.<sup>1565</sup> შემოწმების შედეგად, სიიპ – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ დადგინდა.<sup>1566</sup> 2018 წელს კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ 4 ინსპექტიორების პროცესი ჩატარდა.<sup>1567</sup>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის გარდა, სააგენტოს საქმიანობაზე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ” კანონით, ასევე, გათვალისწინებულია საპარლამენტო, პრემიერ-მინისტრის, სასამართლო და საფინანსო-საბიუჯეტო კონტროლი.

სააგენტოს საქმიანობას საქართველოს პარლამენტი აკონტროლებს საპარლამენტო კონტროლის ფორმების გამოყენებით („საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ” კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე; სააგენტო საქართველოს პრემიერ-მინისტრს ყოველწლიურად წარუდგენს გაწეული საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს („საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ” კანონის 25-ე მუხლი).

სააგენტოს საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული პირადი ცხოვრებისა და ტექნიკური საშუალებებით მიღებულ შეტყობინებათა ხელშეუხებლობის უფლებების შეზღუდვასთან, ხორციელდება სასამართლო კონტროლი

<sup>1564</sup> იხ. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №3283-რს, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/196995>; უკანასკნელად გადამოწმებულია 18.08.2018.

<sup>1565</sup> იხ. ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, 2017, გვ. 56,

[https://personaldata.ge/manage/res/images/2018/angarishi/angarishi\\_2017.pdf](https://personaldata.ge/manage/res/images/2018/angarishi/angarishi_2017.pdf); უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1566</sup> იქვე, გვ. 57.

<sup>1567</sup> იხ. ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, 2018, გვ. 61, <https://personaldata.ge/ka/press/post/5047>; უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით („საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ” კანონის 27-ე მუხლი).

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებაზე კონტროლის ოვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნოვაციაა ზედამხედველი მოსამართლის კონტროლის გაფართოება. კერძოდ, თუკი ზედამხედველი მოსამართლის კონტროლი დღეს მოქმედი კანონით კრიცელდება „კონტრდაზერვითი საქმიანობის შესახებ” კანონით გათვალისწინებულ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელებასა და მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებზე, 2019 წლის 1 ივნისიდან ზედამხედველი მოსამართლის კონტროლი გავრცელდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის, სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ჩატარებაზე<sup>1568</sup>.

სააგენტოს მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებასა და ხარჯვას აკონტროლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური („საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ” კანონის 30-ე მუხლი).

ფარულ საგამოძიებო დონისძიებებზე კონტროლის მექანიზმთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოიტქვა კრიტიკა, რომ აღნიშნული ეხება მხოლოდ საწყის ეტაპს, როდესაც იწყება საგამოძიებო დონისძიები.<sup>1569</sup> საუკეთესო გამოსავლად შემოთავაზებულია სასამართლოს ჩართულობის არა მარტო დონისძიების საწყის ეტაპზე, არამედ აღსრულების მთლიან პროცესში და მისი დასრულების შემდეგაც.<sup>1570</sup>

სსსკ-ით დადგენილი კონტროლის მთელი რიგი მექანიზმების არსებობის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულაცია გარკვეულ რისკებს აჩენს. სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების ტექნიკური განხორციელება და მასზე კონტროლი დღემდე საკამაოო და კრიტიკულ საკითხებზე. კერძოდ, 2017 წლის აპრილსა და მაისში საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი კონსტიტუციური სარჩელების საფუძველზე 2017 წლის 29 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენურის განმწერიგებელმა სხდომამ დაადგინა, რომ მიღებული იქნეს არსებითად განსახილველად მთელი რიგი კონსტიტუციური სარჩელები სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც, სხვა საკანონმდებლო ნორმებთან ერთად, შეეხება სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-4 ნაწილის და სსსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილის „ა” ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას

<sup>1568</sup> იხ. სსსკ-ის გვ-3 მუხლის 32<sup>1</sup> ნაწილი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432301?publication=0#DOCUMENT:1;> უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

<sup>1569</sup> იხ. გვევზე, DGSZ 2/2017, 49. <http://dgstz.de/storage/documents/uyXdgF3kEMpfvqb91SMMjM0iGVsLRQQcFf6p04rK.pdf>; უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1570</sup> იქვე-

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-20 მუხლის პირველ პუნქტან  
მიმართებით.<sup>1571</sup>

მოსარჩელებს ეჭვი შეაქვთ სსიპ – ოპერატიულ-ტექნიკური  
სააგენტოს დამოუკიდებლობაში, რადგან ის შექმნილია სახელმწიფო  
უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში; სახელმწიფო  
უსაფრთხოების სამსახური კი ეფუძნება ერთიანობისა და  
ცენტრალიზაციის პრინციპს;<sup>1572</sup> ეჭვის საფუძველს ქმნის ის გარემოება,  
რომ, მაგ., ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსს მხოლოდ  
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანხმობით შეუძლია  
დაამტკიცოს სააგენტოს შიდა სტრუქტურა;<sup>1573</sup> საკონსტიტუციო  
სასამართლოს მოსამართლეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სააგენტო,  
მართალია, საჯარო სამართლის იურიდიული პირია, თუმცა არსებითად  
დამოკიდებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე.<sup>1574</sup>  
მოსარჩელეთა პოზიციის მიხედვით, არსებობს სააგენტოს საქმიანობაზე  
სამსახურის განუზომელი კონტროლისა და ზემოქმედების  
განხორციელების შესაძლებლობა.<sup>1575</sup> მოსარჩელეები აკრიტიკებენ  
სააგენტოს უფროსის დანიშნის წეს; სააგენტოს საქმიანობაზე  
კანონმდებლობით განსაზღვრულ კონტროლის მექანიზმს კი  
არაუფარიანად მიიჩნევენ; მათი მოსაზრებით, საკმარისი არაა  
პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორის მიერ განხორციელებული  
ინსპექტირება, საჭიროა ინსპექტორის მიერ სრული აუდიტის  
განხორციელების შესაძლებლობა; ამასთან, მოსარჩელეები ინსპექტორის  
მიერ ფარული საგამოძიებო დონისძიების შეჩერების უფლებას post factum  
კონტროლის მექანიზმად მოიხსენიებენ.<sup>1576</sup>

მოპასუხეთა მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური  
სააგენტოს აკონტროლებს მხოლოდ ადმინისტრაციული კუთხით; თუკი  
სამსახურის უფროსს შეუძლია მიზანშეუწოდობის მოტივით გააუქმოს  
სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებები, უსაფრთხოების სამსახურის  
წარმომადგენლის თანახმად, ეს ეხება ადმინისტრირების ნაწილს და არ  
ვრცელდება ოპერატიულ-ტექნიკურ დონისძიებებთან მიმართებით  
მიღებულ გადაწყვეტილებებზე; მოპასუხე უთითებს, რომ ფარული  
საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის  
უფლებამოსილება, სსსკ-ის შესაბამისად, სამსახურის უფროსს არ  
აქვს.<sup>1577</sup> რაც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, იგი  
მის მიერ განხორციელებულ კონტროლს ფარულ საგამოძიებო  
დონისძიებებზე არ მიიჩნევს კონტროლის post factum მექანიზმად; იგი  
აღნიშნავს, რომ მაგ., მოსამართლის განჩინების განონიერებას

<sup>1571</sup> იგულისხმება კონსტიტუციის მველი რედაქცია, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960> უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1572</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერეულისა და მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი, პუნქტი 10, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960>, უკანასკნელად გადამოწმებულია 18.08.2018.

<sup>1573</sup> იქვე, პუნქტი 13.

<sup>1574</sup> იქვე, პუნქტი 25.

<sup>1575</sup> იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს განმუქრივებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი, I, 30, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960>, უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1576</sup> იქვე, I, 31, 41-46.

<sup>1577</sup> იქვე, I, 62, 81, 88, 90.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ვერ შეაფასებს, მაგრამ კორეულორის დადგენილების შემთხვევაში, თუკი აღმოჩნდა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება იქნება ისეთ დანაშაულზე მიღებული, რომელთან მიმართებითაც კანონით ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარება არ არის ნებადართული, ინსპექტორი შეაჩერებს ამ ღონისძიების განხორციელებას; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი კონტროლის მნიშვნელოვან ბერკეტად მიიჩნევს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას, შევიდეს სააგენტოს შეზღუდული დაშვების არეალებში და მიმდინარე რეჟიმში დააკვირდეს უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქმიანობის განხორციელებას, გაეცნოს სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელ (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ) სამართლებრივ დოკუმენტებსა და ტექნიკურ ინსტრუქციებს.<sup>1578</sup>

ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებაზე კონტროლის თვალსაზრისით აუცილებლად უნდა აღინიშნოს სასამართლოს როლი და მისი გაზრდილი უფლებამოსილება. მოსამართლე არა მარტო გასცემს ნებართვას, არამედ სასამართლოს მიეწოდება ფარული საგამოძიებო მოქმედების ოქმი, რომელ შიც აღინიშნება სრული ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ.<sup>1579</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო, კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე დაასკვნის, რომ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო თავის წინამორბედთან – ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტთან შედარებით, უფრო მაღალი ავტონომიურობით ხასიათდება; თუმცა, ავტონომიურობასთან ერთად, მაინც იკვეთება საკითხები, რომლებიც მიუთითებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გავლენას ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოზე.<sup>1580</sup> მაგალითად, მართალია, სააგენტოში მოსამსახურეთა საქმიანობას აკონტროლებს გენერალური ინსპექცია (რომელიც ანგარიშვალდებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წინაშე) და გენერალური ინსპექციის დასკვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა, რამდენადაც მოსამსახურეთა დისკიპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს უფროსი, თუმცა, ის გარემოება, რომ იგი ამოწმებს სააგენტოს მოსამსახურეთა საქმიანობას, საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, არაპირდაპირ განაპირობებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გავლენას სააგენტოზე.<sup>1581</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გავლენის კიდევ ერთ მაგალითად მოჰყავს სამსახურის უფროსის უფლებამოსილება, ძალადაკარგულად გამოაცხადოს სააგენტოს უფროსის ის აქტები და მოქმედებები, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონებს, პრეზიდენტის, მთავრობის, პრემიერ-მინისტრის და სამსახურის უფროსის სამართლებრივ აქტებს; მართალია, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სამსახურის უფროსის ეს უფლებამოსილება არ ვრცელდება იმ

<sup>1578</sup> იქვე, I, 92, 93; II, 46..

<sup>1579</sup> იქვე, I, 84.

<sup>1580</sup> იქვე, I, 33, 64.

<sup>1581</sup> იქვე, I, 64; II, 37.

ნორმატიულ აქტებზე, რომლებიც შეეხება ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების საკითხებს, თუმცა ასეთი ტიპის კონტროლის არსებობა უკავშირო მიუთითებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გავლენაზე.<sup>1582</sup>

სწორედ მსგავსი არაპირდაპირი გავლენის არსებობა აჩენს ოპერატიოულ-ტექნიკური სააგენტოს ავტონომიურობის შეზღუდვის გარკვეულ რისკებს. ამიტომ, აუცილებელია, კანონმა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ოპერატიოულ-ტექნიკური სააგენტოს მეტი ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა და, მეორე მხრივ, ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების განმახორციელებელ ორგანოზე შიდა და გარე კონტროლის ქმედითი და ეფუძტიანი მექანიზმის არსებობა. ადსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტით, ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის საგამოძიებო ორგანოსთვის მინიჭება თავისთავად არ შეიძლება ჩაითვალოს არაკონსტიტუციურად; საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს მკაცრ სტანდარტზე, რომ „ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება როგორც შიდა, ისე გარე კონტროლის ეფუძტური, ქმედითი, საკმარისი და, რაც მთავარია, გამჭვირვალე ბერკეტების, მექანიზმების, გარანტიების არსებობა”.<sup>1583</sup>

### 5.3.3. შეჯამება

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის ტექნიკური ასპექტებისა და მასზე კონტროლის მექანიზმების განხილვის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ 2017 წლის 22 მარტს მიღებული ახალი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი ძირითადად უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარლამენტისადმი გაწერილი ვალდებულების შესრულებას, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მიეღო ისეთი საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც შესაბამისობაში იქნებოდა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებების სტანდარტებთან. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძვლზე შექმნილ ოპერატიოულ-ტექნიკურ სააგენტოს, რომელიც არ არის აღჭურვილი საგამოძიებო ფუნქციებით და დამოუკიდებელი ორგანოა, შეუძლია, იყოს სახელმწიფოს ხელში არსებული ფართო ტექნიკური შესაძლებლობების (ფარული მეთოდებით მოიპოვოს პირადი ხასიათის ინფორმაცია) დამაბალანსებელი.

თუმცა, აქვე ადსანიშნავია სსსკ-ში ზემოთ განხილული გარემოებების არსებობა, რაც გარკვეულ რისკებს აჩენს სსიპ – ოპერატიოულ-ტექნიკური სააგენტოს დამოუკიდებლობასთან მიმართებით. ჩნდება კითხვა, თუ რამდენად რეალურია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში არსებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მეშვეობის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით კვლევაში გამოიკვეთა პოზიცია, რომ აუცილებელია, კანონმა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ოპერატიოულ-ტექნიკური სააგენტოს მეტი ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა და, მეორე მხრივ, ფარული მიუურადების

<sup>1582</sup> იქვე, II, 38.

<sup>1583</sup> იქვე, II, 18.

განმახორციელებელ სააგენტოზე შიდა და გარე კონტროლის ქმედითი და ეფექტური მექანიზმის არსებობა.

ქმედითი კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აშკარაა ქართველი კანონმდებლის ნება, გააძლიეროს კონტროლის მექანიზმი ფარულ საგამოძიებო ღონისძიებებთან დაკავშირებით. აღნიშნულს მოწმობს 2018 წლის 21 ივლისს მიღებული კანონის საფუძველზე სსსკ-ში გაჩენილი ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტი, რომელიც 2019 წლის 1 ივლისიდან სხვა საკითხებთან ერთად, გააკონტროლებს სახელმწიფო ინსპექტორის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარებას.<sup>1584</sup>

სამართლებრივი დავა ოპერატორულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობისა და კომუნიკაციის წყაროებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ არ დასრულებულა; სწორედ აღნიშნული საკითხის შესახებ არსებული საკანონმდებლო რეგულაციების კონსტიტუციურობას არსებითად განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.<sup>1585</sup>

#### 5.4. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის განადგურება

თანაზომიერების პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და მასალის განადგურებითაც მკვიდრდება.<sup>1586</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით პროფესორი ალბრეხტი აღნიშნავს, რომ მოპოვებული მასალის განადგურებისა და წაშლისათვის გათვალისწინებული ვადები იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, თუ რამდენად მართლზომიერად არის ისინი მოპოვებული ან რამდენად არის ისინი შემდგომი საპროცესო მოქმედებებისათვის საჭირო.<sup>1587</sup> ამასთან, რეკომენდებულია, მომზადდეს დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება განადგურების პროცესზე დაკვირვება.<sup>1588</sup>

ქართველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ყველა დასახელებულ რეკომენდაციას. კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შენახვისა და განადგურების წესს არეგულირებს სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლი. აღნიშნული მუხლი ერთმანეთისგან განასხვავებს რამდენიმე ტიპის ინფორმაციას, ძირითადად, მისი მნიშვნელობისა და სტატუსის

<sup>1584</sup> ზედამხედველი მოსამართლის შესახებ იხ. ზემოთ, თავი II, ქვეთავი 5.2.2.1., იხ. კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№4265-რს), რომელიც 2019 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება, უგანასკნელად <https://matsne.gov.ge/ka/document/view/427661#DOCUMENT:1>;

გადამოწმებულია 25.03.2019.

<sup>1585</sup> იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960>, უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1586</sup> იხ. დანართი 1: ალბრეხტი, დასკვნა, გვ. 41.

<sup>1587</sup> იქვე.

<sup>1588</sup> იქვე.

გათვალისწინებით, და შესაბამისად, განსაზღვრავს ამ ინფორმაციის შენახვისა და განადგურების განსხვავებულ წესს.

სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლით დიფერენცირებული, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არის ისეთი ინფორმაცია, რომელიც:

- გამოძიებისათვის არ არის დირებული;
- პროკურორმა მტკიცებულებად არ წარუდგინა საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს;
- არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას;
- სასამართლომ ცნო დაუშვებელ მტკიცებულებად;
- სისხლის სამართლის საქმეს დაერთვის ნივთიერ მტკიცებულებად.

საინტერესოა თითოეული ამ ტიპის ინფორმაციის სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლით დადგენილი განსხვავებული წესის განხილვა.

1. ინფორმაცია, რომელსაც გამოძიებისათვის დირებულება არ გააჩნია, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ და გადაწყვეტილებას მის განადგურებაზე იღებს პროკურორი (სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლის პირველი ნაწილი).

2. კანონით დადგენილია, რომ მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ მხარეები.<sup>1589</sup> სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია, სასამართლოში არ წარადგინოს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია სასამართლოს მიერ საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის მიუხედავად. ამგვარი მტკიცებულება დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს პროკურორის გადაწყვეტილების შესაბამისად (სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლის პირველი ნაწილი).

3. სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლით განსაზღვრული შემდეგი ტიპის ინფორმაცია არის ის, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას და მოპოვებულია ოპერატორ-სამძებრო დონისძიების შედეგად, მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ. ამგვარი ინფორმაციის განადგურების შესახებ გადაწყვეტილება პროკურორმა, ასევე, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს (სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლის პირველი ნაწილი).

4. მასალა, რომელიც სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო, უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე განაჩენის გამოტანიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. ამასთან, აღნიშნული მასალა განადგურებამდე ინახება სასამართლოს სპეციალურ საცავში და დაუშვებელია ვინმეს მიერ აღნიშნული მასალის გაცნობა, ასლის გადაღება და გამოყენება, გარდა მისი მხარეთა მიერ საპროცესო უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებისა (სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლის მე-2 ნაწილი). ინფორმაციის განადგურებამდე მის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სასამართლოს ადმინისტრაციას, რომელშიც განადგურებამდე ინახებოდა ეს მასალა (სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლის მე-4 ნაწილი).

<sup>1589</sup> ი. მეთვრი შვილი, წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015, გვ. 444.

5. რაც შეეხება ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად დაერთვის, სასამართლოში ინახება ამ სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული მასალა დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს (სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლის მე-3 ნაწილი). აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის განადგურებაზე გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე, ხოლო განადგურებამდე მის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სასამართლოს ადმინისტრაციას, სადაც განადგურებამდე ინახებოდა ეს მასალა.<sup>1590</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურებაზე გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი ან მოსამართლე. იმისთვის, რათა გაიმიჯნოს, უნდა აღინიშნოს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურებაზე, რომელიც დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა ცნობილი ან ნივთიერ მტკიცებულებად ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე, ხოლო უველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში – პროკურორი.<sup>1591</sup> ამასთან, აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის განადგურების უფლებამოსილება უველა პროკურორსა და მოსამართლეს არ გააჩნია.<sup>1592</sup>

იმ ინფორმაციას, რომლის განადგურებაც მოსამართლის უფლებამოსილებაა, ანადგურებს ის მოსამართლე ან იმ სასამართლოს მოსამართლე, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ (სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლის მე-6 ნაწილი).

რაც შეეხება პროკურორს, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას ანადგურებს შესაბამისი საქმის გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი ან სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭჭრი ან მათი ზემდგომი პროკურორი იმ მოსამართლის ან იმ სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ (სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლის მე-5 ნაწილი).

სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ შესაბამისი პროკურორისა და მოსამართლის ხელმოწერებით დადასტურებული ოქმი გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს და აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედების სასამართლო რეესტრში. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლის მე-5 ნაწილის აღნიშნული ჩანაწერი 2018 წლის 21 ივნისს მიღებული კანონის საფუძველზე ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით, რომელიც ამოქმედდება

<sup>1590</sup> იქვე-

<sup>1591</sup> იქვე-

<sup>1592</sup> იქვე-

2019 წლის 1 ივნისიდან:<sup>1593</sup> ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ შესაბამისი პროცერორისა და მოსამართლის ხელმოწერებით დადასტურებული ოქმი გადაცემა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ხოლო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე – ზედამხედველ მოსამართლეს და აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრში. და აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრში.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის განადგურების შესახებ განხილული საკანონმდებლო რეგულაციის შედეგად ნათლად წარმოჩინდა, რომ სსსკის 143<sup>8</sup> მუხლი საკმაოდ ვრცელ და დეტალურ დებულებებს შეიცავს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურების თაობაზე. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ფარგლებში მომზადებულ დასკვნაში დადგებითადაა ეს საკანონმდებლო რეგულაცია შეფასებული.<sup>1594</sup> თუმცა, გასათვალისწინებელია ამ დასკვნაში მოცემული მოსაზრება მოსალოდნელ რისკებთან დაკავშირებით. კერძოდ, ექსპერტების მიხედვით, შემოთავაზებულმა წესებმა შეიძლება არ იმუშაოს, რადგან ფარული მიუურადებით მიღებული ინფორმაციის უმეტესი ნაწილი ციფრულ ფორმატშია მოცემული; ესენია: ელექტრონული კომუნიკაციების მონაცემები (როგორც შინაარსი, ასევე მეტამონაცემები), აუდიო და ვიდეოჩანაწერები, სამიზნე პირთა კომპიუტერებიდან ან სხვა მოწყობილობებიდან, როგორებიცაა მობილური ტელეფონები, ჯაშუშური პროგრამებით მოპოვებული მონაცემები.<sup>1595</sup> გასათვალისწინებელია, რომ ასეთი მონაცემების ასლები ადვილად კეთდება ნებისმიერ ეტაპზე და შეიძლება ფორმალური პროცესები დაირღვეს.<sup>1596</sup>

ამ რისკების გათვალისწინებით, დასკვნაში შემოთავაზებულია რეკომენდაცია, რომ ხელისუფლებამ შეისწავლოს გზები და შემოიფოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს გადამოწმებადი და გაუყალბებელი სახით მონაცემების მოპოვებას და ჩანაწერების გაეთვას; ასევე, მოპოვებული მასალისა და ჩანაწერების იმ ფორმატით არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფს მხოლოდ სამი ავტორიზებული ასლის შექმნას: ერთი – ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის გამოსაყენებლად, ერთი – დაცვის მსარისათვის და სხვა თანაბრად დალუქული ასლი, რომელიც გამოყენებული იქნება მტკიცებულების გაუყალბებლობის უზრუნველსაყოფად და დავების

<sup>1593</sup> იხ. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (№3276-რს), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>, უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

<sup>1594</sup> იხ. *Korff, Douwe/Cannataci, Joseph A./Sutton, Graham*, Opinion of the Directorate General Human Rights and Rule of Law Data Protection Unit on the Draft laws of Georgia relating to Surveillance Activities of Law Enforcement Authorities and National Security Agencies, Council of Europe, DGI (2014)8, Strasbourg, 14 February 2014, 20-21, <https://rm.coe.int/16806af19b>, უკანასკნელად გადამოწმებულია 04.10.2018.

<sup>1595</sup> იქვე, გვ. 21.

<sup>1596</sup> იქვე.

გადასაწყვეტილია.<sup>1597</sup> გარდა ამისა, ექსპერტების რეკომენდაციით, აუცილებელია ტექნიკური ზომების მიღება, რათა უზრუნველყოფილი იყოს არაავტორიზებული ასლის გაკეთების ნებისმიერი მცდელობის დაფიქსირება; ამ ტექნიკური ზომების გატარება კი კანონით უნდა იყოს მოთხოვნილი.<sup>1598</sup>

დასკვნაში შემოთავაზებულია, ასევე, კანონდარღვევის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად შესაბამისი სანქციების დაწესება ახალი წესების შეუსრულებლობისთვის, კერძოდ, ჯარიმები; ექსპერტების აზრით, თუკი წესების ყველაზე უმნიშვნელო დარღვევაც კი გამოიწვევს სერიოზულ ჯარიმებს ან სამართალდამცავი პირის მყისიერ გათავისუფლებას, ამან შეიძლება დადებითი შედეგი გამოიღოს.<sup>1599</sup>

დასკვნაში, ასევე, მითითებულია ისეთ მნიშვნელოვან რისკზე, როგორიცაა მაგ., სამთავრობო სტრუქტურებს შორის მონაცემთა გაზიარება, მონაცემთა სკრინინგი, თანხვედრა და ჯვარედინი მითითება, ისევე, როგორც შენახვის პერიოდში მათი მთლიანობისა და კონფიდენციალურობის შენარჩუნება, ანუ პროცედურები, რომლებიც მოყვება მონაცემთა მოპოვებისა და განადგურების შორის პერიოდს; ექსპერტთა რეკომენდაციით, კანონმდებელმა მხედველობაში უნდა იქონიოს აღნიშნული რისკი და შეიმუშაოს რეგულაცია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით.<sup>1600</sup>

დასკვნის სახით, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება მისი განხორციელების მომენტიდანვე ზღუდავს ადამიანის ძირითად უფლებებს. მისი ჩატარების ძირითადი მიზანია ინფორმაციის მოპოვება. შესაბამისად, განსაკუთრებულ რისკის შემცველია მოპოვებული ინფორმაციის არამიზნობრივი, არასათანადო გამოყენება. კანონმა უნდა გამორიცხოს ინფორმაციის დაგროვებისა და შენარჩუნების შესაძლებლობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი, ძირითადად, უზრუნველყოფს აღნიშნულს და კოდექსში ამ საკითხის რეგულაცია ძირითადად შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტს.

## 5.5. რეესტრი/სტატისტიკა

### 5.5.1. ფარული საგამოიებო მოქმედებების რეესტრი

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის მიერ მომზადებულ ანგარიშში „სამართალდამცავი ორგანოებისა და ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების მიერ პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის ძირითადი ასპექტების“ შესახებ, აღნიშნულია, რომ დემოკრატიული სახელმწიფოსათვის რეკომენდებულია „ლიაობის, გამჭვირვალობისა და, შესაბამისად, მოქალაქეების თავდაჯერებულობის წახალისება

<sup>1597</sup> იქვე.

<sup>1598</sup> იქვე.

<sup>1599</sup> იქვე.

<sup>1600</sup> იქვე, გვ. 22.

მთავრობის მხრიდან კანონიერი ჩარევის სტატისტიკის გამოქვეყნებით”.<sup>1601</sup> სწორედ, „გამჭვირვალობის სასარგებლო მოსაზრებად შეიძლება ჩაითვალოს არგუმენტი, რომ წლის განმავლობაში ინდივიდუალური ბრძანებების რიცხვის გამედავნება [...] ყველაზე ნაკლებად ბუნდოვანი და ყველაზე მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემია საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველსაყოფად”.<sup>1602</sup>

ღიაობის, გამჭვირვალობისა თუ საზოგადოებრივი ნდობის გარდა, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სიხშირისა და შედეგების შესახებ სისტემატური ანგარიშგებით შეიძლება, ასევე, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ერთგვარი კომპენსირებაც.<sup>1603</sup> ამ მონაცემების საფუძველზე, ერთი მხრივ, საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა, გარკვეული სურათი შეიქმნას ფარული საგამოძიებო მოქმედებების მოცულობასა და შედეგებზე; მეორე მხრივ, დამუშავებული ინფორმაცია, რომელიც გამოდება ფარული საგამოძიებო მოქმედების შეფასების საფუძვლად, შესაძლებლობას აძლევს კანონმდებელს, საკანონმდებლო ბაზა მიუსადაგოს შეფასების შედეგებს.<sup>1604</sup>

ყოველივე ზემოთქმულის შესაბამისად, საქართველოს სსსკ-ის 143<sup>10</sup> მუხლი განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის შექმნას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით ეკისრება საქართველოს უზენაეს სასამართლოს. ეს უკანასკნელი ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრს, რომელშიც აისახება ინფორმაცია:

- ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობების შესახებ;
- სასამართლოთა მიერ შუამდგომლობებზე მიღებული განჩინებების შესახებ;
- იმ ოპერატიულ-სამმებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე, რომელიც არ ეხებოდა პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავდა ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და განადგურდა.

სსსკ-ის 143<sup>10</sup> მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება ყოველი წლის ბოლოს აკისრია საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

### 5.5.2. ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკა

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება მნიშვნელოვან როლს

<sup>1601</sup> ob. Cannataci, Joseph A./Sutton, Graham, Key points regarding access to personal data by law enforcement and by national security agencies, Report of the Directorate General Human Rights and Rule of Law, Council of Europe, DP (2014)01, Strasbourg, 8 September 2014, 14, <http://www.old.civil.ge/files/files/2014/KeyPointsRegardingAccessToPersonalDataBySecurityAgencies.pdf>.

<sup>1602</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>1603</sup> იბ. დანართი 1: ალბერტი, დასკვნა, გვ. 41.

<sup>1604</sup> იქვე.

ასრულებს სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლო სისტემაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მონაცემების გამოქვეყნება საზოგადოების ნდობის ასამაღლებლად სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ.

საქართველოს უზენაესი სასამართლო 2014 წლის სექტემბრიდან აქვეყნებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ სტატისტიკურ ინფორმაციას. აღნიშნული წარმოადგენდა IDFI-ისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ „ლია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაცია.<sup>1605</sup> აღსანიშნავია, რომ ამ ვალდებულების შესრულებით საქართველო მსოფლიო მასშტაბით იმ მცირებიცხოვან ქვეყნებს შორის მოხვდა, რომლებშიც ეს მონაცემები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ეს ფაქტი კი ცალსახად წარმატებასა და წინსვლას გულისხმობს აღნიშნულ დარგში.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეასრულა სსსკ-ში 2014 წლის 1 აგვისტოს შესული ცვლილების საფუძველზე მასზე დაკისრებული ვალდებულება და 2014 წლის ბოლოს გამოაქვეყნა ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მონაცემები, რომელიც მოიცავს 2014 წლის 18 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.<sup>1606</sup> როგორც დოკუმენტში მითითებულია, რეესტრის მონაცემები შეიცავს ინფორმაციას ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობებისა და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ, აგრეთვე ინფორმაციას ოპერატორ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე.<sup>1607</sup> ამ მონაცემების თანახმად, აღნიშნულ პერიოდში სულ შემოსული 936 შუამდგომლობიდან 918 იქნა განხილული, 18 დარჩა განუხილველად; 596 შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 78, არ დაკმაყოფილდა – 244; განადგურებული მასალის რაოდენობამ შეადგინა 10 ერთეული.<sup>1608</sup> რაც შეეხება უშუალოდ სატელეფონო საუბრის ფარულ მიუურადებასა და ჩატარაზე განხილულ შუამდგომლობათა რაოდენობას პირველი ინსტანციის სასამართლოებში, უზენაესი სასამართლო ცალკე მონაცემად აქვეყნებს ამ სტატისტიკურ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, 2014 წელს სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩატარაზე განხილულია 1074 შუამდგომლობა; ამათგან დაკმაყოფილდა 894 შუამდგომლობა.<sup>1609</sup>

<sup>1605</sup> იხ. იაკობიძე, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები, IDFI, 2017, გვ. 3. [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_FOTOS\\_2016/surveillance\\_regulation/surveillance-update-statistics-03.02.2017-2.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/surveillance_regulation/surveillance-update-statistics-03.02.2017-2.pdf), უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1606</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მონაცემები: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2014w-statis-faruli-reestri.pdf>, უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1607</sup> იქნა.

<sup>1608</sup> იქნა.

<sup>1609</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მონაცემები: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2014w-statis-faruli-sat.mosmenebi.pdf>, უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის 2015 წლის მონაცემების ოანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ წარდგენილი სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების შუამდგომლობების რაოდენობა იყო 373, აქედან დაკმაყოფილდა 261, ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 45, არ დაკმაყოფილდა 67 შუამდგომლობა.<sup>1610</sup>

უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის 2016 წლის მონაცემების მიხედვით, რომელიც საქართველოს საქალაქო/რაიონულ სასამართლოებს შეეხება, სულ შემოსული 4150 შუამდგომლობიდან 4131 იქნა განხილული, განუხილველად დარჩა 19; დაკმაყოფილდა 3822 შუამდგომლობა, არ დაკმაყოფილდა 202, ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 107; განადგურებული მასალის რაოდენობამ შეადგინა 33 ერთეული.<sup>1611</sup> რაც შეეხება უშუალოდ სატელეფონო საუბრის ფარულ მიუურადებასა და ჩაწერაზე 2016 წელს განხილულ შუამდგომლობებს, საქალაქო/რაიონული სასამართლოების მიხედვით, სულ განხილულ იქნა 401 შუამდგომლობა, აქედან დაკმაყოფილდა 315, არ დაკმაყოფილდა 56, ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 30 შუამდგომლობა.<sup>1612</sup> გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მასალა შეიცავს ინფორმაციას სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების თაობაზე საქალაქო/რაიონული სასამართლოების მიერ; ადიშნული მასალის მიხედვით, ამ საკითხთან დაკავშირებით სულ განხილულ იქნა 79 შუამდგომლობა, მათ შორის 69 დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 3, არ დაკმაყოფილდა 7.<sup>1613</sup>

რაც შეეხება 2017 წლის მონაცემებს, საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში სულ შევიდა 6157 შუამდგომლობა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ; დაკმაყოფილდა 5931, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 84, ხოლო არ დაკმაყოფილდა 132 შუამდგომლობა.<sup>1614</sup> საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში განხილული უშუალოდ სატელეფონო საუბრის ფარულ მიუურადებასა და ჩაწერაზე შუამდგომლობების საერთო რაოდენობა 2017 წლის მონაცემების მიხედვით იყო 548; ამათგან დაკმაყოფილდა 499, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 22, ხოლო არ დაკმაყოფილდა 27 შუამდგომლობა.<sup>1615</sup> გარდა ამისა, სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების თაობაზე საქალაქო/რაიონული სასამართლოების

<sup>1610</sup> იხ. იაკობიძე, სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები, IDFI, 2017, გვ. 3. [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_FOTOS\\_2016/surveillance\\_regulation/surveillance-update-statistics-03.02.2017-2.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/surveillance_regulation/surveillance-update-statistics-03.02.2017-2.pdf), უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1611</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მონაცემები: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-statistic-7b.pdf>, უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1612</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მონაცემები: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-statistic-7a1.pdf>, უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1613</sup> იქვე.

<sup>1614</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემები სატელეფონო საუბრის ფარულ მიუურადებაზე: <http://www.supremecourt.ge/statistics/2017/>, უკანასკნელად გადამოწმებულია 19.07.2018.

<sup>1615</sup> იქვე.

მიერ განხილულია 150 შუამდგომლობა, მათ შორის დაკმაყოფილდა 130, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 16, არ დაკმაყოფილდა 4.<sup>1616</sup>

2018 წლის სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებით აღინიშნება სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე შუამდგომლობათა მკვეთრი ზრდა; კერძოდ, ამ წელს განხილულ შუამდგომლობათა რაოდენობა იყო 1059, აქედან დაკმაყოფილდა 927.<sup>1617</sup> ამასთან, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების თაობაზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ 2018 წელს განხილულია 338 შუამდგომლობა, მათ შორის დაკმაყოფილდა 308.<sup>1618</sup>

ამასთან, ადსანიშნავია, რომ თავდაპირველად გამოყენებულ 2014 წლის მონაცემებში არ იყო მითითებული დანაშაულის სახეობა და გეოგრაფიული არეალი. 2016 წლის მონაცემებში უზენაესმა სასამართლომ უკვე წარმოადგინა სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე განხილული შუამდგომლობები სასამართლოებისა და დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით.<sup>1619</sup> ასეთი კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ 2016 წელს განხილული შუამდგომლობების დაახლოებით ნახევარი მოდის სსკ-ის სამ მუხლზე, ესენია: თაღლითობა (სსკ-ის 180-ე მუხლი, 70 შუამდგომლობა), გამოძალვა (სსკ-ის 181-ე მუხლი, 58 შუამდგომლობა) და ქროამის აღება (სსკ-ის 338-ე მუხლი, 57 შუამდგომლობა).<sup>1620</sup> დანაშაულის აღნიშნული შემადგენლობებზე ისევ ყველაზე ინტენსიურად გამოიყენება სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა.<sup>1621</sup> უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებულ 2017 წლის მონაცემებში დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით ყველაზე ხშირად სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა გამოყენებულ იქნა სსკ-ით გათვალისწინებულ შემდეგ დანაშაულებზე: სსკ-ის 180-ე მუხლი – თაღლითობა (განხილულ იქნა 89 შუამდგომლობა); სსკ-ის 181-ე მუხლი – გამოძალვა (განხილულ იქნა 69 შუამდგომლობა); სსკ-ის 338-ე მუხლი – ქროამის აღება (განხილულ იქნა 65 შუამდგომლობა); სსკ-ის 210-ე მუხლი – ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (განხილულ იქნა 32 შუამდგომლობა); სსკ-ის 179-ე მუხლი – ყაჩაღობა (განხილულ იქნა 27 შუამდგომლობა).<sup>1622</sup> უნდა აღონიშნოს, რომ 2018 წელს ყველაზე ხშირად სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება გამოიყენებს სსკ-ის 223<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ

<sup>1616</sup> იქვე.

<sup>1617</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემები სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებაზე: <http://www.supremecourt.ge/farulebi> უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

<sup>1618</sup> იქვე.

<sup>1619</sup> იხ.: ცხრილი 1: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-statistic-7a1.pdf> და ცხრილი 2: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-statistic-7a.pdf>, უკანასკნელად გადამოწმებულია 19.07.2018.

<sup>1620</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მონაცემები: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-statistic-7a.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებულია 19.07.2018.

<sup>1621</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემები სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებაზე: <http://www.supremecourt.ge/statistics/2017/>, უკანასკნელად გადამოწმებულია 19.07.2018.

<sup>1622</sup> იქვე.

დანაშაულზე („ქურდული სამყაროს წევრობა”, „განონიერი ქურდობა”).<sup>1623</sup> აღნიშნული განპირობებულია სისხლის სამართლის პოლიტიკით და სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს 2018 წელს განხილული შუამდგომლობების ორადენობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი.

აღსანიშნავია, რომ ადგილმდებარეობის მიხედვით 2016 წელს ყველაზე მეტი – 299 შუამდგომლობა განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლომ.<sup>1624</sup> ზოგადი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის გამოქვეყნებით შესაძლებელი ხდება იმის გარკვევაც, თუ ფარული საგამოძიებო მოქმედებების რა წილს შეადგენს სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადება და ჩაწერა.<sup>1625</sup> გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ 2016 წელს სატელეფონო საუბრის ფარულ მიუურადებასთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობები მთლიანი ფარული საგამოძიებო მოქმედებების მხოლოდ 9,7%-ს შეადგენდა.<sup>1626</sup>

თვალსაჩინოებისათვის, პირველი ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილი სატელეფონო საუბრის ფარულ მიუურადებასა და ჩაწერაზე შუამდგომლობების დაკმაყოფილების წილი, უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2014 წელს შეადგენდა 83,24 %-ს, 2015 წელს – 82 %-ს, ხოლო 2016 წელს – 86 %-ს.<sup>1627</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თუკი 2014 წლამდე არსებულ მონაცემებს შევადარებოთ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, ნათელი ხდება, რომ სასამართლოსთვის სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადების შესახებ შუამდგომლობით მიმართვის რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია. კერძოდ, IDFI-ს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2011 წელს სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ მხოლოდ თბილისის პროკურატურიდან შესული იყო 7195 შუამდგომლობა, 2012 წელს 5951 შუამდგომლობა, 2013 წლის პირველ 5 თვეში 1400 შუამდგომლობა, ხოლო 2014 წლის 9 თვეში ყველა საგამოძიებო ორგანოდან მხოლოდ 952 შუამდგომლობა.<sup>1628</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია იმ დადებითი მოვლენის აღნიშვნა, რომ ბოლო წლებში განვითარებული სტატისტიკის მიხედვით, შემცირდა ძალოვანი სტრუქტურების მიერ დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელიც. კერძოდ, თუკი 2011 წელს ეს რიცხვი 99,86%-ს შეადგენდა, 2014 წელს სასამართლოებმა უკვე

<sup>1623</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემები სატელეფონო საუბრის ფარულ მიუურადებაზე: [http://www.supremecourt.ge/farulebi\\_უკანასკნელად\\_გადამოწმებულია\\_25.03.2019](http://www.supremecourt.ge/farulebi_უკანასკნელად_გადამოწმებულია_25.03.2019).

<sup>1624</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მონაცემები: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-statistic-7a1.pdf>, უკანასკნელად გადამოწმებულია 19.07.2018.


<sup>1625</sup> იხ. იაკობიძე, სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები, IDFI, 2017, გვ. 7. [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_FOTOS\\_2016/surveillance\\_regulation/surveillance-update-statistics-03.02.2017-2.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/surveillance_regulation/surveillance-update-statistics-03.02.2017-2.pdf). უკანასკნელად გადამოწმებულია 19.07.2018.

<sup>1626</sup> იქვე.

<sup>1627</sup> იქვე, გვ. 3.


<sup>1628</sup> იხ. IDFI, ბლოგპოსტები, 6 ნოემბერი 2014: [https://idfi.ge/ge/decreased-motions\\_უკანასკნელად\\_გადამოწმებულია\\_19.07.2018](https://idfi.ge/ge/decreased-motions_უკანასკნელად_გადამოწმებულია_19.07.2018).

შუამდგომლობების მხოლოდ 86,03% დააკმაყოფილეს.<sup>1629</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2014 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ უკვე 2013 წლის მეორე ნახევარში გაუმჯობესდა სასამართლოს კონტროლი სატელეფონო საუბრების ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე, რამდენადაც, უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, თუკი 2012 წელს სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა განხილულ შუამდგომლობათა მხოლოდ 0,25%, 2013 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 7, 56%-მდე.<sup>1630</sup> უბავ უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების თანახმად კი, ბოლო წლებში ისევ შეინიშნება სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ სასამართლოსადმი შუამდგომლობით მიმართვიანობის და დაკმაყოფილებულ შუამდგომლობათა რიცხვის ზრდა.



<sup>1629</sup> იქვე.

<sup>1630</sup> ის. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიში – პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა საქართველოში, 1 მარტი, 2014, გვ. 13: <https://personaldata.ge/manage/res/docs/Data%20Protection%20Report%202013-2014.pdf>, უკანასკნელად გადამოწმებულია 19.07.2018.



ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე გაცხადდა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ფლობს ტექნიკურ შესაძლებლობას, სასამართლოსა და პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის გვერდის ავლით განახორციელოს ფარული მიყურადება.<sup>1631</sup> აქედან გამომდინარე, IDFI-ს კვლევაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები შესაძლოა, ვერ ასახავდეს ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებულ რეალურ მდგომარეობას.<sup>1632</sup>

## 6. შუალედური დასკვნა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარული საგამოძიებო მოქმედებების შემოგანით გამოწვეულ კრიტიკას, რომ აღნიშნული დონისძიებები პრეგანციული ბუნებისაა და თვისობრივად ექუთვნის საპოლიციო სამართალს, კვლევის შედეგად პასუხი გაეცა, რამდენადაც, ამ პროცესს არ გამოუწვევია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არც სადაზვერვო და არც საპოლიციო უფლებამოსილებით აღჭურვა.

<sup>1631</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II.პ53, 57, 59, 96, 101, 102.

<sup>1632</sup> იხ. იაკობიძე, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები, IDFI, 2017, გვ. 9. [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_FOTOS\\_2016/surveillance\\_regulation/surveillance-update-statistics-03.02.2017-2.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/surveillance_regulation/surveillance-update-statistics-03.02.2017-2.pdf), უკანასკნელად გადამოწმებულია 19.07.2018.

წინამდებარე კვლევაში წარმოჩნდა ფარულ საგამოძიებო დონისძიებათა სისხლის სამართლის პროცესში ლეგალური არსებობის აუცილებლობა. მთავარია, მკაცრი რეგულაციების კანონით უზრუნველყოფა გამჭვირვალობა და განჭვრეტადობა; ასევე, ზედმიწევნით განისაზღვროს მათი ჩატარების წინაპირობები, რადგან ამ დონისძიებათა განხორციელება პირდაპირ კავშირშია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევასთან. ამასთან, საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო აღიარებს ფარული საგამოძიებო მეთოდების გამოყენების ლეგიტიმურობას საფრთხის თავიდან აცილებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესებიდან გამომდინარე. 2014 წლის საქანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების სსსკ-ში რეგულირებით დადგინდა ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის გაცილებით მეტი გარანტია. კვლევის შედეგადაც წარმოჩნდა ამ დონისძიებათა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებობის მნიშვნელოვანი გამამართლებული საფუძვლები.

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებაზე სასამართლო კონტროლის არსებობის გარდა, მისასალმებელია კანონით ისეთი გარემოებების ზედმიწევნით დარეგულირება, როგორებიცაა, მაგ., ამ დონისძიების ობიექტთა წრის მინიმუმადე დაყვანა (პროფესიული საქმიანობის ნიშნის მიხედვით), ასევე, მოპოვებული ინფორმაციისა და მასალის განადგურების პროცედურა და დონისძიების ადრესატებისთვის შეტყობინების ვალდებულების განსაზღვრა.

სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე კანონით განსაზღვრული კონტროლის მექანიზმების გარდა, საზოგადოებრივი მონიტორინგისა და გამჭვირვალობის ოვალსაზრისით, დადებითად უნდა შეფასდეს ამ დონისძიებათა შესახებ სტატისტიკური ანგარიშების წარდგენის სავალდებულოობა.<sup>1633</sup>

<sup>1633</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მონაცემები – <http://www.supremecourt.ge/statistics/2017/>, უკანასკნელად გადამოწმებულია 19.07.2018; ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, [https://personaldata.ge/manage/res/images/2018/angarishi/angarishi\\_2017.pdf](https://personaldata.ge/manage/res/images/2018/angarishi/angarishi_2017.pdf), უკანასკნელად გადამოწმებულია 19.07.2018; სხვა – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიში – იხ. დანართი 2.

### **თავი III. შედარებითი ასპექტები ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით**

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ინსტიტუტის განხილვის შემდეგ როგორც ქართულ, ისე გერმანულ სამართალში, ამ ინსტიტუტის უფრო სიღრმისეული შესწავლის მიზნით, საჭიროა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება შედარებით-სამართლებრივ ასპექტში. ორ სამართლებრივ სისტემაში სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ინსტიტუტის შედარებითი კვლევის საფუძველზე მარტივად წარმოჩნდება მისი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. გერმანულ სსსკ-ში სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების, როგორც საგამოძიებო მოქმედების, 50-წლიანი გამოცდილებისა და ქართულ სსსკ-ში არსებობის 4-წლიანი ისტორიის მქონე ინსტიტუტების კვლევა შედარებით-სამართლებრივი მეთოდით მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, განსაკუთრებით ქართული სამართლის შემდგომი განვითარების მიზნით.

შედარებითი სამართლებრივი მეთოდით საკითხის განხილვა უნდა დაიწყოს ამ ინსტიტუტის წარმოშობის ისტორიით, გაგრძელდეს სისხლის საპროცესო სამართლებრივი წარმოების წინაპირობებით (მატერიალური და ფორმალური) და დასრულდეს შემაჯამებელი დასკვნით.

#### **1. წარმოშობის ისტორია**

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება თავდაპირველად სახელმწიფოს მიერ ხორციელდებოდა დაზვერვის მიზნით. ტელეკომუნიკაციის საშუალებათა ტექნიკურმა განვითარებამ სრულიად შეცვალა ამ დონისძიების არსი და დანიშნულება. აღნიშნულ გარემოებას დაემატა პოლიტიკურად მოტივირებული ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის ზრდა. არსებულმა წინაპირობებმა გერმანიაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს განაპირობა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისთვის სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის უფლებამოსილების მინიჭება, როდესაც გერმანიის სსსკ-ში გაწნდა ჩანაწერი ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ.<sup>1634</sup> ქართულ სსსკ-ში სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ ნორმები მხოლოდ 2014 წლის 1 აგვისტოს მიღებული კანონის<sup>1635</sup> საფუძველზე ამოქმედდა. ამ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას გერმანულ სამართალში, ქართულისგან განსხვავებით, არსებობის 46 წელზე მეტი ისტორია აქვს. ქართულმა სისხლის სამართალმა ძნელად დათმო სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, როგორც ოპერატიულ-სამქებრო დონისძიება. თუმცა, საბოლოოდ მაინც ვერ თქვა უარი ამ დონისძიების საპროცესო სამართლებრივ რეგულირებაზე, რამდენადაც გარდაუვალ საჭიროებად იქცა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისათვის უფლებამოსილების შესაბამისი გაფართოება

<sup>1634</sup> იხ. BGB I, 949.

<sup>1635</sup> აღნიშნული კანონის კანონპროგრეგი შემუშავებულ და წარდგენილია პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და გამოძიების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. როგორც აღინიშნა, ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელ ნორმათა ამოქმედება ქართულ სსსკ-ში, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო პრაქტიკული საჭიროებით.<sup>1636</sup> ამასთან, კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ”, რომლითაც რეგულირდებოდა სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადება, როგორც ოპერატიულ-სამძებრო დონისძიება, ითვალისწინებდა ადამიანის უფლებების დაცვის დაბალ სტანდარტს.<sup>1637</sup>

გერმანულ სამართალშიც, მართალია, ქართულ სამართალზე ნახევარი საუკუნით ადრე, მაგრამ თითქმის მსგავსი სამართლებრივი არგუმენტების საფუძველზე განხნდა სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადება და ჩაწერა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ასეთ საფუძვლებით ძირითადად დასახელდა პრაქტიკაში არსებული გადაუდებელი აუცილებლობა,<sup>1638</sup> სისხლისამართლებრივი დევნის ორგანოებისთვის უფლებამოსილების გაფართოების აუცილებლობა,<sup>1639</sup> სისხლის სამართლებრივ საქმის გარემოებათა სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება.<sup>1640</sup>

## 2. ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების პროაქტიური ბუნება

ვიდრე ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის ჩატარების კონკრეტული წინაპირობების განხილვა მოხდება შედარებით სამართლებრივ ასპექტში, აუცილებელია, შეჯამდეს კვლევაში განხილული თეზისები ფარული საგამოძიებო დონისძიებების ოპერატიული, ე.წ. პროაქტიური<sup>1641</sup> ბუნების შესახებ და განიმარტოს აღნიშნული საფუძვლით განპირობებული საკანონმდებლო რეგულაცია როგორც ქართულ, ისე გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში.

პროაქტიური საქმიანობაძირითადად გულისხმობს საგამოძიებო საქმიანობას არა უკვე ჩადენილი დანაშაულის გახსნის, არამედ უფრო მისი პრევენციის მიზნით.<sup>1642</sup> განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ორგანიზებულ თუ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს, გამოძიება საჭიროებს პროაქტიურობას და არა მხოლოდ რეაქციას უქვე ჩადენილი დანაშაულის შესახებ.<sup>1643</sup> აღნიშნული კი თვისობრივად არ ჯდება სისხლის საპროცესო სამართლებრივ ჩარჩოებში, რამდენადაც მისი მიზანი არის არა რეპრესია, არამედ პრევენცია. ამ გამოწვევის წინაშე ხშირად დგება გამოძიება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუურადებისა და ჩაწერის დროს, რომელიც, როგორც წესი, გამოიყენება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან,

<sup>1636</sup> იბ. მუზრმიშვილი, წიგნში – სისხლის საპროცესო სამართალი (რედ. ფაფიაშვილი, ლ.), 2017, გვ. 517-518.

<sup>1637</sup> იბ. გეგეშიძე, DGStZ 2/2017, 45.

<http://dgstz.de/storage/documents/uyXdgF3kEMpfvqb91SMMjM0iGVsLRQQcFf6p04rK.pdf>.

უკანასკნელად გადამოწმებულია 19.07.2018.

<sup>1638</sup> იბ. BT-Drucksache V/1880 v. 13. Juni 1967, S. 7.

<sup>1639</sup> იბ. Rüdiger, Telefonüberwachung, 2002, S. 43.

<sup>1640</sup> იბ. Lehmann, Die Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs, 1978, S. 78.

<sup>1641</sup> ჟეად. Albrecht/ Dorsch/ Krüpe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003, S. 465.

<sup>1642</sup> იქვე.

<sup>1643</sup> იქვე, 465-466.

პროაქტიური ბუნება არ არის მხოლოდ ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადებისთვის დამახასიათებელი, არამედ ის უფრო დანაშაულის გარკვეული ფორმების გამოძიების თვისობრივი მოვლენაა.<sup>1644</sup>

მნიშვნელოვანია, შეჯამდეს, თუ როგორ უპასუხა ამ გამოწვევას გერმანიისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებმა და როგორ გადაიჭრა რეპრესიული საგამოძიებო საქმიანობის ფარგლებში სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების პროაქტიური ფენომენის საკითხი.

როგორც კვლევის დასაწყისშივე აღინიშნა, გერმანიაში ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა შესაძლებელია განხორციელდეს სამი ძირითადი მიზნით, ესენია: კონტრდაზვერვითი, საპოლიციო (პრევენციული)<sup>1645</sup> და სისხლის საპროცესო სამართლებრივი (რეპრესიული) მიზნები. რეპრესიული მიზნით აღნიშნული დონისძიების განხორციელების შემთხვევაში გერმანიის ფედერალურმა კანონმდებელმა გაითვალისწინა ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების პროაქტიური ბუნება, როდესაც სსსკ-ით დაუშვა მისი გამოყენება დანაშაულის მომზადების ეტაპზე<sup>1646</sup>. კერძოდ, გერმანიის სსსკ-ის 100a პარაგრაფის პირველი აბზაცის პირველი წინადადების მიხედვით, ფარული სატელეკომუნიკაციო მიყურადება შესაძლებელია მაშინ განხორციელდეს, როცა განსაზღვრული ფაქტების საფუძველზე ეჭვი დასტურდება, რომ პირმა ჩაიდინა ამავე მუხლის მეორე აბზაცით დადგენილი მძიმე დანაშაული, ანდა დანაშაულის მცდელობის დასჯადობის შემთხვევაში, განახორციელა დანაშაულის მცდელობა ან მომზადება.

საქართველოს კანონმდებლობით სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების ჩატარება არაა გათვალისწინებული საპოლიციო სამართლებრივად. თუმცა, ღონისძიების პროაქტიურ ბუნებას პასუხობს ჩანაწერი სსსკ-ში, როდესაც საუბარია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პრინციპებზე. კერძოდ, სსსკ-ის 143<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩატარება გათვალისწინებულია ამ კოდექსით და ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. სწორედ საზოგადოებრივი უსაფრთხოებად და დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება, რომლებიც პრევენციულ მიზანს გულისხმობს, ადაპტირებულია რეპრესიულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. აღნიშნული კი უნდა წარმოადგენდეს კანონმდებლის პასუხს ფარული საგამოძიებო დონისძიებების, მათ შორის, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის პროაქტიური ბუნების შესახებ.

<sup>1644</sup> იქვე, 466.

<sup>1645</sup> ამასთან, პრევენციული მიზნით ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა არ არის დაშვებული გერმანიის ფედერაციის უველა ფედერალურ მიწაზე.

<sup>1646</sup> ob. BVerfG, Urteil vom 27.7.2005 – 1 BvR 668/04, Abs. 110-111.

### **3. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მატერიალური წინაპირობები**

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებისათვის აუცილებელი, სსსკ-ით დადგენილი მატერიალური წინაპირობები საბოლოოდ თანაზომიერების პრინციპის გამოყენებას ემსახურება. ეს წინაპირობები, ძირითადად, შემდეგია:

1. დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობათა განსაზღვრა, რომელთა გამოძიებისათვის შესაძლებელი იქნება სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ჩატარება;
2. დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვი;
3. სუბსიდიარულობა.

#### **3.1 დანაშაულის შემადგენლობები**

მსოფლიოს ქვეყნებში არსებული მოდელებიდან გერმანულმა სამართალმა აირჩია დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობათა ჩამონათვალის განსაზღვრა სსსკ-ში. ამასთან, აღნიშნული დანაშაულები მიეკუთვნება მხოლოდ მძიმე დანაშაულის კატეგორიას (გერმანიის სსსკ-ის 100a პარაგრაფის მეორე აბზაცი). ქართულმა სსსკ-მა გამოიყენა დანაშაულის კატეგორიების ცნებაც და შეადგინა დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობათა სიითი ჩამონათვალიც. შესაბამისად, საქართველოს სსსკ-ით სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა შესაძლებელია განზრას მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სსსკ-ის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის (მათ შორის, ნაკლებად მძიმე დანაშაულის) გამო.

#### **3.2. დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვი**

ქართული სსსკ-ის მოთხოვნის თანახმად, უბრალო ეჭვი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის არაა საკმარისი, აუცილებელია დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ პირს, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული („დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი”), ან პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილის „ბ” ქვეპუნქტი).

დასაბუთებული ვარაუდი კი, სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11-ე ნაწილის თანახმად, არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.

გერმანიის სსსკ-ის 100a პარაგრაფის პირველი აბზაციის თანახმად, ფარული სატელეფონიკაციო მიყურადება შესაძლებელია მაშინ

ჩატარდეს, როცა განსაზღვრული ფაქტების საფუძველზე ეჭვი დასტურდება, რომ პირმა ჩაიდინა ამავე მუხლის მეორე აბზაცით დადგენილი მძიმე დანაშაული, ანდა, დანაშაულის მცდელობის დასჯაღობის შემთხვევაში, განახორციელა დანაშაულის მცდელობა ან მომზადება. აღნიშნული ეჭვი, თავის მხრივ, არ უნდა იყოს უმნიშვნელო.<sup>1647</sup> სსსკ-ის 100a პარაგრაფის პირველი აბზაცის პირველი წინადაღების თანახმად, ეჭვი უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებს.

ქართული სამართალი უფრო მეტ მოთხოვნას უყენებს ამ მატერიალურ წინაპირობას; დანაშაულის ჩადენის ეჭვი, ქართული სამართლის მიხედვით, უნდა დასაბუთდეს მტკიცებულებებით და არა მხოლოდ ფაქტებისა და გარემოებების მოშევლიებით.<sup>1648</sup> გერმანული სსსკ-ის 100a პარაგრაფი კი არ ითვალისწინებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს; გერმანულ სამართალში აქცენტი კეთდება იმაზე, რომ დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვი უნდა იყოს საკმარისად კონკრეტული<sup>1649</sup> და რომ ბუნდოვანი სამხილები თუ უბრალო ვარაუდი არ კმარა.<sup>1650</sup>

### 3.3. სუბსიდიარულობა

როგორც გერმანული, ისე ქართული სსსკ-ი სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების განხორციელების შემთხვევაში აუცილებელ მატერიალურ წინაპირობად განსაზღვრავს სუბსიდიარულობას, რაც ულისხმობს, რომ ეს ფარული საგამოძიებო მოქმედება პრაქტიკაში გამოყენებულ უნდა იყოს, როგორც უკანასკნელი საშუალება (ე.წ. *ultima ratio*).

რაც შეეხება სუბსიდიარულობის პრინციპის ფორმულირებას, გერმანიის სსსკ-ის 100a პარაგრაფის პირველი აბზაცის მიხედვით, ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩატარდება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმის გარემოებათა გამოძიება ან ბრალდებულის ადგილსამყოფელის დადგენა სხვა საშუალებით უშედეგო იქნება ან მნიშვნელოვან სირთულეებთანაა დაკავშირებული. თითქმის მსგავსი ფორმულირებაა ქართულ სსსკ-ში, რომლის 143<sup>2</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

<sup>1647</sup> ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, § 100a, Rn. 9.

<sup>1648</sup> ob. მეტერიშვილი, წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015, გვ. 434.

<sup>1649</sup> ob. BT-Drs. 163/67, S. 11; Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, § 36, Rn. 5; Kühne (2010), §30, Rn. 521.2.

<sup>1650</sup> ob.: BVerfGE 113, 348=NJW 05, 2603, 2610; BVerfG NJW 07, 2749, 2751; Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, § 100a, Rn. 9; Roxin/ Schünemann, Strafverfahrensrecht, 2009, § 36, Rn. 5.

#### **4. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ფორმალური (პროცედურული) წინაპირობები**

ფორმალური (პროცედურული) წინაპირობებიდან საინტერესოა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებაზე სასამართლო კონტროლის, ამ ღონისძიების ხანგრძლივობის, მისი ობიექტისა და შეტყობინების ვალდებულების მოკლე შედარებით სამართლებრივი ანალიზი.

##### **4.1 სასამართლო კონტროლი**

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებისთვის აუცილებელი უმთავრესი ფორმალური (პროცედურული) წინაპირობა როგორც გერმანული, ისე ქართული სსსკ-ში არის მოსამართლის გადაწყვეტილება. შესაბამისად, ორივე ქვეყნის სისხლის საპროცესო სამართალი აღიარებს ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად სასამართლო კონტროლის აუცილებლობას.

ასევე, ორივე ქვეყნის სსსკ-ი იცნობს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევას, როდესაც სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე გადაწყვეტილებას იდებს პროკურორი. გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული გარემოება მისი განუსაზღვრელობისა და შეფასებითი კატეგორიის გამო, მართალია, კრიტიკას იწვევს,<sup>1651</sup> თუმცა, პრაქტიკის თვალსაზრისით, მისი არსებობა სსსკ-ში გარდაუვალია. განსხვავებულია ვადები, რომლის განმავლობაშიც პროკურატურა ვალდებულია მიმართოს სასამართლოს და ამ უკანასკნელმა მიიღოს გადაწყვეტილება ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების კანონიერების შესახებ. გერმანული სსსკ-ის 100e პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების მიხედვით, თუკი ფარული სატალეკომუნიკაციო მიყურადების შესახებ გადაუდებელი აუცილებლობის გარემოებაში პროკურატურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიერ სამ სამუშაო დღეში არ იქნება დადასტურებული, მაშინ ადნიშნული გაუქმებულად ჩაითვლება. ქართული სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კი, პროკურორი ვალდებულია, ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს სასამართლოს, რომელიც, თავის მხრივ, გადაწყვეტილებას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შესახებ იდებს შუამდგომლობის წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ასე რომ, ქართული სისხლის საპროცესო სამართალი უფრო შემჭიდროვებულ ვადებში ითხოვს გადაუდებელ გარემოებაში ჩატარებული სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის კანონიერების დადასტურებას.

##### **4.2. ღონისძიების ხანგრძლივობა**

საქართველოს სსსკ-ი, გერმანულისგან განსხვავებით, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ხანგრძლივობად განსაზღვრავს არაუმეტეს ერთ თვეს (საქართველოს სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის

<sup>1651</sup> იხ. ზემოთ: თავი I, ქვეთავი 6.2.2.; *Talaska, Der Richtervorbehalt*, 2007, S. 100.

მე-12 ნაწილი), მაშინ, როცა გერმანიის სსსკ-ი ამ დონისძიების ჩატარების ხანგრძლივობად ადგენს მაქსიმუმ 3 თვეს (გერმანიის სსსკ-ის 100e პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-4 წინადადება). განსხვავებულია ამ ვადების გაგრძელების დროის მონაკვეთი. კერძოდ, გერმანიის სსსკ-ის 100e პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-5 წინადადების თანახმად, ამ ვადის გაგრძელება დაიშვება შემდეგი არაუმეტეს სამი თვის ვადით, იმ შემთხვევაში, თუ სსსკ-ის 100a პარაგრაფით მოცემული წინაპირობები კვლავაც არსებობს. საქართველოს სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად კი, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩატერისათვის დადგენილი ერთოვიანი ვადა დასაშვებია გაგრძელდეს პროცერორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლის განჩინებით, ამ თავით დადგენილი წესით, არაუმეტეს 2 თვისა. ამის შემდგომ კიდევ ერთხელ არის შესაძლებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის გაგრძელება არაუმეტეს სამი თვისა და მხოლოდ საქართველოს გენერალური პროცერორის შუამდგომლობის საფუძველზე (საქართველოს სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12 ნაწილის მე-4 წინადადება).

შედარების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ საქართველოს სსსკ-ი დროის უფრო მოკლე მონაკვეთით განსაზღვრავს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩატერის ხანგრძლივობის ვადას, თუმცა, ადგენს მისი გაგრძელების ორ საფეხურს.

კელუვაში უკვე გამოიკვეთა საკითხი, რომ საქართველოს სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12 ნაწილი იძლევა ნორმის ორგვარად ინტერპრეტაციის საშუალებას.<sup>1652</sup> შედეგად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მაქსიმალური ვადა შეიძლება იყოს 3 ან 6 თვე. ამ ნორმის ვიწრო განმარტების შემთხვევაში საქართველოს სსსკ-ით სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისთვის დადგენილი მაქსიმალური ვადა შეადგენს გერმანიის სსსკ-ით დადგენილი შესაბამისი ვადის ნახევარს; ხოლო ნორმის ფართო განმარტების შემთხვევაში, ამ ფარული საგამოძიებო დონისძიების მაქსიმალური ვადა შეადგენს 6 თვეს, როგორც ეს დადგენილია გერმანიის სსსკ-ით. საგულისხმოა, რომ საქართველოს სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12 ნაწილის ფართო განმარტების საფუძველზე მიღებული ვადაც არ აღმატება გერმანიის სსსკ-ის შესაბამისი მუხლით დადგენილი დონისძიების მაქსიმალური ხანგრძლოვობის ზღვარს.

#### 4.3. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტი

საინტერესოა მოხდეს შედარება, თუ ვის განსაზღვრავს ქართული და გერმანული სსსკ-ი სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტად. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნული პირები არიან ისინი, ვისზეც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩადენილი აქვთ სსსკ-ით განსაზღვრულ დანაშულთა კონკრეტული შემადგენლობა („დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი“); ან რომლებიც იღებენ ან გადასცემენ დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას; რომელთა საკომუნიკაციო საშუალებებს იყენებს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი. ამ მოცემულობის მიხედვით, საკმაოდ ფართოა სატელეფონო

<sup>1652</sup> იხ. თავი II, ქვეთავი 5.2.2.6.

საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ობიექტთა წრე, ამიტომ ქართული სსსკ-ის 143<sup>7</sup> მუხლი ავიწროებს მას, ჩამოთვლის რაგარკვეული პროცესისა თუ საქმიანობის მქონე პირებს, რომელთა მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არ უკავშირდება, შესაბამისად, მათი მოღვაწეობის ან პროცესიული საქმიანობის დროს კანონით დაცული ინფორმაციის მოპოვებას. ამასთან, აღნიშნული მუხლი განსაკუთრებულად იცავს ადვოკატსა და მის კლიენტს შორის კომუნიკაციას, რამდენადაც ადვოკატსა და კლიენტს შორის განხორციელებული კომუნიკაციის შინაარსი, რომელიც ადვოკატის პროცესიულ საქმიანობას უკავშირდება, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს (საქართველოს სსსკ-ის 143<sup>7</sup> მუხლის მე-3 ნაწილი).

გერმანიის სსსკ-ი სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების ობიექტის განსასაზღვრად, ქართულისგან განსხვავებით, ორიენტირად აცხადებს ბრალდებულსა და მასთან დაკავშირდებულ პირებს (თუ ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ისინი ბრალდებულისთვის განსაზღვრულ ან მისგან გამომდინარე შეტყობინებებს იღებენ ან გადასცემენ ან რომ ბრალდებული იყენებს ამ პირთა სატელეფონო ხაზს – გერმანიის სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-3 აბზაცი), მაშინ, როდესაც ქართული სსსკ-ით მოსამართლის განხინების მთავარი ადრესატი „დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირია“ (საქართველოს სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). შესაბამისად, ქართულისგან განსხვავებით, გერმანული სსსკ-ი ავიწროებს ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ობიექტს კონკრეტულ სუბიექტზე – ბრალდებულზე მითითებით.

რაც შეეხება პირთა წრეს, რომელთა შემთხვევაშიც დაუშვებელია ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადება და მიღებული მასალის გამოყენება, გერმანიის სსსკ-იც, ქართულის მსგავსად, თითქმის ანალოგიურად განსაზღვრავს, თუმცა მცირე განსხვავებით. კერძოდ, გერმანიის სსსკ-ის 160a პარაგრაფი განასხვავებს აბსოლუტური<sup>1653</sup> და შეფარდებითი (ე.წ. რელატიური)<sup>1654</sup> დაცვის უფლებით მოსარგებლე პირთა წრეს. პირველს მიეკუთვნებიან, მაგ.: სასულიერო პირი<sup>1655</sup>, ადვოკატი, ფედერალური მიწის პარლამენტი, ბუნდესთაგისა და ბუნდესრათის დეკუტატი, ასევე, მათი ოანაშემწები<sup>1656</sup> (გერმანიის სსსკ-ის 160a პარაგრაფი, 53-ე პარაგრაფის I აბზაცი). ხოლო, შეფარდებითი (ე.წ. რელატიური) დაცვის უფლებით სარგებლობენ მაგ.: ნოტარიუსი, საგადასახადო კონსულტანტი, ექიმი, აფთიაქარი, მედდა, პრესის თანამშრომლები (გერმანიის სსსკ-ის 160a პარაგრაფი, 53-ე პარაგრაფის II აბზაცი). როგორც ჩანს, გერმანულმა კანონმდებლობამ, ქართულისგან

<sup>1653</sup> ი. აღსანიშნავია, რომ სასულიერო პირთან კომუნიკაციის საიდუმლოებისთვის კანონით აბსოლუტური დაცვის უფლების მინიჭება განპირობებულია, ასევე, განსაკუთრებული კულტურული ტრადიციით. ი. ა. BT-Drucks. 14/7679, S.9 ზე §100h Abs.2 S.1; Wolter, Die berücksichtigung von Zeugnisverweigerungsrechten in Wolter/Schenke, 2002, S. 36.

<sup>1654</sup> ი. ა. Kühne, Strafprozessrecht, 2010, § 30, Rn. 525; Wolter, Die berücksichtigung von Zeugnisverweigerungsrechten in Wolter/Schenke, 2002, S. 36; BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 263.

<sup>1655</sup> აღსანიშნავია, რომ სასულიერო პირთან კომუნიკაციის საიდუმლოებისთვის კანონით აბსოლუტური დაცვის უფლების მინიჭება განპირობებულია, ასევე, განსაკუთრებული კულტურული ტრადიციით. ი. ა. BT-Drucks. 14/7679, S.9 ზე §100h Abs.2 S.1; Wolter, Die berücksichtigung von Zeugnisverweigerungsrechten in Wolter/Schenke, 2002, S. 36.

<sup>1656</sup> ი. ა. Kühne, Strafprozessrecht, 2010, § 30, Rn. 525; Weißer, GA 2006, 163; Wolter, Die berücksichtigung von Zeugnisverweigerungsrechten in Wolter/Schenke, 2002, S. 35.

განსხვავებით, ექიმი და ქურნალისტი არ დააყენა სასულიერო პირის, ადვოკატისა და იმუნიტეტის მქონე პირთა რიგებში და მათ მიმართ ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადება დაუშვა თანაზომიერების პრინციპის გამოყენებაზე დაფუძნებით.

#### 4.4. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების ვალდებულება

გერმანული და ქართული კანონმდებლობა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ სავალდებულო შეტყობინების ადრესატად პირთა სხვადასხვა წრეს განსაზღვრავს. კერძოდ, გერმანიის სსსკ-ი შეტყობინების ადრესატად ასახელებს ტელეკომუნიკაციის მონაწილეებს, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ადრესატად წრე უფრო ვიწროა და მოიცავს მხოლოდ პირს, რომლის მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება. ორივე შემთხვევაში საკმაოდ დიდია აღნიშნულ პირთა რიცხვი. ამიტომაც ორივე ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს გარკვეულ კრიტერიუმებსა და გარემოებებს, როდესაც შეტყობინების ვალდებულებას სახელმწიფო ან ისენის ან გადაავადებს. ქართული კანონმდებლობით, პროკურატურა გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როდის უნდა ეცნობოს პირს მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, როგორც სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ, იდებს პროკურატურა სამართალწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე. შეტყობინების გადავადების შემთხვევაშიც, როდესაც პროკურატურა მიმართავს შუამდგომლობით სასამართლოს, მთავარ კრიტერიუმად დასახელებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის მიღწევის, ამოცანის შესრულებისა და სამართალწარმოების ინტერესებისთვის საფრთხის შექმნა (საქართველოს სსსკ-ის 143<sup>9</sup> მუხლის მე-4 ნაწილი).

ქართულისგან განსხვავებით, გერმანული სისხლის საპროცესო სამართალი ადგენს გარკვეულ გარემოებებს, როდესაც სახელმწიფო ისენის ადრესატისთვის ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ შეტყობინების ვალდებულებას. კერძოდ, ასეთ გარემოებად სახელდება პირის კანონით დაცული უპირატესი ინტერესები; ასევე, თუკი პირი მხოლოდ უმნიშვნელოდ დაზარალდა აღნიშნული ლონისძიების შედეგად და მიიჩნევა, რომ ტელეკომუნიკაციის მონაწილეს არ ექნება ინტერესი, რომ სახელმწიფომ შეატყობინოს მის წინააღმდეგ ჩატარებული ფარული მიყურადების შესახებ (გერმანიის სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის IV აბზაცი). თუმცა, როგორც კვლევაში გამოიკვეთა, აღნიშნული შეზღუდვები კრიტიკის ობიექტი გახდა გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში. რაც შეეხება შეტყობინების განხორციელების დროს, ქართულისგან განსხვავებით, გერმანული კანონმდებლობა სამართალწარმოების ინტერესების გარდა, მხედველობაში იდებს იმ გარემოებას, რომ არ უნდა შეექმნას საფრთხე ადამიანის სიცოცხლეს, ფიზიკურ ხელშეუხებლობას, პირად თვისუფლებასა და მნიშვნელოვან ქონებრივ აქტივებს.

აღსანიშნავია, რომ ორივე ქვეყნის კანონმდებლობით შეტყობინების 12 თვით გადავადების უფლებამოსილება აქვს პროკურორს, ხოლო

შემდგომი პერიოდის გადავადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უკვე სასამართლო.

განსხვავებულია ვადები, რომელიც ეხება ტელეკომუნიკაციის ფარული მიუურადების შესახებ მიღებული განჩინების გასაჩივრებას. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, ეს ვადა საკმაოდ შემჭიდროებულია. კერძოდ, გერმანიის სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის VII აბზაცის მქ-2 წინადაღების შესაბამისად, სატელეფონო საუბრის ფარული მიუურადებისას კომუნიკაციის მონაწილეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს ამ ღონისძიების კანონიერებისა და, ასევე, მისი აღსრულების ფორმის გადამოწმების მოთხოვნით მისთვის ღონისძიების ჩატარების შესახებ შეტყობინებიდან ორი კვირის ვადაში.

ქართული კანონმდებლობა განასხვავებს გასაჩივრების შესაძლებლობასა და ვადებს იმის მიხედვით, თუ როდის შეიტყო პირმა აღნიშნულის შესახებ. თუკი სამართალწარმოების მიმდინარეობისას გახდა მისთვის ცნობილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, მას შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება გაასაჩივროს ერთჯერადად შესაბამის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციისა და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 48 საათის განმავლობაში. ხოლო თუკი პირისთვის აღნიშნულის შესახებ ცნობილი გახდება სამართალწარმოების დასრულების შემდეგ, მას შეუძლია განჩინება გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში აღნიშნული ინფორმაციისა და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში.

ამასთან, აღსანიშნავი და მისასალმებელია დათქმა საქართველოს სსსკ-ში იმის შესახებ, რომ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების სააპელაციო სასამართლოს მიერ უკანონოდ ცნობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამ კოდექსის 310-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ გარემოებად განაჩენის გადასინჯვისათვის, თუ ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს (საქართველოს სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მქ-15 ნაწილი).

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიუურადებისა და ჩატარის საპროცესო სამართლებრივი რეგულირების შედარებით სამართლებრივი მეთოდით განხილვის შემდეგ უნდა მოხდეს კვლევის შედეგების შეჯამება და დასკვნა.

## დასკვნა

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ინსტიტუტის კვლევის შედეგად წარმოჩნდა მისი განვითარებისა და გარდაქმნის განმსაზღვრელი წინაპირობები და ფაქტორები. 2014 წლის 1 აგვისტომდე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება მიეკუთვნებოდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დარეგულირების ეწ. პოსტსაბჭოურ მოდელს. აღნიშნული ძირითადად გულისხმობს ოპერატიული ხასიათის ღონისძიებათა ჩატარებაზე ნაკლებად მყაცრ რეგულაციას; მაგ., როგორც წესი, აქ კანონმდებელი არ განსაზღვრავს რაიმე სახის შეზღუდვას დანაშაულთა კონკრეტული შემადგენლობების დაწესების გზით, რა შემთხვევაშიც შესაბამის უწყებებს არ ექნებოდათ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების უფლება. 2014 წლის 1 აგვისტოს მიღებული კანონის საფუძველზე სსსკ-ში განხორციელებული ცვლილების შედეგად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა გახდა ფარული საგამოძიებო ღონისძიება და მისი მარეგულირებელი ნორმები გაჩნდა სსსკ-ში.

წინამდებარე კვლევამ გამოავლინა, რომ სისხლის სამართლის პროცესში შემოტანილი ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეგულაცია, მართლაც, ორიენტირებულია კანონის უზენაესობის სტანდარტებზე. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და საგამოძიებო საქმიანობის განმასხვავებელი ასპექტების საფუძვლიანი კვლევის შედეგად დადებითად შეფასდა ისეთ საგამოძიებო ღონისძიებაზე, როგორიცაა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა, ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის გაუქმება და მისთვის ადგილის განსაზღვრა სისხლის სამართლის პროცესში, როგორც საგამოძიებო ღონისძიება. ამ ღონისძიების ეფექტიანობა და საჭიროება დანაშაულის გამოძიების საქმეში უჭვებარეშეა. მისი ფარული ბუნებიდან გამომდინარე, ისედაც მეტად საფრთხილო, მგრძნობიარე ხასიათის გამო, მიზანშეწონილად ჩაითვალა ამ ღონისძიების მოქცევა საპროცესო სამართლებრივ, კანონის ლეგალურ ჩარჩოებში.

სამეცნიერო წრეებში გამოითქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ინსტიტუტის მოწესრიგება გაიმიჯნოს ისეთი განსხვავებული სფეროების მიხედვით, როგორებიცაა პრეცენცია (უსაფრთხოება და საფრთხის თავიდან აცილება) და რეპრესია (სისხლისსამართლებრივი დეპნა). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის საპროცესო სამართლებრივი და კონტრდაზვერვითი მიზნებით განხორციელებული ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების გარდა, გერმანული კანონმდებლობა იცნობს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საპოლიციო სამართლებრივ რეგულირებასაც. როგორც კვლევის დროს გამოიკვეთა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება ორიენტირებულია მტკიცებულებათა მოპოვებაზე<sup>1657</sup> და გადაწყვეტილება მისი ჩატარების შესახებ მიღება

<sup>1657</sup> ამის დადასტურებაა სსსკ-ის შემდეგი მუხლები, რომლებიც განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წინაპირობებს: სსსკ-ის 143<sup>2</sup> მუხლის მე4 ნაწილი და 143<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „დ” ქვეპუნქტი.

მაშინ, ოოდესაც გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისამართლებრივი დევნა მიმდინარეობს<sup>1658</sup> სსსკ-ით განსაზღვრულ კონკრეტულ დანაშაულებზე. დასახელებული არგუმენტების გარდა, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების, ოოგორც საგამოძიებო მოქმედების, არსებობა სსსკ-ში უკვე ასაბუთებს მის რეპრესიულ ბუნებას. პრევენციული მიზნით სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე ქართულმა სისხლის სამართლის პროცესმა სამართლიანად თქვა უარი, ომდენადაც ძალიან დიდია ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევის რისკი პრევენციული ფორმით ამ ღონისძიების არსებობის შემთხვევაში. საპოლიციო სამართლებრივად სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების რეგულირებისას ამ ღონისძიების ჩატარების წინაპირობები უფრო მარტივია, ვიდრე ეს სსსკ-ით არის განსაზღვრული. ხოლო ის არგუმენტი, რომ პრევენციული მიზნით სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შემთხვევაში კონკრეტული პირის წინააღმდეგ მტკიცებულებებს არ მოიპოვებენ და, შესაბამისად, ვერ მოხდება მისი გამოყენება სასამართლოში, ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არ არის დამაიმედებელი. პირმა, შესაძლოა, ვერასდროს შეიტყოს, რომ მის პირად სატელეფონო საუბარს პრევენციული მიზნით უსმენდნენ, თუკი არ მოხდება მოპოვებული მასალის პროცესში გამოყენება მტკიცებულების სახით. თუმცა, საინტერესოა, როდის ირღვევა ადამიანის პირადი უფლება, როცა ხდება მისი სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა, თუ მოპოვებული ჩანაწერის გამოყენება (მაგ., მტკიცებულების სახით) პირის წინააღმდეგ? აღნიშნულ კითხვას გარკვეულწილად გასცა პასუხი საკონსტიტუციო სასამართლომ, როდესაც განმარტა, რომ „აერსონალური ინფორმაციის სახელმწიფოს ხელთ არსებობა, მისი შემდგომი გაცნობის/გამოყენების გარეშეც, უკვე არის ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა”.<sup>1659</sup> შესაბამისად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება უკვე ზღუდავს ადამიანის ძირითად უფლებებს, მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა მოპოვებული მასალის სისხლის სამართლის პროცესში გამოყენება.

პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის სელშეუხებლობის უფლებები ოოგორც გერმანული, ისე ქართული კონსტიტუციით დაცული ძირითადი, თუმცა არა აბსოლუტური უფლებებია. შესაბამისად, კანონით არის განსაზღვრული მათი შეზღუდვის წინაპირობები, მათ შორის, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების განხორციელებისას. ამ ფარული საგამოძიებო ღონისძიების საფუძველზე შეზღუდული უფლებების საკონსტიტუციო სამართლებრივ ჭრილში განხილვის შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი განსხვავება ქართულ და გერმანულ მიდგომებს შორის. კერძოდ, გერმანიის კანონმდებლობამ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული ე.წ. „სფეროთა თეორიის” მიხედვით პირადი ცხოვრებიდან გამოყო ინტიმური სფერო, ოოგორც პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო და ის განსაკუთრებულ საკანონმდებლო დაცვას დაუქვემდებარა. უფრო მეტიც, თუკი ადრე გერმანიის სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-4 აბზაცი ითვალისწინებდა პირადი ცხოვრების

<sup>1658</sup> სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა” ქვეპუნქტი.

<sup>1659</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II.3.116.

აბსოლუტურად დაცული ძირითადი სფეროს ქ.წ. ორსაფეხურიან დაცას,<sup>1660</sup> 2017 წელს გერმანიის სსსკ-ში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე ცალკე მუხლად გამოიყო აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი ნორმა. ახლა უკვე სსსკ-ის 100d მუხლის პირველი აბზაცის საფუძველზე ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადება დაუშვებელია, თუკი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მოპოვებული იქნება ისეთი მონაცემები, რომლებიც მხოლოდ პირადი ცხოვრების ძირითად სფეროს ეკუთვნის. ამ მუხლის მეორე აბზაცი ეხება უკვე მოპოვებული მონაცემების პროცესში დასაშვებობის საკითხს. კერძოდ, თუკი მოკვლევის სტადიაზე არ იყო იმის პროგნოზირება შესაძლებელი, რომ ფარული მიყურადების ღონისძიების ჩატარების შემთხვევაში პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს მონაცემებიგანდებოდა ხელმისაწვდომი, სსსკ-ის 100d პარაგრაფის მე-2 აბზაცის მიხედვით, დაუშვებელია მოპოვებული მონაცემების გამოყენება; ხოლო ამ მონაცემების შესახებ ჩანაწერი დაუყოვნებლივ უნდა წაიშალოს.<sup>1661</sup>

პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს აბსოლუტური დაცვის საკითხის კვლევისას გამოიკვეთა პრაქტიკული სირთულეები. კერძოდ, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომაც აღნიშნა, რომ პრაქტიკაში ხშირად წარმოუდგენელია, თავიდანვე განისაზღვროს ჩასატარებელი საგამოძიებო ღონისძიების პირადი ცხოვრების ძირითად სფეროსთან შემსებლობა.<sup>1662</sup> მართალია, საკანონმდებლო ღონებები ძნელია კონკრეტული კრიტერიუმების შემოთავაზება, რომლებიც გამორიცხავს პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დარღვევას, თუმცა კანონით ამ სფეროს განსაკუთრებული დაცვის ობიექტად გამოცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მეტ გარანტიას შექმნის. რაც შეეხება კრიტერიუმებს, უმთავრესად საჭიროა ფარული მიყურადების ობიექტის სწორად განსაზღვრა. მხოლოდ ისეთი აბონენტის მიყურადებაა დასაშვები, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს კომუნიკაციის სათვალთვალო სამიზნე პირთან; წინააღმდეგ შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს მიყურადება.

აღნიშნული საკითხის კვლევის შედეგად, ამ სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმართია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაც განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მოექცეს ადამიანის პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო და გერმანული კანონმდებლის მსგავსად, შემუშავდეს სსსკ-ში მუხლი, რომელიც გამორიცხავს პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროდან მონაცემების როგორც მოპოვებას, ასევე მათ შემდგომ გამოყენებას. ამასთან, აუცილებელია რეგულაცია იძლეოდეს შესაძლებლობას, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა შეწყდეს ნებისმიერ დროს პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს დაცვის მიზნით.

ადსანიშნავია, რომ ქართულ სამართალში ამ მიმართულებით უკვე შექმნილია ძირითადი გარანტიები. უმთავრესად ადსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია, რომ „პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო – ადამიანის ინტიმური, სექსუალური ურთიერთობები,

<sup>1660</sup> ი. ბ. BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259.

<sup>1661</sup> იქვე.

<sup>1662</sup> BVerfG, Beschl. v. 12.10.2011, StV 2012, 259.

ოჯახური ცხოვრება, მისი ჩვევები, მოძღვრისთვის აღსარებისას მინდობილი ინფორმაცია, სამედიცინო გამოკვლევების შედეგები, ადამიანის ემოციები და გრძნობები, მათი პრივატულ სფეროში გამოხატვის ფორმები უნდა იყოს განსაკუთრებულად დაცული სახელმწიფოსა და ნებისმიერი მესამე პირის ზედამხედველობისაგან.”<sup>1663</sup>

საქართველოს მოქმედი სსსკ-ის 143<sup>7</sup> მუხლი განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანოს ვალდებულებას, მაქსიმალურად შეზღუდონ იმ კომუნიკაციისა და პირის მონიტორინგი, რომელთაც გამოძიებასთან კავშირი არ აქვთ. ამავე მუხლით განისაზღვრება პირთა წრე, რომელთა მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არ უკავშირდება მათი მოღვაწეობის ან პროფესიული საქმიანობის დროს კანონით დაცული ინფორმაციის მოპოვებას (სასულიერო პირი, ადგომი, უურნალისტი და იმუნიტეტის მქონე პირი).

კვლევის შედეგად გამოვლინდა ქართველი კანონმდებლის პოზიცია ფარულ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის განადგურების შესახებ, ასევე, განსაკუთრებული დამოკიდებულება ადგომატისა და კლიენტს შორის განხორციელებული კომუნიკაციის შინაარსთან დაკავშირებით. კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, პროცესურორის გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ, თუ მას არა აქვს ღირებულება გამოძიებისათვის; ასევე, დაუყოვნებლივ განადგურებას ეჭვემდებარება ოპერატიულ-სამძებრო ლონისძიების შედეგად მოპოვებული ის მასალაც, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ (საქართველოს სსსკ-ის 143<sup>8</sup> მუხლის პირველი ნაწილი). რაც შეეხება ადგომატისა და კლიენტს შორის განხორციელებულ კომუნიკაციას, მისი შინაარსი, რომელიც ადგომატის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება, საქართველოს სსსკ-ის 143<sup>7</sup> მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს. სწორედ ზემოაღნიშნული შემთხვევების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სსსკ-ში არსებული გარანტიების დაკონკრეტება და გამყარება პირადი ცხოვრების ძირითადი, ინტიმური სფეროს დაცვის მიზნით, ამ სფეროს განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე.

დადებითად უნდა შეფასდეს ფარული საგამოძიებო დონისძიებების რეესტრის წარმოების კანონით განსაზღვრული ვალდებულების არსებობა. თუმცა, ტექნიკური თვალსაზრისით, სასურველი იქნებოდა ამ დონისძიების შედეგად მოპოვებულ პერსონალურ მონაცემთა მარკირების წესების განსაზღვრა; რაც, ერთი მხრივ, გაამარტივებდა რეესტრის წარმოებას, მეორე მხრივ, შეზღუდდავდა მონაცემთა არამიზნობრივი გაფრცელებისა თუ გამოყენების შესაძლებლობას. პერსონალურ მონაცემთა მარკირების წესს ითვალისწინებს გერმანიის სსსკ-ი; ის აუცილებლად მიიჩნევს მონაცემთა წარმომავლობის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რამდენადაც გერმანიის სსსკ-ი (კერძოდ, 477 II

<sup>1663</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება.

პარაგრაფი) ფარული საგამოძიებო დონისძიების შედეგად მოპოვებული პერსონალური მონაცემების სისხლის სამართლის პროცესში გამოყენებისთვის გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განსაკუთრებული ბუნებიდან გამომდინარე, რეკომენდებული იქნებოდა მისი მარკირება, თუნდაც დოკუმენტზე შესაბამისი ბეჭდის დასმით.

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების განხორციელებისას მნიშვნელოვან მატერიალურ წინაპირობას წარმოადგენს იმ დანაშაულთა განსაზღვრა, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ჩატარდეს აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება. ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზის შედეგად თვალსაჩინო გახდა, რომ გერმანულმა სამართალმა აირჩია დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობათა ჩამონათვალის განსაზღვრა სსსკ-ში და, ამასთან, აღნიშნული დანაშაულები მიეკუთვნება მმიმე დანაშაულთა კატეგორიას (გერმანიის სსსკ-ის 100a პარაგრაფის მეორე აბზაცი). ქართულმა სსსკ-მა აღნიშნული მატერიალური წინაპირობების დადგენისას გამოიყენა დანაშაულის კატეგორიების ცნებაც და შეადგინა დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობათა ჩამონათვალიც (სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილი). გერმანულ სისხლის სამართალში ამ საკითხის კვლევისას გამოიკვეთა კრიტიკული დამოკიდებულება დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობათა ჩამონათვალთან დაკავშირებით. დანაშაულის შემადგენლობათა ამ ე.წ. ნუსხის კველაზე დიდ ნაკლად მიიჩნევა ის, რომ გერმანიის სსსკ-ის 100a პარაგრაფის მეორე აბზაციში აღარ იკვეთება, თუ რა პრინციპით შეირჩა დანაშაულის აღნიშნული შემადგენლობები, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებენ, როგორც „უსაზღვროს და უნაპიროს“.<sup>1664</sup>

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ადრესატთა წრის განსაზღვრა, ანუ იმის დადგენა, თუ ვინ შეიძლება იყოს აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი (საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 31-ე ნაწილი). ქართული კანონმდებლობა განსაზღვრავს სამ კატეგორიას, რომლის მიმართაც დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, თუ:

1. პირს ჩადენილი აქვს სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული („დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი“);
2. ან თუ პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას;
3. ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს.

საკამათოა სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილში არსებული ტერმინი - დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი. აღნიშნული შეფასებითი კატეგორიაა და ძალიან ფართო შეიძლება იყოს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტის განსასაზღვრად. მით უფრო, კომუნიკაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტთა წრე

<sup>1664</sup> იხ. Hirsch, ZRP 2008, 24-25.

ისედაც ძალიან ფართოა.<sup>1665</sup> როგორც შედარებით-სამართლებრივი მეთოდით გაირკვა, გერმანიის სსსკ-ი სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების ობიექტის განსასაზღვრად, ქართულისგან განსხვავებით, ორიენტირად ასახელებს ბრალდებულს და მასთან დაკავშირებულ პირებს (თუ, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ისინი ბრალდებულისთვის განსაზღვრულ ან მისგან გამომდინარე შეტყობინებებს იღებენ ან გადასცემენ ან რომ ბრალდებული იყენებს ამ პირთა სატელეფონო ხაზს ან საინფორმაციო ტექნოლოგიურ სისტემას – გერმანიის სსსკ-ის 100a პარაგრაფის მე-3 აბზაცი).

კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა პოზიცია, რომ ფარული საგამოძიებო ღონისძიება ზედმიწევნით კონკრეტული ადრესატის მისამართით უნდა იყოს ჩატარებული; გერმანულ სამართალში ბრალდებულის განსაზღვრებით ხაზი ესმევა იმ გარემოებას, რომ პირის წინააღმდეგ არსებობს არა ბუნდოვანი ეჭვი, არამედ სახეზეა უკვე კონკრეტული ფაქტები მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ. ცხადია, უფლებათა დაცვის კუთხით რისკის შემცველია, როდესაც ამ ღონისძიების ობიექტის ცნება შეფასებით კატეგორიას წარმოადგენს. თუმცა, ქართულ სამართალში ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტად ბრალდებულის დადგენით, საგამოძიებო ტაქტიკის თვალსაზრისით, აღნიშნული ღონისძიება დაკარგავდა ეფექტურობას; რადგან ბრალდებულად ცნობილი პირისთვის, რომელსაც საფალდებულო წესით დაუყოვნებლივ განემარტება მისი უფლებები, ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარება აღარ იქნებოდა მოულოდნელი.

აღნიშნულ შემთხვევაში, უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მთავარია ის მტკიცებულებითი სტანდარტი, რომლის არსებობა, სსსკ-ის თანახმად, უმთავრესი წინაპირობაა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ჩატარებისათვის; ისევე, როგორც პირის ბრალდებულად ცნობისათვის. ეს სტანდარტია დასაბუთებული ვარაუდი – ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დაკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა (საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი).

საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილის „ა” ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ოპერატიულ - ტექნიკური სააგენტო არის სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩატერის ჩატარების ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანო. აღნიშნული ორგანოს დამოუკიდებლობა, ავტონომიურობა და მის მიერ განხორციელებული საქმიანობა მწვავე კრიტიკის საგნად რჩება. ამის დასტურია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება, არსებითად განსახილველად მიეღო მთელი რიგი კონსტიტუციური სარჩელები სასამართლოს

<sup>1665</sup> აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფორმულირება ევროპულმა სასამართლომ ძალიან ფართოდ შეაფასა და მიიჩნია, რომ ის არდვევს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ი.ხ. Korff, Douwe/Cannataci, Joseph A./Sutton, Graham, Opinion of the Directorate General Human Rights and Rule of Law Data Protection Unit on the Draft laws of Georgia relating to Surveillance Activities of Law Enforcement Authorities and National Security Agencies, Council of Europe, DGI (2014)8, Strasbourg, 14 February 2014, 18-19, <https://rm.coe.int/16806af19b>, უკანასკენალად გადამოწმებულია 04.10.2018.

იმ ნაწილში, რომელიც, სხვა საკანონმდებლო ნორმებთან ერთად, შეეხება სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-4 ნაწილისა და სსსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილის „ა” ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.<sup>1666</sup> მოსარჩევეთა პოზიციის მიხედვით, მართალია, სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიული პირია, თუმცა მის საქმიანობაზე არსებობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განუზომელი კონტროლისა და ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, სააგენტო შექმნილია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კი ეფუძნება ერთიანობისა და ცენტრალიზაციის პრინციპს.<sup>1667</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე დაასკვნის, რომ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო მის წინამორბედთან – ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტთან შედარებით, უფრო მაღალი ავტონომიურობით ხასიათდება; თუმცა, მაინც იკვეთება საკითხები, რომლებიც მიუთითებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გარკვეულ გავლენაზე ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოზე.<sup>1668</sup> აქ იგულისხმება მაგ., სააგენტოში მოსამსახურეთა საქმიანობაზე კონტროლი გენერალური ინსპექციის მიერ, რომელიც ანგარიშვალდებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წინაშე; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის უფლებამოსილება, ძალადაკარგულად გამოაცხადოს სააგენტოს უფროსის ის აქტები და მოქმედებები, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონებს, პრეზიდენტის, მთავრობის, პრემიერ-მინისტრისა და სამსახურის უფროსის სამართლებრივ აქტებს.<sup>1669</sup>

აღნიშნული საკითხის კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა პოზიცია, რომ არაპირდაპირი გავლენის განხილული მაგალითები აჩენს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ავტონომიურობის შეზღუდვის გარკვეულ რისკებს. როდესაც საქმე ეხება პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებათა შეზღუდვას სახელმწიფოს მხრიდან, აუცილებელია, კანონმა უზრუნველყოს ამ უფლებათა შემზღუდავი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელი ორგანოს მეტი ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა და მის საქმიანობაზე კონტროლის ქმედითი მექანიზმის არსებობა. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის საგამოძიებო ორგანოსთვის მინიჭება თავისთავად არ შეიძლება ჩაითვალოს არაკონსტიტუციურად; „ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება როგორც შიდა, ისე გარე

<sup>1666</sup> იგულისხმება კონსტიტუციის ქველი რედაქცია, ი. აღმომატებულია 18.07.2018. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960>.

<sup>1667</sup> ი. საკონსტიტუციო სასამართლოს განმუშავით სხდომის საოქმო ჩანაწერი, I, 30, 31, 41-46, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960>. უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2018.

<sup>1668</sup> იქვე, I, 33, 64.

<sup>1669</sup> იქვე, I, 64, II 37, 38.

კონტროლის ეფექტური, ქმედითი, საკმარისი და, რაც მთავარია, გამჭვირვალე ბერკეტების, მექანიზმების, გარანტიების არსებობა".<sup>1670</sup>

სატელეფონო საუბრის ფარული მოსმენისა და ჩაწერის ღონისძიების განსაკუთრებული ხასიათი განაპირობებს კოდექსში მასთან დაკავშირებული რეგულაციის ასევე განსაკუთრებულ მოწესრიგებას. ამ მხრივ, აღსანიშნავია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარებაზე სასამართლო კონტროლის დაწესება. თუმცა, როგორც ქართულ, ისე გერმანულ სამართლში აღნიშნული საკითხის კვლევამ გამოკვეთა მთელი რიგი პრობლემები. ძირითადად კრიტიკას იმსახურებს სასამართლო კონტროლის სისუსტე, რეალური ბერკეტის არქონა და კონტროლის განხორციელება ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების მხოლოდ საწყის ეტაპზე. გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში სასამართლო კონტროლის ინსტიტუტს „უწოდეს „უკბილო ვეფხვი”,<sup>1671</sup> „დამდლელი ფორმალობა”,<sup>1672</sup> „მოდარაჯე ძალი, რომელიც არც ყევს და არც იკბინება”<sup>1673</sup>. ქართულ სისხლის სამართლის პროცესში კრიტიკის საპასუხოდ უნდა აღინიშნოს, რომ სსკით აღიარებული შეჯიბრებითობის პრინციპის პირობებში, სასამართლოს როლის მაკონტროლებული ფუნქციის გაძლიერება ნაკლებად წარმოსადგენია. ამასთან, კვლევაში სასამართლო კონტროლის ინსტიტუტის განხილვის შემდეგ არ გამოიკვეთა ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების შესახებ გამოძიების ეტაპზე კონტროლის უფრო ეფექტურიანი და ქმედითი მექანიზმი, ვიდრე ამას მოსამართლე ახორციელებს. კვლევამ გამოავლინა, რომ მოსამართლის ჩართვა გამოძიების ეტაპზე, კონტროლის დამოუკიდებელი ბერკეტის არქონის თუ დროის დეფიციტის მიუხედავად, აშკარად ასრულებს საგამოძიებო სტრუქტურებისთვის შემაკავებელ ფუნქციას; იგი მაინც არის ადამიანის უფლებათა დაცვის ნეიტრალური გარანტორი. შესაბამისად, კანონმდებელი უარს არ ამბობს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას სასამართლო კონტროლის ინსტიტუტზე, პირიქით, ის აძლიერებს კონტროლის ამ მექანიზმს. აღნიშნულს მოწმობს 2018 წლის 21 ივლისს მიღებული კანონის საფუძველზე საქართველოს სსსკ-ში გაჩენილი ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტი, რომელიც 2019 წლის 1 ივლისიდან, სხვა საკითხებთან ერთად, გააკონტროლებს სახელმწიფო ინსპექტორის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარებას.<sup>1674</sup>

ფარულ საგამოძიებო ღონისძიებებზე სასამართლო კონტროლის საკითხის კვლევისას ჩამოყალიბდა პოზიცია გამოძიების ეტაპზე სასამართლოს როლის მაკონტროლებული ფუნქციის გაძლიერების

<sup>1670</sup> იქვე, II, 18.

<sup>1671</sup> ი. მ. Brüning, ZIS 2006, 29.

<sup>1672</sup> ი. მ. Gusey, ZRP 2003, 275.

<sup>1673</sup> ი. მ. Müller, AnwBl 1992, 349 (351).

<sup>1674</sup> ზედამხედველი მოსამართლის შესახებ ი. ზემოთ, თავი II, ქვეთავი 5.2.2.1., ი. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო ქოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ(№3276-რს), რომელიც 2019 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661#DOCUMENT:1>, ასევე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4432301?publication=0#DOCUMENT:1>; უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2019.

შესახებ. კერძოდ, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ მოსამართლეს მიენიჭოს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებაზე ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტისას ან, მით უფრო, უკვე ჩატარებული ღონისძიების კანონიერებაზე მსჯელობისას, მოითხოვოს ამ ფარული საგამოძიებო ღონისძიების უშუალო მწარმოებელი პირის სასამართლოში გამოძახება და გამოკითხვა. აღნიშნულ შემთხვევაში ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროსთან უშუალო კონტაქტი, ვფიქრობ, გაზრდიდა ინფორმაციის მიღების შანსს ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას და ხელს შეუწყობდა მოსამართლის შინაგანი რწმენის განმტკიცებას. მით უფრო, როცა არსებობს სსსკ-ში ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების მისაღებად მოსამართლეს შეუძლია უფლებამოსილი ორგანოდან წერილობით გამოითხოვოს გამოთხოვის მომენტისათვის მოპოვებული მასალის ელექტრონული ებზემპლარი (საქართველოს სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის 6<sup>1</sup> ნაწილი).

აღსანიშნავია, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებაზე სასამართლო კონტროლი გამოძიების ეტაპზე არ წყდება. საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლე წინასასამართლო სხდომაზე განიხილავს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს (მათ შორის, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობას). აღნიშნულით სასამართლო კონტროლი ისევ ერთვება პროცესში, ამჯერად უკვე წინასასამართლო სხდომაზე, როდესაც მოსამართლე აფასებს არა საგამოძიებო პროცესს, არამედ მის შედეგს (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს). ეს კი, გარკვეულწილად, განაპირობებს საგამოძიებო სტრუქტურის საქმიანობის დისციპლინორებას. შესაბამისად, სასურველია, პრაქტიკაში გაძლიერდეს სასამართლო კონტროლის აღნიშნული ფორმა, რაც საერთო ჯამში დადებითად აისახება შედეგზე ორიენტირებული გამოძიების სწორ და სამართლებრივ საქმიანობაზე.

ასევე, უნდა აღინიშნოს სსსკ-ით განსაზღვრული წესის შესახებ, რომლის მიხედვითაც, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე ადგენს ოქმს, რომელსაც, აგრეთვე, უგზავნის ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრს და კანონით განსაზღვრულ გარკვეულ შემთხვევებში – ზედამხედველ მოსამართლეს (საქართველოს სსსკ-ის 143<sup>7</sup> მუხლის მე-14 ნაწილი). ოქმის გაგზავნა ადასტურებს სასამართლოს ჩართულობას ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლის სისტემაში აღნიშნულ მოქმედებათა დასრულების შემდეგაც. ამასთან, საყურადღებოა სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-15 ნაწილი, როგორც სასამართლო კონტროლის გამოხატვის ფორმა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობისას პროცესურორის/მოსამართლის მოთხოვნის შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია გასცეს შუალედური ოქმი.

კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული პოზიციის თანახმად, ცალსახად წინგადადგმული ნაბიჯია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების დასრულების შემდეგ პროცესის გამჭვირვალობის, საზოგადოების ნდობის მოპოვებისა და ამ საგამოძიებო ღონისძიებების

რეალური შეფასების მიზნით ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა რეესტრის წარმოების სავალდებულობა როგორც გერმანულ, ისე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში.

კვლევაში არაერთხელ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის, როგორც საგამოძიებო ღონისძიების, ეფექტიანობა მის ფარულ ხასიათშია, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის ამ ღონისძიების განსაკუთრებულ საპროცესო პრობლემატიკას. თუ პირმა არ იცის თავისი ძირითადი უფლების შეზღუდვისა თუ დარღვევის შესახებ, ის ვერც გამოიყენებს უფლებათა დაცვის კანონით მინიჭებულ შესაძლებლობებს. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ობიექტისათვის ჩატარებული ღონისძიების შესახებ შეტყობინების კანონით დადგენილი ვალდებულება. თუმცა, კვლევაში გამოიკვეთა კრიტიკული მოსაზრებები სახელმწიფოს მხრიდან ამ ვალდებულების პრაქტიკაში რეალიზაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღინიშნა, რომ ფარული საგამოძიებო ღონისძიების შესახებ შეტყობინებამ შესაძლოა საგამოძიებო ორგანოს გადატვირთვა გამოიწვიოს, რადგან კანონით დადგენილი შეტყობინების აღრესატი არის პირთა საკმაოდ ფართო წრე. ძირითადად ამ არგუმენტმა განსაზღვრა გერმანიის სსსკ-ში შეტყობინების ვალდებულებიდან საგამონაკლისო შემთხვევების დადგენა. სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის IV აბზაცის მე-3 წინადადების თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ღროს შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუკი მას უპირისპირდება ბრალდებულის კანონით დაცული უპირატესი ინტერესები; ამავე აბზაცის მე-4 წინადადების თანახმად კი, არ არის სავალდებულო ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების მონაწილეს შეატყობინონ ამ ღონისძიების ჩატარების შესახებ, თუკი იგი მხოლოდ უმნიშვნელოდ დაზარალდა აღნიშნული ღონისძიების შედეგად და მიიჩნევა, რომ ტელეკომუნიკაციის მონაწილეს არ ექნება ინტერესი, რომ სახელმწიფომ შეატყობინოს მის წინააღმდეგ ჩატარებული ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონმდებელს მხედველობაში აქვს ის გარემოება, როდესაც ისმინება ნაკლებად მნიშვნელოვანი, ე.წ. ყოველდღიური სატელეფონო საუბარი,<sup>1675</sup> მაგ., პიცის ადგილზე მიტანის შეკვეთა.

ნორმის ამ ფორმულირებამ სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია გერმანელ მეცნიერთა დიდ ნაწილში, რომლებიც თვლიან, რომ ძნელად წარმოსადგენია ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების შემთხვევაში, პირი ამ ღონისძიების შედეგად მის ძირითად უფლებებში უმნიშვნელოდ დაზარალდეს.<sup>1676</sup> კვლევაში, ასევე, გამოიკვეთა პოზიცია, რომ გაურკვეველია, როგორ უნდა დაადგინოს გამოძიების ორგანომ, ექნება თუ არა კონკრეტულ ადრესატს მის წინააღმდეგ წარმოებული ტელეკომუნიკაციის ფარული მიყურადების ღონისძიების შესახებ შეტყობინების ინტერესი.<sup>1677</sup> გერმანელ მეცნიერთა შორის განსაკუთრებულ დავას იწვევს კანონით დადგენილი გარემოება, როდესაც შესაძლოა, რომ სასამართლომ მხარი დაუჭიროს

<sup>1675</sup> ob. Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, §101, Rn. 17.

<sup>1676</sup> ob. Puschke/Singelstein, NJW 2008, 116.

<sup>1677</sup> იქვე.

შეტყობინებაზე საბოლოოდ უარის თქმას, თუკი შეტყობინებისთვის საჭირო წინაპირობები მომავალშიც ალბათობის მაღალი ხარისხით არ იარსებებს (გერმანიის სსსკ-ის 101-ე პარაგრაფის VI აბზაცის მე-3 წინადადება).

საქართველოს სსსკ-ი, გერმანულისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტისთვის ჩატარებული ღონისძიების შესახებ შეტყობინების ვალდებულებისაგან გამონაკლისის დადგენას. კვლევის შედეგად სამართლიანად ჩამოყალიბდა პოზიცია, რომ შეტყობინების განუხორციელებლობის (თუნდაც კანონით განსაზღვრულ) შემთხვევებში პირის მიერ მის ძირითად უფლებებში ჩარევაზე შემდგომი კონტროლი, მისი უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება. შეტყობინების ვალდებულების განხორციელებით შესაძლებელია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების დროს ძირითადი უფლებების დაცვის ობიექტურად არსებული დეფიციტის დაძლევა.<sup>1678</sup> შესაბამისად, სახელმწიფო, რომელიც ფარულად უსმენს თავისი მოქალაქის პირად სატელეფონო საუბარს, ვალდებულია მას ამის შესახებ შეატყობინოს ღონისძიების დასრულების შემდეგ, გამონაკლისის გარეშე.

კველა ზემოთ განხილული საკითხის, კვლევის ძირითადი თეზისების შეჯერების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ არსებული რეგულაცია დადებითად უნდა შეფასდეს, რამდენადაც ის აქმაყოფილებს ევროპული ინსტიტუციების მიერ დაწესებულ სტანდარტებს.

კვლევის ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ თუკი სახელმწიფო მაქსიმალურად შეზღუდავს თავისუფლებას აბსოლუტური უსაფრთხოების მიღწევის ან/და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, ის დაკარგავს ორივეს. თუმცა, საკითხი არ დგას ისე, უნდა იზღუდებოდეს თუ არა თავისუფლება უსაფრთხოებისა და სამართალწარმოების საჯარო ინტერესების მიზნით. თანამედროვე სახელმწიფოში აღნიშნული გარდაუვალია. საგამოძიებო ორგანოს უნდა პქონდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლებამოსილება, მას უნდა შეეძლოს ინფორმაციის ლეგალურად მოპოვება სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების საფუძველზე, რადგანაც აღნიშნული ღონისძიება მეტად საჭირო და უფექტურია. ამასთან, სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს ის, რომ ფარული საგამოძიებო ღონისძიების გამოყენება მეტად ცხადად და თანმიმდევრულად უნდა აისახოს კანონში.

თუმცა, მნიშვნელოვანია კანონით ზედმიწევნით რეგულირებული ფარული მიყურადების ღონისძიებათა შესახებ ნორმების პრაქტიკაში შესაბამისი განხორციელება. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩატერის შესახებ კვლევაში განხილული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე იკვეთება რისკი, რომ ეს მეტად უფექტურიანი საშუალება არ იქცეს გამოძიების ხელში სტანდარტულ ღონისძიებად. სწორედ პრაქტიკამ უნდა უზრუნველყოს კანონში

<sup>1678</sup> ob.: Kleih, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010, S. 268; შეად.: BVerfGE 109, 279; BR-Drs. 275/07, გვ.132.

არსებული პრინციპების განუხერელი დაცვა, რათა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა ჩატარდეს საკანონმდებლო რეგულაციის შესაბამისად. კანონმდებლობა კი, თავის მხრივ, ფარული მიყურადების შესახებ დონისძიებათა გამოყენებას უშვებს, როგორც უკანასკნელ საშუალებას (ultima ratio).

**ბიბლიოგრაფია**  
**ქართულენოვანი ლიტერატურა:**

აქციარდია, ი., სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობანი, წიგნში – სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ. რეზო გოგ შელიძე თბილისი, გამომც. სამართალი, 2009, 484 გვ. (გვ. 79-84). ციტირებული: აქციარდია, წიგნში – სისხლის სამართლის პროცესი (რედ. გოგ შელიძე, რ.) 2009.

ბაქრაძე, ა. ქ., საპროცერო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, თბილისი, გამომც. საბჭოთა საქართველო, 1977, 191 გვ. ციტირებული: ბაქრაძე, საპროცერო ზედამხედველობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, 1977.

ბუაძე, ქ/ მუავანაძე ზ., ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, რედ. ზაურ ამილახვარი, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, 167 გვ. ციტირებული: ბუაძე/მუავანაძე, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, 2011.

გეგეშიძე, თ., ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებიდან მოპოვებული ინფორმაციის სისხლის სამართლის პროცესში გამოყენება – ქართული სამართალი და საერთაშორისო სტანდარტები, DGStZ 2/2017, გვ. 44-50. ციტირებული: გეგეშიძე, DGStZ 2/2017. ხელმისაწვდომია ელ. ვერსია: <http://dgstz.de/storage/documents/uyXdgF3kEMpfvqb91SMMjM0iGVsLRQQcFf6p04rK.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 12.10.2018.

გოცირიძე, ქ., მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, რედ. პაატა ტურავა, თბილისი, გამომც. შპს „პეტიტი“, 2013, გვ. 632 (გვ. 87-105). ციტირებული: გოცირიძე, მუხლი 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013.

დემეტრა შვილი, ა/კობახიძე, ი., კონსტიტუციური სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი 2014. ციტირებული: დემეტრა შვილი/კობახიძე, konstituciuri სამართალი, 2014.

თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014. ციტირებული: თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, 2014.

*იაკობიძე,თ., სატელეფონო საუბრის ფარული მიუწრადებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), თებერვალი, 2017. ციტირებული: იაკობიძე, სატელეფონო საუბრის ფარული მიუწრადებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები, IDFI, 2017. [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_FOTOS\\_2016/surveillance\\_regulation/surveillance-update-statistics-03.02.2017-2.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/surveillance_regulation/surveillance-update-statistics-03.02.2017-2.pdf) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 12.10.2018.*

*კობახიძე, ი., მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა; ბინის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, რედ. პაატა ტურავა, თბილისი, გამომც. შპს „პეტიტი“, 2013, 632 გვ. (გვ. 176-199). ციტირებული: კობახიძე, მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013.*

*კუბლაშვილი, ქ., ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, თბილისი, გამომც. ჯისია, 2003, 356 გვ. ციტირებული: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2003.*

*კუბლაშვილი, ქ., ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, თბილისი, გამომც. ჯისია, 2008, 360 გვ. ციტირებული: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2008.*

*ლალიაშვილი, თ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2015. ციტირებული: ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, 2015.*

*ლორთქიფანიძე, ქ., საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი, წიგნში – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, რედ. ზურაბ ანჩაბაძე, ვიქტორ გუჩუა, თბილისი, გამომც. საბჭოთა საქართველო, 1979, 890 გვ. (210-263 გვ). ციტირებული: ლორთქიფანიძე, დავით აღმაშენებელი, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1979.*

*მამნიაშვილი, მ/გახოკიძე, ჯ/გაბისონია, ი., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბილისი, გამომც. საუნჯე, 2012, 452 გვ. ციტირებული: მამნიაშვილი/გახოკიძე/გაბისონია, სისხლის სამართლის პროცესი, 2012.*

*მეზრიშვილი, ნ., ფარული საგამოძიებო მოქმედებები, წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (მთავარი რედ. გიორგაძე, გიორგი), თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 2015, 819 გვ. (გვ. 427-447). ციტირებული: მეზრიშვილი, წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015.*

**მეურმიშვილი, ბ.**, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, წიგნში – საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, რედ. ლალი ფაფიაშვილი, თბილისი, გამომც. „მერიდიანი”, 2017, 899 გვ. (გვ. 517-534). ციტირებული: მეურმიშვილი, წიგნში – სისხლის საპროცესო სამართალი (რედ. ფაფიაშვილი, ლ.), 2017.

**მეფარიშვილი, გ.**, ცხოვრება და კანონი, თბილისი 2007. ციტირებული: მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2007.

**მეფარიშვილი, გია**, ცხოვრება და კანონი, მე-2 შევსებული გამოცემა, თბილისი 2008. ციტირებული: მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, 2008.

**მეფარიშვილი, გ.**, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014. ციტირებული: მეფარიშვილი, სამართლის პუბლიცისტიკა, 2014.

**ტურავა, მ.**, მუხლი 159 – პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა, წიგნში – დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი), რედ. ოთარ გამყრელიძე, თბილისი, გამომც. „მერიდიანი”, 2008, 622 გვ. (გვ. 376-385). ციტირებული: ტურავა, წიგნში – დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (რედ. გამყრელიძე, თ.) 2008.

**ტუღუში, თ/ ბურჯანაძე, გ/ მშვენიერაძე, გ/ გოცირიძე, გ/ მენაძევა, გ/ ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, (სამეცნ. რედ. კოპალეიშვილი, მაია), თბილისი, 2013. ციტირებული: ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშვენიერაძე/ გოცირიძე/ მენაძევა, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლწარმოების პრაქტიკა, 2013.**

**უსენაშვილი, ჯ.**, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაკვემდებარებული ოპერატორ-სამძებრო დონისძიებების წარმოებისას, სამართლის უურნალი №2, 2012, 82-108. ციტირებული: უსენაშვილი, სამართლის უურნალი, №2, 2012.

**ფაფიაშვილი, ლ.**, სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (მთავარი რედ. გიორგაძე, გიორგი), თბილისი, გამომც. „მერიდიანი”, 2015, 819 გვ. (გვ. 61-70). ციტირებული: ფაფიაშვილი ლ., წიგნში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ. გიორგაძე, გ.), 2015.

**ფაფიაშვილი, შ.**, დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკის პრობლემები, თბილისი, გამომც. განათლება, 1991, 194 გვ. ციტირებული: ფაფიაშვილი შ., დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკის პრობლემები, 1991.

**ჩიქობავა, ა.**, (მთავარი რედაქტორი), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი მეორე, თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა, 1990, 1276 გვ. ციტირებული: ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1990.

## **დამატებითი ლიტერატურა:**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიში – პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა საქართველოში, 1 მარტი, 2014. <https://personaldatal.ge/manage/res/docs/Data%20Protection%20Report%202013-2014.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 12.10.2018.

ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, 2017. [https://personaldatal.ge/manage/res/images/2018/angarishi/angarishi\\_2017.pdf](https://personaldatal.ge/manage/res/images/2018/angarishi/angarishi_2017.pdf) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 12.10.2018.

ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, 2018, <https://personaldatal.ge/ka/press/post/5047> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 25.03.2019

ალბრეხტი, პ.-ი., დასკვნა საქართველოს კანონმდებლობით ევროკავშირის 2006/24/EC დირექტივის დებულებათა გაზიარების და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ახლებურად მოწესრიგების საკითხზე, 2014. ციტირებული: ალბრეხტი, დასკვნა, იხ. დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წლიური სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიში (2017 წლის 31 მარტიდან – 1 დეკემბრამდე). იხ. დანართი 2.

## **გერმანულენოვანი ლიტერატურა:**

Albrecht, H.-J./ Dorsch, C./ Kriipe Ch., Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation nach den §§ 100a, 100b, StPO und der anderer verdeckter Ermittlungsmaßnahmen, Freiburg, Verlag von Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Strafrecht, 2003, 480 S. ციტირებული: Albrecht/Dorsch/ Kriipe, Rechtswirklichkeit und Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2003.

Ameling, K., Zur dogmatischen Einordnung strafprozessualer Grundrechtseingriffe, JZ 15, 16/1987, S. 737–745; ციტირებული: Ameling, JZ 1987.

Ameling, K., Probleme des Rechtsschutzes gegen strafprozessuale Grundrechtseingriffe, NJW 1979, 1687-1692. ციტირებული: Ameling, NJW 1979.

Ameling, K., Rechtsschutz gegen strafprozessuale Grundrechtseingriffe und die Rechtsprechung zur Ausweitung des Eingriffsbegritts bei staatlichen Ermittlungsmaßnahmen, StV 2001, 131-133. ციტირებული: Ameling, StV 2001.

Ameling, K., Die Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts seit 1990 zum Schutz der materiellen Grundrechte im Strafverfahren, StV 2002, S.161-168. ციტირებული: Ameling, StV 2002.

*Asbrock, B., „Zum Mythos des Richtervorbehalts“ als wirksames Kontrollinstrument im Zusammenhang mit besonderen polizeilichen Eingriffsbefugnissen, KritV 1997, S. 255-262.* ვიტორებული: *Asbrock*, KritV 1997.

*Asbrock, B., Der Richtervorbehalt – prozedurale Grundrechtssicherung oder rechtsstaatliches Trostpflaster? ZRP 1998, S. 17–19;* ვიტორებული: *Asbrock*, ZRP 1998.

*Backes, O./Gusy Ch., Wer kontrolliert die Telefonüberwachung, Eine empirische Untersuchung zum Richtervorbehalt bei der Telefonüberwachung, Frankfurt am Main, Verl. Lang, 2003, 130 S.* ვიტორებული: *Backes/Gusy, Wer kontrolliert die Telefonüberwachung*, 2003.

*Backes/Gusy/Begemann/Doka/Finke, Wer kontrolliert die Telefonüberwachung? - Eine empirische Untersuchung von Richtervorbehalten bei Telefonüberwachung, StV 4/2003, S. 249–252.* ვიტორებული: *Backes/Gusy, StV 2003*.

*Benfer, J., Eingriffsrechte, Voraussetzungen und Grenzen präventiver und repressiver Rechtseingriffe durch Polizei und Staatsanwaltschaft, München, Beck Verl. 1997, 303 S.* ვიტორებული: *Benfer, Eingriffsrechte*, 1997.

*Benfer, J., Rechtseingriffe von Polizei und Staatsanwaltschaft, 3. Auflage, München, Beck Verl., 2005, 415 S.* ვიტორებული: *Benfer, Rechtseingriffe von Polizei und Staatsanwaltschaft*, 2005.

*Bergmann, N., Die Telekommunikationsüberwachung nach der Entscheidung des Bundesverfassungsgerichts zum „großen Lauschangriff“, im Gedächtnisschrif für Hans Lisken, „Lauschen im Rechtsstaat“, Roggan, Fredrik (Hrsg.), Berlin, Berliner Wiss. Verl., 2004, 127 S.* ვიტორებული: *Bergmann, Die Telekommunikationsüberwachung*, im Gedächtnisschrif für *Hans Lisken*, 2004.

*Beulke, W., Strafprozessrecht, 10. Auflage, Heidelberg, C.F. Müller, 2008, 386 S.* ვიტორებული: *Beulke, Strafprozessrecht*, 2008.

*Bitterman, F., Gefahr im Verzug – Anmerkung zum Urteil des BVerfG, Wistra 2001, S.137 ff.* ვიტორებული: *Bitterman, Wistra 2001*.

*Britz, G., Vertraulichkeit und Integrität informationstechnischer Systeme – Einige Fragen zu einem „neuen Grundrecht“, DÖV 2008, S.411-415.* ვიტორებული: *Britz, DÖV 2008*.

*Brüning, J., Der Richtervorbehalt – ein zahnloser Tiger? Über die verfassungsrechtliche Notwendigkeit des Richtervorbehalts und seine Ineffizienz in der Praxis, ZIS 1/2006, S. 29-35.* ვიტორებული: *Brüning, ZIS 2006*.

*Brüning, J., Der Richtervorbehalt im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, Baden-Baden, Nomos Verl., 2005, 260 S.* ვიტორებული: *Brüning, Der Richtervorbehalt im strafrechtlichen Ermittlungsverfahren*, 2005.

*Briüning, J., Wenske, Marc*, Der Ermittlungsrichter – Ein Hilfsorgan der Staatsanwaltschaft? Eine kritische Würdigung der dogmatischen Einordnung ermittlungsrichterlicher Tätigkeit und Prüfungskompetenz bei sog. Ermittlungshandlungen, ZIS 7/2008, S. 340-347. (Յոթորյեծյալո: *Briüning, Wenske*, ZIS 2008.

*Denninger, E.*, Freiheit durch Sicherheit? Wie viel Schutz der inneren Sicherheit verlangt und verträgt das deutsche Grundgesetz? in: Auf dem Weg in einen „neuen Rechtsstaat“, Hrsg. von Rainer Pitschas und Harald Stolzlechner, Berlin, Duncker & Humblot, 2002, 302 S. (Յոթորյեծյալո: *Denninger*, Freiheit durch Sicherheit? 2002.

*Di Fabio*, in *Maunz, Th./Dürig, G./Herzog, R.*, Grundgesetz, Lieferung 39, München, Beck Verl., Juli 2001, 430 S. (Յոթորյեծյալո: *Di Fabio*, in: *Maunz/Dürig*.

*Dorsch, C.*, Effizienz der Überwachung der Telekommunikation nach den §§ 100a, 100b StPO, Freiburg, Schriftreihe des Max-Planck-Instituts für ausländisches und internationales Strafrecht, 2005, 330 S. (Յոթորյեծյալո: *Dorsch*, Effizienz der Überwachung der Telekommunikation , 2005.

*Düring, G.*, in *Maunz, Th./Dürig, G./Herzog, R.*, Grundgesetz, Lieferung 39, München, Beck Verl Juli 2001, 430 S. (Յոթորյեծյալո: *Düring*, in: *Maunz/Düring*.

*Eisenberg, U.*, Beweisrecht der StPO – Spezialkommentar, 8. Auflage, München, Beck Verl., 2013, 1088 S. (Յոթորյեծյալո: *Eisenberg*, Beweisrecht, 2013.

*Fezer, G.*, Überwachung der Telekommunikation und Verwertung eines „Raumgesprächs“, NStZ 2003, S. 625–630. (Յոթորյեծյալո: *Fezer*, NStZ 2003.

*Förster, H.-J.*, Zwischenruf Verfassungsschutz „vor Gericht“!, ZRP 2012, S.123-124. (Յոթորյեծյալո: *Förster*, ZRP 2012.

*Gärditz, K., Stuckenbergs, C.-F.*, Zu Funktion und Ratio der Zeugnisverweigerungsrechte im Strafverfahren, in Zeugnisverweigerungsrechte bei (verdeckten) Ermittlungsmaßnahmen, Hrsg. Jürgen Wolter / Wolf-Rüdiger Schenke, Bonn, Bundesministerium der Justiz, 2002, 577 S. (Յոթորյեծյալո: *Gärditz/Stuckenbergs*, Zu Funktion und Ratio der Zeugnisverweigerungsrechte in Wolter/Schenke, 2002.

*Geis, I.*, Angriff auf drei Ebenen: Verfassung, Strafprozessordnung und Überwachungspraxis, CR 2004, S. 338-343. (Յոթորյեծյալո: *Geis*, CR 2004.

*Gercke, B.*, Anm. zu BVerfG, Beschl. v. 12.10.2011 – 2 BvR 236/08, StV 5/2012, S. 266-269; (Յոթորյեծյալո: *Gercke*, StV 2012.

*Goring, in Mangoldt/Klein/Starck*, Bonner Grundgesetz, München, Vahlen Verl., 2005. (Յոթորյեծյալո: *Goring, in Mangoldt/Klein/Starck*, Bonner Grundgesetz, 2005.

*Gössel, K. H.*, Verfassungsrechtliche Verwertungsverbote im Strafverfahren, JZ 8/1984, S. 361–364. (Յոթորյեծյալո: *Gössel*, JZ 1984.

*Günther, R.*, Zur strafprozessualen Erhebung von Telekommunikationsdaten – Verpflichtung zur Sachverhaltsaufklärung oder verfassungsrechtlich unkalkulierbares Wagnis?; NStZ 2005 Heft 9; S. 485–492. ვიტირებული: *Günther*, NStZ 2005.

*Gusy, Ch.*, Die Rechtsstellung der Nachrichtendienste, Jura 1986, Heft 6, S. 296–300 (zit.: Gusy, Jura 1986). ვიტირებული: *Gusy*, Jura 1986.

*Gusy, Ch.*, Anmerkung zum Urteil des BVerfG zum Richtervorbehalt bei Gefahr im Verzug, JZ 20/2001, S. 1033–1036. ვიტირებული: *Gusy*, JZ 2001.

*Gusy, Ch.*, Überwachung der Telekommunikation unter Richtervorbehalt – Effektiver Grundrechtsschutz oder Alibi?, ZRP 2003, S. 275-278. ვიტირებული: *Gusy*, ZRP 2003.

*Gusy, Ch.*, Rechtsgrundlagen der Richtervorbehalte nach § 100 b StPO, GA 2003, S. 672-692. ვიტირებული: *Gusy*, GA 2003.

*Guttenberg, U.*, Die heimliche Überwachung von Wohnungen – Zur verfassungsrechtlichen Problematik des § 9 II, III BVerfSchG und verwandter Vorschriften NJW 1993, Heft 9, S. 567–576. ვიტირებული: *Guttenberg*, NJW 1993.

*Helmken, D.*, Reform des Richtervorbehalts: Vom Palliativum zum effektiven Grundrechtsschutz – Zur Psychologie der Entscheidungstätigkeit des Ermittlungsrichters, StV 3/2003, S.193-198. ვიტირებული: *Helmken*, StV 2003.

*Henrichs, A.*, Gesetzentwurf zur Neuregelung der TKÜ und anderer verdeckter Ermittlungsmaßnahmen – Kriminalermittlungen auf dem Prüfstand – Abkehr von bewährtem Beweisrecht? Kriminalistik 2007, S. 464-468. ვიტირებული: *Henrichs* in: Kriminalistik 2007.

*Herdegen, G.*, Die Strafprozessualen Beweiswürdigungstheorien des Bundesgerichtshofs, in Festschrift für Ernst-Walter Hanack zum 70. Geburtstag, Hrsg. Udo Ebert, Peter Rieß, Claus Roxin, Eberhard Wahle, Berlin, New York, De Gruyter Verl., 1999, 758 S. (S. 311-329). ვიტირებული: *Herdegen*, in Festschrift für Hanack.

*Hilger, H.*, Über den „Richtervorbehalt“ im Ermittlungsverfahren, JR 1990, S.485-489. ვიტირებული: *Hilger*, JR 1990.

*Hilger, H.*, Über den „Richtervorbehalt“ im Ermittlungsverfahren, in: Gedächtnisschrift für Karlheinz Meyer, Hrsg. von Klaus Geppert und Diether Dehnicke, Berlin, New York, De Gruyter Verl., 1990, 847 S. (S. 209 – 225). ვიტირებული: *Hilger* in: GS für Meyer.

*Hirsch, B.*, Aktuelle Sicherheitspolitik im Lichte des Verfassungsrechts – Eine notwendige Entgegnung, ZRP 1/2008, S. 24 – 25. ვიტირებული: *Hirsch*, ZRP 2008.

*Hüls, S.*, Der Richtervorbehalt – seine Bedeutung für das Strafverfahren und die Folgen von Verstößen, ZIS 4/2009, S. 160-169. ვიტირებული: *Hüls*, ZIS 2009.

*Isensee, J.*, Das Grundrecht auf Sicherheit, Berlin, De Gruyter Verl.1983, 60. ციტირებული: *Isensee*, Grundrecht auf Sicherheit, 1983.

*Jahn, M.*, Strafprozessuale Eingriffsmaßnahmen im Lichte der aktuellen Rechtsprechung des BVerfG - Unter besonderer Berücksichtigung der in BVerfGK 1-5 veröffentlichten Entscheidungen ; NStZ 2007 Heft 5 S. 255–265. ციტირებული: *Jahn*, NStZ 2007.

*Jäger, Ch.*, Beweisverwertung und Beweisverwertungsverbote im Strafprozess, München, Beck Verl., 2003, 305 S. ციტირებული: *Jäger*, Beweisverwertung und Beweisverwertungsverbote im Strafprozess, 2003.

*Kintzi, H.*, Die Tätigkeit des Ermittlungsrichters im Ermittlungsverfahren und Richtervorbehalt, DRiZ 2004, S.83 – 88. ციტირებული: *Kintzi*, DRiZ 2004.

*Kinzig, J.*, Die Telefonüberwachung in Verfahren organisierter Kriminalität: Fehler bei der richterlichen Anordnung, Mängel des Gesetzes, StV 2004, S. 560-567. ციტირებული: *Kinzig*, StV 2004.

*Kinzig, J.*, Die justizielle Bewältigung von Erscheinungsformen organisierter Kriminalität, Freiburg, erscheint 2003/2004. ციტირებული: *Kinzig*, 2003/2004.

*Kleih, B.-Ch.*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, Unter besonderer Berücksichtigung drahtloser lokaler Netzwerke, Baden-Baden, Nomos Verl., 2010, 302 S.; ციტირებული: *Kleih*, Die strafprozessuale Überwachung der Telekommunikation, 2010.

*Knauth, A.*, Zufallserkenntnisse bei der Telefonüberwachung im Strafprozeß, NJW 1977, S. 1510-1512. ციტირებული: *Knauth*, NJW 1977.

*Knemeyer, F.-L.*, Polizei- und Ordnungsrecht, 9. Auflage, München, Beck Verl., 2002, 333 S. ციტირებული: *Knemeyer*, Polizei- und Ordnungsrecht, 2002.

*Kniesel, M.*, Neue Polizeigesetze contra StPO, ZRP 1987, Heft 11, S. 377–383. ციტირებული: *Kniesel*, ZRP 1987.

*Kniesel, M.*, „Innere Sicherheit“ und Grundgesetz, ZRP 1996, Heft 12, S. 482–487. ციტირებული: *Kniesel*, ZRP 1996.

*Krause, D.-M.*, Großer Lauschangriff – Anmerkungen einer Verteidigers zur gesetzlichen Ausgestaltung in der Strafprozeßordnung, in Festschrift für Ernst-Walter Hanack zum 70. Geburtstag, Hrsg. Udo Ebert, Peter Rieß, Claus Roxin, Eberhard Wahle, Berlin, New York, De Gruyter, 1999, 758 S. (S. 221-251). ციტირებული: *Krause*, in Festschrift für Hanack.

*Krehl, Ch.*, Richtervorbehalt und Durchsuchungen außerhalb gewöhnlicher Dienstzeiten, NStZ 2003, S. 461-464. ციტირებული: *Krehl*, NStZ 2003.

*Kretschmer, J.*, §160a StPO - gelungene oder misslungene Gesetzgebung? HRRS 2010, S. 551-558. ციტირებული: *Kretschmer*, HRRS 2010.

*Krüger, J.*, Der Richtervorbehalt als Königsweg für den Schutz von Grundrechten? – Überlegungen zum Anwendungsbereich des strafprozessualen Richtervorbehalts -, DRiZ 2004, S.247-250. ციტირებული: *Krüger*, DRiZ 2004.

*Krüger, R.*, Rechtsfragen bei verdeckten Ermittlungen aus verfassungsrechtlicher Sicht, JR 1984, Heft 12, S. 490–496. ციტირებული: *Krüger*, JR 1984.

*Kriipe-Gescher, Ch.*, Die Überwachung der Telekommunikation nach den §§ 100a, 100b, StPO in der Rechtspraxis, Berlin, Duncker und Humblot, 2005, 256 S. ციტირებული: *Kriipe-Gescher*, Die Überwachung der Telekommunikation, 2005.

*Kühne, J.-D.*, Grundgesetz: Kommentar, Hrsg. von *Sachs, Michael*, Art. 13, München, Beck Verl., 2003, 2541 S. ციტირებული: *Kühne*, Grundgesetz: Kommentar, 2003.

*Kühne, H. H.*, Strafprozessrecht, 8. Auflage, Heidelberg, C.F. Müller Verl., 2010, 838 S.; ციტირებული: *Kühne*, Strafprozessrecht, 2010.

*Kutschka, M.*, Rechtsschutzdefizite bei Grundrechtseingriffen von Sicherheitsbehörden, NVwZ 2003, Heft 11, S. 1296–1300. ციტირებული: *Kutschka*, NVwZ 2003.

*Lehmann, P.*, Die Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs als strafprozessuale Maßnahme nach den §§ 100a ff. StPO, Regensburg, 1978, 281 S. ციტირებული: *Lehmann*, Die Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs, 1978.

*Lepsius, O.*, Die Unverletzlichkeit der Wohnung bei Gefahr im Verzug, Jura 2002, S. 259–266. ციტირებული: *Lepsius*, Jura 2002.

*Lin, Y.-h.*, Richtervorbehalt und Rechtsschutz gegen strafprozessuale Grundrechtseingriffe, Frankfurt am Main, Lang Verl., 1998, 359 S. ციტირებული: *Lin*, Richtervorbehalt und Rechtsschutz gegen strafprozessuale Grundrechtseingriffe, 1998.

*Löffelmann, M.*, Zum Übergang der Zuständigkeit zur Entscheidung über Rechtsbehelfe gegen Ermittlungsmaßnahmen auf das erkennende Gericht und anderen Absonderlichkeiten des Rechtsschutzsystems im Ermittlungsverfahren, ZIS 10/2009, S. 495-502. ციტირებული: *Löffelmann*, ZIS 2009.

*Müller, E.*, Die Durchsuchungspraxis – Unterwanderung eines Grundrechts, AnwBl 8+9/1992, S. 349–352. ციტირებული: *Müller*, AnwBl 1992.

*Nack, A.*, in Karlsruher Kommentar zur Strafprozessordnung und zum Gerichtsvervassungsgesetz, 4. Auflage, Hrsg. von *Gerd Pfeiffer*, München, Beck Verl., 1999, 2584 S. (S. 441–456). ციტირებული: *Nack*, in KK zur StPO, 4. Aufl., 1999.

*Nelles, U.*, Kompetenzen und Ausnahmekompetenzen in der Strafprozessordnung: zur organisationsrechtlichen Funktion des Begriffs „Gefahr im Verzug“ im Strafverfahrensrecht, Berlin, Duncker & Humblot Verl., 1980, 278 S. ციტირებული: *Nelles*, Kompetenzen und Ausnahmekompetenzen in der Strafprozessordnung, 1980.

*Neuhaus, R.*, Die Strafprozessuale Überwachung der Telekommunikation (§§100a, 100b, 101 StPO) – Zum gegenwärtigen Stand der Erosion einer Grundrechts, in Festschrift für Peter Riess zum 70. Geburtstag, Hrsg. Ernst-Walter Hanack, Hans Hilger, Volkmar Mehle, Gunter Widmaier, Berlin, New York, De Gruyter Verl., 2002, 1068 S. (S. 375–411). Յոթորյածյալո: *Neuhaus*, in: FS für Riess.

*Nöding, T.*, Die Novellierung der strafprozessualen Regelungen zur Telefonüberwachung, StraFo 2007, S. 456-463. Յոթորյածյալո: *Nöding*, StraFo 2007.

*Paeffgen, H.-U.*, Überlegungen zu einer Reform des Rechts der Überwachung der Telekommunikation, Festschrift für Claus Roxin zum 70. Geburtstag, Hrsg. Bernd Schünemann, Wilfried Bottke u.a., Berlin, New York, De Gruyter Verl., 2001, 1579 S. (S. 1299–1318). Յոթորյածյալո: *Paeffgen*, in: FS für *Roxin*.

*Paeffgen, H.-U.*, „Vernachrichtendienstlichung“ von Strafprozeß-(und Polizei-)recht im Jahr 2001, StV 2002, S. 336-341. Յոթորյածյալո: *Paeffgen*, StV 2002.

*Paeffgen, H.-U.*, Vernachrichtendienstlichung des Strafprozesses, GA 2003, S. 647-671. Յոթորյածյալո: *Paeffgen*, GA 2003.

*Pfeiffer, G.*, in Karlsruher Kommentar zur Strafprozessordnung, 4. Auflage, Hrsg. von *Gerd Pfeiffer*, München, Beck Verl., 1999, 2584 S.; Յոթորյածյալո: *Pfeiffer* in: Karlsruher Kommentar, StPO.

*Pfeiffer, G.*, Kommentar zur StPO, § 100a, § 100b, 4.Auflage, München, Beck Verl., 2002, 1460 S. Յոթորյածյալո: *Pfeiffer*, StPO, 4.Aufl., 2002.

*Pitschas, R.*, Europäisches Polizeirecht als Informationsrecht, ZRP 1993, Heft 5, S. 174–177. Յոթորյածյալո: *Pitschas*, ZRP 1993.

*Platon*, Der Staat, Rn. 376 ff., in: Sämtliche Werke, hrsg. V. Grassi/Hess, 1958, Bd. 3. Յոթորյածյալո: *Platon*, der Staat.

*Postler, F.*, Die historische Entwicklung des Post- und Fernmeldebewesens in Deutschland vor dem Hintergrund spezifischer Interessenkonstellationen bis 1945, Frankfurt a. M., Lang Verl., 1991, 287 S. Յոթորյածյալո: *Postler*, Die historische Entwicklung des Post- und Fernmeldebewesens in Deutschland, 1991.

*Prechtel, G.*, Das Verhältnis der Staatsanwaltschaft zum Ermittlungsrichter – Eine kritische Betrachtung der Mitwirkung des Richters im Ermittlungsverfahren, insbesondere zur Bedeutung des § 162 StPO, München, VVF Verl., 1995, 311 S. Յոթորյածյալո: *Prechtel*, Das Verhältnis der Staatsanwaltschaft zum Ermittlungsrichter, 1995.

*Puschke, J.; Singelstein, T.*, Telekommunikationsüberwachung, Vorratsdatenspeicherung und (sonstige) heimliche Ermittlungsmaßnahmen der StPO nach der Neuregelung zum 1.1.2008, NJW 2008, Heft 3, S. 113–119. Յոթորյածյալո: *Puschke/Singelstein*, NJW 2008.

*Rabe von Kühlewein, M.*, Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, Frankfurt am Main, Lang Verl., 2001, 514 S. ციტირებული: *Rabe von Kühlewein*, Der Richtervorbehalt im Polizei- und Strafprozessrecht, 2001.

*Raschka, J.*, Zwischen Überwachung und Repression, Opladen, VS Verlag für Sozialwissenschaften, 2001, 387 S. ციტირებული: *Raschka*, Zwischen Überwachung und Repression, 2001.

*Rieß, P.*, In Löwe Rosenberg, StPO, 25. Auflage, Band 3, Berlin, De Gruyter Verl., 2003. ციტირებული: *Rieß*, In Löwe Rosenberg, StPO, 25. Auflage, 2003.

*Rieß, P.*, Die Prüfungskompetenz des Ermittlungsrichters, NStZ 1991, S. 513- 517. ციტირებული: *Rieß*, NStZ 1991.

*Rieß, P.*, Über Subsidiaritätsverhältnisse und Subsidiaritätsklauseln im Strafverfahren, Gedächtnisschrift für Karlheinz Meyer, Berlin, De Gruyter Verl., 1990, 847 S. (S. 367-391). ციტირებული: *Rieß*, in: Gedchr. für Meyer.

*Rieß, P.*, Der Strafprozeß und der Verletzte - eine Zwischenbilanz, Jura 1987, 281-291. ციტირებული: *Rieß*, JR 1987.

*Rogall, K.*, „Abwägungen“ im Recht der Beweisverbote, in Festschrift für Ernst-Walter Hanack zum 70. Geburtstag, Hrsg. Udo Ebert, Peter Rieß, Claus Roxin, Eberhard Wahle, Berlin, New York, De Gruyter Verl., 1999, 758 S. (S. 293-309). ციტირებული: *Rogall*, in: FS für Hanack.

*Roggan, F.*, Der Schutz des Kernbereichs privater Lebensgestaltung bei strafprozessualer Telekommunikationsüberwachung – Zur verfassungsrechtlichen Unzulänglichkeit des § 100a Abs.4 StPO, StV 12/2011, S.762-766; ციტირებული: *Roggan, Fredrik*, StV 2011.

*Roxin, C.*, *Schiünemann, Bernd*, Strafverfahrensrecht, 26. Auflage, München, Beck Verl., 2009, 520 S. ციტირებული: *Roxin/ Schiünemann*, Strafverfahrensrecht, 2009.

*Rudolphi, H.-J.*, Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs nach den §§ 100a, b StPO, Festschrift für Friedrich Schaffstein, Göttingen, Schwartz Verl., 1975, 453 S. (S. 433–453). ციტირებული: *Rudolphi* in: FS für Schaffstein.

*Rüdiger, R.*, Telefonüberwachung, Niebüll, Books on Demand Verl., 2002, 264 S. ციტირებული: *Rüdiger*, Telefonüberwachung, 2002.

*Sandkuhl, H.*, in Festschrift für Rainer Hamm zum 65. Geburtstag, Die Befugnisse von Nachrichtendiensten, Berlin, De Gruyter Verl., 2008, 869 S. (S. 619–627). ციტირებული: *Sandkuhl*, in: FS für Hamm.

*Sankol, B.*, Strafprozessuale Zwangsmaßnahmen und Telekommunikation – Der Regelungsgehalt der §§ 100a ff. StPO, JuS 8/2006, S. 698–703. ციტირებული: *Sankol*, JuS 2006.

*Sankol, B.*, Überwachung von Internet-Telefonie – Ein Schatten im Lichte der §§ 100a ff. StPO, CR 2008, S. 13-18. ციტირებული: *Sankol*, CR 2008.

*Schaar, P.*, Das Ende der Privatsphäre: Der Weg in die Überwachungsgesellschaft, München, Bertelsmann Verl., 2007 254 S. ვიტირებული: *Schaar*, Das Ende der Privatsphäre: Der Weg in die Überwachungsgesellschaft, 2007.

*Schaefer, Ch.*, Verpolizeilichung des Ermittlungsverfahrens – Entmachtung der Staatsanwaltschaft, StraFo 2001, S.118-122. ვიტირებული: *Schaefer*, StraFo 2001.

*Schäfer, G.*, in Löwe-Rosenberg, §§ 100a, 100b StPO, 25. Auflage, Band 2, Berlin De Gruyter Verl., 1.10.2003, 1725 S. (S. 330-403). ვიტირებული: *Schäfer*, in Löwe-Rosenberg, StPO, 25. Aufl., 2003, §§ 100a, 100b

*Schäfer, H.*, Präventive Telekomunikationsüberwachung, Ludwigsburg/Württemberg 2007, 266 S. ვიტირებული: *Schäfer*, Präventive Telekomunikationsüberwachung, 2007.

*Schmidt, R.*, Grundrechte, 4. Auflage, Grasberg bei Bremen, Rolf Schmidt Verl., 2003. ვიტირებული: *Schmidt*, Grundrechte, 4. Auflage, 2003.

*Schmitt, B.*, in: Meyer-Goßner/ Schmitt Strafprozessordnung, 54. Auflage, München, Beck Verl., 2011, 2329 S. ვიტირებული: *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 54. Aufl, 2011.

*Schmitt, B.*, §§100a, 100b, 101, 163, in: Meyer-Goßner/ Schmitt Strafprozessordnung, 59. Auflage, München, Beck Verl., 2016, 2492 S. ვიტირებული: *Schmitt*, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016.

*Schmitt, C.*, Verfassungslehre, Berlin, Duncker&Humblot Verl., 1928, 404 S. ვიტირებული: *Schmitt*, Verfassungslehre, 1928.

*Schmitt, P.*, Die Berücksichtigung der Zeugnisverweigerungsrechte nach §§ 52, 53 StPO bei den auf Beweisgewinnung gerichteten Zwangsmaßnahmen, Berlin, Duncker&Humblot Verl., 1993, 247 S. ვიტირებული: *Schmitt*, Die Berücksichtigung der Zeugnisverweigerungsrechte, 1993.

*Schnarr, K. H.*, Zur Verknüpfung von Richtervorbehalt, staatsanwaltlicher Eilanordnung und richterlicher Bestätigung, NStZ 1991, S. 209-216. ვიტირებული: *Schnarr*, NStZ 1991.

*Staechlin, G.*, §100a StPO als Seismograph der jüngeren Strafrechts- und Strafverfahrensrechtsgeschichte, Kritische Justiz 1995, S.466-477. ვიტირებული: *Staechlin*, Kritische Justiz 1995.

*Steinmetz, J.*, Zur Kumulierung strafprozessualer Ermittlungsmaßnahmen, NStZ 2001, Heft 7, S. 344–349; ვიტირებული: *Steinmetz*, NStZ 2001.

*Schwaben, S.*, Die Personelle Reichweite von Beweisverwertungsverböten, Göttingen, Cuvillier Verl., 2005, 208 S. ვიტირებული: *Schwaben*, Die Personelle Reichweite von Beweisverwertungsverböten, 2005.

*Talaska, C. E.*, Der Richtervorbehalt, Hamburg, Kovac Verl., 2007, 332 S.; ვიტირებული: *Talaska*, Der Richtervorbehalt, 2007.

*Thommes, K.*, Verdeckte Ermittlungen im Strafprozeß aus der Sicht des Datenschutzes, StV 1997, S. 657-665. ციტირებული: *Thommes*, StV 1997.

*Vogel, J.*, Informationstechnologische Herausforderungen an das Strafprozessrecht, ZIS 8-9/2012, S. 480-485. ციტირებული: *Vogel*, ZIS 2012.

*Voßkuhle, A.*, Rechtsschutz gegen den Richter – Zur Integration der Dritten Gewalt in das verfassungsrechtliche Kontrollsysteem vor dem Hintergrund des Art. 19 Abs. 4 GG, München, Beck Verl., 1993, 387 S. ციტირებული: *Voßkuhle*, Rechtsschutz gegen den Richter, 1993.

*Warg, G.*, Anmerkungen zum Kernbereich privater Lebensgestaltung – Zugleich Besprechung von BGH Urteil vom 22.12.2011 (2 StR 509/10), NStZ 2012, S. 237-242; ციტირებული: *Warg*, NStZ 2012.

*Weißer, B.*, Zeugnisverweigerungsrechte und Menschenwürde als Schutzschild gegen heimliche strafprozessuale Zugriffe auf Kommunikationsinhalte? GA 2006, S. 148-167. ციტირებული: *Weißer*, GA 2006.

*Wegermann, K.*, Überwachungsstaat Deutschland – Eine unwirkliche Geschichte, Der Kriminalist 2004, S. 93-100. ციტირებული: *Wegermann*, Kriminalist 2004.

*Welp, J.*, Strafprozessuale Zugriffe auf Verbindungsdaten des Fernmeldeverkehrs, NStZ 1994 Heft 5, S. 209–215. ციტირებული: *Welp*, NStZ 1994.

*Welp, J.*, Anmerkung zu OLG Hamburg, Beschuß v. 11. 10. 1972 – 2Ws 386/72, JZ 9/1973, S. 289–290. ციტირებული: *Welp*, JZ 1973.

*Welp, J.*, Die strafprozessuale Überwachung des Post- und Fernmeldeverkehrs, Heidelberg, C. Winter Verl., 1974, 249 S.; ციტირებული: *Welp*, Strafprozessuale Überwachung, 1974.

*Welp, J.*, „Vereinfachter“ Geheimnisschutz im Strafverfahren? JZ 1972, S. 423-428. ციტირებული: *Welp*, JZ 1972.

*Welp, J.*, Überwachung und Kontrolle –Telekommunikationsdaten als Gegenstand strafprozessualer Ermittlungen, Berlin, Duncker & Humblot Verl., 2000, 156 S. ციტირებული: *Welp*, Überwachung und Kontrolle, 2000.

*Weßlau, E.*, Anmerkung zu BGH, Urt. V. 14.3.2003 – 2 StR 341/02 (LG Köln), StV 9/2003, S. 483-484. ციტირებული: *Weßlau*, Anmerkung zu BGH, Urt., StV 2003.

*Wollweber, H.*, Anmerkung zu BGH, Urt. V. 11.11.1998 - 3 StR 181/98, CR 1999, S.297-298. ციტირებული: *Wollweber*, CR 1999.

*Wolter, J.*, Die berücksichtigung von Zeugnisverweigerungsrechten bei Maßnahmen nach den §§ 100a, 100c, 100 g, 111, 163 b, 163 d bis 163 f StPO (Baustein zu § 53 b StPO-E vom 2.5.2002), in Zeugnisverweigerungsrechte bei (verdeckten) Ermittlungsmaßnahmen, Hrsg. Jürgen Wolter / Wolf-Rüdiger Schenke, Bonn, Bundesministerium der Justiz, 2002, 577 S. ციტირებული: *Wolter*, Die berücksichtigung von Zeugnisverweigerungsrechten in Wolter/Schenke, 2002.

*Wolter, J.*, Systematischer Kommentar zur Strafsprozessordnung, 4.Auflage, Köln, Heymanns Verl., 2010, 1424 S.; ციტირებული: *Wolter* in: SK-StPO.

*Würtenberger, T./Heckmann, D.*, Polizeirecht in Baden-Württemberg, Heidelberg, C.F. Müller Verl., 2005, 458 S. ციტირებული: *Würtenberger*, Polizeirecht in Baden-Württemberg, 2005.

*Zöller, M.*, Heimliche und verdeckte Ermittlungsmaßnahmen im Strafverfahren, ZStW 2012, Band 124, Heft 2, S. 411-439. ციტირებული: *Zöller*, ZStW 2012.

*Zöller, M.*, Heimlichkeit als System, StraFo, 1/2008, S. 15–25; ციტირებული: *Zöller*, StraFo 2008.

*Zuberbier, G.*, Staatsanwaltschaft – objektive Behörde und Anwalt des Staates, DRiZ 1988, S.254-255. ციტირებული: *Zuberbier*, DRiZ 1988.

### ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

*Cannataci, J. A./Sutton, G.*, Key points regarding access to personal data by law enforcement and by national security agencies, Report of the Directorate General Human Rights and Rule of Law, Council of Europe, DP (2014)01, Strasbourg, 8 September

2014, <http://www.old.civil.ge/files/files/2014/KeyPointsRegardingAccessToPersonalDataBySecurityAgencies.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 12.10.2018.

*Korff, D./Cannataci, J. A./Sutton, G.*, Opinion of the Directorate General Human Rights and Rule of Law Data Protection Unit on the Draft laws of Georgia relating to Surveillance Activities of Law Enforcement Authorities and National Security Agencies, Council of Europe, DGI (2014)8, Strasbourg, 14 February 2014, <https://rm.coe.int/16806af19b> . უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 12.10.2018.

### რუსულენოვანი ლიტერატურა:

*Данилюк, С./Виноградов, С./ Щерба, С.*, Как прослушать телефонный разговор, Социалистическая законность, 2(676), 1991, 32-33. ციტირებული: *Данилюк/Виноградов/Щерба*, Социалистическая законность, 1991.

*Захарцев, С. И.*, Оперативно- розыскные мероприятия, Санкт-Петербург, Изд. Юридический центр-Пресс, 2004, 259 С. ციტირებული: *Захарцев*, Оперативно-розыскные мероприятия, 2004.

*Карнеева, Л.*, Уголовно-процессуальный закон и практика доказывания, Социалистическая законность, 1(663), 1990, 33-35. *Зоффоффо: Карнеева, Социалистическая законность*, 1990.

*Петрухин, И.Л.*, Личные тайны (человек и власть), Москва, Изд. ИГиП РАН, 1998, 232 С. *Зоффоффо: Петрухин, Личные тайны*, 1998.

*Петрухин, И.Л.*, Правосудие: время реформ, Москва, Наука, 1991, 208 С. *Зоффоффо: Петрухин, Правосудие: время реформ*, 1991.

*Петрухин, И.Л.*, Теоретические основы реформы уголовного процесса в России, Часть I, Москва, Изд. ТК Велби, 2004, 220 С. *Зоффоффо: Петрухин, Теоретические основы реформы уголовного процесса*, 2004.

*Филиппов, А. Г.*, Тактика прослушивания и звукозаписи переговоров. Криминалистика. Т.2, Омск, Изд. ОВШМ МВД, 1993, 216 С. *Зоффоффо: Филиппов, Тактика прослушивания и звукозаписи переговоров*, 1993.

*Фойницкий, И. я.*, Русское уголовное судопроизводство, Ч. 3, СПБ, 1893. *Зоффоффо: Фойницкий, Русское уголовное судопроизводство*, 1893.

*Шейфер, С. А.*, Уголовно-процессуальное Право Российской Федерации, 2-е издание, Ред. *Петрухин, И.Л.*, Москва, 2006. *Зоффоффо: Шейфер*, 2006.

*Юрина, Л.Г./ Юрин, В.М.*, Контроль и запись переговоров, Москва, Изд. Приор, 2002, 112 С. *Зоффоффо: Юрина/ Юрин, Контроль и запись переговоров*, 2002.



## დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობით ევროკავშირის 2006/24/EC დირექტივის  
დებულებათა გაზიარების და ფარული საგამოძიებო მოქმედებების  
ახლებურად მოწესრიგების საკითხზე

### პროფ. ჰანს-იორგ ალბრეხტი

მაქს პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნების და საერთაშორისო სისხლის  
სამართლის ინსტიტუტის დირექტორი

<b>შესავალი</b>	გვ. 2
<b>ნაწილი 1 - ევროკავშირის 2006/24 დირექტივის შინაარსი და მისი დანერგვა</b>	გვ. 3
<b>ნაწილი 2 - დირექტივის დანერგვისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ახლებურად მოწესრიგების კანონპროექტები</b>	გვ. 24
<b>ნაწილი 3 - შეფასება და დასკვნები</b>	გვ. 45
<b>დანართი</b>	
<b>ცხრილი 1 - მოწესრიგების დონეები, ტელეკომუნიკაციის მიყურადება- თვალთვალის სხვადასხვა ფორმები და თანაზომიერების პრინციპის დაკონკრეტება -</b>	გვ. 50
<b>ცხრილი 2 - ინფორმაციის გაცვლის სტანდარტები</b>	გვ. 60

## შესავალი

საქართველოში შემუშავებულია რამდენიმე კანონპროექტი ევროკავშირის 2006/24 დირექტივის დასაწერგად და ფარული საგამოძიებო მოქმედებების (ინფორმაციის მოპოვების ღონისძიებები) ახლებურად მოსაწერიგებლად. აღნიშნული კანონპროექტები შეიცავენ შესამჩნევ მონდომებას, მოწესრიგდეს სხვადასხვა ფარული საგამოძიებო მოქმედება. რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული უნდა მოწესრიგდეს კანონისმიერი საფუძვლითა და შეესაბამებოდეს ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან. აღნიშნული კანონპროექტები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სისხლისსამართლებრივი პროცესის განვითარების მხრივ, არამედ ასევე ინფორმაციის ფარული მოპოვების ღონისძიებების მოწესრიგების კუთხით, როგორც საპოლიციო პრევენციული ღონისძიებების, ისე სადაზვერვო საქმიანობის მეშვეობით, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს არსებობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საფრთხეების გამოსავლენად.

წინამდებარე ნაშრომის პირველი ნაწილი ეხება ევროკავშირის მოქმედი 2006/24/EC დირექტივის თანამედროვე ხედვებსა და აღნიშნული დირექტივის დასაწერგად ტელესაკომუნიკაციო მონაცემთა თადარიგში შენახვის<sup>1</sup> წესის შემოღებას<sup>2</sup>. ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია საქართველოს რეფორმათა კანონპროექტები და საფრთხის თავიდან აცილებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით ინფორმაციის ფარული მოპოვების ძირითადი სტრუქტურების შედარებითსამართლებრივი ანალიზი. მესამე ნაწილი კი შეეხება - მათ შორის შედარებითსამართლებრივი ანალიზის თვალსაზრისით - ქართული კანონმდებლობის მისადაგებას ევროპულ სტანდარტებთან ადამიანის ძირითადი და კონსტიტუციური უფლებების კუთხით.

---

<sup>1</sup> ინგლ. Telecommunications data retention/preservation, გერ. Vorratsdatenspeicherung.

<sup>2</sup> დასკვნაში ტერმინები „მონაცემთა შენახვა“ და „მონაცემთა თადარიგში შენახვა“ გამოყენებულია სინონიმების სახით.

მიყურადებისა და თვალთვალისგან. ამას მოჰყვება განსაკუთრებული მოთხოვნები, უწინარეს ყოვლისა, საცხოვრებელი ფართისა და ტელესაკომუნიკაციო მიყურადებისა და თვალთვალის ორგანიზების თვალსაზრისით. უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ

- არ იქნას ხელყოფილი პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო
- ხელყოფის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეწყდეს მოქმედება
- ჩანაწერები/ინფორმაცია არ იქნას გამოყენებული და მაშინვე განადგურდეს

**2.2.5 ფარული საგამოძიებო მოქმედებების აღამიანის ძირითად უფლებათა შესაბამისი განხორციელების წინაპირობები**

#### **2.2.5.1 კანონისმიერი საფუძველი**

ბუნებრივია, ფარული საგამოძიებო მოქმედებები მხოლოდ იმ შემთხვევაში ტარდება, როდესაც არსებობს კანონისმიერი საფუძველი. თუმცა საკმარისი არაა ნებისმიერი კანონისმიერი საფუძველი. კანონმა უნდა დააკმაყოფილოს განსაზღვრულობის მოთხოვნები და ზუსტად განსაზღვროს, თუ რა პირობების საფუძველზეა შესაძლებელია ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება.

#### **2.2.5.2 თანაზომიერების პრინციპის დანერგვა**

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანაზომიერების პრინციპის დანერგვასა და გამოყენებას. ერთის მხრივ, განასხვავებენ მატერიალურ და ფორმალურ კრიტერიუმებს, ხოლო, მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია ისეთი მიდგომები და მოდელები, რომლებიც შეიცავს ფარულობის გარკვეულ კომპენსაციასა და მათ რისკებს.

კითხვა, თუ დაცვის რომელი სტანდარტებია გასათვალისწინებელი, ყოველთვის დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ხელჭყოფს შესაბამისი ღონისძიებები ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს (ან რამდენად ახლო დგას მოქმედებები ძირითადი თავისუფლებების დაცულ სფეროსთან). ამდენად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეების მიხედვით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი გრადაცია:

- ჩარევის ხარისხი ყველაზე უფრო მაღალია ისეთ მოქმედებების დროს, როდესაც ხდება პირადი სფეროში (საცხოვრებელი ბინა) აკუსტიკური ან ვიზუალური მიყურადება და თვალთვალი:
- თითქმის იგივე ხარისხისაა კომპიუტერულ სისტემებში ჩარევა (რამეთუ კერძო კომპიუტერულ სისტემებში დღეს დიდი რაოდენობით პერსონალური მონაცემია კონცენტრირებული, რომლებიც მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს)
- შემდგომი დონეა ტელესაკომუნიკაციის შინაარსობრივი მიყურადება (ასევე ინტერნეტით კომუნიკაციის)
- იგივე ინტენსივობისაა საჯარო სივრცეში ელქტრონული (ან სხვაგვარად განხორციელებული) თვალთვალი
- ამისქვეპუნქტია დამახსოვრებულ ტელესაკომუნიკაციო მონაცემებზე წვდომა
- ტელესაკომუნიკაციო მონაცემებზე წვდომის განხილვისას, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ტელეკომუნიკაციის ზოგადი მონაცემები და გეოგრაფიული მონაცემები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია გადაადგილების სურათის შექმნა

- დაბოლოს, IMSI-ის დამჭერის (IMSI-Catcher) მეშვეობით მონაცემებზე წვდომა და აბონენტის მონაცემთა ხელმისაწვდომობა (შდრ. ჩამონათვალი თანდართულ ცხრილში).

ამას გარდა, შეგვიძლია განვიხილოთ სხვა ფარული საგამოძიებო მოქმედებებიც, როგორებიცაა რასტრული (თემატური) ძებნა ან ფარული გამომძიებელი ჩარევა, მათი საქმიანობის სპეციფიური მიმართულების მიხედვით.

#### 2.2.5.2.1 მატერიალური კრიტერიუმები

- დანაშაულის სიმძიმე

მატერიალური კრიტერიუმები, რომლებიც ემსახურება თანაზომიერების პრინციპის დანერგვასა და გამოყენებას, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება მძიმე დანაშაულების განსაზღვრაში, რომელთა გასახსნელადაც შესაძლებელია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. როგორც უკვე აღინიშნა ტელესაკომუნიკაციო მონაცემთა შენახვის ნაწილში, შესაძლებელია სხვადასხვა მოდელის განხილვა:

- სია, რომელშიც ცალკეა ჩამოთვლილი დანაშაულის შემადგენლობები
- ზოგადი ზღვარის განსაზღვრა მინიმალური ან მაქსიმალური სასჯელის ზომით
- მძიმე დანაშაულის ცნების გამოყენება

ვინაიდან ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ძირითადად, გამართლებულია ორგანიზებული დანაშაულისა და მძიმე ტრანსსასაზღვრო დანაშაულის სისხლისამართლებრივი დევნის აუცილებლობით, აუცილებელია, რომ დაწესდეს ფარგლები დანაშაულთა სიის ან ზოგადი ზღვარის გამოყენებით. აუცილებელია მოხდეს იმის უზრუნველყოფა, რომ მსუბუქი დანაშაულები, განსაკუთრებით, წვრილმანი დანაშაულები არ მოექცნენ ფარული საგამოძიებო ღონისძიებების გატარების სფეროში.

ევროპული სტანდარტებით დასაშვებია ყველა ზემოთ ხსენებული შემზღვუდველი გარემოება. რეკომენდებულია რეგულაცია, რომელიც არ მოითხოვს კანონმდებლობის ხშირ განახლებას. ამ მხრივ, შესაძლებელია, გარკვეული ფარგლების დაწესება მინიმალური სასჯელის სახით. თუმცა, ის იმდენად მაღალი უნდა იყოს, რომ გამორიცხოს წვრილმანი დანაშაულის მოცვა.

- Ultima ratio*

კიდევ ერთი მატერიალური პრინციპი, რომელიც დამკვიდრებულია ბევრ სამართლებრივ სისტემაში, ეხება ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებას, როგორც “უკანასკნელი საშუალება”. ეს ნიშნავს, რომ სხვა საგამოძიებო მოქმედებებმა (რომლებიც გამოირჩევა ხელყოფის ნაკლები ხარისხით) ვერ მიაღწიეს სასურველ მიზანს ან რომ საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები განუზომლად დიდი იქნება. თუმცა ამ პრინციპის დანერგვა და ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოხდება *ultima ratio*-ს ეფექტურად გაკონტროლება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ (სასამართლო).

*ultima ratio* ყოველთვის უნდა წარმოადგენდეს ინტენსიური ჩარევის მქონე ფარული ჩაწერისა და მიყურადების ღონისძიებების რეგულაციის შემადგენელ ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე რთულია მისი არსებობის შემოწმება, ის არის

გამაფრთხილებელი სიგნალი საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისათვის. ამასთან, ის იძლევა კითხვების დასმის საშუალებას ფარული საგამოძიებო ღონისძიებების სასამართლო კონტროლის ფარგლებში.

- **დანაშაულის ჩადენის ეჭვი**

დანაშაულის ჩადენის ეჭვის ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები მერყეობს უბრალო ეჭვიდან დანაშაულის ჩადენის საფუძვლიან ეჭვამდე, თუმცა იმავდროულად ტენდენცია არის მიდრეკილი დანაშაულის ჩადენის უბრალო ეჭვისკენ.

- **ჩარევის ხანგრძლივობა**

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ხანგრძლივობა წარმოადგენს კიდევ ერთ მატერიალურ კრიტერიუმს, რომელიც, ერთის მხრივ, ზღუდავს ჩარევას, ხოლო, მეორე მხრივ, მკვეთრად გამიჯნავს ერთმანეთისაგან სხვადასხვა ღონისძიებას. პირადი საცხოვრებელი ფართისა და ტელესაკომუნიკაციო საშუალებათა მიყურადების და თვალთვალის მხრივ ტენდენცია სულ უფრო იქით მიდის, რომ დაშვებულ იქნას ამგვარი ჩარევა მხოლოდ დროის მოკლე მონაკვეთში (დაახლოებით ერთითვე).

- **ჩარევის მიზანმიმართულობა**

ფარული საგამოძიებო მოქმედებები, განსაკუთრებით კი ტელესაკომუნიკაციო საშუალებათა მიყურადება და თვალთვალი, ხშირად ტარდება ფართო ვერლის მოცვით და მოიცავს არაეჭვმიტანილი პირების მონაცემებსაც. ყველა მოქმედება, პირველ რიგში, უნდა იყოს მიმართული დანაშაულის ჩადენის ეჭვმიტანილებზე (მაგალითად, ბრალდებულის სატელეფონო კვანძი). თუ მსგავსი მოქმედებები ხორციელდება არაეჭვმიტანილი პირების მიმართ, უნდა იქნას დასაბუთებული, რომ ბრალდებული სარგებლობდა მესამე პირების ტელეფონის ნომრითა ან საცხოვრებელი ფართით.

### **2.2.5.2 ფორმალური კრიტერიუმები (პროცედურა)**

- **მოსამართლის ბრძანება**

ეჭვგარეშეა, რომ უდიდესი მნიშვნელობისაა ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლი დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებით. როგორც წესი, მსგავსი გადაწყვეტილება წარმოადგენს მოსამართლის ან სასამართლოს კომპეტენციას. თუმცა, აյ შეიძლება წარმოვიდგინოთ კლასიფიკაცია. აბონენტის მონაცემთა მონაცემთა გამოთხოვა ნაკლებად წარმოადგენს მოსამართლის პრეროგატივას. უფრო სერიოზული სახის ჩარევა კი, როგორც, მაგალითად, საცხოვრებელი ფართის მიყურადება-თვალთვალი, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით საჭიროებს სასამართლო კოლეგიის (და არა ერთი მოსამართლის) ბრძანებას. სამეცნიერო კვლევებმა ცხადყო, რომ ტელესაკომუნიკაციო საშუალებათა მიყურადება-თვალთვალის შუამდგომლებები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში არ კმაყოფილდება. ეს ნაწილობრივ აიხსნება მოსამართლის გადატვირთულობითა და წინაპირობების გადახედვისათვის საკმარისი დროის უქონლობით. შესაბამისად, ეფექტური სასამართლო კონტროლისთვის მნიშვნელოვანია სასამართლოს შესაბამისი აღჭურვა, როგორც პერსონალურად, ისე საგნობრივად.

- **შუამდგომლობის წარდგენის უფლებამოსილება**

როგორც ჩესი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შუამდგომლობის სასამართლოში წარდგენის უფლებამოსილება პროკურატურის კომპეტენციაა. ამგვარად, სახეზეა დამატებითი მაკონტროლებელი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შუამდგომლობის სამართლებრივ გადასინჯვას (და არა მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებების წინა პლანზედაყენება).

**შუამდგომლობისა და ბრძნების დასაბუთება**

თანაზომიერების მატერიალური მასშტაბების ნადვილობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დასაბუთებულია შუამდგომლობა და მოსამართლის ბრძანება. ეს გახლავთ ასევე იმის წინაპირობა, რომ მოგვიანებით შესაძლებელი გახდეს უფლებისეფექტიანი დაცვა..

- **შეჯიბრობითობის პრინციპი**

მხოლოდ დანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ტელესაკომუნიკაციო საშუალებათა მიყურადება-თვალთვალის ბრძანების გაცემამდე სასამართლო განხილვას შეჯიბრობითობის პრინციპზე დაყრდნობით. რაც იმას ნიშნავს, რომ ადვოკატი წარმოადგენს ბრალდებულის ინტერესებს (თუმცა, იმავდროულად, ადვოკატს აქვს ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება).

**• პროფესიული საიდუმლოების მცოდნეპირთა დაცვა**

პროფესიული საიდუმლოების მცოდნე პირები ექვემდებარებიან საგანგებო დაცვას. იგივე ეხება პარლამენტის წევრებს. მათ არ უნდა ეხებოდეთ ფარული საგამოძიებო მოქმედებები, თუ არ აქვთ ბრალდებულის სტატუსი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე.

- **ბრძანების შემდგომი კონტროლი (შემდგომი სამართლებრივი დაცვა)**

ვინაიდან შეუძლებელია პირთა წინასწარი დაცვა, უნდა ჰქონდეს post factum სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობა. პირველ რიგში, ეს ეხება იმ სამართალწარმოებებს, რომლებიც სრულდება არა სასამართლო პროცესით, არამედ საქმის შეწყვეტით.

- **განსაკუთრებული პროცედურები იმ მოქმედებებისას, რომლებიც ეხება პირადი ცხოვრების ძირითად სფეროს**

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად ის მოქმედებები, რომლებიც შეეძლება შეეხეოს პირადი ცხოვრების ძირითად სფეროს უნდა შეწყდეს იმ მომენტშივე, როცა ეს ღონისძიება შეეხება ასეთ სფეროს. რაც იმას ნიშნავს, რომ მსგავსი მოქმედებების ჩატარებისას (საცხოვრებელი ბინის მიყურადება და თვალთვალი) არ უნდა მოხდეს ავტომატური ჩაწერა. ეს, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ზრდის ღონისძიების ხარჯებს.

- **გამოყენების აკრძალვა**

ფარული საგამოძიებო მოქმედებების მომწერიგებელი ნორმები უნდა შეიცავდეს ცალსახა და მკაფიო დებულებებს დარღვევებით მოპოვებულ მონაცემთა და ინფორმაციათა გამოყენების თაობაზე.

- **შეტყობინების ვალდებულება**

სამართლებრივ დაცვის შესაძლებლობა და კონტროლის მექანიზმები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის თავად ეს პირი ინფორმირებული მის წინააღმდეგ ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესახებ. ამიტომ უნდა ხებოდეს მისი post factum ინფორმირება. ტელესაკომუნიკაციო მიყურადებისას ეს ერთობ პრობლემურია ტელეკომუნიკაციის მიყურადებისას, რამეთუ მასში ძალიან ბევრი სხვა ადამიანიც მონაწილეობს, რომელთაც შეიძლება შეხება არ ჰქონდეთ საქმესთან. ამდენად, მიზანშეწონილია, მხოლოდ იმ პირებთა ინფორმირება, რომელთაც უშუალოდ ეხებოდათ კონკრეტული ღონისძიებები (და არა გაკვრით ან მხოლოდ ინდივიდუალური საუბრით). დაბოლოს, შეტყობინების საკითხი იმაზეც არის დამოკიდებული, რამდენად შეიძლება შეუშალოს ან არ შეუშალოს ამან ხელი კონკრეტულ ღონისძიების მიზნის მიღწევას.

რეკომენდებულია რეგულაცია, რომელიც, საპარლამენტო განხილვის საფუძველზე, უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და კონტროლს, სამართალწარმოების ეკონომიურობას, გაითვალისწინებს და დააბალანსებს მიყურადების და თვალთვალის ობიექტის ინტერესებს.

ტელესაკომუნიკაციო მიყურადებისა და თვალთვალის ღონისძიებები შეიძლება შეეხოს ძალიან ბევრ პირს, რაც შეტყობინების კუთხით სხვადასხვა პრობლემას წარმოშობს. ერთი მხრივ, ამან შეიძლება გაართულოს სამართალწარმოების ეკონომიურობის პრინციპის დაცვა, ხოლო, მეორეს მხრივ, შეტყობინებამ შეიძლება დაარღვიოს მიყურადების ობიექტის ინტერესები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ არ წარმოადგენდა მიყურადების ან თვალთვალის ძირითად ობიექტს.

ამიტომ, რეკომენდებულია რეგულაცია, რომლითაც შეტყობინება დამოკიდებული იქნება მიყურადების ღონისძიებების მნიშვნელობაზე ობიექტის ძირითადი უფლებების და ინტერესების კუთხით. თუმცა, რაც შეეხება მიყურადების/თვალთვალის ძირითად ობიექტს, მის ინფორმირება ყოველთვის უნდა მოხდეს, რა თქმა უნდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისთვის ეს ფაქტი სისხლის სამართლის საქმის გაცნობისას ისედაც ცნობილი გახდა.

- **მარკირების ვალდებულება**

ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების არამიზნობრივი გავრცელებისა და სხვა სამართალწარმოებაში გამოყენების თავიდან ასაცილებლად, გათვალისწინებულია მათი მარკირების ვალდებულება. მარკირების მიზანია მოპოვებული ინფორმაციისა და ნივთიერი მტკიცებულებების მხოლოდ მიზნობრივად გამოყენება მათი მართლზომიერი მოპოვების პირობების საფუძველზე.

მარკირების ვალდებულება გერმანიაში (და სხვაგანაც) კანონით პირდაპირ არ არის მოწესრიგებული. ივარაუდება, რომ საკმარისია ისეთი სახის მარტივი მარკირება,

როგორიცაა, მაგალითად, მონაცემთა განთავსება საგანგებო საქაღალდეში, ან მაიდენტიფიცირებელი შტამპი<sup>110</sup>.

- **განადგურება**

თანაზომიერების პრინციპის დამკვიდრება ხდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და მასალების განადგურებითაც (წაშლით). განადგურებისა და წაშლისათვის გათვალისწინებული ვადები უნდა იყოს ორიენტირებული იმაზე თუ რადმენად მართლზომიერად არის ისინი მოპოვებული ან რამდენად არის ისინი შემდგომი საპროცესო მოქმედებებისთვის საჭირო.

მონაცემთა განადგურება უნდა იყოს ერთი დაწესებულების კომპეტენცია, თუმცა იმავდროულად დაზღვეული იყოს ე.წ. „ოთხი თვალის“ პრინციპით. ამასთან, აღნიშნული გარემოება უნდა აღირიცხოს, და მკაფიოდ დასტურდებოდეს განადგურების ფაქტი.

- **შემთხვევით აღმოჩენილი მასალები**

ფარულმა საგამოძიებო მოქმედებებით მოპოვებულ მასალებში შესაძლოა აღმოჩნდეს ინფორმაცია ან მტკიცებულება მესამე პირთა მიერ (რომლებიც არ წარმოადგენენ კონკრეტული გამოძიების მიზანს) ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებული. როგორც წესი, შემთხვევით აღმოჩენილი მტკიცებულებების მიმართ არსებობს დათქმა, რომ ისინიც უნდა აკმაყოფილებდნენ ფარული საგამოძიებო მოქმედებების წარმოების ბრძანების გაცემის მიმართ წაყენებულ წინაპირობებს.

- **სტატისტიკის გამოქვეყნება**

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ერთგვარი კომპენსირება შეიძლება მიიღწეს ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედებების სიხშირისა და შედეგების შესახებ სისტემატური ანგარიშგებით. ეროვნული კანონმდებელი სულ უფრო ხშირად ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების ვალდებულებას. ევროკავშირის 2006/24/EC დირექტივაც განსაზღვრავს ეროვნული სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების სავალდებულობას თადარიგში დამახსოვრებულ ტელესაკომუნიკაციო მონაცემთა სარგებლობასთან დაკავშირებით. ამის მიზანია, ერთი მხრივ, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საზოგადოებისათვის, რომელსაც ამ მონაცემების საფუძველზე შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედებების მოცულობასა და შედეგებზე გარკვეული სურათი შეიქმნას. მეორეს მხრივ, დამუშავებული ინფორმაცია უნდა იქცეს განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შეფასების საფუძვლად. ეს უკანასკნელი კი შესაძლებლობას აძლევს კანონმდებელს, მიუსადაგოს საკანონმდებლო ბაზა შეფასებისშედეგებს.

ევროპაში ტელესაკომუნიკაციო მიყურადებისა და თვალთვალის კონტექსტში შეინიშნება ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გამოქვეყნების პრაქტიკა. ძალიან დეტალური გამოქვეყნების წესს ბევრი ქვეყანა არ ითვალისწინებს. ზოგიერთ ქვეყანაში კი თავად მონაცემთა შეგროვების კუთხითაც არსებობს გარკვეული დეფიციტი. შესამჩნევია

<sup>110</sup> გერქე/იულიუსი/თემინგი/ცოლერი: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ჰაიდელბერგის კომენტარი, მეხუთე გამოცემა, ჰაიდელბერგი, 2012წ., გვ. 521.

ევროკომისიის მიერ ევროკავშირის 2006/24 დირექტივის იმპლემენტაციის შეფასებით ანგარიშში.

საზოგადოებაში გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და ძირითადი მონაცემების შესაფასებლად, სასურველია ერთიანი კითხვარის საფუძველზე შემდეგი ინფორმაციის თავმოყრა:

- შუამდგომლობის წარდგენა
- გადაუდებელი ღონისძიებები
- მოსამართლის თანხმობა ანუარი
- დანაშაული
- ღონისძიების ხანგრძლივობა
- ღონისძიების ვადისგაგრძელება
- ღონისძიების ხარჯები
- ღონისძიების შედეგები (იყო თუ არა წარმატებული)
- სისხლის სამართლის საქმის დასრულება (შეწყვეტა, გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი)
- შეტყობინების ვალდებულების შესრულება
- მონაცემთა განადგურება.
- **მუდმივი შეფასების ვალდებულება**

ფარული საგამოძიებო მოქმედებებით განპირობებული ჩარევის განსაკუთრებული ინტენსივობა ავალდებულებს კანონმდებელს, მუდმივად შეაფასოს განხორციელებული მოქმედებების ეფექტურობა და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს საკანონმდებლო ბაზის მისადაგება.

## 2.3 ტელესაკომუნიკაციონ კომპანიების ვალდებულებები

2.3.1 მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების კონცეფციების შედგენისა და დანერგვის ზოგადი ვალებულება

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ელექტრონული კომუნიკაციის საიდუმლო და აბონენტთა პერსონალური მონაცემები. ეს ყოველივე განსაკუთრებით გამომდინარეობს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციებიდან. მონაცემთა უნებართვოდ გადაცემა და სარგებლობა იწვევს პასუხისმგებლობას სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციულსამართლებრივი სახით. მონაცემთა მიწოდება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მკაფიოდაა მოწესრიგებული ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონმდებლობითა თუ სხვა სახის კანონებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პოლიციისა თუ სადაზვერვო საქმიანობის შესახებ კანონები).

მონაცემთა დაცვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობებით ახდენს მონაცემთა და

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური  
სააგენტოს წლიური სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიში

(2017 წლის 31 მარტიდან - 1 დეკემბრამდე)



## 1. ძირითადი დებულებები

ელექტრონული კომუნიკაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, ქვეყნის საშინაო და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული ინფორმაციის მონიტორინგის ტექნიკური შესაძლებლობის ქონას, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო სტრუქტურების თანამედროვე და უსაფრთხო საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროდუქტებით უზრუნველყოფას.

სახელმწიფოს მიერ აღნიშნულ გამოწვევებზე ადექვატური რეაგირების მიზნით, 2017 წლის 27 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, შეიქმნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომლის საქმიანობის ძირითად ამოცანებად განისაზღვრა:

ა) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ორგანოების მომართვის საფუძველზე, სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული ინფორმაციის, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის, სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციისა და სისხლის სამართლის საქმეებზე მონიტორინგი, შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვების მიზნით;

ბ) სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების, საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა.

მოქმედი საკანონმდებლო ბაზიდან გამომდინარე, სააგენტოს არ აქვს საგამოძიებო ან სხვა მსგავსი ფუნქციები, რაც პროფესიულად დაინტერესებულს გახდის მას, ჰქონდეს წელიმა საკომუნიკაციო არხებით გადაცემულ ინფორმაციაზე. იგი წარმოადგენს ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცემული განჩინებების/ბრძნებების ტექნიკურ აღმასრულებელს.

სააგენტოს მიერ აღნიშნული ამოცანების სრულფასოვნად განსახურციელებილად კანონით განისაზღვრა მისი საქმიანობის დამოუკიდებლობის გარანტირების მიზანით, სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში უკანონო ჩარევა დაუშვებელია; სააგენტოს ხელმძღვანელის შერჩევა ხორციელდება



სპეციალური კომისიის მიერ, რომელშიც წარმოდგენილნი არიან როგორც აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე სახალხო დამცველი; სააგენტოს თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლება განეკუთვნება სააგენტოს უფროსის კომპეტენციას, რომელიც უფლებამოსილია დამოუკიდებლად წარმოადგინოს სააგენტო სახელმწიფო სტრუქტურებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა უწყებებთან ურთიერთობაში. ზემოაღნიშნული და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დებულებები ქმნიან სათანადო გარანტიებს სააგენტოს მიერ საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელებისა და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის.

კანონით განისაზღვრა ასევე სააგენტოს საქმიანობის პრინციპები. კერძოდ, სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, პატივისცემის, კანონიერების, დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპებით.

სააგენტოს საქმიანობის უზრუნველსაყოფად, საანგარიშო პერიოდის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო მის ინსტიტუციურ-ფუნქციონალურ მოწყობასა და საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ფორმირებას. კერძოდ, დამტკიცდა სააგენტოს დებულება, განისაზღვრა მისი სტრუქტურა და სტრუქტურული დანაყოფების ფუნქციონალური მოვალეობები; დამტკიცდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების, ასევე ამ მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის, დამუშავების, შენახვისა და გაცემის ინსტრუქცია; განისაზღვრა კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის არქიტექტურა და ინტერფეისები და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სააგენტოს ინსტიტუციური მოწყობა. კერძოდ, სააგენტოს დამოუკიდებელი და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის შეიქმნა აუცილებლი ადმინისტრაციული და საფინანსო დანაყოფები, განხორციელდა მათი შესაბამისი კვალიფიციური საკადრო შემადგენლობით დაკომპლექტება. ასევე საკადრო რესურსის განახლების მიზნით, უმაღლესი სასწავლებლებიდან და დასაქმების ღია ვებ-რესურსებიდან განხორციელდა საინფორმაციო ტექნოლოგიებში პერსპექტიული კადრების მოძიება, მათი ტესტირება და შერჩევა.

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს გადაეცა მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სპეციალური დანიშნულებების ტექნიკური აღჭურვილობა.



წარმოდგენილი ანგარიში სტრუქტურირებულია სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად და მოიცავს 2017 წლის 31 მარტიდან 1 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშის მეორე ნაწილი ეთმობა ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების აღსრულებას, მესამე ნაწილი - სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას, ხოლო მეოთხე ნაწილში ასახულია სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობა სასაზღვრო ტექნოლოგიების განვითარების, ასევე ბირთვული, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

2. ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები

ა) სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ფარული საგამოძიებო მოქმედებების/ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორცილებისა და კონტროლის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ფარული საგამოძიებო მოქმედებების/ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების აღსრულებისა და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტების მიერ მათი აღსრულების კონტროლის ტექნიკურ-ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, სააგინტოს მიერ საანგარიშო პერიოდში შეიქმნა:

- კონტროლის ელექტრონული სისტემა (უზრუნველყოფს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების და ჩაწერის ონლინძიების დაწყების შესახებ გაცემული ტექნიკური ბრძანებისა და აღნიშული ბრძანების შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების მიწოდებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზედამხედველი მოსამართლისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის; ასევე აღნიშნული სუბიექტების მიერ, კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, მათი შეჩერების შესაძლებლობას);

- კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემა (უზრუნველყოფს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების და ჩაწერის ონლინძიების დაწყების შესახებ გაცემული ტექნიკური ბრძანებების, ელექტრონული კომუნიკაციების უზრუნველყოფაზე) განთავსებული მართლზომიერი გადაჭრის მენეჯმენტის სისტემის მიერ ტექნიკურად აღსრულებული ბრძანებების მონაცემების ავტომატურ შედარებასა და ავტომატურ შედარების შედეგების მიწოდებას საქართველოს უზრუნველყოფის სასამართლოს მიერ აღნიშვნით დამტკიცებული შედარების შედეგების მიწოდებას საქართველოს უზრუნველყოფის სასამართლოს მიერ აღნიშვნით დამტკიცებული

მოსამართლისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის, მათი კომპეტენციის შესაბამისად);

- ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემა (უზრუნველყოფს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციისა და შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების რეალურ დროში მიწოდებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზედამხედველი მოსამართლისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის).

ამგვარად, თითოეული მათგანი შესაძლებლობას აძლევს მაკონტროლებელ ორგანოებს რეალურ დროში მიიღონ სრული ინფორმაცია სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესახებ და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შეაჩერონ შესაბამისი ღონისძიებების აღსრულება.

აღნიშნული კონტროლის სისტემების დანერგვის მიზნით სააგენტოს მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში განხორციელდა შესაბამისი აპარატული და ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის აუცილებელი ტექნიკური სამუშაოები.

### ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ წარმოებაში მიიღო 814 მოსამართლის განჩინება და 55 პროკურორის დადგენილება ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესახებ.

2017 წლის 30 მარტს განხორციელებული ცვლილებებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლში მაქსიმალურად დეტალურად განისაზღვრა ის საკითხები, რომელსაც უნდა შეიცავდეს მოსამართლის განჩინება/პროკურორის დადგენილება. თუმცა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ხშირ შემთხვევაში სააგენტოში წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი (მოსამართლის განჩინება/პროკურორის დადგენილება) შესაბამისობაში კანონით განსაზღვრულ ფორმალურ კრიტერიუმებისან. მსგავს შემთხვევებში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სააგენტო კურობების უფლებამოსილ საგამოძიებო ორგანოს ფარული საგამოძიებო მოქმედების აღსრულების შესახებ მოსამართლის განჩინებაში/პროკურორის დადგენილებაში არსებული



ბუნდოვანება-უზუსტობის არსებობის თაობაზე. აღნიშნულის შედეგად სააგენტოში დამატებით წარმოდგენილ იქნა:

ა) 92 განჩინება განჩინებაში არსებული ბუნდოვანება უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ;

ბ) 3 დადგენილება დადგენილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.

ამ თვალსაზრისით, სააგენტოს მიერ იგეგმება სპეციალური სასწავლო კურსების ორგანიზება უფლებამოსილი საგამოძიებო დანაყოფების, ასევე პროკურატურისა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, რაც ხელს შეუწყობს სააგენტოში წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესახებ სასამართლო განჩინებების/პროკურორის დადგენილებების სრულყოფას.

სამართლებრივი დოკუმენტაციის შემდგომი სრულყოფისა და პრაქტიკაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების მარეგულირებელი საკანომდებლო ბაზის დახვეწასა და კონკრეტიზაციას. ამ თვალსაზრისით სააგენტო აქტიურად არის ჩართული ახალი საკანონმდებლო ინციატივის მომზადების პროცესში, რომელიც დეტალურად დაარეგულირებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების, ასევე მათი განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის, დამუშავების, გაცემის, განადგურების წესებს, საფუძვლებსა და პროცედურებს. აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციების შედეგად შესაძლებელი გახდება სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი, ცალკეული ნორმატიული აქტების განსაიდუმლოება, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სააგენტოს საქმიანობის ღიაობას.

### გ) კონტროლი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე

ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე კონტროლს ახორციელებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეაჩეროს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადულება და ჩაწერის ფარული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობა. კერძოდ, სისხლის სამართლას საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი უფლებამოსილია შეაჩეროს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადულება და ჩაწერის ფარული საგამოძიებო მოქმედება თუ მასთან კანონით გათვალისწინებულ ვადაში სასამართლოს ან საგამოძიებო უწყების მიერ წარდგენილი იქნება.

განჩინების/პროცეურორის მოტივირებული დადგენილების მატერიალური ეგზემპლარი. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეჩერდა 22 ორნისმიება.

საანგარიშო პერიოდში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ სამჯერ განხორციელდა სააგენტოს ინსპექტირება. ინსპექტირების ფარგლებში სააგენტოდან მოხდა შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვა. ინსპექტორის აპარატის საინფორმაციო-ტექნოლოგიური დანაყოფის თანამშრომელთა მიერ შემოწმდა ტექნიკური აპარატურის ლოგირების მონაცემები, ხოლო სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ მიცემულ იქნა სათანადო ახსნა-განმარტებები. ინსპექტირების ერთ შემთხვევაში რაიმე სახის დარღვევა არ გამოვლენილა, ხოლო დარჩენილ ორ შემთხვევასთან დაკავშირებით ინსპექტირების პროცედურა ანგარიშის წარმოდგენის მომენტისათვის არ არის დასრულებული.

### 3. სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიმართულება

სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა. აღნიშნული მოიცავს:

- სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების მოთხოვნებზე და ადმინისტრაციულ პროცესებზე მორგებული პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების შექმნას, დაწერვასა და ტექნიკურ მხარდაჭერას;
- საკაბელო და რადიო კავშირგაბმულობის ქსელების დაპროექტებას, შექმნას, ტექნიკურ მხარდაჭერას, ასევე შესაბამისი აპარატურისა და კავშირგაბმულობის საშუალებების ტექნიკურ მომსახურებას.

ა) პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების შექმნა, დაწერვა და ტექნიკურ მხარდაჭერა

საანგარიშო პერიოდის უდიდესი ნაწილი დაეთმო სააგენტოს მიერ უზრუნველყოფის სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისთვის გადაცემული პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ტექნიკურ მხარდაჭერას, მოდერნიზებასა და დახვეწას. კერძოდ, სააგენტოს



ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი – „სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლისპროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)“ შევასრულედამოუკიდებლად და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

დოქტორანტი

მაკა ხოდელი

